ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

# ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები

## II ნაწილი

მთავარი რედაქტორი
როინ მეტრეველი

სარედაქციო კოლეგია: ი. გოგოლაშვილი (მდივანი), დ. ლეთოდიანი, მ. ლორთქიფანიძე, დ. ნინიძე, ზ. პაპასქირი (მთ. რედ. მოადგილე), გ. სალიაშვილი

თბილისი 1998

63.2 (2Г)
930.22 (479.22) (09)
ქ.279

„ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები" გამოდის ორ ტომად. იგი შექმნილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლების. სხვა ცნობილ ისტორიკოსთა თანაავტორობით.

ნაშრომის მიზანია, გააშუქოს ქართული დიპლომატიის ისტორიის ძირითადი საკითხები უძველესი დროიდან უკანასკნელ პერიოდამდე.

ორტომეული განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

"Essays on the History of Georgian Diplomacy" is in two volumes. The work has been compiled in coauthorship by collaborators of the research center of the history of the Georgian state and peoples diplomacy of the chair of Georgian history of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

The book aims at shedding light on the basic questions of the history of Georgian diplomacy from early times to the present period.

The two-volume edition is designed for specialists as well as for general readership.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998
TBILISI UNIVERSITY PRESS, 1998

ქ 0503000000 / 608(06)-98

ISBN 5-511-00896-6

# XIV თავი. ქართული დიპლომატია XV საუკუნეში

## 1. საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობები XV საუკუნის I ნახევარში

### ალექსანდრე I დიდის (1412-1442) დიპლომატია

1403 წელს კასტილია-ლეონის (ესპანეთი) მეფემ ენრიკე III-მ (1390-1407) თემურ-ლენგთან რუი გონსალეს დე კლავიხოს ხელმძღვანელობით ელჩობა გაგზავნა, რომელთაც თან მიჰქონდათ მსოფლიო დამპყრობლისათვის გადასაცემი წერილები და საჩუქრები. ისინი თემურ-ლენგის იმპერიის დედაქალაქში — სამარყანდში 1404 წლის 8 სექტემბერს მივიდნენ. ელჩობის მეთაურმა ამ დიპლომატიური მისიის პერიპეტიები დაწვრილებით აღწერა, რომელშიც დაცულია ცნობები თემურ-ლენგის შემოსევებისა და გიორგი VII-ის მეფობის ხანის შესახებ.

საინტერესოა, რომ ელჩებს — კლავიხოს და მისი მისიის წევრებს — კასტილიაში დაბრუნებისას სამხრეთ საქართველოში გამოუვლიათ; ყარსის მფლობელს მათთვის მეგზური გაუყოლებია, რომელსაც ყარსიდან არზრუმში მიმავალი მთავარი გზიდან გადაუხვევია და ისინი სხვა გზით წაუყვანია — მას კლავიხო „საქართველოს გზას“ უწოდებს. როგორც ელ. მამისთვალიშვილი აღნიშნავს, მთავარი საქარავნო გზიდან გვერდის აქცევა თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ მცირე აზიაში დაწყებული არეულობით იყო გამოწვეული.[1]

თემურ-ლენგი 1405 წლის 18 თებერვალს გარდაიცვალა ქ. ოთრარაში, რითაც მსოფლიო ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი ეპოქა დასრულდა, მათ შორის დიპლომატიური კუთხითაც: გიორგი VII-ს (1393-1407) თავისუფალი მოქმედების საშუალება ეძლევა: „რამეთუ შემდგომად თემურის სიკვდილისა იწყეს ბრძოლანი ძეთა ურთიერთა ზედა და დაშთა ქუეყანა და მათგან მშჳდობით. ხოლო მეფემან განასხნა თათარნი და აღიხუნა ციხენი ქართლ-სომხითისანი სრულიად“.[2] გიორგი მეფემ „დაიპყრნა სამკჳდრო თჳსი ქართლი და იყო უშიშრად“.[3] ქართველებს თავისი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც უწარმოებიათ ბრძოლები: „ხოლო იწყო მეფემან გიორგი მოსრვა, მოწყვედა თათართა: სადა ჰპოებდა

---

რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 20.
ვახუშტი, გვ. 275-276.
ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, გვ. 338.

საზღვარს გარეთ თჳსით, ვიდრე რახსის კიდემდე, არა დაუტევა, მოსრნა, მოსწყვიდნა".[1]

კლავიხო მოგვითხრობს მისი ლაშქრობის შესახებ თურქმანების წინააღმდეგ, როცა საქართველოს მეფეს თავრიზამდე მიუღწევია: ქართველთა ლაშქარი შეჭრილა ყარსისა და არზრუმის მიწებზე და თავრიზამდე მრავალი ქალაქი და სოფელი აუღია. საქართველოს მეფე „შეიჭრა ყარსისა და არზრუმის მიწებზე, რომელიც დიდ სომხეთშია თავრიზის მიწებამდე, გადაწვა და გაძარცვა მრავალი სოფელი და დასახლებული პუნქტი. ისეთი დიდი შიში გამოიწვია, რომ თავრიზელი მუსლიმანები ფიქრობდნენ ბატონი ომარ მირზა მოვიდოდა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა"...[2] ირანის გამგებელმა – ომარ მირზამ სარდალი ომარ თობანი გამოგზავნა, რომელიც თავისი ლაშქრით ალათაღის ველზე დაბანაკდა; გიორგი მეფე წინასწარ მოფიქრებული გეგმით საიდუმლოდ მივიდა ბრძოლის ველზე და მტერს ღამით დაესხა თავს. საქართველოს მეფემ მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია. ელ. მამისთვალიშვილის მიხედვით, ეს ლაშქრობა 1405 წლის 19 მაისიდან 11 ივლისამდე უნდა მომხდარიყო.[3]

გიორგი VII-ს მეორედაც ულაშქრია თურქმანების წინააღმდეგ. XV ს-ის სპარსულენოვანი ისტორიკოსის მირხონდის მიხედვით, საქართველოს ლაშქარმა განჯა და ნახჭევანი დალაშქრა და მტერს მარანდამდე შეუტია. ეს ლაშქრობა 1406 წელს უნდა მომხდარიყო.[4]

საქართველოდან მტრის განდევნისა და მშვიდობიანობის დამყარებისთანავე გიორგი VII-მ სწორი დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა: კარგად გაითვალისწინა აზერბაიჯანში დაწყებული სახალხო მოძრაობის მნიშვნელობა საქართველოსათვის და მის მეთაურს – შირვანშაჰ იბრაჰიმს დაუკავშირდა (1405 წ. დასაწყისში). გიორგი მეფეს იბრაჰიმთან, რომელიც შირვანის გარშემო მთელი აზერბაიჯანის გაერთიანებას ცდილობდა. კავშირი იმითაც განუმტკიცებია, რომ დაპყრობილი განჯა და ნახჭევანი მისთვის გადაუცია.[5]

1405 წელს გიორგი VII-ის ლაშქრობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც, რომელიც საინტერესოა XIV-XV საუკუნეთა მიჯნისა და XV ს-ის დასაწყისის საქართველოს საშინაო

---

ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962, გვ. 121.

რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 36.

იქვე. გვ. 24.

იქვე. გვ. 25-27; რ. კიკნაძე. ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან. თსუ შრომები. ტ. 108. თბ., 1964. გვ. 378-379.

იქვე. გვ. 379.

დიპლომატიის თვალსაზრისით. სამცხის სეპარატიზმის გამო გიორგი VII-ის ერთ-ერთი მთავარი საფიქრალი სწორედ ქვეყნის ეს რეგიონი იყო. ამ დროს შექმნილი ვითარება გიორგი VII-ს საშუალებას აძლევს, იზრუნოს ამ საკითხის მოგვარებაზე: იგი შედის ივანე ათაბაგის სამფლობელოში, იმორჩილებს მას და გზას მეზობელ ტერიტორიებზე აგრძელებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დროს საქართველოს მეზობელ მხარეებში თურქმენებს მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა არ ჰყავდათ. ელ. მამისთვალიშვილის აზრით, კლავიხოს მიერ აღწერილი ქართველთა ლაშქრობის ძირითადი მიზანი სწორედ საათაბაგოს კვლავ შემომტკიცება უნდა ყოფილიყო, თუმცა ასეთი ღონისძიებით ამ საკითხის მხოლოდ დროებით დარეგულირება მოხერხდა.

გამათავისუფლებელი მოძრაობის ორ ხელმძღვანელს — შირვანშაჰ იბრაჰიმსა და საქართველოს მეფეს გიორგი VII-ს შორის წარმოშობილი ურთიერთდახმარების კავშირი[1] მალე გაწყდა, რადგან 1407 წელს მეფე გიორგი თურქმანებთან ბრძოლაში დაიღუპა.

ამ პერიოდში თანდათან ძლიერდება შავბატკნიანთა მბრძანებელი ყარა-იუსუფი, რომელიც ცდილობს დაეუფლოს თემურის იმპერიის პოლიტიკურ მემკვიდრეობას: თემურ-ლენგთან ომში დამარცხებული ყარა-იუსუფი აჰმედ ჯალაირიანთან ერთად ოსმალთა სულთანს აფარებს თავს. იქიდან ეგვიპტეში გარბის, თუმცა თემურის შიშით იგი სულთანმა შეიპყრო. თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ ყარა-იუსუფი აზერბაიჯანში ბრუნდება, ამარცხებს თემურიანებს, 1408 წელს მასთან გადამწყვეტ ბრძოლაში თემურის ვაჟი — მირანშაჰიც იღუპება. 1410 წელს ყარა-იუსუფი შეეჯახა თავის ყოფილ მოკავშირეს, ჯალაირიანთა სახელმწიფოს უკანასკნელ წარმომადგენელს — აჰმედ ჯალაირიანს, რაც ამ უკანასკნელის დაღუპვითა და ყარა-იუსუფის სპარსეთის ერთპიროვნულ ძლიერ მბრძანებლად გახდომით დასრულდა. ამით საფუძველი ჩაეყარა შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს.

ამიერკავკასიის ხელისუფალნი კარგად ხედავენ ყარა-იუსუფის მოახლოებით წარმოშობილ საშიშროებას. გარკვეული დიპლომატიური კონტაქტების შემდეგ, საერთო მტრის არსებობის პირობებში, ყალიბდება კავშირი, რომელშიც შედიან საქართველოს მეფე კონსტანტინე I (1407-1412), შირვანშაჰი იბრაჰიმი და შაქის მმართველი სიიდი აჰმედი. ასეთი გადაწყვეტილება შექმნილ ვითარებაში ალბათ სწორიც იყო და იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში შეფასებულია როგორც კიდევ ერთი

---

[1] И. П. Петрушевский, Государства Азербайджана в XV в., "Сборник статей по истории Азербайджана", вып. I, Баку, 1949, გვ. 154.

ბრწყინვალე ფურცელი" ამიერკავკასიის ხალხთა საბრძოლო ისტორია-ში;[1] თუმცა იგი მოკავშირეებისათვის წარუმატებლად დასრულდა.

ყარა-იუსუფს შეუძლებელი იყო ვერ დაენახა ასეთი კოალიციის შექმნისათვის დაწყებული მუშაობა, ამიტომ იგი ამ კავშირის დაშლას იწყებს — ზოგის მოსყიდვას ცდილობს, ზოგსაც ომს უცხადებს. ყარა-იუსუფმა შირვანშაჰს მორჩილება მოსთხოვა, რის გამოც შეიხ იბრაჰიმმა დახმარებისათვის საქართველოს მეფეს კონსტანტინე I-ს მიმართა. ყოველივე 1412 წელს ჩალაღანთან[2] მომხდარი ბრძოლით დასრულდა, სადაც მოკავშირეთა — საქართველოს, შირვანისა და შაქის გაერთიანებული ლაშქარი დამარცხდა, ხოლო მეფე კონსტანტინე I სიკვდილით დასაჯეს; იბრაჰიმმა დიდი ფულადი გამოსასყიდის ფასად შეძლო გათავისუფლება და თავი ყარა-იუსუფის სიუზერენად ცნო.

ასეთ რთულ ვითარებაში გამეფდა ალექსანდრე I დიდი (1412-1442). ქართულ ისტორიულ წყაროებში, შექმნილი მდგომარეობის გამო, გარკვეული სასოწარკვეთილება იგრძნობა; „პარიზის ქრონიკის" სიტყვებით, ქართველთა სამეფოს „არსით აღუჩნდა ნუგეშინისმცემელი" და ალექსანდრეს გამეფებისას „იყო მაშინ ყოველი ესე საქართველო უსჯულო თემურისაგან უნუგეშინისცემოდ განსრული და სრულიად აოხრებული... ესრეთ იავარ-ნაქმარ ქართლზე (ალექსანდრე, დ. ნ.) მეფედ იქმნა".[3] იმავეს აღნიშნავს „ქართლის ცხოვრება", ოღონდ ხაზს უსვამს იმ გარკვეულ შემობრუნებას, რომელიც ალექსანდრე დიდის სახელს უკავშირდება: და არა სადათ აღუჩნდათ ნუგეშინისმცემელი, ვიდრემდის არა მეფე იქმნა დიდი ალექსანდრე".[4] მართლაც, მას დიდი ძალისხმევა და დიპლომატობა დასჭირდა, რათა გარკვეულად მაინც გამოესწორებინა მდგომარეობა, თუმცა მთლიანად არასასურველი პროცესების შეჩერება ვერ შეძლო.

ქართულ ისტორიულ წყაროებში ხშირადაა ხაზგასმული, რომ „ტყუენვა — რბევა" საქართველოში „ამის (ანუ ალექსანდრეს, დ. ნ.) მეფობამდე იყო"; აღსანიშნავია, რომ გარკვეულ პერიოდში ალექსანდრე I დიდი მართლაც წარმატებით ახორციელებდა ბრძოლას საგარეო მტრის წინააღმდეგ, რაზეც მიუთითებს „ქართლის ცხოვრების" გაგძრელების უცნობი ავტორი: „ამან იწყო ბრძოლა უსჯულოთა მათ, და მრავლისა ბრძოლითა და ზეგარდამო შეეწეობითა განასხნა ყოველნი ურჯულონი საზღვართაგან საქართველოსათა";[5] ალექსანდრე მეფის 1440 წლის მალის

---

1 კ. ტაბატაძე, დასახ. მონოგრაფია, გვ. 220.
2 დ. ნინიძე, ჩალაღანის საკითხისათვის, „ორიენტალისტური ძიებანი", I, თბ., 1994, გვ.7-8.
3 „პარიზის ქრონიკა", გვ. 38.
4 ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, გვ. 473.
5 იქვე.

ამოკვეთის სიგელში კი აღნიშნულია: „ ... ვიწყე ბრძოლად უსჯულოთა და განვსხენ ზღვართაგან ჩუენთა და ქრისტიანენი ფრიადს მშუიდობასა და მყუდროებასა მიეცნეს".[1]

ალექსანდრეს მეფობის პირველ წლებში დაწყებულ წარმატებულ ბრძოლებს მალე გართულებები მოჰყვა; კვლავ გამოჩნდა ყარა-იუსუფი, რომელიც 1416 წელს სამცხეში ლაშქრობს. „თურქთა ახალციხე ამოსწყვიტეს", — აღნიშნავს უცნობი ქართველი ისტორიკოსი.[2] ამ ფაქტის შემდეგ 1420 წლამდე რა დამოკიდებულება ჩამოყალიბდა ალექსანდრე მეფესა და ყარა-იუსუფს შორის, ისტორიული წყაროებით ნათლად არა ჩანს; ა. აბდალაძე თვლის, რომ ამ დროს მეფე ალექსანდრე ყარა-იუსუფის მოხარკე უნდა ყოფილიყო.[3]

ამავე პერიოდში იგი აქტიურად იბრძვის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და ქვეყნის ერთიანობისათვის; კერძოდ, აქტუალურად დგება სამცხე-საათაბაგოს საკითხი:

განსაკუთრებული სეპარატიზმი სამცხე-საათაბაგოს მხრიდან, როგორც აღინიშნა, ივანე ათაბაგის (1391-1444) მმართველობის პერიოდში იგრძნობოდა. მის პოზიციაზე თემურ-ლენგის შემოსევების ხანაში და დამოკიდებულებაზე სამეფო ტახტის მიმართ შესაბამისად უკვე იყო საუბარი.

სამცხე-საათაბაგო არ ყაბულდება მხოლოდ პოლიტიკური დამოკიდებულებებისათვის ბრძოლას და ეკლესიურ გამოყოფასაც მოითხოვს: უნდა აღინიშნოს, რომ მაწყვერელის მეთაურობით სამხრეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთის საპატრიარქოსაგან ჩამოშორებისათვის ბრძოლას მძაფრი ხასიათი სწორედ ივანე ათაბაგის დროს მიეცა. ამ მხრივ და საერთოდ, XIV-XV სს-თა საქართველოს საშინაო დიპლომატიის თვალსაზრისით საინტერესოა გერასიმე მაწყვერელის ერთგულების „წიგნი და პირი" (1414-1426 წწ.) ქართლის კათალიკოსისადმი: მცხეთას მისული მაწყვერელი პირობას იძლევა, რომ „თქუენნი (კათალიკოსთა, დ. ნ.) მომჴსენებელნი ვიყუნეთ" და „არც პატრიარქი მოვიჴსენოთ ანტიოქისა, არც მისგან გამოგზავნილი კაცი შევიწყაროთ, არც ვარძიის დიაკონი ვაკურთხოთ".[4] როგორც ვხედავთ, მაწყვერელს კათალიკოს-პატრიარქისთვის არ მოუხსენებია ანტიოქიის საპატრიარქოსთან კონტაქტების შესა-

---

1 ქართული სამართლის ძეგლები. II. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 126.

2 „პარიზის ქრონიკა", გვ. 38.

სომხურ ხელნაწერთა XIV-XV სს. ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ. ა. აბდალაძის გამოცემა, გვ. 146.

სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.) ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 24.

ხებ და მცხეთის ტახტისაგან დამოუკიდებლად უცურთხებია ვარძიის დიაკვანი. ბუნებრივია, მაწყვერელის ასეთ სეპარატიზმს ივანე ათაბაგის შესაბამისი პოლიტიკა კვებავდა.

ასევე საინტერესოა ალის მონასტრის „სვინაქსარის“ მინაწერებში დაცული ცნობები, საიდანაც ირკვევა, რომ სამხრეთ საქართველოს ორი მნიშვნელოვანი სამწყსოს საეპთმპყრობელი — იშხნელი და ანჩელი მთავარეპისკოპოსი ათაბაგის პოლიტიკის ერთგულია.[1] ვახუშტის თხზულებიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად ძლიერია ამ რეგიონისა და, კერძოდ, ივანე ათაბაგის სწრაფვა ცენტრისაგან განდგომის თვალსაზრისით, ხოლო ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებით, თემურ-ლენგის დროს იგი ასევე დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურაა.[2] ყოველივე ამის გამო, ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით ლაპარაკობს ივანე ათაბაგის სეპარიტიზმის შესახებ.[3] სწორედ ასეთი პოლიტიკის გამოხატულებაა ვარძიის ივანე ათაბაგისეული წარწერა; მასში საქართველოს მეფე მოხსენიებული არც არის, რაც იმაზე ლაპარაკობს, რომ სამცხე-საათაბაგო სამეფო ტახტს არ ემორჩილება და მისი ათაბაგი მეფის უზენაესობას არ ცნობს. როგორც აღნიშნული წარწერით ირკვევა, საქართველოს მეფეს გარკვეული ხანით ხელი აღარ მიუწვდება ისეთ მნიშვნელოვან სალოცავზე, როგორიც ვარძიაა.

ალექსანდრე I დიდმა ყველაფერი გააკეთა ვითარების შესაცვლელად: 1414-15 წწ-ში მან კოხტასთავთან ივანე ათაბაგი შეიპყრო, „შევიდა სამცხეს და დაიპყრა ყოველი ციხენი და ექორია-ჰყვნა ურჩნი და რომელნიმე უმკვიდრო-ჰყვნა და დასხნა ერისთავნი თვისნი“.[4]

1420 წლის ნოემბერში ყარა-იუსუფსა და ჩაღათაელთა მბრძანებელს, თემურ-ლენგის ვაჟს — შაჰროჰს (1405-1447) შორის ბრძოლა გაიმართა, რომლის დროსაც 65 წლის ყარა-იუსუფი მოულოდნელად გარდაიცვალა, რამაც შეტაკების ბედიც გადაწყვიტა — შავბატკნიანები დამარცხდნენ. ამას საპასუხო რეაქცია და შესაბამისი ნაბიჯი უნდა მოჰყოლოდა საქართველოს სამეფო კარის მხრიდან: 1420 წლის ნოემბერში, როგორც აღვნიშნეთ, შავბატკნიანები მარცხდებიან და უკვე 1420 წლის დეკემბერში, სპარსელი ისტორიკოსების ცნობით, ყარაბაღში საზამთროდ მდგარ შაჰროჰთან ჯერ შირვანშაჰი ხალილულაჰ I და შაქის მფლობელი სიდი აჰმედ ორლათი, ხოლო მეორე დღეს ალექსანდრე I დიდის ელჩები მოსულან.[5] ო. ეფენდიევის მიერ განხილული ცნობებით,

---

[1] ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.
[2] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 310.
[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1967, გვ. 28-29.
[4] ვახუშტი, გვ. 279.
[5] И. Петрушевский, Гос. Азербайджана в XV в., გვ. 163.

ქართველთა ელჩობების შესახებ დამატებით ინფორმაციასაც ვგებულობთ: შაჰრუხი არაქსის სამხრეთით იდგა, როცა 1421 წლის 4 მაისს მასთან საქართველოდან ივანეს ელჩი, ხოლო მეორე დღეს ალექსანდრეს მოციქული გამოცხადდა. უდავოა, რომ აქ ალექსანდრე I დიდზეა ლაპარაკი, ხოლო ივანე კი სამცხის მთავარი ივანე ათაბაგი (1391-1444) უნდა იყოს. ამდენად, ცნობილი ხდება საინტერესო ფაქტი შაჰრუხსა და სამცხე-საათაბაგოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ. ასევე ძალზე საინტერესოა მეორე ფაქტი: შაჰრუხის ციხე-სიმაგრე „ბუმანშის" რაიონში ყოფნისას მასთან გამოცხადებულა საქართველოს მეფის ელჩი, სახელად „მუჰარბუ" (?) თავისი სიუზერენის საჩუქრებით.[1] როგორც ვხედავთ, ელჩის სახელიც არის აღნიშნული (რაც ასე იშვიათია), მაგრამ, სამწუხაროდ, მისი იდენტიფიკაცია ჭირს. რაზე იყო საუბარი და რა მიზნებს ისახავდა საქართველოს მიერ ორგანიზებული ელჩობა, ისტორიული წყაროებით არ ჩანს.

1421 წელს აზერბაიჯანში მომხდარ ომში შაჰრუხმა ყარა-იუსუფის შვილი — ისქანდერი დაამარცხა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებდნენ შაჰრუხის ზემოაღნიშნული მოკავშირეები, მათ შორის ალექსანდრე მეფეც, როგორც საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრების დამცველი: „შავბატკნიანთა წინააღმდეგ ხსენებული ქვეყნების შეკავშირებას შაჰრუხის ირგვლივ ამართლებდა შავბატკნიანთაგან მათი უკიდურესი შევიწროება და მათდამი შაჰრუხის შედარებით რბილი დამოკიდებულება, რითაც ის თემურ-ლენგისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა".[2] მართლაც, ერთგვარად შაჰრუხის პოლიტიკა თემურივით კავკასიის თავის სამფლობელოში უშუალოდ შეყვანას არ გულისხმობდა.[3] როგორც ჩანს, ყარა-იუსუფის დაღუპვისა და მისი მემკვიდრის დამარცხების ფაქტიდან გამომდინარე და გამარჯვებულ შაჰრუხთან დიპლომატიური მოლაპარაკებების საფუძველზე საქართველოს სამეფო ტახტი ცდილობს და ახერხებს შავბატკნიანთა ყოველგვარი გავლენისაგან გათავისუფლებას, რაც მნიშვნელოვანი წარმატება იყო.

ქართული დიპლომატიის დღის წესრიგში თემურის ძესთან, ჩაღათაელთა მბრძანებელთან — შაჰრუხთან ურთიერთობის საკითხი დადგა: იგი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე ცვალებად ხასიათს ატარებდა. 1420-1421 წწ-ში საქართველოს სამეფო კარი ყარა-ყოიუნლუს

---

[1] О. А. Эфендиев. "Всеобщая история" Хафиз-и Абру как источник по истории Закавказья первой четверти XV в., "Источниковедческие разыскания, 1979". Тб., 1984, გვ. 227.

[2] ბ. ლომინაძე. საქართველო XV საუკუნის პირველ ნახევარში. ღონისძიებები ქვეყნის აღდგენისათვის. ალექსანდრე I დიდი. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები". III, გვ. 721.

И. Петрушевский, გვ. 163.

წინააღმდეგ შაჰროჰს ემხრობა, ელჩობებსაც გზავნის, მაგრამ ამის შემდეგ აღარ ჩანს, რომ საქართველოს მეფე შაჰროჰის უზენაესობას სცნობდეს; ქართულ ისტორიოგრაფიაში — გამოთქმულია მოსაზრება, რომ საერთოდაც შაჰროჰის საწინააღმდეგოდ ხომ არ არის მოწყობილი 1423 წელს ალექსანდრე მეფის ლაშქრობა ყარაბაღში?[1] ჩვენი აზრით, შესაძლებელია, შაჰროჰის ზეგავლენის შესაჩერებლად, შექმნილ ახალ ვითარებაში, ქართულმა დიპლომატიამ ორიენტაცია ყარა-იუსუფის შვილზე — ისქანდერზე (1420-1437) აიღო.

ასეთი საერთაშორისო ვითარება ალექსანდრე I დიდმა ხელსაყრელად მიიჩნია და „ლორეს საკითხის“ მოგვარება განიზრახა.

XIV-XV სს-ში საქართველოს სამხრეთი საზღვარი ხშირად იცვლებოდა, რაც ერთიანი ქართული მონარქიის პოლიტიკური მდგომარეობის არასტაბილურობითა და მეზობელი ქვეყნების ხშირი შემოსევებითაა განპირობებული. მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობიდან XIV ს-ის შუა ხანებამდე, როგორც უკიდურესი ქართული სამხრეთი რაიონები, ასევე ისტორიული სომხეთის პროვინციები, საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში შემოდის და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ასეთი ვითარება თავად სომხური წყაროებითაც დასტურდება, რაც სხვა არაერთ არგუმენტთან ერთად, უარყოფს სომხურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ თვალსაზრისს XII ს-დან ქართული სახელმწიფოსადმი სომხური ისტორიული პროვინციების დაქვემდებარების ნომინალური ხასიათის შესახებ. XIV ს-ის I ნახევარში საქართველოს საზღვრებში აღარ შემოდის ბაგრევანდი, დვინი, ნახიჭევანი, მაგრამ ანისი, კარი და მისი მიმდებარე რეგიონები მის საზღვრებში რჩება. შემდგომ პერიოდში უკვე სომხური პროვინციების პირველი მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება. XIV ს-ის II ნახევარში გამწვავებული ბრძოლა მიმდინარეობს უშუალოდ ქართული სამხრეთი ისტორიული მიწებისათვისაც. 1373 წელს თურქმანებთან ბრძოლაში იღუპება ალასტანელ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი — გიორგი ალასტანელი, რასაც ლორეს დაკარგვა მოჰყვა; თემურ-ლენგის პირველი შემოსევების შედეგად ლორე-ტაშირი კვლავ ქართული სამეფოს საზღვრებს გარეთაა; ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარით, XIV ს-ის 90-იან წლებში საქართველოს დაუბრუნებია გარკვეული სამხრეთი მიწები, მათ შორის ლორეს მხარეშიც;[2] XIV-XV სს-თა მიჯნაზე თემურ-ლენგის შემოსევების გამო, საქართველოს სამხრეთ საზღვარზე ძველი ალბანური

---

სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები... ა. აბდალაძის გამოც. გვ. 147.

ქართული სამართლის ძეგლები, III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 177-178.

და სომხური ოლქები იკარგება, მაგრამ 1405 წელს თემურის გარდაცვალების შემდეგ, დროებით ვითარება იცვლება და გიორგი VII-ის მოღვაწეობის შედეგად, ამ პროვინციებზე საქართველოს სამეფო ტახტის გავლენა იზრდება, ხოლო ლორე-სომხითი კი მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

ვითარებას ყარა-იუსუფის შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფო ცვლის, – 1420 წელს ლორეს „ქვეყანა“ ყარა-ყოიუნლუს ხელისუფლის მფლობელობაშია.[1] ამ წელს ყარა-იუსუფის დაღუპვის შემდეგ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ალექსანდრე I დიდი დიპლომატიურ საქმიანობას აქტიურებს, ითვალისწინებს შავბატკნიანებში გართულებულ ვითარებას და 1420-1422 წწ-ში, სხვა მოვლენებთან ერთად, ლორეს იბრუნებს.[2] 1424 წელს სანაინში გადაწერილ ჰიშატაკარანში ალექსანდრე I ლორეს უზენაეს ხელისუფლად იხსენიება,[3] ~~ხოლო 1425 წელს დავით~~ „მეფის“ სიგელით, ამ რეგიონში ტახტს ჩამოცილებულ ე. წ. „პროვინციის მეფესაც“ აქვს მფლობელობა. გამოდის, რომ XV ს-ის 20-იან წლებში ლორე საქართველოს სახელმწიფო საზღვრებშია, რაც ალექსანდრე I დიდის სამეფო ტახტის უდავო წარმატებად უნდა მივიჩნიოთ[4]

ამდენად, XV ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში საქართველო შავბატკნიანთაგან დამოუკიდებელია; ჩაღათაელთა მბრძანებელ შაჰროჰთან დიპლომატიური კონტაქტების შედეგად, ქართული სამეფო ხელისუფლება ცდილობს მასთან დამოკიდებულების დარეგულირებას; როგორც ჩანს, ალექსანდრე I დიდი ამ ეტაპზე ჩაღათაელთა უზენაესობას არ ცნობს და ამის პარალელურად ორიენტაციას ყარა-იუსუფის ვაჟზე – ისქანდერთან ურთიერთობაზე იღებს.

რა დამოკიდებულება არსებობდა ალექსანდრე დიდსა და ისქანდერს შორის: არსებული წყაროებით, XV-ის 20-იანი წლების მეორე ნახევარში, კერძოდ, 1428 წელს კოღუცის მონასტერში გადაწერილი ჰიშატაკარანით ამ დროისათვის საქართველო ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოსა და მისი ხელისუფლის – ისქანდერის მოხარკე უნდა იყოს.[5]

საერთაშორისო ურთიერთობების შემდგომი პერიოდის განსახილველად კვლავ ლორეს საკითხს უნდა დავუბრუნდეთ. თითქოს ერთგვარ გაუგებრობას იწვევს, რომ XV ს-ის 20-იან წლებში საქართველოს

---

1 სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები– გვ. 143.

2 ა. აბდალაძე. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან. „მაცნე“, 1976, №3, გვ. 77-79.

სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები– 44-45.

თ. ჟორდანია. ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 228-229.

სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები– გვ. 145.

მფლობელობაში მყოფი ტერიტორიისათვის, 1431 წელს ალექსანდრე I დიდი კვლავ იბრძვის — მისი წყალობის წიგნით სვეტიცხოვლისადმი (1435 წ.) ალექსანდრე მეფემ „შეწევნითა ღმრთისათა ლორეს ციხე მიტაცებული აგარიანთაგან... და მისი შესავალნი ერთობილნი ჩუენ ვიშოენით და დავიჭირენით".[1] ბუნებრივია, დგება საკითხი: რატომ გახდა საჭირო XV ს-ის 20-იან წლებში დაბრუნებული ლორესათვის 1431 წელს ხელმეორედ ბრძოლა?!

ვახუშტის მიხედვით, 1430 წელს „მოვიდნენ სარკინოზნი და ანაზდის უცნობლობით აღიღეს ლორე და თჳთ დაიპყრეს".[2] ამავე დროს არსებობს 1430 წლის ჰიშატაკარანის ცნობა ყარა-იუსუფის მეორე ვაჟის, ისქანდერის ძმის — ჯაჰან-შაჰის მიერ ლორეს ციხის გარემოცვის შესახებ. ცნობილია, რომ ჯაჰან-შაჰი ხელისუფლებაში მოსვლამდე ჩაღათაელთა მბრძანებლის შაჰროჰის ბანაკშია; გამოთქმულია მოსაზრება, რომ 1430 წელს ლორეს ასაღებად, შაჰროჰის დავალებით თუ დასტურით, ჯაჰან-შაჰი მოდის. ამდენად, ამ წელს ეს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რეგიონი საქართველოს ეკუთვნოდა და იგი სამეფო ტახტის გავლენისაგან ჯაჰან-შაჰს ჩამოუცილებია. აქედან გამომდინარე, გასაგებია 1431 წელს ალექსანდრე მეფის კვლავ ლორესათვის ბრძოლა; ასევე სავსებით მოსალოდნელია შაჰროჰის მხრიდან საქართველოსადმი მტრული დამოკიდებულება და მის წინააღმდეგ აქტიური საომარი მოქმედება.

როგორც აღვნიშნეთ, XV ს-ის 20-იან წლებში გარკვეული დიპლომატიური კონტაქტებისა და ელჩობის შემდეგ, ალექსანდრე I დიდი შაჰროჰის უზენაესობას არ ცნობს და ორიენტაციას მის მოწინააღმდეგე შავბატკნიანთა ხელისუფალზე — ისქანდერზე იღებს. ა. აბდალაძის აზრით, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ყარაყოიუნლუს ფადიშაჰი ისქანდერი არც ერთხელ საქართველოს თავს არ დასხმია, მაშინ როდესაც სამჯერ დალაშქრა შაჰროჰის ხელისუფლების ქვეშ მყოფი შირვანი, ხოლო 1434 წელს კი დაღესტანი და სასტიკად დაარბია ისინი. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ შაჰროჰის წინააღმდეგ, გარკვეული დიპლომატიური კონტაქტების შემდეგ, ალექსანდრე მეფესა და ისქანდერს შორის შეთანხმება დადებულიყო;[3] ისქანდერისა და შაჰროჰ-ჯაჰან-შაჰს შორის მკვეთრი წინააღმდეგობის არსებობის პირობებში, ალექსანდრე I-ის სამეფო ტახტის ასეთი ნაბიჯი ჩაღათაელებთან დაუფარავ დაპირისპირებას ნიშნავდა.

---

1 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. II, თბ., 1966, გვ. 123.

2 ვახუშტი. გვ. 280

3 სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები., ა. აბდალაძის გამოც., გვ. 147-148.

1429 წელს ქ. სალმასტთან შაჰროხსა და ისქანდერს შორის გამართული ბრძოლა ჩაღათაელთა მბრძანებლის გამარჯვებით დამთავრდა; დამარცხებული ფადიშაჰი ისკანდერი გაიქცა, ხოლო შაჰროჰი გამოსაზამთრებლად ყარაბაღის ველზე დაბანაკდა. მან შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფო ტახტზე ისქანდერის ძმა — აბუ-საიდი აიყვანა, რომელმაც შაჰროჰი მის სიუზერენად ცნო. სწორედ ამ პერიოდში, შაჰროჰის ნებართვით, 1430 წელს ჩაღათაელთა მოკავშირე და ქვეშევრდომი, შავბატკნიანთა მომავალი მბრძანებელი ჯაჰან-შაჰი (1435-1467) ლაშქრობს ლორეში, რომელიც ამ დროს ისქანდერის მოკავშირის — ალექსანდრე მეფის მფლობელობაში იყო. მოვლენათა ასეთ განვითარებას საქართველოსათვის აღნიშნული რეგიონის დაკარგვა მოჰყვა, მაგრამ 1430 წელსავე ვითარება შეიცვალა — ისქანდერი შეებრძოლა აბუ-საიდს და გაიმარჯვა, ხოლო 1431 წელს კვლავ ყარა-ყოიუნლუს მბრძანებელი გახდა.[1] ამდენად, წარმატება ალექსანდრე მეფის მოკავშირის მხარეზე დარჩა, რითაც ისარგებლა საქართველოს ხელისუფლებამ და თავისი ძალისხმევა კვლავ ლორეს გასათავისუფლებლად წარმართა. 1431 წელსვე „შემოიკრიბნა მეფემან (ალექსანდრე I, დ. ნ.) სპანი და მოვიდა ამბერდს, განაგნა მუნებურნი და დაიმორჩილა თჳსად... მოადგა მეფე ლორეს, აღიღო იგი და მოსრნა სარკინოზნი და დაიპყრა თჳსად ლორე. კუალად მოხარკე-ჰყვნა რანი, მოვაკანი და შარვანი; მოვლო სამეფო თჳსი და მოვიდა კუალად ტფილისს".[2]

მიუხედავად ასეთი წარმატებისა, იგი მაინც პრობლემის ცალმხრივი მოგვარება იყო — თემურის ჩამომავლის, ჩაღათაელთა მბრძანებლის — შაჰროჰის საქართველოს ხელისუფლებისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება, მისი შემოსევების საშიშროება დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის, მითუმეტეს, ალექსანდრე I დიდის ყარა-ყოიუნლუს ფადიშაჰთან — ისქანდერთან მოკავშირეობის პირობებში. ამავე დროს, ქართველ პოლიტიკოსთა სავალალოდ შავბატკნიანებიდან სწორედ მათმა მოკავშირემ — ისქანდერმა სამეფო ტახტზე მკვიდრად ფეხის მოკიდება ვერ შეძლო, რაც საქართველოს სამეფოში ქართველ დიპლომატებს მხედველობიდან არ უნდა გამორჩენოდათ. 1435 წელს მოხდა ჩაღათაელთა და ისქანდერის შავბატკნიანების ბრძოლა — ჩნდება ვარაუდი, ასეთი მწვავე დაპირისპირებითა და მტრის მოუცლელობით ხომ არ ისარგებლა ალექსანდრე I დიდმა და სწორედ ამ პერიოდში (ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნავენ დაახლ. 1434-1435 წწ.) სიუნიქი (ახლ. ყარაბაღი და მეზობელი თემები) საქართველოს შემოუერთდა.

---

1 И. Петрушевский, Государства Азербайджана в XV в., გვ. 164.
2 ვახუშტი, გვ. 280.

1435 წელს თემურის ჩამომავალთა და შირვანის გაერთიანებულ ლაშქართან ბრძოლაში ყარა-ყოიუნლუს ხელმოცარული ფადიშაჰი ისქანდერი დამარცხდა და მცირე აზიაში გაიქცა. საქართველოს სამეფო ტახტი იძულებულია, შესაბამისი ნაბიჯები გადადგას — ერთადერთი გზა შაჰროჰთან და ჩაღათაელებთან დარეგულირებული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ცდა და პარალელურად, მის საპირისპიროდ ძლიერი მოკავშირის ძებნა (როგორც დავინახავთ, ასეთი მოკავშირე გამოჩნდა კიდეც). ამ კუთხით, ვახუშტისთან დაცულია ძალზე საინტერესო და მეტად საჭირო ინფორმაცია: „... გამოჩნდა კაცი შარუხ (შაჰროჰი, დ. ნ.) და ამან დაიპყრა რომელნიმე სპარსეთისანი. მოვიდა და დაიპყრა ადრიბეჟანიცა და შემოვიდა სომხითს"; საქართველოს სამეფო ტახტს გადაწყვეტილება უნდა მიეღო, რის გამოც მეფის კარზე ბჭობა გაიმართა: „მაშინ ამისთჳს განიზრახა მეფემან ალექსანდრე შემოკრებულთა დიდებულთა თჳსთა თანა, რაჲ ჰყონ: ბრძოლა ანუ ზავი".[1] როგორც ვხედავთ, ქართველ ხელისუფალთა წინაშე დასმულა დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი საკითხი — „რაჲ ჰყონ: ბრძოლა ანუ ზავი". საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებმა „დაამტკიცეს პირველი ზავი და უკეთუ არა ინებოს (შაჰროჰმა, დ. ნ.), მერმე ვბრძოთ შეწევნითა ღუთისათა. ამისთჳს აღიღო მეფემან (ალექსანდრე I, დ. ნ.) ძღუენი დიდი და ძე თჳსი დიმიტრი წარავლინა ქ̃სა ჩ̃ულე, ქართულსა რ̃კგ (1435 წ.) და მოითხოვა მშჳდობა. ხოლო შარუხ სიხარულით შეიწყნარა და პატივ-სცა ძისაებრ დიმიტრის. შემდგომად ანიჭნა ნიჭნი დიდ-დიდნი და წარმოუვლინა მამასვე მშჳდობით ზავისა მყოფელმან და თჳთ შარუხ უკუნ-იქცა და წარვიდა".[2]

პირველ რიგში, ქართველი ელჩის ვინაობის შესახებ: დიმიტრი ბატონიშვილი ალექსანდრე I დიდის მეორე ვაჟი და აქტიური პოლიტიკური მოღვაწეა გარკვეულ პერიოდში — „წყალს იქითის", ანუ ქართლის გაღმა მხარის (სათარხნო, საჯავახიანო, საციციანო), „პროვინციის მეფე"[3] და არაერთი ისტორიული დოკუმენტის გამომცემელ-მამტკიცებელია; ცაიშის ტაძრის საწინამძღვრე ჯვრის წარწერითა და სიგელით ცაიშელ მთავარეპისკოპოსისა ლაბსყელდაშისადმი ირკვევა, რომ მას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა სამეგრელო-სვანეთის რეგიონში. ვახუშტის ცნობით, ნათელი ხდება, რომ იგი ისეთივე აქტიური პოლიტიკური ფიგურაა საერთაშორისო-დიპლომატიურ სარბიელზე, როგორიც ქვეყ-

---

1 ვახუშტი, გვ. 280-281.

2 იქვე. გვ. 281.

3 „პროვინციის მეფეთა" ინსტიტუტზე იხ. დ. ნინიძე, „პროვინციის მეფეები" XIV-XV სს. საქართველოში, თბ., 1995.

ნის შინაპოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის საქმეში. ხაზგასასმელია, რომ დიმიტრი ბატონიშვილს ჩვეულებრივი დიპლომატიური დავალება არ ეძლევა, XV ს-ის 30-იანი წლების საერთაშორისო ვითარების განხილვამ გვიჩვენა ამ მისიის განსაკუთრებული დატვირთვა და შაჰროჰთან მოწესრიგებული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების არსებობის საჭიროება.

ყურადღებას იქცევს ის მომენტიც, რომ ელჩობა 1435 წ. ეწყობა — მეფე ალექსანდრეს მოკავშირის ისქანდერის დამარცხებისა და შაჰროჰ-ჯაჰან-შაჰის ბანაკის გამარჯვების წელს; ძირითადად სწორედ ამას უნდა განეპირობებინა აღნიშნული ელჩობა და ზავის თხოვნა. ვახუშტის ცნობით, უდავოა, რომ ზავის ინიციატივა საქართველოს სამეფოდან მოდის.

1436 წლის გაზაფხულზე შაჰროჰმა სამხრეთ აზერბაიჯანის გამგებლად გაქცეული ისქანდერის ძმა — ჯაჰან-შაჰი დანიშნა, რომელიც შაჰროჰის სიუზერენობას აღიარებს; ამდენად, შავბატკნიანთა ხელისუფლებაში ალექსანდრე მეფის მოკავშირის ადგილზე მისი მოწინააღმდეგე მოვიდა — მათ ლორესათვის ადრეც ჰქონდათ შეტაკება-უთანხმოება; ამავე დროს, ალექსანდრე დიდს, როგორც ჯაჰან-შაჰის მოქიშპე ძმის — ისქანდერის მოკავშირეს, მასთან ისედაც ცუდი ურთიერთობა ექნებოდა. ამავე პერიოდში, ჯაჰან-შაჰმა სიუნიქი დაარბია და ხელთ იგდო, ხოლო იქიდან ლტოლვილი მთავარი — ბეშქენ ორბელიანი ალექსანდრე მეფეს გამოიქცა, რომელსაც მეფემ ლორე უწყალობა.

1437 წელს ჯაჰან-შაჰმა ტახტზე პოზიციები საბოლოოდ განიმტკიცა: თომა მეწოფეცის სიტყვებით, ღმერთმა „სქანდარის (ფადიშაჰი ისქანდერი, დ. ნ.) მახვილს წაართვა ძლიერება და მისივე ლაშქრის, საყვარელი ძმებისა და მოგვარეების თვალში სასაცილოდ გახადა", ხოლო ჯაჰან-შაჰი „შაჰროჰმა მისი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის განმგებლად დანიშნა"; ისქანდერი დამარცხდა და „მცირეოდენი მეომრებით გადარჩენილმა, მან ძლივს იხსნა თავი ძმისაგან, ფარულად წავიდა ერინჯაკის (ალინჯის ციხე, დ. ნ.) ციხეში... ხოლო მისმა ძმამ ალყაში მოაქცია იგი", ისქანდერი გამოსავალს ეძებს, ამიტომაც „მან მისრეთის (ეგვიპტის, დ. ნ.) სულთანთან საიდუმლოდ ელჩი გაგზავნა, რათა მის დასახმარებლად დიდი ჯარი გამოეგზავნა. მან (ეგვიპტის სულთანმა, დ. ნ.) დიდძალი ლაშქარი, სამოც ათასზე მეტი მეომარი გამოგზავნა, მაგრამ როდესაც მათ ეკელიაცის გავარს მიაღწიეს, შეიტყვეს, რომ იგი (სქანდარი) ერინჯაკის ციხეში მოკლესო".[1]

---

[1] თომა მეწოფეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა. კ. კუციას გამოც., გვ. 69.

ამდენად, იკვრება სამკუთხედი: ეგვიპტე-საქართველო-ისქანდერის შავბატკნიანები; სამივეს ერთიანი ინტერესები და საერთო მტერი ჰყავდათ. სწორედ ამ პერიოდში დასტურდება საქართველო-ეგვიპტის ინტენსიური დიპლომატიური ურთიერთობები;) ყარა-ყოიუნლუს ფადიშაჰი ისქანდერი, ალექსანდრე I დიდის მოკავშირე და შაჰროჰ-ჯაჰან-შაჰს დაპირისპირებული ბანაკის მეთაური, ადრევე დაამყარებდა ეგვიპტესთან დიპლომატიურ კავშირს — მისრეთის სულთანს ხომ თავის მხრივ შაჰროჰისაგან საკმაოდ დიდი საშიშროება ემუქრებოდა. ამიტომაც, 1437 წელს, როცა ისქანდერს გაუჭირდა, სწორედ მას სთხოვა დახმარება და ეს არჩევანი შემთხვევითი არ არის. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ეგვიპტე თხოვნას დადებითად შეხვდა და დასახმარებლად შესაბამისი ზომებიც მიიღო, მაგრამ უკვე გვიან იყო.

რაც შეეხება საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობებს:

„წმინდა ადგილების" საკითხისა და ამ იდეაში რეალურად არსებულ მთავარ პოლიტიკურ პრობლემათა მოსაგვარებლად წარმოებულ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს მხოლოდ საქართველოს სამეფო ტახტი არ აწარმოებდა. ყველა ქრისტიანი თავის მოვალეობად თვლიდა, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გარკვეული წვლილი შეეტანა ამ საკითხების მოგვარების საქმეში. ბუნებრივია, განსაკუთრებით ქართველი დიდებულები, მთავრები თუ თავადები აქტიურობდნენ, მაგ., სამცხის მთავარი ივანე ათაბაგი (~~1391-1444~~). თუმცა, ბუნებრივია, სხვადასხვა სახელმწიფოთა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს ისინი საქართველოს სამეფო ტახტისა და მისი დახმარების გარეშე ვერ განახორციელებდნენ.

1439 წ. ერთი სომხური ანდერძმინაწერით ირკვევა, რომ ეგვიპტელი ვაჰრის ლაიბის მეშვეობით ივანე სამცხის ათაბაგი ეგვიპტის სულთანთან მოლაპარაკებას აწარმოებს ქართველებისათვის გოლგოთას გადმოცემის თაობაზე: გოლგოთას დაბრუნების შემთხვევაში „ივანემ (ივანე ათაბაგი, დ. ნ.) და სხვა მისმა თანამოაზრე მთავრებმა... სულტანს აღუთქვეს ბევრი, უთვალავი საქონელი, აგრეთვე მათ ხელისუფლებაში მყოფ თურქთა განთავისუფლება სამეფო ხარკისაგან, დანგრეული და აოხრებული მიზგითების აშენება, თურქი ტყვეების განთავისუფლება, მორჩილება და სიყვარული სულტნისადმი".[1] როგორც ირკვევა, ივანე ათაბაგსა და ქართველ მთავრებს დიპლომატიური მოლაპარაკებანი ჰქონიათ ეგვიპტის სულთანთან, რის შედეგადაც გარკვეულ პირობებზე შეთანხმება მიიღწა.

ამდენად, „წმინდა ადგილების" საბაბით მყარდება საერთაშორისო კონტაქტები, ამ იდეით რეალურად არაერთი სხვა პოლიტიკურ-დიპლომატიური საკითხის მოგვარებაც ხერხდება. დასტურდება, რომ XV ს-ის

[1] სომხურ ხელნაწერთა XIV-XV სს. ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 57.

I ნახევარში ქართველებს კვლავ საკმაო გავლენა აქვთ იერუსალიმსა და ეგვიპტეში: სომეხი ეპისკოპოსი მარტიროსი იბრძვის გოლგოთას ქართველებისათვის ჩამოსართმევად და სომხებისათვის გადასაცემად, რამდენჯერმე ჩადის ეგვიპტეში და სულთანის მოხელეების მოქრთამვის მიზნით დიდძალ ფულსაც ხარჯავს, თუმცა მაინც ვერაფერს აღწევს. ეგვიპტის სულთნის კარზე ბოლოს მისთვის ურჩევიათ, რომ სომხები გოლგოთას საბოლოოდ გამოთხოვებოდნენ და ქართველების ცილობისათვის თავი დაენებებინათ; მთავარ არგუმენტად ის არის მოყვანილი, რომ მათ თავიანთი მეფე უმაგრებს ზურგს, რომელიც თავის მხრივ „მისრელთ" შეპპირებიია საქართველოს სამეფოში მუსლიმთა უფლებების გარანტირებულ დაცვას — ეგვიპტელ მოხელეებს მარტიროსისათვის უთქვამთ: „შენ ერთი კაცი ხარ, თავიც რომ გაწირო, ვერ მიაღწევ საწადელს, რამეთუ ისინი, ქართველი ბერები, მათი მეფეების დახმარებით რასაც ისურვებენ, აკეთებენ. აღუთქვეს სულტანს, რომ ყოველ წელიწადს გარკვეული ოდენობის საქონელსა და მონებს მისცემდნენ მას; და რაც ტაჰიკთ ნაკლულევანება აქვთ, ისინი საქართველოდან აგზავნიან აქ".[1] როგორც ვხედავთ, ამ ცნობაში მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმების პირობებზეც არის საუბარი.

აშკარაა ეგვიპტის სულთნის კეთილგანწყობა საქართველოსა და მისი სამეფო კარისადმი, რაც გარკვეული პოლიტიკურ-დიპლომატიური მიზნებითაა განპირობებული. ამ დავაშიც, საბოლოოდ, გოლგოთა ქართველებს დარჩათ, ხოლო სომხებმა სხვა ცარიელი ადგილი აირჩიეს თავისი ეკლესიის ასაგებად. ეს 1439 წელს ხდება, ანუ ალექსანდრე I დიდის ხანაში. უნდა აღინიშნოს, რომ ივანე ათაბაგი ეგვიპტის სულთანთან ასეთ დონეზე წარმატებულ დიპლომატიურ ურთიერთობებს ალექსანდრე მეფის სამეფო კართან შეუთანხმებლად ნაკლებად შეძლებდა. საქართველოს მეფე რომ ეგვიპტის სულთანთან მოლაპარაკებებში მონაწილეობს, ეს თავად სომხური ცნობებიდანაც ჩანს: ქართველ ბერებს „კვლავ იმდენი საქონელი მოუციდათ ქართველთა მეფისაგან, რომ ისევ წაგვართვეს (სომხებს, დ. ნ.) გოლგოთა"[2] ან „ისინი, ქართველი ბერები, მათი მეფის დახმარებით რასაც ისურვებენ, აკეთებენ".[3] ეგვიპტესთან მოლაპარაკებებს ალექსანდრე I დიდის სამეფო კარი აწარმოებს და ის დიდი დახმარება „წმინდა მიწაზე" ქართველი ბერებისადმი, რაზეც ამ დოკუმენტებშია ლაპარაკი, სწორედ მისი ხელისუფლების გადაწყვეტილებით ხორციელდება.

---

1 სომხურ ხელნაწერთა XIV-XV სს. ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 58-59.
2 იქვე. გვ. 58.
3 იქვე. გვ. 58-59.

ეგვიპტის სულთნისათვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო კონტაქტებისას ვინ იდგა მოლაპარაკებების მეორე მხარეს — საქართველოს სამეფო ტახტი, თუ ერთ-ერთი მისი ვასალი — სამცხის მთავარი. „წმინდა ადგილების“ საკითხის საბაბით სახელმწიფოებს შორის ხდება უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხების მოწესრიგება და შეთანხმების მიღწევა ერთობლივი მოქმედებების შესახებ. ქართველები კვლავ ფლობენ გოლგოთას, მნიშვნელოვანი პრივილეგიები აქვთ იერუსალიმსა და საერთოდ, „წმინდა მიწაზე“, „რასაც ისურვებენ, აკეთებენ“, — აღნიშნულია ზემოთ დასახელებულ სომხურ ისტორიულ წყაროში; ყოველივე კი შესაძლებელი გახდა სწორედ ამ სახელმწიფოებს — საქართველო-ეგვიპტეს — შორის არსებული მოგვარებული დიპლომატიური ურთიერთობების შედეგად. საერთო მტრის საშიშროების პირობებში ეგვიპტისათვისაც მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთან მჭიდრო კავშირის არსებობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეგვიპტელი ვაჭრის — [illegible]აბის XV ს-ის 20-იან წლებში სამცხეში მოსვლა ეგვიპტის სულთნის ინიციატივით უნდა ხდებოდეს.[1] ა. აბდალაძე ასახელებს ერთ არაბულ საბუთს, სადაც ნათქვამია, რომ იერუსალიმის ერთ-ერთი წმინდა სალოცავის — წმ. იაკობის მონასტრის გარდა სულთნის კარზე ქართველთა მეფის ელჩს „რაღაც სამეფო საქმეების“ შესახებაც ჰქონიათ საუბარი.[2]

ამ „რაღაც სამეფო საქმეების“ შესახებ ინფორმაციას უნდა გვაწვდიდეს 1440 წელს სულთან ჯაკმაკის (1438-1453) წერილი ქართველთა მეფისადმი, რომელიც ბ. აბუ-მანეს მიერ იქნა მიკვლეული.[3] პირველ რიგში, აღსანიშნავია, თუნდაც შედარების თვალსაზრისით, ეგვიპტის სულთანთა მიმართვის წესი საქართველოს მეფისადმი XV ს-ში (შეიძლება შევადაროთ გიორგი ბრწყინვალისადმი მიმართვის ფორმას): „ალლაჰიმც ხანგრძლივყოფს მისი მეფური უდიდებულესობის, მოწყალის, მამაცის, გულადის, წმინდანის, სულიერის, ჩვენი ღირსეული მამის, ქრისტიანთა თემის (უმმა) ბურჯის, ჯვრის კრებულის განძის, ქრისტიანული რელიგიის სიამაყის, ქართველთა და ჯურჯანთა მეფის, მეფეთა და სულტანთა მეგობრის სიცოცხლეს, ალლაჰიმც დაიცავს მის ნეტარებას, აშორებს მას უბედურებებს, დაიცავს მის სამეფოს მისივე ხელით და შეინარჩუნებს მის მეგობრობას“.[4]

---

1 სომხურ ხელნაწერთა XIV-XV სს. ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 158.
2 იქვე, გვ. 160.
3 გ. ჯაფარიძე. დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის XIV-XVI ს-ის დასაწყისში იერუსალიმში აღმოჩენილი არაბული დოკუმენტების მიხედვით. „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული. I. თბ., 1994, გვ. 208, 212-216.
იქვე, გვ. 212-213.

სულთან ჯაკმაკის წერილი 1440 წლით თარიღდება, ამდენად, იგი საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდისადმი (1412-1442) არის გამოგზავნილი. ამ საინტერესო დიპლომატიური ხასიათის დოკუმენტით დასტურდება ინტენსიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის, სადაც მართლაც „სამეფო საქმეები" განირჩევა; ამავე დროს, როგორც ჩანს, ეს ურთიერთობები საკმაოდ მოწესრიგებულ, კეთილგანწყობილ და დარეგულირებულ ხასიათს ატარებს: „ეს წერილი გაეგზავნა მის უდიდებულესობას იმისათვის, რათა გამოვხატოთ მადლობა მისი მეგობრობის გამო და შევასრულოთ მისი სურვილი და თხოვნა ჩვენი სამეფო უმაღლესობისადმი", — აღნიშნულია სულთანის წერილში; ჩანს დიპლომატიურ ურთიერთობათა ინტენსივობაც: სულთან ჯაკმაკს წერილი გაუგზავნია ალექსანდრე მეფისადმი, რომელიც საქართველოს სამეფო კარზე მოიტანა „სულტნის ერთ-ერთმა მამლუქმა ნაჯმ ად-დინ აზზაჰირიმ". ალექსანდრე მეფეს წერილითვე უპასუხია — „ის იქნა გამოგზავნილი პასუხად ჩვენს (სულთნის, დ. ნ.) მიერ ადრე გაგზავნილ წერილზე": სულთანი ჯაკმაკი ჩვენამდე მოღწეულ ამ მეორე წერილს აგზავნის, რომელიც „აცნობებს მას აგრეთვე რომ მისი (ალექსანდრე მეფის, დ. ნ.) ეპისტოლე მოვიდა ჩვენს (სულთნის, დ. ნ.) მაღალ კარზე. ის გადმოგვცა მისი მოციქულების ხელით, რომლებიც უკან ბრუნდებიან ჩვენი პასუხით."[1] სამწუხაროდ, საქართველოს მეფის მოციქულების ვინაობა ისტორიულმა წყაროებმა არ შემოგვინახეს.

ალექსანდრე I დიდის წერილში გამოხატული ყოფილა „თავისი (მეფის, დ. ნ.) დიდი ერთგულება ჩვენი (სულთნის, დ. ნ.) მაღალი კარისადმი" და, რაც მთავარია, ის, რომ მეფე ადასტურებს მის ქრისტიანულ ქვეყანაში მუსლიმებისადმი ზრუნვასა და პატივისცემას. ამის შემდეგ, სულთან ჯაკმაკის წერილში დაფიქსირებულია ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული ის პირობები, რომლებიც მათი მოლაპარაკებაშეთანხმებების შედეგადაა ჩამოყალიბებული, კერძოდ, ეგვიპტისათვის:

„ მუსლიმებს მის (ქართველთა, დ. ნ.) ქვეყანაში ჩვენდამი პატივისცემისა და თავად მისი ზრუნვის გამო, კარგად ეპყრობიან და ნებას აძლევენ, უშიშრად იცხოვრონ. მან (საქართველოს მეფემ, დ. ნ.) გვაცნობა აგრეთვე, რომ მუსლიმები სარგებლობენ თავისუფლებით თავიანთ მეჩეთებსა და ზავიებში, რომ მის ქვეყანაში მოგზაურები გამუდმებით მიდი-მოდიან საუკეთესო პირობებში რაიმე ზიანის მიყენების გარეშე და რომ მათზე დაწესებულია მხოლოდ ჩვეულებრივი გადასახადი".[2]

[1] ვ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 213.

[2] იქვე. გვ. 213.

საქართველოსათვის მამლუქთაგან მეფე ითხოვს: „იზრუნოს მამლუქთა მუსლიმურ ქვეყნებში ქრისტიანების, ქართველებისა და მათი ბერების მიმართ, გამოსცეს ბრძანებები, რათა ნება დართოს ამირა თამრის მიერ დამასკოში დანგრეული მარიამის ეკლესიის მესვეურებს, აღადგინონ ეკლესია ისე, როგორც ადრე იყო. ჩვენ (სულთანი ჯაკმაკი, დ. ნ.) შევისწავლეთ ეს თხოვნები და მივიღეთ მხედველობაში. ჩვენ მივეცით მითითებები, რათა კარგად მოპყრობოდნენ მის მოციქულებს ჩვენს მაღალ კარზე მათი ყოფნის დროს. რაც შეეხება ქრისტიანებს, ქართველებსა და ბერებს, მათ კარგად ექცევიან და ისინი ცხოვრობენ უშიშრად, როგორც ეს შეეფერება ჩვენს კეთილშობილურ სამართალს. ამავე დროს ისინი კვლავ სარგებლობენ ჩვენს მიერ მათთვის ნაბოძები ჩვეულებრივი ჯილდოებით და აგრეთვე ამუშავებენ მიწებს"...[1]

როგორც ვხედავთ, ურთიერთსასარგებლო პირობებია; უდავოა, რომ კეთილგანწყობილება მათი საკუთარი ინტერესებით არის ნაკარნახევი: მამლუქთა კარგი დამოკიდებულება ქრისტიანებისადმი იმითაა განპირობებული, რომ შესაბამისად მაჰმადიანები საქართველოში და ქრისტიანულ სამყაროში უშიშრად გრძნობდნენ თავს. აქედან გამომდინარეა ქართველთა ტოლერანტობაც მუსლიმთა მიმართ.

ამ კეთილგანწყობას და დარეგულირებულ დიპლომატიურ ურთიერთობებს თითქოს არღვევს ერთი ინციდენტი, რომელიც მამლუქთა ვაჭარს შეემთხვა საქართველოში (ლაპარაკია მისთვის ათასი დინარის წართმევის შესახებ). როგორც ეგვიპტის სულთანი აღნიშნავს, მათ შორის ურთიერთობებიდან გამომდინარე, იგი „უაღრესად გაოცებული" დარჩა მუსლიმთა ქვეშევრდომის მიმართ ასეთი ქცევით; თან ხაზგასმით ამბობს, რომ ამის საპირისპიროდ „მის ქრისტიან ქვეშევრდომებს და მათი ეკლესიების სამღვდელოებას ჩვენთან ეპყრობიან კეთილგანწყობითა და სამართლიანად ჩვენი კეთილშობილური წყალობების გამო".[2] ჯაკმაკი სთხოვს მუსლიმი ვაჭრებისათვის შეწერილი ბაჟის უკან დაბრუნებას და მათ გადახდას. იერუსალიმის ქართველ ბერებს ავალდებულებს — თუ საქართველოს მეფე ამას შეასრულებდა, მაშინ „წმინდა ადგილებში" მოღვაწე ქართული თემიც გათავისუფლდებოდა დაკისრებული ვალდებულებებისაგან: მაშინ ჩვენ შევინარჩუნებთ ჩვენს ჩვეულ ყურადღებას მისი უდიდებულესობისადმი და გავზრდით ჩვენს სამართლიან და კეთილმოსურნე მოპყრობას ქრისტიანებისა და ბერებისადმი ჩვენს ქვეყანაში";[3] შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯაკმაკი იმუქრება,

---

[1] გ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 215.
[2] იქვე.
[3] იქვე.

„რათა გამოყენებულ იქნას მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის მახვილი მუსლიმთა ქვეყნებში ქრისტიანებზე და ქართველებზე შურის საძიებლად — იმის შესაბამისად, რასაც ისინი იმსახურებენ".[1]

ამ დოკუმენტში დაფიქსირებულია ერთი საინტერესო დიპლომატიური მექანიზმი: თუ მოლაპარაკებების ერთ-ერთი მხარე უარს ამბობს მეორის მიერ მისდამი წაყენებულ ბრალდებებზე და უნდა მათი მოხსნა, მაშინ მან (ამ შემთხვევაში ალექსანდრე I დიდი) „შეჰყაროს თავის სასახლეში სამღვდელოება და ბერები და დაიფიცოს მათი თანდასწრებით მისი რელიგიისა და რწმენის შესაბამისი ყველაზე უფრო საზეიმო ფიცით, რომ ის, რაც ვაჭარმა განაცხადა, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ არის მართალი. ამ ფიცის ასლი, მღვდლებისა და ბერების ხელმოწერით, უნდა გამოიგზავნოს ჩვენს მაღალ კარზე, ისე რომ ჩვენი გონება დამშვიდდება"...[2]

ჯაკმაკის წერილის ბოლოს ჩამოთვლილია ეგვიპტის მხრიდან ის პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაში საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობები საბოლოოდ დარეგულირდებოდა (რაც ასეც მოხდა); საქართველოს ხელისუფლებამ „უნდა განახორციელოს მართლმსაჯულება მუსლიმ ქვეშევრდომთა შორის და გააიოლოს სავალი გზები მოგზაურებისა და ვაჭრებისათვის. მან უნდა დააკისროს მათ მხოლოდ ჩვეულებრივი გადასახადები. ამგვარად იქნება შენარჩუნებული ჩვენი კეთილგანწყობა და მეგობრობა მის მიმართ და ჩვენ კარგად მოვეპყრობით მის ქვეშევრდომებს მუსლიმთა ქვეყნებში".[3]

ამ პერიოდის საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიურ ურთიერთობებს საერთაშორისო ასპარეზზე არსებული ვითარება კვებავდა: XV ს-ის 20-30-იან წლებში აზიაში ეგვიპტეს საფრთხეს ჩაღათაელთა მბრძანებელი — შაჰროჰი და აყ-ყოიუნლუს ჯაჰან-შაჰის თურქმანები უქმნიან; მათ წინააღმდეგ ეგვიპტისათვის საქართველოს მამლუქებთან კავშირს საკმაო დატვირთვა და მომგებიანი მნიშვნელობა ჰქონდა. არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლებელია, ეგვიპტის სულთანი ქართველთაგან ამ სახელმწიფოების შესახებ სათანადო ინფორმაციის მიწოდებითაც იყო დაინტერესებული და მოსალოდნელია, ღებულობდა კიდეც ქართველი დიპლომატებისაგან.[4] შესაბამისად, საქართველოსაც ეგვიპტესთან მოკავშირეობა ჰაერივით სჭირდებოდა.

---

1 გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, 216.
2 იქვე.
3 იქვე.
4 სომხურ ხელნაწერთა XIV-XV სს. ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 58-59.

ამავე დროს, ქართული დიპლომატიის სასახელოდ უნდა ითქვას, მას მოუქნელობა და სწორხაზოვნება არ ახასიათებს. როგორც ზემოთაც ითქვა, საქართველოს სამეფო ცდილობს შაჰროჰთან დიპლომატიური ურთიერთობების წარმოებას, ჩაღათაელებთან ძირითადად ადგილი აქვს დაპირისპირებას, მაგრამ გარკვეულ პერიოდებში ხერხდება ურთიერთდამოკიდებულების დარეგულირება; საქართველოს სამეფო კარი სხვადასხვა მხარესთან ცდილობს საერთაშორისო კონტაქტების დამყარებას და ამ ძლიერ არაქრისტიანულ სახელმწიფოთა გარემოცვაში გარკვეული შედეგების მიღწევას. სულთან ჯაკმაკის 1440 წლის წერილში საქართველოს მეფისადმი დაფიქსირებულია ამ მხრივ საინტერესო ფაქტი: „ამჟამად მის ქვეყანაში (საქართველო, დ. ნ.) ჩავიდა 4 ათასზე მეტი მუსლიმი ოჯახი ჩრდილოეთ ირანიდან და ერაყიდან, მისი სამეფო უმაღლესობის შაჰ-რუხის (შაჰრუჰი, დ. ნ.) მიმდევართაგან, რომლებიც მისმა უდიდებულესობამ (ალექსანდრე I დიდი, დ .ნ.) დიდსულოვნად მიიღო, თავის ქვეყანაში დასახლების ნება მისცა და გულისყურით მოეპყრა მათ"[1]

როგორც ვხედავთ, ამ წლისათვის ალექსანდრე მეფესა და შაჰროჰს შორის ურთიერთობა გარკვეულად მაინც მოწესრიგებული ჩანს. ამდენად, ქართული დიპლომატიის წინაშე არსებული სხვადასხვა შესაძლებელი ორიენტირების პირობებში, საქართველოს ხელისუფლება ყველა მიმართულებით ცდილობს მუშაობის წარმართვას: საქართველო — შავბატკნიანები (მათ სხვადასხვა დაჯგუფებასთან), საქართველო — თემურიანები, საქართველო — ეგვიპტე. ალექსანდრე დიდი ყველა ამ მხარესთან აწარმოებს დიპლომატიურ საქმიანობას და გარკვეულ პერიოდებში მოწესრიგებული კონტაქტების ჩამოყალიბებასაც აღწევს; მაგრამ არსებობდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ორიენტირი — მეზობლად მდებარე ქრისტიანული სახელმწიფოები: ტრაპიზონი და ბიზანტია ან უფრო შორეულ ქრისტიანულ დასავლეთ ევროპაზე ორიენტაცია.

ტრაპიზონისა და ბიზანტიის იმპერიებს უმძიმესი ვითარება ჰქონდათ, რადგან თავად იყვნენ მუსლიმთაგან შევიწროებულნი; ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებიდან რეალური დახმარების მიღება ნაკლებად იყო მოსალოდნელი და როცა მაგ., ერთ-ერთი შემოსევისას ქ. ტრაპიზონში ხანძარი გაჩნდა, პანიკაში მყოფმა მოსახლეობამ საქართველოს მიაშურა.[2]

ტრაპიზონის სახელმწიფოს ხელისუფალნი თითქოს ყველაფერს აკეთებენ, რათა თავი დაიხსნან თურქ-ოსმალთა შემოსევებისაგან, აქეთ

[1] გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 213-214.
[2] Jansses E. Trebizonde en Colchide. Bruxelles, 1969. გვ. 133.

დიპლომატიური ურთიერთობები დასავლეთ ევროპასთან, რასაც საბოლოოდ სასურველი შედეგები ვერ მოჰყვა. ასეთ მძიმე ვითარებაში ტრაპიზონის იმპერატორ ალექსი IV-ის წინააღმდეგ მისი ძე — იოანე (შემდეგ იმპერატორი იოანე IV) გამოვიდა; დაპირისპირების შემდეგ იოანე კომნენოსი იძულებული გახდა, საქართველოში გაქცეულიყო. ლაონიკე ხალკოკონდილეს ცნობით, „ხოლო მეფე იოანე, იბერიაში რომ წავიდა, ცოლად ჰყავდა ალექსანდრე მეფის ასული".[1] „იბერიის მეფე" ალექსანდრეში იგულისხმება ალექსანდრე I დიდი, ანუ იკვეთება ტრაპიზონის საიმპერატორო კარის უმაღლესი წარმომადგენლების საქართველოს სამეფო ტახტთან ურთიერთობის საინტერესო ფაქტი. იოანე IV-ის ხანის ტრაპიზონს დიპლომატიური მოლაპარაკებები ჰქონდა გენუასთან, რასაც ძირითადად ტრაპიზონის ელჩი — გიორგი ამირუცისი[2] წარმართავდა. იგი გენუაში 1449 წლის აპრილის შუა რიცხვებში ჩავიდა; მოლაპარაკების დასაწყისშივე მან გენუელებს იოანე IV-ის სახელით შესთავაზა მოსალოდნელი შეთანხმების დინასტიური ქორწინებით განმტკიცება, ანუ დოჟის ერთ-ერთი ასულის იოანეს ვაჟზე და ტრაპიზონის იმპერიის ტახტის მემკვიდრეზე დაქორწინება. გიორგი ამირუცისს მათთვის უცნობებია, რომ იმპერატორ იოანე IV-ის ვაჟი დედის მხრიდან ითვლებოდა „იბერიის იმპერიის" ერთადერთ მემკვიდრედ — "aspecta da parte de soa madre una heredita grande de impero Liberio".[3] უდავოა, აქ ლაპარაკია ხალკოკონდილესთან დაცულ ინფორმაციაზე, რომ იოანე IV-ს ცოლად ჰყავდა ალექსანდრე I დიდის ასული; ასევე საინტერესოა დიპლომატის — გიორგი ამირუცისის მიერ საქართველოს „იბერიის იმპერიად" მოხსენიება.

როგორც აღვნიშნეთ, მამასთან დაპირისპირების შემდეგ იოანე კომნენოსი საქართველოში გაიქცა; ჩანს, რომ მან თავისი ცოლის სამშობლოს შეაფარა თავი. საქართველოში მყოფი ალექსანდრე მეფის სიძე ტრაპიზონთან კავშირს არ წყვეტს, მისი ჩანაფიქრის მთავარი საკითხად კვლავ მამის — ალექსი IV-ის ტახტიდან ჩამოგდება რჩება, მითუმეტეს, როცა სამშობლოში მას თავის მომხრეთა საკმაოდ დიდი ჯგუფი ჰყავდა. ამ ამბებში არ შეიძლება, რომ სიმამრის — ალექსანდრეს სამეფო კარიც არ ყოფილიყო ჩართული. თვითონ საქართველოს მეფეც, სავარაუდოა,

---

ლაონიკე ხალკოკონდილე „ქრონიკა". ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი VIII. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1970, გვ. 95.

2 მის შესახებ იხ. С. П. Карпов. Трапезундский ученый Георгий Амируци. "Вопросы истории", № 6/91, გვ. 195-199.

3 С. П. Карпов. Трапезундская империя и западноевропейские государства в XIII-XV вв., М., 1981, გვ. 116.

მოვლენების იოანე კომნენოსის სასარგებლოდ განვითარების შემთხვევაში, ქართველთათვისაც გარკვეული სარგებლობის მოპოვებას ვარაუდობს. უკვე ალექსანდრე I დიდის შემდგომ ხანაში, 1446 წელს ალექსი IV მოკლეს, ხოლო საიმპერატორო ტახტზე მართლაც იოანე IV ავიდა. ამ ისტორიის ნიუანსები, სამწუხაროდ, უცნობია.

მეორე მიმართულებაა ურთიერთობა კათოლიკურ დასავლეთთან:

როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, 1436 წელს ევროპაში გარკვეულად ღვივდება ინტერესი მათთვის აღმოსავლეთში მყოფი იმ ქრისტიანული ქვეყნებისადმი, რომლებიც მართლმადიდებლობას — ორთოდოქსულ საეკლესიო წესს აღიარებდნენ. ლათინურ ენაზე შექმნილ თხზულებაში — „ტერიტორიები, რომლებიც ამჟამად ბერძენთა სამოქალაქო თუ საეკლესიო გამგებლობაში იმყოფება" — ლაპარაკია იბერიაზე, სადაც იგი მოხსენიებულია როგორც უზარმაზარი ქვეყანა, რომელსაც თავისი ენა და მწერლობა გააჩნია და არის მიმდევარი ბერძნული ეკლესიისა, მაგრამ ამავე დროს აღმსრულებელია საკუთარი ჩვეულებებისა და ეროვნული სამღვდელოება ჰყავს.[1]

ბიზანტიის ხელისუფალნი კარგად ხედავენ აღმოსავლეთის ქრისტიანული სახელმწიფოების წინაშე არსებულ აშკარა საშიშროებას, რომელიც თურქ-ოსმალებისაგან მოდის. ბიზანტიის საიმპერატორო ტახტი და მისი ეკლესია მეთაურობს იმ მოძრაობას, რომელიც ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებით დასრულდა. ბიზანტია თანახმაა დასავლეთის მიმართ დოგმატურ და პოლიტიკურ კაპიტულაციასა და მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიათა გაერთიანებაზე, ოღონდ კი სამხედრო და მატერიალური დახმარება მიიღოს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1436 წელს ბიზანტიის იმპერატორმა იოანე VIII-მ მართლმადიდებლურ ქვეყნებში თავისი მოციქულები დააგზავნა 1438-1439 წლებში ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე თავიანთი წარმომადგენლების გასაგზავნად. ამ მისიით საქართველოსა და ტრაპიზონში იმყოფებოდა ბიზანტიის ელჩი — ანდრონიკე იაგარისი (იაგრინი).

ალექსანდრე I დიდის სამეფო კარმა იმ იმედით, რომ იქნებ მართლაც მიეღოთ გარკვეული დახმარება, უშუალოდ ენახათ დასავლეთში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, შეეფასებინათ საეკლესიო კრების სხდომებზე გაბატონებული სიტუაცია და თავად განესაზღვრათ, ჰქონოდათ თუ არა დასავლეთის მხარდაჭერის იმედი, მიიღო გადაწყვეტილება ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე თავისი დელეგაციის გაგზავნის შესახებ. ბიზანტიის იმპერატორთან და პატრიარქთან ერთად იტალიაში აღმოსავლეთის ეკლესიის 22 წარმომადგენელი

---

[1] ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ., 1980, გვ. 16-17.

გაემგზავრა, მათ შორის ქართული დელეგაცია, რომლის ორგანიზატორია ამ პერიოდის საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდი. ლ. ტარდი ლაპარაკობს 1438 წლის 10 თებერვლით დათარიღებულ ერთ-ერთ საისტორიო წყაროზე, რომლის მიხედვითაც ვენეციის ნავსადგურ-ში შემოსულან რომის პაპის გალერები (კატარღები) — ერთს ჩამოუყვანია ბიზანტიის იმპერატორი თავისი ამალით, მეორეს კი მათი პატრიარქი და სხვა წარჩინებული პირნი საქართველოდან, სომხეთიდან, რუსეთიდან; უნგრელი მეცნიერის სიტყვებით, ქართული დელეგაციის საეკლესიო კრება‛ზე წასვლა იყო „ქართველების პირველი მოგზაურობა ევროპაში“.[1] უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი სახისა თუ ხასიათის ქართველთა დიპლომატიური მისია დასავლეთ ევროპაში, დღემდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობებით, მართლაც პირველი ჩანს.

(1438 წლის 5 თებერვალს იტალიის ქ. ფერარაში გაიხსნა მსოფლიო საეკლესიო კრება, სადაც ერთმანეთს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის მაღალი წარმომადგენლები შეხვდნენ და უნიის საკითხი განიხილეს; შემდეგი სხდომები ფლორენციაში მიმდინარეობდა, ამიტომაც იგი ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების[2] სახელწოდებით არის ცნობილი. მსოფლიო დიპლომატიის თვალსაზრისით, იგი მნიშვნელოვანი ფორუმი უნდა გამხდარიყო, მაგრამ პაპმა ევგენი IV-მ ერთ-ერთი მთავარი პირობა — დასავლეთის ხელმწიფეთა კრებაზე დასწრების უზრუნველყოფის შესახებ ვერ შეასრულა; საფრანგეთმა ე. წ. „პრაგმატული სანქციაც“ კი მიიღო, რომლითაც პაპების უფლებას საფრანგეთის ეკლესიაზე ზღუდავდა და ამით როგორც ბაზელის, ისე ფერარას საეკლესიო კრებას ემიჯნებოდა.[3] ბიზანტიისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მთავარი მიზანი თურქების წინააღმდეგ რეალური დახმარების მიღება იყო, ამიტომ დასავლეთის პოლიტიკის გამსაზღვრელ მთავარ პირველ პირთა დაუსწრებლობის გამო, მათთვის კრების ჩატარება ყოველგვარ აზრს კარგავს. რომის პაპისათვის კი საპირისპირო მდგომარეობაა, იგი სარგებლობს აღმოსავლეთის ხელისუფალთა მძიმე მდგომარეობით და თავისი გეგმის განხორციელებას ცდილობს: ევგენი IV-ის ჩანაფიქრით, უნდა მომხდარიყო კათოლიკური

---

1 ლ. ტარდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16, 17.

2 ამ კრების შესახებ ვრცლად იხ. J. Gill. The council of Florence. Cambridge, 1959; З. В Удальцова. Борьба византийских партий на Флорентийском соборе и роль Виссариона Никейского в заключении унии, ВВ, 1950; მისივე. Жизнь и деятельность Виссариона Никейского, ВВ, 1976; Н. А. Казакова. Западная Европа в русской письменности XV-XVI веков, Л., 1980.

3 ო. ჟუჟუნაძე. XV ს. პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის. „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“. I. თბ., 1970, გვ. 13.

და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანება, რაც იმ დროს არსებულ ვითარებაში ვატიკანის პოლიტიკური ბატონობის აღიარებას ნიშნავდა. პაპმა ყველა ხერხს მიმართა, რათა აღმოსავლეთის ეკლესიის წარმომადგენლები აეძულებინა ეცნოთ ეკლესიების გაერთიანება რომის პაპის მეთაურობით. 1439 წლის ივლისში მართლმადიდებლურ სახელმწიფოთა და მათი ეკლესიების წარგზავნილთა უმრავლესობამ უნიას ხელი მოაწერა.

ვინ იყვნენ საქართველოდან წარგზავნილნი, რა საქმიანობა გასწიეს, როგორი სტატუსითა და პატივით სარგებლობდნენ და რა დამოკიდებულება გამოხატეს უნიის მიმართ:

სიროპულოსის მიხედვით, ბიზანტიის ელჩმა ანდრონიკე იაგრინმა „იბერიიდან წაიყვანა ორი ეპისკოპოსი, ერთი ელჩი და იბერიის მეფეთა განსაკუთრებული სენატორები"; იგი სხვა ადგილზეც ასხვავებს ერთმანეთისაგან და ასახელებს სასულიერო პირებს და ერთს საეროს — „თავადი-ერისკაცი"; ამ საერო პირს, როგორც ელჩს, მოიხსენიებს რუსული ისტორიული წყაროც.[1] ასევე არის თავად ფლორენციის საეკლესიო კრების ოქმშიც: იგი ასახელებს „იბერიის მიტროპოლიტს" და „იბერიის მეფის ელჩს". ეს საერო წარმომადგენელი — მეფის ელჩი და საქართველოს „განსაკუთრებული სენატორები" ვინ არიან, ისტორიული დოკუმენტებით არ ჩანს; რაც შეეხება დელეგაციის ხელმძღვანელებს საქართველოს ეკლესიიდან, ო. ქუქუნაძემ გაარკვია, რომ ისინი არიან გრიგოლ და იოანე მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსები (ისტორიული წყაროები მათ ხან ეპისკოპოსებად, ხან მიტროპოლიტებად მოიხსენიებენ).[2]

საქართველოს დიპლომატიური მისია დასავლეთ ევროპაში დიდი პატივით მიუღიათ. „იბერიის მიტროპოლიტი" საეკლესიო კრებაზე მის მონაწილეთა წინა რიგში მჯდარა; ფლორენციის წმინდა მსოფლიო საეკლესიო კრების ოქმში ვკითხულობთ: „პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი... პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებული იყვნენ: ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი... ანტიოქიის პატრიარქის მიერ გამოგზავნილი — ეფესიის არქიეპისკოპოსი, იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი — მენეზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი — იბერიის მიტროპოლიტი... ამათ შემდეგ ისხდნენ ტრაპეზუნდის, რიზეს, ნიკეის, ლაკედემონიის... არქიეპისკოპო-

---

ო. ქუქუნაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 15. 18. 24.
2 იქვე. გვ. 21-23. 26.

სები“.[1] იმავე ოქმში აღნიშნულია საერო პირების შესახებ: „იმპერატორის სავარძლის გვერდით სკამზე იჯდა რამდენიმე საერო პირი. პაპის თანმხლები პირების პირდაპირ ისხდნენ: სერბიის მთავარი, ტრაპიზუნტის იმპერატორის მანდატის მქონე, იბერიის მეფის ელჩი (რომელიც ყველასაგან განსხვავდებოდა თავისი ჩაცმულობით, მრავალი ძვირფასი ქვით შემკული მრგვალი ოქროქსოვილი ქუდით) და ვალახიის ბატონის ორი წარმომადგენელი“.[2]

როგორც საეკლესიო კრების ოქმიდან, ისე სხვა ცნობებიდანაც ჩანს, რომ საქართველოს დელეგაცია სხვა წარმომადგენელთა შორის პატივისცემით სარგებლობდა; საქართველოს სახელმწიფოსა და მისი ეკლესიის წარმომადგენელს საპატიო მეხუთე ადგილი უკავია, რაც ლაპარაკობს ქვეყნისა და ქართული ეკლესიის მაღალ ავტორიტეტზე, პრესტიჟსა და გავლენიანობაზე. ასევეა მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურებისადმი გაგზავნილ პაპ ევგენის წერილში, სადაც ოთხი მსოფლიო პატრიარქის შემდეგ საქართველოს მეფე და ტრაპიზონის მიტროპოლიტი იხსენიება; საინტერესოა, რომ მხოლოდ შემდეგ არიან აღნიშნული რუსეთის, მოლდოვლახეთისა და სხვა მიტროპოლიტები.[3] ო. ჟუჟუნაძის მიერ მოტანილი რუსული ისტორიული წყაროს მიხედვით, იმ მიტროპოლიტთა შორის, რომლებიც რუსეთის დელეგაციას ხვდებოდნენ პაპ ევგენის, იმპერატორ იოანესა და პატრიარქ იოსების შემდეგ, დასახელებულია მხოლოდ ორი — ტრაპიზონისა და იბერიის მიტროპოლიტი, ხოლო დანარჩენნი „სხვათა რიცხვში“ არიან მოთავსებულნი. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, მსგავსი ხასიათის დოკუმენტებში ასეთი შემთხვევითობა გამორიცხულია — მსოფლიო პატრიარქების გვერდით ქართველი მიტროპოლიტის დასახელება მიგვითითებს იმ ავტორიტეტზე, რომელიც საქართველოსა და ტრაპიზონს ჰქონდა საზღვარგარეთ, მათ შორის რუსეთში.[4]

საინტერესოა „იბერიის მეფის ელჩის“, ანუ ალექსანდრე I დიდის მიერ წარგზავნილი პირის სტატუსი: ~~როგორც ო. ჟუჟუნაძემ შენიშნა~~, საქართველოს მეფის ელჩს ტრაპიზონის იმპერატორის მანდატი აქვს, ისე როგორც სერბიის წარმომადგენლებს, რაც გარკვეული ანარეკლი უნდა იყოს პოლიტიკური კავშირისა, რომელიც ამ დროს არსებობდა საქართველოს, ტრაპიზონსა და სერბიას შორის.[5]

---

1 ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.). თბ., 1984, გვ. 101-102, 214.

2 იქვე, გვ. 215.

3 ო. ჟუჟუნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

4 იქვე, გვ. 24.

5 იქვე, გვ. 17.

დელეგაციების დიდი ნაწილი იძულებული გახდა, გაერთანების აქტზე ხელი მოეწერათ. ადრეა დი სანტა კროჩეს აქტებში აღნიშნულია, რომ თითქოს ქართველებმა სხვებთან ერთად ხელი მოაწერეს გაერთიანების აქტს. როგორც უდავოდ არის გარკვეული ქართულ ისტორიოგრაფიაში, ბულაზე ქართულ დელეგაციას ხელი არ მოუწერია.[1] შესაძლებელია, აქ პაპისა და მისი კანცელარიის მხრიდან გარკვეულ დიპლომატიურ ფანდთან გვქონდეს საქმე — როგორც და რაც აწყობდათ, დოკუმენტში სწორედ ის ჩაწერეს. ბიზანტიას გასაგები მიზეზების გამო ბოლომდე პროლათინური პოზიცია ეკავა, ამიტომ „ბერძენთა აქტები" მართლმადიდებლობის პოზიციაზე მტკიცედ მდგარ ქართველ ელჩთა და, საერთოდ, საქართველოს მიმართ ძალზე ტენდენციურია. უნიატური პოზიციიდან გამომდინარე, ისინი ყოველმხრივ ცდილობენ ქართველთა როლისა და მდგომარეობის მიჩქმალვა-დამცირებას: არ აღნიშნავენ, რომ ქართველმა ელჩებმა გაერთიანების აქტს ხელი არ მოაწერეს, თუ სხვა ისტორიულ დოკუმენტებში (მათ შორის ლათინურშიც) საქართველო მეხუთე, ხან მესამე ადგილზე მოიხსენიება, „ბერძენთა აქტებში" პირიქით, იბერები ბოლო ადგილზე არიან მოთავსებულნი. როგორც ო. ჟუჟუნაძე აღნიშნავს, ასეთი ტენდენციურობა იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს დელეგაციისა და ბიზანტიელთა პროლათინური ჯგუფის პოზიციები მკვეთრად განსხვავდებოდნენ და ერთმანეთის მიმართ წინააღმდეგობაში იმყოფებოდნენ.[2]

ქართული დიპლომატიის ისტორიის თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა XV ს-ში მოღვაწე სიროპულოსის მემუარების ერთი ნაწყვეტი, რომელიც უშუალოდ ქართულ დელეგაციას ეძღვნება; აქედანვე ვგებულობთ ქართველი ელჩების საზღვარგარეთ მოქმედების სხვადასხვა საინტერესო ნიუანსების შესახებ:

„ეპისკოპოსმა სინოდის სესიები მიატოვა, რადგან კარგად გაიგო, რომ გაერთიანებას ცუდი ხერხით უწევდნენ პროპაგანდას. პირველად ეპისკოპოსები ფარულად სათითაოდ ჩვენი კაცების შეცდომას უჩვენებდნენ და წამოუყენეს მათ ანტიოქიის პატრიარქის სიგელი, რომელიც მათ უკრძალავდა ლათინებთან შეთანხმებას. მერე ვისაც შესანახი ფლორინები ჰქონდა, ფარულად გაიქცა, რათა გადაემალა ისინი. მხოლოდ ტანსაცმელი და სანიადაგო სახმარი რამ დაიტოვა, დანარჩენს ღარიბებს ურიგებდა, თავად კი ხალხის თვალებს ემალებოდა, არც სიტყვის თქმა შეეძლო და არც თავის გამოჩენა უნდოდა. ამასთანავე ცოტა ხნით უბრალო ტუნიკას იცვამდა, ზოგჯერ ტუტუცად ან მაწანწალად მოჰქონდა

---

1 ო. ჟუჟუნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.
2 იქვე, გვ. 18.

თავი... იგი იტალიის ადგილებსა და ქალაქებში უცნობად დაეხეტებოდა და სრული სამი თვის შემდეგ, ისარგებლა რა ჩვენი თანაგრძნობით, გაქრა უკვალოდ. შემბრალებლობით წაქეზებულმა ტორნოვის ეპისკოპოსმა, გაიხსენა რა ძველი გაჭირვება, იმ კაცის ძებნას შეუდგა, რომელმაც ის ვენეციაში ჩაიყვანა... მან ნახა ქართველი ეპისკოპოსი მოდენაში და წაიყვანა ის კონსტანტინოპოლში". აქვე საუბარია საერო პირის — საქართველოს მეფის ელჩის შესახებ: „იბერიის მეორე ელჩი თავადიერისკაცი იმავე დღეებში, როცა მოისმინა, რომ გაერთიანებას უკვე ბეჭედი აქვს დასმულიო, რომში ჩავიდა. ასე რომ, როცა იბერიის ნეიტრალურ ელჩს გაერთიანების ხმის მიმცემთა სია უჩვენეს, ის ჩუმად წავიდა".[1]

სიროპულოსის მემუარებში დაცულია რომის პაპისა და ქართველი ელჩის პირადი შეხვედრისა და საუბრის ნიუანსები, რაც ასე იშვიათად არის მოღწეული ჩვენამდე და უდავოდ წარმოადგენს ქართული დიპლომატიის ისტორიის ერთ-ერთ ძალზე საინტერესო ფურცელს:

„სანამ მოლაპარაკების მსვლელობა უკანასკნელ სტადიას მიაღწევდა, ეს თავადი (საქართველოს ელჩი, დ. ნ.) პაპმა თავისთან დარბაზში მიიწვია და ასეთი საუბარი გაუმართა: გაგებული მაქვს, რომ თქვენ ქრისტიანი ბრძანდებით, კაცი მეტად ნათელი ნიჭით დაჯილდოებული. ქრისტეს ეკლესია გვასწავლის განათლების მიმდევრობას: რომის ეკლესია ეკლესიის დედაა... თქვენ უნდა დაემორჩილოთ დედას... ესა და სხვა მრავალი რამ უთხრა საუბარში პაპმა. იბერმა ამგვარად უპასუხა: ჩვენც თანაბრად, რასაც ღვთის წყალობით ვიღებთ, უკვდავებით ვსარგებლობთ, ქრისტიანები ვართ. ჩვენი ეკლესია მოსაწონია და ჩვენს დოგმებს ვემორჩილებით. ჩვენი ეკლესია ძალიან მტკიცედ იცავს თითოეულ მცნებას ჩვენი უფლის იესო ქრისტესი, ასევე წმინდა მოციქულთა ტრადიციებს... ამისაგან არასდროს არ გადაგვიხვევია, არაფერი არ დაგვიმატებია, არაფერი მალულად არ წაგვიღია, წარმოსადგენი მინიმუმიც კი. რომის ეკლესიამ კი მრავალი რამ დაუმატა და საბოლოოდ წმინდა მამების სწავლების საზღვრები გადალახა. ამის გამო თქვენს ეკლესიას ჩვენ ჩამოვშორდით და ორივე გაყრის გზით წავედით"[2] ცოტა ქვევით ნათელი ხდება, კონკრეტულად რა შესთავაზა კათოლიკური ეკლესიის მეთაურს ქართველმა ელჩმა, რომელიც საკმაოდ თამამად, მაგრამ დიპლომატიურად ეკამათება პაპს და საერთოდ, რით დამთავრდა მათი საუბარი: „ამის შემდეგ იბერმა პაპს ურჩია ხელი არ ეხლო ბარბაროსულ ენებზე არსებული დოგმებისათის, რომელთა ძალით წართმევა და მათ ნაცვ-

---

[1] ო. ჟუჟუნაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 18.
[2] იქვე. გვ. 19.

ლად თავისის დანერგვა სურს. პაპმა პასუხი ფარული სიმწარით მოისმინა და განცვიფრებული გაჩუმდა".[1]

სიროპულოსთან დაცულია მეორე საინტერესო ეპიზოდი, რომელიც კარგად ახასიათებს ქართველი ელჩის მოქმედებას და ნათელს ჰფენს იმ პოზიციას, რომელიც ქართულ დელეგაციას ეჭირა საეკლესიო კრებაზე:

„სინოდის ყრილობაზე უკვე დღეს საზეიმო ლოცვა მოაწყვეს პაპისათვის. სანამ საეკლესიო მსახურების მოვალეობის შემსრულებელი მღვდლები დაესწრებოდნენ, კათედრაზე ავიდა კეთილშობილი კაცი, პროტონოტარიუსი იოანე. ნათლად და ძალიან ფართოდ, ლათინურ ენაზე, განმარტავდა ყრილობის მნიშვნელობას. ჩვენც იმ ხანობად ელჩებთან ახლოს ვისხედით. იოანე ხშირად საილუსტრაციოდ არისტოტელეს ახსენებდა. ორჯერ, სამჯერ მოსმენის შემდეგ იბერმა მარცხენა ხელში წამავლო და მომიჭირა. მე თვალი მივაპყარი მას, თავი დავუქნიე, ძლივს მივხვდი, თუ რა უნდა მას. მან თქვა: „მართლაც და ის არისტოტელე, არისტოტელე! ოო! მეტად ნათელი არისტოტელე"! მე ძალიან დავეჭვდი მის დამოწმებაში, თუ რატომ ამბობდა: „ძალიან ნათელი არისტოტელე"! და ვკითხე, თუ ვის თვლის ავტორიტეტად. მიპასუხა იბერმა: „წმ. პეტრე, წმ. პავლე, წმ. ბასილი, გრიგოლ თეოლოგი, ქრიზოსტომოსი. ჩვენთვის რაა არისტოტელე, არისტოტელე?" მთელი ტანით, სახით გამომეტყველებით, ხმით, თავის ქნევით, ხელითაც, გამოსახვითაც უჩვენებდა გაჯავრებას და ეცოდებოდა ორატორი, ყრილობის წინაშე რომ თავს ისულელებდა. „ამ სწავლული დისციპლინისა თუ არა, ჩვენი მაინც შერცხვესო" — ამბობდა იბერი".[2]

ზემომოტანილი ნაწყვეტებიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოს მეფის ელჩი მაღალი რანგის პოლიტიკური მოღვაწე, განათლებული, ენების მცოდნე და დოგმატურ საკითხებში ფართოდ განსწავლული პიროვნებაა; ადამიანი, რომელსაც თანაბარ დონეზე შეეძლო რომის პაპთან პაექრობა — საუბარი; მისი ელჩად გაგზავნა ალექსანდრე I დიდის მხრიდან შემთხვევითი არაა და სამეფო კარის მიერ კარგად მოფიქრებულ ნაბიჯად მოჩანს.

საეკლესიო კრების მსვლელობაში ქართული დელეგაცია დარწმუნდა, რომ პაპისაგან საქართველო რეალურ დახმარებას ვერ მიიღებდა, წარმოქმნილი სიტუაციის შეცვლის აღარც იმედი არსებობდა, ამიტომ ხელმძღვანელებმა — გრიგოლ და იოანე ეპისკოპოსებმა, ასევე საერო პირმა — მეფის ელჩმა და საერთოდ, მთელმა დელეგაციამ კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანების აქტს ხელი არ მოა-

---

[1] ო. ჟუჟუნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

[2] იქვე.

წერეს. როგორც ისტორიული დოკუმენტებით ირკვევა, საეკლესიო კრების პირველსავე დღეებში შექმნილა თავისებური ფრაქცია, რომელიც უარყოფითად უყურებს უნიის იდეას, იმ მეთოდებს, რომელსაც კრების მოწვევა-გაგრძელების მოწინააღმდეგეთა მიმართ იყენებდნენ. ამ ფრაქციის ლიდერი პირველ ეტაპზე გრიგოლ ივერიელი ეპისკოპოსი ჩანს;[1] საეროთა შორის კი ერთ-ერთი ასეთი პირი ალექსანდრე I დიდის მიერ წარგზავნილი საქართველოს სამეფოს ელჩია. საეკლესიო კრებაზე დელეგაციის წევრებზე ფიზიკური ზემოქმედებისა და ძალდატანების საშიშროება შეიქმნა, პაპისაგან რეალურად დახმარების მიღების იმედი კი გაქრა, ამიტომ, როგორც დოკუმენტიდან ჩანს, გრიგოლ ეპისკოპოსმა კრება მიატოვა და საქართველოში დაბრუნდა; იოანე ეპისკოპოსმა კი ღარიბის ტანსაცმელი გადაიცვა და იტალიის სხვადასხვა ადგილებში გაემგზავრა პაპის პოლიტიკის მხილების მიზნით. იბერიის მეფის ელჩზე — „თავად-ერისკაცზე“ კი სიროპულოსი ამბობს, რომ „ისიც ჩუმად წავიდა“.

სწორი იყო თუ არა ქართველ დიპლომატთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება?! ამისათვის უნდა განვიხილოთ, რა შედეგები მოჰყვა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებას და გაერთიანების აქტზე ხელმოწერას:

მართალია, ფერარა-ფლორენციის კრება იურიდიულად კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიათა შორის უნიით დასრულდა, მაგრამ რეალურად მიუხედავად დოგმატურ-პოლიტიკური კაპიტულაციისა ბიზანტიამ დასავლეთისაგან დაპირებული ვერ მიიღო. პირიქით, ბიზანტიაში გაერთიანების აქტზე საპასუხოდ ახალი ძალით გაჩაღდა მწვავე პარტიათაშორისი ბრძოლა.[2] ფლორენციის უნიამ წარმოშვა ტრაგიკული განხეთქილება თავად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში, იგი იმპერიის მოსახლეობის ძირითადი ფენების მიერ თითქმის ერთხმად იქნა უარყოფილი, თუმცა მისდამი დამოკიდებულებაში არსებობდა გარკვეული რეგიონული განსხვავებანიც,[3] მაგ., პელოპონესზე გაერთიანებას ბევრად კარგი ნიადაგი დახვდა, ვიდრე კონსტანტინოპოლში, ანუ ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში უნიასთან დაკავშირებით ბოლომდე ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არსებობდა.[4]

---

1 ო. ქუქუნაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 24.

2 Е. М. Ломизе, Морейский деспотат и флорентийская уния. "Византия. Средиземноморье. Славянский мир", К XVIII Международному конгрессу византинистов, М., 1991, გვ. 110-120.

იქვე, გვ. 110.

ბიზანტიის იმპერატორთა და კონსტანტინოპოლის პატრიარქთა პოლიტიკის შესახებ იხ. Е. М. Ломизе, Константинопольская патриархия и церковная политика импера-

3.

უნიისა და საეკლესიო კრების მზადებისას ბიზანტიის იმპერატორს იოანე VIII პალეოლოგს გამოცდილი მრჩევლები სჭირდებოდა, ამიტომაც ფერარა-ფლორენციის კრების სხდომებზე დასასწრებად ექსპერტის რანგში უკვე ზემოხსენებული გიორგი ამირუცისი მიიწვია. იგი მართლაც მონაწილეობს ბერძნული და კათოლიკური ეკლესიების დელეგაციების შეხვედრებში, სხვა საუბრებში, სადაც სხვადასხვა განსახილველი საკითხებისადმი ბიზანტიის პოზიცია ყალიბდება; გიორგი ამირუცისს პროლათინური ორიენტაცია ჰქონდა, ანუ იგი ბიზანტიის იმპერატორის აქტიური მხარდამჭერია.[1] არსებობს ცნობები, რომ ამირუცისს ამის საფასურად გარკვეული თანხაც კი აუღია. ტრაპიზონში დაბრუნებულს, ასეთი პოზიციის გამო, მას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე ეკლესიის მეთაურის მიტროპოლიტ დოსითეოსისა და იმპერატორ იოანე IV-გან. ამის გამო ამირუცისს თავისი პოზიციის შეცვლა მოუხდა და იგი უნიის მოწინააღმდეგე გახდა.[2]

როგორც აღვნიშნეთ, ქართულმა დიპლომატიამ არათუ უნიის შემდეგ, არამედ თავად კრებაზე აშკარად გამოხატა მისდამი უარყოფითი დამოკიდებულება. ქართველთა პოზიცია მართებული გამოდგა: ფერარა-ფლორენციის კრებას აღმ. ქრისტიანთათვის, მთავარი საკითხის გადაწყვეტის მხრივ, ვერავითარი შედეგი ვერ მოჰყვა; დაეცა კონსტანტინოპოლი, თურქებმა მოახდინეს ბალკანეთის ოკუპაცია, აიღეს ტრაპიზონი – დასავლეთიდან რეალური დახმარების მიღება კი ვერ მოხერხდა. დადებითად ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქართველოს წარგზავნილები უშუალოდ ახლოს გაეცნენ დას. ევროპაში პოლიტიკურ თუ სხვა სფეროში არსებულ სიტუაციას, მათ უკვე კარგად და რეალურად შეეძლოთ შეეფასებინათ, თუ რისი მიღება შეეძლოთ დახმარების მხრივ დასავლეთის ხელისუფალთაგან; ასევე შეხვედრებისას შეიქმნა ხელსაყრელი პირობები და დამყარდა ურთიერთობები ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან, მათ შორის უნგრელებთან[3] და სხვ. „Отказ Грузии от „союза“ с папством указывает на реалистичность ее внеш-

---

торов с конца XIV в. до Ферраро-Флорентийского собора (1438-1439), ВВ, т. 55 (80), М., 1994, გვ. 104-110.

1 Les "Memoires" du grand ecclesiarque de l'église de Constantinople Silverstre Syropoulos sur la Concile de Florence (1438-1439), P., 1971, გვ. 259, 284, 316.

2 С. П. Карпов, Трапезундский ученый Георгий Амирутци, „Вопросы истории", 6/91, გვ. 196.

3 ლ. ტარდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16, 18.

неполитического курса и на правильную оценку правительством Грузии современной международной обстановки".[1]

ალექსანდრე I დიდი და საქართველოს ხელისუფლება ასეთი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის გვერდით, ბუნებრივია, აქტიური საშინაო პოლიტიკის გატარებას ცდილობს; საგარეო სფეროში ქვეყანა ვერაფერს მიაღწევდა, თუ მისი შემაგრება არ მოხდებოდა საშინაო ვითარების მხრივ.

სამეფო ტახტის ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავს ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების საკითხი წარმოადგენდა. ამ მხრივ, უკვე იყო ლაპარაკი სამცხე-საათაბაგოსთან დაკავშირებით, როცა ივანე ათაბაგმა საქართველოს მეფის უზენაესობა ცნო. ამავე დროს, საქართველოს მეფე სხვადასხვა პროვინციის შემომტკიცებისა და ცენტრალიზაციის მიზნით ურჩ ერისთავთა მაგივრად სამეფო სახლის წევრებს ნიშნავს; ნათესაობა თითქოს მტკიცე გარანტია უნდა ყოფილიყო ქვეყნის ცალკეული ნაწილების შენარჩუნებისა — „ამ თვალსაზრისით მეფეთამეფის მიერ საქართველოს ცალკეული ნაწილების „მინებება“ ასეთი მცირე მეფეებისადმი სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ამით იგი საქართველოს დაშლას აკანონებდა. პირიქით, ეს ღონისძიება მიმართული იყო ადგილობრივ ერისთავთა თუ მთავართა მიერ ხელისუფლების უზურპაციის წინააღმდეგ“.[2] სამეფო კარის ჩანაფიქრში მართლაც ეს იდეა იყო ჩადებული, ბატონიშვილები თუ სამეფო ოჯახის წევრები ქვეყნის ასეთ რეგიონებს სამმართველოდ ღებულობენ (ამ კუთხით იქნა განხილული ლიხთიქითის საკითხი, სადაც მეფე ასეთი გზით ცენტრისათვის დასავლეთი საქართველოს შემომტკიცებას ცდილობს), მაგრამ XIV-XV სს. შექმნილი შინაპოლიტიკური ვითარებისა და „პროვინციის მეფეთა“ არსებობის პირობებში, ამ „რეფორმამ“ შემდგომში საპირისპირო შედეგები მოიტანა; სეპარატიზმის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების მიუხედავად, ალექსანდრე I დიდმა ვერ შეძლო ამ მოვლენების საბოლოო შეჩერება. სწორედ განსაკუთრებით მისი მეფობის ხანიდან შეიმჩნევა სამეფო ოჯახის წევრთა თუ ბატონიშვილთა მნიშვნელოვანი გავლენა, რომელთა ინტერესები განსაზღვრავდნენ კიდეც სახელმწიფო პოლიტიკას.[3] გარდა ამ რეფორმებისა ალექსანდრე დიდი პარალელურად შემოსევების შედეგად განადგურებულ ქვეყანაში სამშენებლო-აღდგენით საქმიანობასაც ხელმძღვანელობდა (სვეტიცხოველი, რუისის ტაძარი...).

---

1 ო. ჟუჟუნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

2 ნ. ასათიანი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან (კახეთის სამეფოს წარმოქმნის საკითხისათვის), თსუ შრომები, ტ. 78, თბ., 1963, გვ. 111.

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 430.

1437 წელს ისქანდერის დაღუპვისა და ჯაჰან-შაჰის ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, ბუნებრივია, ყარა-ყოიუნლუს მბრძანებელი მისი მოქიშპე ძმის მოკავშირის — ალექსანდრე მეფისა და საქართველოს საკითხს დღის წესრიგში დასვამდა. ალექსანდრე დიდსა და ჯაჰან-შაჰს შორის არსებული რთული ურთიერთობებიდან გამომდინარე, საქართველოს მეფისათვის რთული ამოსაცნობი აღარ იქნებოდა მოვლენების ასეთი განვითარება, ამიტომ იგი გარკვეულად საპირისპირო, მისი ტახტის მოსამაგრებელ ღონისძიებებს მიმართავს — ერთ-ერთი ასეთი კამპანია სწორედ 1437 წელს განხორციელდა.

ვახუშტის მიხედვით, „არამედ იხილეს ესე რა განძელთა და შირვანელთა მეფობა სპარსეთისა, არღარა ინებეს მათ ხარკისა მიცემა ალექსანდრე მეფისად. განრისხნა მეფე ალექსანდრე, შემოიკრიბნა სპანი თჳსნი რჩეულნი და შთავიდა ყარაბაღს ქ~სა ჩ~სა ჩ~ულზ, ქართულსა რ~კე (1437 წ.). ვერ წინაღუდგნენ მას განძელნი; მოსრნა ურჩნი და ჰყვნა კუალადაცა მოხარკედვე. ამისნი მხილველნი შირვანელნი და დარუბანდელნი შეშინდნენ ძლიერებითა მისითა და მოერთნენ ყარაბაღსავე ძღუნითა დიდითა, ხოლო მეფემან დაამშჳდნა და განუჩინა მათ ხარკნი და დაიმორჩილა ყოველითავე."[1]

გარკვეული პერიოდის შემდეგ ჯაჰან-შაჰმა დასვა კიდეც საქართველოსა და მის მეფესთან ურთიერთობის საკითხი; მიუხედავად 1440 წელს სულთან ჯაკმაკის სიგელში დადასტურებული შაჰროჰთან გარკვეულად მოწესრიგებული დამოკიდებულებისა, ჯაჰან-შაჰთან კონტაქტებმა მაინც მწვავე ხასიათი შეიძინა. 1441 წელს ჰიშატაკარანის მიხედვით, „რამეთუ ამ წელს თავრიზის ხანი ჯაჰანშა იმირზა, ყარა მაჰმადის ძის თურქმენ იუსუფის ძე დაიძრა დიდძალი ლაშქრით, მაჰმადიანთა ურიცხვი მხედრობით და მოვიდა საქართველოში, თავს დაესხა ქართველებს, რადგან ქართველთა ნათესავი არ ემორჩილებოდა თავრიზის ხანს"...;[2] ხელნაწერთა გადამწერ ჰოჰანესის მიერ 1458 წელს გადაწერილ სვინაქსარში შეტანილ დაღუპულ სამშვილდელთა მოსახსენიებლის ცნობებში აღნიშნულია: „მას (ჯაჰან-შაჰს) გულში ჯავრი ჰქონდა ქართველთა მეფის ალექსიანოსის მიმართ, რადგან არ მივიდა მის წინაშე მოწიწებისა და მშვიდობიანობის ნიშნად, არც დაწესებული სამეფო ხარკი გადაუხადა, ამის გამო გაცოფდა ბილწი და ქრისტიანთა მოძულე..."[3] ამდენად, მათ შორის წარმოშობილა კონტაქტები, სადაც ჯაჰან-

---

[1] ვახუშტი, გვ. 281.
[2] სომხურ ხელნაწერთა XIV-XV სს. ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 61.
[3] იქვე, გვ. 161-162.

შაჰი ალექსანდრე მეფის მასთან მისვლასა და „დაწესებული სამეფო ხარკის“ გადახდას მოითხოვს. ამ მხრივ უფრო ვრცელი ცნობა აქვს თომა მეწოფეცის: „... თავრიზის მეფემ და მტარვალმა განმგებელმა, სახელად ჯაჰან-შაჰმა, შეჰყარა ჯარი... თან წაიყვანა არდებილის ბოროტი წინამძღვარი, ყველა ყადი, მუდარისი და გაილაშქრა ქართველთა ქვეყანაზე. მან ბ ე ვ რ ჯ ე რ  გ ა უ გ ზ ა ვ ნ ა დესპანები მეფე ალექსანს, რომლისაგანაც მორჩილებასა და დადგენილი ხარკის გადახდას მოითხოვდა, მაგრამ მან ეს არ ისურვა და სასტიკ უარს ეუბნებოდა მას“.[1] როგორც ვხედავთ, ისევ „მორჩილებასა“ და კვლავ „დადგენილი ხარკის“ გადახდაზეა საუბარი; ჯაჰან-შაჰი, როგორც შავბატკნიანთა ხელისუფალი, საქართველოს თავის ტახტზე დამოკიდებულ სახელმწიფოდ მიიჩნევს, მაგრამ ეს ყარა-იუსუფის ჩამომავლის აზრია, რასაც საქართველოს სამეფო ტახტი არ იზიარებს. ამის პასუხია, რომ მიუხედავად „ბევრჯერ“ გამოგზავნილი დესპანებისა, ალექსანდრე მეფემ მასთან მისვლა „არ ისურვა და სასტიკ უარს ეუბნებოდა მას“.

1440 წელს შაჰროჰის ვასალი და მისი მოკავშირე ჯაჰან-შაჰი არდებილის მმართველის — იბრაჰიმ შეიხშაჰის (1427-1447) თანხლებით საქართველოს შემოესია,[2] აიოხრა სამშვილდე და გამარჯვების აღსანიშნავად ადამიანთა 1664 მოჭრილი თავიდან მინარეთი ააგებინა, შემდეგ თბილისიც აიღო და გაძარცვა — „ბალავრიანად მოთხარა“ ყველა ეკლესია, „ძველიც და ახალიც“, რომელიც აგებული იყო მათი უწინდელი მეფის მიერ“.[3] რა სახის „პოლიტიკური დამოკიდებულება“ დამყარდა ამ ლაშქრობის შემდეგ საქართველოსა და თურქმანებს შორის, ისტორიულ წყაროებში არ ჩანს.[4]

1440 წელს ჯაჰან-შაჰის ლაშქრობა მაინც განხორციელდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ალექსანდრე მეფეს თურქმანთა ხელისუფლის სიუზერენთან-შაჰროჰთან თითქოს მოწესრიგებული ურთიერთობა უნდა ჰქონდეს; ასეთი ვითარება ამავე წლის სულთან ჯაკმაკის ზემოაღნიშნული წერილიდან ჩანს, სადაც საქართველოში ჩრდილოეთ ირანიდან და ერაყიდან შაჰროჰის „მიმდევარი“ 4 ათასზე მეტი მუსლიმი ოჯახის მისვლაზეა საუბარი — ალექსანდრე I დიდი მათ „დიდსულოვნად“ მოპყრობია და „დასახლების ნება მიუცია“.[5] შესაძლებელია, სწორედ ამ გადმოსახლებას გულისხმობდეს „ახალი ქართლის ცხოვრება“: ალექ-

---

თომა მეწოფეცი. კ. კუციას გამოცემა. გვ. 76.

როგორც ჩანს, ჯაჰან-შაჰი ალექსანდრე დიდის მეფობის შემდგომ ხანაშიც — 1444 წელს მეორედ შემოესია საქართველოს (სომხურ ხელნაწერთა ცნობები.. გვ. 70. 165).

თ მეწოფეცი. გვ. 77.

ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, IV. 1967. გვ. 38.

გ. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 213-214.

სანდრემ „ ... ყოველნი ქრისტიანენი ფრიადსა მშჳდობასა და მყუდროებასა შინა ამყოფნა. თათართაგან კაცთა მოასხმიდა და დაასახლებდა, და ქუეყანა ესრე საქართველო ესრეთ განაგო".[1] ჯაკმაკის სიგელში ყურადღებას იპყრობს ჩაღათაელთა მბრძანებლის — შაჰროჰისადმი მისი დაპირისპირებული მხარის — ეგვიპტის სულთნის ინტერესი. აღნიშნული გადმოსახლება და თურქმანთა საქართველოში დასახლება, ალექსანდრე მეფის მათდამი კეთილგანწყობილება და ეგვიპტის სულთნის ინტერესი. შესაძლებელია, იმანაც განაპირობა, რომ მამლუქთა დაძაბული ურთიერთობები შაჰროჰთან სწორედ 1440 წ. დათბა — ამ წელს კაიროში შეუტყვიათ, რომ სულთანთან მოდიოდა შაჰროჰის ელჩი, რომელიც რამდენიმე დღეში კიდეც შესულა ეგვიპტის დედაქალაქში.[2]

მიუხედავად ამისა, ასეთ ვითარებას გავლენა არ მოუხდენია შაჰროჰის ვასალსა და მის მოკავშირე — ჯაჰან-შაჰზე, რომელიც სასტიკ ლაშქრობას აწყობს, მორჩილებასა და საქართველოსაგან „დადგენილი" ხარკის გადახდას ითხოვს; ჯაჰან-შაჰის მოწინააღმდეგე ძმის — ისქანდერის მოკავშირე ალექსანდრე მეფე და მისი ქვეყანა ვერ ასცდა თურქმანთა ასეთ შემოსევას.

ივ. ჯავახიშვილი ალექსანდრე მეფის დახასიათებისას ასკვნის, რომ სამხედრო და პოლიტიკური საქმიანობის მიუხედავად „სახელი და მეფეთა შორის წარჩინებულება მას იმდენად სამხედრო ძლევამოსილებით არ უნდა ჰქონდეს მოხვეჭილი, რამდენადაც საქართველოს შინაური აღმშენებლობისა, განახლებისა და აღორძინებისათვის ზრუნვითა, ფართო გეგმითა და მიზანშეწონილი საშუალებით წარმოებული დიადი მუშაობით".[3] ამ „დიად მუშაობაში" ხაზგასმულია მეფის საშინაო საქმიანობა, მაგრამ, როგორც დავინახეთ, საერთო რთული საერთაშორისო ვითარების ფონზე, ალექსანდრე მეფე, არსებული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ცდილობს აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებასაც და ამით ქვეყნისათვის შესაბამისი სარგებელის მოტანას. ვფიქრობთ, მისმა ამ სფეროში მოღვაწეობამაც განაპირობა ალექსანდრე მეფისათვის „დიდის" წოდება. ქ. შარაშიძის მიერ გამოქვეყნებულ XIV-XV სს. მეფეთა მოსახსენებელთა შორის ალექსანდრე მეფის მოსახსენიებელი გამოირჩევა ხაზგასმული სათანადო პატივით, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს: „სულსა მის ყოვლისა აღმოსავლეთისა ვიდრე დასავლეთამდის ჴელმ-

---

[1] ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, გვ. 474.

[2] გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1967, გვ. 33.

წიფედ ფლობით მპყრობელსა, მეფეთა შორის წარჩინებულსა ალექსან-დრეს შეუნდოს ღმერთმან".[1]

## 2. ბიზანტიის დაცემა და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის

XV საუკუნის 50-იანი წლებიდან აშკარად იჩინა თავი საქართველოს დაშლის ნიშნებმა. ერთიანი სახელმწიფოს მეფის, გიორგი VIII-ის რეალური ძალაუფლება მხოლოდ ქართლზე, კახეთზე და იმერეთზე ვრცელდებოდა. სამცხე-საათაბაგოსა და დასავლეთი საქართველოს მთავრები ცდილობდნენ სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას. მათ ჰყავდათ საკუთარი ჯარი და ფაქტობრივად დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდნენ.[2] მეფის ცენტრალურ ხელისუფლებასა და ცენტრიდანულ ძალებს შორის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა. ძნელი სათქმელია, რით დამთავრდებოდა ეს ბრძოლა, ქვეყანას რომ ხელსაყრელი — მშვიდობიანი საგარეო პირობები ჰქონოდა. მაგრამ მოხდა პირიქით, მკვეთრად გაუარესდა საგარეო ვითარება. ირანის ერთ ნაწილში შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფო ჩამოყალიბდა ჯეჰან შაჰის მეთაურობით, მეორე ნაწილში კი თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფო უზუნ ჰასანის მეთაურობით. მალე ეს სახელმწიფოები შეცვალა კიდევ უფრო აგრესიულმა სახელმწიფომ — სეფიანთა ირანმა. კიდევ უფრო მრისხანე მოვლენები ვითარდებოდა სამხრეთ-დასავლეთით. XIII საუკუნეში დაარსებული ოსმალთა პატარა სამთავრო მალე უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა და უკვე ოსმალთა პირველმა ხელისუფლებმა წამოიწყეს დიდი დაპყრობითი ომები.

ოსმალთა აგრესიის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გახდა ქრისტიანული, დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ბიზანტიის იმპერია. XIV საუკუნის მიწურულს საფრთხეში აღმოჩნდა ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი. მაგრამ ოსმალთა წინსვლა დროებით შეაჩერა აზიის დიდმა დამპყრობელმა თემურ-ლენგმა. 1402 წელს ანკარასთან ბრძოლაში მან გაანადგურა თურქ-ოსმალთა ჯარები და დაატყვევა სულთანი ბაიაზედი. თურქების დამარცხებამ დაამშვიდა ბიზანტიისა და ევროპის სახელმწიფოთა მმართველი წრეები. მართლაც, ანკარის ბრძოლამ მთელი ნახევარი საუკუნით გადაავადა კონსტანტინოპოლის დაცე-

---

[1] ქ. შარაშიძე. საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.). „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის". ნაკვ. 30. თბ., 1954. გვ. 230.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ., 1979. გვ. 734.

მა, მაგრამ ოსმალეთი მალე კვლავ გაძლიერდა და განაახლა შეტევა. ბიზანტია XV საუკუნის დასაწყისში ოდესღაც ძლევამოსილი იმპერიის აჩრდილს წარმოადგენდა. ბიზანტიის იმპერატორის ძალაუფლება ფაქტობრივად მხოლოდ კონსტანტინოპოლზე ვრცელდებოდა. იმპერიის დანარჩენ ტერიტორიაზე თურქები ბატონობდნენ. სამართლიანად უწოდა ინგლისელმა მკვლევარმა ს. რანსიმენმა ამ პერიოდის ბიზანტიას „მომაკვდავი იმპერია".[1] დაუძლურებული ბიზანტიის ხსნა მხოლოდ ევროპის სახელმწიფოთა ერთობლივ გამოსვლას შეეძლო. ბიზანტიის იმპერატორები ცდილობდნენ ევროპისაგან დახმარების მიღებას. ამ მიზნით მანუელ II პალეოლოგი ჯერ კიდევ 1400 წელს ეწვია იტალიას, საფრანგეთსა და ინგლისს. ეს ვიზიტი უშედეგოდ დამთავრდა. რომის პაპი ცდილობდა, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ბიზანტიის კრიტიკული მდგომარეობა და მიეღწია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების გაერთიანებისათვის. იმპერატორი იოანე VIII იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო.

ფერერა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე (1438-1439) მიღწეულ იქნა შეთანხმება ეკლესიების გაერთიანების შესახებ, მაგრამ შეთანხმებაზე ხელმოწერა გაცილებით იოლი აღმოჩნდა, ვიდრე უნიის პრაქტიკული განხორციელება. კონსტანტინოპოლის სამღვდელოება და მოსახლეობა მტრულად შეხვდა უნიას. დასავლეთის ერეტიკოსებთან განცდილი მარცხის მიუხედავად მოხერხდა თურქთა წინააღმდეგ კოალიციის შექმნა. კოალიციაში შევიდნენ უნგრეთის მეფე, სერბიისა და ალბანეთის მმართველები. 1444 წელს ვარნასთან და 1446 წელს კოსოვოს ველზე მომხდარ ბრძოლებში თურქებმა სასტიკად დაამარცხეს მოკავშირეები. ამ გამარჯვებებმა განამტკიცეს ოსმალეთის სამხედრო ძლიერება და განაპირობეს ბიზანტიის იმპერიის საბოლოო დაცემა.[2]

ბიზანტიის იმპერატორი დახმარებას ეძებდა მართლმადიდებლურ ქვეყნებშიც. 1449 წელს საქართველოში სპეციალური მისიით ჩამოვიდა იმპერატორ კონსტანტინე XI-ის წარმომადგენელი სფრანძესი. სფრანძესს დავალებული ჰქონდა, საცოლე შეერჩია იმპერატორისათვის. გიორგი VIII-თან მიღწეული შეთანხმებით, იმპერატორისათვის უნდა მიეთხოვებინათ ქართველი მეფის ქალიშვილი. ეს ქორწინება რომ საქართველოსთან პოლიტიკური კავშირის დამყარებას ისახავდა მიზნად, აღნიშნა აკად. თ.. უსპენსკიმ.[3] ეს მოსაზრება გაიზიარეს ქართველმა მკვლევრებ-

---

[1] С. Рансимен. Падение Константинополя, в 1453, М., 1983, стр. 12.

[2] მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები. თბ., 1990, გვ. 35.

[3] Ф. И. Успенский. История Византийской империи. т., III, М.-Л., 1948, გვ. 778.

მაც.[1] როგორც ჩანს, კონსტანტინე XI იმედოვნებდა, რომ საქართველოს მეფისაგან მიიღებდა სამხედრო და ფინანსურ დახმარებას. ქორწინება ვერ შედგა, იმპერატორი დაიღუპა კონსტანტინოპოლის დაცვის დროს. წყაროებიდან არ ჩანს, რომ საქართველოს რაიმე დახმარება აღმოეჩინოს ბიზანტიისათვის. საქართველოში შექმნილი რთული შინაპოლიტიკური ვითარება ალბათ გამორიცხავდა დახმარების შესაძლებლობას.

1453 წლის აპრილის დასაწყისში ოსმალთა სულთანმა მეჰმედ II-მ ალყა შემოარტყა კონსტანტინოპოლს. მცირერიცხოვანი გარნიზონი და მოსახლეობა შეუპოვრად იცავდა ქალაქს, მაგრამ ძალები მეტად არათანაბარი იყო. ევროპამ ფაქტობრივად არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა ალყაშემორტყმულ კონსტანტინოპოლს. თვითმხილველთა მოწმობით, ეს აშკარა ღალატი იყო.[2] 53 დღიანი ალყის შემდეგ, 1453 წლის 29 მაისს თურქებმა აიღეს კონსტანტინოპოლი. ბიზანტიის იმპერიამ შეწყვიტა არსებობა. კონსტანტინოპოლის დაცემა ოსმალეთის მეზობელი სახელმწიფოებისათვის ნამდვილი ისტორიული ტრაგედია იყო. კონსტანტინოპოლის დაცემას განსაკუთრებით კატასტროფული შედეგები მოჰყვა საქართველოსათვის. ქრისტიანული, მაღალკულტურული და ამავე დროს დასუსტებული, სახელმწიფოს ნაცვლად საქართველოს მეზობლად აღიმართა ძლიერი, ბარბაროსული, სამხედრო-ფეოდალური, აგრესიული იმპერია. ოსმალეთის სახელმწიფო საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების გზაზე შემაფერხებელ მუდმივმოქმედ ფაქტორად იქცა. კონსტანტინოპოლის დაცემის მნიშვნელობა ზუსტად და ლაკონიურად შეაფასა ვახუშტი ბატონიშვილმა: „კუალად ამის შინა განრისხნა ღმერთი ქრისტიანთა ზედა ცოდვათა ჩუენ ქრისტეანთათვის და აღიღო მაჰმად კონსტანტინეპოლი. ამან მაჰმად მეორესა წელსა მეფობისა თავისისა წარიღო სამეფო ქალაქი. გარნა წაღება ესე დაუსახავდა საქართველოს დიდსა ბოროტსა“.[3]

ოსმალეთის გაბატონებამ მძიმე დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან გადიოდა ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი მსოფლიო მნიშვნელობის

---

[1] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. VIII. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1970. გვ. 43; მ. სვანიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 97-98.

[2] Византийские историки Дука и Франдзи о падении Константинополя (перевод и предисловие А. С. Степанова, Византийский временник), т. VII, М., 1953, გვ. 397.

[3] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. იხ. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973. გვ. 284-285.

საზღვაო და სახმელეთო სავაჭრო-სატრანზიტო გზები. უმნიშვნელოვანეს სავაჭრო არტერიას წარმოადგენდა შავი ზღვა. შავი ზღვის საშუალებით გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებდა შავი ზღვისა და ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებს შორის. XIII საუკუნემდე შავ ზღვაზე განუყოფლად ბატონობდა ბიზანტია. ამ უკანასკნელის დასუსტებასთან ერთად შავი ზღვის ვაჭრობაში თანდათან იზრდებოდა ევროპელთა, პირველ რიგში გენუელებისა და ვენეციელების [ხვედრითი წილი;] მათ შორის არსებობდა მწვავე კონკურენცია. საბოლოოდ ბრძოლა გენუელების გამარჯვებით დამთავრდა. მათ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს შავი ზღვის ვაჭრობაში. 1261 წელს გენუელებმა მიიღეს უბაჟო ვაჭრობის უფლება იმპერიის მთელ ტერიტორიაზე. მალე გენუელების მთავარი სავაჭრო ცენტრი გახდა ქ. კაფა ყირიმის ნახევარკუნძულზე. გენუელებმა სავაჭრო ფაქტორიების დაარსება დაიწყეს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზეც. ფაქტორიები მათ დააარსეს ბათუმში, გონიოში, სოხუმში, ბიჭვინთაში. საქართველო აქტიურად მონაწილეობდა ვაჭრობაში, რასაც ქვეყნისათვის დიდი შემოსავალი შემოჰქონდა. შავ ზღვას ჰქონდა არა მარტო რეგიონული მნიშვნელობა, აქ გადიოდა საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო გზაც. შავი ზღვისპირა ქალაქებში, მათ შორის საქართველოს ქალაქებშიც, ჩამოდიოდნენ ვაჭრები ინდოეთიდან, ჩინეთიდან, შუა აზიიდან, ირანიდან, სირიიდან, ეგვიპტიდან, ევროპის სახელმწიფოებიდან. ვითარება მთლიანად შეცვალა ბიზანტიის დაცემამ. კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ თურქებმა ჩაკეტეს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები და მიზნად დაისახეს მთელი შავი ზღვის სანაპიროს დაუფლება. აღსანიშნავია, რომ თურქებმა პირველი თავდასხმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მოაწყვეს უკვე 1454 წელს. 1461 წელს თურქებმა დაიპყრეს ტრაპიზონის საკეისრო, 1475 წელს — ყირიმის ნახევარკუნძული და მთელ შავ ზღვაზე გაბატონდნენ. შავი ზღვა „თურქეთის ტბად" იქცა. უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც ევროპას აზიასთან აკავშირებდა, ჩაკეტილი აღმოჩნდა.

შავ ზღვაზე ოსმალეთის გაბატონებამ აიძულა ევროპელები, დაეწყოთ აზიასთან დამაკავშირებელი ახალი საზღვაო თუ სახმელეთო გზების ძებნა. ამ გარემოებამ ობიექტურად დააჩქარა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები. 1498 წელს პორტუგალიელმა ზღვაოსანმა ვასკო დე გამამ აფრიკის შემოვლით მიაღწია ინდოეთს და აღმოაჩინა აზიასთან დამაკავშირებელი ახალი გზა. ამის შემდეგ ევროპელები დიდი ხნის განმავლობაში ამ გზით ეწეოდნენ ვაჭრობას აზიის ქვეყნებთან. ოსმალეთის დაპყრობებმა მნიშვნელობა დაუკარგა აგრეთვე იმ სახმელეთო-სავაჭრო გზებსაც, რომელთა ნაწილი საქართველოზე გადიოდა. ევროპელები-

სათვის მთავარი საშუამავლო პუნქტი გახდა სირიის ქალაქი ალეპო და სახმელეთო გზამ სამხრეთისაკენ გადაინაცვლა. ამან გარკვეული ცვლილებები ირანშიც გამოიწვია — თუ მანამდე ძირითად სავაჭრო ცენტრს თავრიზი წარმოადგენდა, თანდათან ამ ცენტრმა სამხრეთისაკენ — ისპაჰანისაკენ გადაინაცვლა და საქართველო ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზიდანაც დაშორებული აღმოჩნდა. ამრიგად, ოსმალთა წყალობით, საქართველო თითქმის მთლიანად გამოეთიშა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებს, რამაც, როგორც აღვნიშნეთ, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკონომიკას.

კონსტანტინოპოლის დაცემას არანაკლები უარყოფითი პოლიტიკური შედეგები მოჰყვა საქართველოსათვის.

თურქ-ოსმალთა სახელმწიფომ ერთ-ერთ მთავარ საგარეო პოლიტიკურ ამოცანად საქართველოს დაპყრობა დაისახა. პირველ დიდ წარმატებას ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოში მიაღწიეს, როდესაც ეს კუთხე ჩამოგლიჯეს საქართველოს და იქ ოსმალური წესწყობილება შემოიღეს. მაგრამ ოსმალები ამით არ კმაყოფილდებოდნენ — ისინი დაჟინებით ცდილობდნენ დასავლეთ საქართველოს დაპყრობას, ხოლო ხელსაყრელ ვითარებაში არც აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობაზე ამბობდნენ უარს. თავისი მიზნის მისაღწევად ოსმალეთი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა — ხშირად აწყობდა აშკარა სამხედრო ინტერვენციას, ხელს უწყობდა საქართველოს დაშლის პროცესს, მეფის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებას, შინა ფეოდალური ომების გაჩაღებას.

1555 წელს ირან-ოსმალეთს შორის დადებული ზავით ორმა დამპყრობელმა საქართველო გაანაწილა: დასავლეთი საქართველო ოსმალეთს ერგო, აღმოსავლეთი საქართველო — ირანს. ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოს საქმეებში ყოველგვარ ჩარევას ოსმალეთი თავის საშინაო საქმეებში ჩარევად თვლიდა და ირანთან ერთად წინ ეღობებოდა საქართველოს გაერთიანების ყოველგვარ მცდელობას. ასე მაგალითად, როდესაც ვახტანგ მეხუთემ, რომელიც იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის და ამ მიზნით იმერეთში თავისი ვაჟი არჩილი გაამეფა, სულთანმა ირანის შაჰს ოფიციალური პროტესტი განუცხადა — არჩილის გამეფება ოსმალეთის საშინაო საქმეებში ჩარევად მიიჩნია და ვახტანგ V იძულებული გახდა, ვაჟიშვილი იმერეთიდან უკან გაეწვია. დაახლოებით ანალოგიური შემთხვევა განმეორდა XVIII საუკუნის ბოლოს, როდესაც იმერეთის სამეფოს საერო და სასულიერო ფეოდალებმა ერეკლე მეორეს წინადადებით მიმართეს, შეეერთებინა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის იმერეთი, ერეკლე II-მ უარი განაცხადა. ამ უარის ერთ-ერთი მიზეზი ოსმალეთის მოსალოდნელი უარყოფითი რეაქცია იყო.

ყირიმის ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთმა სწრაფად გაავრცელა თავისი გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზე. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებმა მიიღეს ისლამი და საქართველოს ირგვლივ შეიკრა მტრული მაჰმადიანური გარემოცვის რკალი. ოსმალეთის წაქეზებით ჩრდილო კავკასიელებმა დაიწყეს გამანადგურებელი თავდასხმები საქართველოზე. ამ თავდასხმების მიზანს ტყვეებისა და ნადავლის ხელში ჩაგდება წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კავკასიელთა შემოსევებმა საქართველოს არანაკლები ზიანი მიაყენა, ვიდრე ირანისა და ოსმალეთის გამუდმებულმა აგრესიამ.

კონსტანტინოპოლის დაცემამ დიდი გავლენა მოახდინა ევროპის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაზე. ბალკანეთში ოსმალეთის გაბატონებამ საფრთხე შეუქმნა ევროპის, განსაკუთრებით ცენტრალური ევროპისა და რუსეთის სახელმწიფოების, უშიშროებას. ამ საფრთხემ დიდი ხნით განაპირობა ევროპის სახელმწიფოებისა და რუსეთის ირანთან ურთიერთობების ხასიათი. ამ ქვეყნებს, სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესების გარდა ირანის მიმართ გააჩნდათ პოლიტიკური ინტერესიც. ირანი თურქთის მთავარი მეტოქე იყო აზიაში. ევროპის სახელმწიფოები და რუსეთი ირანში ხედავდნენ ევროპაში ოსმალეთის აგრესიის შემაკავებელ ფაქტორს. შემთხვევითი არ იყო, რომ უკვე პირველ ანტიოსმალურ კოალიციებში ცდილობდნენ ირანის ჩათრევას. ამიტომ ცდილობდა ყველა ეს სახელმწიფო, ჰქონოდა ირანთან ნორმალური „მეგობრული“ ურთიერთობა. შექმნილი ვითარება არახელსაყრელი იყო საქართველოსათვის. ცხადია, საქართველო დაინტერესებული იყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნით, მაგრამ, როგორც ვიცით, მიზეზთა მთელი რიგის გამო კოალიციის ყველა ცდა მარცხით მთავრდებოდა. ამავე დროს, საქართველო პირისპირ რჩებოდა მეორე აგრესორის, ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს ცდები, ევროპისა და რუსეთისაგან მიეღო რეალური დახმარება ირანის წინააღმდეგ, მარცხით მთავრდებოდა, რადგანაც ეს სახელმწიფოები პირველ რიგში საკუთარი პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესების დაცვაზე ზრუნავდნენ და არ სურდათ საქართველოს გამო ირანთან ურთიერთობის გამწვავება.

კონსტანტინოპოლის დაცემამ გარკვეული გავლენა მოახდინა საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრაზეც. საუკუნეების განმავლობაში მართლმადიდებლური ქვეყნები ბიზანტიას უყურებდნენ როგორც მსოფლიო სახელმწიფოს, მართლმადიდებლობის ცენტრს, მიიჩნევდნენ მას ძველი რომის იმპერიის მემკვიდრედ, უწოდებდნენ „მეორე რომს“. თვით ბიზანტიის უკიდურესი დასუსტების დროსაც კი მართლმადიდებლები ბიზანტიას მიიჩნევდნენ ქრისტიანების მფარველად და დამცველად. კონსტანტინოპოლის დაცემამ თავზარი

დასცა ქრისტიანულ ქვეყნებს. ასეთ ვითარებაში ბიზანტიის მემკვიდრედ თავი გამოაცხადა აღმავლობის გზაზე მდგომმა მოსკოვის სახელმწიფომ. (შემთხვევითი არ იყო ივანე III-ისა და სოფიო პალეოლოგის ქორწინება). მოსკოვში შემუშავდა ე. წ. „მესამე რომის" თეორია, რომლის არსი მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ორი რომი დაეცა, მესამე დგას (ე. ი. მოსკოვი), მეოთხე კი არასოდეს არ იქნება. რუსული სახელმწიფო არის უკანასკნელი მსოფლიო სახელმწიფო. მოსკოვის სახელმწიფო ცხადდებოდა მართლმადიდებლობის ცენტრად, ქრისტიანობისა და ქრისტიანული ქვეყნების მფარველად.[1] ეს თეორია ფართოდ გავრცელდა მართლმადიდებლურ ქვეყნებში და, როგორც ჩანს, საქართველოშიც. ცოტა მოგვიანებით განუცხადეს კიდეც საქართველოში ჩამოსულ მოსკოველ ელჩებს, თითქოს ძველ ქართულ ხელნაწერებში აღნიშნული იყო, რომ მოსკოვის მეფეები ბიზანტიის იმპერატორების ჩამომავლები არიან და ამდენად მათი მოვალეობაა საქართველოს დაცვა. იმერეთის მეფემ ალექსანდრე მესამემ რუსეთის ელჩებთან ტოლოჩანოვთან და იევლევთან საუბრისას აღნიშნა: „მე, ხელმწიფის ყმამ, იმისათვის ვირჩიე აღმოსავლეთის, ახალი რომის დიდი ხელმწიფე და მთელი ჩემი იმერეთის ქვეყნის უზენაეს ხელმწიფედ ვაღიარე იგი, რომ ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება გავმართოთ".[2] სავსებით ბუნებრივი იყო, რომ მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეულმა ქრისტიანულმა საქართველომ იმედის თვალი რუსეთს მიაპყრო. „მესამე რომის" რწმენამ, სხვა მიზეზებთან ერთად, განაპირობა ქართული სამეფო-სამთავროების მეტ-ნაკლებად მყარი ორიენტაცია რუსეთზე.

ბიზანტიის დაცემამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართული კულტურის განვითარებაზეც. ქრისტიანულ ბიზანტიასთან ქართველებს საუკუნეების განმავლობაში მჭიდრო კულტურული ურთიერთობა აკავშირებდათ. ბიზანტიის ეკონომიკური და პოლიტიკური დასუსტების დროსაც კი კონსტანტინოპოლი წარმოადგენდა მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ ცენტრს, რომელთანაც ურთიერთობა საქართველოს არასოდეს არ გაუწყვეტია. ბიზანტიის ადგილზე ჩამორჩენილი, ბარბაროსული სახელმწიფოს გაჩენამ დიდი ზიანი მიაყენა ქართულ კულტურას. ოსმალეთს არაფერი შეეძლო მიეცა მეზობელი ხალხების კულტურისათვის. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ საქართველო იზოლირებული აღმოჩნდა, მას უკვე აღარ შეეძლო რაიმე მიეღო აღმავლობის გზაზე

---

[1] История СССР, под редакцией Б. Д. Грекова т. I, М., 1948, გვ. 297.

[2] ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. რუსული ტექსტი თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ. თბ., 1970, გვ. 141.

მდგომი ევროპული კულტურისაგან.) ოსმალეთის როლი ქართული კულტურის განვითარების შეფერხებაში ზუსტად შეაფასა ივ. ჯავახიშვილმა: „სწორედ იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპაში რენესანსად წოდებული კულტურის მძლავრი აყვავება დაიწყო და შეუჩერებელი წარმატებით მიმდინარეობდა, საქართველოს ყოველგვარი საშუალება მოესპო, რომ ამ ნაყოფიერს შემოქმედების წყაროს გასცნობოდა და თვითონაც ამ მოძრაობის მოზიარე გამხდარიყო“.[1]

## 3. ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ცდები და საქართველო

"Res orientales" (აღმოსავლეთის საკითხი) — ასე უწოდებენ იმ პერიოდის დიპლომატები თურქ-ოსმალეთის პრობლემას, მისი გადაწყვეტის გზებსა თუ ამოცანებს.[2] ბიზანტია-ტრაპიზონის იმპერიების დაცემა — საერთაშორისო ვითარებაში ეს გლობალური ცვლილება და ძალთა გადანაწილება, ბუნებრივია, საქართველოს სამეფოსაც უშუალოდ შეეხო. გენუელთა ხომალდების მიერ ევროპაში ჩატანილ ახალ ამბავს დიდი რეზონანსი ჰქონდა; დასავლეთში არავინ ასეთ შედეგს სერიოზულად არ ელოდა, ევროპელი პოლიტიკოსები თავისი პრობლემებით იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ მომხდარი ფაქტით გამოწვეული შოკი საკმაოდ ძლიერი იყო: „Сам факт, что христианские государства не сумели прийти на помощь Константинополю, показал их явное нежелание воевать за веру, если не затронуты их непосредственные интересы”[3] როცა ასეთი დამოკიდებულებაა მსგავსი მნიშვნელოვანი გლობალური საერთაშორისო პრობლემებისადმი, გასაგები ხდება ევროპის ხელისუფალთა ქცევა თუ გარკვეული გულგრილობა, რომელიც ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობისა და აღმოსავლეთისადმი დახმარების აღმოჩენის საქმეში ვლინდება. მაჰმადიანთაგან ქრისტიანული იმპერიების განადგურებით გამოწვეული შეშფოთება თანდათანობით გადის და ბუნებრივია, ევროპის პოლიტიკოსთა ინდიფერენტიზმი თუ უმოქმედობა კიდევ უფრო იზრდება. ს. რანსიმენმა ასეთ ვითარებას შესანიშნავი ფორმულა მოუძებნა: „Совесть Западной Европы была

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ., 1966, გვ. 437.

2 ვრცლად იხ. დ. პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV საუკუნის 60-იან წლებში, თბ., 1989, გვ. 59...

С. Рансимен, Падение Константинополя в 1453 г. М., 1983, გვ. 159.

задета, но так и не пробудилась".[1] აქედან კარგად ჩანს, თუ ანტიოსმალური კოალიციის რეალურად შეკვრის საქმეში როგორი სირთულე და სიძნელეები არსებობდა.

მიუხედავად ამისა, ე. წ. „აღმოსავლეთის საკითხის" გადასაწყვეტად მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში ახალი ხანა დგება — ანტიოსმალური კოალიციების მზადების ეპოქა.

ჯერ კიდევ 1452 წელს ბურგუნდიის ჰერცოგი ფილიპე III საფრანგეთის მეფეს თავის ეპისკოპოსს — ჟან ჟერმენს უგზავნის და შარლ VII-ს თურქთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ მოუწოდებს. ასწლიანი ომი მთავრდებოდა, ამიტომ ფილიპე III შექმნილ ვითარებას ხელსაყრელად მიიჩნევს; მის ელჩს ჟან ჟერმენს ერთ-ერთ არგუმენტად ისიც მოჰყავს, რომ ეკლესიათა გაერთიანების შემდეგ აღმოსავლეთის ქრისტიანები დასავლეთის ბუნებრივი მოკავშირენი გახდნენ; ისიც თვალშისაცემია, რომ პროპაგანდისტული მიზნით, ევროპელი პოლიტიკოსები აღმოსავლეთის მოკავშირეთა ძალებსა და სამხედრო შესაძლებლობებს შესამჩნევად აზვიადებენ. ბურგუნდიის ჰერცოგს ჯვაროსნული ლაშქრობის მზადებისათვის 1457 წელსაც მიუმართავს.[2]

თურქ-ოსმალთა გეგმების ზრდის შესაბამისად მათ მიზანში უშუალოდ ევროპაც აღმოჩნდა, რაც დასავლეთის ხელისუფალთა დიდ შეშფოთებას იწვევს; არსებულ საშიშროებას მათ ქართველი დიპლომატებიც ატყობინებენ — ყვარყვარე ათაბაგის ბურგუნდიის ჰერცოგისადმი წარგზავნილი პირის სიტყვებით, თუ ევროპა დახმარების მხრივ შექმნილი მომენტით არ ისარგებლებს, მაშინ იგი მალე იხილავს თურქებს ვენის კარებთან.[3] თანდათან სულ უფრო ჩნდება ახალ-ახალი პროექტები თუ „მომხიბვლელი გეგმები" ჯვაროსნული ლაშქრობებისა და ანტიოსმალური ძალების გაერთიანების იდეით. ანტითურქული კავშირის ღერძი ვატიკანი და ბურგუნდია უნდა გამხდარიყო, რომელსაც შემდეგ ვენეცია, უნგრეთი და პოლონეთი დაუჭერდნენ მხარს.[4] აღსანიშნავია, კარდინალ ისიდორეს, პაპ ნიკოლოზ V-ის, პაპ კალიქსტ III-ისა და პიუს II-ის მიერ შემუშავებული გეგმები, რომელთაგან თავისი გაბედულებითა და მასშტაბურობით გამოირჩეოდა კალიქსტ III-ის მიერ დაგეგ-

---

1 С. Рансимен, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

2 С. П. Карпов, Трапезундская империя и западноевропейские государства в XIII-XV вв., М., 1981.

3 A. Manvelichvili, Histoire de la Géorgie, Paris, 1950, გვ. 260.

4 ლ. ტარდი, ვენეციის როლი უნგრეთთან საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობაში, „ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები", II, თბ., 1978, გვ. 198.

მილი ჯვაროსნული ომის პროექტი, რომელიც პაპმა პიუს II-მ თითქმის უცვლელად მიიღო.[1]

გეგმა ასეთი იყო: ოსმალთა პრობლემის გადასაჭრელად ევროპის ქვეყნების ერთიანი მოქმედება და მათი აღმოსავლეთის ქვეყნებთან კავშირი; ასეთ შემთხვევაში თურქები, ყვარყვარე ათაბაგის სიტყვებით, „ორ ჯარს შუა" მოექცოდნენ.

საქართველოში უფრო ნათლად ხედავდნენ ე. წ. „აღმოსავლეთის საკითხის" სიმწვავეს, რამდენადაც თურქ-ოსმალები უშუალოდ ქვეყნის საზღვრებთან საკმაოდ მალე გამოჩნდნენ: ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ 1454 წლის ივნისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისში აღინიშნა ოსმალთა პირველი თავდასხმა საქართველოს მიწა-წყალზე, კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე;[2] ცნობილია, რომ 1454 წელს მოხდა თურქთის ფლოტის რეიდი შავ ზღვაზე, როცა მათ სებასტოპოლისი-ცხუმი დაწვეს. ამ წლის თავდასხმის შედეგად საქართველო ოსმალეთის მოხარკე არ გამხდარა. 1461 წელს ტრაპიზონის იმპერიის ანექსიის შემდეგ კი მათი შემოსევები საქართველოს ზღვისპირეთზე უფრო ინტენსიური ხდება — ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1461 წელს არის კონსტანტინოპოლიდან ევროპაში გაგზავნილი, „კოლხეთში" თურქთა გამარჯვებაა აღნიშნული.[3]

ასეთ ვითარებაში საქართველო ანტიოსმალური კოალიციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა და მისი როლი ევროპის პოლიტიკურ წრეებში თავიდანვე აღიარებულია: ქ. გენუის მთავრის პეტრუს ფრეგოსკუსის მიერ არაგონის მეფე ალფონსისადმი გაგზავნილ წერილში იყო მოთხოვნა, რათა კავკასიისა და მათ შორის საქართველოს მიმართ მიღებულ იქნას გარკვეული ღონისძიებანი; 1461 წელს ანგელუს ვადპუსი თავის მეგობარ რობერტ ვალტურიოს კონსტანტინოპოლიდან ატყობინებდა ოსმალეთ-საქართველოს შორის არსებულ ბრძოლაზე. ევროპელთა ყურადღება და ინტერესი ქართველთა მიმართ იზრდება. ქ. სიენას ეპისკოპოსი ენეა სილვიო დე პიკოლომინი (იგივე პაპი პიუს II) თავის მეგობარს, გამოჩენილ უნგრელ ჰუმანისტს, კანცლერსა და ეპისკოპოსს — ჯოვანი ვიტეზს ატყობინებდა, რომ დადგა დრო, მთელი მსოფლიო გაერთიანდეს ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რაშიც „უნგრეთთან, რუსეთთან, გერმანიასთან ერთად შეიძლება იმედი ვიქონიოთ პა-

1 შ. ლომსაძე. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან (ახალციხური ქრონიკები). თბ., 1979. გვ. 14-15.

2 მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.). თბ., 1990. გვ. 112-113.

3 ლ. ტარდი. უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობები XVI საუკუნეში. გვ. 19.

პის, ვენეციის, გენუის, ტრაპიზონის იმპერატორისა და ქართველთა მეფისა“.[1]

XV ს-ის 50-იანი წლები საერთაშორისო ურთიერთობების დიდი მრავალმხრივობით გამოირჩევა: საქართველოს სამეფო კარიც მხოლოდ ევროპასთან კონტაქტებით არ კმაყოფილდება, ეს კარგად ჩანს თუნდაც იმ ფაქტით, რომ 1453 წელს საქართველოს ხელისუფლებას მოსდის ეგვიპტის სულთნის ინალის (1453-1460) წერილი, რომლითაც კვლავ დასტურდება საქართველოსა და ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობები (საქართველოს მეფეში გიორგი VIII უნდა იგულისხმებოდეს). ინალის წერილში ლაპარაკია საქართველოს გარეთ ქართველების მიერ სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებისა და სამონასტრო ქონების ფლობაზე, ამავე ეპისტოლეში აღნიშნულია, რომ, ქართველთა მეფის ცნობით, საქართველოს სამეფოში ბევრი მუსლიმი შედის, სადაც ისინი თავისუფლად და უშიშრად გრძნობენ თავს; ამის დასადასტურებლად საქართველოს მეფეს კაიროში თავისი ქვეშევრდომი სუფი შეიხებიც კი გაუგზავნია;[2] უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველთა მეფე შესაბამის უფლებებს ითხოვს ქართველებისათვისაც.

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ თურქ-ოსმალთა მოხარკე გახდა ტრაპიზონიც, მაგრამ კეისარი იოანე IV კომნენოსი კარგად ხედავს, რომ მოკავშირეების გარეშე იგი ასეთ არსებობასაც დიდი ხნით. ვერ შეინარჩუნებს. ტრაპიზონის იმპერატორი კავშირს კრავს მეჰმედ II-ის მოწინააღმდეგეებთან: სინოპის ბატონი, ისფენდიარის გვარის კასტამუნელი მთავარი ისმაილბეგი, ყარამანიის ბატონი იბრაჰიმი, თეთრბატკნიანთა ფადიშაჰი-უზუნ-ჰასანი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ კავშირში სათანადო მონაწილეობა ქართველ მეფე-მთავრებსაც უნდა მიეღოთ.[3] ტრაპიზონის საკეისროს დაცვა-მფარველობა თუ მეგობრული დამოკიდებულება ქართული დიპლომატიის ტრადიციული კურსი იყო; ამავე დროს, საქართველოს ხელისუფლება ხედავს საშიშროებას ოსმალეთის მხრიდან და ასეთი ბუფერული სახელმწიფოს არსებობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ტრაპიზონის უკანასკნელი იმპერატორი დავით კომნენოსი სარგებლობს, რომ თურქთა სულთანი ევროპის საკითხებითაა დაკავებული და ასეთი ვითარების გამოყენებას ცდილობს: მან კავშირი დაამყარა ვენეციისა და გენუის რესპუბლიკებთან, რომის პაპთან, თეთრბატკნიანთა ფადიშაჰ-უზუნ-ჰასანთან. ბურგუნდიის ხელისუფლები-

[1] ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობები XVI საუკუნეში, გვ. 19, 20.
[2] გ. ჯაფარიძე. ქართველები იერუსალიმში, „ლიტერატურული საქართველო“, 15/II, 1985.
[3] დ. პაიჭაძე. ვენეცია-ოსმალეთის ომი და საქართველო (XV ს-ის 70-იანი წლები), „ცისკარი“, 1988, №8. გვ. 155.

სათვის დავით კეისრის მიერ გაგზავნილი წერილით მოკავშირეები, ჰერცოგის კოალიციაში მონაწილეობის შემთხვევაში, მას იერუსალიმის სამეფო ტახტს ჰპირდებოდნენ. ამ დიპლომატიურ საქმიანობაში აქტიურად ებმებიან ქართველი ხელისუფალნი — საქართველოს მეფე, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრები.[1]

ამ პერიოდის ანტიოსმალური კოალიციის შეკვრაში განსაკუთრებით აქტიურობს კარგად ცნობილი დიპლომატი — ლუდოვიკო ბოლონიელი, რომელიც 1456 წელს უკვე საქართველოში ჩანს; აქედან მას რომის პაპისათვის განკუთვნილი წერილები მიაქვს, რომლებიც, როგორც ჩანს, საქართველოს მეფისა და სამცხის ათაბაგის მიერაა გაგზავნილი. 1457 წლის 22 დეკემბრითაა დათარიღებული პაპის კალიქსტე III-ის წერილი — „პაპ კალიქსტეს პასუხი კეთილშობილ ბატონ გორგონას ქარციხეს ჰერცოგისადმი“;[2] აქედან ჩანს, რომ იგი პასუხობს ყვარყვარე II-ის წერილს, რომელიც ლუდოვიკო ბოლონიელს ჩაუტანია რომში. მასში დაფიქსირებულია ქრისტიან ხელისუფალთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის მიღწევის ფაქტი — პაპი აღნიშნავს: „ამ მშვიდობის საშუალებით თქვენ ადვილად შეძლებთ შეუდგეთ ურწმუნო ბარბაროსთა გაწყვეტას, რომლებიც თქვენთან ახლოს ცხოვრობენ. იმავე ნუნციოს (ლუდოვიკო ბოლონიელი, დ. ნ.) მონათხრობიდან შევიტყვეთ შენი პირობა, გააგრძელო ომი ყველა ქრისტიანის მტრის — თურქის წინააღმდეგ“... აქვე დაფიქსირებულია საინტერესო ინფორმაცია სამცხის ათაბაგთან დაკავშირებით: „ხოლო რაც შეეხება შენთვის (ე. ი. ათაბაგისათვის, დ. ნ.) ადმირალობის ანუ მთავარსარდლობის ბოძებას მთელს სამხედრო ძალებზე, რასაც თქვენი ქვეყნების ქრისტიანები ბარბაროსებზე სალაშქროდ მოაგროვებენ, ჩვენ შენ ამისათვის სავსებით ღირსეულად გთვლით და შენ შეგიძლია მამაშენის მსგავსად მთავარსარდალი იყო. ასე რომ, ჩვენ ამ წოდებას გიწყალობებთ“... რომის პაპი იმედს აძლევს შესაძლო მოკავშირეებს, რომ „ თქვენი გაერთიანების დიად ნაყოფს შეუერთდება უფრო დიდი, დასავლეთის ქრისტიანთა ძალების მეშვეობით, რომლებიც გაცხარებულნი დაესხმიან თავს თურქებს მეორე მხრიდან, ვინაიდან დასავლეთის ყველა ხელმწიფესა და ხალხს მოვუწოდებთ წერილით“[3]

ასევე ინტერესს იწვევს 1457 წლითვე დათარიღებული ეპისტოლე, რომელსაც იგი სწერს „ყოველ ქრისტიანე მორწმუნეთ, რომლებიც ფრანკებად იწოდებიან და რომელნიც სპარსეთსა და საქართველოში

---

1 С. Рансимен. დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

2 დ. პაიჭაძე. დასახ. მონოგრაფია, გვ. 83-85.

3 იქვე. გვ. 84.

ცხოვრობენ".[1] ინფორმაცია პაპს ლუდოვიკო ბოლონიელისაგან უნდა მიეღო, რომელიც ამ უკანასკნელს რეკომენდაციას უწევს აღმოსავლეთის „ფრანკების" საპატრიარქო ტახტის დასაკავებლად.

1458 წელს პაპი პიუს II ხდება, რომელიც ანტიოსმალური კოალიციის შეკრების საკითხში განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენს. კოალიციის შექმნის გზაზე მნიშვნელოვანი იყო 1459 წლის მანტუას კონგრესი, სადაც ევროპის ძირითადი ძალები უნდა შეკრებილიყო: რომის პაპი დიდ სახელმწიფოთა ყველა ხელისუფალს კონგრესსზე უშუალოდ დასწრებისაკენ მოუწოდებდა; მან საფრანგეთის მეფეს ოქროს ვარდი გაუგზავნა და „უქრისტიანესის" ტიტულის დამსახურება შესთავაზა — მას ფრანგი მეფეები ლუი IX წმინდის შემდეგ ატარებდნენ.[2] პაპმა როგორც სხვა ქვეყნებში, ისე საქართველოში თავისი ლეგატი გამოგზავნა — კვლავ ლუდოვიკო ბოლონიელი,[3] რომელსაც იტალიაში ქართველი ელჩები უნდა წაეყვანა. ლუდოვიკო ბოლონიელი უკან მაშინ დაბრუნდა, როცა კონგრესი უკვე დამთავრებული იყო. მანტუას კონგრესს შედეგი ვერ მოჰყვა, დასავლეთის ძალების გაერთიანების მაგივრად, მათ შორის წინააღმდეგობების არსებობის ფაქტი გამომჟღავნდა.

ლუდოვიკო ბოლონიელი იტალიიდან 1458 წლის ბოლოს გამოდის, ხოლო დაახლ. 1460 წლის დასაწყისში საქართველოდან უკან ბრუნდება — მას თან აღმოსავლეთის ხელისუფალთა ელჩები მიჰყავდა; მოკლედ მათი ვინაობის შესახებ:[4]

კოალიციის აქტიური წევრია საქართველოს მეფე — ამ დროს, ტახტი ალექსანდრე I დიდის ვაჟს — გიორგი VIII-ს (1446-1466; 1466-1476 — კახეთში) უკავია, რომელიც ევროპულ წყაროებში მოხსენიებულია როგორც „სპარსეთის, დიდი სომხეთისა და მცირე იბერიის მეფე". მისი დავალებების შემსრულებელია ელჩი ნიკოლოზი, რომელიც თბილელად მოიხსენიება. არსებობს აზრი, რომ იგი საერო რაინდულ წოდებას უნდა მივაკუთვნოთ, ამიტომ „თბილელი" თბილისში დაბადებულს ნიშნავს, ანუ ეს ტერმინი ელჩი ნიკოლოზის წარმომავლობას, მის თბილისელობას აღნიშნავს და არა სახელოს — თბილელს; შესაძლებლადაა მიჩნეული, რომ იგი თბილისის მოურავად ან ამირად ჩავთვალოთ.[5] თუმცა, როგორც ცნობილია, არსებობს მ. თამარაშვილის მოსაზრება, რომელიც ძირითადად გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში —

---

1 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის., გვ. 50-51, 591.
2 დ. პაიჭაძე, დასახ. მონოგრაფია, გვ. 62.
3 1458 წ. 5 ოქტომბერს პაპის პიუს II-ის ოფიციალური ბულით მინორიტი ბერი ლუდოვიკო ბოლონიელი ქართველი და „სპარსი" კათოლიკების პატრიარქად დამტკიცდა.
4 ვრცლად იხ. დ. პაიჭაძის დასახ. მონოგრაფია, გვ. 192
5 იქვე, გვ. 136, 138.

ნიკოლოზის თბილისის ეპისკოპოსად მიჩნევა; მ. თამარაშვილი აღნიშნავდა, რომ თბილელი „უფრო განსაკუთრებულად ნიშნავს" თბილისის ეპისკოპოსს. „ვგონებ სრულიად საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, რომ ელჩად გაგზავნილი ნიკოლოზ, ტფილისის ეპისკოპოსად, თბილელად, მივიჩნიოთ."[1] აღმოსავლეთიდან გაგზავნილ ელჩობაში ნიკოლოზ თბილელი გამორჩეული პირი ჩანს, სიმპტომურია თუნდაც ის, რომ პაპთან აუდიენციაზე სწორედ მან წარმოთქვა სიტყვა პიუს II-ის წინაშე.

კოალიციის მეორე ქართული აქტიური მონაწილე — ყვარყვარე (გორგორა) II სამცხის ათაბაგია, რომლის სპეციალური ელჩი ისტორიულ წყაროებში იხსენიება, როგორც „ქასადან ქარცეხამი", რაც ფარსადან ქარციხელის დამახინჯებულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს.[2]

ისტორიულ წყაროებში კავშირის სხვა წევრებად საქართველოში იხსენიებიან: მეფე ბაგრატ VI (პანკრატიუს იბერიელი), სამეგრელოს მთავარი ბენდია ლიპარიტ დადიანი (1414-1470) ანუ იგივე ბედიანი, გურიის მთავარი („მარკიზი") — მამია (მანია) გურიელი; ზოგიერთი ცნობით, მათი მოკავშირეა ფაბია ანაკოფიის მთავარი — აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე.

გაერთიანებული ელჩობის არაქართველი წარმომადგენლებიდან სამს გამოვყოფდით:

1. დავით კომნენოსი — ტრაპიზონის უკანასკნელი იმპერატორი, რომლის ელჩად დასახელებულია დანტე ალიგიერის შთამომავალი მიქელ დე ალიგიერი;

2. უზუნ-ჰასანი — აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს ფადიშაჰი, იგი მესოპოტამიის ბატონად და ქრისტიანთა მეგობრად იწოდება — მისი ელჩია მაჰმუდ თურქმანი;

3. მცირე ანუ კილიკიის სომხეთის მთავარი (მისი ვინაობის დადგენა არ ხერხდება) — ელჩად დასახელებულია ვინმე „მორატი".

განვიხილოთ ამ გაერთიანებული ელჩობის მიერ განვლილი გზა და ის დიპლომატიური კონტაქტები, რომლებიც მათ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა ხელისუფლებთან ჰქონდათ:

კოლხეთიდან ელჩობამ „სკვითების ქვეყანა" გაიარა და დონისა და დუნაის გავლით უნგრეთში ჩავიდა, სადაც იგი უნგრეთის მეფემ მატიაშ კორვინმა მიიღო. იგნაციო აურელიო ფესლერი უნგრეთში ქართველი ელჩების მიერ გაწეული დიპლომატიური საქმიანობის შესახებ აღნიშნავს: „უნგრეთის მეფემ გულითადი მიღება მოუწყო და მოლაპარაკების

---

[1] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62-63.

[2] იქვე. გვ. 61; დ. პაიჭაძე, დასახ. მონოგრაფია, გვ. 139.

შემდეგ ერთდროულად წამოწყებული საქმის სასურველ წარმატებაში ოპტიმისტურმა იმედმა შეიპყრო ყველა"; ლ. ტარდი ამ დიპლომატიურ მისიას ასე აფასებს: „ ქართველ დიპლომატთა ინიციატივით ახალი პერიოდი დაიწყო სპარსელების, ქართველების, ვენეციელებისა და უნგრელების ურთიერთობაში".[1]

1460 წლის ოქტომბერში ელჩობა რომის საღვთო იმპერატორს ფრიდრიხ III-ს (1452-1493) მიუღია, რომლისთვისაც კოალიციაში მონაწილეობა და ჯარით დახმარება უთხოვიათ. დიპლომატიური ეტიკეტის თვალსაზრისით, საინტერესოა აღინიშნოს ასეთი ფაქტი: საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის ელჩი ნიკოლოზ თბილელი დაიხარა და იმპერატორისათვის ფეხზე კოცნა მოინდომა, რამაც ფრიდრიხ III ძალზე გააოცა; როცა იმპერატორმა ქართველი ელჩი წამოაყენა, მას განუცხადებია, რომ ასეთი ქცევა მათი წესია და სხვაგვარად იგი თავისი მეფის წინაშე ვერ გამოჩნდებოდა. როგორც ჩანს, ნიკოლოზ თბილელს სურდა, გამოეხატა განსაკუთრებული პატივისცემა იმპერატორისადმი, ხაზი გაესვა მისი უზენაესობისათვის და შეესრულებინა გარკვეული მოვალეობა "domini mundi"-ს წინაშე.[2]

იმპერატორმა ფრიდრიხ III-მ 1460 წლის 17 ოქტომბერს ქართველი მეფის გიორგი VIII-ის სახელზე წერილი შეადგინა, სადაც სხვა მომენტებთან ერთად აღნიშნულია, რომ „კონსტანტინოპოლის უბედურების დღიდან მოყოლებული ჩვენ ზრუნვითა და პატრონობით ერთგულად ვუწყობთ ხელს ძლიერი მხედრობის შექმნას ქრისტიანი ხალხის გასამარჯვებლად"; იმპერატორს მსგავსი წერილი გაუგზავნია სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II ჯაყელისათვის. რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი გაერთიანებულ ელჩობას რომის პაპის პიუს II-ის წინაშეც შუამდგომლობს: „ ბეჯითად გთხოვთ, რამდენი ელჩი, ანუ მოციქულიც კი იქნება, ლუდოვიკოს მეშვეობით მიიღოთ".[3]

ვენიდან ელჩობა ვენეციაში ჩადის, სადაც მოკავშირეთა დიპლომატები სენატის მიერ დიდი პატივით იქნა მიღებული. „ქარციხელ ჰერცოგად" წოდებული ყვარყვარე ათაბაგის ელჩმა — ფარსადან ქარციხელმა (ან ახალციხელმა) ვენეციის დოჟს თავისი სიუზერენის წერილი გადასცა, რომელიც მისსავე თხოვნას შეიცავდა — „ გთხოვთ, კეთილი ინებოთ და შემატყობინოთ, თუ რა ღონეს ხმარობთ კონსტანტინოპოლის დასაბრუნებლად, რათა მე ჩემის მხრივ, ჩემი ვალის მოხდა შევძლო".

---

1 ლ. ტარდი. დასახ. მონოგრაფია, გვ. 21, 22.

2 ქართველი დიპლომატის ასეთი ქცევის შესახებ ახსნა იხ., დ. პაიჭაძე. დასახ. მონოგრაფია, გვ. 90, 91.

3 დ. პაიჭაძე. დასახ. მონოგრაფია, გვ. 92.

აქვეა აღნიშნული იმ შეთანხმების შესახებ, რომელსაც ქართველმა ხელისუფლებმა მიაღწიეს ანტიოსმალური კოალიციის შეკვრის მიზნით: გიორგი VIII-მ, ბაგრატ VI-მ, ყვარყვარე II ათაბაგმა და ლიპარიტ დადიანმა (ბენდიანი) ერთმანეთში „ხელშეკრულება“ დადეს და „როდესაც თქვენი ბრწყინვალება და პაპი შეგვატყობინებენ დროს, დღესა და საათს გალაშქრებისათვის, ჩვენ მზადა ვართ და შეგვიძლია თქვენი ნებისმიერი ბრძანება ავასრულოთ, რასაც თქვენ ელჩების მეშვეობით შეგვატყობინებთ“. ათაბაგი ხაზს უსვამს მათ მიერ სხვა ქვეყნების მეთაურებთან ჩატარებული დიპლომატიური ურთიერთობებით მიღწეულ შედეგებს: „იმპერატორი ტრაპიზუნდისა, მისი სიძე უზუნ-ჰასანი და ბერდებეკ არმენიელი დამოყვრდნენ და შეგვპირდნენ მოგვცენ გზა ხმელეთისა და ზღვაზე და მთელი თავიანთი ძალებით ჩვენთან ერთად მათი მტრების — ოტომანი თურქების წინააღმდეგ გამოვიდნენ“.[1] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპულ წყაროებში ხაზი ესმება არაქრისტიანი „ძლევამოსილი თურქის“ — უზუნ-ჰასანის ქართველთა ხელშეკრულებისადმი შეერთებას, რასაც გარკვეული დიპლომატიური დატვირთვაც უნდა ჰქონოდა.

ვენეციიდან ელჩობა ფლორენციაში ჩავიდა და სენატის წინაშე წარსდგა. ტრაპიზონის ელჩმა მიქელ (მიქაელ) დე ალიგიერმა, სარეკომენდაციო წერილების წარდგენის შემდეგ, თავიანთი აუდენციის მიზეზის თაობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა. ფლორენციის ხელმწიფემ კოალიციაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა.

1460 წ. 20 დეკემბერს აღმოსავლეთის მოკავშირეთა ელჩობა რომში შევიდა, სადაც მათ თავიანთი ჩაცმულობითა და მანერებით თავიდანვე მიუქცევიათ ყურადღება; რომის პაპთან აუდენციაზე მიმართვის შემდეგ პიუს II-მ, დასავლეთის ხელისუფალთა შორის არსებული შეუთანხმებლობის გამო, ელჩებს უშუალოდ საფრანგეთისა და ბურგუნდიის ხელისუფლებთან გამგზავრება ურჩია; პაპმა ლუდოვიკო ბოლონიელსა და ელჩობის სხვა წევრებს საშვები და სარეკომენდაციო წერილები გადასცა ფლორენციის, ბურგუნდიისა და დასავლეთის სხვა მმართველებთან წარსადგენად.

რით იყო გამოწვეული პაპის ასეთი წინადადება: ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული აზრით, „1450-1460 წლების ისტორიული სიტუაციის ანალიზი გვარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს დიპლომატიის ერთ-ერთ ხერხთან, რომელსაც მიმართავს პაპი კონსტანტინოპოლის

---

1 ვ. პაიჭაძე. დასახ. მონოგრაფია, გვ. 94-95.

განთავისუფლებისათვის ძალთა მობილიზაციის უზრუნველსაყოფად."[1] ამ პერიოდში საფრანგეთ-ბურგუნდიას შორის დაძაბული ურთიერთობა არსებობდა, რომის პაპი კი ანტიოსმალური კოალიციის წარმატებისათვის აუცილებლად მიიჩნევს მათ შორის მჭიდრო კავშირის არსებობას; ამის პარალელურად, გიორგი VIII-სა და ყვარყვარე ათაბაგის წერილებში შინაპოლიტიკური ბრძოლა დაგმობილია და, საერთო საქმეში წარმატებისათვის, ხაზგასმითაა აღნიშნული მეფე-მთავრებს შორის მიღწეულ შეთანხმებათა მნიშვნელობა; როგორც მ. თამარაშვილი შენიშნავს, გიორგი VIII-თვის ასეთი შერიგება „ზოგ საქმეში საზიანოც იყო, მაგრამ იგი მაინც მოხარულია, რადგან ელის ღვთისაგან სულიერ საზღაურს".[2] ელჩების აუდენციის ამსახველ ფლორენციულ დოკუმენტებში ასევე ყურადღებაა გამახვილებული, რომ „აღმოსავლეთის მმართველები" ურთიერთშორის „დაზავებულან", „ხელშეკრულება დაუდიათ" და „მათ სურთ დაიწყონ ომი"... გამოთქმულია მოსაზრება, რომ იქნებ ამ მაგალითს ევროპაში აშლილობის განელება და სიტუაციის დარეგულირება მოჰყოლოდა, მითუმეტეს საერთო მტრის — ოსმალთა შემოსევების არსებობის პირობებში; როგორც ჩანს, პაპმა გადაწყვიტა აღმოსავლეთის კოალიციის ელჩების საფრანგეთის მიმართ დიპლომატიური მიზნით გამოყენება, რის შემდეგაც მოკავშირეთა დიპლომატები ჯერ შარლ VII-სთან, შემდეგ კი ლუი XI-ის კარზე აღმოჩნდნენ.[3]

შემდეგ ელჩობას მილანში ჰერცოგ ფრანჩესკო სფორცას კარზე ვხედავთ, სადაც მათ ანტიოსმალური კოალიციით რეალურად დაინტერესებული ხელისუფალი დახვდათ. მილანიდან დიპლომატიურმა მისიამ გეზი საფრანგეთისაკენ აიღო. ქ. გენტის ქრონიკაში შემონახულია საინტერესო ცნობა: „საფრანგეთის მეფესთან მოვიდნენ ყველაზე უფრო საოცარი და საკვირველი შესახედაობის ელჩები, რაც კი ოდესმე უნახავთ. ისინი მოვიდნენ საქრისტიანოს უშორესი და უცხო ქვეყნებიდან"...[4] შარლ VII-ის შემდეგ 1461 წლის 23 მაისს ელჩები ბურგუნდიის ჰერცოგთან აუდენციაზე გამოცხადდნენ; ბურგუნდიის უმაღლესი პირის პასუხში რეალური პოლიტიკისათვის ხელშესახებს ვერაფერს ვპოულობთ.

1461 წლის 4 ივლისს ელჩობა 4 დღით ქ. გენტს ესტუმრა — გენტის ქრონიკაში აღნიშნულია: „შაბათს საღამოს 1461 წ. 4 ივლისს ზემოთ ჩამოთვლილი შვიდი ელჩი გენტში მოვიდა. მათ დაათვალიერეს ხელოვნების ნიმუშები, ქალაქის საბჭოს შენობაში გააცნეს გენტის პრივილე-

---

1 ლ. ალექსიძე. საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1983, გვ. 20.

2 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

3 ლ. ალექსიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 21.

4 დ. პაიჭაძე, დასახ. მონოგრაფია. გვ. 107.

გიეში, ასევე დაათვალიერებინეს მთელი ქალაქი. მათ საპატივცემულოდ მოაწყვეს ტურნირი წყალზე ხიდებს შორის კორტე-ლეიში... ელჩები ცხოვრობდნენ იაკობ ვან ვესის ფუნდუკ „ოქროს თავში" ბურგშტრასზე. აქ ისინი თავს თავისუფლად გრძნობდნენ, ვინაიდან ჩვენმა ძლევამოსილმა სენიორმა (ე. ი. ბურგუნდიის ჰერცოგმა) გამცილებლად თავისი რაინდი გამოაყოლა. ოთხშაბათს, 8 ივლისს გამცილებლებთან ერთად მათ ქალაქი დატოვეს".[1]

გენტიდან საფრანგეთში დაბრუნებულ ელჩებს მეფე შარლ VII გარდაცვლილი დახვდათ — 1461 წლის 15 აგვისტოს ელჩები რეიმსში საფრანგეთის ახალი მეფის — ლუი XI-ის კორონაციას დაესწრნენ. შედეგთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთ-ბურგუნდიასთან დიპლომატიურ კონტაქტებს რეალურად არაფერი მოჰყოლია.

1461 წლის 27 ოქტომბერს დიპლომატიური მისია საფრანგეთიდან კვლავ მილანში ჩავიდა — ისევ იგრძნობა ჰერცოგ ფრანჩესკო სფორცას აქტიურობა; ამავე წლის 20 ნოემბერს ლუდოვიკო ბოლონიელი და მოკავშირეთა ელჩები უკვე რომში არიან, სადაც პაპმა ცივად მიიღო ისინი — ასეთი მოულოდნელობა ლუდოვიკო ბოლონიელის პიროვნების გარშემო წარმოშობილი ხმებითა და აჟიოტაჟით (მისი ავანტიურისტობის შესახებ...) იყო გამოწვეული.[2]

თანდათანობით იკვეთება, რომ მოკავშირეთა ცდანი სულ უფრო წარუმატებელი ხდება და იგი დიპლომატიური მარცხისთვისაა განწირული. ამის ყველაზე სავალალო შედეგი ტრაპიზონის იმპერიის დაცემა იყო: დავით ტრაპიზონის იმპერატორი, როგორც ჩანს, დაიმედებული ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შესაძლებლობით, ყოველგვარი რეალური, ძლიერი მოკავშირის გარეშე, 1461 წელს უზუნ-ჰასანის ელჩების პირით ოსმალთა სულთან მეჰმედ II-ს ხარკისაგან გათავისუფლებას სთხოვს, რასაც თურქთაგან საომარი ოპერაციები და ტრაპიზონის დაცემა მოჰყვა. შედეგი თვალნათლივ ლაპარაკობს ანტიოსმალურად განწყობილი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დიპლომატიის მნიშვნელოვან მარცხზე — არა თუ კონსტანტინოპოლის დაბრუნება და მაჰმადიანთა განდევნა მოხერხდა, არამედ მეორე ქრისტიანული სახელმწიფოც დაიკარგა. 1463 წელს დავით კომნენოსი თავისმა მეგობარმა, მრჩეველმა და ელჩმა გიორგი ამირუცისმა სულთანთან დაასმინა — ამავე წლის 1 ნოემბერს უკანასკნელი კეისარი ღალატის ბრალდებით თავის ექვს ვაჟთან და ნათესავ ალექსისთან ერთად სიკვდილით დასაჯეს.

---

[1] დ. პაიჭაძე, დასახ. მონოგრაფია, გვ. 109.
[2] იქვე. გვ. 112.

მოკლედ უნდა შევჩერდეთ ტრაპიზონის საკეისროს დაცემის ფაქტთან დაკავშირებულ ერთ საკითხზე: 1461 წელს ტრაპიზონის იმპერატორის ცოლი — ელენე დედოფალი საქართველოში მიემგზავრება თავის სიძესთან დახმარების სათხოვნელად. სულთანი მეჰმედ II საქართველოში დედოფლის გაქცევამ ძალზე გაანაწყენა. ამასთან დაკავშირებით ს. რანსიმენი აღნიშნავს: „Ни одно западное государство не могло в тот момент прийти к нему на помощь, а грузины никогда бы не вмешались в одиночку".[1] ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში, იმ პერიოდის საერთაშორისო ძალთა განლაგებიდან გამომდინარე, საქართველოს სამეფო კარის ცალკე — მარტო, მოკავშირის გარეშე მოქმედება დაღუპვის ტოლფასი იყო; ქართული დიპლომატია ამ მხრივ სწორად მოიქცა, მითუმეტეს, როცა ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად შესაბამისი მზადება მიმდინარეობდა. რაც შეეხება საქართველოს სამეფოს ამ ბრძოლაში მონაწილეობის ს. რანსიმენისეული საერთო სურათის შეფასებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ბრალდება „А грузины никогда бы не вмешались в одиночку" — არასწორი და არაობიექტურია, რადგან საქართველოს ხელისუფლებასა და ქართულ დიპლომატიას, გამოუვალი ვითარების გამო, იძულებით არაერთხელ უმოქმედია მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით.

ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობა მარცხით დასრულდა, პაპმა პიუს II-მ მხოლოდ ის მოახერხა, რომ საბერძნეთში გასალაშქრებლად არაორგანიზებული ჯვაროსნული რაზმები შეაგროვა, მაგრამ 1464 წელს პაპი გარდაიცვალა, რამაც ყოველივე საბოლოოდ ჩაშალა.

წარუმატებლობის ძირითადი მიზეზები:

1. დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა — 100 წლიანი ომი ახალდამთავრებული იყო და ევროპა მხოლოდ ახლა იშუშებდა მიყენებულ იარებს; დღის წესრიგში საკუთარი საშინაო პრობლემები იდგა;

2. ოსმალეთი დასავლეთს ისე უშუალოდ არ ემუქრებოდა, როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებს; იგი თითქოს მათგან შორს იყო და საფრთხეც ისეთი აქტუალური და საშიში არ ჩანდა. დასავლეთის ქვეყნების არც ეკონომიკური ინტერესები ილახებოდა ისე აღმოსავლეთში, როგორც თურქ-ოსმალეთის მეზობელი ქვეყნებისა.

3. XV ს-ის ევროპაში ეროვნულ-ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა, ამიტომ მათი საგარეო პოლი-

---

[1] С. Ранснмен, დასახ. ნაშრომი, გვ. 155-156.

ტიკა და დიპლომატია ძირითადად საკუთარი ინტერესების განხორციელებით იყო დაკავებული.

გამართლდა წინასწარმეტყველური სიტყვები: „თუ ახლა ჩვენთან ერთად არაფერს იმოქმედებთ (იგულისხმება ევროპის ხელისუფალნი, დ. ნ.), შემდეგში, კიდევაც რომ გულით მოინდომოთ, ვერაფერი გარგებთ, რადგან უსჯულო ოსმალეთი მუდამ დღე ძლიერდება"...[1]

რაც შეეხება ზემოაღწერილ დიპლომატიურ მისიას, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული დიპლომატიის ისტორიაში ასეთი დატვირთვის, ინტენსივობის, საინტერესო ინფორმაციისა და დასავლეთის სახელმწიფოთა უმაღლეს ხელისუფლებთან მნიშვნელოვანი უშუალო კონტაქტების შემცველი ელჩობა ძნელად მოიძებნება; ნაკლებად, რომ მას მასშტაბურობით ქართული დიპლომატიის ისტორიაში რომელიმე დიპლომატიური ღონისძიება შევადაროთ (მიუხედავად შედეგებისა).

ანტიოსმალური კოალიციის ჩაშლამ XV ს-ის შუა ხანებიდან საქართველო მუსლიმური სახელმწიფოების რკალში მოაქცია. ამ პერიოდის ქართული დიპლომატიის მთავარი საკითხი თუ საზრუნავი უკვე არათუ აღმოსავლეთის „ქრისტიანობის ბურჯის" როლისა და „დასავლეთ-აღმოსავლეთს" შორის დამაკავშირებლის ფუნქციის შესრულებაა, არამედ იმ დიდი საშიშროების როგორმე აცილება, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობას განადგურებით ემუქრება.

## 4. XV საუკუნის II ნახევრის ქართული დიპლომატია

XV ს-ის მეორე ნახევრის დიპლომატიის ერთ-ერთი კარდინალური საკითხი კვლავ ოსმალეთის პრობლემაა. 1463 წლის ვენეცია-ოსმალეთის ომი დაიწყო — რესპუბლიკის ხელისუფლება დასახულ ამოცანას მარტო ვერ წყვეტს, ვითარება ბრძოლისათვის ჯვაროსნული ხასიათის მიცემას მოითხოვდა. ამ დროს, XV ს-ის II ნახევრის ირანში თურქმანთა ორი გაერთიანების — „შავბატკნიანთა" და „თეთრბატკნიანთა" ურთიერთდაპირისპირება 1467 წელს ამ უკანასკნელის მბრძანებლის უზუნ-ჰასანის (1453-1478) გამარჯვებით დასრულდა.[2] ერთმანეთის პირისპირ ორი ძლიერი ძალა — თურქ-ოსმალები და უზუნ-ჰასანის აყ-ყოიუნლუს თურქმანები აღმოჩნდნენ. ირანის ფადიშაჰის ერთ-ერთ მთავარ მიზანს შავ

---

[1] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

[2] ვ. გაბაშვილი, თურქმანები, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა)", ვ. გაბაშვილის რედაქტორობით, თბ., 1957, გვ. 227-228.

ზღვაზე გასვლა წარმოადგენს, ხოლო ოსმალთა მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაპყრობის შემდეგ, უზუნ-ჰასანს ზღვაზე ერთადერთ გასასვლელად მხოლოდ საქართველოს ტერიტორია რჩება. სწორედ ამ დროს დაისვა ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში „გურჯისტანის საკითხი".

საქართველო ორი ძლიერი მაჰმადიანური სახელმწიფოს გარემოცვაში აღმოჩნდა, რამაც კიდევ უფრო გაართულა მისი მდგომარეობა. ამავე დროს, საქართველოს სამეფო კარის პოზიციამ და ქართული დიპლომატიის ორიენტაციამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა თავად ამ ორი დაპირისპირებული მხარისათვისაც. უზუნ-ჰასანი, რომელიც ანტიოსმალური კოალიციის შეკვრის მცდელობისას საქართველოსა და სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან მოკავშირეობს, დიპლომატიური ვითარებისა თუ საერთაშორისო კლიმატის ცვლილების შედეგად, თავად არბევს „მოკავშირეს"; ფადიშაჰის დიდ გეგმებში საქართველოს დაპყრობის საკითხიც იდგა. ამას ადასტურებს მისი საქართველოში ხუთჯერ შემოსევა.[1] დაახლ. 1457 წლის გარშემო მან პირველად „ლაშქრობის დროშა საქართველოს მხარისაკენ ააფრიალა".[2] XV ს-ის II ნახევარში საქართველოს საშინაო დიპლომატიაში დაშვებული შეცდომები საგარეო ფაქტორის უარყოფით ზეგავლენას კიდევ უფრო ზრდის. გიორგი VIII-ის და მომავალი ბაგრატ VI-ის ურთიერთდაპირისპირების ხანაში ყვარყვარე სამცხის ათაბაგი ძლიერ მოკავშირეს ეძებს, მისი დიპლომატიური გათვლები, ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის ვითარებაში, რთული ასახსნელი არ არის. „პარიზის ქრონიკის" მიხედვით, 1462 წელს „უზუნ-ჰასან-ყაენი მოვიდა სამცხეს, ყვარყვარეს უშველა".[3] ჩიხორის ბრძოლის წინა პერიოდში, ვახუშტის სიტყვებით, „განდგა ათაბაგიცა".[4] ამდენად, საქართველოს სამეფო ტახტის ურჩი მთავარი ძლიერ მოკავშირეს იჩენს, რაშიც თავად უზუნ-ჰასანიც დიდადაა დაინტერესებული.

ყვარყვარე II ათაბაგის განდგომას და მის დასახმარებლად საქართველოში დაახლ. 1462/63 წლებში უზუნ-ჰასანის შემოჭრას უნდა მოჰყოლოდა მისი ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში ფეხის მოკიდება; როგორც ჩანს, ამ დროს ხდება ფადიშაჰის მიერ ლორეს ციხეში თავისი მეციხოვნეების ჩაყენება და ლორეს მთელი ხეობის თავის საბრძანებლად გადაქცევა.

---

[1] დ. ნინიძე, საქართველოში უზუნ-ჰასანის შემოსევების საკითხისათვის, თსუ შრომები, ტ. 309, 1992, გვ. 132-137.

[2] კ. კუცია, „აჰსან ათ-თავარიხის" ცნობები XV საუკუნის შესახებ, „საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები", II, თბ., 1979, გვ. 80.

[3] ცხოვრება საქართველოჲსა („პარიზის ქრონიკა"). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 39.

[4] ვახუშტი, გვ. 897.

საქართველო — უზუნ-ჰასანის ურთიერთობას ჰქონდა მეორე მხარეც: საერთო მტრის არსებობის პირობებში მათ შორის დარეგულირებული დიპლომატიური თანამშრომლობაც არსებობდა, მაგ., ერთიანი ელჩობები და სხვ. 1463 წელს ვენეციის რესპუბლიკამ დახმარების მოთხოვნით უზუნ-ჰასანთან და ყარამანიის ბატონ ფირ-ახმედთან თავისი ელჩი — ანდრეა კორნარო მიავლინა, რომელმაც ყარამანიაში თავისი მისია წარმატებით შეასრულა. 1464 წელს ვენეციაში უზუნ-ჰასანის ელჩი-მამეტანასაბი და ფირ-ახმედის წარმომადგენელი ჩავიდა, რასაც საპასუხოდ ლაზარო კვერინის მეთაურობით ვენეციელთა ახალი ელჩობა მოჰყვა.[1] ამ მისიის მთავარ მიზანს უზუნ-ჰასანის ოსმალებთან საომრად წაქეზება წარმოადგენდა, მაგრამ ამ დროს, როგორც აღვნიშნეთ, ირანის ფადიშაჰს ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოსთან საბოლოო, გადამწყვეტი ბრძოლები ჰქონდა. 1465 წელს ვენეციაში უკვე უზუნ-ჰასანის მეორე ელჩობა ჩადის ამ რესპუბლიკასთან კავშირის განმტკიცების მიზნით.[2] პარალელურად, უზუნ-ჰასანი 1466 წელს თავის პოტენციურ მოკავშირესთან — საქართველოს სამეფოში მე-3 ლაშქრობას აწყობს;[3] მაგრამ უზუნ-ჰასანი აშკარად ხედავს, რომ ძალების გაერთიანების გარეშე პრობლემის გადაწყვეტა ვერ მოხდება — მან ვენეციის რესპუბლიკის ხელისუფლებასთან ერთად ის ანტიოსმალური გეგმა გააცოცხლა, რომელიც ჯერ კიდევ XV ს-ის 50-იან წლებში იყო ქართული დიპლომატიის მიერ წარდგენილი დასავლეთის ხელისუფალთათვის.[4] გამოცოცხლება ეტყობა დასავლეთსაც: 1468 წელს იტალიაში იქმნება ლიგა, რომლის წევრებსაც, სხვა მოვალეობის გარდა, ანტიოსმალური ომის საწარმოებლად ყოველწლიურად 100 000 დუკატის გადახდა ევალებათ.

1470 წლის 13 ივნისს ოსმალებმა ქ. ნეგროპონტე (ევბეა) დაიპყრეს, ვენეციის თხოვნას ზავზე სულთნის უარი მოჰყვა. 1471 წელს უკვე ახალი ლიგა ყალიბდება. ამავე წელს გააქტიურებას იწყებს თეთრბატკნიანთა ხელმძღვანელი უზუნ-ჰასანიც. ისტორიულ წყაროში დაცულია ცნობა, 1470 წელსვე უზუნ-ჰასანის თითქოს საქართველოში ლაშქრობის შესახებ, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში უარყოფილია — ჰასან-რუმლუს მიხედვით, ამ წელს არა თავად ფადიშაჰი, არამედ უზუნ-ჰასანის ბრძანებით, მისი „რამდენიმე დიდი ამირა“ „თბილისისა და სომხეთის

---

[1] ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს. მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში, გვ. 57.

[2] დ. პაიჭაძე, ვენეცია-ოსმალეთის ომი და საქართველო (XV ს. 70-იანი წლები), „ცისკარი“, 1988, №8, გვ. 156.

[3] ქ. კუცია, დასახ. ნაშრომი, გვ. 80-81, 85; ნ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

[4] ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

ქვეყნისაკენ“ იგზავნება.[1] „ამირთა“ მოსვლის შედეგი, ლაშქრობის პერიპეტიები ან საერთოდ შედგა თუ არა ეს შემოსევა, ნათლად არა ჩანს. ამდენად, იგი უზუნ-ჰასანის ლაშქრობათა რიცხვში ჩათვლილი არც არის. აქ იბადება ფრთხილი ვარაუდი, რომ იმ ზემოაღნიშნული საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, ფადიშაჰის „რამდენიმე დიდი ამირას“ მოსვლაში ხომ არ იმალება გარკვეული დიპლომატიური მისიის კვალი, როცა განხილული იქნა ვენეცია-ოსმალეთის ომში საქართველოს სამეფოს პოზიცია და მისი როლი ანტიოსმალური კოალიციის შეკვრის საქმეში. იქნებ შემთხვევითი არაა, რომ სწორედ 1470 წლის შემდეგ, კერძოდ, 1471 წელს მოეწყო მათი გაერთიანებული ელჩობა დასავლეთში?!

უდავოა, რომ ამ პერიოდში, კოალიციის შექმნის მიზნით, საქართველოსა და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოებს შორის კავშირი იკვრება. უზუნ-ჰასანისათვის საქართველოს მასთან მოკავშირეობას როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; საქართველო აღმოსავლეთის ამ რეგიონში ერთადერთი ქრისტიანული ქვეყანა იყო, რასაც ისეთი დიპლომატისათვის, როგორც უზუნ-გრძელი იყო, თავისი შესაბამისი დატვირთვა ჰქონდა — ოსმალეთთან ომის დროს საქართველოს ქრისტიანულ ევროპასთან მოლაპარაკებისას შესაძლოა, ფადიშაჰისათვის შუამავლის როლიც კი ეკისრა.[2]

იწყება აღმოსავლეთის მოკავშირეთა ინტენსიური დიპლომატიური კონტაქტები დასავლეთთან:.

1471 წელს საქართველოს სამეფოდან კონსტანტინე II-ის მიერ ვენეციაში სპეციალური ელჩობა იგზავნება, რომლის წევრებსაც, სიცილიის მეფის კარზე ვენეციის წარმომადგენლის — ვეტორე სორანცოსადმი გაგზავნილი წერილის მიხედვით, საიდუმლოდ ჯერ ტრაპიზონიდან მონკასტრომდე უმოგზაურიათ, შემდეგ კი პოლონეთის მეფე კაზიმეჟ IV-თან გამოცხადებულან. პოლონეთის მეფეს მოლაპარაკების შემდეგ ამ მისიისათვის ევროპაში თავისი ელჩებიც გაუყოლებია. უნგრეთის მეფეს მატიაშს 1471 წლის აპრილით დათარიღებული წერილით ვენეციიდან თავისი ელჩი ატყობინებდა იქ ახალი დელეგაციის ჩასვლას ქართველი, პოლონელი და უზუნ-ჰასანის ელჩების შემადგენლობით.[3] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ XV საუკუნიდანვე იწყება საქართველო-პოლონეთის დიპლომატიური კონტაქტებიც,[4] რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებდა

---

[1] კ. კუცია. დასახ. ნაშრომი, გვ. 80-81.

[2] ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

[3] ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 22.

[4] პოლონეთთან ურთიერთობაზე ვრცლად იხ., ი. ცინცაძე, მასალები პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVII სს., თბ., 1966.

საერთო მტრის — ოსმალეთის აგრესია. პოლონეთი მეგობარ ქვეყანას ეძებს თურქეთისა და ყირიმელი თათრების წინააღმდეგ; ერთ-ერთი ასეთი ბუნებრივი მოკავშირე მათთვის საქართველო გამოდის. როგორც ირკვევა, პოლონეთი მისთვის სასურველი ურთიერთობების დამყარებას სპარსეთთან ქართული სამეფოს საშუალებითვე ცდილობს.[1] ამდენად, პოლონეთის სამეფო კარზე შემუშავებულ დიპლომატიურ გეგმებში საქართველოს ფაქტორს სათანადო ადგილი უნდა ჰკავებოდა.

1471 წლის დასაწყისში ვენეციაში ჩასულ კონსტანტინე II-ის ელჩობას უფლება ჰქონდა, განეცხადებინა, რომ მისი მეფე კავშირშია — „კონფედერაციით არის შეკრული“ თავის ნათესავ უზუნ-ჰასანთან და იგი 30 000 ცხენოსანი ჯარით თურქმანთა დიდ ლაშქართან ერთად მზადაა თურქების წინააღმდეგ ლაშქრობისათვის.[2] ვენეციის ხელისუფლებას თანხმობა განუცხადებია, თუმცა ამ ელჩობის შედეგი ისტორიულ წყაროებში არ ჩანს.

1471 წელსვე ვენეციაში ახალი ელჩობა ჩადის — უზუნ-ჰასანის წარმომადგენელი ჰაჯი-მაჰმადი და ქართველთა მეფის ელჩი ნიკოლო. საქართველოდან წარგზავნილი მოციქული ალექსანდრე მეფის სახელით ლაპარაკობს. გამოდის, რომ პირველი ელჩობა თბილისიდან — ქართლის სამეფო კარისა და კერძოდ, კონსტანტინე II-ის მიერაა გაგზავნილი, მეორე კი ახლადწარმოქმნილი კახეთის სამეფოდან.

ცალკე შეჩერებას საჭიროებს მეორე მისიის ინიციატივის ვინაობის საკითხი; ასევე საყურადღებოა, თუ ვინაა ელჩი ნიკოლო: გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი შესაძლებელია სწორედ ის ნიკოლოზ თბილელი იყოს, რომელმაც, როგორც ელჩმა, გიორგი VIII-ის სახელით 1460-1461 წლებში ევროპა მოიარა.[3] ვფიქრობთ, ეს შეხედულება დავას არ უნდა იწვევდეს — ნიკოლოზ თბილელი გიორგი VIII-ის გამოცდილი დიპლომატია, 1471 წელს მეორე ელჩობაც, ამჯერად უკვე კახეთიდან, გიორგის სამეფო ტახტის გადაწყვეტილების საფუძველზევე უნდა იგზავნებოდეს; ამდენად, ბუნებრივიცაა, რომ ელჩის კანდიდატურის შერჩევისას ყურადღება კვლავ ნიკოლოზზე შეჩერდა. გაუგებრობას იწვევს ის მომენტი, რომ ეს ელჩობა ალექსანდრე მეფის სახელით მოქმედებს: ცნობილია, რომ გიორგი VIII-ს მართლაც ჰყავს შვილი — ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც მალე (1476 წ.) ალექსანდრე I კახთა მეფე გახდა. რაც შეეხება 1471 წელს მის მეფის რანგში მოხსენიებას, შეიძლება ვი-

---

1 ო. ტაბუცაძე, საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVII საუკუნეებში, „მაცნე“, №2, 1991, გვ. 112, 113.

2 ლ. ტარდი, ვენეციის როლი უნგრეთთან საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობაში, „ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები“, II, თბ., 1978, გვ. 201.

3 ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65; დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

ვარაუდოთ, რომ მამამისის — გიორგი მეფის კარზე ამ ელჩობის მთავარი ინიციატორი სწორედ ეს ბატონიშვილი არის; ამავე დროს, „პროვინციის მეფეთა"[1] არსებობის ხანისათვის (XIV-XV სს.) მამის სიცოცხლეში ბატონიშვილის „მეფის" ტიტულით მოხსენიება-მოღვაწეობა ახალ და უცნობ შემთხვევას არ წარმოადგენს. როგორც ჩანს, მომავალი ალექსანდრე I კახთა მეფე (1476-1511) მისი მამის მეფობის უკანასკნელ წლებში აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათ შორის დიპლომატიურ სფეროშიც.

ამდენად, 1471 წ. ვენეციაში პირველი ელჩობის ინიციატორი არის კონსტანტინე II და იგი ქართლის სამეფო კარიდან იგზავნება, ხოლო მეორეს კახეთის სამეფო კარი უკეთებს ორგანიზებას და მას ზემოაღნიშნული ნიკოლოზი ხელმძღვანელობს.

მეორე ელჩობას დავალებული ჰქონდა, „შეეკრათ კავშირი თურქეთის სულთნის და ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ, ოღონდ ვენეციის საზღვაო ფლოტს მოსვენება არ უნდა მიეცა არც ერთის და არც მეორისათვის. გახარებული იმით, რომ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში აღმოსავლეთის უძლიერესი მეფე იშოვეს მოკავშირედ და მეგობრად, დათანხმდნენ მის წინადადებაზე და გამოაცხადეს მეფესთან მუდმივი მეგობრობა" (კატერინო ძენო).[2] ელჩობის ერთი ნაწილი ვენეციაში დარჩა, მეორე კი, რომელშიც ნიკოლოზი შედის, რომის პაპთან და ნეაპოლის მეფესთან მიემგზავრება, სადაც დიპლომატები კარგად იქნენ მიღებულნი.[3]

რომის პაპი საქართველოსა და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს მიმართ დიდ ინტერესს იჩენს და მათ ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. რომის პაპს საქართველოსა და უზუნ-ჰასანთან თავისი ელჩი, ფრანცისკელი ბერი წარუგზავნია, რომელიც, როგორც ჩანს, კვლავ ლუდოვიკო ბოლონიელი ყოფილა.[4] ელჩები ზღვით უკან ერთად ბრუნდებიან და ალექსანდრიისა და კვიპროსის გავლით ჯერ ყარამანიაში, შემდეგ კი ირანსა და საქართველოში ჩადიან.

აღმოსავლელი მოკავშირენი — უზუნ-ჰასანი და საქართველოს ხელისუფალნი დიპლომატიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ არა მარტო რომის პაპთან და ვენეციის რესპუბლიკასთან, არამედ ევროპის სხვა სა-

---

[1] დ. ნინიძე. „პროვინციის მეფეები" XIV-XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995.

[2] XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი. შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981, გვ. 21.

[3] ამ ელჩობის შესახებ ვრცლად იხ., ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო ურთიერთობების ისტორიიდან XV ს. 70-იან წლებში, „მაცნე", №3, 1971.

[4] ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი..., გვ. 66.

ხელმწიფოებთანაც (პოლონეთზე უკვე იყო ლაპარაკი), მაგ., უნგრეთი:[1] უნგრეთის მეფის მატიაშის ეპოქაში (1458-1490). ისტორიკოს იანოშ ტუროცის ქრონიკების მიხედვით, ისეთი მოსაზრებაც კი გავრცელებულა, რომ ქართველები და უნგრელები ერთმანეთის ნათესავებად — ერთიანი წარმომავლობის ხალხებად იყვნენ მიჩნეული.[2]

კავშირი შეიკრა, რომელსაც რომის პაპის თანხმობაც ამაგრებდა. საჭირო იყო რეალური მოქმედება. ევროპის სახელმწიფოთა ხელისუფალნი და დასავლეთელი დიპლომატები კვლავ ძველ მეთოდებს მიმართავდნენ, კერძოდ, ვენეციელი პოლიტიკოსები აღმოსავლეთის ძალების მაქსიმალურად გამოყენებას ცდილობენ, რისი საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა ვენეციის რესპუბლიკის ინტერესების ბოლომდე განხორციელება.[3] ვენეციის სენატის მხრიდან საპასუხო ნაბიჯის საჭიროება აშკარად ჩანს — უზუნ-ჰასანის კარზე ელჩად კატერინო ძენო იგზავნება. იწყება დასავლეთელთა დიპლომატიური მისიების ეპოქა, რომელნიც ანტიოსმალური კოალიციის შესაკვრელად აღმოსავლეთში და მათ შორის — საქართველოშიც მოგზაურობენ — მათ შეიძლება „დიპლომატი მოგზაურები" ვუწოდოთ.[4] ასევეა კატერინო ძენოც.

დოჟის — ქრისტოფორო მაუროს 1471 წლის 10 სექტემბრის ინსტრუქციით კატერინო ძენოს ევალებოდა, პირადად ენახა ქართველთა მეფე, გადაეცა წერილები და მისი მოკითხვა-პატივისცემა, აეხსნა ელჩობის აზრი-დანიშნულება და გაემხნევებინა იგი.[5] ისიც ცნობილია, რომ კატერინო ძენომ უზუნ-ჰასანის მეუღლეს — დესპინა-ხათუნს საქართველოს მეფისათვის განკუთვნილი წერილი უჩვენა; მისი არსებობა ჩანს კატერინო ძენოს მიერ 1472 წლის 9 ოქტომბერს კვიპროსის ბაილო ანდრეა კორერისადმი გაგზავნილი წერილითაც.[6] კატერინო ძენომ, როგორც კარგმა დიპლომატმა, მოახერხა დედოფლის — დესპინა-ხათუნის გამოყენება, რომელიც „უბრწყინვალესი სენიორის ნათესავად თვლიდა თავს", ამიტომაც „დედოფალი მშვენიერი საშუალება იყო, რომლითაც ბატონმა კატერინომ შეძლო, აემხედრებინა უზუნ-ჰასანი სულთნის წინააღმდეგ საომრად".[7] კატერინო ძენო ცდილობს, რომ უზუნ-ჰასანმა საომარი ოპერაციები მალე დაიწყოს, რომელიც მეუღლის ჩაგონებით

---

1 ვრცლად იხ. ლ. ტარდი, საქართველო-უნგრეთის ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 24...
2 რ. ხუციშვილი. ლ. ტარდი და ქართველ-უნგრელთა ნათესაობის პრობლემა, „მაცნე", №1, 1991. გვ. 160.
3 დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.
4 XV ს-ის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 10.
5 ლ. ტარდი. დასახ. ნაშრომი. გვ. 23.
6 XV ს-ის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 45.
7 იქვე. გვ. 23.

„საკუთარი ხელით“ დაწერილ წერილს უგზავნის ყვარყვარე II ათაბაგს, სადაც მოუწოდებს ომისაკენ ოსმალთა წინააღმდეგ. კატერინო ძენოს მიხედვით, უზუნ-ყაენსა და ყვარყვარე II ათაბაგს შორის არსებული დიპლომატიური კეთილგანწყობა იცვლება. ვიდრე ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა სერიოზულ ხასიათს მიიღებდა, სამცხის ათაბაგი დიპლომატიურ თამაშს მიმართავდა, თვალთმაქცობდა და ფადიშაჰს დახმარების თაობაზე დაპირებებს არ აკლებდა. უზუნ-ჰასანმა ათაბაგისაგან ფაქტობრივად უარი მიიღო, რასაც 1472 წელს თეთრბატკნიანთა ლაშქრობა მოჰყვა სამცხე-საათაბაგოში: „ ... წამოემართა უზუნ-ასან ძალითა დიდითა სამცხესა ზედა“, რადგან „პირისპირ განწყობა ვერ ძალ-ედვათ სიმრავლისაგან სპათა მათთასა“, ყვარყვარესა და მის ძეებს გარკვეული დიპლომატიური ნაბიჯისათვის მიუმართავთ და ათაბაგის ერთ-ერთი შვილის ყაენთან მოციქულად გაგზავნაც კი გადაუწყვეტიათ: „ჰქონეს განზრახვა, რათა სამთაგან ერთი წარსულ იყო და დაეცხრო გულისწყრომა მძლავრისა მის, რათა არღარა მოსულ იყვნეს ქუეყანასა სამცხისასა“.[1] ვერც ამ გადაწყვეტილებამ და ვერც წინანდელმა კეთილგანწყობამ ყოფილი მოკავშირე აწიოკებას ვერ ააცდინა. სამცხე-საათაბაგოს პოზიცია მართლაც იმდენად აქვს შეცვლილი, რომ 1474 წელს მის ტერიტორიაზე გავლა ვენეციელ ელჩს — ამბროზიო კონტარინის სახიფათოდ მიუჩნევია; არის ცნობები, რომ ამ დროს ათაბაგი ოსმალთა სულთანს ხარკსაც კი უხდიდა.[2] უზუნ-ჰასანის ლაშქარმა სამცხე-საათაბაგოში „მოსრნის მრავალნი ქრისტეანენი... წარტყუევნნეს სრულიად სამცხე“ და ხარკიც შეაწერეს;[3] მათი მწირობა „შჳდ წელ“ გაგრძელდა

უზუნ-ჰასანი ოსმალების წინააღმდეგ წარმოებულ საომარ ოპერაციებში წარუმატებლობას განიცდის; ყარამანიის ხელისუფალი ფირ-ახმედი და სხვა პრინცებიც მარცხდებიან. მეჰმედ II-ის ვაჟმა — მუსტაფამ ფადიშაჰი კუნიასთან იმავე მდგომარეობაში ჩააყენა. ასეთ ვითარებაში ოსმალებსა და თურქმანებს შორის მოლაპარაკება იმართება — მეჰმედ II-მ უზუნ-ჰასანს ზავი შესთავაზა, რომლის ჩაშლაც სწორედ ელჩმა — კატერინო ძენომ მოახერხა. ეს ვენეციელთათვის გამაფრთხილებელი ნიშანი იყო, ვითარება აქტიურ ჩარევას და აღმოსავლეთის მოკავშირეებისათვის რეალურ დახმარებას მოითხოვდა. 1473 წლის 11 იანვარს ვენეციის სენატმა უზუნ-ჰასანისათვის დახმარების თაობაზე დადგენილება მიიღო — ვენეციელთა ახალ ელჩად ჯოსაფატ ბარბარო ინიშნება.

1 ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი. გვ. 478-479.

2 ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, გვ. 70-71, 73.

3 რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. მეორე ნახევარში. „ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, VII, თბ., 1964, გვ. 122.

1473 წლის მარტში კვიპროსზე მყოფი ჯოსაფატ ბარბარო წერილს სწერს უზუნ-ჰასანს; მალე თეთრბატკნიანები ყარამანიისაკენ დაიძრნენ, რომელთა ლაშქარში ქართველებიც იყვნენ. ამავე წლის 1 აგვისტოს მალათიასთან ბრძოლაში უზუნ-ჰასანმა მეჰმედ II დაამარცხა, მაგრამ წარმატება მხოლოდ დროებითი აღმოჩნდა — 1473 წლის 10 აგვისტოს მდ. თერჯანასთან იგი სასტიკად დამარცხდა. რადგან სამხედრო ძალით ვერაფერს გახდა, ფადიშაჰი კვლავ დიპლომატიური სამსახურის ამოძრავებას შეეცადა.

1474 წლის გაზაფხულზე კატერინო ძენო თავრიზიდან ევროპაში ბრუნდება, რომელსაც უზუნ-ჰასანის თხოვნა ჩააქვს ევროპის ხელისუფლებთან. მას თან ახლდნენ უნგრეთისა და პოლონეთის ელჩები. კატერინო ძენომ გაიარა სამცხე, ყოფილა ყვარყვარე ათაბაგთან აუდენციაზე, საიდანაც სევასტოპოლში (ცხუმში) მისულა. როგორც ჩანს, კატერინო ძენოს სამეგრელოს მთავარი — ბედიანიც უნახავს, რადგან მას, პოლონეთში ყოფნისას, თავრიზში მიმავალ თავის შემცვლელ ვენეციის ელჩთან — პაოლო ონიბენესთან შეხვედრისას, ამ დიპლომატისათვის უზუნ-ჰასანის, ათაბაგისა და ბედიანისათვის გადასაცემი წერილები გაუტანებია.[1] წერილებში სხვა მომენტებთან ერთად პოლონეთის მეფესთან მისი — კატერინო ძენოს მოლაპარაკების შედეგები უნდა ყოფილიყო აღნუსხული. აღმოსავლეთის მოკავშირეების მიერ დასავლეთში კატერინო ძენოს გვერდით სხვა მოციქულებიც იგზავნება, რომლებიც საქართველოსა და აყ-ყოიუნლუს ელჩების რანგში 1474 წ. ივლისში ვენეციაში ჩანან, სადაც დიდი ზეიმით მიუღიათ. ეს ელჩები შემდეგ კატერინო ძენოსთან ერთად რომსა და ნეაპოლშიც იმყოფებოდნენ. რაც შეეხება ვენეციელ დიპლომატ პაოლო ონობენეს, იგი ორჯერ შეხვედრია საქართველოსა და სპარსეთის ხელისუფალთ, ჯერ 1474 წელს, მეორედ — 1480 წელს.[2] ყურადღებას იქცევს სამეგრელოს მთავართან დიპლომატიური ურთიერთობების ფაქტი — ამავე პერიოდში დასტურდება მისი კონტაქტები გენუელებთან: გენუელები თავის ელჩს აგზავნიან ოდიშის ხელისუფალთან, რაც ცხუმში გენუელთა შევიწროებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული; კაფის ელჩმა თავის მისიას წარმატებით გაართვა თავი, რის შესახებაც გენუაში მალე გამხდარა ცნობილი — 1472 წლის 1 დეკემბერს ინსტრუქციაში აღნიშნულია: „...Мы также довольны, что вы надеетесь заключить мир с господином Бендиани, владетелем Мингрелии".[3]

---

[1] ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი..., გვ. 83.
[2] ლ. ტარდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.
[3] Т. Берадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

უნგრეთის მეფე მატიაშ კორვინიც ანტიოსმალური ძალებისათვის სასურველ პოზიციას იჭერს: თუ ცოტა ხნით ადრე იგი მეჰმედ II-ს ზავს სთავაზობდა, ახლა თურქების მიერ დაკავებულ სერბიის ტერიტორიაზე იბრძვის, ხოლო ჯოსაფატ ბარბაროს ევალება გადასცეს უზუნ-ჰასანს, რომ ხმები უნგრეთ-ოსმალეთის ზავის შესახებ მხოლოდ ინტრიგებია და ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.[1] ჯოსაფატ ბარბარო თავრიზში 1474 წელს ჩადის. რაც შეეხება პაოლო ონიბენეს მისიას, მისი ელჩობის შედეგად უზუნ-ჰასანი ოსმალეთთან ომის დაწყებას 1475 წლისათვის კისრულობს. უზუნ-ჰასანის კარზე აქტიურად მოქმედებს ლუდოვიკო ბოლონიელიც, რომელიც ევროპაში საქართველოზე გავლით ბრუნდება; იმავე დროს ქართველთა სამეფოში იმყოფებოდა რუსეთის ელჩი — მარკო როსო. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ხანა ინტენსიური დიპლომატიური ურთიერთობების პერიოდია.

დაახლოებით ამავე დროს სპარსეთში მოღვაწეობს ვენეციის კიდევ ერთი ელჩი — ამბროზიო კონტარინი, რომელმაც საქართველოშიც შეასრულა გარკვეული დიპლომატიური სამუშაო. მისი შეხვედრა ქუთაისში ბაგრატ VI-სთან საინტერესოა XV ს-ის II ნახევრის დიპლომატიური ეტიკეტისა და ელჩების მიღების წესის შესწავლის თვალსაზრისით: ბაგრატ VI ვენეციელ დიპლომატს ეკითხება, თუ „რამდენი მეფეა ქვეყანაზე" რაზეც ამბროზიო კონტარინი პასუხობს — „მგონია თორმეტი-მეთქი"; მეფეს პასუხის შემდეგ აღუნიშნავს: „შენ მართალს ამბობო, მათ შორის ერთი მე ვარ და შენ რად მოსულხარ ჩემს სახელმწიფოში ისე, რომ შენის ხელმწიფისაგან წერილი არ მოგიტანია?".[2] მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა ელჩმა მოიმიზეზა, რომ მან არ იცოდა, თუ საქართველოზე მოუწევდა გავლა, „თორემ უეჭველია, რომ ჩემი მეფე პაპი, რომელსაც თქვენი ისეთივე პატივისცემა აქვს, როგორიც სხვა ხელმწიფეებისა, დიდი სიამოვნებით გამომატანდა თქვენთან წერილს", — ამბობს ელჩი.[3] ეს სიტყვები მეფე ბაგრატ VI-ს, რომელიც ევროპელ დიპლომატს „ახირებული" ეჩვენა, საკმაოდ მოსწონებია. გამომშვიდობებისას ელჩმა მეფეს მისთვის მხლებელის გაყოლა სთხოვა: „მეფე შემპირდა და თან მიბრძანა, სიგელსაც მოგცემ, რომ მშვიდობით გაიარო ჩემი სამეფოო. ეგრე დაიმედებული დავბრუნდი ზემოხსენებულ

---

1 დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

2 იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში, 1. იოსაფა ბარბარო, 2. ამბროზიო კონტარინი (იტალიურიდან ალ. ჰყონიას თარგმანი), ჟურნ. „მოამბე". 1894, № XI, გვ. 52; ი. დავითაშვილი, XV საუკუნის II ნახევრის იტალიელი მოგზაურები საქართველოს შესახებ (ამბროჯო კონტარინი) „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან". I, თბ., 1994, გვ. 251-252.

3 იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში, გვ. 53.

ხესთან, მაგრამ დაპირებული მხლებელი და სიგელი დიდის ვაივაგლახით მომცეს, მეფის მწერალთან ხანგრძლივი დავის შემდეგ".[1] საერთოდ, ჩანს, რომ ბაგრატ VI-ს დიპლომატიური ეტიკეტი დიდად არ აწუხებდა, მაგ., მისთვის სულ ერთი ყოფილა, ვისგან აიღებდა ქრთამს, ქართველისგან, თუ, თუნდაც, უცხოელი დესპანისაგან.

1475 წლიდან მოყოლებული, უზუნ-ჰასანმა ვერ შეძლო რაიმე წარმატებული საომარი მოქმედების განხორციელება. მოხდა პირიქით, 1477 წელს უზუნ-ჰასანმა უახლოეს წარსულში თავისი მოკავშირე — საქართველო მეხუთედ დალაშქრა. საშინაო დიპლომატიის თვალსაზრისით, ამ დროს ყურადღებას იქცევს ფადიშაჰისადმი მეფის ტიტულით მმართველი ორი ბატონიშვილის — ბაგრატ VI-ისა და კონსტანტინე II-ის დაპირისპირება. როგორც ირკვევა, XV ს-ის 60-70-იანი წლებში საქართველოში აღინიშნა მოვლენა, რომელიც ისტორიულ წყაროებში „ორიანობის"[2] სახელწოდებით არის ცნობილი. იგი ერთ-ერთი ფორმაა დინასტიური ბრძოლისა და წარმოიშობა იმ პერიოდში, როცა მებრძოლი ბატონიშვილები არ უშვებენ რომელიმე მხარის პრიორიტეტს, არ ყაბულდებიან მეორე პოზიციაზე ყოფნას ან „პროვინციის მეფის" სტატუსს და ერთიანი სამეფო ტახტისათვის იბრძვიან. როგორც გარკვეულია, 1466-1468 წლებში სამეფოში აღინიშნა ბაგრატ VI-ისა და კონსტანტინე II-ის „თანამეფობა" (შეთანხმებული მმართველობა, როცა მოლაპაკება მიღწეულია სამეფო ძალაუფლებისა და სამფლობელო ტერიტორიების ლოკალიზაციის საკითხებში), რომელიც 1469-1475 წლებში ქიშპისა და ურთიერთბრძოლის პერიოდით — „ორიანობით" იცვლება; 1476-1477 წლები კვლავ „თანამეფობის" ხანაა, რომელიც უზუნ-ჰასანის ბოლო — მე-5 შემოსევის შედეგად დასრულდა.

უზუნ-ჰასანის წინააღმდეგ განსაკუთრებით კონსტანტინე II აქტიურობს, ბაგრატ VI ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში არც იმყოფება. უზუნ-ჰასანმა ნაკლებად დაცული თბილისი წინააღმდეგობის გარეშე აიღო, რასაც ქვეყნის სხვა რეგიონების დარბევაც მოჰყვა. ამ დროს გამოჩნდა ბაგრატ VI, რომელიც ყვარყვარე ათაბაგთან და სხვა 7 ქართველ დიდებულთან ერთად უზუნ-ჰასანთან მოლაპარაკებას იწყებს ზავის თაობაზე — ჯოვანი მარია ანჯოლელო აღნიშნავს: „მეფე ბაგრატმა სამცხის ათაბაგთან ერთად, რომელიც საქართველოს ესაზღვრება და სხვა შვიდ დიდებულთან ერთად გამოგზავნა ელჩები ზავის დასადებად, შეთანხმდნენ, რომ ისინი გადაიხდიდნენ თექვსმეტ ათას დუკატს და უზუნ-

---

1 იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში, გვ. 53.

2 ვრცლად იხ. დ. ნინიძე, შინაპოლიტიკური ბრძოლის ისტორიიდან XV საუკუნეში („ორიანობა"). თსუ „შრომები", ტ. 310. 1992.

ჰასანი შეჰპირდა, თავისუფალს დატოვებდა ქვეყნას, გარდა თბილისისა, რომელიც სურდა ჰქონოდა გასასვლელ ადგილად".[1] საზავო ხელშეკრულების მზადების პროცესს უშუალოდ დაესწრო ჯოსაფატ ბარბარო, რომელიც მის პერიპეტიებში თავადაც მონაწილეობს — მისი სიტყვებით, ზავის პირობებიდან გამომდინარე, „მეფე ბაგრატმა და ყვარყვარემ, ვინაიდან უნდოდათ ამ ფულის გადახდა, გამოგზავნეს ოთხი ბალასი"... ისინი ისეთი ხარისხის ყოფილა, როგორსაც ვენეციაში, სან მარკოს საკურთხეველზე უჩვენებდნენ; უზუნ-ჰასანმა ელჩს უბრძანა მათი შემოწმება, ხოლო „მეფე ბაგრატისა და ყვარყვარეს ელჩებმა, რომლებმაც ბალასები ჩამოიტანეს, შემომითვალეს (ბარბაროს, დ. ნ.), რომ მე კარგად შემეფასებინა ბალასები, რადგან ქართველები ჩემსავით ქრისტიანები იყვნენ", უზუნ-ჰასანმა საბოლოოდ მაინც თავისი მოითხოვა — „არ მინდა ბალასები, ფული მინდა".[2] როგორც ვხედავთ, ხაზი ესმება მეფესთან ერთად სამცხის ათაბაგის ყვარყვარე II-ის დამორჩილებასაც — მისი პოზიციების ზემოაღნიშნული ცვალებადობა, ჩანს, ათაბაგს ძვირად დაუჯდა.

„ორიანობის" არსებობამ თავისი კორექტივები შეიტანა: „უზუნ-ჰასანს ზურგში თავისი მოწინააღმდეგე — კონსტანტინე II ჰყავდა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა „მარბიელთა ყეენისათა", ამიტომ ფადიშაჰმა კონსტანტინესა და ბაგრატის დაპირისპირება გადაწყვიტა — „მაშინ ყეენმა ეზრახა კონსტანტინე მეფესა, რათა მივიდეს მის თანა და მიანიჭოს ყოველი ქუეყანა მისი და დაიცვას უვნებლად".[3] კონსტანტინე II მართლაც გამოცხადდა უზუნ-ჰასანთან და ძალაუფლებაც მიიღო — „თანამეფობა" დასრულდა და პოზიციებშესუსტებულმა ბაგრატ VI-მ თავი რაჭას შეაფარა; იგი მხოლოდ 1478 წელს უზუნ-ჰასანის გარდაცვალების შემდეგ გამოჩნდა.[4] ვფიქრობთ, აღწერილი ვითარება ნათლად ახასიათებს XV ს-ის II ნახევრის საქართველოში შექმნილ სიტუაციას და მის საშინაო დიპლომატიას.

უზუნ-ჰასანს მეფობის ბოლო პერიოდში თავად თავის სახელმწიფოში ჰქონდა პრობლემები, იგი მალე გარდაიცვალა კიდეც — ვენეციას აღარაფერი დარჩენოდა, გარდა ზავისა — 1479 წელს კონსტანტინოპოლში ოსმალებთან დაიდო საზავო ხელშეკრულება, სადაც ვენეციის რესპუბლიკამ თავი დამარცხებულად ცნო. ეს იყო დასავლეთისა და საერთოდ, ანტიოსმალური ძალების კიდევ ერთი მარცხი; საქართველოს

---

1 XV ს-ის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 78.
2 იქვე. გვ. 61, 62.
3 ვახუშტი. გვ. 385.
4 ბერი ეგნატაშვილი. გვ. 342.

ხელისუფლებამ და ქართულმა დიპლომატიამ თითქოს ყველაფერი გააკეთა წარმატების მისაღწევად, მაგრამ მოკავშირეთა შეუთანხმებლობამ და ურთიერთქიშპმა მარცხი გარდაუვალ შედეგად აქცია.

განხილული პერიოდი ხასიათდება როგორც დიპლომატიური მისიებისა და ინტენსიური საერთაშორისო ურთიერთობების არსებობის ხანა, თუმცა ასეთი ხშირი კონტაქტების განხორციელება გარკვეულ პრობლემებთან და სირთულეებთან იყო დაკავშირებული — მაგ., მოკლედ შევჩერდეთ ევროპასთან ასეთი ურთიერთობის საშუალებებისა და შესაძლებლობების საკითხზე.

კონსტანტინოპოლის აღებით, ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერიების დაცემით, ბუნებრივია, გართულდა კონტაქტების შესაძლებლობა საქართველოსა და ევროპის სახელმწიფოებს შორის, თუმცა დაპირისპირებულმა მხარემ მისი შეწყვეტა-შენელება ვერ მოახერხა. ასეთ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდნენ ჩრდ. შავიზღვისპირეთში არსებული იტალიური სავაჭრო ფაქტორიები, რომლებთანაც ქართველ ხელისუფალთ მჭიდრო კავშირები ჰქონდათ დამყარებული — ეს კოლონიები დასავლეთთან კავშირს ახერხებდნენ არა მარტო ზღვით, არამედ იმ სახმელეთო გზებითაც, რომელთა კონტროლს თურქები ვერ ახორციელებდნენ — ასეთი ვითარებაა XV ს-ის შუა ხანებში; როგორც თ. ბერაძე აღნიშნავს, საქართველომ დასავლეთი ევროპის სახელმწიფოებთან უშუალო კავშირი უკვე ორი ათეული წლის შემდეგ დაკარგა.[1] 1475 წ. ოსმალებმა ჩრდ. შავიზღვისპირეთში იტალიური ფაქტორიები დაიკავეს და შავი ზღვა თავის „დახურულ ტბად" აქციეს: „В результате окончательно была перерезана последняя неконтролировавшаяся турками магистраль, связывавшая побережье Грузии с государствами Западной Европы".[2] ამ პერიოდიდან უკვე ბევრი რამ თურქთა ნებაზე იყო დამოკიდებული.

ეს ევროპისათვისაც მნიშვნელოვანი დანაკლისი იყო. თავრიზით დაინტერესებული დასავლეთისათვის მისკენ მიმართული სახმელეთო გზები საქართველოს ნავსადგურებიდანაც გადიოდა. ამ გზებს თავიდან ევროპელები ნაკლებად იყენებდნენ, მაგრამ 1461 წელს ტრაპიზონის იმპერიის დაცემის შემდეგ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობაში საქართველოს მნიშვნელობა ამ მხრივ კიდევ უფრო იზრდება. 1475 წლამდე ეს იყო ის მთავარი გზა, რომელიც ევროპას ირანთან აკავშირებდა — ელჩები თუ ვაჭრები სახმელეთო გზებით ჯერ ყირიმამდე, ქ. კაფამდე, შემდეგ კი ზღვით საქართველოს ნავსადგურებამდე მო-

---

[1] Т. Берадзе, Мореплавание и морская торговля..., გვ. 52.
[2] იქვე.

დიოდნენ, საიდანაც ხმელეთით გზას ირანამდე აგრძელებდნენ.[1] შეცვლილ ვითარებაში გამონახვა ხდება სხვა შესაძლებლობისა, რაც დიპლომატიურ ურთიერთობათა არსებობა-შენარჩუნების საშუალებას იძლევა: მაგ., იტალიელთა გემები, რომლებიც შავ ზღვაზე კიდევ ერთ საუკუნეს დაცურავდნენ; გამოყენება ხდება ახალი სახმელეთო გზებისა, ამიტომაცაა, რომ შემდგომ პერიოდში ქართველ ელჩებს ვხედავთ ევროპის ისეთ სახელმწიფოებში (მაგ., პოლონეთი), საიდანაც მათ შესაძლებლობა ეძლევათ, გადავიდნენ იტალიაში, ესპანეთსა თუ ევროპის სხვა ქვეყნებში.

რამდენიმე ფაქტი საქართველოს არაბულ სამყაროსთან ურთიერთობის შესახებ: ზოგიერთი ცნობით (გრიგორი ბარ-ებ-რეუსი), გიორგი იბერიის მეფემ სასტიკად დაამარცხა არაბები და მათ მიერ დაპყრობილი მიწები გაძარცვა, არაბთა დიდი რაოდენობა ტყვედ იგდო; მოსულის ვეზირს — გამალ-ელ-დინს არაბების იბერიელთაგან გათავისუფლება გადაუწყვეტია, რის გამოც, მან 1476 წელს საქართველოში როგორც ელჩი გაგზავნა „ლირსეული“ და „საქმიანი“ ეპისკოპოსი მაფიანი მის მიერვე შერჩეულ სხვა პირებთან ერთად. ამ მისიის იბერიის საზღვრებთან მოახლოებისას გიორგი მეფისათვის უცნობებიათ, რომ მასთან ასირიიდან ელჩობა მოდიოდა. გიორგი მეფე, რომელშიც გიორგი VIII უნდა იგულისხმებოდეს, თვითონ გაემგზავრა არქიეპისკოპოს მაფიანის შესახვედრად — მეფემ ელჩი დიდი პატივით მიიღო, გამოუყო ბინა საცხოვრებლად და ეკლესია ღვთისმსახურებისათვის, რამდენადაც ისინი საქართველოში უფლის მოვლინების წინადღით ჩამოვიდნენ. მოლაპარაკების შედეგად, გიორგი მეფემ შეასრულა მაფიანის თხოვნა და არაბი ტყვეების ერთი ნაწილი გაათავისუფლა, ხოლო მეორენი მოსულის ვეზირის ელჩმა ოქროთი გამოისყიდა. მეფე გიორგის ამ დიპლომატიური მისიისათვის მოსულის ვეზირთან თავისი ელჩი გაუყოლებია; ვეზირის დესპანები თავიანთ ქვეყანაში დიდი სიხარულით დაბრუნებულან და მოსულში გამოცხადებულან — „მოსულისკენ მიმავალ იბერიის ელჩებს მიჰქონდათ შუბლზე წამოგებული ჯვრები ქრისტიანების სანუგეშოდ“.[2] ზუსტად რა მიზნებს ისახავდა გიორგი მეფის გაგზავნილი ელჩობა, არ ჩანს, თუმცა ერთ-ერთ ასეთ მიზეზად მაჰმადიანებში ქრისტიანთა მდგომარეობის საკითხი შეიძლება ვიგულისხმოთ, რადგან აღნიშნულია, რომ ისინი „ქრისტიანების სანუგეშოდ“ მიდიოდნენ.

XV ს-ის II ნახევარში კვლავ გრძელდება საქართველოს დიპლომატიური კონტაქტები ეგვიპტის სასულთნოსთან. როგორც ადრე, ახლაც

თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში. თბ., 1981, გვ. 180.

ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 25.

უმეტესად ეს ურთიერთობა „წმინდა ადგილების“ გათავისუფლებისა თუ ფლობის საკითხების ეგიდით მიმდინარეობს.

XV ს-ის II ნახევარში კვლავ აქტუალურად დადგა გოლგოთის[1] მფლობელობის საკითხი: ჯერ ქართველებსა და სომხებს შორის დაიძაბა ურთიერთობა – საქართველო კვლავ ფლობს გოლგოთას, ხოლო სომხებმა ეგვიპტის სულთნის ნებართვით მხოლოდ „ახალი გოლგოთის“ აშენების ნებართვა მიიღეს. 1475 წელს იერუსალიმში გადაწერილი ხელნაწერის 1476 წლის სომხური მინაწერით, „ქართველებმა წაართვეს გოლგოთა სომხებს, იმავე წელს სომხები წავიდნენ სულთანთან, აიღეს ნებართვა და ააშენეს „ახალი გოლგოთა“.[2] ამ პერიოდში „წმინდა ადგილებისათვის“ განსაკუთრებით ბაგრატ VI-ს უზრუნია: 1475 წელს დასავლეთის ქრისტიანებს უცდიათ გოლგოთის დასაკუთრება, მაგრამ მხოლოდ დროებითი წარმატებისათვის მიუღწევიათ: „მათი ცდა უნაყოფო დარჩა“, – ამბობს რ. ჟანენი.[3] იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთი (№252) ალაპის მიხედვით, „ალექსანდრეს (ალექსანდრე I დიდის, დ. ნ.) ძმისწულმან ბაგრატ გოლგოთა იშოვა, გუნბადი ალაშენა ქრონიკონსა ას სამოცდა ოთხსა“ (1476 წ.).[4] ამ შემთხვევაში, ბაგრატ VI-ის ეგვიპტის სულთანთან – ალ-აშრაფ საიფ ად-დინ კაიტ-ბეისთან (1468-1496) დიპლომატიური კონტაქტების დამყარების რეალური მიზეზი, რომელიც „წმინდა ადგილების“ ფონზე მიმდინარეობს, ამ ორ სახელმწიფოს შორის მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი პრობლემების მოგვარება და მათ დიპლომატიურ ურთიერთობათა დარეგულირების საკითხია: ეგვიპტესაც და საქათრველოსაც საერთო მტერი – ოსმალეთი და აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო ემუქრება და მათი ურთიერთმოკავშირეობა ყველა თვალსაზრისით, მათ შორის დიპლომატიური კუთხითაც, ორივე მხარისათვის ძალზე მომგებიანია. აქვე უნდა მოვიტანოთ დელაპორტეს ერთი საინტერესო ცნობა, რომ XV ს-ის მიწურულს ეგვიპტის სულთანმა, ქართულის გარდა, სხვა ენა არ იცოდაო...[5]

ეროვნებით უნგრელი ანონიმი ავტორის (მოღვაწეობდა XV ს-ის შუა და II ნახევარში) ეპოქალური ლიტერატურული ნაწარმოები – „თურქების ზნე-ჩვეულებათა ტრაქტატი“, რომელიც რომში დაიწერა, შეიცავს საინტერესო ცნობებს საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ (XXX თავი), სადაც კვლავ ლაპარაკია საქართველოს დიდ საერთა-

---

[1] დ. ნინიძე. გოლგოთის საკითხი XIV-XV სს. ქართულ დიპლომატიაში. „ქართული დიპლომატია“. II ტბ., 1995. გვ. 199-219.
[2] სომხურ ხელნაწერთა XIV-XV სს. ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 88.
[3] რ. ჟანენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.
[4] ე. მეტრეველი, დასახ. მონოგრაფია, გვ. 102, 170-171.
[5] სომხურ ხელნაწერთა... გვ. 159.

შორისო ავტორიტეტზე და „წმინდა ადგილებში" მათ განსაკუთრებულ პრივილეგიებზე.[1] ასევე უნგრელი მეფის მატიაშის სამეფო კარის მოძღვარი — იანოშ ლაზოი (1448-1523) ეგვიპტესა და პალესტინაში მოგზაურობისა და დიპლომატიური მისიით ყოფნისას გაეცნო ქართველებს (იგი მოგზაურობას 1483 წ. იწყებს) — მისი ამ მისიის შესახებ თავის შრომაში მოგვითხრობს ფაბერი, სადაც აღნიშნულია, რომ ქართველებს უფლის საფლავის ეკლესიაში ეკუთვნით გოლგოთის მთა, მუდმივად ჰყავთ წმინდა კლდის მცველი... ამ ცნობებით, ქართველებისავეა აგრეთვე წმინდა ჯვრის მღვიმე და გოლგოთის მთის ძირს მდგარი კაპელა, რომელშიც იერუსალიმის ლათინი მეფეები განისვენებენ: ბუილონ გოდეფრედი, ბალდუინ II, ბალდუინ III და სხვ.[2]

რ. ჟანენის სიტყვებით, „ას ორმოცდაათი წლის განმავლობაში ქართველები მშვიდობიანად ფლობდნენ გოლგოთის თხემის მთელ სავანე-სამლოცველოს", მაგრამ XV ს-ის მიწურულისათვის ძალზე აქტიურდებიან ლათინები — დასავლეთის ქრისტიანები: 1492 წლის ადგილობრივი სასამართლოს განაჩენით ქართველებს რჩებოდათ გოლგოთის თხემის ჩრდილოეთი მხარე და ფრანგებს სამხრეთი — „სასამართლოს დადგენილება, ორივე მოდავე მხარეთა წინასწარი შეთანხმებით მოხდა: ლათინებს მიეცათ საშუალება, თავისუფლად ელოცათ გოლგოთაზე და ქართველებმა დაიმტკიცეს ნაწილი თვით წმინდა საფლავის საკუთარი ეკლესიისა. მართლაც, ფრანცისკელებმა სამაგიეროდ დაუთმეს მათ ერთი მესამედი ტალანის (გალერეა), რომელიც საკუთრად ჰქონდათ ამ ტაძარში. გოლგოთის მთის ძირს მდებარე ადამის სამლოცველოც ქართველებსავე დარჩათ საკუთრებად".[3]

ყოველივე ქართული დიპლომატიის ხანგრძლივი, დიდი და წარმატებული საქმიანობის შედეგია. ბუნებრივია, მაჰმადიანური სამყარო, იგივე მუსლიმი მამლუქი სულთნები, მათი ბატონობის ხანაში, ქრისტიანი ქართველების მიმართ ასეთი პრივილეგიების არსებობას ადვილად არ დაუშვებდნენ. ინტენსიური კონტაქტებისა და დიპლომატიური მოლაპარაკებების გარეშე ამ საკითხებში წარმატებების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. იგი XIV-XV საუკუნეთა ქართული დიპლომატიის მიზანდასახული საქმიანობის, სწორად წარმართული პოლიტიკის შედეგი და მისი ერთ-ერთი წარმატებული მიმართულებაა. XV ს-ის 90-იან წლებში საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობაზე ქვევით იქნება საუბარი.

---

[1] ლ. ტარდი. უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში. თბ., გვ. 18-19.
[2] იქვე. გვ. 28.
[3] რ. ჟანენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

1478 წელს აყ-ყოიუნლუს ტახტზე უზუნ-ჰასანის ვაჟი სულთან-ხალილი ავიდა, რომელიც მალე მისმა ძმამ — იაყუბ-ხანმა შეცვალა. იაყუბის პერიოდში თურქმანები ორჯერ შემოესივნენ საქართველოს: პირველი შემოსევა (1482/83 ან 1485/86 წწ. თარიღდება) ძირითადად სამცხეს შეეხო — „პარიზის ქრონიკის" სიტყვებით, „ყაენმა სამცხე ამოსწყვიტა";[1] იბადება კითხვა, რომ იაყუბ-ყაენის საათაბაგოსადმი ასეთი დამოკიდებულება ხომ არ იყო უზუნ-ჰასანსა და ყვარყვარე ათაბაგს შორის ბოლო პერიოდში გაფუჭებული ურთიერთობების გაგრძელება?! ახალციხესა და აწყურთან ბრძოლაში მესხნი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ, ამიტომაც „ითხოვეს ზავი" უვნებლობის თაობაზე. ჰასან-რუმლეს ცნობით, „ყვარყვარემ თავისი შვილი გააგზავნა თხოვნით იაყუბ ფადიშაჰის კარზე და ამირების მეშვეობით მისი უდიდესობის ნოხის კოცნით გაბედნიერდა, დაალაგა რა ხელმწიფის წინაშე ძღვნად მოტანილი საჩუქრები, მან მოახსენა იაყუბს, თუ ხელმწიფე ინებებს თავის ქვეყანაში დაბრუნებას, დაპირებული გადასახადის გარდა კიდევ შევიტან თქვენს ბედნიერ ხაზინაში ხუთას თუმანს „ნალის ფასად".[2] იაყუბ-ფადიშაჰმა მიიღო ყვარყვარე ათაბაგის თხოვნა და „მისცა პირი მტკიცე" (ვახუშტი). თითქოს დიპლომატიური მისია წარმატებით დასრულდა, მაგრამ ღმანისის მხარეში თურქმანთა ლაშქრის მიერ განცდილი ზარალით განაწყენებულმა სპარსეთის ხელმწიფემ — „არღარა აღუსრულა პირი მესხთა", მოაოხრა ეს მხარე და უკან გაბრუნდა.

1487 წელს მეორე შემოსევას, იაყუბის დავალებით, ხალილ-ბეგი ხელმძღვანელობს. ამ ლაშქრობის პერიოდში აყ-ყოიუნლუს ამირებსა და კონსტანტინე II-ს შორის საზავო მოლაპარაკება გაიმართა: კონსტანტინე II-მ ამ დიპლომატიური მისიის შესრულება თავის მოხუც დედას, ანუ დემეტრე „პროვინციის მეფის" თანამეცხედრეს — გულშარს ანდო: კონკრეტულად არ ჩანს, თუ ეს „მანდილოსანი დიპლომატი" რას ითხოვდა და როგორი ხასიათის დავალებას ასრულებდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ კონსტანტინე II თურქმანებს კონტრიბუციის მიღებას და უკან დაბრუნებას სთავაზობს — იბნ რუზბეჰანის მიხედვით, იმის შიშით, რომ შვილის (კონსტანტინე II) სამფლობელოებს დაარბევდნენ, თვითონ კი იძულებული იქნებოდა მონასტრიდან გამოსულიყო და კარდაკარ ევლო, მოხუცი „დიპლომატი-დედოფალი" (გულშარი) თურქმან ამირებს ზავის პირობების მიღებას ემუდარება. იაყუბ-ხანის მხარე

1 „პარიზის ქრონიკა", გვ. 39.
2 ჰასან-რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 18.

მშვიდობიან მორიგებაზე არ მიდის.[1] გულშარ დედოფლის დიპლომატიური მისია წარუმატებლად დასრულდა, თუმცა, ამჯერად, ვერც თურქმანებმა შეძლეს თბილისის აღება — ამის შესაძლებლობა მათ მხოლოდ 1489 წლის თებერვალში მიეცათ, როცა ვალი-აღა ეშიკაღასიმ ქალაქი დაიკავა. ქართველებმა მალე შეძლეს დედაქალაქის დაბრუნება, თუმცა იაყუბ-ყაენის ამ შემოსევამ ხელი შეუშალა კონსტანტინე II-ს ლიხთიმერეთის შემომტკიცებისათვის ბრძოლაში და დააჩქარა იმერეთის დამოუკიდებელ სამეფოდ ჩამოყალიბება. მართალია, იაყუბ-ფადიშაჰმა მარცხი განიცადა საქართველოს დაპყრობის საკითხში, მაგრამ ქართულმა საშინაო დიპლომატიამ და სამეფო ტახტმა ვერც ერთიანი სამეფოს შენარჩუნება შეძლო. საშინაო დიპლომატიის დასახასიათებლად საკმაოდ მეტყველია თუნდაც ის ფაქტი, რომ კონსტანტინე II-ის მოწოდებაზე, თურქმანთა წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის შესახებ, სამცხის ათაბაგმა და კახეთის მეფემ უარი განაცხადეს.[2]

ქართული დიპლომატია ყოველთვის სარგებლობდა მტრის ბანაკში არეულობითა თუ ვითარების გართულებით — 1491 წელს სომხური ჰიშატაკარანის მიხედვით, „მწუხარების, შფოთიან მხარეში, როდესაც მოკვდა ჰასან ბეგის ძე იაყუბ ბეგი", „ქრისტიანთა ნათესავი" მეფე კონსტანტინე II ქართლს წმენდს თურქმანებისაგან და სამეფოს ლორეს უერთებს; ლაშქრობს გელაქუნის (სევანის) ტბის დასავლეთ სანაპიროსა და ანისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რეგიონებში შირაკვანამდე, საიდანაც დევნის მტერს.[3] ვახუშტის ცნობით: „შემდგომად თათართა წასვლისა შემოიკრიბა მეფემან კონსტანტინე სპანი, მიუჴდა და მოსრნა ელნი გარემონი, შემუსრა და დაარღვია ალჯაყალა და ქოზიანნი".[4]

ამდენად, იაყუბ-ყაენის შემდეგ კონსტანტინე II-ს მნიშვნელოვანი წარმატებისათვის მიუღწევია — მთლიანად გაუწმენდია ქართლი თურქმანებისაგან, კვლავ შემოუერთებია ლორე და ისტორიული სომხეთის ზოგიერთი პროვინციიდანაც დამპყრობელი განუდევნია. კონსტანტინეს სამეფო კარს ეს სასიკეთო ცვლილებები ფართო დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობად მიუჩნევია.

ამ პერიოდის პირველი ასეთი დიპლომატიური მისია საქართველოდან კვლავ ეგვიპტეში — ოსმალთა უპირველესი მოწინააღმდეგის სახელმწიფოში იგზავნება. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: თუ „რამდენად ფართოდ უყურებდნენ ისინი ამ საქმეს, ის გარემოებაც ამტკიცებს,

---

[1] რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. მეორე ნახევარში, გვ. 129.

[2] ვახუშტი. გვ. 388.

[3] XIV-XV სს. სომხურ ანდერძმინაწერთა ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 98, 149-150.

[4] ვახუშტი. გვ. 390.

რომ, თვით მაჰმადიანი ხელმწიფის, ეგვიპტის სულთნის მეგობრული კავშირის და დახმარების იმედი და გეგმა ჰქონიათ თავიანთ მეზობელ მაჰმადიანთა მძლავრი სახელმწიფოების საწინააღმდეგო ბრძოლაში გამოსაყენებლად".[1] ამ უმნიშვნელოვანესი მისიის შესასრულებლად 1493-1494 წლებში ეგვიპტეში მამლუქ სულთან ალ-აშრაფ საიფ ად-დინ კაიტ-ბეისთან კონსტანტინე II-ის კარის მოძღვარი, მეფის მრჩეველი და სპეციალური დესპანი — ელჩი ნილო (ნილოსი) მონაზონი იგზავნება. კონსტანტინე II-ის წერილში ესპანეთის დედოფალ იზაბელასადმი აღნიშნულია, რომ „ახლა კი გავიგეთ და მტკიცე იმედიც გვაქვს, რომ იესო ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთი ჩვენი ულვთო აგარიანელებზე გამარჯვებას მოგვანიჭებს. რომელ საქმისთვისაც ჩვენ ჩვენი მოძღვარი მღვდელ-მონაზონი კირნილო ეგვიპტის სულთანთან ქაიროში წარგზავნეთ, რომელმაც იგი დიდი სიხარულით მიიღო. იცოდეთ, რომ ჩვენ სხვა მხრივ უწმინდურებთან საერთო არაფერი გვაქვს".[2] როგორც ირკვევა, ელჩობა „აგარიანელებზე გამარჯვების" მოსაპოვებლად აუცილებელი საკითხების გადასაწყვეტად ეწყობა — მისი მიზანი საქართველო-ეგვიპტეს შორის დიპლომატიური მოლაპარაკება და სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მიღწევა ოსმალთა წინააღმდეგ საერთო სამოქმედო გეგმის შემუშავების თვალსაზრისით. რადგან ეგვიპტის სულთანმა ნილო მონაზონი — „დიდი სიხარულით მიიღო", ეს ნიშნავს, რომ ამ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს მათი მოკავშირეობაც უნდა მოჰყოლოდა, თუმცა ეს „დიპლომატიური მონაპოვარი" უშედეგო აღმოჩნდა დასავლეთის მხრიდან არსებული „სეპარატიზმის" გამო.[3]

კონსტანტინე II-ის წერილიდან ცნობილი ხდება, რომ ელჩი ნილო მღვდელმონაზონი ეგვიპტიდან იერუსალიმში შეჩერდა, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და ესპანეთის დესპანები; ამ ელჩებისაგან გაუგიათ ქართველებს დედოფალ იზაბელას მიერ ესპანეთში არაბთა დამარცხებისა და გრენადის აღების სასიხარულო ამბავი. როგორც ჩანს, ქართველმა დიპლომატმა ესპანელ ელჩებს ანტიოსმალური კოალიციის შექმნის პერსპექტივები გააცნო და არც კაიროში მოლაპარაკებებზე მიღწეული შედეგები დაუმალა — ამის გამო, ისინი თანხმდებიან საქართველოში გამომგზავრების თაობაზე შემოთავაზებულ წინადადებას. თბილისში კონსტანტინე II-სთან აუდიენციის შემდეგ, მეფემ ესპანელ ელჩებს ესპანეთში „დაბეჭდილი წერილით" კვლავ მისი „მოძღვარი" და

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 157.
2 წერილის სრული ტექსტი იხ., ი. ცინცაძე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 71-73.
3 ნ. კანდელაკი, ქართული საელჩო მჭევრმეტყველება, თბ., 1966, გვ. 89.

„მესაიდუმლე“ — ნილო გააყოლა. ნილო მონაზონი რომის პაპთანაც უნდა წარმდგარიყო და წერილი და საჩუქარი გადაეცა. „საქართველოს მამულიშვილთ თავიანთი ქვეყნის ხსნისა და პოლიტიკური აღორძინების იმედი მისცემიათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ რაკი ესპანეთის დედოფალმა არაბთა დამარცხება და თავის სამშობლოსგან სამუდამოდ განდევნა შეძლო, ოსმალთა და სპარსთა დამარცხება-განდევნაც ადვილად შესაძლებელი იქნებოდა, თუ რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის ქრისტიანობა შეერთებული ძალით მაჰმადიანობას შეებრძოლებოდა“, — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი.[1] ამ იმედით წარგზავნილ ელჩს — ნილო მღვდელ-მონაზონს და მის თანხმლებ ზაქარია დესპანს ევროპაში წინასწარ შემუშავებული სამოქმედო გეგმა ჩააქვთ — ორი ფრონტით თურქთზე დარტყმა კონსტანტინოპოლის გასათავისუფლებლად: „ამჟამად ურჯულოთა მთელი სიმრავლე აგარიანთა, თურქთა და არაბთა შეძრწუნებული და შეშინებულია. ახლა დრო დაგვიდგა ღვთის მეოხებით და გთხოვთ შენ კონსტანტინეპოლზე გაემართო“... „ხოლო მე, ჩემი ვაჟიშვილით და ჩემი ლაშქრით, რამდენიც შემეძლება, როგორც კი თქვენი მეუფების მიერ გამოგზავნილი დესპანი ჩემამდე მიაღწევს, დაუზარებლად ამ საქმეზე თქვენ თან გამოგყვებით“, — ვკითხულობთ კონსტანტინე II-ის წერილში დედოფალ იზაბელასადმი. როგორც ჩანს, იგულისხმება ესპანეთის ფლოტის გამოგზავნა კონსტანტინოპოლის გასათავისუფლებლად, ხოლო კონსტანტინე მეფე და ეგვიპტის სულთანი სახმელეთო დარტყმას კისრულობენ.

როგორც აღვნიშნეთ, გზა ესპანეთისა და რომისაკენ ოსმალთა ხელში იყო, ამიტომ ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად მაინც სახმელეთო გზა იქნა შერჩეული — მხედველობაშია ელჩების ნილოსა და ზაქარიას ლიტვა-პოლონეთის ტერიტორიაზე გავლა; ალბათ ქართული დიპლომატიის მიერ გათვალისწინებულ იქნა ის მომენტიც, რომ პოლონეთის მეფეები, თურქებთან გამუდმებული ბრძოლების გამო, დაინტერესებული იყვნენ ქრისტიანულ საქართველოსთან ურთიერთობის დამყარებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ქრისტიანთა ძალების გაერთიანების მიზნით, მეფე კონსტანტინე II-მ თავისი დესპანების მეშვეობით კონტაქტების დამყარება სცადა პოლონეთის მეფე ალექსანდრე იანგელონჩიკთან; პოლონელი ისტორიკოსის ბოგდან ბარანოვსკის აზრით, ელჩ ნილოს შეხვედრებიც კი ჰქონდა პოლონეთის კარზე.[2] ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ არაა

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

[2] ო. ტაბუცაძე. საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან XIX ს. პირველ ნახევარში. „საქართველო და ევროპის ქვეყნები“, V, გვ. 147-48.

ცამორიცხული, ქართველ ელჩს კონსტანტინე მეფის წერილიც ჰქონოდა პოლონეთის მეფე ალექსანდრე იანგელონჩიკისათვის გადასაცემი.[1] ამიტომაც გაჩნდა პოლონეთის არქივში კონსტანტინე მეფის ეპისტოლეს ძველი რუსული თარგმანი (როგორც ცნობილია, მისი ორიგინალი მიკვლეული არ არის).

ქართული დიპლომატია ითვალისწინებს გზებზე გართულებული ვითარების არსებობას და არ გამორიცხავს საიდუმლო გეგმის მტრის ხელში ჩავარდნის შესაძლებლობას — კონსტანტინე მეფის ეპისტოლეში ხაზგასმითაა აღნიშნული: „წერილებს გარდა სხვა სიტყვიერ ჩვენს გულის ნადებსაც გაიგონებთ მისგან, რადგან გზაზე მრავალი მტერია“, ანუ ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები ნილო მონაზონს რომსა და ესპანეთში სიტყვიერად უნდა გადაეცა ევროპელ ხელისუფალთათვის. ამ შემთხვევაში იგი — ელჩი-„ორატორის“ ფუნქციას ასრულებს. ფერდინანდისა და იზაბელას საპასუხო წერილში ესპანელი ხელისუფალნი კიდეც აღნიშნავენ: „ გავიგეთ ზოგიერთი რამ, რაც მათ (ელჩებმა, დ. ნ.) თქვენი სახელით გვიამბეს“.[2]

ე. მამისთვალიშვილის შეფასებით, „კონსტანტინე მეფის წერილი ესპანეთის მეფისადმი მაჰმადიანთა გაძლიერებით ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის ჰკვიანურად მოფიქრებული ანალიზია“.[3] ასევე თვალშისაცემია, რომ ქართველი მეფე წერილში ზოგადად საქრისტიანო საქმეებზე მსჯელობს და მთავარ მიზანს აშკარად არ ამჟღავნებს. ვფიქრობთ, ამის მართებული ახსნა ივ. ჯავახიშვილმა მოძებნა, რაც საინტერესოა ქართული დიპლომატიის ისტორიის თვალსაზრისითაც: „იქნებ იმიტომ სდუმდნენ ამის შესახებ, რომ კარგად იცოდნენ, მარტო საქართველოს გულისათვის დასავლეთის ქრისტიანები თავს არ შეიწუხებდნენ და საქმე რომ ასე დაეყენებინათ, სრულებით ჩაიფუშებოდა? შესაძლებელია, მაგრამ დუმილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი, უეჭველია, პოლიტიკური სიფრთხილე უნდა ყოფილიყო და შიში, რომ ეს გარემოება შემთხვევით ქართველთა დაუძინებელ მტრებს უდროოდ არ გაეგოთ და შური არ ეძიათ“.[4]

კონსტანტინე მეფის მეფე ფერდინანდისა და დედოფალ იზაბელასადმი შეთავაზებულ ანტიოსმალურ გეგმას ნაკლებად ჰქონდა რეალურად ამოქმედების შანსი. ესპანეთს მცირე ინტერესი და ნაკლები ძალა ჰქონდა აღმოსავლეთში სამოქმედოდ. ესპანეთის სამეფო კარზე ქართველი

---

[1] B. Baranowski. Znajomosc wschodu w dawnej Plesce du XVIII wieku, Lodz, 1950, გვ. 212.
[2] ო. ტაბუცაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 148.
[3] ე. მამისთვალიშვილი, დასახ. მონოგრაფია, გვ. 97.
[4] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

დიპლომატები 1495 წელს წარსდგნენ — ლუის ხილ ფერნანდესი აღნიშნავს, რომ ამ დროს ესპანეთის ხელისუფლებას მთელი ყურადღება იტალიაზე ჰქონდა გადატანილი, ხოლო მუსლიმებთან ბრძოლის საკითხი გაყინულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.[1] ამიტომაცაა, რომ დედოფალ იზაბელასა და მეფე ფერდინანდის დაპირებები აბსოლუტურად კონკრეტულობასაა მოკლებული. ესპანელი ავტორი უთითებს კათოლიკე ხელმწიფეთა — იზაბელასა და ფერდინანდის პასუხს კონსტანტინე მეფისადმი (1490 წ. ივლისი), რომელიც სამეფო მდივნის — ლუის გონსალესის მიერაა ხელმოწერილი; ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს წერილი ე. ხინთიბიძემ გამოაქვეყნა;[2] მიმოწერა 1495 წელს ხორციელდება. იზაბელასა და ფერდინანდის პასუხთან დაკავშირებით ლუის ხილ ფერნანდესი აღნიშნავს, რომ ესპანეთის ხელისუფალნი გამორჩეულად ზრდილობიანი და მოზომილი ტონით მადლობას უცხადებენ ქართველ მეფეს, ცდილობენ მის ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში წახალისებას, მაგრამ, ამავე დროს, მკვლევრის აზრით, არსებულ სიტუაციაში სრულიად უდროოდ ახსენებენ კონსტანტინე II-ს, რომ ესპანელებს 800 წელი დასჭირდათ არაბების განსადევნად...[3] აქვე მითითებაა ისეთ ფაქტებზე, რომელთაც საქართველოსა და აღმ. ქრისტიანობისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდათ: „სრულიად განვასხით ჩვენს სამეფოთა და სამფლობელოთაგან ყველა იუდეველი, რომელნიც დიდ-დიდ გუნდებად დაძრწოდნენ, მიჰქონდათ რა ზიანი ყველა კუთხეში", ან: „ ... არაფერი სურს ისე ძლიერ ჩვენს მეფეს ფერდინანდს, ვიდრე გარდასხას ჯარი აფრიკაში და შეუსვენებლივ იბრძოლოს კათოლიკური რწმენისათვის".[4] აღნიშნულ წერილში ნათქვამია, რომ ქართველ ელჩებს კონსტანტინე II-ისათვის ზეპირად უნდა გადაეცათ ესპანეთის ხელისუფალთა დანაბარები — „ჩვენ მათ ვუპასუხეთ ვრცლად და დაწვრილებით. დაე მათ გიამბონ თქვენ". რაზეა საუბარი, ბუნებრივია, უცნობია, მაგრამ შედეგი დაევას არ იწვევს — დიპლომატიურ კონტაქტებს რეალურად ხელშესახები არაფერი მოჰყოლია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქართველ პოლიტიკოსებს ესპანეთის სამეფოს სამხედრო ძლიერებაზე, როგორც ჩანს, გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდათ.

ესპანეთში უშედეგო ელჩობის შემდეგ ნილო მონაზონი (უნდა ვივარაუდოთ, ზაქარიაც) რომში ჩადის და პაპ ალექსანდრე VI-ს (1492-

---

1 Луис Хил Фернандес (Мадрид). Дипломатические контакты между Грузией и Испанией в XV-XVII вв. „მაცნე", №1, 1990, გვ. 140.

2 ე. ხინთიბიძე, ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ, „ცისკარი", 1986, №3, გვ. 148.

3 Луис Хил Фернандес, გვ. 140.

4 ე. ხინთიბიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

1503) კონსტანტინე მეფის წერილებსა და სიტყვიერ დანაბარებს გადასცემს. ჩვენამდე მოაღწია 1496 წლის ივლისში პაპის მიერ ქართველი მეფისათვის გამოგზავნილმა პასუხმა,[1] რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ქართველ მეფეს რომის პაპისათვის ესპანეთის დედოფლის გამარჯვება მიულოცავს და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებაც უთხოვია. პაპის პასუხში ხაზგასმულია, რომ ამისათვის ევროპაში არასახარბიელო ვითარებაა, ხოლო რადგან დასავლეთის ხელისუფალთა შორის „განხეთქილების ღვარძლია" დათესილი, მათგან დახმარება ნაკლებადაა მოსალოდნელი. შექმნილი რთული ვითარებიდან გამომდინარე, კონსტანტინე II-ს კიდევ ერთი დიპლომატიური ნაბიჯი გადაუდგამს — როგორც აღინიშნა, ფერარა-ფლორენციის კრების გადაწყვეტილებაზე საქართველოს დელეგაციის მიერ ხელმოწერაზე უარის თქმას საქართველო-რომს შორის შესაბამისი განხეთქილების ჩამოვარდნა მოჰყვა; ამჯერად, ქართულ მხარეს თავის მხრივ პაპისათვის ფერარა-ფლორენციის კრების დადგენილების აღიარება შეუთავაზებია, რაც, ბუნებრივია, დიდ კმაყოფილებას იწვევს — ამიტომაცაა, რომ პაპი ალექსანდრე VI ამაზე უფრო დიდ ყურადღებას ამახვილებს, ვიდრე მთავარ საკითხზე: „ამიტომ ჩვენ (რომის პაპი, დ. ნ.) ახლა გიგზავნით კრების დადგენილებას, წერილში ჩადებულს და ჩვენი ბეჭდით დალუქულს"... ამდენად, ამ დიპლომატიურ ნაბიჯსაც რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ამავე წერილში აღნიშნულია, რომ ნილო მონაზონს პაპი ზეპირ დანაბარებსაც ატანს: „ჩვენ მას ვუპასუხებთ ზეპირად და გარკვევით ყოველივე იმაზე, რაც მან შენი სახელით ჩამოგვიყალიბა".[2] შესაძლებელია, ზეპირად ნათქვამში უფრო მეტი იმედი და შეპირებაც იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მცდელობების შედეგებს ჩვენ ვერ ვხედავთ.

როგორც წყაროებიდან ჩანს, საქართველოს ელჩი დიდი პატივით მიუღიათ და ასევე გამოუცილებიათ — პაპმა მას თავის თანმხლებთან ერთად სამოგზაურო სიგელი გაატანა ოცდაათი წლის ინდულგენციებით.[3] რომის პაპის კანცელარიიდან მისი სახელით რომელიმე ქვეყნის მოციქულისათვის მგზავრობის უზრუნველმყოფელი ასეთი წერილის გაცემა მართლაც იშვიათია.

საშინაო დიპლომატიის თვალსაზრისით, თვალშისაცემია უკვე მხოლოდ ქართლის მეფის კონსტანტინე II-ის დიპლომატიური ქმედებანი, რომელიც თავისი მოსალოდნელი მოკავშირეების — კახეთისა და იმერეთის მეფეებისა თუ სამცხის ათაბაგის გარეშეა დარჩენილი. როგორც

---

[1] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 64-67.
[2] ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, გვ. 219.
[3] იქვე, გვ. 220-221.

ჩანს, უკვე აქტიურად მოქმედებს 1490 წლის დარბაზობის აქტი — საქართველოს სამეფოს დაშლის იურიდიულად დაკანონების თაობაზე.

კონსტანტინე II-ის წერილში ესპანეთის დედოფალ იზაბელასადმი დასმულია რამდენიმე აქტუალური საკითხი: „სად არის ის დიდება და პატივი, რომელიც ქრისტიანებს ჰქონდათ? სად არის ქება და იმედი, სად არის წმინდა და დიდებული კონსტანტინეს დიდი ქალაქი? სად არიან იქ მყოფი კეთილმორწმუნე მთავრები? სად არის სიხარული და მხიარებულება მისი?... სადღა არის ტრაპიზონის სამეფო და ამორეველთა, იაგისგელთა და ეგრიპოელთა? ან სერბთა ქვეყანა სად არის? ან სხვა ქვეყნები რა იქნა?“ ზემოაღნიშნული წარუმატებლობის გამო ეს კითხვები უპასუხოდ რჩება, იმედები გაცრუებული, ხოლო გეგმები განუხორციელებელი.

მართალია, ამ დიპლომატიურ საქმიანობას სათანადო შედეგები ვერ მოჰყვა, მაგრამ მათ მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა ორბიტაში მოსაქცევად. ამდენად, იგი მართლაც უნდა მივიჩნიოთ XV ს-ის ბოლო პერიოდის ქართველ მეფეთა და საერთოდ, ქართული დიპლომატიის ერთ-ერთ ეტაპად.[1]

## 5. სამღვდელოების როლი XIII-XV საუკუნეთა ქართულ დიპლომატიაში

შუა საუკუნეების დიპლომატიურ ურთიერთობათა წარმოებაში სამღვდელოება მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მეფე, დარბაზი, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ათაბაგი თუ მანდატურთუხუცესი ქართული დიპლომატიის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს განსაზღვრავდა, მაგრამ საჭირო იყო მისი განხორციელება, ცხოვრებაში გატარება; ამდენად, აქტუალურად იდგა დიპლომატიურ დავალებათა პრაქტიკულ შემსრულებელთა ვინაობის საკითხი. შუა საუკუნეების ევროპაში დიპლომატია ეკლესიის პრეროგატივას წარმოადგენდა, ასე იყო როგორც ადრეულ ეტაპზე[2] , ისე შემდგომ ხანებშიც.[3] საქართველო ამ

---

ლ. ალექსიძე. საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში. გვ. 22.

2 Н. Г. Гарсоян, Роль восточного духовенства в Византино-Сасанидских дипломатических отношениях, "Античная древность и средние века", 10, Свердловск, 1973.

3 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902; M. Tamarati, L'Eglise Géorgienne des origines jusqu' à nos jours. Rome, 1910; J. Richard, La Papauté et les missions d'orient au Moyen age (XIII-XV siècles). 1977; W. Zöllner, Geschichte der Kreuzzüge, Berlin, 1990.

მხრივ გამონაკლისი არ იყო[1] (ასეთივე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ვაჭრებიც), ქართველთა სამეფოშიც სახელმწიფოთა შორის დიპლომატიურ კავშირებს სწორედ ქართველი ბერები, ე. წ. „ეპისკოპოსი-ელჩები“,* სამღვდელოების სხვა წარმომადგენლნი და პილიგრიმები ასრულებდნენ; ხშირად ისინი ინიშნებოდნენ ელჩობებისა და დიპლომატიური მისიების მეთაურებად. „წმინდა ადგილების“ გათავისუფლების პრობლემის გარშემო განვითარებული დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიიდან კარგად ჩანს მათი როლი სახელმწიფოთაშორისი კონტაქტებისა და საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტა-დარეგულირების საქმეში. თუ მნიშვნელოვანი საგარეო კონტაქტების მოწესრიგებისა და წარმოებისათვის საჭირო დიპლომატიურ „კორპუსებს“ ძირითადად სამღვდელოების წარმომადგენლნი ქმნიდნენ, ბუნებრივია, მითუმეტეს ასე იქნებოდა საერთაშორისო პრობლემებად ქცეული რელიგიური სფეროს საკითხებისა თუ „წმინდა საფლავის“ გამოხსნის გამო წარმოშობილი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მხრივ. ქართველთათვის „წმინდა მიწის“ გამოხსნა ეროვნულობის, თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და ქართული რჯულის დაცვას უდრიდა, აქედან გამომდინარე, ამ რელიგიურ-საეკლესიო საკითხთა გარშემო გაჩაღებული დიპლომატიური საქმიანობის ძირითად შემსრულებლად ე. წ. „დიპლომატი-ბერები“ იქცნენ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დიპლომატიურ ურთიერთობებში სამღვდელოების ასეთ აქტიურობას სხვა მიზეზებიც ჰქონდა: საეკლესიო პირები განათლებით, ერუდიციით, ენების ცოდნითა და ადამიანებთან ურთიერთობების დამყარების უნარით გამოირჩეოდნენ, რაც, რაღა თქმა უნდა, კონტაქტების დამყარების საქმეში დიდ როლს ასრულებდა. უცხოელის ბედი დასავლეთ ევროპაში მთლიანად დამოკიდებული იყო იმ ფეოდალის ან მეფის სურვილზე, რომლის სამფლობელოშიც ის შედიოდა.[2] უიარაღოდ ან დაცვის გარეშე დიპლომატიურ მისიათა წევრების გადაადგილება მეტად სახიფათო იყო. დაცვის, წყალობის სიგელები თუ „გასაცნობელი ქაღალდები“ (მ. თამარაშვილის ტერმინია) ხშირად უცხოელის ხელშეუხებლობას ვერ უზრუნველყოფდა; თუ ასეთი პირი სხვის სამფლობელოში იქაური ხელისუფლის მფარველობას ვერ მოიპოვებდა, შესაძლებელი იყო მისი ყმად („სერვად“) ქცევა — ასეთი ადათი მოქმედებდა საფრანგეთში, გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებ-

---

1 ლ. ტუხაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

* ნ. გარსოიანის ტერმინია.

Ф. Мартенс. Современное международное право цивилизованных народов, т. I, 1889, გვ. 74.

ში XVIII ს-ის დამდეგამდე.[1] როგორც ჩანს, ასეთ ფონზე თუ ვითარებაში გარკვეულ ქვეყნებში სამღვდელოების წარმომადგენელნი — „მღვდელი-დიპლომატები“ ახერხებენ საჭირო მფარველობის მოპოვებას და ხელისუფალთაგან განსხვავებული დამოკიდებულებითა და შესაბამისი სტატუსით სარგებლობენ — მაგ., საქართველოდან წარგზავნილი ქართული ეკლესიის მსახურნი მართალია კათოლიკურ, მაგრამ ქრისტიანულ დასავლეთში; იქ სწორედ სამღვდელო პირებს უფრო უნდა გაადვილებოდათ ადგილობრივ ხელისუფლებთან საერთო ენის გამონახვა, მითუმეტეს, თუ ეს მისიები რომის პაპთან იყო გაგზავნილი. ამავე დროს, მეორე მხრივ, ქრისტიანული სახელმწიფოების მაჰმადიანურ აღმოსავლეთში ელჩობების მიზეზად ხშირად ცხადდებოდა — „წმინდა მიწის“ მოხილვა, ქრისტიანული სალოცავების გათავისუფლება თუ განახლება, „წმინდა ადგილებში“ ძველი პრივილეგიების აღდგენა ან ახალი უფლებების მოპოვება, ამ „წმინდა ადგილების“ ერთი ქრისტიანი მფლობელიდან მეორისადმი გადაცემის შესაძლებლობების განხილვა და სხვ. ამ იდეის ქვეშ მიმდინარეობდა აქტიური დიპლომატიური საქმიანობა, სადაც რეალურად უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საკითხები წყდებოდა. როგორც ჩანს, ასეთი დიპლომატიური კონტაქტების განხორციელების საქმეში, პრაქტიკულ შემსრულებლებად პრიორიტეტი სამღვდელოების წარმომადგენლებს ეძლეოდათ, მითუმეტეს, როცა ისინი ამ სფეროში ყველაზე უფრო კომპეტენტურნი იყვნენ.

ქართულ სამღვდელოებას სხვა დატვირთვაც ჰქონდა: შუა საუკუნეების ქართული საზღვარგარეთული სამონასტრო კერები იმავდროულად იმ რეგიონებში საქართველოს დიპლომატიურ „წარმომადგენლობებს“ წარმოადგენდნენ.[2] ეს დიპლომატიური „კორპუსები“ სამეთვალყურეო და საინფორმაციო ფუნქციასაც ასრულებდნენ, აგროვებდნენ ინფორმაციას უცხოეთში მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხებზე, ცნობებს ღებულობდნენ მეზობელი მონასტრებიდან და შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებას საქმის კურსში აყენებდნენ. ასეთი ყველაზე აქტიური დიპლომატიური ცენტრი, როგორც ჩანს, „წმინდა ქალაქი“ — იერუსალიმი და „წმინდა ადგილები“ იყო. საზღვარგარეთის ასეთ სალოცავებს რომ მარტო რელიგიური დატვირთვა არ ჰქონდათ, კარგად ჩანს ბ. აბუ-მანნეჰის მიერ მოყვანილ არაბი ავტორის იბნ ალ-ვასიტის ახალ ცნობაში: ეგვიპტის სულთანს — ბეიბარსს ჯვრის მონასტრის ბერებზე

---

[1] ლ. ალექსიძე, უცხოელთა და უცხო სარწმუნოების მიმდევართა უფლებრივი მდგომარეობა შოთა რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თსუ შრომები, ტ. 125, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, VI, „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები“, თბ., 1968, გვ. 144.

[2] ლ. ტუხაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

ეჭვი მიუტანია, რომ ისინი იერუსალიმში კოპტი პილიგრიმების მეშვეობით დაზვერეით ინფორმაციას აწვდიდნენ მონღოლებს მამლუქთა შესახებ (არ გამოვრიცხავთ, რომ ასეთი ცნობები საქართველოს სამეფო კარსაც მიეწოდებოდა). ამას განუპირობებია ქართული სამღვდელოების წარმომადგენელთა დასჯა და მონასტრის მეჩეთად გადაკეთება.[1]

ერთმანეთს მოშორებული საზღვარგარეთული ქართული კოლონიები (იმავდროულად დიპლომატიური უჯრედები) ერთმანეთს შორის მჭიდრო კონტაქტებს ამყარებდნენ და სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციების გაცვლას აწარმოებდნენ. საქმის წარმოებისათვის მათ შორის კარგად ორგანიზებული კოორდინაციაც არსებობდა. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი საქართველოს მეფის მიერ ინიშნებოდა, იგი განაგებდა როგორც თავად მონასტერს, ისე „წმინდა ადგილებში" მთელი ქართული კრებულის საქმიანობასაც; სამეფო კარის დიპლომატიური სამსახური მისგანვე იღებდა საგარეო ვითარების შესახებ მისთვის საინტერესო ინფორმაციას. ცნობილია ისიც, რომ მისი დახმარებით ხდებოდა საქართველოს მეფისა და იერუსალიმის პატრიარქის ურთიერთკავშირი.[2] ამავე დროს, ამ მონასტერში მიმდინარეობდა ქართველ და ევროპელ ქრისტიანთა დაახლოება-ურთიერთთანამშრომლობის პროცესი. ცნობილია ტამპლიერთა ორდენისა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ურთიერთობა.[3] III ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში, კერძოდ, 1189 წელს იერუსალიმისაკენ მიმავალ ფრიდრიხ ბარბაროსას ქ. ფილიპოპოლში პეტრიწონის მონასტრის ქართველი წინამძღვარი შეხვდა — მათ კარგი შეხვედრა და საუბარი ჰქონიათ. ყურადღებას იქცევს, რომ მას სწორედ მაინცდამაინც ბერი — სამღვდელოების წარმომადგენელი შეხვდა.[4] გამორიცხული არაა, რომ ფრიდრიხს პეტრიწონში მუდმივად მცხოვრები ქართველი სამღვდელოებისაგან შეეძლო მიეღო თავისთვის ფრიად სასარგებლო ინფორმაცია, როგორც ადგილობრივი მდგომარეობის, ასევე საქართველოსა და მაჰმადიანური სამყაროს საქმეთა შესახებ; უდავოა, რომ ფრიდრიხ ბარბაროსა მაქსიმალურად გამოიყენებდა ინფორმაციის ამ კარგ წყაროს. არც ისაა გამორიცხული, რომ მას რაიმე დაევალებინა პეტრიწონის მონასტრის წინამძღვრისათვის საქართ-

---

1 გ. ჯაფარიძე, ქართველები იერუსალიმში, „ლიტერატურული საქართველო", 15/II, 1985.

2 А. А. Цагарели. Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, "Православный палестинский сборник", т. IV, вып. I, СПб., 1888, გვ. 44.

3 ე. მეტრეველი, ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენიებლებით, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 255-259.

4 შ. ბადრიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

ველოს ხელისუფლებისათვის საცნობებლად.[1] ასეთი ურთიერთობები განსაკუთრებით „წმინდა მიწაზე“ — „წმინდა ადგილებში“ აღინიშნებოდა.

დასავლეთი ევროპისა და საქართველოს ხელისუფალთა XIII-XV საუკუნეების დიპლომატიურ ურთიერთობებში მნიშვნელოვან და ხშირად შუამავლის როლს სწორედ სამღვდელოების წარმომადგენლები ასრულებდნენ. ამ კონტაქტების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ეხებოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების გაერთიანებას, კათოლიციზმის გავრცელებას, „წმინდა ადგილების“ მაჰმადიანთაგან გათავისუფლებას, აღმოსავლეთი რომის იმპერიის აღდგენას... ამდენად, ასეთ საკითხებზე ელჩთა რანგში სამღვდელოების წარმომადგენელთა აყვანა უფრო მომგებიანი და მოსახერხებელიც იყო. XIII-XV საუკუნეთა დიპლომატიაში გვაქვს მრავალი შემთხვევა, როცა ელჩების ფუნქციას დასავლეთის მხრიდან საქართველოში ასრულებენ ფრანცისკელი, დომინიკელი თუ სხვ. ბერები — იაკობ როგსანელი, გვილელმო ხერიოელი, მათე თიათინელი, ლუდოვიკო ბოლონიელი... ასევე საქართველოდანაც სხვა ქვეყნებში მოციქულებად თუ ელჩობის ხელმძღვანელებად იგზავნებიან კათალიკოსები, ეპისკოპოსები, სამღვდელოების სხვა წარმომადგენლები — აბრაჰამ I კათალიკოსი, ნიკოლოზ თბილელი, ნილო მონაზონი, დეკანოზი იოანე ბანდაისძე...

შუა საუკუნეების სახელმწიფოთა დიპლომატიურ ურთიერთობებში საეკლესიო საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ბუნებრივია, ამ პრობლემების დარეგულირების მთავარი მონაწილენი ისევ სამღვდელოების წარმომადგენელნი იქნებოდნენ. ასევეა XIII-XV საუკუნეთა ქართული დიპლომატიის ისტორიაშიც. ერთ-ერთი ასეთი საეკლესიო საკითხი რუსუდანის დროს განსაკუთრებულად დაისვა: მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში ჩავარდნილი საქართველოს სამეფო ტახტი თანხმობას აცხადებს ქართული და კათოლიკური ეკლესიების შეერთების შესაძლებლობაზე:

როგორ უნდა გავიგოთ რუსუდანის ნაბიჯი, როცა იგი პაპს ქართული ეკლესიის კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანებას სთავაზობს?!

ვფიქრობთ, აქაც გარკვეულ დიპლომატიურ ჩანაფიქრთან უნდა გვქონდეს საქმე: საქართველოს სამეფო ტახტი უმძიმეს მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი; ცდებს მონღოლების წინააღმდეგ რომელიმე ძალასთან შეკავშირების მიზნით შედეგი არ მოჰყოლია. ფაქტობრივი იზოლაცია სახეზე იყო. ამიტომაც, ამ პერიოდის ქართული დიპლომატია ერ-

---

[1] გ. ჟორდანია, ვინ იყვნენ „მეფენი ჰრომთანი?“, „ლიტერატურული საქართველო“, 1976, 11/VI.

თადერთ ხსნას დასავლეთ ევროპაში ხედავს, თუმცა იცის კათოლიკურ სამყაროში ჯვაროსნული ლაშქრობების წარუმატებლობის გამო გაჩენილი გარკვეული სიძნელეებისა და უიმედობის შესახებ. რუსუდანის სამეფო ტახტი ცდილობს ევროპის, განსაკუთრებით კი პაპის დაინტერესებას და ამისათვის ყველა ხერხს მიმართავს — ბოლოს ეკლესიების შესაძლო გაერთიანებასაც სთავაზობს.

აქვე უნდა შევჩერდეთ ქართული საეკლესიო დიპლომატიის ერთ მნიშვნელოვან საკითხზე: მ. თამარაშვილი აღნიშნავდა, რომ 1054 წელს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიათა განხეთქილების შემდეგ, საქართველოს ეკლესია არ მოქცეულა აღმოსავლეთის საპატრიარქოების მსგავსად — საქართველოსა და რომის ეკლესიამ საკმაო ხნით შეინარჩუნეს „ერთობა" და რომ იგი „მტკიცედ დაცულია" 1230 წლამდე.[1] სხვათა გვერდით ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად ის არის მოყვანილი, რომ ამ პერიოდის ქართულ, ჩვენამდე მოღწეულ სიგელებში მოხსენიებულ ხუთ პატრიარქს შორის რომის პაპიც არის აღნიშნული; აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ საქართველოს ეკლესია რომთან ძველებურ დამოკიდებულებაშია, რადგან გაყრილობის შემთხვევაში საქართველოს საპატრიარქო პაპს არ მოიხსენიებდა.

ჩვენ არ შევუდგებით ხანგრძლივ მსჯელობას საეკლესიო განყოფის საკითხებთან დაკავშირებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ „ერთობის" არსებობის ასეთ გაგებას ვერ გავიზიარებთ — 1054 წლის შემდეგ საქართველოს ეკლესიამ უდავოდ გეზი მართლმადიდებლობაზე აიღო, რამაც დროთა განმავლობაში მკვეთრად ჩამოყალიბებული სახე მიიღო. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ქართული საეკლესიო დიპლომატიის კარგად განსაზღვრულ კურსთან უნდა გვქონდეს საქმე, რომელსაც მხარს საქართველოს სამეფო დიპლომატიაც უმაგრებს. შექმნილ ვითარებაში, მითუმეტეს XI-XIII საუკუნეთა დასაწყისის ძლიერების ხანაში, როცა საქართველოს ეკლესიის საერთაშორისო ავტორიტეტი განსაკუთრებით იზრდება, იგი ორივე მხარესთან ცდილობს ურთიერთობების წარმოებასა და მათ დარეგულირებას. მართალია, ქართული ეკლესია მართლმადიდებლურია, მაგრამ ამ პერიოდში რომის პაპობას მკვეთრად მაინც არ უპირისპირდება, რადგან დამოკიდებულების ასეთი ფორმა დასავლეთის ძლიერი პოლიტიკური მოკავშირის საბოლოო დაკარგვას გამოიწვევდა. ბუნებრივია, ამას ქართული სამღვდელოების მესვეურნი თავისი ქვეყნის სასარგებლოდ აკეთებენ. სწორედ ასეთი დიპლომატიური ურთიერთობის ფორმა საქართველოს ხელისუფლებას საშუალებას აძლევს XIII-XIV საუკუნეებში, მისთვის ძნელბედობის ხანაში, რომის პაპთან და

---

[1] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

კათოლიკურ დასავლეთთან ინტენსიური ურთიერთობა აწარმოოს. ასევე დიპლომატიური ნაბიჯია, როცა საქართველოს ხელისუფლება, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად თანხმობას აცხადებს პაპთან საეკლესიო გაერთიანების თაობაზე, მაგრამ ბუნებრივია, ეს კავშირი ისევ პოლიტიკურ მიზნებს უნდა მომსახურებოდა. საეკლესიო გაერთიანება მაშინ შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ საქართველო მონღოლთა წინააღმდეგ დასავლეთისაგან რეალურ, პირველ რიგში, სამხედრო დახმარებას მიიღებდა. სხვა შემთხვევაში ქართული ავტოკეფალიური ეკლესია — მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი საპატრიარქო ამ ფაქტს არ დაუშვებდა, მითუმეტეს, დოგმატური განსხვავებების არსებობის პირობებში. პაპი საქართველოში გამოსაგზავნ მისიონერებს განსაკუთრებულად არჩევს თავისი ცოდნით, განათლებით და სხვ., ამავე დროს, მათ ამ ქვეყანაში პოლიტიკური მეთვალყურეობა და ინფორმატორობა ევალებათ. ასეთი თვისებებით დაჯილდოებული ხალხი, რომელთაც შეეძლოთ მოსახლეობაზე გავლენა მოეხდინათ, გაერთიანების საქმეს მაინც ვერ შველის; მისიონერები აქტიურად ერევიან ქვეყნის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, მხარს უჭერენ საქართველოს ძალების გაერთიანებას, მაგრამ საქმე ამაზე შორს ვერ მიდის[1] — „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანულ ეკლესიებს შორის 300 წლის წინ კონსტანტინოპოლში დარღვეული კავშირის გამთელება რომმა მცხეთაში მოინდომა";[2] იყო მხოლოდ ერთეული წარმატებები, მაგ., გაკათოლიკებული და „მონაზონად შემდგარი" ქართველები თავიანთ ევროპელ „ძმებთან" ერთად ინდოეთშიაც კი მიდიან ურწმუნოთა შორის ქრისტიანული სარწმუნოების გასავრცელებლად, გავიხსენოთ დიმიტრი ტფილელი, მაგრამ საკითხი ამ დონეზე შეჩერდა და საბოლოოდ, ყველა შემდგომი ცდაც წარუმატებლად დასრულდა.

XIII-XV საუკუნეთა დიპლომატიაში ქართული სამღვდელოების როლის წარმოსაჩენად შევჩერდეთ ზოგიერთი განსაკუთრებით საინტერესო „ეპისკოპოსი-ელჩების", „დიპლომატი-ბერებისა" თუ სხვათა დიპლომატიური საქმიანობის შესახებ:

ამ პერიოდის საქართველოს ეკლესიის ასეთი აქტიური მეთაურები არიან: საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ნიკოლოზი (1247/48-1282) — იგი სპეციალური მისიითაც კი იმყოფებოდა მონღოლთა ურდოში, სადაც ყაენისაგან ქართული ეკლესიის დაცვის „იერლაყის" მიღებას მიაღწია, რითაც საქართველოს ეკლესიის შეუვალობა და პრივილეგიები დამტკიცდა — „წარეიდა ულოს წინაშე კათოლიკოსი ნიკოლოზ, კაცი

---

1 შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 9. 11.
2 იქვე, გვ. 10.

მხილველი სულითა, ანგელოზთა მობაძავი, და მრავალთა მოღუაწებათა შინა საკჳრველი... იხილა რა ყაენმან, გაკჳრდა წესსა და ხილვასა შესახედავსა მისსა, რამეთუ არა მეცნიერ იყო ნათესავსა ქრისტეანეთასა, თჳნიერ არქუანთა; და ვითარ პატივ-სცა, დაუწერეს იერლაყი, რომელ არს წიგნი შეწყალებისა"...[1] კათალიკოს-პატრიარქს თან ახლდა ვარძიის „მოძღუარი". ამ კუთხითვე საინტერესოა კათალიკოს-პატრიარქის არსენ ბულმაისიმისძის მოღვაწეობა, რომელიც აქტიურად იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ჯალალ ედ-დინისა და მონღოლთა დაპყრობების პერიოდში. ბასილი უჯარმელ-ჭყონდიდელი და საქართველოს სამეფოს მწიგნობართუხუცესი 1248-1265 წწ-ში მონღოლთა პოლიტიკისა და ქვეყნის ხელისუფლებაში შექმნილი ვითარების გამო აქტიურად ერევა სახელმწიფო საკითხების წარმოებაში; დავით ულუს საქართველოში არყოფნის პერიოდში იგია სამეფოს ფაქტიური მმართველი. აქვე აღვნიშნავთ, რომ მონღოლთა ხანაში, რუსუდანის რომის პაპთან დიპლომატიური კონტაქტებისას ელჩის რანგში აყვანილია ანისის ეპისკოპოსი დავითი, სწორედ იგია რუსუდანის 1223 წლის წერილის რომის პაპ ჰონორიუს III-სადმი გადამცემი და დიპლომატიური დავალების შემსრულებელი. ასევე აქტიური ფიგურა ჩანს XIII ს-ის II ნახევარში მოღვაწე მღვდელ-მონაზონი მოსე, რომლის სახელი დემეტრე II-სა და დავით VIII-თან დაკავშირებით ჟამთააღმწერელთან არა ერთხელ ამოტივტივდა.

გამორჩეული ადგილი უკავია აბრაჰამ I-ს (აბრამი), რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწეა დემეტრე II თავდადებულისა და დავით VIII-ის მეფობის ხანაში. ჟამთააღმწერლის დახასიათებით, აბრაჰამ კათალიკოსი იყო „კაცი ესე მართლმოქმედი კეთილთა საქმეთა, და საურავთა სამეფოთა გამგე კეთილი".[2] კათალიკოს-პატრიარქი აქტიურად მონაწილეობდა დიპლომატიურ ურთიერთობათა სფეროშიც, იგი თან ახლდა დემეტრე II თავდადებულს მონღოლთა ურდოში მეფის სიკვდილით დასჯის დროს; სწორედ მისი უშუალო მცდელობით მოხერხდა დემეტრე მეფის ცხედრის საქართველოში ჩამოსვენება. აბრაჰამ I კათალიკოსმა აკურთხა დავით VIII საქართველოს (რეალურად აღმ. საქართველო) სამეფო ტახტზე, აქტიური მომხრეა მისი პოლიტიკურ-დიპლომატიური ხაზისა, სადაც პრიორიტეტი (პირველ ეტაპზე მაინც) მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლასა და წინააღმდეგობას აქვს მინიჭებული. კათალიკოსი სათავეში ედგა და ხელმძღვანელობდა სამეფო კარის —

---

[1] ჟამთააღმწერელი, გვ. 224.
[2] იქვე, გვ. 285.

დავით VIII-ის მიერ წარგზავნილ ელჩობებს მონღოლებთან ყაზან-ყაენის მიერ გამოგზავნილ ხუტლუშასთან. სულ ოთხი ასეთი ელჩობა მოეწყო, რომელშიც პატრიარქის გარდა შედიოდნენ „პროფესიონალი დიპლომატი" – ივანე ბურსელი[1] და ტფილელი ყადი. ამ მისიების მთავარი ამოცანა დავით VIII-ისა და მონღოლებს შორის გამწვავებული ურთიერთობის დარეგულირება იყო. მოლაპარაკებები ძალზე მწვავე ხასიათს ატარებდა და ისინი წარუმატებლად წარიმართა, ხოლო ივანე ბურსელისათვის ეს დიპლომატიური ცდანი საერთოდ ტრაგიკულად დასრულდა. აბრაჰამ I კათალიკოს-პატრიარქს ურთიერთობა აქვს დასავლეთ ევროპასთან, კერძოდ, ვატიკანთან, რაზეც მეტყველებს პაპი ნიკოლოზ IV-ის აბრაჰამისადმი მოწერილი წერილი (1289 წ.), სადაც მთავარი თემა კვლავ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების შეერთების საკითხია: პაპი ნიკოლოზ IV აბრაჰამ I კათალიკოსს „პატიოსან ძმას" უწოდებს და მუდარის ტონით წერს: „ იესო ქრისტეს მიერ მამობრივის სიყვარულით გიწვევთ და შეგაგულიანებთ დასაცველად კათოლიკე სარწმუნოებისა... სძლიეთ ყოველ სიძნელესა, რაც კი მასთან შეერთების დროს გამოგიჩნდესთ, მხნედ მოუახლოვდით ჩვენს ეკლესიას და თქვენის მაგალითით ეცადეთ სხვების მოზიდვასაც";[2] შემდეგ იმავე წერილში აღნიშნულია: „რადგან ამ წიგნის მომტანმა, ჩვენმა საყვარელმა შვილმა, მინორიტების მონაზონმა ივანე მონთეკორბინელმა მოგვითხრა თქვენი მრავალი შესანიშნავი მოქმედება, რომლის მოსმენით განვიხარეთ",[3] ამიტომ პაპი იმედს გამოთქვამს, რომ შეერთების საქმე წარმატებით დაგვირგვინდება.

გიორგი V ბრწყინვალის ინციატივით, „კლიტენი იერუსალიმისანისთან" დაკავშირებულ პიპაჲ ქვენიფნეველის ხელმძღვანელობით მოწყობილ ელჩობაში აქტიურად მონაწილეობდა დეკანოზი იოანე ბანდაჲსძე – ავგაროზ და გრიგოლ ბანდაისძეთა წინაპარი, რომელთა სახელს უკავშირდება „ძეგლი ერისთავთას" შექმნა.[4] მათ ეგვიპტეში წარმატებულ ელჩობას საქართველოსათვის „კლიტენი იერუსალიმისანის", ანუ ქრისტეს საფლავის კომპლექსის გასაღების გადაცემა მოჰყვა. ელჩობის ხელმძღვანელი პიპაჲ ქრისტიანთა უპირველეს „წმინდა ადგილზე" ეზიარა და „ჟამი აწირვა", დეკანოზი იოანე ბანლაჲსძე კი ტაძრის „მოძღუართ-მოძღურად" აკურთხეს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი – იოანე დეკანოზის ქრისტეს საფლავის ტაძრის მოძღვართ-მოძღვრად კურთხევა

---

[1] იხ. დ. ნინიძე, საქართველოს „მრავალმეფიანობის" ხანის (1298-1318) დიპლომატია, „ქართული დიპლომატია", წელიწდეული, I, თბ., 1994.

[2] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

[3] იქვე.

[4] ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 17.

იერუსალიმიდან საქართველოში, კერძოდ, სამთავნელისა და ვირშელქნის ერისთავისადმი სპეციალური წერილით უცნობებიათ. „კლიტენი იერუსალემისანის“ მოპოვებას საქართველოს მეფე გიორგი V ბრწყინვალე ძალზე გაუხარებია.[1] დიპლომატიური თვალსაზრისით, ამ მისიის შედეგი საქართველო-ეგვიპტის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესება იყო.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიათა გაერთიანების პრობლემა კვლავ მნიშვნელოვანი საეკლესიო საკითხია XV ს-ის დიპლომატიაში. სწორედ უნიის შესაძლებლობის განხილვას მიეძღვნა 1438-1439 წლებში მოწვეული ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება: ქრისტიანული ეკლესიის ამ დიდ თავყრილობაზე მიწვეულ საქართველოს ეკლესიის დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ გრიგოლ და იოანე მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსები. მსოფლიო დიპლომატიის თვალსაზრისით ამ მნიშვნელოვან ფორუმს ოსმალეთის წინააღმდეგ ძალთა გაერთიანება უნდა მოეხდინა, რაც, პაპის ჩანაფიქრით, კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების შეერთების შედეგად იყო შესაძლებელი. საკითხის ასეთი გზით გადაწყვეტა ვატიკანის პოლიტიკური ბატონობის აღიარებას ნიშნავდა. დასავლეთი ევროპის ქვეყნების უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მასში მონაწილეობა არ მიიღეს. ქართული დელეგაცია დარწმუნდა, რომ პაპისაგან საქართველო რეალურ დახმარებას ვერ მიიღებდა, არც „წმინდა ადგილების“ გამოხსნის პრობლემების გადაწყვეტის გზები გამოჩნდა, ამიტომ გრიგოლ და იოანე ეპისკოპოსები და საერთოდ, სამეფო კარის ამ მისიის ყველა წევრი კრებაზე დასმულ კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანების საკითხს უარყოფითად შეხვდა, მათ შორის ენის საკითხს... და საბოლოო აქტს ხელი არ მოაწერა. ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე დელეგაციის წევრების მიმართ ფიზიკური ზემოქმედებისა და ძალდატანების საშიშროებაც შეიქმნა, ამიტომ გრიგოლ ეპისკოპოსმა კრება მიატოვა და საქართველოში დაბრუნდა, იოანე ეპისკოპოსმა კი ღარიბის ტანსაცმელი გადაიცვა და იტალიაში დაიწყო მოგზაურობა პაპის პოლიტიკის მხილების მიზნით.[2]

XV ს-ის საქართველოს სახელმწიფო ხელისუფალთა მთავარი ამოცანა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაა. ასეთ ვითარებაში, ქართული დიპლომატიის უპირველესი საზრუნავი სწორედ ამ პრობლემების გა-

---

[1] „ძეგლი ერისთავთა“, შ. მესხიას გამოც., მსკი, 1954, ნაკვ. 30, გვ. 359.

[2] ვრცლად იხ., ო. ჯაჯანიძე, XV ს. I ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, I, თბ., 1970.

დაპრის უზრუნველყოფაა., სახელმწიფოებრიობის საკითხი, ეროვნულობის შენარჩუნების პრობლემას გადაეჯაჭვა, საერთაშორისო არენაზე ქართული თვითშეგნებისა და თვითმყოფადობის დაცვაში კი მთავარ როლს სამღვდელოება ასრულებს, რამდენადაც ქართული ეკლესია ეროვნული სარწმუნოების მცველის უმნიშვნელოვანესი ფუნქციის განმხორციელებელია. XV საუკუნეშივე იცვლება ქართული დიპლომატიის „წმინდა ადგილებისადმი" დამოკიდებულების ხასიათიც — საქართველოს სამეფო კარის მიერ მომზადებული მისიები და დიპლომატიური მოგზაურობანი ახალ მიზნებს იძენენ: თუ XIII-XIV საუკუნეთა ქართული დიპლომატიიის ძალისხმევა „წმინდა მიწაზე" ქართველთა უფლებებისა და საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟის აღდგენა-დაცვას ემსახურება, XV ს-დან მუსლიმთაგან გარშემორტყმულ-შემორკალული საქართველოს ხელისუფალთა მცდელობა და ამ კუთხით ძალისხმევა უკვე ეროვნულობის დაცვისა და ბრძოლის ერთ-ერთ ხერხად იქცა.[1] ამიტომაც, ასეთ სიტუაციაში, საქართველოს სამეფო კარის დიპლომატიის მთავარი მოქმედი პირნი კვლავ სამღვდელოების წარმომადგენელნი არიან, რომელთაც პირობითად „დიპლომატ-ბერებს" ვუწოდებთ.

XV ს-ის ქართული დიპლომატიის ისტორიის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ამ პერიოდის ელჩმა და დიპლომატმა ეპისკოპოსმა ნიკოლოზ თბილელმა (ტფილელმა). იგი XV ს-ის 60-იან წლებში წარმოშობილი იდეის — ანტიოსმალური კოალიციის შექმნისათვის აქტიურად მებრძოლი პოლიტიკური ფიგურაა. ლუდოვიკო ბოლონიელის მოღვაწეობის შემდეგ აღმოსავლეთის ქრისტიანმა მეფე-მთავრებმა დიპლომატიური მისია გაგზავნეს დასავლეთ ევროპაში; ამ ელჩობას გიორგი VIII-ის წარგზავნილი, მისი დიპლომატი ნიკოლოზ თბილელი ხელმძღვანელობდა; იგი ამ დიპლომატიური ელჩობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. პაპთან აუდიენციის დროს მისიის წევრებიდან სწორედ მან წარმოადგინა მათი ელჩობის მიზეზები და მიზნები.[2] ნიკოლოზ თბილელი შემდეგაც ჩანს დიპლომატიურ ასპარეზზე (ვრცლად იხ. XV ს-ის II ნახევრის ქართულ დიპლომატიაში).

გაელენიანი პოლიტიკური მოღვაწეა ნილო (ნილოსი), რომელიც მღვდელ-მონაზონი, კონსტანტინე II-ის კარის მოძღვარი, მეფის მრჩეველი და მისი საგანგებო დესპანია. იგი 1493-1494 წლებში ეგვიპტეში საგანგებო დიპლომატიური მისიით იგზავნება, ამ ელჩობის მიზეზი გარეგნულად „წმინდა ადგილების" გათავისუფლების საკითხია, მაგრამ მისიას ამ საბაბის მიღმა რეალურად სხვა ძირითადი მიზანი ჰქონდა: სა-

---

1. ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, გვ. 181.
2. ნ. კანდელაკი, ქართული საელჩო მჭევრმეტყველება, თბ., 1966, გვ. 135.

ქართველისა და ეგვიპტეს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დარეგულირება და სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მიღწევა, სადაც მთავარი ოსმალთა წინააღმდეგ საერთო გეგმის შემუშავების საკითხი იყო.[1]

კაიროდან სამშობლოში მომავალი გიორგი VIII-ის დესპანი ნილო იერუსალიმში შეჩერდა, სადაც ესპანეთის მეფის ელჩებს შეხვედრია და მათგან ქრისტიანთათვის მნიშვნელოვანი ამბავი გაუგია — ესპანეთის არაბთაგან გათავისუფლება. როგორც ჩანს, წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ ნილოს ესპანეთის ელჩები საქართველოში წამოუყვანია, რაც 1494/95 წლებში უნდა მომხდარიყო. 1495 წლის გაზაფხულზე ესპანეთში მიმავალ ელჩებს საქართველოს მეფემ თავისი მოციქული — ნილო გააყოლა და ესპანეთის დედოფალთან წერილი გაატანა. მათ ლიტვა-პოლონეთის სამეფო კარზე მოუხდათ შეჩერება, სადაც კონსტანტინე მეფის ესპანეთის დედოფლისადმი წერილი განუხილავთ — ლიტვა-პოლონეთის სამეფო ხომ ამ დროს ოსმალეთის წინააღმდეგ მოკავშირეს ეძებდა. საქართველოს ელჩობამ, რომელშიც ნილოს გარდა სამღვდელოების მეორე წარმომადგენელიც — მღვდელ-მონაზონი ზაქარიაც[2] შედიოდა, ევროპა გადაიარა და ესპანეთის სამეფო კარზე გამოცხადდა. დედოფალმა იზაბელამ საპასუხო წერილი გამოგზავნა (1495 წ. 30 ივლისი), რასაც რეალური შედეგები არ მოჰყოლია. ესპანეთიდან ქართველი მღვდელ-მონაზონი ელჩები რომში ჩადიან და პაპთან აუდიენციაზე ცხადდებიან. რომის პაპი ალექსანდრე VI (1492-1503) 1496 წ. 10 ივლისს საპასუხო წერილს უგზავნის კონსტანტინე II-ის სამეფო კარს, სადაც აღფრთოვანებას გამოთქვამს საქართველოს ხელისუფალთა გადაწყვეტილების შესახებ: „ეგრეთვე დიდის სიამოვნებით ვსცანით თქვენი აზრი და გადაწყვეტილება ქრისტეს სარწმუნოების მტერთა წინააღმდეგ გალაშქრებისათვის, რის გამო მზად ხართ წასასვლელად თქვენის შვილით და თქვენის მხედრობითურთ, რათა დავიხსნათ ეგოდენი დაჩაგრული ქრისტიანე და დავიბრუნოთ გაუპატიურებული ტაძრები",[3] — მაგრამ საქმე ამაზე წინ არ მიდის.

ყურადღებას იქცევს პაპის დამოკიდებულება მღვდელ-მონაზონისა და ელჩის ნილოს მიმართ: ნილოს რომიდან წასვლის წინ პაპი ალექსანდრე VI წერილს სწერს თავისი საბრძანებლის მთავრებსა და ევროპის სხვა ხელისუფალთ, ვის სამფლობელოზეც უნდა გაევლო კონსტანტინე II-ის

---

[1] ი. ცინცაძე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1966, გვ. 12-13, 15.

[2] ე. ხინთიბიძე, ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ, „ცისკარი", 1986, №3, გვ. 148.

[3] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64-65.

ელჩს საქართველოში დაბრუნებისას: „ ... აწ ხსენებული ორატორი (ნილო, დ. ნ.) ბრუნდება რა უკან თავის მეფესთან, ვნატრობთ ყოველგან თავისუფალი გზა მიეცეს. ამიტომ გთხოვთ თქვენ და საგანგებოთ ვუბრძანებთ ყველა ჩვენს ქვეშევრდომ კაპიტანთ, ჩვენის ჯარის უფროსით, ეგრეთვე ეპისკოპოსთ და საკათედრო ეკლესიის კაპიტულოთა და ყველა წესის მონაზონთა, რათა ნება მისცეთ ზემოხსენებულმა ძმამ ნილომ ყველა თავისი ბარგით და თანმხლებლებით, შეიძლოს უშიშრად და თავისუფლად წასვლა, მობრუნება, დადგომა, გავლა და ღამით დარჩენა ყველა გზებსა, ნავთსადგურებსა, ხიდებსა და ქვეყნებში, როგორც ჩვენს სამფლობელოში, ისე თქვენსაში და ხარჯი არაფერი გადაახდევინოთ. მსგავსადვე გევედრებით, რათა, უფლის პატივისათვის, სიყვარულით მოეპყრათ და თუ საჭიროებამ მოითხოვოს, გაატანოთ გზის-მცველი და თანამხლებელნი. ეგრეთვე გვნებავს, ყველა ძმათა და მონაზონთა მიიღონ ესენი თავიანთ მონასტერში და იზრუნონ ყოველი მათი საჭიროებისათვის ისე, რომ კმაყოფილი დავრჩეთ და ვაქოთ მათი ამაგი. ვუბრძანებთ ყოველს და თვითეულს ჩვენს და წმინდა რომის ეკლესიის ქვეშევრდომ ძმათა და მონაზონთა, მიუხედავათ ჩვენის ბრძანებისა და აკრძალვისა, მიიღოთ ხსენებული ნილო ყველა თავისი მხლებლებით ჩვენს ქალაქებსა და ქვეყნებში და მოეპყრათ ყოვლადის გულკეთილობით.

უფროს ხალისით რომ აღასრულოთ ესე ყოველი და მოიჭირნახულოთ თქვენის სულისათვისაც, ამიტომ ღვთის მოწყალებით და ნეტართა პეტრესა და პავლეს უფლებით, 20 დღის სასჯელს (საკანონოს) მივუტევებთ მათ, ვინც მიიღებენ ამათ და აღმოუჩენენ გზაში ყველა ნაირს დახმარებას. ამ წერილს ერთი წლის ვადა აქვს. რომით, 5 ივნისისა, 1496 წ."[1]

ვრცელი ამონაწერი იმისათვის დაგვჭირდა, რომ პაპის ეს წერილი შეიცავს შესანიშნავ ინფორმაციას დიპლომატიური ურთიერთობების, ელჩთა სტატუსის, ელჩობის განხორციელების მექანიზმის, სხვადასხვა ქვეყნის გავლა-მიღების ნიუანსების, ღამის გათევის პრობლემის, დესპანთა დაცვა-უშიშროების გარანტიების („გზის-მცველნი"), ფინანსური („ხარჯი") საკითხების მოგვარების გზების შესასწავლად. სწორედ ამ იურიდიული დოკუმენტის შესახებ აღნიშნავდა მ. თამარაშვილი: „ძნელად შევხვდებით, რომ ამისთანა თავის გასაცნობელი ქაღალდი პაპებს სხვა ელჩებისათვის მიეცესთ".[2]

---

1 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.
2 იქვე.

# XV თავი. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XVI საუკუნეში

## 1. ქართველი ხალხის ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის XVI ს-ის I ნახევარში და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა

XV საუკუნის მიწურულიდან საქართველოს შემდგომ განვითარებას ორი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი განსაზღვრავდა: ერთი მხრივ, ამ დროისათვის იგი უკვე აღარ წარმოადგენდა ერთიან პოლიტიკურ ორგანიზმს; XIII-XV სს-ის სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მოვლენებმა მისი ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლა განაპირობა. 1490 წელს მოწვეულმა სამეფო დარბაზმა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებისა და სამცხე-საათაბაგოს სამთავროს არსებობა დააკანონა, თუმცა ქვეყნის გაერთიანებისთვის ბრძოლა შემდგომშიც გრძელდებოდა. არცერთი მეფე-მთავარი საქართველოს დაშლის ფაქტს არ ურიგდებოდა და თითოეულ მათგანს მიაჩნდა, რომ სწორედ მას, და სხვას არავის, ჰქონდა უფლება, სათავეში ჩასდგომოდა სამშობლოს გაერთიანებისაკენ მიმართულ მოძრაობას.[1]

რადგან საქართველო ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად იყო დაშლილი და თითოეულს საკუთარი მმართველობა ჰყავდა, ყველა მეფე-მთავარი თავის დიპლომატიურ საქმიანობასაც დამოუკიდებლად წარმართავდა. მართალია, ზოგჯერ, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა პოლიტიკური ალიანსები იქმნებოდა, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ XVI ს-ის დამდეგიდან აღარ არსებობდა ერთიანი საქართველოს დიპლომატია და, ამიტომ, აღნიშნული პერიოდის ქართული დიპლომატიის ისტორიის განხილვისას, უწინარეს ყოვლისა, ეს გარემოება უნდა იქნეს გათვალისწინებული.

მეორე მხრივ, საქართველოს პოლიტიკურ დაშლას დაემთხვა ოსმალეთის იმპერიის გაძლიერება და სეფიანთა ირანის სახელმწიფოს წარმოქმნა, რითაც ჩვენი ქვეყნის გარშემო მტრული მაჰმადიანური ქვეყნების გარემოცვის რკალი შეიკრა.[2]

XV ს-ის II ნახევარში ტრაპიზონის იმპერიის დაპყრობის შემდგომ ოსმალეთი უშუალოდ დაუმეზობლდა საქართველოს ტერიტორიას სამხრეთ-დასავლეთიდან, მისი გავლენა გაძლიერდა ჩრდილო კავკასიის ხალ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 206.

[2] ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი), ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 59.

ხებშიც, ხოლო შავი ზღვა იმპერიის „შინაურ ტბად" გადაიქცა. ამის შემდეგ ბრწყინვალე პორტას საგარეო პოლიტიკის უპირველესი ამოცანა ამიერკავკასიის ქვეყნებში გაბატონება გახდა.

ფართო დაპყრობით გეგმებს ისახავდა მიზნად სეფიანთა ირანიც, რომელიც აყ-ყოინლუს (თეთრბატკნიან თურქმანთა) სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენდა. მისი დამაარსებელი არდებილის შეიხი ისმაილი იყო.[1]

ყიზილბაშები მონღოლების პოლიტიკურ მემკვიდრეობას იჩემებდნენ და ამიერკავკასიის ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებას თავიანთ მოვალეობად თვლიდნენ.[2] ჯერ კიდევ სეფიანთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე ისმაილის დაპყრობით გეგმებში საქართველოც იყო ჩართული. 1500 წლის შემოდგომაზე, როცა ისმაილი შირვანშაჰის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდა, მან ზურგის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, სამცხე-საათაბაგოს დასალაშქრავად ხოლეფა-ბეგი გამოგზავნა. ყიზილბაშთა სარდალმა სამთავროს ტერიტორია ააოხრა. კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა (1476-1511 წწ.) მდგომარეობის განმუხტვა დიპლომატიური გზით სცადა და ისმაილს მდიდრული ძღვენით თავისი ვაჟი დიმიტრი აახლა. ისმაილმა პატივით მიიღო კახეთის უფლისწული და დიდად შეწყალებული უკან გამოისტუმრა.[3]

შირვანშაჰის დამარცხების შემდეგ, ისმაილის უმთავრეს ამოცანად აყ-ყოინლუს სახელმწიფოს მბრძანებლების ალვენდისა და მურადის განადგურება და მათი სამფლობელოების შემოერთება იქცა. ისმაილი ხედავდა, რომ მისი ძალები საკმარისი არ იყო; ამიტომ ქართლის, კახეთისა და სამცხე-საათაბაგოს მესვეურებს ელჩი გაუგზავნა და დახმარება სთხოვა, თან ჰპირდებოდა, რომ თუ მათი შემწეობით მტრებს დაამარცხებდა, გაათავისუფლებდა იმ ხარკისაგან, რომელსაც ისინი აყ-ყოინლუს სახელმწიფოს უხდიდნენ. ქართველების დახმარებით ისმაილმა დაამარცხა ალვენდიცა (1501 წ.) და მურადიც (1503 წ.) და ერთპიროვნული მმართველი გახდა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამეფო-სამთავროებმა უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სე-

---

1 სეფიანთა სახელმწიფოს წარმოქმნის შესახებ იხ. И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI-XVII веках, СсиА, вып. I, Баку, 1949; О. А. Эфендиев, Образование азербайджанского государства Сефевидов в начале XVI века, Баку, 1961.

2 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 146.

3 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1973, გვ. 569; ნ. გელაშვილი, საქართველოში ყიზილბაშთა პირველი ლაშქრობის საკითხისათვის, კრებულში: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბ., 1991, გვ. 256.

ფიანთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში.[1] მაგრამ ისმაილმა დანაპირები არ შეასრულა; იგი თანმიმდევრულად ატარებდა ქართული პოლიტიკური ერთეულების დაპყრობა-დამორჩილების პოლიტიკას.

მოკლე ხანში შაჰ-ისმაილ I-ის (1501-1524 წწ.) მიერ წარმოებული ექსპანსიონისტური პოლიტიკის წყალობით ყიზილბაშთა სამფლობელოები მდ. ამუ-დარიადან ევფრატამდე გადაიჭიმა. ირანისა და ოსმალეთის ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა. სელიმ I-მა (1512-1520 წწ.) სეფიანთა წინააღმდეგ ომის დაწყება და მათი განადგურება განიზრახა.

ირან-ოსმალეთის ომები არაბეთის ერაყის, ქურთისტანისა და, განსაკუთრებით, ამიერკავკასიის მდიდარი ქვეყნების ხელში ჩასაგდებად, აგრეთვე, მათზე გამავალი ევროპა-აზიის დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალზე კონტროლის დასაწესებლად მიმდინარეობდა.

საქართველოს პოლიტიკური ერთეულები თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ჩართულნი აღმოჩნდნენ აღნიშნულ კონფლიქტში. დაიწყო ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლა ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად. ორი დიდი აგრესორი პატარა ქვეყანას მოსპობით ემუქრებოდა. XVI ს-ის ქართული სამეფო-სამთავროების დიპლომატია — ეს არ იყო დიპლომატია ამ ტერმინის ჩვეულებრივი გაგებით, მის წარმატებაზე დიდად იყო დამოკიდებული საქართველოს შემდგომი ბედი, ქვეყნის ყოფნა-არყოფნა. „საქართველოების" გამგებლები ყველანაირად ცდილობდნენ ირანისა და ოსმალეთის შემოტევების მოგერიებას. დიპლომატიური მოქმედების არეალი, ფაქტობრივად, დახშული იყო და „მოჯადოებულ სამკუთხედს" — ირანი-საქართველო-ოსმალეთი — არ სცილდებოდა. „ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს ერთადერთი შესაძლებლობა ჰქონდათ: გამოეყენებინათ დიპლომატიური ზემოქმედების ის ფორმა, რომელიც აღმოსავლეთის ორი მეტოქე სახელმწიფოს ერთმანეთისადმი დაპირისპირებას გულისხმობდა. ამას ქართველი დიპლომატები აკეთებდნენ კიდეც „უმცირესი ბოროტების" მხედველობაში მიღებით".[2]

მაგრამ პოლიტიკურად დანაწევრებული საქართველოსათვის ძნელი იყო ირანისა და ოსმალეთის აგრესიასთან გამკლავება. მეფე-მთავრებმა მტრებთან საბრძოლველად გაერთიანება ვერ მოახერხეს. პირიქით, ყოველი მათგანი ცდილობდა, ცალ-ცალკე მორიგებოდა დამპყრობლებს. სა-

---

[1] О. А. Эфендиев, დასახ. ნაშრ., გვ. 90; ე. მამისთვალიშვილი, იტალიელ მოგზაურთა ცნობები XVI ს-ის დასაწყისის ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, ტ. I, თბ., 1975, გვ. 149-152.

[2] ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან., გვ. 66.

კუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ძირითადად სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულის ნგრევა-აოხრების ხარჯზე ხდებოდა.

თავის მხრივ, ირანი და ოსმალეთი ცდილობდნენ, არ დაეშვათ საქართველოს გაერთიანება, რადგან ძლიერი ცენტრის არსებობა ამიერკავკასიაში მათთვის პოლიტიკურად არახელსაყრელი იყო. ისინი საქართველოს მეფე-მთავრებს ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ და ამით ხელს უწყობდნენ ქვეყნის დაქაქუცულობის შენარჩუნებას. მიუხედავად ამისა, XVI ს-ის დასაწყისში მაინც მოხერხდა მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა საქართველოს გაერთიანების გზაზე. 1513 წელს ქართლის სამეფო კარის ინიციატივითა და აქტიური მცდელობით კახეთის სამეფო გაუქმდა და ქართლ-კახეთის გაერთიანებული სახელმწიფო შეიქმნა.

ირან-ოსმალეთის მომავალ ომში, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა სომხეთთან ერთად სამცხე-საათაბაგოს ენიჭებოდა, რომელიც ორივე აგრესორისათვის ხელსაყრელ სტრატეგიულ პლაცდარმს წარმოადგენდა. მისი დაპყრობით, ერთი მხრივ, დასავლეთ საქართველოს, ხოლო მეორე მხრივ, ქართლ-კახეთის წინააღმდეგ შეტევის დაწყების საშუალება იქმნებოდა. მაგრამ საათაბაგოს მნიშვნელობა ამით არ ამოიწურებოდა: მასზე გადიოდა უმოკლესი გზა ოსმალეთიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და ჩრდილო ირანისაკენ და, პირუკუ, იგი იყო მოხერხებული გასაღები ირანის ხელში ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში შესაჭრელად.[1]

მოსალოდნელ საფრთხეს კარგად გრძნობდნენ საქართველოს სხვა პოლიტიკური ერთეულები და, ამიტომ, ისინი მესხეთის დასაბრუნებლად XVI ს-ის დასაწყისიდანვე აწარმოებდნენ ბრძოლას. სამთავროს მესვეურები არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ: ან უნდა შეერთებოდნენ დანარჩენ „საქართველოებს“ და მათთან ერთად ებრძოლათ დამპყრობლების წინააღმდეგ, ანდა ამ უკანასკნელთ უნდა დამორჩილებოდნენ. მთავრებს არცერთი გზა ხელს არ აძლევდა. მათ დამოუკიდებელი დიპლომატიის წარმოება სცადეს, რაც ირან-ოსმალეთის შორის ლავირებასა და მათ ურთიერთობაში არსებული წინააღმდეგობების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას გულისხმობდა. გარდა ამისა, საათაბაგოს გამგებლები ყველანაირად ცდილობდნენ საქართველოს სამეფო-სამთავროების დასუსტებას, რათა მათ სამთავროს დაპყრობა ვეღარ მოეხერხებინათ. ამისათვის ათაბაგები ირანისა და ოსმალეთის სამხედრო ძალებს იყენებდნენ.

მზეჭაბუკ ათაბაგი (1500-1515 წწ.) აღნიშნული პოლიტიკური კურსის გამტარებელი იყო: ერთი მხრივ, საქართველოს დანარჩენი პოლიტი-

---

[1] თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის (XVI ს-ის I მეოთხედი). ც. აბულაძის გამოც., თბ., 1983, გვ. 7.

კური ერთეულებიდან სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას ესწრაფოდა; მესხეთის ეკლესიის მცხეთის საკათალიკოსოსგან ჩამოშორებაც სცადა, მაგრამ უკანასკნელთან ბრძოლაში, საბოლოოდ, მაინც დამარცხდა;[1] მეორე მხრივ, მზექაბუკის მთავარ საზრუნავს ირან-ოსმალეთთან ურთიერთობის ბალანსირება წარმოადგენდა. სამცხე-საათაბაგო XV ს-ის მიწურულიდან ოსმალეთის ვასალი იყო და ხარკს უხდიდა. მზექაბუკი ცდილობდა, მორჩილებითა და ერთგული სამსახურით ბრწყინვალე პორტას კეთილგანწყობა დაემსახურებინა. იგი ოსმალებს სხვა სამეფო-სამთავროების წინააღმდეგ ბრძოლაშიც სიამოვნებით ეხმარებოდა. სწორედ მისი შემწეობით აოხრეს ოსმალებმა 1510 წელს პირველად იმერეთის სამეფო.[2]

1514 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის დაიწყო ომი, რომელიც ათწლეულების მანძილზე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში მეტოქეებს შორის „ზავი არ დადებულა: ან ომი იყო, ან მისი მოლოდინი. თუ დროდადრო ომი შეწყდებოდა, ეს ხდებოდა ახალი უფრო ძლიერი შეტაკების სამზადისში, ან კიდევ როცა ორივე მხარე მოუცლელად იყო“.[3] საქართველოს სამეფო-სამთავროების დიპლომატიის ისტორიაც ირან-ოსმალეთის ომის კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.

1514 წლის 20 აპრილს სელიმ I-მა სტამბოლი დატოვა და ყიზილბაშთა წინააღმდეგ სალაშქროდ გაემართა. მან მზექაბუკს ოსმალთა ჯარის სურსათ-სანოვაგით მომარაგება უბრძანა. სამცხის მთავრის მიერ გამოგზავნილმა ელჩმა 1514 წლის 10 აგვისტოს ოსმალთა სამხედრო ბანაკში სურსათ-სანოვაგე ჩაიტანა. სულთანი მეტად ნასიამოვნები დარჩა ამ სამსახურით. მან თავისი ელჩის პირით მზექაბუკს მადლობა შეუთვალა და საპატიო ხალათიც უბოძა.

1514 წლის 23 აგვისტოს ჩალდირანის ველზე გაიმართა დიდი ბრძოლა, რომელიც ოსმალთა გამარჯვებით დასრულდა. მათ ხელში გადავიდა დასავლეთ სომხეთი და ჩრდილო მესოპოტამია. არაბეთის ერაყი ქ. ბაღდადითურთ ირანს დარჩა.

ჩალდირანის ბრძოლაში განცდილი მარცხის შემდეგ, შაჰ-ისმაილ I-მა იმავე წელს ანტიოსმალური კოალიციის შექმნა სცადა. მან ელჩები

---

1 სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.) ქრ. შარაშიძის გამოც., თბ., 1961, გვ. 94.

2 მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVII სს.), თბ., 1971, გვ. 44-45; დასავლეთ საქართველოში ოსმალთა პირველი ლაშქრობის შემდეგ, იმერეთის მეფე სულთნის უზენაესობას აღიარებდა, თუმცა გადასახადების გადახდა არ მოეთხოვებოდა. იხ. ვ. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI ს-ის ბოლო მეოთხედში, მაცნე, თბ., 1976, №4, გვ. 101.

3 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 147.

გაუგზავნა ეგვიპტის სულთანს, მარა'შისა და ალბისტანის გამგებელს ალა ად-დოვლესა და მზეჭაბუკ ათაბაგს. გაფორმდა სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომლითაც ზემოთ აღნიშნულმა ქვეყნებმა ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის პირობა დადეს. მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, ეს წამოწყება წარუმატებლად დამთავრდა.[1]

1515 წელს სელიმ I-მა ქურთისტანი დაიპყრო, შემდეგ კი ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობა განიზრახა. ამის გამო მისი ყურადღება დროებით ჩამოსცილდა ამიერკავკასიის პრობლემებს. შაჰ-ისმაილ I-მა, ამასობაში, აქ თავისი ბატონობის განმტკიცება სცადა. ხელსაყრელი სიტუაცია ყიზილბაშთა უშუალო ჩარევისათვის სამცხე-საათაბაგოში მომწიფდა. 1515 წელს მზეჭაბუკ ათაბაგი გარდაიცვალა და ტახტისათვის ერთმანეთს ახალგაათაბაგებული, ირანული ორიენტაციის ყვარყვარე III (1515; 1516-1535 წწ.) და მისი ბიძა, „პროოსმალური" კურსის მიმდევარი მანუჩარი ეცილებოდნენ. ამ უკანასკნელმა 1515 წლის ბოლოს მმისწული დაამარცხა და ათაბაგობას დაეუფლა. დამარცხებული ყვარყვარე შაჰ-ისმაილ I-თან გაიქცა დახმარების სათხოვნელად. შაჰმა მას თავისი სარდალი დივ-სულთან რუმლუ გამოაყოლა. 1516 წლის დასაწყისში ყვარყვარე III-მ სამფლობელო დაიბრუნა.[2] ამჯერად უკვე მანუჩარი აღმოჩნდა მავედრებლის როლში. მან დახმარებისათვის სელიმ I-ს მიმართა. სულთანი ამ დროს ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობდა და სამცხე-საათაბაგოსათვის არ ეცალა. მართალია, მან 1516 წლის ბოლოს მანუჩარი თავის ვასალად აღიარა და საგანგებო ფირმანით მესხეთის გამგებლობა დაუმტკიცა, მაგრამ რეგულარული სამხედრო ძალით დახმარებაზე უარი უთხრა და ამ მისიის შესრულება ბაიბურთის სანჯაყბეგ ყიზილ აჰმედ მირზა ოღლის დაავალა.

საქართველოს ყველა გამგებელი მეტ-ნაკლებად ჩართული აღმოჩნდა ხსენებულ კონფლიქტში: იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565 წწ.) ყვარყვარეს უჭერდა მხარს, ხოლო ქართლის მეფე დავით X (1505-1525 წწ.) მანუჩარს. 1517 წელს გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა, რომელშიც ყვარყვარე III-ის მომხრეებმა გაიმარჯვეს. ამრიგად, სამცხე-საათაბაგოში „პროირანული" ძალები გაბატონდნენ.[3]

1518 წელს, შაჰ-ისმაილის ბრძანებით, ყვარყვარე III-მ და დივ-სულთან რუმლუმ მანუჩარის მოკავშირე ქართლის სამეფოზე გაილაშქრეს და გორი და სურამი დაიპყრეს.[4] დავით X-მ წინააღმდეგობის გაწევა

---

1 О. А. Эфендиев, დასახ. ნაშრ., გვ. 120; XV ს-ის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. ე. მამისთვალიშვილის გამოც. თბ. 1981. გვ. 42-43.

2 ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1966. გვ. 20-21.

თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს... გვ. 12-13.

ჰასან რუმლუს ცნობები... თბ. 1966. გვ. 21.

უაზრობად მიიჩნია და თავისი ვაჟი რამაზი მორჩილების ნიშნად ძღვენით შაჰთან გაგზავნა.

ყვარყვარე III-ის ღალატსა და ყიზილბაშების ქართლში შემოჭრას ის განსაკუთრებული შედეგი მოჰყვა, რომ გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო კვლავ გაითიშა. სანამ დავით X შაჰისაგან პასუხს ელოდა, თავადებმა კახეთში ლევან ავგიორგის ძე (1518-1574 წწ.) გაამეფეს.

შაჰ-ისმაილ I-მა რამაზი კარგად მიიღო, დავით X-ის აღნიშნულ დიპლომატიურ ნაბიჯს კმაყოფილებით შეხვდა და ზავიც დაუდო. ქართლის მეფემ ამის შემდეგ კახეთში გაილაშქრა და წარმატებასაც მიაღწევდა, რომ ქართლისა და კახეთის ხელახალი გაერთიანებისათვის შაჰისგან წაქეზებულ დანარჩენ მეფე-მთავრებს: ბაგრატ III-ს, ყვარყვარე III-ს და მამია გურიელს (1512-1534 წწ.) შეუპოვარი წინააღმდეგობა არ გაეწიათ. 1520 წელს მათი აქტიური ჩარევითა და შუამდგომლობით დავით X-მ კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობა აღიარა — მხარეებმა დადეს ხელშეკრულება კეთილმეზობლობისა და საერთო მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ.[1] ამრიგად, საგარეო და საშინაო ფაქტორების ზემოქმედების შედეგად საქართველოს გაერთიანების კიდევ ერთი ცდა მარცხით დამთავრდა.

1520 წლის შემდეგ, ერთხანს, ქართლის, კახეთისა და სამცხე-საათაბაგოს გამგებლები შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ყიზილბაშთა გავლენისაგან თავის გათავისუფლება სცადეს. 1521 წლის დასაწყისში მოეწყო სამხედრო ექსპედიცია შაჰის ვასალის — შაქის სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისმა მმართველმა დახმარებისათვის შაჰ-ისმაილ I-ს მიმართა. ამ უკანასკნელმა იმავე 1521 წლის თებერვალში საქართველოს საქმეების მოსაგვარებლად კვლავ დივ-სულთან რუმლუ გამოაგზავნა. მეფე-მთავრები მას მორჩილების ნიშნად წინ მიეგებნენ. დივ-სულთანმა ისინი შაჰს მიჰგვარა. ქართლის, კახეთისა და სამცხე-საათაბაგოს მესვეურებმა ისმაილ I-ს ძვირფასი საჩუქრები მიართვეს და „ბაჯო ხარაჯ“ იკისრეს.[2]

მოკლე ხანში „საქართველოებმა“ იგრძნეს, რომ ირანი მათ სუვერენიტეტს რეალურად დაემუქრა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფიზიკური არსებობის შენარჩუნების ერთადერთი გზა ირანსა და ოსმალეთს შო-

---

1 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა... გვ. 396.

2 ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVIII სს-ში, თბ., 1958, გვ. 254-264; სამი სპარსული წყარო XVI ს-ის საქართველოს შესახებ. ნ. გელაშვილის გამოც., თბ., 1990. გვ. 26. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამორკვეულია, რომ „ბაჯო ხარაჯ" განსხვავდება ჩვეულებრივი ხარაჯისაგან. მისი გადამხდელი მემკვიდრეობითი მმართველია, შაჰის ვასალია და არა მოხელე. იხ. დ. კაციტაძე, რეცენზია ო. ეფენდიევის ნაშრომზე "Образование..., Баку, 1961", კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, ტ. II, თბ., 1962. გვ. 295; ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII სს-ში, თბ., 1983, გვ. 9-10.

რის ბალანსირებული პოლიტიკის წარმოება იყო. ძირითადი ამოცანა იმით გამოიხატებოდა, რომ უპირატესობის სასწორი რომელიმე დამპყრობლის მხარეზე მეტისმეტად არ გადახრილიყო. 20-იანი წლების დამდეგს სწორედ ამგვარი საშიშროება შეიქმნა და საქართველოს სამეფო-სამთავროების გამგებლებმაც სასწრაფოდ მოახდინეს რეაგირება. მათ, შაჰ-ისმაილ I-საგან საიდუმლოდ, ოსმალეთთან დაკავშირება და წინანდებურად ორმაგი დიპლომატიის თამაშის პრინციპის აღორძინება სცადეს. მაგრამ აქ 1520 წლის ხელშეკრულების ერთ-ერთი უმთავრესი პუნქტი დაირღვა: მეფე-მთავრებმა კვლავ ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად იწყეს საგარეო პოლიტიკის წარმოება, რაც საქართველოს საერთო ინტერესებს მუდამ დიდ ზიანს აყენებდა.

პირველი დიპლომატიური ნაბიჯები ოსმალეთთან დაკავშირების გზაზე ყვარყვარე III-მ გადადგა: 1521 წელს ბაიბურთის გამგებელმა ფაიქბეგმა სულთანს შეატყობინა, რომ მასთან ჩავიდა ათაბაგის ელჩი და ოსმალებს თავისი პატრონის მორჩილება აუწყა. სამცხის მთავარმა შეწყნარება და შენდობა ითხოვა ირანის მოკავშირეობით ჩადენილი დანაშაულისათვის. „შესაძლოა, თვითონ ყვარყვარეც ეახლოს მაღალ სამეფო კარსო“ — აღნიშნავდა ფაიქ-ბეგი.[1]

მართალია, ბრწყინვალე პორტამ საქართველოში მოპოვებული პოზიციები დაკარგა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ მას ჩვენი ქვეყნის მიმართ სტრატეგიული ინტერესები აღარ გააჩნდა. ოსმალეთის პოლიტიკის გააქტიურება მხოლოდ დროის საკითხი იყო, რაც დაადასტურა კიდეც შემდგომი პერიოდის მოვლენებმა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი სულთანი სულეიმან I (1520-1566 წწ.) ევროპული ლაშქრობებით იყო დაკავებული, იგი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს საქართველოში დატრიალებულ პერიპეტიებს, რისთვისაც აგენტურის მთელი ქსელი ჰყავდა ამოქმედებული. ევროპასთან ომის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრების უშიშროებას. ჯაშუშების საქმიანობისათვის ხელის შეწყობას, სხვებთან ერთად, ქართველი მეფე-მთავრებიც კისრულობდნენ.[2]

1524 წელს შაჰ-ისმაილ I გარდაიცვალა და ტახტზე მისი 10 წლის ვაჟი შაჰ-თამაზ I (1524-1576 წწ.) ავიდა. ამ უკანასკნელის მმართველობის პირველ წლებში ირანში შინაარეულობა იყო; ჩვენს ქვეყანას კარგა

[1] ჟ. ლ. ბაკე-გრამონი, ოსმალები და საქართველო XVI ს-ის I მეოთხედში. მაცნე, თბ., 1978, №3, გვ. 105; თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს..., გვ. 16-17.

[2] მ სვანიძე, თაემოკვეთილი ოსმალო (ქართლის მეფე დავით X ს-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან). მნათობი, თბ., 1981, №11, გვ. 168.

ხანს არც ოსმალეთი აწუხებდა და „საქართველოებმაც“ დროებით შეებით ამოისუნთქეს.

საქართველოში ამასობაში პოლიტიკურ ძალთა გადაჯგუფება მოხდა და შიდადიპლომატიურ არენაზე ახალი ალიანსი შეიკრა: 1525 წელს ქართლის მეფე დავით X იძულებული გახდა ბერად აღკვეცილიყო; სამეფო ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა მისმა ძმამ გიორგი IX-მ (1525-1527 წწ.). ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ, დავითის უფროსმა ვაჟმა ლუარსაბმა დახმარებისათვის იმერეთის მეფეს მიმართა. შეიქმნა კავშირი, რომელიც დინასტიური ქორწინებითაც განმტკიცდა — ლუარსაბმა ბაგრატ III-ის ასული შეირთო ცოლად.[1] იმერეთის მეფის დახმარებით, 1527 წელს ლუარსაბი სამეფო ტახტს დაეუფლა. ამის სანაცვლოდ, ბაგრატ III-მ ქართლის სამეფოს დასავლეთი ნაწილი (სურამი, ალი და ახალდაბა) მიიღო.

ამიერიდან, იმერეთ-ქართლის პოლიტიკური კავშირი იქცა იმ ძალად, რომლის გარშემოც იკრიბებოდნენ ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლი პროგრესული ძალები. ბაგრატ III და, განსაკუთრებით, ლუარსაბ I (1527-1556 წწ.) მხოლოდ თავიანთი სამფლობელოების კერძო ინტერესებიდან არ ამოდიოდნენ და საკუთარი მოქმედებების საქართველოს საერთო ინტერესებთან შეხამებას ცდილობდნენ.[2] ისინი დიპლომატიურ ასპარეზზეც შეთანხმებულ პოლიტიკას აწარმოებდნენ, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, მაინც, მკაცრი რეალობისათვის თვალის გასწორება და ამისდა მიხედვით მოქმედება უწევდათ.

XVI ს-ის 20-იან წლებში მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარმა მოვლენებმა დიდი გავლენა იქონიეს საქართველოს სამეფო-სამთავროების შემდგომ ბედზე.

1519 წლიდან ევროპაში დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ჰეგემონობისათვის საფრანგეთსა და ჰაბსბურგების იმპერიას შორის. საფრანგეთის მეფე ფრანსუა I (1515-1547 წწ.) ხედავდა, რომ მხოლოდ მისი ძალები იმპერატორ კარლოს V ჰაბსბურგის (1519-1556 წწ.) დასამარცხებლად არ კმაროდა. საჭირო იყო მოკავშირის გამონახვა. ამ დროს ჰაბსბურგების სამფლობელოებს ევროპაში დაპყრობით დაემუქრა ოსმალეთი. საერთო მტრის არსებობამ საფრანგეთისა და ოსმალეთის დაახლოება გამოიწვია. ამ პერიოდიდან საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის აქსიომა ოსმალეთთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობით ჰაბსბურგების წინააღმდეგ ბრძოლა გახდა. 1529 წელს ოსმალებმა, საფრანგეთის ხელ-

---

[1] შუა საუკუნეებში დინასტიური ქორწინებები სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობების ერთ-ერთ ძირითად ფორმას წარმოადგენდა.

ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა), თბ., 1922, გვ. 9.

შეწყობით, ავსტრიის დედაქალაქ ვენასაც შემოარტყეს ალყა, მაგრამ ჰაბსბურგებმა დაიცვეს თავიანთი ქალაქი. ვენა სამუდამოდ დარჩა ოსმალეთის ექსპანსიის უკიდურეს წერტილად ევროპის მიმართულებით.[1]

XVI ს-ის 20-იანი წლების მიწურულიდან ოსმალეთს აღარ შესწევდა ძალა, თავისი აგრესიული პოლიტიკა ერთდროულად ორ ფრონტზე თანაბარი სიძლიერით წარემართა. იგი არჩევანის წინაშე იდგა: „ომი აღმოსავლეთში ან დასავლეთში. ასე რომ, ირანთან ზავი ფაქტობრივად აპირობებდა ოსმალეთის ომს დასავლეთში და, პირიქით, ევროპულ სახელმწიფოებთან ზავი აპირობებდა ოსმალეთის ომს ყიზილბაშთა სახელმწიფოსთან"[2]

ამიერიდან საფრანგეთიცა და ჰაბსბურგებიც თავიანთი პოლიტიკური გეგმების რეალიზაციას სათანადოდ უხამებდნენ ოსმალეთის ვითარებას, რაც ევროპის საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი კომპონენტი გახდა. კონკრეტულად, საფრანგეთს აინტერესებდა ოსმალეთის ლაშქრობა ჰაბსბურგების სამფლობელოებზე, აქედან გამომდინარე, მას არ აწყობდა ოსმალეთის ურთიერთობის გამწვავება ირანთან; ჰაბსბურგების მიზანი, პირიქით, ირან-ოსმალეთის ომებისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობა იყო.

ამის გამო, კარლოს V-მ და მისმა ძმამ — ავსტრიის ერცჰერცოგმა ფერდინანდ I-მა ირანის შაჰთან ურთიერთობის დამყარება და სეფიანთა სახელმწიფოს თავიანთ მოკავშირედ გახდომა სცადეს. მათი ჩანაფიქრით, ჰაბსბურგებისა და ყიზილბაშების აქტიურ თანამშრომლობას უნდა გაენეიტრალებინა და მინიმუმამდე დაეყვანა ოსმალეთ-საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ქმედითუნარიანობა.

1529 წელს ჯერ იმპერატორმა, ხოლო შემდეგ მისმა ძმამ ირანში ელჩები გაგზავნეს. ისინი შაჰ-თამაზ I-ს ოსმალეთის წინააღმდეგ საომარი ოპერაციების განახლებას სთხოვდნენ, რაც ჰაბსბურგების მდგომარეობას ევროპაში მკვეთრად გააუმჯობესებდა. შაჰი ელჩებს თურქეთთან ბრძოლაში შემწეობას დაჰპირდა.

ფერდინანდ I-ის ელჩები პეტრო დე ნეგრო და სიმონ დე ლილი ირანის ვასალს, კახეთის მეფესაც, ეწვივნენ. ლევანმა ისინი დიდი პატი-

---

[1] Н. А. Смирнов, Россия и Турция в XVI-XVII вв., т. I, Учёные записки Московского государственного университета им. М. В. Ломоносова, вып. 94, М., 1946, გვ. 6.

[2] ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 77.

ვით მიიღო და როცა ფერდინანდის ოსმალებთან მზადყოფნის შესახებ შეიტყო, მთელი საქართველოს ფეხზე დაყენება აღუთქვა.[1]

სინამდვილეში შაჰისა და მისი ვასალისათვის ჰაბსბურგების წინადადება მიუღებელი იყო, რადგან მათ ოსმალებთან ომის განახლება არ აწყობდათ. პირიქით, სეფიანთა ამოცანას ევროპაში ოსმალეთის აგრესიისათვის ყოველმხრივ ხელის შეწყობა წარმოადგენდა, რათა თავად ამიერკავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცემოდათ. აქედან გამომდინარე, ირანი, ობიექტურად, საფრანგეთის მოკავშირის როლს ასრულებდა.

ზემოთ აღნიშნული გლობალური მასშტაბის მოვლენები საქართველოს სამეფო-სამთავროების მიმართ ირანისა და ოსმალეთის დამოკიდებულებაშიც აისახა. რასაკვირველია, ბრწყინვალე პორტას საქართველოს რომელიმე პოლიტიკური ერთეულის წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიციის ჩატარება ევროპაში ომის დროსაც შეეძლო, მაგრამ მისი აგრესია ამ დროს მაინც შეზღუდული იყო. ეს ლაშქრობები საქართველოს მოსაზღვრე სანჯაყებისა და საბეგლარბეგოების ძალებით ხორციელდებოდა და მასში ოსმალთა ჯარის რეგულარული ნაწილები არ მონაწილეობდნენ.

რაც შეეხება ირანს, შაჰი საქართველოს წინააღმდეგ აქტიურ შეტევაზე მხოლოდ მაშინ გადმოდიოდა, როცა ოსმალეთი ევროპული საქმეებით იყო დაკავებული.

30-იანი წლების დასაწყისში ოსმალეთსა და ჰაბსბურგებს შორის ომი გრძელდებოდა, მაგრამ მნიშვნელოვან წარმატებებს ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია და, ამიტომ, 1533 წლის 22 ივნისს ზავი დაიდო.[2] ამის შემდეგ, სულეიმან I-მა ირანის წინააღმდეგ განაახლა ომი. 1534 წელს მან დაიპყრო სომხეთის მთელი რიგი ქალაქები (არზრუმი, ვანი და სხვ.) და არაბეთის ერაყი ქ. ბაღდადითურთ. გაჩნდა სამცხე-საათაბაგოს მხრიდან საქართველოში ოსმალთა შემოჭრის რეალური საფრთხე. ამიტომ, ბაგრატ III-მ და ლუარსაბ I-მა მათთვის დასწრება და ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პლაცდარმის გამაგრება გადაწყვიტეს. 1535 წელს ბაგრატ III-მ სამცხის სამთავრო იმერეთის სამეფოს შეუერთა. ყვარყვარე III-ის მცირეწლოვანი ვაჟი ქაიხოსრო და დი-

---

[1] ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI ს-ში, თბ., 1980, გვ. 45-46; ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს-ის II ნახევარსა და XVI ს-ში, თბ., 1981, გვ. 134.

А. Ф. Миллер, Краткая история Турции, М., 1948, გვ. 267; А. Д. Новичев, История Турции, т. I, Л., 1963, გვ. 88-89.

დი ფეოდალი ოთარ შალიკაშვილი დახმარების სათხოვნელად სულთანთან გაიქცნენ.[1]

რადგან ირან-ოსმალეთის ომის დროს ჰაბსბურგებმა საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, ამ უკანასკნელმა აიძულა სულთანი, ისევ განეახლებინა ომი ევროპაში. სულეიმან I-ის მოუცლელობის ჟამს სამცხე-საათაბაგოს პრობლემის გადაწყვეტაზე ზრუნვა არზრუმის ახლადდაარსებული საბეგლარბეგოს გამგებელს დაევალა. 1536 წელს ოსმალებმა ტაოსა და კლარჯეთში გარკვეული ტერიტორია დაიპყრეს და მასზე 4 სანჯაყი დააარსეს. ეს იყო საქართველოს მიწაზე სანჯაყების შექმნის პირველი ფაქტი, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგოში თავისი მმართველობის წესების დანერგვა დაიწყო.[2]

30-იანი წლების მეორე ნახევარი ამიერკავკასიაში ირანის გააქტიურებით აღინიშნა. შაჰ-თამაზ I-მა ოსმალეთთან ომში ჩამოვარდნილი პაუზით ისარგებლა და 1538 წელს ჩრდილო აზერბაიჯანის სახელმწიფო შირვანი დაიპყრო.

დღის წესრიგში ქართლის სამეფოს ინკორპორაცია დადგა. ლაშქრობისათვის მზადების პერიოდში შაჰ-თამაზ I ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ოსმალეთის ურთიერთობას ევროპასთან. თავის მხრივ, ლუარსაბ I ხვდებოდა შაჰის განზრახვას და მისი აგრესიის მოგერიებას შეიარაღებულ წინააღმდეგობასთან ერთად დიპლომატიური გზითაც, კერძოდ, ირან-ოსმალეთის მეტოქობის გამოყენებით ცდილობდა. მან 1540 წელს სულეიმან I-ს ელჩი გაუგზავნა და ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა. სულთანს მაშინ ირანთან ახალი ომის დაწყება არ აწყობდა და, ამიტომ, ქართლის მეფეს შემწეობის აღმოჩენაზე უარი უთხრა.[3]

ოსმალეთის პასიურობით წაქეზებულმა შაჰმა 1541 წელს ქართლის სამეფო დალაშქრა და თბილისი აიღო, მაგრამ ლუარსაბ I-ის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა. ამ უკანასკნელმა ყიზილბაშების წინააღმდეგ პარტიზანული ომი გააჩაღა, რის გამოც შაჰ-თამაზ I იძულებული

---

[1] ახალი ქართლის ცხოვრება, III ტექსტი, წიგნ. ქართლის ცხოვრება. ტ. II. ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ., 1959. გვ. 498.

[2] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ს. ჯიქიას გამოც. თბ., 1964. გვ. 25; ნ. შენგელია, XV-XIX სს-ის საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები. თბ., 1974. გვ. 33.

[3] ლ. ტარდი. დასახ. ნაშრ., გვ. 51; ვ. ჩოჩიევი. მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობანი XVI ს-ის I ნახევრის ფრანგული დიპლომატიური კორესპონდენციის მიხედვით. თსუ-ს შრომები. 1978. № 186. გვ. 122.

შეიძნა, ქართლს მალე გასცლოდა და ყარაბაღში წასულიყო. აქ მას კახეთის მეფე ეახლა და „ბაჯო ხარაჯ" მიართვა.

1521 წლის შემდეგ ლევან კახთა მეფის მცდელობა მხოლოდ იქითკენ იყო მიმართული, რომ ირანის ბატონობა, რაც შეიძლება, ადვილად ასატანი ყოფილიყო. იგი მტკიცედ ადგა ამ საგარეო პოლიტიკურ კურსს. ლევანი ნაკლებად იყო დაინტერესებული საქართველოს სხვა ნაწილების ბედით და უმთავრესად თავის ვიწრო-კუთხურ ინტერესებს ემსახურებოდა; იგი არ ზრუნავდა ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის აღდგენაზე და არც საერთო მტრების წინააღმდეგ ქართველი მეფე-მთავრების ერთობლივ გამოსვლებში მონაწილეობდა. მისი დიპლომატიის მთავარი მიზანი იყო, კახეთისათვის აეშორებინა ის ნგრევა-აოხრება, რომელიც ირან-ოსმალეთის ომებს სდევდა თან. ერთი სიტყვით, ლევანი „მართლაც რომ მხოლოდ კახეთის მეფე იყო".[1]

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სეფიანთა მბრძანებლებს მისი ერთგულებისა მაინცდამაინც არ სჯეროდათ. მათ კარგად ესმოდათ, რომ ლევანის ვასალობა წარმოადგენდა არა ნებაყოფლობით აქტს, არამედ ვითარებით ნაკარნახევ დიპლომატიურ ნაბიჯს, რომლის საშუალებითაც კახეთი ყიზილბაშთა შემოსევების არეალში არ ხვდებოდა, და თუკი თავს არ ესხმოდნენ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არ დაეშვათ ქართლისა და კახეთის ძალების გაერთიანება. სწორედ ქართლის გმირული ბრძოლა, და არა მახვილგონივრულად წარმოებული საგარეო პოლიტიკა, იცავდა კახეთის სამეფოს აოხრებისაგან XVI ს-ის I ნახევრის მთელ მანძილზე. თუ რა შედეგი გამოიღო ლევან მეფის მიერ განხორციელებულმა „სირაქლემას დიპლომატიამ" და რა მოვლენების განვითარებას შეუწყო ხელი, ამის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

1541 წელსვე, შაჰ-თამაზ I-ს ეახლა ბაგრატ III და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა.[2] უკვე აღნიშნული იყო, რომ თუმცა შეთანხმებულ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდნენ, იმერეთისა და ქართლის მეფეები ზოგ შემთხვევაში იძულებული ხდებოდნენ, რეალობისათვის გაეწიათ ანგარიში და ისე ემოქმედათ. თუკი ლუარსაბ I შაჰ-თამაზის აგრესიის მოსაგვარებლად ოსმალეთს სთხოვდა დახმარებას, ბაგრატ III-ის მიერ შემოერთებულ სამცხე-საათაბაგოს უშუალო საფრთხე თავად ბრწყინვალე პორტას მხრიდან ემუქრებოდა და, ამიტომ, იძულებული იყო, სეფიანებისათვის ეთხოვა შემწეობის აღმოჩენა.

---

1 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 161.

2 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, I ტექსტი. წიგნ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1959, გვ. 357; ვახუშტი, აღწერა..., გვ. 812;

შაჰ-თამაზ I-მა გარკვეული ფინანსური და მატერიალური დახმარება გაუწია ბაგრატ III-ს, რამაც ამ უკანასკნელს 1543 წელს ოსმალთა ლაშქრის დამარცხებაში შეუწყო ხელი. მაგრამ 1545 წელს გამართულ სოხოისტას ბრძოლაში ბაგრატ III, ლუარსაბ I და როსტომ გურიელი (1534-1564 წწ.) ველარ გაუმკლავდნენ ოსმალთა ახალ შემოტევას. ამ საბედისწერო დამარცხებაში მნიშვნელოვანი როლი ქართველთა ღალატმა შეასრულა: ლევან I დადიანმა (1533-1572 წწ.) თავისი ვასალური ვალდებულების შესრულებაზე უარი განაცხადა და ბაგრატ III-ს დასახმარებლად არ ეახლა; მესხებმა ბრძოლის ველი მიატოვეს... ოსმალეთის იმპერიის აქტიური ჩარევით სამცხე-საათაბაგო კვლავ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული გახდა. ათაბაგის ტახტს ქაიხოსრო II (1545-1573 წწ.) დაეუფლა[1].

ამრიგად, ვერ მოხერხდა ქართული სამეფო-სამთავროების ძალების გაერთიანება მესხეთისათვის ბრძოლაში, რადგან თითქმის ყველა (ლუარსაბ I-ის გარდა) საკუთარი სამფლობელოების ინტერესებს საერთოქართულზე მაღლა აყენებდა.

ქართველი მეფე-მთავრები XVI ს-ში დაუცხრომლად ეძებდნენ შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზებს. მათ ირან-ოსმალეთის პოლიტიკური ბლოკადის გარღვევა ისევ დასავლეთ ევროპისა და რომის პაპის მეშვეობით სცადეს.

საუკუნის დამდეგიდან ოსმალეთის „წყალობით" საქართველოს კავშირ-ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან ძლიერ შესუსტდა, ჩვენი ქვეყნისაკენ მომავალი მისიონერებისა თუ მოგზაურებისათვის თურქეთის ტერიტორია თითქმის დაიხურა. შექმნილი უმძიმესი რეალობა ორივე მხარეს ურთიერთდამაკავშირებელი ახალი გზების ძიებას კარნახობდა.

ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე მდგარი ქართული სამეფო-სამთავროებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენდა რომის პაპთან დაკავშირება და მისი შემწეობით მაჰმადიანთა ბატონობისაგან თავის დაღწევა, კათოლიკური ეკლესიის მეთაურს კი საქართველოში არსებული მრევლის შენარჩუნება ეწადა.

1545 წლის 17 ივნისს პაპმა პავლე III-მ (1534-1549 წწ.) ქართლის მეფე ლუარსაბ I-ს გამოუგზავნა წერილი, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ ქართლის მეფესა და მის მეზობელ ქართულ პოლიტიკურ ერ-

---

1 ბერი ეგნატაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 357-358; ახალი ქართლის ცხოვრება (III ტექსტი), გვ. 499-500; ვახუშტი, აღწერა..., გვ. 403, 713, 812.

თეულთა გამგებლებს სურვილი გასჩენიათ, კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოექციათ თავიანთი ქვეყნები.[1]

პაპის წერილი გვიჩვენებს, რომ ქართველებს მაჰმადიანთა მომძლავრების შავბნელ ხანაშიც კი არ შეუწყვეტიათ ცივილიზებული სამყაროსკენ „სარკმლის გაჭრის“ მცდელობა, მაგრამ დასავლეთ ევროპაზე პოლიტიკური ორიენტაციის აღება არარეალური და უნიადაგო აღმოჩნდა. ჯვაროსნული ომების ხანა სამუდამოდ წავიდა. რომის პაპს საქართველოსათვის დახმარების აღმოჩენის არც სურვილი და არც შესაძლებლობა არ გააჩნდა. კარს მომდგარ უდიდეს საფრთხეს ეს უკანასკნელი მარტოდმარტო უნდა დახვედროდა, და ეს მაშინ, როცა ირანიცა და ოსმალეთიც ქართული სამეფო-სამთავროების წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევის განსახორციელებლად ემზადებოდნენ.

სოხოისტას ბრძოლის შემდეგ სამცხე-საათაბაგოს უმთავრეს ციხეებში ოსმალური გარნიზონები იქნა ჩაყენებული; ბაგრატ III და ლუარსაბ I-იც განაგრძობდნენ მცდელობას მესხეთის დასაბრუნებლად. ამან ქაიხოსრო II-ისა და ოთარ შალიკაშვილის პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა გამოიწვია — მათ სულთანს ზურგი შეაქციეს და შაჰის მფარველობაში შევიდნენ.[2] შაჰ-თამაზ I მიესალმა საათაბაგოს მესვეურთა აღნიშნულ გადაწყვეტილებას, რადგან იგი მესხეთისათვის ბრძოლაზე ხელის აღებას არ აპირებდა. შაჰისთვის ათაბაგთან დაკავშირება იმ მხრივაც იყო სასურველი, რომ მის დახმარებას ლუარსაბ I-ის საბოლოო დახმარება უნდა უზრუნველეყო. თავის მხრივ, ქაიხოსრო II-ს შაჰ-თამაზთან კავშირი არა მარტო ოსმალეთის, არამედ ქართლისა და იმერეთის მეფეებისა და მათთან დაკავშირებული ადგილობრივი ოპოზიციის დასამარცხებლად სჭირდებოდა.

მოკავშირეებმა ოსმალეთის ძირითადი სამხედრო ძალების ევროპაში ყოფნით ისარგებლეს და მთელი რიგი სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიებებისა განახორციელეს, კერძოდ, 1547 წლის იანვარში შაჰ-თამაზ I-მა ლუარსაბ I-ის მიერ ათაბაგისთვის წართმეული ჯავახეთის მხარე აოხრა. როდესაც უკან ბრუნდებოდა, შაჰს ძვირფასი საჩუქრებით ეახლნენ და მორჩილება გამოუცხადეს კახეთისა და იმერეთის მეფეებმა. ოსმალთაგან დამარცხებული ბაგრატ III წინანდებურად ყიზილბაშთა მეშვეობით აპირებდა დაკარგული პოზიციების აღდგენას მესხეთში, მაგ-

---

1 იხ. მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ. 1902. გვ. 71-73; ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში (XIII-XVI სს.), თბ., 1984. გვ. 232-233.

2 ე. ჩოჩიევი. ოსმალეთის 1548-1549 წლების ლაშქრობა სამცხე-საათაბაგოსა და ირანის წინააღმდეგ საერთაშორისო ურთიერთობათა შუქზე. თსუ-ის შრომები, 1976. №180. გვ. 146.

რამ მისი იმედები ილუზიური იყო — შაჰ-თამაზ I-ს ახლა იმერეთის მეფის მტრებთან კავშირი უფრო აწყობდა, რადგან თავად ცდილობდა სამცხე-საათაბაგოს დამორჩილებას.

ირანისა და სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურმა კავშირმა არა მარტო ქართველ მეფეებს მიაყენა დარტყმა, არამედ მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ოსმალეთის წარმატებები ამ უაღრესად მნიშვნელოვან რაიონში.

სულთანი სამხედრო ოპერაციებს აწარმოებდა ავსტრიის წინააღმდეგ, მაგრამ საგრძნობ შედეგებს ვერ აღწევდა; თანაც, მის შეშფოთებას იწვევდა აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება. ამიტომ, სულეიმან I-მა 1547 წელს ზავი დადო კარლოს V-ესა და ფერდინანდ I-თან და ყიზილბაშებთან ომისათვის სამზადისს შეუდგა.[1]

„შეიძლება თამამად ითქვას, რომ ოსმალეთ-ჰაბსბურგების ზავი უშუალოდ იყო დაკავშირებული სულთნის სერიოზულ პოლიტიკურ მარცხთან სამცხე-საათაბაგოში, რაც მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარებას ირანის სასარგებლოდ ცვლიდა".[2]

ზავმა საფრანგეთის მეფე ანრი I-ის (1547-1559 წწ.) შეშფოთება გამოიწვია. იგი თვლიდა, რომ იმპერატორი ოსმალეთის არმიის აღმოსავლეთში ყოფნით ისარგებლებდა და საფრანგეთის სამფლობელოებს თავს დაესხმოდა. 1548 წლის 29 მარტს სულეიმან I-მა ირანის წინააღმდეგ მორიგი საომარი კამპანია წამოიწყო. ანრი II-ის მითითებით, სტამბოლში მყოფი მისი ელჩი დ' არამონი ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა. მას უნდა აეძულებინა სულთანი, ყიზილბაშებთან ომი, რაც შეიძლება, მალე დაემთავრებინა. დ'არამონისა და სხვა ფრანგი დიპლომატების მოხსენებები საინტერესო ცნობებს შეიცავენ ირანისა და სამცხე-საათაბაგოს მიმართ სულეიმან I-ის პოლიტიკური ზრახვების შესახებ. ამ მხრივ, საყურადღებო მითითება გვხვდება, აგრეთვე, სულეიმან I-ის წერილში ანრი II-სადმი, რომელიც 1549 წლის ბოლოს უნდა იყოს შედგენილი. სულთანი თავის მოკავშირეს ატყობინებდა: „1548 წლის გაზაფხულზე შევუდექით ლაშქრობას. ჩემი სამფლობელოს მომიჯნავე საქართველოს ურჯულოები, რომლებიც გაიძვერათა საზოგადოებას შეადგენენ, ჯერ სამყაროს საფარველ ჩემს მაღალ ზღურბლს შეეფარნენ, შემდეგ კი ნაძირალა, სარწმუნოების წამბილწველი ყიზილბაშებისაკენ გადავიდნენ. აუცილებელი გახდა მათი შფოთისა და გზადაბნეულობი-

---

[1] ვ. ჩოჩიევი. ოსმალეთის 1548-1549 წლების.., გვ. 147.

[2] А. Д. Новичев, დასახ. ნაშრ., გვ. 290-291; Османская империя и страны центральной, восточной и юго-восточной Европы в XV-XVI веках, отв. ред. И. Греков, М., 1984, გვ. 206; ვ. ჩოჩიევი, ოსმალეთის 1548-1549 წლების.., გვ. 147.

სათვის ბოლოს მოღება."[1] სულეიმან I-ის მსჯელობა, ცხადია, სამცხე-საათაბაგოს შეეხება. იგი ვერ ურიგდებოდა ქაიხოსრო II-ის შესვლას შაჰის მფარველობაში.

სულთნის ევროპაში დაზავებამ და აღმოსავლეთში ლაშქრობისათვის მზადებამ სათანადო გამოძახილი პოვა სამცხე-საათაბაგოში. ქაიხოსრო II-მ 1548 წლის დასაწყისში სულეიმან I-ს ელჩი გაუგზავნა და მფარველობაში მიღება სთხოვა.[2] მთავარმა, რა თქმა უნდა, იცოდა სულთნის განზრახული ლაშქრობის ნამდვილი მიზანი. მისი „პროოსმალური" ორიენტაცია ვითარების შესაბამისი დიპლომატიური სვლა იყო. ქაიხოსრო II ამით არ დაკმაყოფილდა და ლაშქრობის მსვლელობაში სულთანთან კვლავ მიავლინა ძვირფასი საჩუქრებით დატვირთული ელჩები, რომლებიც მას 1548 წლის 26 ივნისს ეახლნენ. დ'არამონის მდივანი ჟან შენო წერს, რომ ელჩები „მოსულნი იყვნენ, რათა სულთნის ხელს მთხვეოდნენ და თაყვანი ეცათ მისთვის. ქართველებმა შეიტყვეს, რომ იქ იმყოფება საფრანგეთის ელჩი. მათ ინახულეს იგი და უთხრეს, რომ მათ გაგონილი აქვთ, რომ ის ეკუთვნის ქრისტიანთა ყველაზე დიდ მეფეს და რომ ისინიც ქრისტიანები არიან და გამოთქვეს სურვილი მისი (საფრანგეთის მეფის) ნახვისა".[3]

როგორც ჩანს, ქაიხოსრო II-მ სულთანს მისართმეველი გაუგზავნა — იგი ბრწყინვალე პორტას სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურ დამოკიდებულებას „ფეშქაშის" საფუძველზე სთავაზობდა, რაც გამორიცხავდა აქ ოსმალური წესების დამკვიდრებას. მაგრამ სულეიმან I ათაბაგის ვასალობით აღარ კმაყოფილდებოდა, რის გამოც მხარეებს შორის შეთანხმება არ მომხდარა.

1549 წელს სამცხე-საათაბაგოს წინააღმდეგ სამხედრო ექსპედიცია მეორე ვეზირმა აჰმედ-ფაშამ ჩაატარა. მან ორი თვის განმავლობაში ტაოში 35 ციხე დაიპყრო.[4] სულეიმან I-ის წერილში ანრი II-სადმი პირველად იხსენიება ოსმალეთის დიდი ადმინისტრაციული ერთეულის — საბეგლარბეგოს შექმნა მესხეთის დაპყრობილ ტერიტორიაზე. როგორც ვხედავთ, 1536 წელს დაარსებული 4 სანჯაყი 1549 წლისათვის უკვე საბეგლარბეგოდ იქცა. ოსმალეთი მტკიცედ დაადგა საქართველოს ამ კუთხის ინკორპორაციისკენ მიმართულ პოლიტიკურ კურსს.

---

ვ. ჩოჩიევი, ოსმალეთის 1548-1549 წლების.., გვ. 148-149; შდრ.: ნ. შენგელია, სოლაქზადე საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 59.

ვ. ჩოჩიევი, ოსმალეთის 1548-1549 წლების.., გვ. 149.

მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის.., გვ. 60.

იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები.., გვ. 27-28; ვ. ჩოჩიევი, ოსმალეთის 1548-1549 წლების.., გვ. 152.

1549 წლის შემდეგ სულეიმან I ისევ ევროპის საქმეებით დაინტერესდა, თუმცა ჰაბსბურგებთან ბრძოლის პარალელურად მაინც განაგრძობდა „მცირე ომს“ სამცხე-საათაბაგოში. 1550 წელს ოსმალებმა მთლიანად დაამთავრეს ტაოს დაპყრობა, ხოლო 1551-1552 წლეში ანექსირებულ იქნა კლარჯეთი და არტაანი.[1]

ამრიგად, სამცხე-საათაბაგოს მესვეურთა მიერ წარმოებული უგუნური საგარეო და საშინაო პოლიტიკის წყალობით, ოსმალეთმა მოსწყვიტა საქართველოს მისი უძველესი და უმნიშვნელოვანესი კუთხის — მესხეთის დასავლეთი ნაწილი. ათაბაგთა ძალები საკმარისი არ აღმოჩნდა ამ დამღუპველი პროცესის შესაჩერებლად. მათ განკერძოებულ დიპლომატიას მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში შეეძლო მოეტანა გარკვეული შედეგი (მაგალითად, გადაერჩინა საათაბაგო რომელიმე თავდასხმაოხრებისაგან), მაგრამ, მთლიანობაში, იგი საქართველოს მტრების წისქვილზე ასხამდა წყალს და ჩანასახშივე უსპობდა ნიადაგს ერთიანი საქართველოს აღდგენის იდეას.

ათაბაგების პოლიტიკამ მარტო სამცხე-საათაბაგო როდი ჩააყენა მძიმე მდგომარეობაში. მათ დასავლეთ საქართველოს დაშლა-დაქუცმაცებაშიც „ღირსეული წვლილი“ შეიტანეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1545 წელს ბაგრატ III-ს მისმა ვასალმა ლევან I დადიანმა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების აღმოჩენაზე უარი განუცხადა. ეს იყო იმ ერთადერთ მოვალეობაზე („ლაშქრობასა“ და „ქვეგანაწესებაზე“) უარის თქმა, რაც სამეგრელოს მთავარს იმერეთის მეფესთან აკავშირებდა და მის ქვეშევრდომად ტოვებდა. ამიერიდან იგი მეფის ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლდა.[2] ბაგრატ III-მ ურჩი ვასალის დასჯა განიზრახა, რისთვისაც 1548 წელს იგი ხონის ჰალაში სადარბაზოდ მიიწვია და დააპატიმრა. ამის შემდეგ იმერეთის მეფემ გურიელის შეპყრობა და მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება დაისახა მიზნად, მაგრამ გურიის მთავარი მიუხვდა ჩანაფიქრს და არ ეახლა. იგი ბაგრატ III-ის წინააღმდეგ საბრძოლველად ქაიხოსრო II-ს შეუთანხმდა. მათ 1550 წელს გელათის სამრეკლოში დამწყვდეული ლევან დადიანი გამოაპარეს და კვლავ ოდიშში გაამთავრეს. ამიერიდან, გურიის სამთავროც გამოეყო იმერეთის სამეფოს.[3]

ბაგრატ III-ის ბრძოლამ ქვეყნის გაერთიანებისათვის ყველა ფრონტზე მარცხი განიცადა: საქართველოს დეცენტრალიზაციის პროცესის

---

1 ახალი ქართლის ცხოვრება, (III ტექსტი)_ გვ. 500; ვახუშტი, აღწერა_ გვ. 716.

2 ო. სოსელია, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის თარიღისათვის, მიმომხილველი, წ. II თბ., 1951, გვ. 180.

ვ. გუჩუა, ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს-ის I ნახევარში, წიგნ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV თბ., 1973, გვ. 109.

გაღრმავებისა და ერთიანი დიპლომატიის არარსებობის პირობებში მოვლენათა სხვაგვარი განვითარება პრაქტიკულად გამორიცხული იყო. ქაიხოსრო II-მ თავის მიზანს მიაღწია — ლევან დადიანის გათავისუფლებით იმერეთის მეფე დაასუსტა, მთავრები გააძლიერა და მისგან დამოუკიდებელიც გახადა. ამიერიდან ბაგრატ III-ს აღარ შეეძლო სამცხე-საათაბაგოს შემოერთებაზე ეფიქრა, ვინაიდან დადიანი და გურიელი მხარს აღარ დაუჭერდნენ, მარტოოდენ მისი ძალები კი მესხეთის დასამორჩილებლად საკმარისი არ იქნებოდა.

რაც შეეხება შაჰ-თამაზ I-ს, მან საათაბაგოს დასავლეთ ნაწილში განცდილი მარცხის კომპენსაცია მის აღმოსავლეთ ნაწილში პოზიციების განმტკიცებით სცადა.

სანამ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაზე იზრუნებდა, შაჰ-თამაზ I-მა 1551 წელს თავისი ვასალის — ლევან კახთა მეფის დახმარებით, აზერბაიჯანის უკანასკნელი დამოუკიდებელი სახელმწიფო — შაქი დაიპყრო და საბეგლარბეგოდ აქცია.[1]

შაჰ-თამაზ I ჯერ კიდევ შაქში იმყოფებოდა, როცა მას ქაიხოსრო II-ის ელჩი ეახლა და ლუარსაბ I-ისა და მისი მომხრე მესხი დიდებულების წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. ეს უკანასკნელნი ათაბაგს ავიწროებდნენ და მთელი მისი სამფლობელოს დაპყრობა სურდათ. შაჰმა იმავე 1551 წელს სამცხე-საათაბაგოში ილაშქრა, ლუარსაბის მომხრეები დაამარცხა და საათაბაგო ისევ ქაიხოსროს დაუმორჩილა; მერე ქართლში გადავიდა, მაგრამ ლუარსაბ I-ის შეპყრობა ვერ შეძლო და უკან გაბრუნდა.

მართალია, შაჰ-თამაზ I-ის დახმარებით ქაიხოსრო II-მ თავისი მოწინააღმდეგეები გაანადგურა, მაგრამ ეს მისი პოლიტიკის წარმატება როდი იყო. ყიზილბაშთა შემოსევის შედეგად ქვეყანა საშინლად აოხრდა და ამის შემდეგ წელში ველარ გაიმართა. ირანსა და ოსმალეთს შორის ბალანსირების პოლიტიკა სამცხე-საათაბაგოსათვის დამღუპველი აღმოჩნდა.[2]

სანამ სულეიმან I ჰაბსბურგებთან ომობდა, შაჰ-თამაზმა 1551 წელს ოსმალეთის წინააღმდეგ რამდენიმე მიმართულებით წამოიწყო შეტევა. ამას 1553-1554 წლებში ირანის წინააღმდეგ სულთნის მორიგი, რიგით მესამე ლაშქრობა მოჰყვა.

---

1 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება (I ტექსტი)..., გვ. 363; ვახუშტი, აღწერა..., გვ. 573-574.

2 მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის..., გვ. 69.

1554 წლის სექტემბერში შაჰ-თამაზ I-მა არზრუმში მყოფ სულეიმან I-ს ელჩები გაუგზავნა და ზავი შესთავაზა.[1] მოლაპარაკების დროს ძალზე მწვავედ იდგა „გურჯისტანის საკითხი", ორივე მხარე ფრთხილად წონიდა საქმის ვითარებას, ცდილობდა, არ დაეშვა მეტოქის პოლიტიკური წარმატება-განმტკიცება საქართველოში. ომის შეწყვეტა, ფაქტობრივად, იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ შეთანხმდებოდნენ ირანი და ოსმალეთი საქართველოს საკითხში.

1554 წლის 26 სექტემბერს არზრუმში დროებითი ზავი დაიდო. სულეიმან I-მა და ირანის ელჩმა ერთმანეთს სიტყვიერი პირობა მისცეს, რომელიც საბოლოო ხელშეკრულების დადებამდე ძალაში უნდა დარჩენილიყო. შაჰის წარმომადგენელი სულთანს შეჰპირდა, რომ ერთი თვის შემდეგ შაჰ-თამაზ I მასთან ზავის დადების რწმუნებებით აღჭურვილ ელჩს გაგზავნიდა. დროებითი ზავი ითვალისწინებდა ტერიტორიულ გამიჯვნას იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც ირანსა და ოსმალეთს 1554 წლის ლაშქრობამდე გააჩნდათ. მხარეები ვალდებულებას კისრულობდნენ, დაეცვათ „მეორე მხარის ქვეშევრდომებისა და ვასალების" პატივისცემა და არ ჩარეულიყვნენ მათ შინაურ საქმეებში.[2]

შაჰ-თამაზ I-ს არზრუმის ზავი დროის მოსაგებად სჭირდებოდა, რათა საშუალება მისცემოდა, ბოლოსდაბოლოს, დაემორჩილებინა ლუარსაბ I. ზავის დადებიდან მოკლე ხანში შაჰმა ქართლის სამეფოს წინააღმდეგ გამოილაშქრა. ყიზილბაშებმა ვერც ამჯერად მოახერხეს ლუარსაბ მეფის შეპყრობა. ეს უკანასკნელი იმერეთში ბაგრატ III-თან გადავიდა და ახლა უკვე თავის მოკავშირესთან ერთად განაგრძო ბრძოლა. მათ შეიმუშავეს მოქმედების ისეთი ტაქტიკა, რომელიც ირან-ოსმალეთის ახალი ომის პროვოცირებას ისახავდა მიზნად. ბაგრატ III პრეტენზიას აცხადებდა სურამის ოლქზე, როგორც თავის სამფლობელოზე (ეს ტერიტორია შაჰმა 1554 წლის ლაშქრობის დროს დაიკავა). ამით იმერეთის მეფე ერთბაშად ორი კურდღლის დაჭერას ცდილობდა: 1) საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, სურდა ქართლის სამეფოს დასავლეთი ნაწილის მისაკუთრება, რომელიც ჯერ კიდევ 1526 წლის შეთანხმებით ეკუთვნოდა; 2) აქ უკვე საერთო-ქართული ინტერესები იყო წინა პლანზე წამოწეული: ოსმალეთის ვასალი ბაგრატ III თავის სიუზერენს — სულთანს ატყობინებდა, რომ შაჰმა მას იმერეთის სამეფოს კუთვნილი ტერიტორია წაართვა. დიპლომატიური გათვლა სწორი იყო — სულეიმან I-ს მთლიანად ქართლის სამეფოზე თუ არა, მის გარ-

---

[1] ე. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1554 წლის დროებითი ზავი, აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III, 1973, გვ. 313-314.

[2] იქვე, გვ. 315-319.

კვეულ ნაწილზე მაინც უნდა განეცხადებინა პრეტენზია. ისინი მოვლენების ამგვარ განვითარებას არასგზით არ შეურიგდებოდნენ და ამით მთავარი მიზანი მიღწეული იქნებოდა — აგრესორებს შორის ომი გაგრძელდებოდა.

როგორც ჩანს, ქართველი მეფეების წინადადება სულთანს ჭკუაში დაუჯდა, რის შესახებაც სეფიანებმა შეიტყვეს და საკმაოდაც შეშფოთდნენ. შაჰ-თამაზ I-მა აღარ გააგზავნა ელჩები სტამბოლში ზავის დადების რწმუნებებით და მოსალოდნელი კონფლიქტის თავიდან აცილება არაოფიციალური მ. ლაპარაკებებით (უფრო დაბალ დონეზე) სცადა. შაჰის დიდებულებმა სევინდუქ ბეგმა და შაჰ ყულუ ბინ ჰამზა უსთაჯლუმ არზრუმის ბეგლარბეგ აიაზ ფაშას დიპლომატიური ნოტა გაუგზავნეს, რომლის დედააზრი შემდეგში მდგომარეობდა: უნდა აღკვეთილიყო ისეთი სიტუაცია, რომელიც ქართლისა და იმერეთის მეფეებს ორი მეტოქე მუსლიმანური სახელმწიფოს უთანხმოებითა და წინააღმდეგობით სარგებლობის საშუალებას აძლევდა. ყიზილბაში ამირების გულისწყრომას იწვევდა ის გარემოება, რომ შაჰისაგან დამარცხებული და ლტოლვილი ლუარსაბ I თავშესაფარს მუდამ იმერეთის სამეფოში პოულობდა, რის გამოც შაჰ-თამაზ I მის ხელში ჩაგდებას ვერ ახერხებდა. სევინდუქ ბეგი და შაჰ ყულუ ბინ ჰამზა უსთაჯლუ ითხოვდნენ, რათა სულთანს ბაგრატ III აეძულებინა, ლუარსაბ I ირანის შაჰისთვის გადაეცა; გარდა ამისა, ისინი აიაზ ფაშას უმტკიცებდნენ, რომ სურამის ოლქი ყიზილბაშთა გავლენის სფერო იყო და რომ იმერეთის მეფის ნამდვილ მიზანს მაჰმადიანთა შორის კვლავ შუღლისა და მტრობის ჩამოგდება წარმოადგენდა. ბოლოს, ყიზილბაში დიდმოხელეები აიაზ ფაშას არწმუნებდნენ, რომ ამის გამო ახალი ომის დაწყება არ ღირდა. პირიქით, ერთმანეთში ზავი უნდა დაედოთ და საღვთო ომით ეპასუხათ ქართველებისათვის.[1]

აღნიშნულმა ნოტამ სულთანზე გარკვეული გავლენა იქონია, თუმცა იმპერიის ინტერესები მას ისედაც კარნახობდა ირანთან ზავის დადებას. ამ ნაბიჯის გადადგმისაკენ უკვე კარგად ცნობილ მიზეზთა გამო სულეიმან I-ს საფრანგეთის ელჩი კოდინიაკიც აქეზებდა.

1555 წლის 29 მაისს ქ. ამასიაში ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, რომლითაც დამპყრობლებმა ამიერკავკასია ერთმანეთში გაინაწილეს. ხელშეკრულების ერთ-ერთი უმთავრესი დიპლომატიური ფორმულა ასეთი იყო: „ირანი სცნობს ოსმალეთის უფლებას დასავლეთ

---

[1] იხ. გ. მამულია, XVI ს-ის ქართველთა ისტორიისათვის, დროშა, თბ., 1960, №5, გვ. 14; დ. კაციტაძე. XVI-XVII ს-თა სპარსული დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, ტ. II, თბ., 1962, გვ. 214-216.

საქართველოზე, ოსმალეთი სცნობს ირანის უფლებას აღმოსავლეთ საქართველოზე, ხოლო მესხეთი გავლენის სფეროებადაა განაწილებული".[1]

ამიერიდან ბრძოლა ქართველი ხალხისათვის უაღრესად მძიმე პირობებში გრძელდებოდა: თავისუფლებისათვის მებრძოლ „საქართველოებს" უკვე ნაკლებად შეეძლოთ ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობის გამოყენება. ამასიის ზავი ხელს უწყობდა ქვეყნის პოლიტიკური დაშლის განმტკიცება-გაღრმავებას და ასუსტებდა გაერთიანებისათვის მებრძოლ ძალებს.

## 2. ირან-ოსმალეთის ომები და საქართველო XVI ს-ის II ნახევარში

XVI ს-ის მთელ სიგრძეზე ირანსა და ოსმალეთს შორის მიმდინარეობდა გაუთავებელი ომები, რომელთა ასპარეზი ჩრდ. მესოპოტამიასა, ქურთისტანსა და არაბეთის ერაყთან ერთად ამიერკავკასიის ქვეყნებიც იყო. ამ ქვეყნებზე გადიოდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომლის ხელში ჩაგდებაც უნდოდა ორივე მეომარ მხარეს.

სულთანმა სელიმ I იავუზმა (1512-1520), 1514-1517 წწ-ში სასტიკად დაამარცხა ირანი და დაიპყრო ქამხი, ბაიბურთი, ერზინჯანი, ზულყადარის საბეგო და ჩრდილოეთი მესოპოტამია. ოსმალეთის სასარგებლოდ გადაწყდა აგრეთვე აღმოსავლეთი ანატოლიის საკითხი. ოსმალეთის გავლენა გაძლიერდა ქურთისტანშიც.

სულეიმან კანუნიმ (1520-1566) 1533-1535 და 1548-1549 წწ-ში სეფიანთა ირანს დაატოვებინა არაბეთის ერაყი და აღმოსავლეთი სომხეთი, მაგრამ მან ვერ შეძლო აზერბაიჯანის დაპყრობა.[2]

ოსმალეთთან ომში განდცილი მარცხის ანაზღაურებას შაჰ თამაზ I ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობით ცდილობდა. 1538 წელს ყიზილბაშებმა დაიპყრეს აბრეშუმით მდიდარი შირვანი; 1540-1555 წლებში ოთხჯერ დალაშქრეს აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო, 1555 წელს დაიკავეს შაქი. შირვანი და შაქი სეფიანთა ირანის სახანოებად იქცა. XVI ს-ის 50-იან წლებში ყიზილბაშებმა დაიპყრეს სომხეთის დიდი

---

1 ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება..., გვ. 68-69; ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, წიგნ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 335-336.

2 ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1554 წლის დროებითი ზავი, აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბ., 1973, გვ. 314; ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში ევროპული წყაროების მიხედვით, თბ., 1981, გვ. 136.

ნაწილი და ერევნის სახანო შექმნეს. ამრიგად, ირანი აღმ. საქართველოს მეთოდურად არტყამდა ყიზილბაშური სახანოების რკალს.

ქართლის მეფე ლუარსაბ I (1527-1556) დაუცხრომლად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. ამავე დროს, იგი ოსმალეთსაც სთხოვდა დახმარებას.[1]

ყიზილბაშებმა ააოხრეს ქართლი და მესხეთ-ჯავახეთი, დიდძალი ტყვე წაასხეს ირანში, მაგრამ ლუარსაბ I-ის ხელთ გდება ვერ მოახერხეს.

ოსმალეთი ხელსაყრელ შემთხვევას არ კარგავდა და ირანის წინააღმდეგ ახალ-ახალ ლაშქრობებს აწყობდა: ასე, მაგ. სულეიმან I-მა ისარგებლა შაჰ თამაზ I-ის ძმის ალყას-მირზას ამბოხებით და 1548 წელს დაიპყრო თავრიზი. ოსმალთა მიერ დროებით ისპაანიც კი იქნა დაკავებული.[2]

XVI ს-ის 30-იანი წლებიდან ოსმალეთი შეუდგა სამცხე-საათაბაგოს ინკორპორაციას. 1545 წლიდან ათაბაგი სარგებლობდა შაჰის მფარველობით და ცდილობდა თავის დაცვას.

ირან-ოსმალეთს შორის საომარი მოქმედება ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. სულთანმა სულეიმანმა 1554 წელს მესამეჯერ ილაშქრა ირანის წინააღმდეგ, ერევნისა და ნახიჭევანის მხარეები დაარბია, ტყვეები და ალაფი იგდო ხელთ, შემდეგ კი უკან დაიხია. შაჰ თამაზ I-მა 1554 წლის აგვისტოს ბოლოს სცადა ოსმალთა განდევნა სამცხე-საათაბაგოს ზოგიერთი ციხიდან, მაგრამ ოსმალებმა ყიზილბაშები ოლთისთან შეაჩერეს და უკან დაახევინეს ყარაბაღისაკენ.

შაჰ თამაზ I-მა სულთან სულეიმან კანუნის დაზავება შესთავაზა. 1554 წელს არზრუმში დაიდო ირან-ოსმალეთს შორის დროებითი ზავი.[3]

ზემოხსენებულ ამბებთანაა დაკავშირებული ერთი ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი: სპარსულ ენაზე დაწერილი წერილი, მიწერილი ორი ყიზილბაში ამირას სევინდუქ ბეგისა და შაჰ ყულუ ბენ ჰამზა უსთაჯლუს მიერ არზრუმის ბეგლარბეგ აიას ფაშასადმი.[4]

ამ დოკუმენტით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ მოლაპარაკების მსვლელობაში 1554 წელს განსაკუთრებული სიმწვავით იდგა „გურჯისტანის საკითხი". წერილიდან კარგად ჩანს, რომ იმერეთის მეფე ყოველ-

---

1 ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 137, 138.

2 Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. Петрушевский, Л. В. Строева, А. М. Беленицкий, История Ирана с древнейших времен до конца XVIII в., Л., 1958, გვ. 259.

3 ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშ., გვ. 314-315.

4 L. Fekete, Zur Geschichte der Grusiner des 16 Iahrhunders. Acta Orient. Hung. T. I. Fasc., 1950, გვ. 132.

ნაირად ცდილობდა საზავო მოლაპარაკების ჩაშლას: იგი უარს ეუბნებოდა ყიზილბაშებს იმერეთში თავშეფარებულ ლუარსაბ I-ის გაცემაზე.

იმერთა მეფე, როგორც ჩანს, საკმაოდ შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი ყოფილა. მან კარგად იცოდა, რომ ირანსა და ოსმალეთს შორის დაზავების შემთხვევაში საქართველო ორ მუსლიმურ სახელმწიფოს შორის აღმოჩნდებოდა განაწილებული და თითოეული მათგანი თავისი გავლენის სფეროს უფრო აქტიურად შეუტევდა. ამიტომაც იყო, რომ იმერეთის მეფე თურქეთის სულთანს აქეზებდა შაჰის წინააღმდეგ, პრეტენზიას აცხადებდა ყიზილბაშების მიერ დაკავებულ სურამზე, როგორც თავის სამფლობელოზე, მაგრამ იმერეთის მეფემ ვერ მიაღწია საწადელს: სულეიმან I-ს მობეზრდა ირანთან გაუთავებელი ომი და ზავის დადება გადაწყვიტა.[1]

1555 წლის მარტში ამასიაში ჩავიდა შაჰის ელჩი ფერუჰ-ზადე ბეგი, რომელსაც შაჰისაგან მიცემული ჰქონდა ოსმალეთთან ზავის დადების რწმუნება. ამასთანავე, ამასიაში მყოფ სულეიმან I-ს ეწვია ჰაბსბურგთა იმპერატორის ფერდინანდის ელჩი ბუსბეკი, რომელმაც სულთანს დააჩქარებინა ირანთან საზავო ხელშეკრულების დადება. აგრეთვე აქტიურობდა ამასიაში მყოფი საფრანგეთის ელჩი, რომელიც სულთანს მოუწოდებდა ზავის დადებისაკენ.[2]

1555 წლის 29 მაისს, ამასიაში, საფრანგეთის ელჩის ჩარევით ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „შაჰ თამაზ ყაენმან მეფე ლუარსაბზედ გამოილაშქრა, სულთან სულეიმან ჴონთქარს შეურიგდა და საქართველოს მეფეთ უნებურათ და შეუკითხავათ საქართველო გაიყვეს".[3] ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი, სომხეთის აღმ. ნაწილი, ჩრდ. და სამხრ. აზერბაიჯანი წილად ხვდა ირანს; იმერეთი, გურია, სამეგრელო, სამცხე-საათაბაგოს დას. ნაწილი, სომხეთის დას. ნაწილი, არაბეთის ერაყი — ოსმალეთს. ყარსის ზონა ნეიტრალურად იქნა გამოცხადებული. ყარსის ციხესიმაგრე საფუძვლებამდე დაანგრიეს და არცერთ მხარეს არ ჰქონდა უფლება ციხესიმაგრის აღდგენისა.[4]

---

[1] დ. კაციტაძე, XVI-XVII საუკუნეთა სპარსული დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბილისი, 1962, გვ. 214-216.

[2] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., თბილისი, 1971, გვ. 78.

[3] ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, საისტორიო მოამბე, II, თბ., 1925, გვ. 215.

[4] იქვე; ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 371; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 517; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 20.

ამასიის ზავს საქართველოსათვის ძალზე დიდი უარყოფითი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. „ირან-ოსმალეთის 1555 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების ერთი მთავარი დიპლომატიური ფორმულა იყო: ირანი ცნობს ოსმალეთის უფლებას დას. საქართველოზე, ოსმალეთი ცნობს ირანის უფლებას აღმ. საქართველოზე, ხოლო მესხეთი გავლენის სფეროებადაა განაწილებული. დამახასიათებელია, რომ დამპყრობლები სცნობდნენ მოპირდაპირე მხარის მიერ მიღწეულ წარმატებებს აღმ. ამიერკავკასიაში, მესხეთის დასავლეთ ნაწილში, მაგრამ ფაქტიურად ინაწილებდნენ იმას, რაც ჯერ ისევ დასაპყრობი და მისატაცებელი იყო“.[1]

მთავარი კი ისაა, რომ ამ ზავის მიხედვით, საქართველოს გაერთიანება საფუძველშივე ჩაკლული აღმოჩნდა: ირანი არ დაუშვებდა ოსმალეთის წილხვდომილი მხარის — დასავლეთი საქართველოს აღმოსავლეთ საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევას; ამ აქტს განიხილავდა ოსმალეთის ჩარევად ირანის შინაურ საქმეებში და, პირუკუ: ოსმალეთი არასგზით არ დაუშვებდა დასავლეთ საქართველოს შეერთებას აღმოსავლეთ საქართველოსთან, რადგან ეს უკანასკნელი ირანის ხელდებული ქვეყანა იყო. და, მაშასადამე, ეს განიხილებოდა ირანის ჩარევად ოსმალეთის შინაურ საქმეებში.

გარდა ამისა, საქართველოს დაპყრობის გასაადვილებლად ირანსაც და ოსმალეთსაც ხელს აძლევდა ფეოდალურად დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველოს შენარჩუნება. ისინი ცალკეულ ფეოდალურ სამეფო-სამთავროსთან ამყარებდნენ ურთიერთობის სხვადასხვა, განსაკუთრებულ ფორმებს (აშკარა დაპყრობა, ზოგან მოხარკეობა).[2]

ქართველ მეფე-მთავართა დამოკიდებულება ამ ზავისადმი არაერთგვაროვანი იყო: ამასიის ზავის პირობებით ქვეყნის დაქუცმაცების დაკანონება ხელს აძლევდა ქართული სამეფო-სამთავროების მესვეურებს, რომლებიც ურთიერთშორის ქიშპისა და მტრობის დროს ხან ირანის შაჰის იმედად იყვნენ და ხან თურქეთის სულთნისა. გამონაკლისი იყო ქართლის მეფე ლუარსაბი, რომელიც ამ ზავის პირობების რეალურად ხორცშესხმას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა. ფარსადან გორგიჯანიძე შენიშნავს: „ამ გაყოფას სრულ საქართველოს ბატონები დასჯერდეს.

---

1 ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა), თბ., 1958, გვ. 68,69; მისივე; ქართული დიპლომატიის ისტორიიდან საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII სს, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 68, 69; ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 335, 336.

2 ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 68.

მაგრამ მეფე ლუარსაბი არ სჯერიყო და კიდეც თაკილობდა, ამისათვის უფრო ურჩობდა და აქეთ ერანის თემსა და იქით ურუმის ქვეყანას არბევდეს."[1]

ლუარსაბ I საქართველოს გაერთიანების იდეის ერთგული იყო, ამიტომაც არ მიიღო 1555 წლის ამასიის ზავი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს გაერთიანებას და აღრმავებდა მის პოლიტიკურ დაშლილობას.[2]

ამასთანავე, „ვიდრე თურქეთი და ირანი იცავდნენ 1555 წლის საზავო ხელშეკრულების პირობებს, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართულ სამეფოებს არ უნდა ჰქონოდათ დახმარების იმედი ამ მოქიშპე სახელმწიფოებისაგან; ისინი მთლიანად დამოკიდებული რჩებოდნენ საკუთარ სუსტ ძალებზე. გასაგებია, რომ ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობა თურქეთისა და ირანის მიერ 1555 წლის შემდეგ წარმატებით წავიდა."[3]

ლუარსაბ I აგრძელებს ბრძოლას ყიზილბაშების წინააღმდეგ. მან ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ გარისთან ბრძოლაში 1556 წელს დაიღუპა. ტახტი დაიკავა მისმა ვაჟიშვილმა სიმონ I-მა (1556-1569; 1578-1600), რომელიც ასევე შეუპოვრად იბრძოდა ირანის წინააღმდეგ, ამასთანავე მოკავშირეებს ეძებდა. მას ოსმალეთის სულთნისათვის წერილი გაუგზავნია იმ დროს, როდესაც ირან-ოსმალეთს შორის ურთიერთობა გამწვავდა სულეიმან კანუნის შვილის, აჯანყებული უფლისწულის ბაიაზეთის ირანში გაქცევის გამო (1559). სიმონი სულთანს ჰპირდებოდა, რომ საქართველოს ააჯანყებდა ყიზილბაშთა წინააღმდეგ. სულთანი ქართლის მეფეს დახმარების იმედს აძლევდა, აქეზებდა მას ირანთან საბრძოლველად, ამავე დროს კი იგი შაჰთან დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა. „ასეთი პოლიტიკით ოსმალეთი ვარაუდობდა, რომ გააძლიერებდა ბრძოლას ქართლსა და ირანს შორის და დაასუსტებდა ორივეს. ამას კი ოსმალეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალ ომში, რომელსაც ის ამიერკავკასიის დაპყრობის მიზნით ამზადებდა."[4]

---

1 ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 215.

2 მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიიდან XVI-XVII სს, გვ. 79.

3 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 94; მისივე, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 166, 167.

4 ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, გვ. 338.

სულეიმან I ირანთან მომავალ ომში მოკავშირეს ეძებდა შუა აზიაშიც, ოზბეგებთან.[1] ამავე დროს, ევროპული წყაროების ცნობებით, სიმონ I აჯანყებულ უფლისწულს ბაიაზეთს ეხმარებოდა.[2]

სიმონ I ცდილობდა თბილისის განთავისუფლებას ყიზილბაშთა ხელიდან, მაგრამ რამდენჯერმე დამარცხდა. ამ დამარცხებებმა ზოგიერთ ქართველ ფეოდალს გული გაუტეხა და მათ შაჰისადმი მორჩილება არჩიეს. სიმონს განუდგა საკუთარი ძმა დავითი, რომელიც, როგორც ჩანს, მას ტახტს ეცილებოდა. 1562 წელს დავითი, მოღალატე ქართველ ფეოდალებთან ერთად, შაჰ თამაზს ეახლა ყაზვინში და მორჩილება განუცხადა. ირანის შაჰმა ეს შემთხვევა გამოიყენა ქართლის ინკორპორაციისათვის: მან გამაჰმადიანებულ დავითს (დაუთ-ხანს) უბოძა ქვემო ქართლის გამგებლობა და რაყამი „შეილობით."[3] როგორც ჩანს, შაჰ თამაზს XVI ს-ის 60-იან წლებში უცდია თბილისსა და ქვემო ქართლში ქართული მიწისმფლობელობის გაუქმება: ისქანდერ მუნშის ცნობის მიხედვით ქართული მიწები ირანის დივანის რეესტრშია გატარებული. ესაა ქვემო ქართლში ,,ყიზილბაშობის" შემოღების პირველი ცდა.[4]

სიმონ I ებრძოდა დაუთ-ხანს, 1567-1568 წწ-ში ორჯერ დაამარცხა კიდეც, მაგრამ თბილისის განთავისუფლება მაინც ვერ შეძლო, რადგან დაუთ-ხანს მეზობელი ყიზილბაშური სახანოები ეხმარებოდნენ. 1569 წელს ფარცხისთან ბრძოლაში სიმონ I ყიზილბაშებმა დაატყვევეს და ყაზვინში გაგზავნეს. შაჰ თამაზ I ბევრს ეცადა სიმონის გამაჰმადიანებას, მაგრამ უშედეგოდ: მაშინ ქართლის მეფე ალამუთის ციხეში დაამწყვდია.

1569-1578 წლებში ქართლის გამგებლად დაუთ-ხანი ითვლებოდა, თუმცა რეალურად მისი ხელისუფლება მხოლოდ თბილისზე და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა. მოსახლეობა მას მხარს არ უჭერდა.

კახეთმა, ქართლისაგან განსხვავებით, სეფიანთა სახელმწიფოს წარმოშობის დროიდანვე, ირანისადმი ვასალური დამოკიდებულების გზა აირჩია, მშვიდობიანობა შეინარჩუნა, რასაც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა მოჰყვა. სანამ ირან-ოსმალეთის ომი მიმდინარეობდა, ირანი კახეთთან ურთიერთობის გართულებას ერიდებოდა და ვასალური ურთიერთობის ფორმას სჯერდებოდა. 1555 წლის ზავის შემდეგ ირანმა, როგორც ჩანს, კახეთის თანდათანობით დაპყრობა განიზრახა. კახეთს ჩამოაცილა წახურის სამფლობელო წუქეთი, რომელიც უძველესი

---

[1] ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, გვ. 338.

[2] ე. მამისთვალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 156-157.

[3] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 24.

[4] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს-ში, გვ. 263, 264.

დროიდან საქართველოს ეკუთვნოდა. ამ დროიდან დაღესტნელი ფეოდალები უშუალოდ კაკ-ენისელისა და ჭიაურის სამოურავოებს დაემუქრნენ. მართალია, ლევან კახთა მეფის მეფობაში დაღესტანთან ურთიერთობა ჯერჯერობით გამწვავებული არ იყო, მაგრამ კახეთში იწყება დაღესტნელთა თანდათანობით ჩამოსხდომა, რაც შემდეგში გაძლიერდა.[1]

ამასიის ზავის შემდგომ პერიოდშიც ლევან კახთა მეფე, ირანთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, აგრძელებდა „ერთგულების" პოლიტიკას: მან თავისი ვაჟიშვილი იესე გაუგზავნა შაჰ თამაზს დიდი ძღვენით. შაჰმა კახელი უფლისწული ირანში დატოვა მძევლად. შაჰ თამაზს არ მოსწონდა ლევან კახთა მეფის ორპირული პოლიტიკა, ამიტომაც გადაწყვიტა მისი გადაყენება და იესე ბატონიშვილის ტახტზე დასმა. 1559 წელს იესე გაამაჰმადიანეს, ისა-ხანი უწოდეს და დიდი წყალობა უბოძეს. 1562 წელს იესე ბატონიშვილმა უარჰყო მაჰმადიანობა და გაქცევა დააპირა, მაგრამ მას გაუგეს და 1562 წლის 26 დეკემბერს ალამუთის ციხეში გამოკეტეს.[2]

XV ს-ის 50-იან წლებში რუსეთის მიერ ვოლგა-კასპიის სამდინარო მაგისტრალის ათვისებამ (1552 წელს ყაზანის სახანოს გაუქმება, 1569 წელს — ასტრახანის) დაძაბა ირან-ოსმალეთს შორის ურთიერთობა, დაიწყო ახალი ეტაპი ირანის ურთიერთობისა დასავლეთი ევროპის ქვეყნებთან (მოვიგონოთ, რომ 1553 წელს ინგლისელებმა სანაოსნოდ აითვისეს თეთრი ზღვა). ამ უკანასკნელთ, ისევე როგორც ირანსაც, აწყობდათ ურთიერთშორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება თურქეთის გვერდის ავლით. 1557 წელს რუსეთში ჩამოვიდა ინგლისური სავაჭრო კომპანია „მოსკოვის" აგენტი ანტონი ჯენკინსონი, რომელიც მიიღო ივანე IV-მ და გააგზავნა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის დასამყარებლად ჯერ ოზბეგებთან ბუხარაში (1559 წ.), ხოლო შემდეგ ირანში (1561-1563 წწ.) ჯენკინსონი ყაზვინში წარუდგა შაჰ თამაზ I-ს როგორც ინგლისის ოფიციალური ელჩი, თუმცა მას ელჩის რწმუნება არ ჰქონდა. სწორედ ამ დროს შაჰ თამაზ I და სულთან სულეიმანს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება ირანში თავშეფარებულ უფლისწულ ბაიაზეთის თაობაზე. ირანის შაჰმა სულეიმანისაგან მიიღო 400000 ოქრო და უფლისწული ბაიაზეთი გასცა. შაჰ თამაზ I მოერიდა სულეიმან I-ის განაწყენებას და არ მოისურვა ინგლისთან და რუსეთ-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 263.

2 ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1966, გვ. 37.

თან თურქეთის წინააღმდეგ მიმართული ურთიერთობის დამყარება.[1] ჯენკინსონი შაჰთან ვერ შეთანხმდა და ხელცარიელი დაბრუნდა მოსკოვში.

რუსეთის მიერ ყაზანისა და ასტრახანის სახანოების გაუქმებამ და ვოლგის სამდინარო მაგისტრალის ათვისებამ კახელ პოლიტიკოსებს ერთგვარი იმედი ჩაუსახა: რუსეთი აუცილებლად დაუპირისპირებდა ირანსა და ოსმალეთს ერთმანეთს და ამდენად მისი გამოყენება, როგორც პოტენციური მოკავშირის, შესაძლებელი იქნებოდა. კახეთი რუსეთთან კავშირს ყაბარდოს საშუალებით ამყარებდა. ყაბარდოს დიდი მთავრის მიერ ივანე IV-ის კარზე 1557 წელს გაგზავნილი ელჩები რუსეთის მეფეს დახმარებას სთხოვდნენ და მოახსენებდნენ, რომ ყაბარდოელებთან ერთად ფიცითა და პირობით შეკრულნი არიან ივერიის მთავარი და ივერიის მთელ ქვეყანა. როგორც ჩანს, საშამხლოს მხრიდან საფრთხემ და თურქეთ-ყირიმის სახანოს მხრიდან მოძალეობამ განაპირობა კახეთისა და ყაბარდოს დაახლოება.[2]

1571 წელს შაჰ თამაზთან მივიდა ვენეციის დესპანი დ' ალესანდრი, რომელმაც ირანის შაჰს თურქების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება შესთავაზა, მაგრამ შაჰ თამაზ I თურქეთთან დადებულ ზავს მყარად თვლიდა: მან დ'ალესანდრის წინადადება არ მიიღო.[3]

თურქეთს გადაწყვეტილი ჰქონდა კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროს ხელში ჩაგდება და ვოლგა-კასპიის სამდინარო მაგისტრალის გადაკეტვა. ამ მიზნით, სულთანმა სელიმ II-მ (1566-1574) სცადა ვოლგა-დონის შემაერთებელი არხის გაჭრა (1568) და ყირიმის ხანის დახმარებით ასტრახანის დაპყრობა (1569), მაგრამ ამ ცდას წარმატება არ მოჰყოლია.[4]

თურქეთი ხელსაყრელ მომენტს უცდიდა ამასიის ზავის დასარღვევად. მან ისარგებლა შაჰ თამაზ I-ის სიკვდილის შემდეგ ირანში შექმნილი დაძაბული ვითარებით, დაარღვია ამასიის ზავი და ირანის წინააღმდეგ ომი დაიწყო 1578 წელს. ოსმალეთი ცდილობდა ამიერკავკასიის ქვეყნების მესვეურთაგან ანტიირანული კოალიციის შექმნას. მურად III დაკარგული ტახტის დაბრუნებას ჰპირდებოდა შირვანშაჰების შთამომავალს. ამავე დროს მან საგანგებო წიგნებით მიმართა გურიელს, და-

---

Н. В. Пигулевская и др., История Ирана... გვ. 256-260.

თ. ბოცვაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში XV-XVIII სს, თბ., 1990, გვ. 54-56.

Н. В. Пигулевская и др., История Ирана... გვ. 260.

იქვე.

დიანს, იმერეთის მეფეს, კახეთის მეფეს და, ცოტა უფრო გვიან, მანუჩარ ათაბაგს, და ქართლის გამგებელ დაუთ-ხანს.[1]

ოსმალთა სარდალმა მუსტაფა ლალა ფაშამ 1578 წლის 9 აგვისტოს ყიზილბაშები დაამარცხა ჩილდირის ტბასთან და დაიწყო სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა. მესხი ფეოდალების ნაწილმა ციხე-სიმაგრეები მტერს უბრძოლველად ჩააბარა, რითაც ხელი შეუწყო ოსმალთა გამარჯვებას.

მესხეთში მოპოვებული წარმატების შემდეგ მუსტაფა ლალა ფაშა ქართლში შემოიჭრა, 1578 წლის 24 აგვისტოს თბილისი აიღო და კახეთისაკენ გაემართა. დაუთ-ხანი გაიქცა ყირიმის ხანთან, შემდეგ კი სულთანთან.

ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას ქართლში ალამუთის ციხიდან შაჰ მუჰამედ ხუდაბანდეს მიერ „ძმის" წოდებულებით გამოშვებული სიმონ I ხელმძღვანელობდა, კახეთის მეფე ალექსანდრემ (1574-1605) კი ოსმალებთან მორიგება ამჯობინა: მუსტაფა ლალა ფაშას ბანაკში ნუზლი და საური გააგზავნა და ქვეყანა გადაარჩინა.[2]

ოსმალთა ლაშქარი საქართველოდან შირვანისაკენ წავიდა და მის დაპყრობას შეუდგა. ოსმალთა ლაშქრის სხვა დაჯგუფება შირვანში ჩრდ. კავკასიიდან დარუბანდის გზით შეიჭრა.

1582 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო, რასაც ცოტა ხნით სიმშვიდე მოჰყვა. ირანმა იმდენი მოახერხა, რომ კახეთის მეფე ალექსანდრე თავის მხარეს გადაიბირა. მაგრამ სიმონ I-სა და ალექსანდრე II-ს შორის შუღლი და მტრობა ხელს უშლიდა ქართველი ხალხის ერთობლივ ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ.[3] ირანის შაჰსა და პროირანული ორიენტაციის თავადთა ძალისხმევით სიმონისა და ალექსანდრეს შერიგება მოხერხდა.

ოსმალეთის წინააღმდეგ შეიქმნა კოალიცია საშამხალოს, დაღესტნის, შირვანისა და საქართველოს მონაწილეობით.

1582 წელს სამცხეში ანტიოსმალური აჯანყება დაიწყო. მანუჩარი ისევ გაქრისტიანდა, სიმონს მიემხრო და ოსმალების მიერ 1579 წელს გაუქმებული ათაბაგობა აღადგინა, რაც ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების გამარჯვება იყო. 1583 წელს მანუჩარ ათაბაგმა ცოლად შეირთო სიმონ მეფის ასული ელენე, რაც სამცხე-საათაბაგოსა და ქართლს შორის პოლიტიკური კავშირის დამყარებას ნიშნავდა. ამიერი-

---

1 ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, გვ. 339.

2 ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVIII სს-ში, გვ. 241, 242.

3 ამის შესახებ ვრცლად იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 276; მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 147, 148; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 134.

დან სიმონ I და მანუჩარ ათაბაგი ერთად იბრძოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ.

ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ოსმალები ქართულ მიწებს არ თმობდნენ. 1588 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის დროებითი ზავი დაიდო. ამავე წელს სიმონიც დაუზავდა ოსმალეთს. ოსმალეთი ცნობდა სიმონს ქართლის მეფედ ქრისტიანობის შენარჩუნებით, სამაგიეროდ მან ოსმალების სასარგებლოდ ხარკის გადახდა იკისრა.

სიმონ I შეეცადა, დასავლეთ საქართველოში შექმნილი გართულებული პოლიტიკური ვითარების გამოყენებას იმერეთის სამეფოს ქართლის სამეფოსთან შემოერთებისათვის, მაგრამ უშედეგოდ.

ირან-ოსმალეთის ომი 1590 წლამდე გაგრძელდა. ირანი სასტიკად დამარცხდა. შაჰ აბას I, მას შემდეგ, რაც რუსეთის მხრიდან დახმარების იმედი გადაეწურა, იძულებული გახდა, 1590 წელს სტამბულში ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებაზე, რომლის ძალითაც ოსმალეთის ხელში გადავიდა აღმოსავლეთი ამიერკავკასია, ქურთისტანი, სამხრეთი აზერბაიჯანი არდებილსა და თალიშს გარდა და ლურისტანის ნაწილი. ამ ზავს დასავლეთ ევროპასა და რუსეთში შეშფოთებით შეხვდნენ. რუსეთმა თავისი უკმაყოფილება ამ ზავის გამო იმით გამოხატა, რომ დემონსტრაციულად გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ირანთან.[1] დასავლეთი ევროპის ზოგიერთი ქვეყანა დაინტერესდა ანტითურქული კოალიციის შექმნით, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი დაეთმობოდა რუსეთს, საქართველოსა და ირანს. ანტიოსმალური კოალიციის ინიციატორები იყვნენ: გერმანიის იმპერატორი რუდოლფ II და რომის პაპი კლემენტი VIII, რომლებმაც წერილები გაუგზავნეს სიმონ I-ს; სიმონი სიხარულით შეხვდა პაპისა და იმპერატორის წერილებს, რასაც 1595 წელს მოჰყვა ირანის, ქართლისა და კახეთის კავშირის შექმნა. სიმონის მიერ ესპანეთის მეფის ფილიპე II-ისადმი 1596 წელს გაგზავნილი წერილებიდან კარგად ჩანს, რომ ამ კავშირის მიზანი ოსმალების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა ყოფილა.[2] სიმონ I ფილიპე II-ს სთხოვს შუამდგომლობას რუდოლფ II-სთან, რათა მან ოსმალებთან ზავი არ დადოს; ამავე დროს, სთხოვს იმასაც, რომ ესპანეთის მეფემ ურჩიოს ირანის შაჰს, რათა ამ უკანასკნელმა მხარი დაუჭიროს ქრისტიანთა ბრძოლას თურქების წინააღმდეგ და შეთანხმება არ დაარღვიოს.[3]

---

[1] ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 78.

[2] იქვე, გვ. 94; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, XIII-XVI სს., თბ., 1984, გვ. 223.

[3] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95; ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 225.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: „ქართველი დიპლომატები სულაც არ მოჩანან შესაძლებელი ანტიოსმალური კოალიციის პასიურ მონაწილეებად, საქართველოს მონაწილეობას ოსმალეთის წინააღმდეგ საერთო ლაშქრობაში სათანადო ანგარიშს უწევენ დას. ევროპაში“.[1] სიმონის, როგორც თურქების წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლის, დამსახურება აღნიშნულია კლემენტი VIII-ის პასუხში სიმონის წერილებზე (1598). რომის პაპი ატყობინებს ქართლის მეფეს, რომ იგი შეაგულიანებს ქრისტიან მეფე-ხელმწიფეებს, რათა გამოვიდნენ საერთო მტრის — თურქების წინააღმდეგ.[2]

ანტიოსმალური კოალიციის სულისჩამდგმელი შაჰ აბას I იყო. შეთანხმების მონაწილეებმა ეს დაუყოვნებლივ შეატყობინეს რომის პაპს, გერმანიის იმპერატორს, ესპანეთის კოროლს, მაგრამ არაფერს ატყობინებენ მოსკოვის მეფეს. „აქედან კარგად ჩანდა, რომ შაჰ აბასი სულ სხვაგვარ კოალიციას რაზმავდა ოსმალეთის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, ოსმალეთის წინააღმდეგ მომავალ ომში რუსეთის ბელადობა შაჰ აბასს გამორიცხულად მიაჩნდა“.[3]

სიმონ I ევროპელი მეფე-ხელმწიფისადმი გაგზავნილ წერილებში ოსმალების წინააღმდეგ დაუცხრომელ მებრძოლად მოჩანს. მაგ. რომის პაპისადმი მიწერილ წერილში იგი წერს: „ვიდრე პირში სული მიდგია, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზე, მაგრამ იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ირანის წინააღმდეგაც იბრძოდა როგორც თვითონ სიმონი, ასვე მამამისი ლუარსაბიც. იგი არც სპარსელთა მიერ თავის დატყვევებას ივიწყებს.[4] სიმონ მეფისათვის სპარსელებიც, ოსმალთა მსგავსად „უსჯულო აგარიანნი“ იყვნენ, მაგრამ შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა (ოსმალთა ბატონობა) მას უკარნახებდა სპარსეთს მოკავშირედ გახდომოდა, რათა ქვეყანა გაოსმალებისაგან ეხსნა.[5]

ანტიოსმალურ ლიგას რაიმე რეალური შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ შაჰ აბას I იმედს მაინც არ კარგავდა: იგი ყოველნაირად ცდილობდა ოსმალთა წინააღმდეგ ქართლ-კახეთის მეფეების გამოყენებას. 1598 წელს სიმონ მეფემ, შაჰ აბასთან შეთანხმებით, ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა, ხოლო ალექსანდრე კახთა მეფემ ოსმალებს ხარკის ძლევა შეუწყვიტა; მანუჩარ ათაბაგის მეთაურობით აჯანყდა სამცხე-საა-

---

1 ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 96.
2 ი. ტაბაღუა. დასახ. ნაშრ., გვ. 230.
3 ნ. ბერძენიშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967. გვ. 70; იხ. აგრეთვე. ვ. გაბაშვილი. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 98.
4 მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბ., 1902. გვ. 77.
5 ვ. გაბაშვილი. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. გვ. 99.

თაბაგრც. სულთანმა ქართველების დასასჯელად დიდი ჯარი გამოგზავნა თავრიზისა და ვანის ბეგლარბეგის ჯაფარ-ფაშას მეთაურობით. სიმონ მეფე ნახიდურთან ბრძოლაში დაატყვევეს, სტამბულს გაგზავნეს და იედიკულის ციხეში ჩასვეს. გიორგი მეფე ბევრს ეცადა, მაგრამ სიმონი ტყვეობიდან ვერ გამოიხსნა; იგი ტყვეობაში გარდაიცვალა 1611 წელს. „ქართლის მრავალწლოვან ბრძოლას ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ბრძოლა არა მარტო ქართლის სამეფოს ინტერესებს ემსახურებოდა, არამედ მთელი საქართველოს ინტერესებსაც. ქართლის გმირული ბრძოლა რამდენადმე ამსუბუქებდა ყიზილბაშებისა და ოსმალების ბატონობის სიმძიმეს საქართველოს დანარჩენ ნაწილებში.[1]

## 3. ქართულ-რუსული დიპლომატიური კონტაქტები XVI საუკუნის II ნახევარში

1555 წლის 21 მაისს ქ. ამასიაში დაიდო ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის, რომლის ძალითაც მათ გავლენის სფეროებად გაინაწილეს ჯერ კიდევ დაუპყრობელი საქართველოს დიდი ნაწილი: ირანმა ცნო ოსმალეთის უზენაესი ხელისუფლება დასავლეთ საქართველოზე და სამცხის დასავლეთ ნაწილზე, ხოლო ოსმალეთმა ირანის ხელისუფლება ქართლ-კახეთზე და სამცხის აღმოსავლეთ ნაწილზე. ამრიგად, საქართველოსა და კახეთის მეფეები, ისევე როგორც სამცხის მთავარი, ირანის ვასალებად გამოცხადდნენ.[2] კახეთის მეფე და სამცხის მთავარი აქამდეც აღიარებდნენ ირანის ვასალობას, ქართლი კი არ ცნობდა ქვეშევრდომობას და აგრძელებდა შეურიგებელ ბრძოლებს.

ამ ახალ ვითარებაში საჭირო იყო დიპლომატიური მოქმედების ახლებური ტაქტიკის გამომუშავება. ირანის ოსმალეთთან დაზავებამ და ყიზილბაშთა მიერ კახეთის უშუალო მეზობელი ქვეყნების შაქი-შარვანის სახანოების დაპყრობამ მკვეთრად გააუარესა კახეთის მდგომარეობა. თუ მანამდე ირანის შაჰის კარი კახეთის ფორმალურ ვასალობას ყაბულდებოდა და კახეთს მაინცდამაინც არ ავიწროებდა, ამის შემდეგ უკვე ირანი კახეთის სრულ დაპყრობას და მის მაჰმადიანურ სახანოდ გადაქცევას გეგმავს. კახეთის მეფე ლევანი (1518-1574) ამას კარგად ითვალისწინებს და საწინააღმდეგო ზომებისათვის ემზადება, თუმცა ჯერჯე-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 149.

[2] ამ დაზავების პირობები საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ჩოჩიევს თავის სადოქტორო დისერტაციაში. იხ. В. Г. Чочиев, Международные отношения Ближнего Востока в XVI-XVIII веках /в свете ирано-турецких мирных договоров/, Автореферат, Тб., 1972, გვ. 18-20.

რობით ისევ ირანის შაჰის კეთილგანწყობილების შენარჩუნებას ცდილობს.

1556 წელს სოფ. გარისთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა ქართლის მეფე ლუარსაბ I. მართალია, ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ ყიზილბაშები, მაგრამ მათი საბოლოო განდევნა საქართველოდან ჯერ კიდევ შორს იყო. იმავე წელს ლევან მეფემ ირანის შაჰის კარზე გაგზავნა თავისი ვაჟიშვილი იესე ძვირფასი მისართმევებით. ვახუშტი შენიშნავს: „ამ მიზეზისათვის წარავლინა ძე თჳსი იესე წინაშე ყეენისა ძღუენითა და ტყჳთა ქალ-ყრმითა და აუწყა თავისი არა რისა შეცოდება“.[1] შაჰ-თამაზმა დიდი კმაყოფილებით მიიღო კახეთის მეფის ძღვენიცა და მძევალიც, რადგან გარისის ბრძოლაში განცდილი მარცხის მიუხედავად ირანის შაჰი ამასიის ზავის პირობების შესაბამისად ქართლ-კახეთის საბოლოოდ დასაპყრობად ახალ გეგმებს და ბრძოლის წარმოების ახალ მეთოდებს სახავდა. ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში კახელ ბატონიშვილს გარკვეული როლი შეეძლო შეესრულებინა.

ამ კრიტიკულ მომენტში ლევან მეფის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ის დიდი ცვლილებები, რაც ჩრდილო კავკასიაში ხდებოდა. როგორც ცნობილია, იმიერკავკასიაში არსებობდა მრავალი ტომობრივ-ეთნიკური თუ პოლიტიკური ერთეული. საქართველოს ძლიერების ხანაში ისინი მოქცეულნი იყვნენ საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური გავლენის ქვეშ, მაგრამ თათარ-მონღოლთა გაბატონების შემდეგ, განსაკუთრებით თემურ-ლენგის ლაშქრობათა და სპეციალურად გამიზნული მოქმედების შედეგად, არა მარტო შემცირდა ეს გავლენა, არამედ ისინი მეტ-ნაკლებად საქართველოს დაუპირისპირდნენ პოლიტიკურად და რელიგიურადაც. ამ ჩამორჩენილი და მისდამი ანტაგონისტურად განწყობილი „მთის“ შემოტევამ საბედისწერო როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში.

ეს პერიოდი ჩრდ. კავკასიის ხალხთა ისტორიაში ჯერ კიდევ პატრიარქალური ურთიერთობის ხანაა, აქ ჯერ კიდევ ძლიერია ტომობრივ-თემობრივი გათიშულობა და ის-ისაა ყალიბდებოდნენ ადრეფეოდალური ერთეულები.[2] XVI საუკუნეში ჩრდილო კავკასიაში ძირითადად ორი ფეოდალურ-პატრიარქალური ერთეული დაწინაურდა: ყაზი-ყუმუხის საშამხლო და ყაბარდო. ყაზი-ყუმუხის შამხალმა დაღესტნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი გააერთიანა.[3] მას ბრძოლები და მეტოქობა

---

1 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. გვ. 575.

2 ზ. ანჩაბაძე. თ. ბოცვაძე. გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები. ნაკვ. I, თბ., 1967.

3 История Дагестана, I, г. ред. Г. Д. Даниилов, М., 1967, გვ. 247.

ჰქონდა როგორც მეზობელ დაღესტნურ პატრიარქალურ-ფეოდალურ ერთეულებთან, ისე განსაკუთრებით ყაბარდოსთან. ამ უკანასკნელმა შამხალის საპირისპიროდ რუსული ორიენტაცია აირჩია. ეს ის დროა, როდესაც რუსეთის მზარდი სახელმწიფო კავკასიას მიუახლოვდა.

როგორც ცნობილია, 1547 წლის 16 იანვარს ივანე IV-მ საზეიმოდ მიიღო „Царь"-ის ტიტული[1] და ამით ოფიციალურად განაცხადა თავისი პრეტენზია აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში პირველობაზე და ხელმძღვანელ როლზე. 1552 წელს ივანე IV-მ აიღო ყაზანი, ხოლო 1556 წელს ასტრახანი. ამის შემდეგ რუსეთის საზღვარი უშუალოდ მოებჯინა კავკასიას. ყაზანის და ასტრახანის აღებით რუსეთმა თავის კონტროლს დაუქვემდებარა ვოლგის სანაოსნო გზა, რომლითაც ვაჭრებს კასპიისპირა ქვეყნებიდან (შაქი-შარვანი, გილანი, მაზანდარანი) დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ნედლი აბრეშუმი. ამ გზის ხელში ჩაგდებით რუსეთს გაეხსნა გასასვლელი აღმოსავლეთის მდიდარი ბაზრებისაკენ, უფრო მეტიც, ამ გზის დაზვერვა დაიწყეს ევროპის ქვეყნებმაც. ამ გზის ხელში ჩაგდებას, განსაკუთრებით ასტრახანის დაუფლებას, ეშურებოდა ოსმალეთიც. მის გავლენაში მოქცეული ყირიმის ხანი და დაღესტნელი შამხალი ავიწროვებდნენ იმიერკავკასიელ მთავრებს, განსაკუთრებით ყაბარდოელ ჩერქეზთა მთავარს, რადგან ისინი ოსმალთა ბატონობას არ ცნობდნენ. მათი საზღვრების მახლობლად რუსეთის გამოჩენამ იმედის ნაპერწკალი გაუჩინა ადგილობრივ ხელისუფალთ. ისინი ფიქრობდნენ, რომ რუსეთის დახმარებით თავს დააღწევდნენ ყირიმ-ოსმალეთის ბატონობას.[2]

1552 წელს მოსკოვში ჩადის ყაბარდოელების ელჩობა, რომელმაც ივანე IV-ს მფარველობაში მიღება სთხოვა. 1557 წელს მოსკოვში ჩავიდა ყაბარდოელთა ახალი ელჩობა კაფულიჩი კანუკოვის მეთაურობით, რომელმაც თემურყვას სახელით რუსეთისაგან მფარველობა — ხელდებულება ითხოვა, თან დასძინა, რომ "с кабартинскими черкасы в одной правде и в заговоре иверской князь и вся земля Иверская и государю с ними же бьют челом, чтоб государь, царь и великий князь их по тому же пожаловал, как и тех всех".[3] სამართლიანად არის მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომ ივერიის მთავარში აქ ლევან კახთა მეფე იგულისხმება. როგორც ცნობილია, 1557 წელს ყაბარდო რუსეთის მფარველობაში შევიდა. ყაბარდოში გაიგზავნენ სამ-

---

[1] „Царь"-ის ტიტული მომდინარეობს ბიზანტიელი იმპერატორების ტიტულიდან „ცეზარ".

[2] თ. ბოცვაძე, საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 23.

[3] Кабардино-русские отношения в XVI-XVIII в., т. I, М., 1957, გვ. 5.

ღვდელო პირები ამ ქვეყნის ქრისტიანობაზე მოსაქცევად.[1] ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, კახეთის მეფეს იმედის ნაპერწკალს უსახავდა, რომ მას ჩრდილოეთიდან უმეზობლდებოდა ძლიერი ქრისტიანული რუსეთი, რომელიც საჭირო შემთხვევაში მფარველად და მოკავშირედ გამოადგებოდა. ამას დაერთო ირანის შაჰის კახეთის საწინააღმდეგო ახალი აქციები, რაც ამ ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად ნიადაგის მომზადებას ემსახურებოდა. შაჰ-თამაზმა კახეთს ჩამოაშორა და თავის უშუალო მფარველობაში მოაქცია წახურის ტერიტორია. ამ დროს კახეთის მფლობელობაში ჯერ კიდევ იყო მოქცეული კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა მდებარე სამხრეთ დაღესტნის ზოგიერთი თემი, მათ შორის მდ. სამურის ზემო წელზე მდებარე წახურის სამთავრო. 1562 წელს ირანის შაჰმა კახეთს ჩამოართვა ეს ტერიტორია და იგი მაჰმადიან მფლობელს ადიკურკულ-ბეგს გადასცა. ლევან მეფეს კი გამოუგზავნა შემდეგი შინაარსის ბრძანება: „ეს მფლობელი ჩვენი ერთგული ყმათაგანია. მისდამი ჩვენი მონარქიული მოწყალების გამო, მის მიწებს ნურავინ შეეხება, საქართველოს სამეფოს მოხელეთაგან, ერიდონ მის ჩივილსა და უკმაყოფილებას. საქართველოს მთავარს, ლევან-ხანს, ევალება, რომ თვალყური ადევნოს ამ ჩვენი ბრძანების აღსრულებას".[2] ამრიგად, გარდა იმისა, რომ ირანმა უშუალოდ დაიპყრო შაქი-შირვანის ტერიტორია, მან კახეთს ჩამოაშორა კავკასიონის პირიქითა ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც კახეთის წინააღმდეგ უშუალო შემოტევისათვის, ისე დაღესტანზე თავისი გავლენის გავრცელებისათვის.

1560 წ. შაჰ-თამაზმა გაამაჰმადიანა იესე ბატონიშვილი, მას ისა-ხანი უწოდეს და შაქის ვილაიეთის მმართველად დანიშნეს. აშკარა იყო, რომ შაჰი იესე ბატონიშვილს (ისა-ხანს) ლევანის შემცვლელად ამზადებდა კახეთის ტახტზე. 1561 წელს გიორგი ბატონიშვილის ციხედიდთან დაღუპვის შემდეგ კახეთის სამეფო ტახტი მემკვიდრეობით იესე ბატონიშვილს ეკუთვნოდა. ქართველი აზნაურების შეგონებით იესემ საქართველოში გამოქცევა სცადა, ალბათ იმ იმედით, რომ იგი კახეთის ტახტს მამამისის შემდეგ კანონიერი გზით და ქრისტიანობით მიიღებდა, მაგრამ იგი გასცეს და განრისხებულმა შაჰ-თამაზმა იესე ალამუთის ციხეში გამოკეტა.[3]

ამ პერიოდს განეკუთვნება ლევან კახთა მეფის რუსეთთან დასაკავშირებლად გადადგმული აქტიური ნაბიჯები. AKAK-ის I ტომში გამო-

---

[1] Смирнов, Н. А., Политика России на Кавказе в XVI-XVII вв., М., 1958, გვ. 27.

[2] АКАК, т. II, доп. II, док. №1, გვ. 1085.

[3] კ. ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 171.

ქვეყნებულია ცნობა იმ სიგელების შესახებ, რომლებიც ლევან მეფეს გაუგზავნია მოსკოვში 1561-1564 წლებში. ამ სიგელებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ, მაგრამ შემორჩენილია მათი აღწერილობა, შედგენილი XVI ს-ის 70-იან წლებში. აშკარა ხდება, რომ ლევან მეფეს უშუალო ურთიერთობა რუსეთთან დაუმყარებია უკვე 1561 წელს.[1]

როგორც ცნობილია, სწორედ ამ წელს ივანე IV-მ ცოლად მოიყვანა ყაბარდოს მთავრის თემურყვას ქალი, ხოლო უკვე შემდეგ წელს რუსეთის ხელმწიფემ თავისი სიმამრის დასახმარებლად გაგზავნა 500 კაზაკი ვოევოდა გრიგოლ პლეშჩეევის მეთაურობით.[2] ამრიგად, კახეთის მახლობლად პირველად გამოჩნდა რუსეთის ჯარი, რომელიც ეხმარება ლევანის მოკავშირე ყაბარდოს მთავარს. ლევანი არ დააყოვნებდა, თვითონაც მიემართა რუსეთისათვის თხოვნით სამხედრო დახმარების შესახებ. უსათუოდ ამ მიზანს ისახავდა მის მიერ ივანე IV-ის კარზე გაგზავნილი ელჩობანი.

პლეშჩეევის ჯარის ჩრდ. კავკასიაში ლაშქრობისას მათ არაგვის ერისთავის სოფლებიც დაუკავებიათ. ამ დროს არაგვის ერისთავები კახეთის მეფის ყმები არიან. ამრიგად, კახეთის მეფის კონტროლს ექვემდებარებოდა ჩრდილოეთისაკენ გამავალი ძირითადი გზა — დარიალის ხეობა. ამ ხეობაში და ზოგიერთ სხვა ადგილებში რუსეთის ჯარის შემოსვლა შეიძლება ლევან მეფის თხოვნით მოხდა. ალბათ ამ ამბებს გვამცნობს ვახუშტი ბატონიშვილი, როცა აღნიშნავს, რომ „ოდეს დაიპყრა რუსთა მეფემან იოანე ყაზანი და აშტრახანი და თერგი და დასხნა ყაზახნი თერგსა და თარღუს მცველნი თვისნი, ამან ლევან წარუვლინა და ითხოვა სპა მისი მცველად ციხეთა კახეთისათა. მან მოუვლინა და დაადგინა რუსნი. არამედ გაძლიერდა რა შაჰ-თამაზ, წარავლინა სპანი რუსნი რუსეთადვე“.[3] საქართველოს ფარგლებში გამოჩენილი რუსთა სამხედრო რაზმი, რომელიც ალბათ ნაწილი იყო პლეშჩეევის ჯარისა, ლევანს რამდენიმე ხანს (ალბათ 1562-1563 წლებში, გრ. პლეშჩეევის იმიერკავკასიაში მოქმედების პერიოდში)[4] გამოუყენებია და სანაპირო ციხეებში ჩაუყენებია შამხალის მხრიდან თავდასხმების მოსაგერიებლად. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთი სამხედრო ძალით დაეხ-

---

[1] ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1983, გვ. 41-55.

[2] Кушева, Е.Н. Народы Северного Кавказа и их связи с Россией в XVI-XVII вв. М., 1963, გვ. 24.

[3] ქართლის ცხოვრება, IV.

[4] არ უნდა იყოს სწორი პროფ. ი. ცინცაძის ვარაუდი და მასზე დამყარებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში ბოლომდე მიღებული თვალსაზრისი, რომ რუსეთმა სპეციალურად გამოუგზავნა რუსთა რაზმი.

მარა ქართველებს, მაგრამ დახმარება ჯერ კიდევ არ იყო ისეთი რაოდენობისა და მნიშვნელობისა, რომ შეძლებოდა გამოესწორებინა კახეთის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა. პირიქით, როგორც ვახუშტი აღნიშნავს, ამ ფაქტმა ირანის შაჰის აღშფოთება გამოიწვია და ისეთმა ფრთხილმა პოლიტიკოსმა, როგორც ლევან მეფე იყო, აღარ დააყოვნა უკან გაეგზავნა რუსთა რაზმი. ალბათ ამ ამბებთან დაკავშირებით აწარმოებდა მოლაპარაკებას მოსკოვის კარზე ლევან მეფის ელჩი იაკობი, რომლის შესახებ ცნობა დაცულია რუსულ მატიანეში.[1] უკანასკნელ ხანს მოსკოვის ძველ საბუთთა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში აღმოჩნდა დამატებითი მასალა ამ ელჩობის შესახებ.[2] ირკვევა, რომ იაკობს გარდა, რომელიც ტომით ებრაელი იყო, ამ ელჩობაში შედიოდა კიდევ 2 კაცი: სომეხი ვაჭარი და ქართველი სასულიერო პირი დანიელი. აღმოჩნდა ივანე IV-ის მიერ ლევან კახთა მეფისადმი გამოგზავნილი წერილის პირი, რომელშიც რუსეთის მეფე სთხოვს კახეთის მეფეს, რომ მან დახმარება აღმოუჩინოს და ბაჟი არ გადაახდევინოს რუსეთის ელჩებთან ერთად საბერძნეთის მთაწმინდისაკენ მიმავალ მიტროპოლიტ იასაფატს და ბერ-მონაზვნებს. სხვა ცნობები ამ ელჩობის შესახებ არ გაგვაჩნია. არის გვიანდელი, XVII ს-ის ცნობა, კერძოდ, რუსეთის მეფე მიხეილ თევდორის ძისა წერილში თეიმურაზ I-სადმი,[3] რომლის მიხედვითაც თითქოს ლევან მეფე შესული იყო რუსეთის მეფის ივანე IV-ის მფარველობის ქვეშ, მაგრამ, როგორც ეს ჯერ კიდევ ნ. ბერძენიშვილმა აღნიშნა[4] და ლ. ალექსიძემ საფუძვლიანად დაასაბუთა,[5] ამ დროს რუსეთსა და კახეთს შორის რაიმე ხელშეკრულება მფარველობა-ხელდებულების შესახებ არ გაფორმებულა.

ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპი კახეთის სამეფოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიაში იწყება XVI ს-ის 80-იან წლებში. ეს არის ირან-ოსმალეთის მეორე ომის პერიოდი (1578-1590 წწ.). კახეთის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავდა მეფე ალექსანდრე II (1574-1605 წწ.). ალექსანდრე II-ს, როგორც დიპლომატსა და პოლიტიკოსს, შესანიშნავად ახასიათებს აკად. ნ. ბერძენიშვილი: „კახთა მეფე ფრთხილი პოლიტიკოსი

---

1 ПСРЛ, т. XIII, ч. 2., 1906 г., გვ. 391.

2 თ. ტივაძე, XVI ს-ის 80-იანი წლების კახეთ-რუსეთის ურთიერთობის საკითხისათვის, მაცნე. (ისტორიის... სერია), ტ. 4, 1983.

ამ წერილში ვკითხულობთ: “А принял дед наш блаженные памяти в г. ц. и в. к. Иван Васильевич в Р. с. под свою царскую высокую руку грузинского Леонтья царя, парева Александрова отца, во оборону для православные христианские веры” მ. პოლიევქტოვი, თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში 1640-1643 წწ., ტფ., 1928, გვ. 20.

4 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1967.

5 ლ. ალექსიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

იყო. არც ერთი მეზობელი ალექსანდრე მეფეს განსაკუთრებით არ უყვარდა, მაგრამ არც არავინ განსაკუთრებით სძულდა. ის მუდამ მზად იყო, ყველაზე მოსისხარსაც კი უმალ შერიგებოდა, თუკი ეს მისი ქვეყნისათვის სასარგებლო ჩანდა. მცირესა და სუსტ მეზობელს დიდად არ ებოდიშებოდა, სამაგიეროდ ძლიერთა შორის უძლიერესს „გაეწყობოდა“ ხოლმე და „ჩათრევას“ „ჩაყოლით“ აიცდენდა. იშვიათი სიზუსტით ერკვეოდა ამიერკავკასიაში მოქმედ მოწინააღმდეგე ძალთა შეფასებაში და მუდამ მზად იყო, ამის შესაბამისად საუკეთესო პოზიცია დაეჭირა. ძლიერ მეზობელთა წინააღმდეგ ომს, როგორც თავდაცვის საშუალებას, გაურბოდა (სიმონ მეფეს უწუნებდა პოლიტიკას) და ძლიერთა ომში აქტიური ჩარევა შეცდომად მიაჩნდა. ამავე დროს, სამხედრო ძლიერება და ომისათვის მუდამ მზადყოფნა მისი უმთავრესი საზრუნავი იყო. ოცდაათ წელიწადს იმეფა ალექსანდრემ. აქედან ოცდაოთხი წელი ირან-ოსმალეთის ომსა და მეტოქეობის პირობებში, და არც ერთხელ ირანის ან ოსმალეთის დამპყრობლები კახეთში არ შესულან და ეს იმ დროს, როცა სამცხე-საათაბაგო, ქართლი, ერევანი, შირვანი, განჯა-ყარაბაღი და აზერბაიჯანი სულ ერთთავად ომის ასპარეზად იყო ქცეული.

ალექსანდრე არ უყვარდათ მეზობლებს, მოკავშირე ეჭვის თვალით უყურებდა და მისი ერთგულებისა არა სწამდათ. მტერი კბილებს ილესდა „კბიერსა“ და „ფიცის გამტეხზე“, მაგრამ არც მტერი და არც მოკავშირე კახთა მეფის პოლიტიკურ სიბრძნესა და მოხერხებას არ უარყოფდა. ორივენი ანგარიშს უწევდნენ მას, „ხელის წამოკვრას“ ვერ უბედავდნენ და მის მოხერხებას ძვირად აფასებდნენ. მართლაც, ალექსანდრე მეფეს „რაინდული“ არა ეცხო რა. ის ცივი ანგარიშის კაცი იყო“.[1]

1578 წელს ოსმალეთმა ისარგებლა შაჰ-თამაზის გარდაცვალებით და ირანში გაშლილი შიდადინასტიური ბრძოლებით, დაარღვია ამასიის ზავი და უზარმაზარი ჯარი მუსტაფა ლალა-ფაშას სარდლობით დაძრა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დასაპყრობად.

მისი დახმარება დაევალა ყირიმის ხანს მეჰმედ-გირეის, რომელსაც ჩრდილო კავკასიის მხრიდან დარუბანდის გზით უნდა შეეტია შარვანისათვის. ირან-ოსმალეთის ეს ახალი ომი მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში მოექცა. ევროპა უაღრესად იყო დაინტერესებული, რომ ოსმალეთი ღრმად ჩაფლულიყო აღმოსავლეთში ირანთან ომში, ამიტომ აქაური ყოველი პოლიტიკური ნიუანსი ევროპაში დიდ ინტერესს იწვევდა. ირან-ოსმალეთის ომით და კავკასიის პრობლემებით არანაკლებ ინტერესდება რუსეთიც, მით უმეტეს, რომ ოსმალეთი მოურიდებლად ემუქრებოდა რუსეთის სახელმწიფოს სამხრეთის საზღვ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VI, თბ., 1973, გვ. 194.

რებს, განსაკუთრებით რუსეთის მიერ უკვე დაუფლებულ ვოლგის სანაოსნო გზას. ეს საფრთხე რეალურად იქცა მეჰმედ-გირეის იმიერკავკასიაში ლაშქრობის დროს.

ამიერკავკასიაზე შემოტევის დასაწყისში ოსმალთა მთავარსარდალმა არზრუმიდან ალექსანდრე კახთა მეფეს წერილი გამოუგზავნა, რომლითაც იგი მოითხოვდა მორჩილებას და „ისლამით გაპატიოსნებას", სამაგიეროდ ჰპირდებოდა, რომ მისი ქვეყანა გადაურჩებოდა აოხრებას. ალექსანდრე მეფემ მორჩილების პირობად მოითხოვა წინათ მის მფლობელობაში მყოფი მხარეების, „მამა-პაპური ადგილების" დაბრუნება და ქრისტიანობის შენარჩუნება.[1] ამრიგად, კახეთის მეფეს ომის დაწყებამდე მოუხდა ჩაბმა რთულ დიპლომატიურ ჭიდილში. როგორც აღნიშნული იყო, შაჰ-თამაზმა კახეთს ჩამოაშორა სტრატეგიულად დიდი მნიშვნელობის მქონე წახურის სამთავრო. ალბათ, ამ კუთხეს გულისხმობდა მეფე ალექსანდრე, როდესაც ოსმალთა სარდლისაგან მოითხოვდა მისი „მამა-პაპური ადგილების" დაბრუნებას.

როდესაც მუსტაფა ლალა-ფაშა კახეთის საზღვარს მიადგა, აქ, სართიჭალასთან მას ალექსანდრე მეფე დახვდა მდიდარი საჩუქრებით და მშვიდობა ითხოვა. გაიმართა მოლაპარაკება კახეთის მეფესა და ოსმალთა სარდალს შორის. მოლაპარაკებამ კახეთისათვის სასარგებლოდ ჩაიარა. მუსტაფა ლალა-ფაშა დათანხმდა ალექსანდრეს ქრისტიანობით შეენარჩუნებინა მეფობა, მხოლოდ სულთნის უზენაესობა უნდა ეღიარებინა და ბეგლარბეგის წოდება მიეღო; კომლობრივი გადასახადის მაგივრად, რასაც თავდაპირველად ოსმალეთის მხარე მოითხოვდა, კახეთის მეფემ არცთუ ისე დიდი რაოდენობის (30 იუქი აბრეშუმი და 10-10 ტყვე ქალ-ვაჟი) წლიური მისართმეველი ხარკი იკისრა, აგრეთვე ივალდებულა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება. ეს უკანასკნელი ვალდებულება ალექსანდრემ თავის სასარგებლოდ გამოიყენა. იგი შაქში ლაშქრობით შემოიფარგლა, რაც თვითონ კახეთის მეფეს უფრო აინტერესებდა. საქმე ის იყო, რომ, როგორც ცნობილია, შაჰ-თამაზის სიკვდილის შემდეგ შაჰ-ისმაილ II-მ სიმონ ქართლის მეფესთან ერთად ალამუთის ციხიდან გაათავისუფლა ალექსანდრეს უფროსი ძმა იესე (ისა-ხანი), რომელიც ისევ შაქის მმართველად დაინიშნა. ამჯერადაც ისა-ხანს ალექსანდრეს მეტოქედ და კახეთის მმართველად ამზადებდნენ. ალექსანდრემ კახელების ჯარით შაქში ილაშქრა, აქედან თავისი გამაჰმადიანებული ძმა გააძევა და იქ თავისი ვაჟი ერეკლე დასვა. ამრიგად, ალექსანდრემ ერთი მხრივ თავისი ტახტის მეტოქე მოიშორა და ამავე დროს შაქი თავისი

---

1 მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1971, გვ. 116.

გავლენის ქვეშ მოაქცია. მისი მონაწილეობა ოსმალებთან ერთად ლაშქრობაში ამით შემოიფარგლა.

ამასობაში ოსმალებმა აღმოსავლეთი ამიერკავკასია მთლიანად დაიმორჩილეს და თავიანთი მმართველობის წესების შემოღებას შეუდგნენ.

ოსმალების წარმატება უფრო დიდი იქნებოდა, რომ მათი მდგომარეობა უკიდურესად არ გაერთულებინა საქართველოში დაწყებულ გამათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც სათავეში ქართლის მეფე სიმონი ჩაუდგა. ამ მოძრაობით ისარგებლა ირანის შაჰის კარმა და ოსმალეთის შემოტევა შეაჩერა. ქართველებმა არაერთი დამარცხება აგემეს ოსმალებს. აჯანყდა სამცხეც მანუჩარ ათაბაგის მეთაურობით. ოსმალთა ამ საერთო წარუმატებლობის ვითარებაში ირანის შაჰის მოთხოვნით კახეთის მეფე კვლავ ირანის მხარეზე გადავიდა. შაჰმა ალექსანდრე მეფეს მძევლად გამოსთხოვა მისი უმცროსი ვაჟი კონსტანტინე, ამავე დროს, გადაახდევინა მთელი წინა წლების მიუცემელი ხარკი. თავის მხრივ ოსმალები ჯარს ჯარზე გზავნიდნენ, მაგრამ მებრძოლი ქართლის დამორჩილება მაინც ვერ შეძლეს.

ოსმალთა წაქეზებით კახეთზე გააძლიერეს თავდასხმები დაღესტნელმა მთიელებმა. მათ წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით უჭირდა კახეთის სამეფო კარს, რადგან ისინი დიდი ლაშქრით კი არ მოდიოდნენ, არამედ ძირითადად ქურდულად, პატარ-პატარა რაზმებად და დასტებად ესხმოდნენ თავს კახეთის მშვიდობიან სოფლებს. კახეთს საშუალება არ ჰქონდა, რომ დაღესტნიდან შემოსასვლელი გზები (ასეთი გზა კი უამრავი იყო) ციხეებით შეეკრა და შიგ მუდმივად მეციხოვნეები დაეყენებინა, ანდა საერთოდ მუდმივი ჯარი ჰყოლოდა მუდამ მზად. კახეთს თავისი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შესაბამისი ფეოდალური ლაშქარი ჰყავდა, რომელიც მხოლოდ მტრის შემოსევისას იკრიბებოდა ხოლმე, ისიც მცირე ხნით, სხვა დროს კი მოლაშქრენი ჩვეულებრივი მიწის მუშა-მეურნენი იყვნენ, რომლებიც თავიანთ მეურნეობას დიდი ხნით ვერ მოსწყდებოდნენ.

ამრიგად, მართალია, ოსმალეთს კახეთი უშუალოდ არ დაუპყრია, მაგრამ მისი ზეგავლენა კახეთისათვის საბედისწერო გახდა. ამავე დროს, კახეთის მმართველი წრეები კარგად გრძნობდნენ, რომ ოსმალეთი როგორც კი ირანსა და ქართლში ომს მორჩებოდა, კახეთისათვისაც მოიცლიდა და მის დამოუკიდებლობას ბოლოს მოუღებდა. ამასვე უმზადებდა კახეთს ყიზილბაშური ირანიც, თუ ის ამ ომში გაიმარჯვებდა.

1585 წლისათვის ძალთა შეფარდება ამიერკავკასიაში ოსმალეთის სასარგებლოდ შეიცვალა. დიდი ბრძოლების შემდეგ ამავე წლის სექტემბერში ოსმალებმა აიღეს თავრიზი. თავრიზის დაკარგვის შემდეგ ყიზილბაშთა როლი კავკასიის ფრონტზე უაღრესად შესუსტდა, რამაც

ხელი შეუწყო ოსმალეთის გააქტიურებას ქართლ-კახეთის მიმართ. თუკი აქამდე ოსმალები თვალს ხუჭავდნენ კახეთის მეფის მხოლოდ მოჩვენებით მორჩილებაზე, ახლა, როცა ოსმალებმა მყარად იგრძნეს თავი, მათ აიძულეს კახეთის მეფე, კვლავ გადაეხადა ყოველწლიურად ხარკი.

გასაგებია, თუ ასეთ ვითარებაში რა კმაყოფილებით შეხვდებოდნენ კახეთის მესვეურნი რუსეთის მეფის მოციქულს, რუსინ დანილოვს, რომელიც სწორედ ამ დროს გამოცხადდა კახეთის მეფის კარზე და ალექსანდრე მეფეს გადასცა რუსეთის მეფე თევდორეს წერილი, რომელშიც იგი კახეთის მეფეს კავშირსა და მფარველობას სთავაზობდა.

XVI ს-ის 80-იან წლებში რუსეთიდან კახეთში გამოგზავნილი ამ პირველი ელჩობის საკითხი უკანასკნელ ხანს სპეციალურად შეისწავლა თ. ტივაძემ[1] და უაღრესად საყურადღებო შედეგები მიიღო. გამოირკვა, რომ ამ ელჩობასთან დაკავშირებული მასალების გამოქვეყნებისას ს. ბელოკუროვის მიერ დაშვებული ყოფილა შეცდომა, რაც ბევრი გაუგებრობის საფუძველი შეიქნა. გამოირკვა, რომ ასტრახანელ მეთოფეთა ასისთავს რუსინ დანილოვს არასწორად მიეწერებოდა სამხრეთიდან ასტრახანში ვაჭრების მოწვევის დავალება, რომ ეს სულ სხვა პირს, რუსინკო პოლუეხტოვს ჰქონდა დაკისრებული და ამდენად რუსინ დანილოვი მხოლოდ პოლიტიკური მისიით იყო გამოგზავნილი კახეთში და მას ევალებოდა როგორც კავკასიის ვითარების დაზვერვა, ისე ადგილობრივ ხელისუფალთა დარწმუნება, რომ მათ კავშირი აღედგინათ მოსკოვის სამეფო კართან. თ. ტივაძეს ჩვენ არ ვეთანხმებით მხოლოდ იმ საკითხში, თუ ვისი ინიციატივით იყო ეს ურთიერთობა აღდგენილი. აქამდე მკვლევარნი (მ. პოლიევქტოვი, ნ. ბერძენიშვილი და სხვ.) ასეთ მხარედ რუსეთს თვლიდნენ, მაგრამ თ. ტივაძემ ეჭვის ქვეშ დააყენა ეს მოსაზრება და ურთიერთობის წამომწყებად კახეთის მეფე ალექსანდრე II იგულისხმება. ამავე დროს მან ეჭვი შეიტანა კახეთიდან მოსკოვში გაგზავნილი პირველი წერილის მე-15 საუკუნით დათარიღებაში და მის თარიღად 1583 წელი შემოგვთავაზა. ამ უკანასკნელი თარიღის უსაფუძვლობა ჩვენ უკვე დავასაბუთეთ,[2] ამიტომ ამაზე აქ აღარ შევჩერდებით. ასევე არაფრით არის დასაბუთებული თ. ტივაძის ვარაუდი, რომ რუსინ დანილოვის ელჩობა საქართველოში გამოიგზავნა 1586 წლის დასაწყისში. ეს მიუღებელია თუნდაც იმის გამო, რომ 1586 წლის დასაწყისი (ასევე 1585 წლის ბოლოც) ზამთარზე მოდის და ამ დროს თოვ-

---

1 თ. ტივაძე. XVI ს-ის 80-იანი წლების კახეთ-რუსეთის ურთიერთობის საკითხისათვის: მაცნე. 3. 1983 წ.

2 ნ. ასათიანი, ლ. ალექსიძე, პირველი ქართული ელჩობა მოსკოვში — 1483 წელს. „კომუნისტი", 1983 წ. №205 (6. IX). ნ. ასათიანი, კახეთის სამეფო XV-XVI საუკუნეებში. სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერი) თბ., 1989, გვ. 265-286.

ლიანი მთების გადალახვა შეუძლებელია. ამიტომ სწორი იყვნენ ის მკვლევარნი, რომლებიც თვლიდნენ, რომ რუსინ დანილოვი ასტრახანიდან კახეთში გამოიგზავნა 1585 წელს, ალბათ ზამთრის დადგომამდე, როდესაც შესაძლებელი იყო კავკასიონის ქედით კახეთში გადმოსვლა. ასეთი მსჯელობა იმისათვის გახდა აუცილებელი, რომ მკვლევართა ხელთ იყო მხოლოდ ის ცნობა, რომლის მიხედვით რუსეთის მოციქული ასტრახანში დაბრუნდა 1586 წლის 20 ივლისს და ამდენად 1585 წლის ზამთრის დადგომამდე კახეთში ჩასულ რუსინ დანილოვს საკმაო დრო ექნებოდა კახეთის მეფესთან მოსალაპარაკებლად და იმ მნიშვნელოვანი საკითხების შესათანხმებლად, რაც აუცილებელი იყო საქართველოდან მოსკოვში ოფიციალური ელჩობის გასაგზავნად. ეს დრო საკმარისი იყო აგრეთვე იმისათვის, რომ კახეთის მეფეს სათანადოდ აეწონ-დაეწონა შექმნილი ვითარება და რუსეთის მეფის წინადადებით ირან-ოსმალეთის საპირისპიროდ რუსეთთან ოფიციალურად დასაკავშირებლად პრაქტიკული ნაბიჯი გადაედგა.

ამრიგად, XVI ს-ის 80-იან წლებში რუსეთი აქტიურად ჩაება კავკასიის პოლიტიკურ პერიპეტიებში. ეს ბუნებრივიც არის. ოსმალეთის მიერ ამიერკავკასიის დაკავებამ და ამავე დროს იმიერკავკასიის გზით დარუბანდ-შარვანზე მოწყობილმა არაერთმა ლაშქრობამ დიდი საფრთხე შეუქმნა რუსეთის სამხრეთ საზღვრებს. რუს პოლიტიკოსებს ჯერ კიდევ არ განელებოდათ 1569 წელს თურქთა მიერ ასტრახანზე მოწყობილი ლაშქრობის შთაბეჭდილება და კარგად გრძნობდნენ, რომ ასეთი ლაშქრობა განმეორდებოდა, როგორც კი თურქები კავკასიის ასპარეზზე ფეხს მოიმაგრებდნენ. მაგალითად, 1584 წელს რუსეთიდან სულთნის კარზე გაგზავნილი ელჩი ბორის ბლაგოვი ჯერ კიდევ აზოვიდან ატყობინებდა მოსკოვს, რომ აქ დაუფარავად ლაპარაკობდნენ ასტრახანზე ყირიმის ახალი ხანის ისლამ-გირეის მომავალი ლაშქრობის შესახებ. ივანე IV-ის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის სამეფო კარი დაინტერესებული იყო, მშვიდობა შეენარჩუნებინა თურქეთთან და ეს ელჩობაც ამ მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ რუსი ელჩი სულთანმა თვითონ კი არ მიიღო, არამედ გაუგზავნა მოსალაპარაკებლად ოსმალთა ჯარის მთავარსარდალს ოსმან-ფაშას. ამ უკანასკნელმა კი რუსეთის ელჩს მოსთხოვა, რომ რუსეთს გაეყვანა თავისი ხალხი და კაზაკები დონიდან და თერგიდან, აგრეთვე აზოვის სიახლოვიდან, რათა თურქებს დაუბრკოლებლივ ელაშქრათ ჩრდილოკავკასიის გავლით დარუბანდსა და შარვანზე. თურქები ციხეების ჩადგმასაც აპირებდნენ თერგზე, რათა ეს გზა უსაფრთხო ყოფილიყო მათი ჯარისათვის. ისინი აძლიერებდნენ თავიანთ გავლენას საშამხლოზე. რუსეთის სამეფო კარი ამ მოვლენებს გულხელდაკრეფილი ვერ უყურებდა. საჭირო იყო ადგილობრივ კავკასიელ ხე-

ლისუფალთა შორის ერთგული მოკავშირის მოძებნა. კავკასიაში ერთადერთი ქრისტიანული ქვეყანა, რომელიც არ იყო დაპყრობილი თურქოსმალების მიერ, კახეთის სამეფო იყო. ამიტომ გამოიგზავნა ასტრახანიდან კახეთში რუსეთის მოციქული, რათა რუსეთის მეფის სახელით შეეთავაზებინა კახეთის მეფისათვის კავშირი და მფარველობა და ამავე დროს დაეზვერა კახეთამდე მისასვლელი გზები.

კახეთში დიდი კმაყოფილებით მიიღეს რუსეთის მეფის მოციქული, ასტრახანელ მეთოფეთა ასისთავი რუსინ დანილოვი. უკვე საუკუნეზე მეტი იყო, რაც კახეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურები რუსეთთან დაკავშირებას ცდილობდნენ — თითქოს პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა ლევან მეფის დროს, მაგრამ იგი მხოლოდ ეპიზოდური ხასიათის მოვლენად დარჩა. ამჯერად კი თვითონ რუსეთი სთავაზობდა კავშირს და მფარველობას უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ კახეთს. ალექსანდრე მეფის რთულ დიპლომატიურ მანევრებს ორ მაჰმადიანურ გველეშაპს შორის მხოლოდ დროებით შეეძლო წარმატება მოეტანა. როგორც ერთი მხარე, ისე მეორე მხოლოდ დროებით თანხმდებოდნენ ამ ქართული ქვეყნის ნახევრად დამოუკიდებელ არსებობას, მოხარკეობა-ვასალობას; გადამწყვეტი წარმატების მოპოვებისთანავე ოსმალეთიცა და ყიზილბაშური ირანიც საბოლოოდ შთანთქმით, ე. ი. აქ „ქართველობის" ამოგდებით და „ოსმალობის" და „ყიზილბაშობის" დამყარებით იმუქრებოდა. თავისი სახელმწიფოებრიობის, ეროვნული თვითმყოფადობის, ძირძველი ქართული კულტურისა და ენის, საზოგადოებრივი წყობის, ქრისტიანული მრწამსის შენარჩუნებისათვის ეს მცირე ქართული ქვეყანა საჭიროებდა დასაყრდენ დამხმარე ძალას. ასეთად მხოლოდ რუსეთი ჩანდა, რომელიც თვითონ იყო დაინტერესებული კავკასიაში ერთგული მოკავშირის შეძენით. ამიტომ ეს კავშირი ორმხრივი ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

უკან გაბრუნებულ რუსინ დანილოვს ალექსანდრე მეფემ თან თავისი ელჩები: იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ჩერქეზი ხურშიტა გაატანა, რომლებიც 1586 წლის ოქტომბერში უკვე მოსკოვში ჩავიდნენ. 9 ოქტომბერს მიიღო ისინი რუსეთის მეფემ. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რუსეთში ამ ურთიერთობის აღდგენას, კარგად ჩანს იმ ბრწყინვალე მიღებით, რაც ქართველ ელჩებს მოუწყვეს მოსკოვის მეფის კარზე.[1] სამწუხაროდ, თვითონ მოლაპარაკების მასალები სრულად შემორჩენილი არ არის. ს. ბელოკუროვის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში მოცემულია ქართველი ელჩების რუსეთში მოლაპარაკების მხოლოდ მოკლე მიმოხილვა. აკად. ნ. ბერძენიშვილმა ამ მწირი მასალები-

[1] Белокуров, С. А., Сношения России с Кавказом, М., 1889, გვ. 10-11.

დან მაინც შეძლო წარმოედგინა საკმაოდ მწყობრი სურათი მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკებისა. მან სამართლიანად ხაზი გაუსვა იმ ამბავს, რომ რუსეთის მხარე ცდილობდა, საქმე ისე წარმოეჩინა, თითქოს ამ ურთიერთობის ინიციატივა საქართველოდან მომდინარეობდა, მაშინ როდესაც სინამდვილეში პირიქით იყო.[1] მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს მხარე ნაკლებად იყო დაინტერესებული ამ ურთიერთობის პრაქტიკული განხორციელებით. მიუხედავად გართულებული საერთაშორისო ვითარებისა, კახეთის მეფე მაინც გაბედულად დაადგა რუსეთთან დაკავშირების გზას და ზურგი არ აქცია რუსეთში გამომუშავებულ პოლიტიკურ პროცედურას, როდესაც შედარებით სუსტი ქვეყანა მოსკოვს „თავს უდებდა" და მიმართავდა თხოვნით მფარველობის შესახებ. რუსეთს კახეთი უნდა დაეცვა ყველა მტრისაგან, მათ შორის შამხალისაგან და გზა თერგიდან კახეთამდე, საშამხლოზე რომ გადიოდა, საკუთრად დაეჭირა.

1587 წლის 3 აპრილს მოსკოვის სამეფო კარმა გადაწყვიტა ქართველ ელჩებთან ერთად კახეთში გამოეგზავნა თავისი წარმომადგენლებიც — როდიონ ბირკინი, პეტრე პივოვი და პოდიაჩი სტეფანე პოლუხანოვი, რომლებსაც უნდა დაეთანხმებინათ კახეთის მეფე, რომ მიეღო რუსეთის მფარველობა სათანადო პროცედურის შესრულებით. კერძოდ, მათ მოჰქონდათ „ფიცის წიგნის" ტექსტი, რომელშიც ჩამოთვლილი იყო მფარველობა-ხელდებულობის პირობები და რომელზეც უნდა დაეფიცა მეფე ალექსანდრეს თავის შვილებთან და დარბაისლებთან ერთად რუსეთის მეფის ერთგულებაზე. ელჩებს მიეცათ დაწვრილებითი დანასაქმი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეწარმოებინათ მოლაპარაკება, მიეცათ რწმუნების სიგელი და წერილები მეფე ალექსანდრესთან და იმიერკავკასიელ მთავრებთან.

6 აგვისტოს ელჩები უკვე არაგვის საერისთავოს ტერიტორიაზე იყვნენ, დარიალის ხეობაში, სადაც მათ შეხვდა ნუგზარ არაგვის ერისთავი. არაგვის საერისთავოში ელჩები ერთ კვირას გაჩერდნენ, იყიდეს ცხენები და 13 აგვისტოს კახეთისაკენ გაემგზავრნენ. 15 აგვისტოს უშუალოდ კახეთის საზღვარზე მათ შეეგება ალექსანდრე მეფის ერთ-ერთი დიდებული ომანი, დიდი ამალით. ომანმა რუს ელჩებს მიართვა ცხენები და მოუტანა საკვები. აქედან ისინი გაემართნენ მეფის სადგომისაკენ. მეფე მთებში იდგა სანადიროდ. 26 აგვისტოს ალექსანდრე მეფემ ელჩები მიიღო თავის კარავში, ხოლო 29 აგვისტოდან დაიწყო ოფიციალური მოლაპარაკება.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 18.

ელჩებმა მეფე ალექსანდრეს მოახსენეს დანასაქმის მიხედვით, რომ რუსეთის მეფემ ალექსანდრე მეფის თხოვნით იგი შეიწყალა და გადაწყვიტა თავისი მფარველობის ქვეშ მისი მიღება, რომ რუსეთის მეფე დაიცავს კახეთის მეფეს ყველა მისი მტრისაგან, ააგებს ციხეს თერგზე და შიგ ჩააყენებს ჯარს, მაგრამ ეს გარკვეულ დროს მოითხოვდა და ამჯერად ხელმწიფემ მასთან გამოგზავნა ეს ელჩები მოსალაპარაკებლად და პირობების შესათანხმებლად. ელჩები მოითხოვდნენ, რომ ალექსანდრე მეფეს საკვებით მოემარაგებინა თერგის ციხე-ქალაქში ჩაყენებული ჯარი. ამ პირობაზე ალექსანდრე მეფე არ დათანხმდა იმის გამო, რომ თერგის ციხე კახეთიდან საკმაოდ შორს იყო და ძნელად მისასვლელიც უგზოობის გამო, თანაც პურის ამდენი მარაგი კახეთს არ გააჩნდა, ამიტომ შეთანხმდნენ, რომ ამის სამაგიეროდ კახეთი რუსეთს მიართმევდა ყოველწლიური „მოსაკითხის" სახით იმ საქონელს, რაც კახეთს გააჩნდა. ეს იქნებოდა ძირითადად ცხენები და აბრეშუმი. სამაგიეროდ მოსკოვის მეფე ჰპირდებოდა, რომ კახეთის დასაცავად თერგიდან მეთოფეთა ჯარს გამოგზავნიდა. კახეთის მეფეს ამ ჯარის გადმოსაყვანად ცხენ-უნაგირი უნდა მიეწოდებინა, ხოლო კახეთში მყოფი ეს ლაშქარი თავისი ხარჯით შეენახა.

რუსი ელჩები მოითხოვდნენ, ალექსანდრე მეფეს დაეფიცა და ამით ოფიციალურად დაედასტურებინა რუსეთის მეფისადმი მიცემული პირობა, რომელიც ჩამოყალიბებული იყო მოსკოვიდან ჩამოტანილ ე. წ. „ფიცის წიგნში" („Крестоцеловальная запись"). ალექსანდრე მეფე ამაზე თანხმდებოდა იმ პირობით, თუ წიგნში არ იქნებოდა შეტანილი „მოსაკითხი" („поминки"). ელჩებმა საბოლოოდ დაითანხმეს კახეთის მეფე, რომ ეს პირობაც აღნიშნული ყოფილიყო „ფიცის წიგნში".

1587 წლის 28 სექტემბერს ალექსანდრე მეფემ, თავისი შვილებითა და უახლოესი დიდებულებით რუსი ელჩების წინაშე ჯვარზე მთხვევით დაიფიცა, „ფიცის წიგნს" მოაწერა ხელი და დაასვა ბეჭედი. ამით კახეთის მეფემ თავის მხრივ დაამტკიცა ამ ხელშეკრულების პირობები.

1588 წ. მოსკოვის მეფემ ციხე ჩადგა თერგზე და შიგ საკმაო რაოდენობის მეციხოვნე ჯარი ჩააყენა. 1589 წელს ალექსანდრე კახთა მეფემ მიიღო მოსკოვის მეფის „წყალობის სიგელი" ("жалованная грамота"), სადაც დადასტურებული იყო „ფიცის წიგნით" განსაზღვრული მფარველ-ხელდებულის უფლება-მოვალეობანი.

ამრიგად, გაფორმდა ხელშეკრულება კახეთსა და რუსეთს შორის, რომლის შინაარსი და იურიდიული სტატუსი სპეციალურად შეისწავლა ლ. ალექსიძემ თავის სადოქტორო დისერტაციაში და შემდეგ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში" (თბ., 1983). რუსეთ-სა-

ქართველის შორის გაფორმებული ეს პირველი ხელშეკრულება აქამდეც არაერთხელ ყოფილა მეცნიერული შესწავლის ობიექტად, მაგრამ არ იყო ერთიანი შეხედულება ამ ხელშეკრულების რაობისა და ამ აქტით დამყარებული ურთიერთობის იურიდიული ბუნების შესახებ. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ რუსეთ-კახეთის ურთიერთდამოკიდებულება ამ ხელშეკრულების ძალით იყო „ქვეშევრდომობა-ვასალიტეტის მნიშვნელობის", „ქვეშევრდომობა-პროტექტორატის მნიშვნელობისა" და სხვ. ლ. ალექსიძე სამართლიანად აკრიტიკებს ამ თვალსაზრისებს და ასკვნის, რომ კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დამყარდა მფარველობის შესახებ კახეთის ნებაყოფლობითი თხოვნით. მოსკოვის მეფე კისრულობდა კახეთის „მფარველობას" ქრისტიანული სარწმუნოების დაცვის მიზნით. „1587-1588 წლის ხელშეკრულება პირდაპირ მიუთითებს კავშირის ნამდვილ მფარველობით ხასიათზე, მას საფუძვლად უდევს „ურჯულოთაგან ქრისტიანობის დაცვის" იდეა. მოსკოვის ცენტრალიზებული სახელმწიფოს პრაქტიკაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მას მიმართავს დახმარებისათვის მუსლიმანური ქვეყნებით გარემოცული არარუსული ქრისტიანული სახელმწიფო, ეს, რასაკვირველია, არ შეიძლება არ მოსწონებოდა „მესამე რომს". აი, რატომ მიექცა ამ მომენტს საგანგებო ყურადღება ხელშეკრულებაში. დამახასიათებელია, რომ კავშირის თაობაზე მოლაპარაკებისას და შემდგომაც ორივე მხარე ხაზს უსვამდა მფარველობის რელიგიურ ხასიათს.

ხელშეკრულება ორმხრივ ვალდებულებებს შეიცავდა, კახეთის მეფეს ევალებოდა საჭირო შემთხვევაში რუსეთის სამსახური, მაგალითად, სამხედრო დახმარება, თანაც როგორც „წყალობის სიგელშია" განსაზღვრული, მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიაზე — იმიერკავკასიაში და სხვ. ეს ვალდებულებანი ოდნავადაც არ ამცირებდა კახეთის მეფის ხელისუფლების პრეროგატივას, ხოლო რუსეთის მხარის სამაგიერო ვალდებულების (ყველა მტრისაგან დაცვა) აღიარება ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს ურთიერთობა შეიძლება განხილულიყო მხოლოდ როგორც სამოკავშირეო ვალდებულებებით აღჭურვილი ორი სუვერენული მხარის კავშირი. მართალია, კახეთს უფრო მეტი ევალებოდა, ვიდრე მოსკოვის სახელმწიფოს, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო შუა საუკუნეების სამართლის ეთიკისათვის ორ სხვადასხვა სიძლიერის მქონე მხარეს შორის, სადაც სუსტს უფრო მეტი ევალებოდა, ვიდრე ძლიერს.

მდგომარეობას არ ცვლის ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო კახეთის მხრივ რუსეთის მეფისადმი სავალდებულო მოსაკითხი — მისართმეველი („Поминки" — ფიცის წიგნში, „дан" — წყალობის სიგელში). ეს იყო არა ხარკი, არამედ ძღვენ-საჩუქარი თუნდაც იმისათვის, რომ ეს საჩუქრები ნაწილობრივ მაინც აანაზ-

ღაურებდა იმ ხარჯებს, რაც რუსეთმა გაიღო, მათი მტკიცებით, კახეთის ინტერესების შესაბამისად თერგზე აგებული ციხისა და იქ რუსული გარნიზონის შესანახად. თავის მხრივ რუსეთის მეფეც უგზავნიდა კახეთის მეფეს საკმაოდ ძვირფას საჩუქრებს. კახეთის პოლიტიკურ სუვერენიტეტს და მის განსაკუთრებულ მდგომარეობას კარგად მოწმობს ის დიდი პატივი და ცერემონიალი, რომლითაც იღებდნენ ხოლმე კახელ ელჩებს რუსეთის სამეფო კარზე. ლ. ალექსიძის დასკვნით, აღნიშნული ხელშეკრულებით კახეთი რუსეთის მიმართ ხდებოდა დამოკიდებულ, მაგრამ სუვერენულ ერთეულად როგორც შინაგან, ასევე საგარეო პოლიტიკაში. 1587-1589 წლების ხელშეკრულების განსაზღვრისას უნდა ვიხმაროთ ტერმინი „მ ფ ა რ ვ ე ლ ო ბ ი თ ი  ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა“, ხოლო კახეთის სტატუსი უნდა განისაზღვროს როგორც რუსეთისადმი „დამოკიდებული“ („მოკიდებული“) და არა „ქვეშევრდომი“, „პროტექე“ და არა ყმა-ვასალი.

რუსეთთან ურთიერთობისა და დამოკიდებულების ასეთი ფორმა მისაღებად მიაჩნდათ ქართველ პოლიტიკოსებს. ირან-ოსმალეთის შემოტევის და მათი მხრით „ქართველების“ მოსპობის საფრთხის ვითარებაში ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირი, მისგან ზურგის მობმა და დახმარების მიღება უფრო დიდ იმედებს უსახავდა საქართველოს მესვეურებს. ალექსანდრე მეფე თავისი ქვეყნის რუსეთის მფარველობაში შესვლას დიდ პოლიტიკურ გეგმებს უკავშირებდა. ისეთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ რეგიონში, როგორიც კავკასია იყო, რუსეთს ნამდვილად სჭირდებოდა ერთგული და ძლიერი მოკავშირე. ასეთად იქცეოდა საქართველო ოსმალო-ყიზილბაშ დამპყრობთაგან მისი განთავისუფლების („გამოხსნის“) და კვლავ ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანების („აღდგომის“) შემდეგ. ალექსანდრე მეფე იმედოვნებდა, რომ რუსეთი, როდესაც საამისო პირობები შეექმნებოდა, უსათუოდ ეცდებოდა ამ საქმის (საქართველოს განთავისუფლებისა და გაერთიანების) ბოლომდე მიყვანას. ეს რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის წარმატებით განვითარების გარანტია უნდა ყოფილიყო. აკად. ნ. ბერძენიშვილი ასკვნიდა: „ალექსანდრეს კარზე ჩასახული ეს გეგმა საქართველოს გაერთიანებისა რუსეთის დახმარებით და მის მოკავშირედ („ხელდებულად“) ყოფნა, ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა სამოქმედო პროგრამად იქცა XVII-XVIII საუკუნეებში, რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის მთელ სიგრძეზე. კახეთის მეფე ალექსანდრე ამ გეგმის ავტორია და თეიმურაზ I-ის წინამორბედი“.[1]

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56-57.

# XVI თავი. ქართული დიპლომატია XVII საუკუნეში

## 1. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XVII საუკუნის I ნახევარში

### თეიმურაზ I-ის, გიორგი სააკაძის, როსტომ I-ის დიპლომატია

1587 წელს, ე. ი. ზუსტად იმ დროს, როდესაც გაფორმდა „ფიცის წიგნი“, ირანში ტახტზე ავიდა დიდი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, უნიჭიერესი დიპლომატი შაჰ-აბას I.

ირან-ოსმალეთის ომი ირანისათვის წარუმატებლად მიმდინარეობდა. ოსმალებს ეკავათ თითქმის მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია. ქართლის მთავარ ციხეებში ოსმალთა გარნიზონები იდგა. მიუხედავად ამისა, ოსმალებმა ვერ შეძლეს ქართლის წინააღმდეგობის გატეხვა. ოსმალების წინააღმდეგ ენერგიულად იბრძოდა ქართლის მეფე გიორგი სიმონის ძე. სხვა ვითარება იყო კახეთში, რომელიც ამ დროს ფაქტობრივად სამი დიდი სახელმწიფოს: ირანის, ოსმალეთის და რუსეთის ვასალი იყო. ნიჭიერი პოლიტიკოსი ალექსანდრე II[1] ახერხებდა, კახეთისათვის მტრის შემოსევები თავიდან აეცილებინა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ძნელდებოდა მშვიდობის შენარჩუნება.

1590 წელს შაჰ-აბასმა ზავი დადო ოსმალეთთან. ამ ზავით მან ოსმალეთს დაუთმო მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასია. ეს შაჰის მხოლოდ დროებითი უკანდახევა იყო, რადგან მშვიდობა სჭირდებოდა ქვეყანაში დიდი გარდაქმნების გასატარებლად და წარმატებითაც გაართვა თავი ამ რთულ ამოცანას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო რეფორმას. აბას I-მა შექმნა კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული არმია. ამ მნიშვნელოვანი გარდაქმნების შედეგად ირანი კვლავ უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

არანაკლებ რთული საგარეო პოლიტიკური ამოცანები ჰქონდა გადასაჭრელი აბას I-ს. პირველ რიგში მას სურდა ოსმალთა განდევნა აღმოსავლეთი ამიერკავკასიიდან. კიდევ უფრო რთული იყო მეორე ამოცანა. უდავოა, რომ შაჰ-აბასი შესანიშნავად იცნობდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიას. არც იმაში შეიძლება შეგვეპაროს ეჭვი, რომ შაჰი კარგად იქნებოდა ინფორმირებული „ფიცის წიგნისა“ და

---

[1] ირანელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში ასე ახასიათებს ალექსანდრე II-ს: „თავისი სწორი მსჯელობითა და გამჭრიახობით უგამოჩინებულესი ადამიანი იყო ახალგაზრდათა და მოხუცთა შორის და ეშმაკობისა და მოხერხების მხრივ ბებერი მგელი იყო;“ იხ. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 42-43.

1589 წლის წყალობის სიგელის შესახებ. აბასისათვის ალექსანდრე II ის პიროვნება იყო, რომელსაც რუსეთი მოჰყავდა კახეთში. (ამიტომ შაჰი არასოდეს არ ენდობოდა ალექსანდრე II-ს). ამის დაშვება კი შაჰ-აბასს არ შეეძლო. მისთვის საქართველოში რუსეთი გაცილებით საშიში იყო, ვიდრე ოსმალეთი. შაჰს კახეთი თავისთვის უნდოდა. საქმეს ის ართულებდა, რომ შაჰს კახეთის საკითხი ისე უნდა გადაეჭრა, არ გაეუარესებინა ურთიერთობა „მეგობარ" რუსეთთან. როგორც ქვემოთ ვნახავთ, შაჰ-აბას I-მა ორივე ამოცანა ბრწყინვალედ გადაჭრა.

ამასობაში საქართველოში მდგომარეობა შემდეგნაირად ვითარდებოდა: 1601 წლის ზაფხულში კახთა მეფის ავადმყოფობით ისარგებლა მისმა ვაჟმა დავითმა და მამას ტახტი წაართვა, ხოლო ძმა გიორგი ბატონიშვილი დააპატიმრა. ალექსანდრე II მონაზვნად აღიკვეცა.[1]

1602 წლის ივლისში კახეთში დაბრუნდნენ ჯერ კიდევ 1598 წელს ალექსანდრე II-ის მიერ რუსეთში გაგზავნილი ელჩები. მათ თან ჩამოჰყვნენ ბორის გოდუნოვის ელჩები ნაშჩოკინი და ლეონტიევი. ელჩები მიიღო დავით მეფემ. ბორის გოდუნოვი დაპირებას იძლეოდა, რომ გაილაშქრებდა საშამხლოზე და კახეთისაკენ გზას გახსნიდა. დავითმა, მისმა ვაჟმა თეიმურაზმა და შემონაზვნებულმა ალექსანდრემ მიიღეს რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცი.

1602 წლის 21 ოქტომბერს გარდაიცვალა დავით მეფე. ტახტზე კვლავ ალექსანდრე ავიდა.[2] მან 1603 წელს მოსკოვში ახალი ელჩები — არქიმანდრიტი კირილე და მდივანი საბა — გააგზავნა. სათხოვარი იგივე იყო — საშამხლოზე გალაშქრება და თერგიდან კახეთამდე გზის გახსნა. რუსეთმა მართლაც დაიწყო მზადება შამხალის წინააღმდეგ. 1604 წლის მაისში ელჩები საქართველოში გამოისტუმრეს. ქართველ ელჩებს მოჰყვებოდნენ რუსეთის ელჩები: ტატიშჩევი და ივანოვი. მათ ალექსანდრესათვის სასიამოვნო ცნობა მოჰქონდათ — რუსეთი ემზადებოდა საშამხლოზე ლაშქრობისათვის. რუსეთში შემუშავებული გეგმით ამავე დროს შამხალისათვის უნდა დაერტყა კახეთის მეფეს.[3]

1603 წელს შაჰ-აბასმა განაახლა ომი ოსმალეთთან. ომი ირანისათვის წარმატებით დაიწყო. აბასმა აიღო თავრიზი, ჯულფა, ნახიჩევანი და ალყა შემოარტყა ერევანს. ალყა გაჭიანურდა. ერევნის ალყის დროს შაჰმა თავისთან იხმო ქართლის მეფე გიორგი და კახეთის მეფე ალექ-

---

1 ვახუშტის აზრით, დავითმა მამაც საპყრობილეში ჩასვა. იხ. „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 581.

2 ვახუშტი... გვ. 581.

3 С. Белокуров, Сношения России с Кавказом, вып. I, 1578-1613 гг., М., 1889, გვ. 412-421.

სანდრე. გიორგი მაშინვე ეახლა შაჰს, ალექსანდრე კი გარკვეული ყოყმანის შემდეგ გამოცხადდა მასთან. ერევნის აღების შემდეგ შაჰმა ქართლის მეფეს ლორე-დგბედას ხეობა ჩამოართვა, სამაგიეროდ კი ირანში სოფლები უბოძა და ჯამაგირი დაუნიშნა. ამით შაჰი ქართლის მეფეს ირანის მოხელის რანგში აყენებდა[1] იგივე შეიძლება ითქვას კახეთზეც — კახეთის მეფესაც ჯამაგირი დაენიშნა, სამაგიეროდ შაჰმა კახეთს ჩამოაჭრა კაკ-ენისელი. ამის შემდეგ აბასმა გიორგი მეფე სამშობლოში გამოუშვა, ხოლო ალექსანდრე ირანში წაიყვანა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. შაჰმა შესანიშნავად იცოდა, რომ ამ დროს კახეთში იმყოფებოდნენ რუსეთის ელჩები. და მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილთან. მისთვის არც მოლაპარაკების საგანი იქნებოდა უცნობი.

გიორგი ბატონიშვილი აგრძელებდა მოლაპარაკებას ტატიშჩევთან და ივანოვთან. რუს ელჩებს უნდა შეერჩიათ საცოლე გოდუნოვის ვაჟისათვის და საქმრო მისი ასულისათვის და, რაც მთავარია, რუსი ელჩები გიორგისაგან მოითხოვენ ერთგულების ფიცის დადებას. გიორგი ყოყმანობდა. ამ დროს კახეთში სპეციალური მისიით ჩამოსული იყო აბასის ელჩი მაჰმედ-ბეგი. იგი მოითხოვდა ირანში თეიმურაზ ბატონიშვილისა და მისი დის, ელენეს გაგზავნას. მამის ნებართვით გიორგიმ აასრულა მაჰმედ-ბეგის მოთხოვნა, ხოლო 1605 წლის 1 იანვარს გიორგი ბატონიშვილმა მიიღო რუსეთის მეფის ერთგულების ფიცი.

ამის შემდეგ შაჰ-აბასმა შესაძლებლად ჩათვალა ალექსანდრე II-ის გამოშვება. ირანში ალექსანდრეს ფაქტობრივი პატიმრობა კახელების უკმაყოფილებას იწვევდა. ოსმალეთთან ომის პირობებში შაჰი ერიდებოდა კახეთთან ურთიერთობის გამწვავებას. იყო მეორე გარემოებაც. ალექსანდრემ შესთავაზა შაჰ-აბასს — ლაშქარი გამატანე და შირვანს დაგიპყრობო. ალექსანდრე ეშმაკობდა — იგი არ აპირებდა შირვანზე გალაშქრებას, ამ გზით მას შაჰისაგან თავის დაღწევა უნდოდა, მაგრამ ირანის გამგებლის მოტყუება არც ისე ადვილი იყო — მან, მართალია, მიიღო კახთა მეფის ·წინადადება, მაგრამ მიიღო კონტრზომაც — ალექსანდრეს თან გამოაყოლა მისივე გამაჰმადიანებული ვაჟი — კონსტანტინე-მირზა, რომელიც შვიდი წლის ასაკიდან შაჰის კარზე იზრდებოდა და არაფერი ქართული აღარ შერჩენოდა. „კონსტანტინე ძე ალექსანდრესი... რომელი იყო ფრიად მაჰმადიანი და შემყუარე სჯულთა მათთა“.[2] ოფიციალურად კონსტანტინე იმიტომ მიყვებოდა მამას, რომ

---

1 ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 376.

ვახუშტი, გვ. 581.

შარვანის დაპყრობის შემდეგ მას უნდა დაეკავებინა შარვან-შაჰის ტახტი. მაგრამ კონსტანტინეს სხვა, საიდუმლო დავალებაც ჰქონდა — უნდა მოეკლა მამა და ძმა და თვითონ გამეფებულიყო კახეთში.[1]

კახეთში ჩამოსვლისთანავე კონსტანტინემ მამას შარვანზე გალაშქრება მოსთხოვა. ალექსანდრემ ყოყმანი დაიწყო. ამ ყოყმანის მიზეზები შესანიშნავად აქვს ახსნილი ნ. ბერძენიშვილს[2] — ჯერ კიდევ ძნელი იყო იმის განჭვრეტა, თუ ვინ გაიმარჯვებდა ირან-ოსმალეთს შორის. იყო მეორე მომენტიც — რუსთა ჯარმა ბუტურლინის სარდლობით დაიწყო საშამხლოზე ლაშქრობა, და თავდაპირველად წარმატებითაც. როგორც ჩანს, ალექსანდრე იმედოვნებდა, რომ ძლიერი მფარველი — რუსეთი მალე უშუალოდ გაუმეზობლდებოდა კახეთს. გამოცდილი პოლიტიკოსი ალექსანდრე II შეცდა — შეცდა პირველად და უკანასკნელად. 1605 წლის 12 მარტს ძეგამში ტრაგედია დატრიალდა — რენეგატმა კონსტანტინემ ღალატით, ვერაგულად დაახოცინა ყიზილბაშებს მამა და ძმა. ამის შემდეგ კონსტანტინემ თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა. ეს არც მეტი, არც ნაკლები, კახეთის სამეფოს ირანის სახანოდ გადაქცევას ნიშნავდა. ამავე დროს ალექსანდრესა და გიორგის დაღუპვა იყო უფრო რუსეთის დიპლომატიის დიდი მარცხი — „რუსეთმა წააგო. შაჰ-აბასმა გაბედული დაკვრით გააქარწყლა კახეთში მოსკოვის მეფის ოცი წლის დიპლომატიურ-პოლიტიკური მონაპოვარი და ჩრდილოელ მოკავშირეს ენერგიულად აგრძნობინა, რომ ირანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში არ მოითმენს არა მარტო მოსისხარ ოსმალეთს, არამედ „მეგობარ“ რუსეთსაც კი“[3] — წერდა ნ. ბერძენიშვილი. ამავე დროს შაჰმა ეს დიდი საქმე ჩვეული ოსტატობით გააკეთა — მას თავისუფლად შეეძლო რუსეთის წინაშე თავი ემართლებინა, რომ თვითონ არავითარი მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული ალექსანდრესა და გიორგის მკვლელობაში.

ქართველებმა არ ისურვეს მეფედ მოღალატე მამისა და ძმის მკვლელი. მთავარი კი ის იყო, რომ მაჰმადიანი კონსტანტინეს მეფობას გარდაუვალად მოჰყვებოდა (ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო აბას I-ის გეგმა) კახეთის ირანულ სახანოდ გადაქცევა. 1622 წლის 22 ოქტომბერს ბელაქნის წყალზე ბრძოლაში კახელებმა ამოჟლიტეს ყიზილბაშები და ხმლებით აკაფეს კონსტანტინე. თავისი აგენტის დაღუპვას შაჰის მხრიდან შესაფერისი რეაქცია არ მოჰყვა — შაჰ-აბასი ოსმალებთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა და კახეთისათვის არ ეცალა. ოქ-

---

1 ვახუშტი... გვ. 582.

2 ნ. ბერძენიშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. IV, გვ. 134-135.

3 იქვე. გვ. 139.

10.

ტომბერში ურმიის ტბასთან ბრძოლაში აბასმა გაანადგურა ოსმალთა 100 ათასიანი არმია და ამიერკავკასიაში შემოიჭრა. 1606 წლის გაზაფხულზე მან დაიკავა ყარაბაღი. აქ შაჰთან გამოცხადდნენ ქეთევან დედოფლის ელჩები და კახეთის მეფედ თეიმურაზის დამტკიცება სთხოვეს. ირანის ომი ოსმალეთთან გრძელდებოდა, ამიტომ კახეთთან ურთიერთობის გამწვავებას შაჰი მოერიდა, გარდა ამისა ალექსანდრე I-ის მოკვლით შაჰმა წარმატებით გადაჭრა უმნიშვნელოვანესი საგარეო-პოლიტიკური ამოცანა — ჩაშალა კახეთის კავშირი რუსეთთან, ასეთ პირობებში შაჰმა შესაძლებლად ჩათვალა დათმობა, მან დააკმაყოფილა ქართველი ელჩების თხოვნა — კახეთის მეფედ დაამტკიცა ქრისტიანი თეიმურაზ I.

ყარაბაღის შემდეგ აბასმა განჯა აიღო და ქართლში შემოვიდა. ოსმალთაგან გაწმინდა ლორეს, დმანისის და თბილისის ციხეები და შიგ თავისი გარნიზონები ჩააყენა. ამ დროს გარდაიცვალა ქართლის მეფე გიორგი IX და ქართლის თავადების თხოვნით აბასმა ქართლის მეფედ გიორგის ვაჟი ლუარსაბ II დაამტკიცა. ქართლ-კახეთში ქრისტიანი მეფეების დამტკიცება შაჰის მხრიდან იძულებითი ღონისძიება იყო და მხოლოდ დროებით უკანდახევას წარმოადგენდა. შაჰმა ქართლის საქმეები მოაწესრიგა და შარვანისაკენ წავიდა. „მოწესრიგება" გულისხმობდა, რომ ქართლ-კახეთი ირანის ვასალურ ქვეყნად რჩებოდა, ციხეებში ირანული გარნიზონები იდგა და ქართლ-კახეთის მეფეები ვალდებულნი იყვნენ, შაჰის პირველი მოთხოვნისთანავე მასთან ჯარებით გამოცხადებულიყვნენ.

შარვანში აბასმა ალყა შემოარტყა შემახის ციხეს და თეიმურაზი იხმო თავისი ჯარით. თეიმურაზი არ წავიდა. შაჰმა განმეორებით უბრძანა მას შემახასთან ჩასვლა. თეიმურაზი კვლავ არ ეახლა, დედა — ქეთევანი გაუგზავნა მას მცირერიცხოვანი ჯარით. შაჰმა ეს ღალატად ჩათვალა, თუმცა არაფერი შეიმჩნია და ქეთევანი დიდი პატივით მიიღო, მაგრამ იგი თეიმურაზს აღარ ენდობოდა. თეიმურაზის წაუსვლელობა შეცდომა იყო. სწორია გ. ჯამბურია, როდესაც წერს, რომ თეიმურაზის პოლიტიკასა და დიპლომატიას აკლდა მისი დიდი პაპის, ალექსანდრეს მოქნილობა და ჭკუამახვილობა.[1]

XVII ს-ის დასაწყისიდან სამცხე-საათაბაგო ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. სამცხის ქართველობა არ ურიგდებოდა ოსმალთა ბატონობას. სამცხის გამათავისუფლებელ ბრძოლას სათავეში ედგა ათაბაგის ქვრივი ელენე, რომელიც ირანის დახმარებით ცდილობდა ოსმალთა განდევნას. შაჰის დახმარება უმნიშვნელო იყო. ელენეს დაეხმარა ქართლის სამეფო.

---

[1] გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბ., 1964, გვ. 113.

ქართლის ჯარის დახმარებით ოსმალები განდევნეს ახალციხიდან, მაგრამ მალე ოსმალებმა დაიბრუნეს ახალციხე და 1609 წელს ოსმალთა ლაშქარი ქართლში შემოიჭრა. ტაშისკარის ბრძოლაში ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს ოსმალები. ქართველების გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი გიორგი სააკაძემ შეასრულა.

გიორგი სააკაძის წინაპრები სამეფო აზნაურები იყვნენ. სააკაძეთა საგვარეულო უკვე გიორგის მამა-ბიძების დროს მნიშვნელოვნად დაწინაურდა. განსაკუთრებით გაძლიერდა ეს საგვარეულო XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში. საგვარეულოს შემდეგი აღზევება დაკავშირებულია გიორგის სახელთან. გიორგი სააკაძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა XVI საუკუნის 90-იან წლებში. იგი სიმონ I-ისა და გიორგი X-ის თანამებრძოლი იყო. სიმონ I გიორგის ერთგულს, თავდადებით ნამსახურ ყმას უწოდებს. განსაკუთრებით დაწინაურდა სააკაძე ლუარსაბ II-ის გამეფების შემდეგ. იგი მეფის უახლოესი მრჩეველი გახდა. 1608 წელს გიორგი თბილისის მოურავად იხსენიება. ამ დროისათვის გიორგი უკვე რამდენიმე ათეულ სოფელსა და ასეულობით ყმას ფლობდა. პოლიტიკური და ქონებრივი სიძლიერით გიორგიმ ყველა თავადს გადააჭარბა: „და ამ ჟამში გამდიდრებულ იყო ქართლის მოურავი სააკაძე გიორგი, რომელი იყო მოურავი ტფილისისა, და ესრეთ გამდიდრებულ იყო, რომე შემდგომად მეფისა იგი იყო“.[1] ფაქტობრივად სააკაძეები უკვე თავადები იყვნენ. მიუხედავად ამისა, „სააკაძეები მაინც განსხვავდებოდნენ სხვა ძირძველი თავადებისაგან. ამ თავადთა იმდროინდელი სიძლიერე მეფის ხელისუფლების სისუსტით იყო განპირობებული, სააკაძეთა ფეოდალური გვარი კი მეფის მომხრეობითა და მათი დახმარებით იყო გაძლიერებული და აღზევებული... ამიტომ სააკაძეთა ინტერესები დიდ თავადთაგან განსხვავებით მეფის ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცებას მოითხოვდა“.[2] ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გიორგი სააკაძის შეუპოვარი ბრძოლისა ქართლის სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის. ქართლის გაძლიერება კი წინაპირობა იყო ქართლის მეთაურობით საქართველოს გაერთიანებისა, რაც გიორგის მთელი მოღვაწეობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა. გიორგი ამ საქმეში მარტო არ იყო. მას ბევრი მომხრე ჰყავდა წვრილი აზნაურობისა და გლეხობის სახით. ამ ძალაზე დაყრდნობით ფიქრობდა გიორგი საქართველოს გაერთიანებას. ეს იყო — როგორც აღნიშნავდა ნ. ბერძენიშვილი — საქართველოს გაერთიანების აზნაურული იდეა.[3]

---

1 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 385.

2 გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბ., 1964, გვ. 34.

ნ. ბერძენიშვილი, იხ. საქართველოს ისტორია, თბ., 1943, გვ. 298.

სააკაძის პოლიტიკას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა დიდ თავადთა სახით. „სააკაძის იდეალი მეფის ხელისუფლების გაძლიერება იყო, ეს კი თავადების უფლებების შეზღუდვის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. ასევე მიუღებელი იყო თავადებისათვის საქართველოს გაერთიანების აზნაურული იდეა. თავადებს საქართველოს გაერთიანება მეფე-მთავრების კავშირის სახით ჰქონდათ წარმოდგენილი. აზნაურ სააკაძის გეგმა კი საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას გულისხმობდა ძლიერი მეფის ხელქვეშ".[1] სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი გიორგი სააკაძესა და დიდ თავადთა შეურიგებელი და გადაულახავი წინააღმდეგობისა.

გიორგი სააკაძის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ ქართული და უცხოური წყაროები თითქმის არაფერს არ შეიცავენ. ყველა ეს წყარო ძირითადად გიორგის სამხედრო საქმიანობას ეხება; ეს ბუნებრივიცაა, სააკაძე პირველ რიგში დიდი მხედართმთავარი იყო. მაგრამ ის მწირი ცნობებიც, რაც სააკაძის დიპლომატიურ მოღვაწეობას ეხება, წარმოგვიდგენს მას, როგორც არა მარტო დიდ მხედართმთავარს, არამედ როგორც საკმაოდ ნიჭიერ დიპლომატსაც.

ლუარსაბ II-ის გამეფების დღიდანვე გიორგი მტკიცედ შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას. მან მოახერხა, ნაწილობრივ აელაგმა დიდ ფეოდალთა თვითნებობა და შედარებით განამტკიცა მეფის ცენტრალური ხელისუფლება. გიორგიმ გადამწყვეტი როლი შეასრულა ტაშისკართან გამარჯვებაში (1609). ბრძოლის შემდეგ მან დახოცილ ოსმალთა თავები ირანის შაჰს გაუგზავნა... „ამით ქართველები, ერთი მხრივ, ვასალურ „ერთგულებას" უმტკიცებდნენ შაჰს და მეორე მხრივ, ოსმალეთის მოსალოდნელი ხელახალი შემოსევის დროისათვის მოკავშირეს იძენდნენ".[2] ტაშისკარის ბრძოლის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა სააკაძის ავტორიტეტი. გიორგის გავლენა ახალგაზრდა მეფეზე განუსაზღვრელი გახდა მას შემდეგ, რაც ლუარსაბი დაქორწინდა მის დაზე. ცნობების უქონლობის მიუხედავად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გიორგი სააკაძე, როგორც მეფის შემდეგ პირველი პირი, აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებაში. სააკაძის ნაყოფიერი მოღვაწეობა საქართველოში შეწყდა 1612 წელს. გიორგის აღზევებითა და განსაკუთრებით კი მისი პოლიტიკით უკმაყოფილო თავადებმა დაარწმუნეს მეფე, გაეშვა ცოლი და მოეკლა სააკაძე. გიორგი იძულებული გახდა სამშობლოს გასცლოდა და პოლიტიკური თავშესაფარი შაჰ-აბასს სთხოვა. ამ უკანასკნელმა სახელოვანი სარდალი სიხარულითა და დიდი პატივით მიიღო. შაჰ-აბასი იმედოვნებდა, რომ საა-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VI, თბ., 1973, გვ. 229.

[2] გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბ., 1964, გვ. 65.

კაძის დახმარებით ერთხელ და სამუდამოდ მოსპობდა საქართველოს, სააკაძე კი ირანის დახმარებით საქართველოს გაერთიანებას ვარაუდობდა. როგორც ვხედავთ, მათი მიზნები ურთიერთგამომრიცხავი იყო. სააკაძის სასარგებლოდ უნდა ითქვას, იგი მალე დარწმუნდა, რომ ცდებოდა და შაჰს თავისი მიზნებისათვის ვერ გამოიყენებდა. რაც შეეხება აბას I-ს, როდესაც იგი მიხვდა თავის შეცდომას, უკვე დაგვიანებული იყო — მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებით სააკაძემ საბოლოოდ დაასამარა შაჰ-აბასის გეგმა.

გიორგი სააკაძის ემიგრაციაში წასვლამ მნიშვნელოვნად დაასუსტა ქართლის თავდაცვისუნარიანობა. ეს ცხადი გახდა 1614 წელს, როდესაც დაიწყო შაჰ-აბასის გამანადგურებელი ლაშქრობები და დიდ ფეოდალთა ხელში სათამაშოდ ქცეულმა ლუარსაბ II-მ ყიზილბაშებს ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

1612 წლის 20 ნოემბერს ოსმალეთსა და ირანს შორის სტამბოლში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება. ძირითადად აღდგენილ იქნა ამასიის ზავის პირობები, იმ განსხვავებით, რომ სამცხე-საათაბაგო ამჯერად ოსმალეთს ერგო.[1] ოსმალეთთან დაზავებამ შაჰ-აბასს ხელები გაუხსნა და მან გადაწყვიტა, მოეგვარებინა „გურჯისტანის“ საკითხი. ეს მოგვარება კი გულისხმობდა, არც მეტი, არც ნაკლები, ქართლ-კახეთის ქართული, ქრისტიანული სამეფოების ლიკვიდაციას და მათ ადგილზე ყიზილბაშური სახანოების შექმნას. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ყოველთვის კარგად სარგებლობდნენ ირან-ოსმალეთს შორის გაუთავებელი ომიანობით. ორ აგრესორს შორის დაზავება კი საქართველოს კარგს არაფერს უქადდა — ორივე აგრესორი შეეცდებოდა ზავის პირობების რეალიზაციას. სტამბოლის ზავის შედეგად შექმნილი საფრთხე თითქოს სწორად შეაფასეს ქართლ-კახეთის გარკვეულმა წრეებმა. მათი ინიციატივით ქართლისა და კახეთის ერთიანობის განმტკიცების მიზნით თეიმურაზმა ცოლად შეირთო ლუარსაბის და ხორეშანი. ამავე დროს, მეფეებმა დადეს ხელშეკრულება, რომ ერთობლივად იმოქმედებდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ამ მნიშვნელოვან ხელშეკრულებას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. ქართლისა და კახეთის მეფეებმა არაფერი არ გააკეთეს ხალხის მობილიზაციისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. როგორც ჩანს, თეიმურაზმა საერთოდ დროულად ვერ გამოიცნო შაჰ-აბასის განზრახვა.[2] თეიმურაზი თვითონ აღიარებს თავის შეცდომას: „მოგვატყუა მოფერებითა და მოჩვენებითი მეგობრობით, არაგულწრფელი სიყვარუ-

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 254.

2 ლ. ტუხაშვილი, ეროვნული ხსნის გასაყართან, „ცისკარი“, №9. 1983, გვ. 111.

ლით, მერე ვერაგულად მოულოდნელად (ხაზგასმა ჩემია — დ. კ.) თავს დაგვესხა და ჩვენი მიწაწყლიდან გაგვაძევა".[1] იმავეს აცნობებს თეიმურაზი შემდეგშიც მოსკოვს: „შაჰმა შემატყობინა, რომ უფროს შვილს მიბრუნებდა და სურს ჩვენთან მშვიდობა. ჩვენ გაგვეხარდა და ყველანი სახლებში გავუშვით. ასე მოგვატყუა და მთელი თავისი ხალხით მოვიდა ჩვენს მიწაზე".[2] თეიმურაზი რომ საერთოდ ვერ მიხვდა შაჰის განზრახვას, არ ელოდა შემოსევას და არაფერი არ გააკეთა ქვეყნის დაცვისათვის, ადასტურებენ სხვა წყაროებიც. არჩილი თეიმურაზს ათქმევინებს: „დამვიწყებია ტკბილის სიტყვით, ჯებირს არსად არ ვავლებდი."[3] ჩანს, თეიმურაზმა ირწმუნა ის დეზინფორმაცია, რაც შაჰ-აბასმა გაავრცელა — თითქოს იგი ოსმალეთის წინააღმდეგ სალაშქროდ მიემართებოდა. არჩილის სიტყვებით, საშინელი კატასტროფის წინ უდარდელი თეიმურაზი მთელ დროს ნადიმობასა და ნადირობას ანდომებდა.[4] თეიმურაზის სიბეცეს აღნიშნავს სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნშიც: „ქართველებს და განსაკუთრებით ბედოვლათ თეიმურაზს უდარდელობის ფარდა ჰქონდათ გამჭრიახობის თვალზე ჩამოფარებული".[5]

ანალოგიური ვითარება იყო ქართლშიც. გიორგი სააკაძის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ სწრაფად დასუსტდა მეფის ხელისუფლება, ქვეყანას ფაქტობრივად თავადები განაგებდნენ. ქართლ-კახეთი შაჰ-აბასის შემოსევას სრულიად მოუმზადებელი დახვდა. იმ საშინელ ტრაგედიაში, რომელიც შაჰ-აბასმა თავს დაატეხა საქართველოს, პირველ რიგში ლუარსაბ II-სა და თეიმურაზ I-ს მიუძღვით ბრალი.

1614 წელს შაჰ-აბასი კახეთში შეიჭრა. თეიმურაზმა ხმლით გაიკაფა გზა ქართლისაკენ. როგორც აღვნიშნეთ, არც ქართლი იყო ბრძოლისათვის მზად. მეფეებმა იმერეთს შეაფარეს თავი და თავიანთი სამფლობელოები მტრის ახაპარა მიატოვეს. კახეთის აოხრების შემდეგ აბას I ქართლში გადავიდა და მიზნად დაისახა იმერეთში თავშეფარებული მეფეების ხელიგდება.

გიორგი სააკაძე ამ დროს ქართლში იყო. იგი უკვე დარწმუნდა, რომ შაჰ-აბასს თავისი მიზნებისათვის ვერ გამოიყენებდა. ირანის შაჰის აგრესიული საქართველოში ყველაზე ნაკლებ სწორედ სააკაძის ინტერესებს ეთანხმებოდა. „ძლიერი მთლიანი საქართველო შაჰისათვის უფრო

[1] М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений в 1615-1640 гг. Тб., 1937, გვ. 70.
[2] იქვე, გვ. 45.
[3] არჩილიანი, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II, თბ., გვ. 54.
[4] იქვე, გვ. 43-44.
[5] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვლ. ფუთურიძის გამოცემა, თბ., 1969, გვ. 82.

მიუღებელი იყო, ვიდრე საქართველო სუსტი, დაშლილი, თავადური. სააკაძე საქართველოს გაძლიერებისათვის, მისი თავისუფლებისათვის იბრძოდა, შაჰი კი ჩვენი ქვეყნის დამონება-გადაგვარებას ცდილობდა".[1] ამიტომ იყო, რომ გიორგი სააკაძეს არც კი უცდია შური ეძია თავის მოსისხლე მტრებზე — დიდ თავადებზე. პირიქით, იგი მათთან შერიგების გზებს ეძებდა, რათა საჭიროების შემთხვევაში ქართლი ერთიანი ძალით გამოსულიყო ირანელთა წინააღმდეგ. ჩანს, გიორგი უკვე მაშინ ფიქრობდა აჯანყების მოწყობას,[2] მაგრამ თავადები არ ენდობოდნენ მას. ისინი შაჰს მიუვიდნენ და მის სამსახურში ჩადგნენ. საერთო-სახალხო აჯანყებისათვის პირობები ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული.

იმერეთში მყოფმა მეფეებმა დახმარებისათვის ოსმალეთს მიმართეს. შექმნილ ვითარებაში ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. ოსმალეთი უკმაყოფილო იყო 1612 წელს ზავის პირობებით და ახალი ომისათვის ემზადებოდა. ამავე დროს ოსმალეთში კარგად ესმოდათ, „რომ ირანის შესაძლო წარმატება ქართლ-კახეთში ოსმალეთის აგრესიული გეგმების ჩაშლას უდრიდა. თუ შაჰ-აბასი თავის მიზნებს განახორციელებდა, მაშინ აღმოსავლეთ საქართველოს მხრიდან ოსმალეთს უშუალოდ გაუმეზობლდებოდა ირანის ადმინისტრაციულ ერთეულად გადაქცეული „გურჯისტანის სახანო და სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრები დასავლეთ საქართველომდე გადაიწევდა და, თუ ეს მოხდებოდა, ირანსა და ოსმალეთს შორის გაქრებოდა ისეთი ქვეყანა, რომელიც, მართალია, არც ოსმალეთის ბატონობას ითმენდა, მაგრამ (თუ საქართველოს ინტერესები ამას მოითხოვდა) შეიძლებოდა მისი „მოკავშირე" გამხდარიყო ირანის წინააღმდეგ ომში. ოსმალეთი თუ თვითონ ვერ შეძლებდა საქართველოს დაპყრობას, იმის მომხრე იყო, რომ ის ვერც ირანს დაეპყრო. „გურჯისტანის" სახანოს ნაცვლად მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იყო ფეოდალური საქართველოს მეზობლობა".[3] როგორც ჩანს, სულთანი დაჰპირდა დახმარებას. მ. სვანიძის ვარაუდით, დახმარების სანაცვლოდ სულთანმა მოითხოვა, რომ დადიანსა და გურიელს მასთან ზავი დაედოთ და ხარკი გადაეხადათ.[4] სულთნის ელჩმა 1624 წლის დეკემბერში საზავო ხელშეკრულება გააფორმა გურიელთან, ხოლო 1615 წლის თებერვალში დადიანთან. მთავრებმა ხარკის გადახდა იკისრეს. წყაროებიდან არ ჩანს, ლებულობდა თუ არა ამ მოლაპარაკე-

---

1 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 238.
2 გ. ჯამბურია. გიორგი სააკაძე. თბ., 1954, გვ. 113.
3 კ. [illegible]. ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო. იხ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957, გვ. 343.
4 მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. თბ., 1971, გვ. 252-254.

ბაში მონაწილეობას თეიმურაზ I, მაგრამ სწორი უნდა იყოს მ. სვანიძის ვარაუდი, რომ თეიმურაზი დაინტერესებული უნდა ყოფილიყო მოლაპარაკების წარმატებით დასრულებით, რადგან „სამეგრელოსა და გურიის ოსმალეთთან დაზავების შემდეგ კიდევ უფრო რეალური უნდა გამხდარიყო ოსმალეთის დახმარება საქართველოსათვის ირანის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რადგან საქართველოს სამეფო-სამთავროები გამოვიდოდნენ ოსმალეთის მოკავშირეებად მომავალ ომში.[1] ოსმალეთისაგან დახმარების დაპირების გარდა, თეიმურაზმა კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია — მისი ინიციატივით საქართველოს მეფე-მთავრებმა შეკრეს კავშირი შაჰ-აბასის წინააღმდეგ. 1615 წლის მაისში ოსმალთა დიდი ლაშქარი ირანის წინააღმდეგ დაიძრა. თეიმურაზმა შესაფერისად შეაფასა ვითარება და კახელებს აჯანყებისაკენ მოუწოდა. 1615 წელს კახელებმა ალავერდის მონასტერში ამოწყვიტეს ყიზილბაშები. თეიმურაზი სასწრაფოდ ჩავიდა კახეთში და სათავეში ჩაუდგა ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლას. მაგრამ ოსმალეთიდან დაპირებული დახმარება არ ჩანდა. ოსმალთა სარდალი არ ჩქარობდა საომარი ოპერაციების დაწყებას. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების დახმარებას, ეს მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ მათ იმერეთიდან წამოსული თეიმურაზი თავიანთი ჯარებით არაგვამდე მიაცილეს. ამით კარგად ისარგებლა შაჰ-აბასმა და ახალი გამანადგურებელი ლაშქრობები მოაწყო კახეთში.

თეიმურაზი ცდილობდა, დახმარება მიეღო რუსეთიდანაც. რუსეთის სამეფო კარსა და თეიმურაზს შორის დაიწყო ელჩებისა და წერილების გაცვლა-გამოცვლა. თეიმურაზის პირველი წერილების მიღების შემდეგ ჯერ თერგის ვოევოდამ გამოაგზავნა საქართველოში ასისთავით ვ. ნადობნი შემდეგ კი მოსკოვმა გამოაგზავნა დიპლომატიური შიკრიკი გ. ვერიოვკინი. ორივე წარმოგზავნილი გზიდან უკან გაბრუნდა, რადგან შეიტყვეს, რომ თეიმურაზი კახეთში აღარ იმყოფებოდა, ამასობაში თურქთმა განაახლა ომი ირანთან. დიდმა ვეზირმა მეჰმედ-ფაშამ ვერ მიაღწია წარმატებას და 1616 წელს დაუზავდა შაჰს 1612 წლის ზავის პირობებით. სულთანმა აჰმედ I-მა არ დაამტკიცა ეს ზავი. ახალმა სულთანმა მუსტაფამ განაახლა საომარი მოქმედება. 1618 წელს ოსმალები შეიჭრნენ სამხრეთ აზერბაიჯანში. ოსმალთა სარდალს დავალებული ჰქონდა ქართლ-კახეთიდან ყიზილბაშების განდევნა და ტახტზე თეიმურაზის აყვანა. თეიმურაზი პირადად მონაწილეობდა ირანელთა წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში. ოსმალთა ლაშქარმა თავდაპირველად დიდ წარმატებებს მიაღწია — აიღო თავრიზი და არდებილს მიად-

---

[1] მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 265.

გა, მაგრამ ოსმალთა უნიჭო სარდლობის წყალობით სერაფთან ბრძოლაში შაჰ-აბასმა სასტიკად დაამარცხა ოსმალები და ირანი განადგურებას გადაურჩა.[1] ოსმალთა სარდალი 1618 წლის 26 სექტემბერს დაუზავდა შაჰს, 1619 წლის 29 სექტემბერს სულთანმა მოახდინა საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია. აღდგა 1612 წლის ზავის პირობები. ასე რომ, ოსმალეთისგან დახმარების მიღება გამორიცხული იყო.

თეიმურაზის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი მარტო ოსმალეთის იმედით არ დარჩენილა. მან კვლავ სცადა რუსეთთან დაკავშირება. ამჯერად თეიმურაზის ინიციატივით რუსეთს თეიმურაზთან ერთად დახმარებისათვის მიმართავდნენ იმერეთის მეფე, გურიისა და სამეგრელოს მთავრები. ელჩად შეირჩა გამოცდილი დიპლომატი, იღუმენი ხარიტონი, რომელიც ადრე თეიმურაზის მიერ ელჩად იყო გაგზავნილი ყირიმის ხანთან და ოსმალეთის სულთანთან. მ. სვანიძე თვლის, რომ თეიმურაზმა ხარიტონი მოსკოვს გაგზავნა ირან-ოსმალეთს შორის საომარი მოქმედების შეწყვეტის, სახელდობრ 1618 წლის 26 სექტემბრის დაზავების შემდეგ, იგი წერს: „1615-1618 წლების ირან-ოსმალეთის ომის შედეგად თეიმურაზ მეფემ თავის მიზანს ვერ მიაღწია — ირან-ოსმალეთის ზავის დადების შემდეგ, თეიმურაზ მეფემ და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა (იმერეთი, სამეგრელო, გურია) გადაწყვიტეს დახმარებისათვის რუსეთის მეფისათვის მიემართათ. ამ მიზნით 1618 წლის ოქტომბერში მათ რუსეთში თავიანთი ელჩი — იღუმენი ხარიტონი გაგზავნეს“[2] მ. სვანიძე ცდება. ხარიტონი რუსეთში გაგზავნეს ირან-ოსმალეთის ომის დამთავრებამდე, 1618 წლის აპრილში.[3] 1618 წლის ოქტომბერში ქართველი ელჩი უკვე ყაზანში იყო. ამის აღნიშვნა იმიტომ დაგვჭირდა, რათა გვეჩვენებინა, რომ თეიმურაზი მხოლოდ ოსმალეთის იმედით არ იყო. თეიმურაზმა შესანიშნავი პოლიტიკური ალღო გამოავლინა, გაითვალისწინა ირან-ოსმალეთის ომის მოსალოდნელი შედეგი და ომის დამთავრებამდე იზრუნა რუსეთში ელჩობის გაგზავნაზე. თეიმურაზს ეგონა, რომ საქართველოსათვის ნამდვილი თავისუფლების მოტანა მხოლოდ რუსეთს შეეძლო.

ხარიტონმა მოსკოვში ჩაიტანა თეიმურაზის, გიორგი იმერეთის მეფისა და გურიელის წერილები. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები რუსეთის მფარველობას ითხოვდნენ. თეიმურაზი ამჯერად თითქოს სამხედრო დახმარებას კი არ ითხოვდა, არამედ დიპლომატიურ მხარდაჭე-

---

1 მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 274.

2 იქვე, გვ. 275.

3 Н. Т. Накашидзе, Грузино-русские политические отношения в первой половине XVII в. Тб., 1968, გვ. 63.

რას: „ჯარის შესახებ, დიდო ხელმწიფევ, თხოვნას ვერ გიბედავთ, იქნებ გებრძანებინა და შაჰისათვის ჩვენს შესახებ მიგეწერა მაინც, რომ აღარ შეგვებრძოლოს და ჩვენი მიწა-წყალი, რაც არის, იმაზე მეტად აღარ გაანადგუროს."[1] მაგრამ იმავე წერილიდან ჩანს, რომ თეიმურაზს მაინც ჰქონდა სამხედრო დახმარების გარკვეული იმედი — იგი წერდა: „თუ მისი მეფური უდიდებულესობა ამჟამად ჯარით შაჰის წინააღმდეგ დახმარებას ვერ გაუწევს"[2] ქართველი მოღვაწეების მთავარი მიზანი რომ სამხედრო დახმარება იყო, კარგად ჩანს გიორგი იმერთა მეფის წერილიდან: „როცა ყიზილბაშელი შაჰი თეიმურაზის მიწა-წყალს შეესია და დაარბია, იმჟამად თქვენ, დიდო ხელმწიფევ, არ შეგეძლოთ დაგეჩქარებინათ თქვენი დახმარება, ახლა საკმარისია თქვენ, დიდმა ხელმწიფემ, ჩვენზე მოწყალება მიიღოთ და თქვენი ხალხი მოგვახმაროთ, მოგვისწრებთ."[3]

ხარიტონის მოსკოვში ჩასვლამდე, 1618 წლის მაისში, რუსეთმა ირანში გაგზავნა ელჩობა მ. ბარიატინსკის მეთაურობით. ელჩობის მთავარი მიზანი იყო მსხვილი ფულადი სუბსიდიის მიღება. ამიტომ გამორიცხული იყო საქართველოს საკითხის მწვავედ დასმა. მეტიც, ბარიატინსკისათვის მოცემულ ინსტრუქციაში ეწერა: „თუ ისინი ჭეშმარიტად დაადგენენ, რომ საქართველოს მეფე და საქართველოს და ივერიის მიწა-წყალი თურქეთის მეფესა და სხვა სახელმწიფოებთან ერთად შაჰის მიწა-წყალს ებრძვიან და მისი ჯარები თურქეთის მეფესთან ერთად შაჰის ქვეყანაში იმყოფებიან, ელჩებს ევალებათ შაჰთან ყოფნისას აუდიენციაზე და მის მახლობლებთან საუბრისას საქართველოს მეფეზე და საქართველოსა და ივერიის მიწა-წყალზე არაფერი არ ილაპარაკონ."[4] თუ შაჰი თვითონ წამოჭრიდა საქართველოს საკითხს, ელჩებს უნდა განეცხადებინათ, რომ „ ჩვენმა ხელმწიფემ არაფერი იცოდა თეიმურაზის ოსმალეთის მხარეზე გადასვლის შესახებო".[5] რუსეთს ირანთან მოლაპარაკებისას ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა თეიმურაზის კავშირი ოსმალეთთან. ბარიატინსკისა და შაჰის მოლაპარაკებისას საქართველოს საკითხი არ დასმულა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც რუსი ელჩები წამოჭრიდნენ საქართველოს საკითხს და საყვედურობდნენ სა-

---

1 М. Полиевктов, Материалы..., გვ. 45.

2 იქვე, გვ. 42.

3 იქვე, გვ. 54.

4 Т. Г. Тивадзе, Материалы по внешнеполитической истории Грузии первой половины XVII века, содержащиеся в архивном фонде "Сношения России с Грузией." იხ. კრებული ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან", II, თბ., 1973, გვ. 149.

იქვე.

ქართველის მიმართ მტრული მოქმედების გამო, შაჰი ადვილად ახერხებდა რუსების პრეტენზიების უარყოფას, აცხადებდა, რომ მან თეიმურაზი დასაჯა, რადგან იგი ირანისა და რუსეთის საერთო მტრის, ოსმალეთის მხარეზე გადავიდა.

1621 წლის გაზაფხულზე ბარიატინსკი დაბრუნდა მოსკოვში. მას ჩამოჰყვა ირანის ელჩი ბულატ-ბეგი. ბულატ-ბეგთან მოლაპარაკებისას, როგორც ჩანს ხარიტონის გავლენით, მოსკოვმა დასვა საქართველოს საკითხი. ირანის ელჩს საყვედური განუცხადეს, რომ შაჰმა აოხრა რუსეთის ხელდებული ქვეყანა. ბულატ-ბეგმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, მან გაოცება გამოთქვა, — პირველად მესმის, რომ საქართველო რუსეთის ხელდებული ქვეყანააო (რაც, რასაკვირველია, სიცრუე იყო) და განაცხადა, რომ ყველაფერს აცნობებდა შაჰს. მალე ამის შემდეგ ხარიტონი გამოუშვეს საქართველოში. მიხეილ თევდორეს ძე კმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ აღდგა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა და ჰპირდებოდა თეიმურაზს, იშუამდგომლებდა შაჰთან, რათა მას შეეწყვიტა მტრული მოქმედება საქართველოს მიმართ. ხარიტონის ელჩობის შედეგებზე საუბრისას ნ. ნაკაშიძე აღნიშნავს: „თეიმურაზის ელჩობამ მიზანს მიაღწია და დასახული ამოცანა შეასრულა: რუსეთი, რომელიც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო და დიდად უფრთხილდებოდა ირანთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას, მიესალმა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის აღდგენას ძველ საწყისებზე — გამოვიდა მის მფარველად და დამცველად ირანთან დიპლომატიურ ურთიერთობაში."[1] ნ. ნაკაშიძის მოსაზრების მიღება შესაძლებელია ერთი შესწორებით — ელჩობამ მიზანს მიაღწია მხოლოდ ნაწილობრივ — საქართველოს ხსნა მხოლოდ სამხედრო ძალით დახმარებას შეეძლო, რისი იმედიც, მართალია მცირე, მაგრამ მაინც ჰქონდათ ქართველ მეფეებს. ამით აიხსნება, რომ ხარიტონის დაბრუნებისთანავე სამხედრო დახმარების სათხოვნელად თეიმურაზი პირადად ეახლა სტამბოლში სულთანს. მაგრამ თეიმურაზს აქაც იმედგაცრუება ელოდა. ოსმალეთს საკუთარი სირთულეები ჰქონდა მოსაგვარებელი და, ცხადია, საქართველოსთვის ირანთან ზავს არ დაარღვევდა.

1621 წელს მოსკოვმა ირანში ახალი ელჩობა გაგზავნა ი. კორობინისა და ო. კუვშინოვის მეთაურობით. რუსეთი სთხოვდა შაჰს, თავი შეეკავებინა საქართველოს მიმართ მტრული მოქმედებისაგან და გაეთავისუფლებინა თეიმურაზის დედა და შვილები (ყოველი ასეთი შუამდგომლობა შაჰ-აბასის გაღიზიანებას იწვევდა. ასეთ შუამდგომლობებს ისიც მოჰყვა შედეგად, რომ 1622 წელს შაჰმა დაასაჭურისებინა თეიმურაზის

---

[1] ნ. ნაკაშიძე, წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბ., 1977, გვ. 78.

ვაჟები ლევანი და ალექსანდრე და 1624 წელს საშინელი წამებით ამოხადა სული ქეთევან დედოფალს) კორობინთან და კუვშინოვთან მოლაპარაკებისას შაჰ-აბასს არ გაუჭირდა დაესაბუთებინა, რომ თეიმურაზი ოსმალებს მიემხრო. რუსი ელჩებისათვის მიცემული ინსტრუქციის თანახმად კი, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა თეიმურაზის კავშირი ოსმალეთთან, ელჩებს უნდა ეთქვათ, რომ ხელმწიფემ ამის შესახებ არაფერი იცოდა და ოფიციალურად განეცხადებინათ: „მეფის უდიდებულესობა თავის ძმასთან, შაჰის უდიდებულესობასთან მეგობრობას თეიმურაზ მეფის გულისათვის არ დაარღვევს“.[1] რუსეთის მხრიდან ეს აშკარა ვერაგობა იყო საქართველოსა და თეიმურაზის მიმართ. ამ დროს მოსკოვში არ შეიძლებოდა არ ცოდნოდათ, რომ თეიმურაზი მართლაც იყო დაკავშირებული ოსმალეთთან და იქ ეძებდა დახმარებას ირანის წინააღმდეგ. ამ განცხადებით რუსეთი ფაქტობრივად ხელს იღებდა საქართველოს მფარველობაზე და შაჰს საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებდა. შაჰისათვის საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ რუსეთისათვის ირანთან მეგობრობა გაცილებით ძვირფასი იყო, ვიდრე თეიმურაზის გამოსარჩლება. სავარაუდოა, რუსეთის ასეთმა პოზიციამ გარკვეული როლი შეასრულა იმაში, რომ 1625 წელს შაჰ-აბასი შეეცადა ქართლ-კახეთის საბოლოო განადგურებას.

სტამბოლში უშედეგოდ დამთავრებული ელჩობის შემდეგ თეიმურაზ I იძულებული იყო, დახმარება კვლავ რუსეთში ეძებნა. 1623 წლის მარტში მოსკოვში ჩავიდა თეიმურაზის ახალი ელჩი თეოდოსი. თეიმურაზი ამჯერად პირდაპირ თხოულობდა სამხედრო და ფინანსურ დახმარებას. ჩანს, თეიმურაზმა იცოდა, რომ მისი თურქეთთან კავშირი უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა რუსეთს ირანთან დიპლომატიურ ურთიერთობაში, აცნობებდა ხელმწიფეს, რომ აღარ ექნებოდა კავშირი ოსმალეთთან. „ ... ღვთისა და შენი იმედით ვართ, რომ დაგვეხმარები რითაც შეგეძლება. ამის მერე ჩვენ თურქი ურჯულოს დახმარება აღარ გვინდა და არც იმედი გვაქვს. შენი მეფობისაგან ველით დახმარებას“.[2] ბოლოს თეიმურაზი ხელმწიფეს სთხოვდა: „გაათავისუფლე ჩვენი სამფლობელო აგარიანთაგან, ვევედრები შენს მეუფებას, ან ჯარი მოგვეცი, ან ხაზინით დაგვეხმარე“.[3] თეიმურაზს უარი უთხრეს, როგორც სამხედრო, ისე ფინანსურ დახმარებაზე, უფრო მეტიც, ურჩიეს, თვითონ მოეგვარებინა ურთიერთობა შაჰთან. თეოდოსის ელჩობა უშედეგოდ

---

[1] Т. Г. Тивадзе, Материалы..., გვ. 153.
[2] М. Полиевктов, Материалы..., გვ. 76.
[3] იქვე.

დამთავრდა და უნდა დამთავრებულიყო კიდეც. რუსეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული სამოქალაქო ომისა და პოლონეთ-შვეციის ინტერვენციისაგან მიყენებული ჭრილობები. ქვეყანა უმძიმეს ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. პირველი რომანოვის მთავრობა სუბსიდიებს ირანისაგან ღებულობდა. რუსეთის სახელმწიფო ხაზინას დიდ შემოსავალს აძლევდა ირანთან ვაჭრობა. ამავე დროს ირანი რუსეთისათვის წარმოადგენდა პოტენციურ სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეს თურქეთის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში თეიმურაზისათვის სამხედრო დახმარების გაწევა რუსეთს არ შეეძლო. თეიმურაზისათვის ჯარის გამოგზავნა ირანისათვის ომის გამოცხადებას უდრიდა — რუსეთი კი ამაზე ვერ წავიდოდა — იგი დიდად უფრთხილდებოდა ირანთან მეგობრობას. )

1619 წელს შაჰ-აბასმა ქართლის მეფედ სიმონ-ხანი დაამტკიცა. სიმონის ვექილად, ანუ ქართლის გამგებლად სააკაძე დანიშნა. მოურავი ფაქტობრივად თვითონ მართავდა სამეფოს. იგი ენერგიულად შეუდგა ქვეყანაში წესრიგის დამყარებას. მან პირველ რიგში ბრძოლა გამოუცხადა ფეოდალურ ანარქიას. როგორც ჩანს, გიორგი უკვე მაშინ ემზადებოდა აჯანყებისათვის. გიორგიმ არც ამჯერად იძია შური თავის მოსისხლე მტრებზე, თუმცა, მას ეს, როგორც ქართლის გამგებელს, არ გაუჭირდებოდა, პირიქით, იგი ახლა მეტი დაჟინებით ცდილობდა მათთან შერიგებას. 1620 წლისათვის მან მოახერხა ქაიხოსრო ჯავახიშვილისა და ფარსადან ციციშვილის შემორიგება. გიორგი ცდილობდა ქართლის ფეოდალური ძალების გაერთიანება-დარაზმვას. ამავე დროს, იგი დაუკავშირდა იმერეთის მეფეს გიორგის, დახმარება სთხოვა მას და გამარჯვების შემთხვევაში ქართლის ტახტს დაჰპირდა. სააკაძე ცდილობდა, ოსმალეთის მხარდაჭერაც მოეპოვებინა. ამ მიზნით მან თავისი ქალიშვილი სულთანის მოხელეს — ფარად-ფაშას მიათხოვა. 1624 წლისათვის აჯანყებისათვის პირობები თითქოს მომწიფებული იყო. საზოგადოების ყველა ფენა უკმაყოფილო იყო ირანელთა ბატონობით. შაჰ-აბასს მისმა მოხელეებმა შეატყობინეს ქართველების მზადების შესახებ. 1624 წელს შაჰმა გიორგი სააკაძე ირანში გაიწვია. მრისხანე დამპყრობელმა გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ გადაეჭრა „გურჯისტანის" საკითხი, რაც ქართლ-კახეთის სახელმწიფოების მოსპობასა და მათი ირანული სახანოებით შეცვლას გულისხმობდა — კახელები ერთიანად უნდა გაეჟლიტათ, ქართლის მოსახლეობა კი ირანში გადაესახლებინათ. შაჰმა შეკრიბა დიდი ლაშქარი და მას სათავეში გამოცდილი მხედართმთავარი ყარჩიხა-ხანი ჩაუყენა. ყარჩიხა-ხანის მრჩევლად დაინიშნა გიორგი სააკაძე. გიორგი ყიზილბაშთა ლაშქარს მოჰყვებოდა მტკიცე გადაწყვეტილებით — დაეწყო ანტიირანული აჯანყება. ეს გადაწყვეტილება მან გაანდო

ირანში მყოფ ქართლის კათალიკოსს და წილკნელ ეპისკოპოსს.[1] შაჰ-აბასი, როგორც ჩანს, უკვე აღარ ეკიდებოდა სრული ნდობით გიორგის. მან ირანში მძევლად დაიტოვა მისი ვაჟი პაატა. მძევლად იქნა დატოვებული გორგის ცოლისძმის ზურაბ არაგვის ერისთავის მეუღლეც. 1625 წელს ირანელთა ლაშქარი საქართველოში შემოვიდა. სააკაძემ დიდი მოსამზადებელი საქმიანობა გააჩაღა. მოახერხა აჯანყებაში ჩაება ისეთი ძლიერი ფეოდალი და დიდი მხედართმთავარი, როგორიც იყო ზურაბ ერისთავი — გიორგი მას ცოლად დაპირდა ლუარსაბ მეფის ქალიშვილს — ლელა ბატონიშვილს, რომელიც იმ დროს კახეთის მმართველის, ფეიქარ-ხანის მეუღლე იყო. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. აჯანყების წარმატებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მასში დიდი თავადების, მათ შორის გიორგის მოწინააღმდეგეების მონაწილეობა. თავადების ნაწილს ჯერ კიდევ არ ესმოდა, რა კატასტროფას უმზადებდა აბას I ქართლ-კახეთს. გიორგი სააკაძის დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო ის, რომ მან მოახერხა დაერწმუნებინა თავადები, მიეღოთ მონაწილეობა აჯანყებაში. ამაში გიორგის დაეხმარა შაჰ-აბასის მიერ ყარჩიხა-ხანისადმი გაგზავნილი წერილი, რომელიც პირადად მას ჩაუვარდა ხელთ. სააკაძემ ეს წერილი, რომელშიც შაჰ-აბასი უბრძანებდა თავის სარდალს ქართლ-კახეთის სრულ განადგურებას, გააცნო ქართლის დიდ თავადებს. მათი ყოყმანი დამთავრდა.

1625 წლის 25 მარტს მარტყოფის აჯანყება სააკაძის მეთაურობით ირანელთა სრული განადგურებით დასრულდა. ქართლ-კახეთი გაწმინდეს ყიზილბაშებისაგან. თეიმურაზ I ამ დროს გონიოში იმყოფებოდა და დახმარების სათხოვნელად რუსეთში გამგზავრებას აპირებდა. სააკაძემ იგი მოიწვია და გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე დასვა, თუმცა, ჩანს, თვითონ მართავდა ქვეყანას — „იყო მოურავი მოქმედი ყოვლისა და მორჩილებდეს მას ყოველნი ყმურად".[2] ვახუშტის ცნობას ადასტურებს ბერი ეგნატაშვილიც: „და იყო მაშინ თავი და უფროსი კაცი მოურავი და ყოველნივე ქართველნი მას მორჩილებდნენ".[3]

სააკაძეს კარგად ესმოდა, რომ შაჰ-აბასი მარტყოფის აჯანყებას უპასუხოდ არ დატოვებდა, ამიტომ მან მრავალი ღონისძიება გაატარა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. აგრეთვე გააჩაღა ენერგიული დიპლომატიური საქმიანობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. ქართლისა და კახეთის ერთიანობის განმტკიცების მიზნით გიორ-

---

1 გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბ., 1964, გვ. 124.
2 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა.., გვ. 431.
3 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 407.

გის რჩევით თეიმურაზმა ქალიშვილი დარეჯანი ცოლად შერთო ზურაბ არაგვის ერისთავს. ამით გიორგის სურდა ამ დიდი სარდლის, მაგრამ მერყევი ფეოდალის შესაძლო ღალატის თავიდან აცილება.[1] მარტყოფის აჯანყების შემდეგ სააკაძემ ოსმალთა დიდ ვეზირს ჰაფიზ ფაშას, რომელიც დიარბექირში იმყოფებოდა და ბაღდადზე გასალაშქრებლად ემზადებოდა, ყიზილბაშთა მოკვეთილი თავები, დროშები, ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა და ელჩების პირით ირანის წინააღმდეგ ბრწყინვალედ შემუშავებული პროგრამის ერთობლივად განხორციელება შესთავაზა. ამ გეგმით გიორგი სააკაძე არ ფიქრობდა თავდაცვითი ომის წარმოებას. პირიქით, ირანში შეჭრასა და სეფიანთა ირანის დამხობას სთავაზობდა ოსმალებს. ამ გეგმაში არაფერი ფანტასტიკური არ იყო. ჯერ ერთი, მარტყოფში ყიზილბაშთა განადგურებამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ირანის სამხედრო ძლიერებას. თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი აღნიშნავდა, რომ შაჰ-აბასს ორმოცი წლის განმავლობაში ასეთი დიდი ზარალი არ მოსვლია.[2] გარდა ამისა, სააკაძე ირანის წინააღმდეგ გამოსვლაში ოსმალეთს ჰპირდებოდა მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასიის ხალხების ჩაბმას. აქაც არაფერი არ იყო გადაჭარბებული. სომხები და აზერბაიჯანლები ქართველებზე ნაკლებად არ განიცდიდნენ ირანელთა ბატონობის უღელს. მართებულად შენიშნა სომეხმა ისტორიკოსმა ა. აღაიანმა: „გიორგი სააკაძის მეთაურობით გაჩაღებულ გამათავისუფლებელ ბრძოლას არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთლიანად ამიერკავკასიის ხალხების განთავისუფლებისათვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“.[3] სომხური წყაროების მონაცემები ადასტურებენ, რომ სააკაძემ მარტყოფის აჯანყებისთანავე კავშირი დაამყარა ამიერკავკასიის ანტიირანულ ძალებთან.[4] დაახლოებით ასეთივე შეხედულება გამოთქვა ვ. გაბაშვილმა.[5] როგორც ვხედავთ, სააკაძის გეგმა მართლაც კარგად იყო შემუშავებული. შაჰ-აბასის იმპერია უმძიმეს დღეში აღმოჩნდებოდა. მაგრამ ჰაფიზ ფაშამ ვერ გამოიყენა ოსმალეთისათვის მეტად ხელსაყრელი ვითარება, ბაღდადზე ლაშქრობა მოიმიზეზა და ქართველებს დახმარებაზე უარი განუცხადა.

---

1 გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, გვ. 132.

2 იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანითურთ, გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ. თბ., 1964. გვ. 124.

3 А. Агаян, Вековая дружба народов Закавказья, ч. I, Ереван, 1970, გვ. 50.

4 Арутюнян, Освободительное движение армянского народа с первой четверти XVIII в., М., 1954, გვ. 124.

ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება, XVI-XVII სს-ში. თბ., 1958, გვ. 363.

შაჰ-აბასმა საქართველოში დიდი დამსჯელი ექსპედიცია გამოაგზავნა თავისი სიძის, ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით. ბრძოლა, რომელიც მარაბდასთან 1625 წლის 1 ივლისს გაიმართა, ირანელთა გამარჯვებით დამთავრდა. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „თავადთა პოლიტიკური სიბეცე შეზღუდულობა, ფეოდალური ლაშქრის უდისციპლინობა და შეიარაღებაში ჩამორჩენილობა იყო მარაბდას ქართველთა დამარცხების უმთავრესი მიზეზი".[1] „უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა ეს ნაკლი გააჩნდა ქართველთა ლაშქარს მარტყოფის ბრძოლაშიც, მაგრამ ეს ბრძოლა მათი გამარჯვებით დასრულდა. ქართველთა მარაბდასთან დამარცხების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ჩვენ მიგვაჩნია ის, რომ ყველაზე დიდი მხედართმთავარი გიორგი სააკაძე ჩამოაშორეს ბრძოლის ხელმძღვანელობას და სარდლობა თვითონ იკისრა პატივმოყვარე თეიმურაზ I-მა, რომელმაც ვერ შეძლო ფაქტობრივად მოგებული ბრძოლის ბოლომდე მიყვანა.

მარაბდასთან გამარჯვების მიუხედავად, ისა-ხან ყორჩიბაშის ექსპედიცია სრული მარცხით დამთავრდა.[2] მარაბდასთან ირანელებმა 14000 კაცი დაკარგეს, ქსნის ხეობაში სააკაძემ 12000 ყიზილბაში ამოჟლიტა. სულ ირანელებმა 30 000 კაცამდე დაკარგეს და ცხადია, ყორჩიბაშმა ველარ შეძლო თავისი მისიის — ქართლ-კახეთის განადგურების შესრულება. მარაბდის ბრძოლას სხვა უარყოფითი შედეგი მოჰყვა. ბევრმა თავადმა ამჯობინა, შერიგებოდა შაჰ-აბასს და მრავლად მიუვიდა მტერს. ბრძოლის შემდგომი გაგრძელება შეუძლებლად ჩათვალა ზურაბ არაგვის ერისთავმაც. თეიმურაზ I და სააკაძე იძულებული გახდნენ, ქართლ-კახეთს გასცლოდნენ. თეიმურაზი იმერეთში გადავიდა, სააკაძე კი სამცხეში და იქ გააგრძელა ბრძოლა ყიზილბაშთა წინააღმდეგ. გიორგიმ ყიზილბაშებს წაართვა აწყურის, ფარავნის, ხერთვისის ციხეები. ახალციხე ირანელებმა თვითონ მიატოვეს. გიორგიმ დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა — შეუთვალა ოსმალებს: ‚ეს ციხეები ყიზილბაშებს ეპირაო და აწ მე წამირთმევიაო, გამოგზავნეთ ჯარი თქვენი და დააყენეთ ციხეებსა ამას შინაო, ხოლო ხონთქარმან დიდად დაუმადლა".[3] ამ ნაბიჯით გიორგის უნდოდა, ოსმალები ჩაეთრია ბრძოლაში. ოსმალთა დახმარება იმით გამოიხატა, რომ მათ თავიანთი ჯარები ჩააყენეს ქართველების მიერ განთავისუფლებულ ციხეებში. სამცხიდან გიორგიმ სულთან მურად IV-სთან ელჩობა გაგზავნა გიორგი ქავთარაშვილი-ბარათა-

---

1 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია. თბ., 1948. გვ. 305.

2 სწორია თ. ნატროშვილი. მარაბდას რომ ფაქტობრივად ქართველთა გამარჯვებად მიიჩნევს. იხ. მისი „დალათუ იყოს სიკვდილი", თბ., 1994. გვ. 33.

ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება. გვ. 410.

შვილის მეთაურობით და დახმარება სთხოვა.[1] სულთანმა ერთი შეხედვით მეტად დამაიმედებელი ფირმანი გამოუგზავნა სააკაძეს. იგი იტყობინებოდა, თითქოს უბრძანა საქართველოს მოსაზღვრე ვილაიეთების მფლობელებს, დაღესტნელებს, „გურიის, სამეგრელოს, იმერეთის მეფეებს“, გაეწიათ დახმარება გიორგისათვის.[2] გარდა ამისა, აცნობებდა იგი გიორგის, თითქოს იანიჩრების ნაწილებსაც ებრძანათ ტრაპიზონში ჩასვლა და შემდეგ გიორგისთან შეერთება.[3]

მურად IV თვალთმაქცობდა — იგი არ აპირებდა გიორგისათვის დახმარების გაწევას. სულთანი აიმედებდა გიორგის იმ მიზნით, რომ მას საკუთარი ძალებით გაეგრძელებინა ბრძოლა ყიზილბაშთა წინააღმდეგ. მურად IV-ის სურვილი იყო, რომ ირანის ძალები საქართველოს თავისკენ მიეზიდა, რომ მას ხელფეხი გახსნოდა ბაღდადისათვის ბრძოლაში.[4] ამიტომ მოუწოდებდა იგი სააკაძეს: „ კეთილგონივრული ღონისძიებები იხმარეთ, როგორც კი შემთხვევა მოგეცემათ, უბედურ ყიზილბაშთა კლანჭებში ჩავარდნილ ციხე-სიმაგრეთა და ადგილთა დაპყრობისათვის სულითა და გულით მთელი თქვენი ძალღონე არ დაზოგოთ და წინანდებურად... ყიზილბაშს სიცოცხლე არ შეარჩინოთ“...[5] გიორგი მარტო ოსმალეთის მოიმედედ არ რჩებოდა. იგი შეეცადა, ირანის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი შეექმნა დასავლეთ საქართველოში. სამცხიდან გიორგი იმერეთში გადავიდა. გიორგი იმერთა მეფე მას ყიზილბაშთა წინააღმდეგ დახმარებას დაჰპირდა. ასეთივე დახმარება აღუთქვეს მას სამეგრელოსა და გურიის მთავრებმა. იმერეთის მეფესთან პოლიტიკური კავშირის განმტკიცების მიზნით გიორგი სააკაძემ თავისი ვაჟი ავთანდილი იმერეთის მეფის ქალიშვილზე დანიშნა.

1626 წლის გაზაფხულზე სააკაძე აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და მთელი ქართლ-კახეთი გაწმინდა ყიზილბაშებისაგან. ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს ტახტზე კვლავ თეიმურაზი იჯდა. ქვეყანა განთავისუფლებული იყო. შაჰ-აბასს ქართლ-კახეთის წინააღმდეგ რაიმე სერიოზული ღონისძიების გატარების ძალა არ შესწევდა. „სააკაძის იდეის, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის საქმე, დაწყებული იყო. დიდი მოურავი ახლა ქართლ-კახეთისა და იმერეთის

ს. ჯიქია. ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი. ენიმკის მოამბე. XIII. თბ. 1942. გვ. 237.

2 იქვე. გვ. 237-238.

3 იქვე. გვ. 239.

გ. ჯამბურია. დასახ. ნაშრომი. გვ. 146.

ს. ჯიქია. ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი. ენიმკის მოამბე. თბ. 1942. III. გვ. 240.

გაერთიანებაზე ოცნებობდა".[1] მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. მალე თეიმურაზ I-სა და გიორგი სააკაძეს შორის განხეთქილება ჩამოვარდა. გიორგის მოღვაწეობამ მისი სახელი დიდების შარავანდით შემოსა. ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც იგი მიაჩნდათ ქვეყნის ფაქტობრივ გამგებლად და ასეც იყო სინამდვილეში. შემთხვევით არ უწოდებდნენ მას ქართველები „ქართლის მოურავს", ხოლო ოსმალთა სულთანი „ქართლის მპყრობელ მოურავ-ხანს".[2] პატივმოყვარე თეიმურაზ I-ს არ მოსწონდა სააკაძის ასეთი განდიდება და ეჭვის თვალით დაუწყო მას ყურება. ეს ვითარება კარგად გამოიყენეს მოწინააღმდეგე თავადებმა: როგორც კი აიცილეს ფიზიკური მოსპობის საფრთხე, გიორგის მოწინააღმდეგე თავადებმა გაიხსენეს მის მიმართ ძველი მტრობა და დიდად შეუწყვეს ხელი მეფე-მოურავის გადაკიდებას. ამავე დროს მართებული უნდა იყოს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ განხეთქილებაში დიდი როლი შაჰ-აბასმა შეასრულა.[3] მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლებმა დაარწმუნა შაჰი, რომ მისი ოცნება – ქართლ-კახეთის ყიზილბაშურ სახანოებად გადაქცევა – განუხორციელებელი იყო. ამიტომ შაჰმა უკან დაიხია და 1625 წელს მოლაპარაკება დაიწყო თეიმურაზთან. მოლაპარაკების ინიციატორი აბასი იყო. იგი ამ დროს ოსმალეთთან ომს აწარმოებდა და ქართლ-კახეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნება სურდა. შაჰი თეიმურაზისაგან ერთ რამეს მოითხოვდა – გაეწყვიტა კავშირი ოსმალეთთან და ირანის ვასალობა ეღიარებინა, ანუ როგორც ისკანდერ მუნში წერს: „თურქული ხალათი გაეხადა და ირანული ჩაეცვა".[4] შეთანხმება მოხდა და შაჰმა ცნო თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ. უკვე ეს შეიძლება გამხდარიყო მეფესა და მოურავს შორის განხეთქილების მიზეზი – სააკაძისათვის მიუღებელი იყო ყოველგვარი კომპრომისი შაჰ-აბასთან. გიორგი იძულებული გახდა, შებრძოლებოდა თეიმურაზს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას საბოლოოდ უნდა აეღო ხელი საქართველოს გაერთიანებაზე. საქართველო ორ ბანაკად გაიყო. თეიმურაზს მხარს უჭერდა ირანი, სააკაძეს ოსმალეთი. ბაზალეთის ომი ასახავდა საქართველოში ირანული და ოსმალური ორიენტაციის დაპირისპირებას. სააკაძემ ქართლის გამგებლად დანიშნა ქაიხოსრო მუხრან ბატონი, გ. ჯამბურიამ კარგად ახსნა, თუ რატომ არ დასვა გიორგიმ ქაიხოსრო მეფედ. მაშინ საქართველოს გაერთიანება გამორიცხული იქნებოდა. გიორგის სურდა, გამარჯვების შემთხვევაში

1 გ. ჯამბურია. დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

ს. ჯიქია. დასახ. ნაშრომი, გვ. 236.

ვ. გაბაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 361; გ. ჯამბურია. დასახ. ნაშრ. გვ. 361; მ. სვანიძე. დასახ ნაშრომი, გვ. 361.

ისქანდერ მუნშის ცნობები: გვ. 160-161. სვანიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 290.

ქართლ-კახეთში გაემეფებინა იმერეთის მეფის გიორგის ვაჟი ალექსანდრე. გიორგი იმერთა მეფის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის სამეფო შემოუერთდებოდა ქართლ-კახეთს და საქართველოს სრულ ერთიანობას მტკიცე საფუძველი ჩაეყრებოდა.[1] მოლაპარაკება იმერეთის მეფესთან წარმატებით დამთავრდა. გიორგი იმერეთის მეფემ დამხმარე ჯარი გამოუგზავნა სააკაძეს. გიორგის ჯარი გამოუგზავნა აგრეთვე ახალციხის ფაშამ საფარმა.[2] ერთი რუსული ცნობის მიხედვით, თეიმურაზის მხარეს იბრძოდნენ ყიზილბაშები.[3]

1626 წლის შემოდგომაზე გაიმართა ბაზალეთის ბრძოლა. სააკაძე დამარცხდა და იძულებული გახდა, ოსმალეთში გადახვეწილიყო. ბაზალეთის ბრძოლის მნიშვნელობასა და შედეგებზე საუბრისას ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „ჩაიშალა ის დიდი საქმე, რომელსაც სააკაძემ თავისი უზარმაზარი ენერგია შეალია და ურომლისოდაც საქართველოს განთავისუფლება-გაძლიერება შეუძლებელი იყო".[4]

ოსმალეთში ჩასულმა სააკაძემ დახმარება სულთანს სთხოვა. გიორგის მიზანი იგივე რჩებოდა — საქართველოს გაერთიანება, ოღონდ თუ ადრე ამ მიზნის მიღწევას შაჰ-აბასის დახმარებით ცდილობდა, ახლა სურდა ოსმალეთის გამოყენება. სულთანი დახმარებას დაჰპირდა. სტამბოლში სააკაძეს ურთიერთობა დაუმყარებია საფრანგეთის ელჩთან.[5] შესაძლოა, გიორგი რაიმე პოლიტიკურ მიზანს ისახავდა. გიორგი სააკაძის ევროპასთან ურთიერთობას შეეხო ბ. გიორგაძე. იგი წერს: „1627 წელს გიორგი სააკაძემ კონსტანტინეპოლიდან პირადად თავისი, საქართველოს პატრიარქისა და თეიმურაზ მეფის ელჩები გაგზავნა ვენეციაში სპარსეთის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად... დიდი მოურავის მიერ გაგზავნილი ელჩები წარუდგნენ ვენეციის სენატს და მოახსენეს დანაბარები. სენატის კომპეტენტურმა ორგანომ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ვენეციის რესპუბლიკა საომარ მდგომარეობაშია თურქეთთან და, სამაგიეროდ სამეგობრო ურთიერთობა აქვს სპარსეთთან, რის გამოც ამ საკითხის გადაწყვეტა საქართველოს სასარგებლოდ ზიანს მიაყენებდა საერთაშორისო ვალდებულებებს, რომელიც რესპუბლიკამ იკისრა სპარსეთის მიმართ".[6] სამწუხაროდ, ბ. გიორგაძე წყაროს

---

1 გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.
2 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 435.
3 Е. С. Зевакин, Материалы по истории Азербайджана XVII в. ч. II, М., 1929, გვ. 59.
4 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1943, გვ. 307.
5 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 99.
6 დონ კრისტოფორო დე კასტელი: ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 82.

არ მიუთითებს. თავისთავად გამორიცხული არ არის გიორგის მიერ ვენეციაში ელჩის გაგზავნა, მაგრამ დაუჯერებლად გვეჩვენება, რომ 1627 წელს გიორგის თავის ელჩთან ერთად თეიმურაზის ელჩიც გაეგზავნა ევროპაში.

სააკაძემ სულთანისაგან დაპირებული დახმარება ვერ მიიღო. 1629 წლის 3 ოქტომბერს კი იგი დიდი ვეზირის ხუსრევ-ფაშას ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს. გიორგის დაღუპვასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ საკითხის კვლევა, მაგრამ რადგანაც იგი დაკავშირებულია გიორგი სააკაძის დიპლომატიურ მოღვაწეობასთან მისი სიცოცხლის ბოლო წელს, ამიტომ გვერდს ვერ ავუვლით მას. დიდხანს იყო გავრცელებული ვერსია, რომ გიორგი დაიღუპა დიდი ვეზირის ხუსრევ-ფაშას შურიანობის გამო. თავისთავად ძნელი დასაჯერებელია, რომ ხუსრევ-ფაშას სულთანის გარეშე, უმიზეზოდ, ბაღდადზე გალაშქრების წინ მოეკლა ისეთი სარდალი, როგორიც იყო გიორგი სააკაძე. ასეთ შემთხვევაში ხუსრევ-ფაშა სულთანის რისხვას ვერ გადაურჩებოდა. მართალია, ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავს, რომ სულთანმა სიკვდილით დასაჯა ხუსრევ-ფაშა,[1] მაგრამ ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება — ხუსრევ-ფაშა სიკვდილით არ დაუსჯიათ, იგი გარდაიცვალა გიორგის დაღუპვიდან თითქმის ორი წლის შემდეგ, 1631 წლის 2 აპრილს.[2]

ა. ფურცელაძემ ჯერ კიდევ 1888 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში გამოთქვა შეხედულება, რომ შაჰ-აბასის გარდაცვალების შემდეგ სააკაძეს გაუჩნდა საქართველოს გაერთიანების ახალი იდეა. გაერთიანება უნდა მომხდარიყო ხოსრო-მირზასა და სულთანის ერთმანეთთან დაკავშირებით. ასე გაერთიანებული საქართველო ირანის დაპყრობასაც შესძლებდაო — ასკვნის ა. ფურცელაძე.[3] ი. ანთელავამ შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „ ვერსია თითქოს გიორგი სააკაძე ოსმალეთის დიდი ვეზირის მეშურნეობამ იმსხვერპლა, უდავო არ უნდა იყოს. დიდი მოურავის დაღუპვის მიზეზი მის პოლიტიკურ საქმიანობაში უნდა ვეძიოთ და მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ საქართველოსა და ირან-ოსმალეთში შექმნილ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციას“[4] — სამართლიანად დაასკვნის ავტორი. სააკაძის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს მის

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე. ისტორია. ს. კაკაბაძის გამოც. საისტორიო მოამბე. თბ., II, 1925. გვ. 29

[2] მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990. გვ. 300.

[3] ა. ფურცელაძე. ბრძოლა საქართველოს მოსაპოვებლად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, თბ., 1888, გვ. 200.

[4] ი. ანთელავა. გიორგი სააკაძის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, „მნათობი“. 1977. №10. გვ. 91.

დაღუპვას მ. სვანიძეც.[1] მან გორგიჯანიძის ერთი ცნობის ანალიზის შედეგად გააკეთა საყურადღებო და მართებული დასკვნა, რომ ხუსრევფაშა სააკაძეს ბრალად სდებდა „სპარსელობას", სპარსელთა მომხრეობას, და ამდენად ოსმალთა ღალატს.[2] გიორგი სააკაძეს რომ ოსმალთა ღალატი ბრალდებოდა, ამას სხვა წყაროებიც ადასტურებენ. 1658 წელს მოსკოვში მყოფმა თეიმურაზ I-მა განაცხადა, რომ გიორგი სააკაძეს სურდა თურქი სულთანისათვის ეღალატა და დადიანის სახელმწიფოში გაქცეულიყო და როცა ეს გაიგო ვეზირმა, იგი სიკვდილით დასაჯა.[3] მ. სვანიძეს მოაქვს უცხოურ წყაროთა მონაცემებიც, რომლებიც ასევე უდავოდ მოწმობენ, რომ სააკაძეს ბრალდებოდა ოსმალეთის ღალატი ირანის სასარგებლოდ. მაგ. ინგლისის სტამბოლელი ელჩი რიკოტი წერს: „ოსმალეთის დიდმა ვეზირმა იმის გამო მოაწყო ქართველების გაჟლეტა და მოურავს თავი მოჰკვეთა, რადგან ისინი სპარსეთის მეფის ინტერესებს ემსახურებოდნენ.[4] როგორც ჩანს, ხუსრევ ფაშას ხელთ ჰქონდა ქართველების ღალატის მამხილებელი საბუთებიც. ფრანგი ისტორიკოსი მინო წერს — „დიდმა ვეზირმა ხელში ჩაიგდო ქართველების ღალატის მამხილებელი წერილები და მან დიდი მოურავი, მისი შვილი დახოცა და ათი ქართველი სიკვდილით დასაჯა".[5] ყოველივე ზემოთქმულის შედეგად ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს, რომ გიორგი სააკაძეს ბრალდებოდა ოსმალთა ღალატი ირანელთა სასარგებლოდ და ამის გამო დასაჯეს იგი სიკვდილით. როგორც ჩანს, ეს ბრალდება არ იყო უსაფუძვლო. „გიორგი სააკაძემ გადაწყვიტა, შაჰ-აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ გამოეყენებინა სპარსეთში შექმნილი ვითარება და მან შეიმუშავა საქართველოს გაერთიანების ახალი გეგმა, რომლის განხორციელებას აპირებდა ირანში აღზევებული ქართველების დახმარებით და ამ მიზნით მოურავმა მათთან კონტაქტი დაამყარა".[6] სავსებით სწორად აღნიშნავს მ. სვანიძე. ღიად რჩება ერთი არსებითი საკითხი. ვინ უნდა ყოფილიყო სააკაძის ახალი გეგმით გაერთიანებული საქართველოს მეფე? ცხადია, ბაზალეთის ბრძოლის შემდეგ სააკაძისა და თეიმურაზ I-ის თანამშრომლობა გამორიცხული იყო. პირიქით, ეს გეგმა თავისთავად გულისხმობდა თეიმურაზის ტახტიდან გადაყენებას.

---

[1] მ სვანიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 294-305.
[2] იქვე. გვ 296.
[3] ვ. მაჭარაძე. ჩანაწერები თეიმურაზ I-ის მოლაპარაკებისა მოსკოვში 1658. თსუ შრომები. ტ. 113. გვ. 125.
[4] ციტატა მ. სვანიძის დასახ. ნაშრომიდან. გვ. 300-301.
[5] იქვე. გვ. 301.
[6] იქვე. გვ. 304.

1629 წლის იანვარში გარდაიცვალა ირანის შაჰი, საქართველოსა და პირადად გიორგი სააკაძის დაუძინებელი მტერი შაჰ-აბას I. ირანი დინასტიური ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მდგომარეობა იხსნა ხოსრო-მირზამ. ყულის ჯარზე დაყრდნობით, მან ტახტზე აიყვანა შაჰ-აბასის შვილიშვილი, მცირეწლოვანი შაჰ-სეფი. ხოსრო-მირზას ახალ შაჰზე უდიდესი გავლენა ჰქონდა. „ამიერითგან უწოდებდა ყეენი მამად"[1] – აღნიშნავს ვახუშტი. „ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხებოდა",[2] ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძე. როსტომის განუსაზღვრელ გავლენას ირანის სამეფო კარზე მოწმობენ იმდროინდელი ევროპული წყაროებიც.[3] ირანში მომხდარ ცვლილებებს არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა გიორგი სააკაძის პოლიტიკაზე. ირანს ფაქტობრივად განაგებდა ის პიროვნება, რომელთანაც გიორგის დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებდა.

ხოსრო მირზა ირანში თავდაპირველად მეტად გაჭირვებულ ცხოვრებას ეწეოდა. ვახუშტი აღნიშნავს, „რომ იყო უპატიოდ და უპოვარ".[4] იმავეს აღნიშნავს ბერი ეგნატაშვილი: „იყოფებოდნენ დიდად გლახაკად და უღონოდ ყოველისავე სახმარისაგან".[5] ხოსრო მირზა ამ გაჭირვებიდან გამოიყვანა და დააწინაურა გიორგი სააკაძემ, როდესაც 1612 წელს ემიგრაციაში წავიდა ირანს. საინტერესოა გიორგის პასუხი, როდესაც მას სპარსელებმა ჰკითხეს, თუ რატომ მიაგებდა იგი ასეთ დიდ პატივს ხოსრო მირზას – „იგი ეტყოდა მათ ძედ პატრონისად თავისად". ამრიგად, გიორგიმ ხოსრო მირზა ქართლის ტახტის კანონიერ პრეტენდენტად გამოაცხადა. როგორც ჩანს, გიორგის უკვე მაშინ უნდოდა ხოსრო მირზა დაეპირისპირებანა ლუარსაბ მეორისადმი. ამას ადასტურებენ ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის ცნობები. „ესე არა ჰყო მოურავმან სიყუარულითა პატრონისათა, გარნა რათა აღუდგინოს ლუარსაბ მეფესა მეტოქი".[6] ასე აქვს ეს ფაქტი ახსნილი ეგნატაშვილსაც: „დიდად კეთილსა უყოფდა ყაენი ხოსრო-მირზას და მისცა მოურაობა ისპაანისა და ჰყვანდათ მეტოქედ ქართლის ბატონისა".[7] ასე რომ, ირანში თავის კარიერას ხოსრო-მირზა გიორგის უმადლოდა. ამით არ დამთავრებულა სააკაძის სამსახური როსტომის წინაშე. 1625 წელს, მარაბდის ბრძოლის

---

1 ვახუშტი. აღწერა... გვ. 436.
2 ფარსადან გორგიჯანიძე. ისტორია. გვ. 30.
ვ. გაბაშვილი. უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVIII სს. ირანში. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები. თბ.. 1975. ტ. II. გვ. 76.
ვახუშტი. აღწერა... გვ. 432.
ბერი ეგნატაშვილი. ახალი..., გვ. 404.
ვახუშტი. აღწერა... გვ. 432-433.
ბერი ეგნატაშვილი, ახალი... გვ. 404.

შემდეგ გიორგი სააკაძემ გზა გადაუჭრა ყიზილბაშთა 12000-იან ლაშქარს. ირანელთა ამ ლაშქარში სხვა სარდლებთან ერთად იყო ხოსრო მირზაც. სააკაძემ თითქმის მთლიანად ამოჟლიტა ირანელები. მცირე რაზმთან ერთად გადარჩა მხოლოდ ხოსრო მირზა — მან თავი დააღწია ალყას. ეჭვი არ გვეპარება, ხოსრო მირზა უვნებლად გაატარა თვით გიორგი სააკაძემ. ამიტომ იყო, რომ ხოსრო მირზა არ ივიწყებდა გიორგის სამსახურს. მოგვიანებით, როდესაც ხოსრო მირზა ქართლის მეფე გახდა, მან დიდი პატივით მიიღო გიორგის ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი ვაჟი იორამი, თარხნობა უბოძა და მამულები დაუბრუნა. ვახუშტი წერს: „ესე იორამ მოიყვანა როსტომ მეფემან აზრუმიდამ კეთილისყოფისათვის, რომელი უქმნა მოურავმან მას და მისცნა მამულნი მისნი ყოველნი".[1] გიორგის დამსახურებას მის წინაშე საგანგებოდ აღნიშნავს თვით როსტომი იორამ სააკაძისადმი ბოძებულ სიგელში: „მოურავი ჩვენზედ და საქართველოზედ დიდად ნამსახური იყო". ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს უფლებას, ვიფიქროთ, რომ სააკაძეს უნდოდა, ქართლ-კახეთში გაემეფებინა ხოსრო მირზა. ამ უკანასკნელს დიდი ხანია, ჰქონდა ეს სურვილი და ცოტა მოგვიანებით მიაღწია კიდეც მიზანს. ცხადია, ვინმე სხვის გამეფების შემთხვევაში ხოსრო მირზა არ მიიღებდა სააკაძის გეგმას. სააკაძის გეგმა, როგორც აღვნიშნეთ, ცნობილი გახდა ხუსრევ-ფაშასათვის. ირანის მფარველობითა და ძალით გაერთიანებული საქართველო სრულიად მიუღებელი იქნებოდა ოსმალეთისათვის და ბუნებრივია, სააკაძის კავშირი როსტომთან ხუსრევ-ფაშამ ღალატად მიიჩნია. ამის გამო მოკვეთეს გიორგი სააკაძეს თავი.[2]

შაჰ-აბასთან დაზავების შემდეგ, 1626 წელს თეიმურაზ პირველმა ელჩობა გაგზავნა ევროპაში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ნიკიფორე ირბახის) მეთაურობით. ქართველ ელჩს მიჰქონდა წერილები ესპანეთის მეფესთან ფილიპე IV-თან და რომის პაპთან ურბან VIII-თან. ირბახის ელჩობას ბევრი მკვლევარი შეეხო. მათი უმრავლესობა თვლის, რომ იგი მიზნად ისახავდა ირანის წინააღმდეგ მოკავშირეების ძიებას. სხვადასხვანაირად არის შეფასებული ამ პოლიტიკური ნაბიჯის მიზანშეწონილობა. მაგ. ს. კაკაბაძე ამ ელჩობის გაგზავნას ავანტიურას უწოდებს.[3] მკაცრად აფასებს ელჩობას ბ. გიორგაძე. იგი იხილავს საერთაშორისო ვითარებას და ასკვნის: „ასეთ არახელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებაში ელჩის გაგზავნა იმ სახელმწიფოთა კარზე, რომელთა ინტერესები სრუ-

1 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 441.
2 აღსანიშნავია, ყველა წყაროსაგან განსხვავებით, კასტელი თვლის, რომ სააკაძე მოწამლეს. იხ. კასტელი, დასახ. ნაშრ., გვ. 100.
3 ს. კაკაბაძე, ქართული წიგნის ბეჭდვის 320 წლის იუბილესათვის. ქართული მწერლობა. 1929, №8-9.

ლიად საწინააღმდეგო ორიენტაციას მოითხოვდა, მოწმობს, რომ საქმე უნდა გვქონდეს არაშორსმჭვრეტელ პოლიტიკური მსოფლმხედველობის მქონე სახელმწიფოს ხელმძღვანელთან, რომელსაც საერთაშორისო ვითარებისათვის თავი ვეღარ გაურთვია“.[1]

სხვანაირად აფასებს ელჩობას გ. აკოფაშვილი. იგი ამართლებს თეიმურაზის ნაბიჯს და მიაჩნია, რომ თეიმურაზის ელჩობის მთავარი მიზანი იყო მისი, როგორც სახელმწიფოს მესვეურის, საერთაშორისო პრესტიჟის აღიარება.[2] დაახლოებით ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა თ. ტივაძემ – „უმთავრესი მიზანი თეიმურაზისა მაინც საერთაშორისო აღიარების მიღწევა უნდა ყოფილიყო“.[3] ნ. ნაკაშიძეს ეჭვი არ ეპარება, რომ თეიმურაზი დახმარებას ირანის წინააღმდეგ ეძებდა და შემდეგნაირად ხსნის თეიმურაზის გადაწყვეტილებას: თეიმურაზ მეფის მიმართვა რომის პაპისა და ესპანეთის მეფისადმი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ თეიმურაზი იცნობს და რეალურად აფასებს არსებულ საერთაშორისო სიტუაციას არა მარტო მახლობელ აღმოსავლეთში, არამედ ევროპაშიც. უეჭველია, მეფე შესანიშნავად იყო ინფორმირებული ირან-რომსა და ირან-ესპანეთს შორის ურთიერთობის გაუარესების შესახებ (კერძოდ დე ფიგეროას ელჩობის წარუმატებლობა ირანში და შაჰის კავშირი ანტიჰაბსბურგულ სახელმწიფოებთან – ინგლისთან და ნიდერლანდთან).[4]

ნიკიფორე ირბახის ელჩობის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ბოლო დროს ჯ. ვათეიშვილისა და ი. ტაბაღუას მიერ ესპანეთსა და იტალიის არქივებში გამოვლენილ მასალს. ამ მასალამ მეტი სიცხადე შეიტანა ირბახის ელჩობაში, მაგრამ ბევრი რამის დადგენა ჯერჯერობით მაინც არ ხერხდება. პირველ რიგში გასარკვევია ელჩობის ნამდვილი მიზანი. როგორც აღვნიშნეთ, მკვლევართა უმეტესობა ელჩობის მიზნად სპარსეთის წინააღმდეგ გამოსვლას მიიჩნევს. ასეთი მტკიცების საფუძველს იძლევა თეიმურაზის წერილი ფილიპე IV-ისადმი. წერილში ერთმნიშვნელოვნად არის ლაპარაკი ირანის წინააღმდეგ ერთობლივ გამოსვლაზე. მაგრამ საქმე ისაა, რომ ესპანეთში შედგენილ ყველა საბუთში, რომლებიც ნიკიფორე ირბახის მისიას შეეხება, ყველგან ლაპარაკია თურქეთის წინააღმდეგ საერთო ლაშქრობაზე.[5] ჯ. ვა-

---

1 დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე XVII საუკუნე, იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1964, გვ. 16–17

2 გ. აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი – ნიკიფორე ირბახი, თბ., 1977, გვ. 31

3 თ. ტივაძე, თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1990, გვ. 65.

4 Н. Накашидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

5 ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში (XIII-XX ს-ის პირველი მეოთხედი). (1600-1628 წ.) II, თბ., 1968, გვ. 150.

თეიშვილი ასე ხსნის ამ მოულოდნელობას: „ერთი შეხედვით, ასეთი მეტამორფოზა თითქოსდა მოულოდნელი და გაუგებარი უნდა ჩანდეს, მაგრამ მისი ნამდვილი მიზეზი კარგად არის ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობა ესპანეთ-პორტუგალიასა და სპარსეთს შორის იმ ხანად ჭეშმარიტად კონფლიქტური ხასიათისა იყო, ეს კონფლიქტი მაინც ეპიზოდური ხასიათისა გახლდათ და გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვანია იმასთან შედარებით, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ კათოლიკურ სამყაროში №1 მტრის – სარაცინების მემკვიდრე თურქეთის წინააღმდეგ შებრძოლებას. ცნობილია ისიც, რომ უძლიერესი კათოლიკური სახელმწიფოები რომის პაპის მეთაურობით თურქეთთან მომავალ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში სპარსეთს თავის პოტენციურ მოკავშირედ განიხილავდნენ."[1] შემდეგ ჯ. ვათეიშვილი დაასკვნის. „ასეთ ვითარებაში რაღა რჩებოდა ქართველ ელჩს, გარდა იმისა, რომ აჰყოლოდა დასავლური ქრისტიანული სამყაროს, ძლიერთა პოლიტიკურ ფერხულს და მხარი აება მომავალი ერთობლივი გალაშქრების გეგმისათვის თურქეთის წინააღმდეგ".[2] ი. ტაბაღუას აზრით, ნიკიფორე ირბახმა ანტიირანული გეგმა ანტიოსმალურით, ესპანეთის სამეფო კარის რჩევით შეცვალა.[3] ნაკლებად დასაჯერებელია, ქართველ ელჩს ასე თვითნებურად შეეცვალა თავისი მთავრობის დავალება. ყველაზე მართებულ ახსნას, ჩვენი აზრით, იძლევა მ. სვანიძე. მას მიაჩნია, რომ ირბახის ელჩობა თავიდანვე გამიზნული იყო ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად.[4] ანტიოსმალური კოალიციის ჩამოსაყალიბებლად დეტალურად მუშავდებოდა ოსმალეთთან ბრძოლის გეგმა. ამ გეგმით მოკავშირეთა ჯარი სამ ჯგუფად იყოფოდა: 1გერმანია, პოლონეთი, უნგრეთი; 2. იტალია, ესპანეთი; 3. საფრანგეთი.[5] ქრისტიანული ქვეყნები თურქეთის წინააღმდეგ ომში მოკავშირედ მიიჩნევდნენ ირანსაც. თავის მხრივ ირანიც დაინტერესებული იყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნით. შაჰმა რამდენიმეჯერ გაგზავნა ელჩები პაპთან, ესპანეთისა და საფრანგეთის მეფეებთან და ატყობინებდა ოსმალეთზე თავდასხმის გადაწყვეტილებას, დახმარების შემთხვევაში კი პალესტინისა და იერუსალიმის დაბრუნებას ჰპირდებოდა.[6] თეიმურაზს, რასაკვირველია, არ შეიძლება არ სცოდნო-

---

1 ჯ. ვათეიშვილი, ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე, გაზ. კომუნისტი, 1983, გვ. 176.
2 იქვე.
3 ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.
4 მ. სვანიძე, ნიკიფორე ირბახის ევროპაში ელჩობა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით 1626-1629 წწ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990, გვ. 197-217.
დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე, შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბექან გიორგაძისა, თბ., 1977, გვ. 4.
6 იქვე.

და ყველაფერი ეს და ასეთ ვითარებაში ევროპაში ირანის წინააღმდეგ მოკავშირის ძიება მართლაც ავანტიურა იქნებოდა. ი. ტაბაღუა შენიშნავს: „საქართველოს პირველი მტერი ამ დროს იყო სპარსეთი, იმ დროს ქართველი მესვეურები თურქეთში დახმარებასაც კი ეძებდნენ სპარსეთის საწინააღმდეგოდ".[1] აქ აშკარად ცდება მკვლევარი. ირბახის ევროპაში გამგზავრების დროს ირანი აღარ წარმოადგენდა საქართველოსათვის პირველ მტერს და არც თეიმურაზი ეძებდა დახმარებას თურქეთში. მალე მარაბდის ბრძოლის შემდეგ ირან-საქართველოს ურთიერთობის ხასიათი რადიკალურად შეიცვალა; როგორც აღვნიშნეთ, შაჰ-აბასმა მოლაპარაკება დაიწყო თეიმურაზთან. შაჰი შერიგების პირობად მოითხოვდა, რომ თეიმურაზს კავშირი გაეწყვიტა ოსმალეთთან. მოლაპარაკება 1626 წელს შეთანხმებით დამთავრდა — თეიმურაზმა თავი ირანის ვასალად აღიარა, სამაგიეროდ შაჰმა თეიმურაზი ცნო ქართლ-კახეთის მეფედ. ამ შეთანხმებას მოჰყვა განხეთქილება თეიმურაზსა და სააკაძეს შორის. თეიმურაზს მხარს უჭერდა ირანი, სააკაძეს — ოსმალეთი. ასე რომ, აღნიშნულ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს ირანის მხრიდან არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. ამავე დროს თეიმურაზის ირანის მხარეზე გადასვლას ოსმალეთი ღალატად განიხილავდა. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ოსმალეთში თავშეფარებული გიორგი სააკაძე ოსმალეთის ძალის გამოყენებით აპირებდა თეიმურაზის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას. ასე რომ, თეიმურაზისათვის მთავარ საფრთხეს ოსმალეთი წარმოადგენდა. თეიმურაზი შესანიშნავად ერკვეოდა ევროპულ საქმეებშიც, იცოდა იქ არსებული ანტიოსმალური მზადების შესახებ და ამიტომ გაგზავნა ნიკიფორე ირბახი და კავშირი შესთავაზა ესპანეთის მეფეს ოსმალეთის წინააღმდეგ დაგეგმილ ბრძოლაში.

რაც შეეხება იმას, რომ თეიმურაზის წერილში სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზეა ლაპარაკი, ჯერჯერობით მაინც უნდა გავიზიაროთ მ. სვანიძის მოსაზრება, რომ ეს „... უსაფრთხოების მიზნით იყო გაკეთებული. ეს წერილები ხომ თურქეთის ტერიტორიაზე გავლით უნდა ჩაეტანათ ევროპაში".[2] ასეთივე აზრი გამოთქვეს ახლახან გამოცემულ ნაშრომში გ. ჟორდანიამ და ზ. გამეზარდაშვილმა.[3]

ესპანეთში ყურადღებით მოეკიდნენ ანტიოსმალური გამოსვლის იდეას. სამეფო საბჭომ რამდენიმეჯერ განიხილა ეს საკითხი და დადები-

---

[1] ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

[2] მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 205.

[3] Г. Жордания, З. Гамезардашвили, Римско-католическая миссия и Грузия, თბ., 1994.

თად გადაწყვიტა კიდეც. საქმის პრაქტიკული განხორციელებისათვის აუცილებელი იყო რომის პაპის სანქცია და მისი მონაწილეობა ოსმალეთის წინააღმდეგ გამოსვლაში. ამ მიზნით ირბახი მადრიდიდან რომში გაემგზავრა. რომის პაპმა დიდი დაინტერესება გამოიჩინა საქართველოს გაკათოლიკების იდეისადმი, მაგრამ ფაქტობრივად უარყოფითად მოეკიდა ესპანეთის ეგიდით ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას, რომის პაპის პოზიციის მოტივებს სავსებით მართებულად ხსნის პროფ. გ. ჟორდანია: „ისეთ რეალურ პოლიტიკოსს, როგორიც იყო ურბან VIII, სრულიადაც არ აწყობდა არც ესპანელი და ავსტრიელი ჰაბსბურგების, რომელთა მეთაურობით მოქმედებდა ევროპული სახელმწიფოების პროჰაბსბურგული კოალიცია, უნივერსალურ-მონარქიული მისწრაფება მსოფლიო ბატონობისაკენ, არც ესპანეთის მეფის მეთაურობით შექმნილი ანტიოსმალური კოალიცია... ხოლო პაპის მონაწილეობა ანტიოსმალურ კოალიციაში კათოლიკური ეკლესიის მეთაურს გადააქცევდა ესპანეთის მეფის მსახურად, რასაც პაპი განსაკუთრებით უფრთხოდა, რადგან ეს დამოუკიდებლობის დაკარგვით ემუქრებოდა როგორც ყველა ევროპულ, ისე თვით პაპის სახელმწიფოს. ეს კი განსაკუთრებით საშიში იყო იმ პერიოდში, როდესაც ოცდაათწლიან ომში პროჰაბსბურგული კოალიციის წარმატებები აშკარა გახდა“.[1]

ანტიოსმალური კოალიციის შექმნა ვერ მოხერხდა. 1629 წელს ნიკიფორე ირბახი სამშობლოში დაბრუნდა. 1630 წელს თეიმურაზმა რომში ახალი ელჩი, მისიონერი დონ პიეტრო ავიტაბილე გაგზავნა. ავიტაბილეს ხელით პაპმა თეიმურაზს საპასუხო წერილი გამოუგზავნა. რომის პაპი ქებას ასხამდა თეიმურაზს და კმაყოფილებას გამოთქვამდა მისიონერების მხარდაჭერისათვის. რაიმე პრაქტიკული შედეგი არც ამ ელჩობას მოჰყვა.

ბაზალეთის ომის შემდეგ თეიმურაზმა შიდა ქართლი დაიკავა, თბილისსა და ქვემო ქართლს კი სიმონ ხანი ფლობდა. სხვა სირთულეებიც ჰქონდა თეიმურაზს. მას ფაქტობრივად აღარ ემორჩილებოდა უზომოდ გაძლიერებული ზურაბ არაგვის ერისთავი, რომელსაც „სწადოდა, რათა იყოს თეიმურაზ კახ-ბატონად და სვიმონ ქართლისად და ორნივე იყვნენ მკვიდრენი მისნი.“[2] როგორც ჩანს, ზურაბს სურდა, თვითონ ყოფილიყო ქართლ-კახეთის ფაქტობრივი მმართველი, თეიმურაზსა და სიმონს კი მხოლოდ მეფობის სახელს უტოვებდა. არც სიმონ ხანის მეტოქობა იყო თეიმურაზისათვის მოსათმენი. ეს პრობლემა მან „აზიური ეშმაკობით“ გადაჭრა. ფარულად შეუთანხმდა არაგვის ერისთავს, ახალი მამუ-

---

[1] გ. ჟორდანია. ზ. გამეზარდაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 172.
[2] ვახუშტი. დასახ. ნაშრომი. გვ. 437.

ლები აღუთქვა მას და ხარბმა ფეოდალმა ვერაგულად მოკლა სიმონი. ამის შემდეგ ზურაბის ბედიც გადაწყვეტილი იყო. თეიმურაზმა კარგად იცოდა, რომ სიმონ ხანის მკვლელობა შაჰის რისხვას გამოიწვევდა. მან მოაკვლევინა ზურაბი და მისი მოკვეთილი თავი შაჰს გაუგზავნა — ასე რომ, თეიმურაზმა ჩამოიშორა ძლიერი მოწინააღმდეგე და შაჰს ერთგულებაც დაუმტკიცა. ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავს, რომ „ეს ყაენს იამა და ქართლიცა და კახეთიც ბატონს თეიმურაზსს მისცეს და ხალათი და რაყამი გამოუგზავნეს".[1] ე. ი. შაჰმა, ერთი მხრივ, თეიმურაზი ოფიციალურად ცნო ქართლ-კახეთის მეფედ, მეორე მხრივ ქართლ-კახეთის სამეფო ირანის ვასალად გამოაცხადა."[2]

თეიმურაზის მდგომარეობა მაინც მეტად რთული იყო. ქართლში მას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ფარსადან გორგიჯანიძის თქმით, „კახნი ქართლზედ ამაყობდეს და ხმლით დაჱირულს ეძახდეს, უპატიოდაც ეპყრობოდეს. ქართველთ გული გაავებოდა და ბატონის თეიმურაზის ბატონობა არ უნდოდათ".[3] თეიმურაზის ბატონობით უკმაყოფილო ყოფილა მშრომელი მოსახლეობაც, რადგან იგი „თავის ქვეშევრდომებს სასტიკად ეპყრობოდა, ახალი ხარჯი გააწერა და ყველაფერს ძალითართმევდა".[4] თეიმურაზის მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ მის წინააღმდეგ ირანში მოქმედებდა საკმაოდ ძლიერი დაჯგუფება, რომლის სათავეში იდგა იმდროინდელი ირანის ფაქტობრივი გამგებელი, ქართლის ტახტის მაძიებელი ხოსრო-მირზა. ასეთ ვითარებაში საჭირო იყო დინჯი და აუჩქარებელი აწონ-დაწონილი საგარეო პოლიტიკის განხორციელება. თეიმურაზმა კი მეტად გაბედული და წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა.[5] დაუკავშირდა დაუდ ხან უნდილაძეს და მასთან ერთად დაარბია ბარდა და ყარაბაღი. ლაშქრობაში აგრეთვე მონაწილეობდნენ იმერეთის მეფე და სამეგრელოს მთავარიც.[6] ბარდაში მყოფ თეიმურაზთან გამოცხადდა სომეხთა კათალიკოსი ლაშქრით და ირანზე გალაშქრება შესთავაზა. კათალიკოსის გეგმით ამიერკავკასიის ხალხებს ოსმალეთიც დაეხმარებოდა. თეიმურაზმა ასეთ ლაშქრობაზე უარი განაცხადა. ეს მოწმობს, რომ თეიმურაზი ყარაბაღზე ლაშქრობას რომ იწყებდა, არავითარ ფართო გეგმებს არ სახავდა, მისი მიზანი იყო მხოლოდ ნადავლის ხელში ჩაგდება. „თეიმურაზმა ამ ლაშქრობით უარი

---

1 ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ, ნაშრომი, გვ. 30.

2 გ. ჯამბურია, ქართლ-კახეთის დროებითი გაერთიანება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV გვ. 293.

ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა., გვ. 125.

ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. V, გვ. 22.

ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

თქვა ირანის ვასალობაზე, მხარი დაუჭირა შაჰის აჯანყებულ მოხელეს, დაარბია ირანის ტერიტორია (ასე განიხილავდა მას შაჰი) და ირანთან ომი დაიწყო“.[1] სწორად აფასებს ამ ლაშქრობას ივ. ჯავახიშვილი: „თავისი წინდაუხედავი სამხედრო მოქმედებით და საქციელით, ყაჯართა ამოწყვეტითა და ყარაბაღში შესვლით, ძლიესძლიერობით მოწყობილი საქმე თვითვე ჩაშალა და მიყუჩებული ვნებათაღელვის აღგზნებას ხელი შეუწყო, როსტომ-ხანსა და მის მომხრეთ მარჯვე შემთხვევა მიეცათ, როსტომის ხანობა მეფობად დაემშვენებინათ“.[2] თეიმურაზის ამ ყოვლად გაუმართლებელ ლაშქრობას ირანის მხრიდან სწრაფი რეაქცია მოჰყვა. 1632 წ. ქართლი უბოძეს ხოსრო მირზას (როსტომს) და ირანელთა დიდი ჯარით საქართველოში გამოისტუმრეს. თეიმურაზმა ქართლში მცირერიცხოვანი ლაშქრის შეკრებაც ვერ შეძლო. ვერც იმერეთის მეფე დაეხმარა, რადგანაც ამ დროს იმერეთს ლევან დადიანი დასხმოდა თავს. თეიმურაზი იძულებული გახდა, იმერეთისათვის შეეფარებინა თავი.

ირანი, თეიმურაზის დამარცხებისა და გაძევების მიუხედავად, იძულებული იყო, კვლავ გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო. „ეს კომპრომისი გამოიხატა იმით, რომ ირანი უცვლელად ტოვებდა ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ წყობას, ტახტი ბაგრატიონთა დინასტიის ხელში რჩებოდა მაჰმადიანობის პირობითა და „ვალის“ ტიტულით. „გურჯისტანის ვალს“ ხარკი და საჩუქრები უნდა ეძლია ირანისათვის.“[3]

როსტომის მეფობა ქართლში (1632-1658) არაერთგვაროვნად არის შეფასებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ისტორიკოსთა ნაწილი როსტომს ირანის ყურმოჭრილ ყმად მიიჩნევს, რომელსაც ქვეყანა მშვიდობიანი გზით მიჰყავდა ირანიზაციისაკენ. როსტომის პრაქტიკული მოღვაწეობა და მისი მოღვაწეობის ობიექტური შედეგები ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. თეიმურაზიცა და როსტომიც ქართველობისათვის იბრძოდნენ, მხოლოდ სხვადასხვა საშუალებით. როსტომი არჩევდა კომპრომისზე წასვლას, ირანის გარეგნულ მორჩილებას, და ირანული დროშის ქვეშ ქართული საქმის კეთებას.

როსტომი ქართლში გამეფებისას 67 წლის იყო. მისი საქმიანობა გამოირჩეოდა დიდი ენერგიულობით, გონიერებითა და ტაქტით. საერთოდ, როსტომი აღჭურვილი ყოფილა სახელმწიფო მოღვაწისათვის აუცილებელი თვისებებით. როსტომმა საქართველოში ჩამოსვლისათანავე

---

[1] გ. ჯამბურია. დასახ. ნაშრომი. გვ. 294.

[2] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ V. გვ. 25.

[3] გ ჯამბურია. კომპრომისი ირანისა და ქართლის ურთიერთობაში. როსტომ ხანი და თეიმურაზ მეფე იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. გვ. 313.

ცოლად შეირთო აბაშიშვილის ასული ქეთევანი, რომელიც იმავე წელს გარდაიცვალა. როსტომმა გადაწყვიტა, ცოლად შეერთო ლევან დადიანის და მარიამი. ამ ქორწინებას პოლიტიკური სარჩული ჰქონდა. როსტომის მიზანი თეიმურაზის იზოლირება იყო. როსტომისა და დადიანის კავშირი მტრულ გარემოცვაში მოაქცევდა თეიმურაზის მფარველსა და მოკავშირეს, გიორგი იმერთა მეფეს და იმერეთი ვეღარ გაუწევდა თეიმურაზს დახმარებას. სწორად შენიშნავდა ვახუშტი ბატონიშვილი: „ და ამან მოსცა დაი თავისი მარიამ. ესე ჰყო როსტომ, რამეთუ ვინაითგან ბატონის თეიმურაზის მოყუარე იყო გიორგი მეფე იმერთა, და დადიანი და მეფე იმერთა მტრობდნენ“.[1] როსტომთან დამოყვრება დადიანის ინტერესებშიც შედიოდა — როსტომი დადიანს იმერეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა. გარდა ამისა, როსტომის მეშვეობით დადიანი ირანს უკავშირდებოდა, და ირანი მას შეიძლება ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოდგომოდა. როსტომმა, როგორც ვასალმა, თავისი გადაწყვეტილების შესახებ შაჰს აცნობა და ქორწინების ნებართვა სთხოვა. ქართლისა და სამეგრელოს კავშირი შაჰისათვის სავსებით მისაღები იყო, მან როსტომს ქორწინების ნება დართო და საქორწილო საჩუქრები გამოუგზავნა. როსტომმა ლევან დადიანს მოციქულები მიუგზავნა და მარიამის ხელი სთხოვა. როგორც მოსალოდნელი იყო, დადიანმა სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება. მექორწილეები ერთმანეთს საჩხეიძეოში, ბაღდადთან უნდა შეხვედროდნენ. იმერეთის მეფე გიორგი და თეიმურაზ I კარგად ხედავდნენ, ვის წინააღმდეგ იყო მიმართული როსტომისა და დადიანის კავშირი და შეეცადნენ ქორწინების ჩაშლას, საჩხეიძეოში მათ ბრძოლა გაუმართეს დადიანს. დადიანმა გაიმარჯვა, დაატყვევა გიორგი იმერთა მეფე. როსტომმა დადიანს შაჰის საჩუქარი — 50000 მარჩილი გადასცა. გარდა ამისა, შაჰმა ყოველწლიური ათასი თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა ლევან დადიანს. ამ ჯამაგირით ლევან დადიანი ირანის ხელდებული ხდებოდა.[2] როგორც ჩანს, მოვლენების ასეთ განვითარებას შეშფოთება გამოუწვევია ოსმალეთში, იქ გავრცელებულა ხმა, რომ „ხოსრო მირზა დადიანისა და გურიელის დახმარებით, 30000 ყიზილბაშით აპირებს შავი ზღვის ნაპირზე გაჭრას, გონიოსა და ტირებოლოს მიმართულებით“.[3]

როსტომმა საჩხეიძეოდან თბილისში გადმოიყვანა მარიამი და იქორწინა. მარიამ დედოფალი ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა ფეოდალუ-

---

1 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 440-441.

გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 318.

ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1975, გვ. 364.

რი საქართველოს ისტორიაში. კარგად არის ცნობილი მისი დამსახურება ქართული კულტურისა და მეცნიერების წინაშე. ნაკლებად იყო შესწავლილი მისი როლი სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. მკვლევარმა დ. ეღენტმა შესანიშნავად დაასაბუთა, რომ მარიამ დედოფალი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის მმართველობაში, უფრო მეტიც, იგი როსტომთან ერთად განაგებდა ქვეყანას.[1] ამავე დროს, მარიამის მთელი მოღვაწეობა მიმართული იყო ქრისტიანობისა და, მაშასადამე, ქართველობის განმტკიცებისაკენ. როსტომი რომ ირანის ყურმოჭრილი ყმა და ქვეყნის გაყიზილბაშების მოსურნე ყოფილიყო, ცხადია, იგი არ დაუშვებდა მარიამის ასეთ მოქმედებას, პირიქით, არსებობს ცნობები, რომ იგი ყოველნაირად უწყობდა ხელს მარიამის მოღვაწეობას.[2] ერთი ცნობით, როსტომი „მაჰმადიანია, მაგრამ დიდად ხელს უწყობს ქრისტიანებს“.[3]

1634 წელს თეიმურაზმა კახეთიდან გააძევა სელიმ ხანი და ქვეყანას თვითონ დაეუფლა. როსტომმა დიდი ჯარით გაილაშქრა თეიმურაზის წინააღმდეგ. თეიმურაზი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა და მოლაპარაკება დაიწყო როსტომთან. მან მოციქულები გაუგზავნა როსტომს და შერიგება სთხოვა. მოციქულებმა თეიმურაზის წერილიც გადასცეს როსტომს. თეიმურაზი სწერდა: „თავად ნათესავნი ვართო და მერმე ბატონი დედოფალი თქვენი ბიძაშვილი არისო, არც თქვენა გყავს შვილიო და ერთის მეტი არც მე მყავსო და დიდის მეფის ლავარსაბისაო რომ თათართ აწამესო თქვენის მეტი მისგან აღარავინ დარჩომილაო და ბატონის ლევანისაგანო ჩემს მეტი აღარავინ არისო და ყიზილბაშთაგან მრავალი ძალი და უსამართლო მჭირსო.[4] თეიმურაზი როსტომს შაჰთან შუამდგომლობას სთხოვდა, რათა იგი დაეტოვებინათ კახეთში.[5] როსტომი დათანხმდა შერიგებას და ყოველივე ყაენს აცნობა. ოსმალეთი ამ დროს ირანთან გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდა და მიზანშეწონილად ჩათვალა, კვლავ დაეთმო: „ბატონს თეიმურაზს ათასი თუმანი თეთრი და ათასის თუმნის ხალათი გაუგზავნეს და კარგი საიმედო რაყამი მისწერეს, ასე რომ, რაც ამას წინათ შეგიცოდებიაო, ყველა შეგვინდვიათო და ამას უკანო შენ და როსტომ მეფე შერიგდითო, ჩვენ გვეამებისო და ორთავ მრავალს წყალობას გიზამთო“.[6] ასე რომ,

---

1 დ. ეღენტი. ქართლის დედოფალ მარიამის როლი სახელმწიფო განმგებლობაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. 1985, 1. გვ. 101-110.

2 დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე. თბ., 1977, გვ. 14.

3 იქვე. გვ. 57.

4 ფარსადან გორგიჯანიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 36.

5 იქვე.

6 იქვე.

ირანმა კვლავ ოფიციალურად ცნო კახეთის მეფედ ქრისტიანი თეიმურაზი. როგორც ვნახეთ, თეიმურაზსა და შაჰს შორის შუამავლად როსტომი გამოვიდა. რატომ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული მაჰმადიანი როსტომი კახეთიდან ყიზილბაში სელიმ ხანის გაძევებითა და იქ ქრისტიანი თეიმურაზის გამეფებით? ქართველობისათვის მებრძოლი როსტომისათვის ცხადი იყო, რომ ყიზილბაში ხანების ბატონობას კახეთის მაჰმადიანურ სახანოდ გადაქცევა მოჰყვებოდა. ამიტომ ერჩია მას, კახეთში ქართველობისათვის შეუპოვარი მებრძოლი თეიმურაზი ეხილა. როსტომს მაშინ, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ მალე თეიმურაზი მას ქართლის ტახტსაც შეეცილებოდა.

დაზავება თეიმურაზმა დაარღვია. იგი არ კმაყოფილდებოდა კახეთის ტახტით და დაჟინებით ცდილობდა როსტომის გაძევებას და ქართლის დაუფლებას. მან თავისი ერთგული ქართლის თავადების მონაწილეობით შეთქმულებები მოუწყო როსტომს, მკვლელებიც მიუგზავნა, აშკარადაც შეებრძოლა, მაგრამ უშედეგოდ. თეიმურაზი შეეცადა, დახმარება რუსეთიდან მიეღო. 1635 წელს მოსკოვში ჩავიდა თეიმურაზის ელჩობა მიტროპოლიტ ნიკიფორეს მეთაურობით. ელჩმა ხელმწიფის კარს თეიმურაზის წერილი წარუდგინა. თეიმურაზი ქვეშევრდომობაში შესვლას და მფარველობას თხოულობდა.[1] კონკრეტულად თხოულობდა ლეკებისაგან დაცვას.[2] თეიმურაზის ელჩს მოსკოვმა 1637 წელს თავისი ელჩები: თევდორე ვალკონსკი და არტემ ხვატოვი გამოაყოლა. ელჩებს ჰქონდათ მთავარი დავალება — დაეფიცებინათ თეიმურაზი რუსეთის მეფის ერთგულებაზე. ამავე დროს მფარველი არ ჰპირდებოდა ხელდებულს სამხედრო ჩარევას ირანთან ურთიერთობაში და მხოლოდ დიპლომატიური ჩარევის გარანტიას იძლეოდა.[3] ელჩებთან მოლაპარაკებისას თეიმურაზმა ფიცის მიღების პირობად მოითხოვა, რომ რუსეთს კახეთის მახლობლად ციხე-სიმაგრე აეგო და მიეღწია იმისათვის, რომ ირანს თეიმურაზისთვის ქართლი დაებრუნებინა.[4] ელჩებს, ცხადია, არ შეეძლოთ ამ საკითხებზე რაიმე დაპირების მიცემა და ბოლოს და ბოლოს თეიმურაზი იძულებული გახდა, ყოველგვარი პირობის გარეშე, მიეღო რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცი. 1639 წლის აპრილის ბოლოს რუსი ელჩები სამშობლოში გაემგზავრნენ. მათ მიჰყვებოდა თეიმურაზის ელჩი ნიკიფორე მიტროპოლიტი. არც ამ ელჩობას მოჰყოლია რაიმე რეალური შედეგი. თეიმურაზი ოსმალეთზედაც ამყარებდა გარკვეულ იმედებს,

---

1 თ. ტივაძე. თეიმურაზ პირველი. გვ. 83.
იქვე. გვ. 84.
იქვე. გვ. 87
М. Полиевктов. Материалы.., გვ. 280.

მაგრამ 1639 წელს ირან-ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, რომელიც დიდხანს აღარ დარღვეულა.

საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ შევეხოთ ისეთ საკითხს, როგორიც იყო ლევან დადიანის მიერ რუსეთში ელჩობის გაგზავნა. 1636 წელს სამეგრელოს მთავარმა მოსკოვში გაგზავნა ელჩობა მთავრის კარის მღვდლის გაბრიელ გეგენავას მეთაურობით. დადიანის მიერ რუსეთში ელჩის გაგზავნის მიზეზი სავსებით სწორად ახსნა ნ. ნაკაშიძემ: „ლევან დადიანის ირანთან დაახლოება შეუმჩნეველი არ დარჩენია თურქეთს. 1634 წლის მაისში თურქები გადმოსხდნენ კოდორის კონცხთან და ააოხრეს დრანდის მონასტერი... დადიანი შეშფოთებული იყო თურქეთთან ურთიერთობის გაუარესებით და გადაწყვიტა, უსაფრთხოების ზომები მიეღო. მით უმეტეს, რომ მისი მოკავშირისა და სიძის როსტომის პოზიციები 1635 წელს არამყარი ჩანდა: ქართლისა და კახეთის მსხვილი ფეოდალებისა და ეკლესიის მხარდაჭერით თეიმურაზის გამეფება ერთი მხრივ და მეორე მხრივ, მურად IV-ის სპეციალურად მომზადებული არმიის მოსალოდნელი ლაშქრობა სპარსეთის სამფლობელოების წინააღმდეგ, საკმაო საფუძველს იძლეოდა საამისოდ. ამას უნდა დავუმატოთ ცნობა თეიმურაზის მიერ რუსეთში ელჩის გაგზავნის შესახებ, რაც დადიანს არ გამოეპარებოდა. შეიქმნა ისეთი ვითარება, თითქოს დადიანი იზოლაციაში აღმოჩნდა.[1] როგორც ჩანს, დადიანის მიზანი იყო იზოლაციიდან თავის დაღწევა და იმერეთ-კახეთის კავშირის ჩაშლა. დადიანი რუსეთის ხელმწიფეს სთხოვდა მფარველობაში მიღებას და სამეგრელოში საპასუხო ელჩობის გამოგზავნას. მოსკოვში ყურადღებით მოეკიდნენ დადიანის თხოვნას. 1639 წლის მაისში გეგენავა სამშობლოში გამოისტუმრეს და გამოაყოლეს რუსი ელჩები — თევდორე ელჩინი და პავლე ზახარინი. ელჩებს დადიანი ერთგულებაზე უნდა დაეფიცებინათ. ელჩები სამეგრელოში ჩამოვიდნენ 1639 წლის 13 ნოემბერს. დადიანმა ელჩები მიიღო მხოლოდ 1640 წლის აპრილში. რუსეთის მფარველობაში შესვლაზე დადიანს სიტყვაც არ დაუძრავს. ელჩების ცივად მიღებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა — დადიანის მდგომარეობა განმტკიცებულიყო. ასევე მტკიცედ ფლობდა ტახტს მისი მოკავშირე როსტომი. 1639 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე გიორგი. იმავე 1639 წელს ირან-ოსმალეთს შორის დაიდო ზავი. ასეთ ვითარებაში რუსეთის მფარველობაში შესვლა და ამით ოსმალეთის გაღიზიანება, რა თქმა უნდა, აღარ შედიოდა დადიანის ინტერესებში".[2] ასე რომ, რუსი ელჩები ხელმოცარული გაბ-

---

[1] Н. Накашидзе, Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб., 1968, გვ. 141.

[2] იქვე, გვ. 143.

რუნდნენ უკან. მიტროპოლიტი ნიკიფორე მოსკოვმა საქართველოში გამოისტუმრა 1641 წლის ივნისში. თეიმურაზის ელჩს გამოაყოლეს რუსი ელჩები: ეფიმ მიშეცკი და ივანე კლიუჩარევი (ივანე კლიუჩარევმა საქართველომდე ვერ ჩააღწია, გზაში თერგის ციხე-სიმაგრეში გარდაიცვალა). 1642 წლის აგვისტოში მიშეცკი ჩავიდა კახეთში. თეიმურაზს სამხედრო დახმარებაზე კვლავ უარი უთხრეს. გარკვეული მატერიალური დახმარება კი აღმოუჩინეს.

თეიმურაზმა ახალი ელჩი, გიორგი ჩოლოყაშვილი მოსკოვში გაგზავნა 1646 წელს. თეიმურაზი ითხოვდა დახმარებას ლეკების წინააღმდეგ და შაჰთან შუამდგომლობას ქართლის დაბრუნების საქმეში (თეიმურაზს საკუთარი გამოცდილებიდან უნდა ცოდნოდა, რა მოჰყვებოდა ასეთ შუამდგომლობებს). მოსკოვმა მართლაც გააგზავნა 1647 წელს შიკრიკი გრიგოლ ბულგაკოვი და შაჰს სთხოვა, თავი შეეკავებინა საქართველოს მიმართ მტრული მოქმედებისაგან.[1] საინტერესოა, რომ შაჰის საპასუხო წერილში, რომელიც ბულგაკოვმა ჩამოიტანა მოსკოვში, შაჰი დაპირებას იძლეოდა, არ შეაწუხებდა თეიმურაზს, და ეს იმ დროს, როდესაც ირანმა უკვე გადაწყვიტა თეიმურაზის საბოლოო გაძევება. ირანი ვერ ითმენდა რუსეთის ჩარევას საქართველოს საქმეებში. ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი წერდა: „გასაჭირში ჩავარდნილმა თეიმურაზმა დახმარებისათვის მოსკოვს მიმართა. მოსკოვის მეფემ ელჩი ბულგაკოვი მიავლინა ყაენთან და თეიმურაზის ხელშეუხებლობა სთხოვა „მეგობარს“. ამ ელჩობამ სრულიად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო.“[2] 1648 წელს თეიმურაზსა და როსტომს შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა. თეიმურაზი სასტიკად დამარცხდა. ბრძოლაში დაიღუპა თეიმურაზის ვაჟი დავითი. თეიმურაზი კახელებმაც მიატოვეს. მის მიერ წარმოებული ბრძოლების შედეგად კახეთის ბარი გადაშენების პირზე იყო მისული. ამ გარემოებამ კახელ თავადებს გული გაუტეხა და როსტომთან შერიგების გზას დაადგნენ.[3] თეიმურაზს მომხრეები თითქმის აღარ შერჩა: „ბატონს თეიმურაზს ყველგნით ღონე მოელო, აღარც სითმე მშველი და აღარც სახაზარი ალაგი, აღარც წასასვლელი გზა, არც ასაყრელათ ცხენნი და ჯორი, აღარც მოხელე და მოსამსახურენი, კახნიც ქართველთ მისვლოდეს“...[4] თეიმურაზს ტყვედ ჩავარდნა ელოდა. აღსანიშნავია, რომ როსტომს თეიმურაზის ყოფილი თანამებრ-

---

[1] М. Броссе, Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, от 1639 по 1770,СПб., 1861, გვ. 62.
ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VI, გვ. 262.
გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 323.
ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

ძოლები ურჩევდნენ თეიმურაზის დატყვევებას“.[1] როსტომმა თეიმურაზის დატყვევებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. თეიმურაზმა როსტომთან დიპლომატიური მისიით დედოფალი ხორეშანი გააგზავნა. თეიმურაზის დავალებით ხორეშანმა კახეთში დარჩენის უფლება სთხოვა როსტომს.[2] თუ ფარსადან გორგიჯანიძეს ვენდობით, როსტომი ფიქრობდა კიდეც, არ გაეძევებინა თეიმურაზი, მაგრამ თეიმურაზის მოწინააღმდეგეებმა დაარწმუნეს, ამით ყაენს გაანაწყენებო.[3] და ბოლოს როსტომმა დედოფალს უარი მოახსენა. სამაგიეროდ ცხენები მისცა და იმერეთისკენ უვნებლად გაატარა. ასე რომ, თეიმურაზის ხანგრძლივი ბრძოლა ქართლის დაუფლებისათვის მისი სრული მარცხით დამთავრდა. იგი არა თუ ქართლს ვერ დაეუფლა, კახეთიც დაკარგა. მართალია, ქართლ-კახეთის გაერთიანებას[4] პროგრესული მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ თეიმურაზის ბრძოლა უპერსპექტივო იყო და მან ქვეყანას განადგურების მეტი არაფერი არ მოუტანა. თეიმურაზის ბრძოლა უპერსპექტივო იყო იმიტომ, რომ როსტომმა თავისი ჰკვიანური და მოქნილი პოლიტიკით მიიმხრო არამარტო ქართლის მაღალი ფეოდალური საზოგადოების დიდი ნაწილი, არამედ კახეთისაც. გარდა ამისა, ირანი უკიდურეს დათმობაზე წავიდა მაშინ, როდესაც 1634 წელს ოფიციალურად ცნო თეიმურაზი კახეთის მეფედ და არავითარ შემთხვევაში არ მოითმენდა ქართლიდან თავისი ვასალის განდევნას და ქართლ-კახეთის გაერთიანებას თეიმურაზით სათავეში. როცა ეხება როსტომის გამარჯვების უმთავრეს მიზეზს, ნ. ბერძენიშვილი წერს: „როსტომმა სწორედ იმით გაიმარჯვა, რომ ქართველობას შეურიგებელი ბრძოლა არ გამოუცხადა. როსტომის ღონისძიებები ქართულ საზოგადოებრივ და სამეურნეო წყობას არ შეხებია. აქ ყველაფერი უცვლელად დარჩა. არც ქრისტიანობა განიცდიდა მის დროს აშკარა დევნას, გამაჰმადიანება უმთავრესად ფეოდალ მოხელეთა უმაღლეს წრეებს ეხებოდა. სამაგიეროდ ქვეყანა დიდი ხნის ნანატრ მშვიდობიანობას ელირსა“.[5]

როსტომისა და თეიმურაზის ურთიერთობის განხილვისას არ შეიძლება არ შევეხოთ ერთ საკითხს: რატომ იყო, რომ როსტომი თეიმურაზთან თითქმის ყოველთვის შერიგებას ცდილობდა და არ სურდა კახეთიდან თეიმურაზის განდევნა. ფარსადან გორგიჯანიძე ამას როსტომის რაინდული ბუნებით ხსნის, რაც, რასაკვირველია, სწორი არ არის.

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 48.

[2] იქვე. გვ. 50.

[3] იქვე. გვ. 49.

[4] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით. თბ., 1943. გვ. 310.

[5] ი. ცინცაძე. თეიმურაზ პირველი, „ლიტერატურული გაზეთი“, 1963 წლის 20 დეკემბერი.

როსტომი კარგად ხედავდა, რომ თეიმურაზის ენერგიული ბრძოლა ირანის წინააღმდეგ განაპირობებდა შაჰის შედარებით ლოიალურ პოლიტიკას ქართლისა და თვით როსტომისადმი. ეს კი როსტომს საშუალებას აძლევდა, მშვიდობიანი გზით ეკეთებინა ის საქმე, რომლის გაკეთებასაც თეიმურაზი იარაღით ცდილობდა.[1]

1639 წლის ირან-ოსმალეთის ზავის დადების შემდეგ თეიმურაზის ერთადერთ იმედად რუსეთი რჩებოდა. თეიმურაზის ინიციატივით ალექსანდრე მესამემაც გადაწყვიტა რუსეთში ელჩის გაგზავნა. 1649 წლის 13 აგვისტოს თეიმურაზ პირველისა და ალექსანდრე მესამის ელჩები მოსკოვს ჩავიდნენ და ხელმწიფეს წარუდგინეს ქართველ მეფეთა წერილები. თეიმურაზი რუსეთს ატყობინებდა კახეთიდან მისი განდევნის ამბავს და დასძენდა, რომ ეს განდევნა რუსეთის მიმართ მისმა ორიენტაციამ გამოიწვია.[2] რომ მხოლოდ დიპლომატიური გამოსარჩლება არ კმაროდა და თხოულობდა 20000 კაციანი ჯარის გამოგზავნას.[3] თეიმურაზის წერილთან ერთად რუსეთის სახელმწიფო კარს წარუდგინეს ალექსანდრე მესამის წერილიც. იმერეთის მეფე სთავაზობდა, რომ რუსეთს მფარველობის ხელი დაედო იმერეთზე. ამავე დროს, ალექსანდრე სთხოვს ხელმწიფეს, აუსრულოს თეიმურაზს თხოვნა და გამოგზავნოს საქართველოში ოცი ათასი ჯარისკაცი.[4]

რუსეთმა ყურადღება მიაქცია ამ ელჩობას. თეიმურაზ პირველის ქართლ-კახეთიდან განდევნის შემდეგ იმერეთი რჩებოდა რუსეთის ერთადერთ დასაყრდენად ამიერკავკასიაში, ამიტომ გადაწყვიტა იმერეთში საპასუხო ელჩობის გამოგზავნა. 1650 წლის 22 მაისს იმერეთში გამოემგზავრნენ რუსეთის ელჩები: ნიკიფორე ტოლოჩანოვი და ალექსი იევლევი. მათ დავალებული ჰქონდათ, შეესწავლათ იმერეთის მდგომარეობა, მიეღებინებინათ ალექსანდრე მესამისათვის რუსეთის ერთგულების ფიცი და ამავე დროს ეწარმოებინათ მოლაპარაკება თეიმურაზ პირველთან. ელჩებისათვის მიცემული ინსტრუქციიდან ყურადღებას იპყრობს ერთი ადგილი: „თუკი იმერეთში ჩასვლამდე გზაში გაიგოთ, რომ მეფე ალექსანდრე აღარ მეფობს იმერეთში, რომ იგი ყიზილბაშთა შაჰმა განდევნა და მის ადგილზე თავისი რომელიმე ხანი ან თუ გინდ თვით ალექსანდრეს ვაჟი შაჰმა იმერეთის ტახტზე დასვა... მაშინ ნიკიფორე და ალექსი

---

1 ი. ცინცაძე, თეიმურაზ პირველი, „ლიტერატურული გაზეთი", 1963 წლის 20 დეკემბერი.

ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1970, გვ. 34.

იქვე. გვ. 35.

იქვე.

იმ ახალ მეფესთან არ უნდა მივიდნენ და გზიდან უკან დაბრუნდნენ. მეტად საინტერესო დეტალია. აქედან კარგად ჩანს რუსეთის პოზიცია ირანის მიმართ. როგორც ვხედავთ, რუსეთი იმერეთშიც კი ერიდება ირანთან დაპირისპირებას, მითუმეტეს, არ ჩაერეოდა ქართლ-კახეთის საქმეებში.

იმერეთში ჩამოსვლისთანავე რუსმა ელჩებმა ურთიერთობა დაამყარეს თეიმურაზთან. აღმოჩნდა, რომ ელჩების მიზანი მხოლოდ უფლისწულ ერეკლეს მოსკოვში წაყვანა იყო. მაგრამ თეიმურაზი მოსკოვიდან დამხმარე ძალას ელოდა, ტოლოჩანოვმა და იევლევმა კი მას მხოლოდ დაპირებები ჩამოუტანეს. იმედგაცრუებულმა თეიმურაზმა ელჩებს განუცხადა: „მე რომ ჩემი შვილიშვილი ხელმწიფეს გავუგზავნო და იმან კი (ხელმწიფემ) ჩემი სამეფოს, კახეთის გათავისუფლება არ ინებოს, მაშინ რაღა აზრი ექნება მის გაგზავნას".[1] ელჩებმა თეიმურაზს უპასუხეს, რომ შენ ერეკლე გამოუშვი და ნახავ ხელმწიფე რამდენ წყალობას გამოიჩენს, შაჰსაც მისწერს, რომ აღარ შეგაწუხოსო.[2] თეიმურაზმა საკუთარ თავზე გამოსცადა, რა შედეგიც მოჰყვა ასეთ შუამდგომლობებს. ერთადერთი, რასაც შეეძლო მისთვის ტახტის დაბრუნება, რუსთა ჯარის ჩამოსვლა იყო. ამაზე კი ელჩებმა გადაჭრით განუცხადეს უარი. ტოლოჩანოვთან და იევლევთან მოლაპარაკების დროს ლევან დადიანმა თეიმურაზი იმერეთში მიიწვია.[3] ალექსანდრე მესამემაც სთხოვა თეიმურაზს, გამგზავრებულიყო სამეგრელოში, რათა ზავი ჩამოეგდო სამეგრელოსა და იმერეთს შორის. თეიმურაზს, როგორც ჩანს, რუსეთის იმედი აღარ ჰქონდა და დათანხმდა მოლაპარაკებაზე. მას სურდა, შეერიგებინა ალექსანდრე მესამე და ლევან დადიანი და შემდეგ ამ უკანასკნელისაგან მიეღო სამხედრო დახმარება. მუხლობრივ აღწერილობაში ვკითხულობთ: „თეიმურაზ მეფე თავისი აზნაურებით ჩამოვიდა ქუთაისში, სადადიანოში მიდის, რათა დადიანი ალექსანდრე მეფესთან შეარიგოს, თვითონაც შეურიგდეს მას, აგრეთვე (ვარაუდობს) დადიანმა იქნებ კახეთის გამოსახსნელად ხალხი მიაშველოს, და თუ ის სადადიანოს მთავარს შეურიგდა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენთვის ეს კეთილს არას მოასწავებს."[4] დადიანთან მოლაპარაკება ზუგდიდში უშედეგოდ დასრულდა. თეიმურაზი ქუთაისში დაბრუნდა, მაგრამ, ჩანს, დადიანთან მოლაპარაკება გაგრძელდა. სანამ თეიმურაზისა და დადიანის მოლაპარაკება გრძელდებოდა, რუსმა ელჩებმა გადაწყვიტეს უკან გაბრუნება. მათ და-

---

1 ტოლოჩანოვის.., გვ. 72.
2 იქვე. გვ. 73.
ვახუშტი ბაგრატიონი, ცხოვრება იმერეთისა, იხ. „ქართლის ცხოვრება", IV. გვ. 200.
ტოლოჩანოვის.., გვ. 78.

ქინებით მოსთხოვეს თეიმურაზს ერეკლე. თეიმურაზი აფერხებდა ელჩების გამგზავრებას, უცდიდა დადიანთან მოლაპარაკების საბოლოო შედეგს. ელჩების უკან დაბრუნება რომ შეეფერხებინა, მან ავადმყოფობა მოიმიზეზა და მათ მიღებაზე უარს აცხადებდა. თეიმურაზის ვარაუდი, როგორც ჩანს, ასეთი იყო — თუ დადიანისა და ალექსანდრე მესამის დახმარებით გაათავისუფლებდა კახეთს, მაშინ ერეკლეს რუსეთში გაგზავნა და რუსეთის დახმარება, რომლის მიღება მაინც არ ხერხდებოდა, საჭირო აღარ იქნებოდა. ამიტომ დადიანთან მოლაპარაკების საბოლოო შედეგების გარკვევამდე თეიმურაზს სურდა ელჩების რუსეთში დაბრუნების შეჩერება. ტოლოჩანოვსა და იევლევს შეატყობინეს თეიმურაზის მოქმედების მიზანი.[1] ელჩებს ჰქონდათ საფუძველი თეიმურაზის უკმაყოფილებისა. ამასობაში „ სადადიანოდან მეფე თეიმურაზთან ლევან მეფის ელჩები ჩამოვიდნენ... და მათთან ერთად მეფე თეიმურაზის კაცებიც, მეფე თეიმურაზმა რისთვისაც თავისი კაცები გაგზავნა, მთავარმა დადიანმა ყველაფერზე უარი შემოუთვალა".[2] ასე რომ, დადიანთან მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, ქვეყნის შინაგანი ძალების გაერთიანება არ მოხერხდა. ამავე დროს საკმაოდ დაიძაბა ურთიერთობა თეიმურაზსა და ელჩებს შორის. დადიანთან მოლაპარაკების დამთავრებისთანავე თეიმურაზმა „ავადმყოფობას" თავი დაანება და სასწრაფოდ მიიღო რუსი ელჩები და სცადა, მათთან ნორმალური ურთიერთობა აღედგინა, მაგრამ ეს უკვე არც ისე ადვილი იყო. ელჩები არ მალავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას. მთავარი კი ის იყო, რომ თეიმურაზმა ელჩებს ერეკლე არ გააყოლა. √

რუსეთში გაბრუნებულ ელჩებს თეიმურაზმა თავისი ელჩი გაატანა, რომელმაც ხელმწიფეს წერილი გადასცა. ამ წერილში თეიმურაზი სწერდა: ,ვთხოვე შენს ელჩს ნიკიფორეს მოეცადა, მაგრამ მან მე არ მომიცადა, მისცეს მას სხვა მხრიდან ფული და ამიტომ არ უსმინა ჩემს სიტყვას".[3] ამ ცნობასთან დაკავშირებით ი. ცინცაძე შენიშნავდა: „რა საფუძველი ჰქონდა თეიმურაზს, როცა ასეთ მძიმე ბრალდებას უყენებს ელჩს, ძნელი სათქმელია, ტოლოჩანოვს ამ ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში ოთხად დაჭრა (четвертование) მოელოდა... რატომ გაიმეტა თეიმურაზმა ტოლოჩანოვი, თუ მას რაღაც საამისო ფაქტი არ ჰქონდა?[4] მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, რომ თეიმურაზმა ტოლოჩანოვს უმიზეზოდ დასდო ბრალი. საკითხავია, ვის გულისხმობდა თეი-

---

1 ტოლოჩანოვის.., გვ. 81.

2 იქვე. გვ. 85.

3 М. Броссе, Переписка.., გვ. 70.

4 ი. ცინცაძე. ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965, გვ. 37.

მურაზი ტოლოჩანოვისათვის ქრთამის მიმცემად? თეიმურაზის მთავარი პოლიტიკური მოწინააღმდეგე იყო როსტომი, და თუ მართლა იყო ტოლოჩანოვის გადაბირების მცდელობა, ეს როსტომ მეფის მხრიდან არის მოსალოდნელი. წყაროთა მონაცემებით, ირკვევა, რომ იმერეთში მყოფ ტოლოჩანოვს კავშირი ჰქონდა თბილისთან. ყურადღებას იპყრობს ტოლოჩანოვის შემდეგი ცნობა: „აგვისტოს 13. სომეხმა ვაჭარმა ვინმე შეშუმ ელჩებს რუსულად დაწერილი პატარა ბარათი გადმოგვცა და გვითხრა, რომ ეს ბარათი თბილისიდან ჩემმა კაცმა ჩამოიტანაო".[1] ეს წერილი გამოუგზავნია მხატვარ ივანე დანილოვს, რომელიც მარიამ დედოფლის ბრძანებით, ეკლესიების მოხატვაზე მუშაობდა. დანილოვი ელჩს ატყობინებდა, რომ მან უდიდესი მნიშვნელობის ამბები იცის თეიმურაზისა და მისი სახელმწიფოს შესახებ.[2] აღსანიშნავია, რომ მალე ვაჭარმა შეშუმ ელჩებს დანილოვისგან გამოგზავნილი კიდევ სამი ბარათი გადასცა.[3] როგორც ვნახეთ, დანილოვი აპირებს დიდი მნიშვნელობის საქმე შეატყობინოს ტოლოჩანოვს. ვფიქრობთ, ეს საქმე როსტომ მეფეს შეეხებოდა. ამ აზრს აძლიერებს ის გარემოება, რომ მალე მხატვარ ივანე დანილოვს ვხვდებით არსენ სუხანოვის გარემოცვაში, როგორც თარჯიმანს. ივანე დანილოვის თანდასწრებით, ქართველი მოღვაწეები (როსტომის მომხრეები) ესაუბრებიან არსენს ფრიად დიდმნიშვნელოვან და საიდუმლო პოლიტიკურ საკითხებზე. ცხადია, დანილოვი მარტო მხატვრის როლს არ ასრულებდა როსტომის კარზე — იგი ახორციელებდა თბილისის კავშირს რუსეთის ელჩებთან.

თეიმურაზი რეალურ დახმარებას მოელოდა რუსეთიდან და ამიტომ შესთავაზა რუსეთის ხელმწიფეს ერეკლეს გაგზავნა მოსკოვში. იქ ერეკლეს ჩასვლის წინადადებას კმაყოფილებით შეხვდნენ, რადგან რუსეთის სამეფო კარზე აღზრდილი ბატონიშვილის გამოყენება რუსეთისათვის სასარგებლო შეიძლებოდა ყოფილიყო მომავალში, როდესაც დადგებოდა ხელსაყრელი მომენტი.[4] ტოლოჩანოვმა თეიმურაზს გადაჭრით უთხრა უარი სამხედრო ძალით დახმარებაზე. თეიმურაზმა სამეგრელოს მთავრის დახმარებით დააპირა ტახტის დაბრუნება. რუსეთის ელჩებს ერეკლეს მოსკოვში გაგზავნაზე უარი განუცხადა. დადიანთან მოლაპარაკება უშედეგო გამოდგა. თეიმურაზს სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა, კვლავ რუსეთში უნდა ეძია დახმარება. მაგრამ ამასობაში თეიმურაზით უკმაყოფილო ელჩებმა კავშირი დაამყარეს როსტომთან. ეს თეიმურაზი-

---

1 ტოლოჩანოვის..., გვ. 77.
2 იქვე. გვ. 195.
3 იქვე. გვ. 77.
4 Ш. Месхиа, Я. Цинцадзе, Из истории русско-грузинских взаимоотношений, Тб., 1958, გვ. 75.

სათვის კარგს არაფერს მოასწავებდა და მან ტოლოჩანოვს ღალატი დასწამა.[1]

მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ტოლოჩანოვს კავშირი ჰქონდა როსტომთან და რომ როსტომი უკვე ამ დროს არის დაინტერესებული მოსკოვთან კავშირით, ადასტურებს როსტომის მიერ ელჩის გაგზავნა მოსკოვში და შემდეგ არსენ სუხანოვთან წარმოებული მოლაპარაკება. როსტომის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის მთელი ოფიციალური მხარე მას, როგორც თანამედროვეთა, ისე ისტორიკოსთა თვალში, ირანის შაჰის ერთგულ ქვეშევრდომად სახავდა, ამიტომ გაოცებას იწვევს ელჩის გაგზავნა. როსტომის „...პოლიტიკის ძირითადი მიმართულებით თუ ვიმსჯელებთ, — წერს პროფ. ი. ცინცაძე, — რუსეთის სამეფო კარზე წარგზავნილი ელჩობა და საჩუქრები ჩვეულებრივ მოვლენად არ ჩაითვლება და ამდენად ინტერესი ამ ფაქტისადმი ძლიერდება“.[2] როსტომის მიერ მოსკოვში ელჩის გაგზავნა, როგორც ირკვევა, შაჰის ნებართვითა და დავალებით მოხდა.[3] გასარკვევია, რატომ მოხდა, რომ შაჰი რუსეთში აგზავნის ელჩს არა თავისი სახელით, არამედ როსტომის სახელით.. რუსეთ-ირანს შორის არსებული ხანგრძლივი „მეგობრობა“ 1650 წელს დაირღვა. ამ წელს წარმოიშვა პირველი სერიოზული კონფლიქტი რუსეთსა და ირანს შორის. რუსეთში გაძარცვეს ირანელი ვაჭრების ქარავანი. ირანმა პასუხისმგებლობა რუსეთის მთავრობას დააკისრა და საპასუხო ზომები მიიღო,[4] მაგრამ არცერთი მხარე, განსაკუთრებით ირანი, არ იყო დაინტერესებული კონფლიქტის შემდგომი გაღრმავებით, ირანი იჩენს ინიციატივას მდგომარეობის გამოსასწორებლად. ირანის შაჰი შემახის მფლობელის პირით ეუბნება სუხანოვს, თუ ხელმწიფე ელჩს გამოგზავნის, თერგსა და ასტრახანზე არ ვილაშქრებ, მას დაველოდები, რათა მდგომარეობა გამოვასწოროთო.[5] როგორც ვხედავთ, შაჰი მოლაპარაკებას შუამავლის მეოხებით აწარმოებს. ვფიქრობთ, რომ ასეთივე როლი უნდა შეესრულებინათ როსტომსა და მის ელჩს, რადგან დიპლომატიური ურთიერთობა ამ დროს მოსკოვსა და ისპაჰანს შორის გაწყვეტილი იყო. როსტომის ელჩი მაჰმად-ხან ბეგი მოსკოვში მიდის შაჰის ბრძანებით რუსეთ-ირანის კონფლიქტის

---

[1] მიუხედავად მეტად მძიმე ბრალდებისა, ტოლოჩანოვი მოსკოვში არ დაუსჯიათ. იგი მონაწილეობდა პოლონეთთან ომში. მალე კი ქალაქ ატემარის აზნაურთა თავად ნიშნავენ. ცხადია, ტოლოჩანოვის მოქმედება რუსეთის ინტერესებში შედიოდა და მოსკოვის სამეფო კარმა მის მიმართ თეიმურაზის წამოყენებულ ბრალდებას ყურადღება არ მიაქცია.

[2] ი. ცინცაძე. ვასილ გაგარასა და.., გვ. 35.

[3] იქვე; დ. კაპარავა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის XVII ს. 50-იან წლებში. „მაცნე“. თბ., 1968, 1, გვ. 112.

[4] История Ирана с древнейших времен до конца 18 в. М., 1958, გვ. 298.

[5] ი. ცინცაძე, ვასილ გაგარასა და.., გვ. 79.

მოსაწესრიგებლად.[1] გარდა შაჰის ოფიციალური დავალებისა, ვფიქრობთ, მაჰმად-ხან ბეგს უნდა შეესრულებინა როსტომის საიდუმლო დავალებაც. მივმართოთ ფაქტებს:

თეიმურაზ პირველმა დროზე შეიტყო როსტომის მიერ რუსეთში ელჩის გაგზავნის ამბავი, რამაც საფუძვლიანად შეაშფოთა იგი. მან მაშინვე თავისი ელჩი, ვინმე პაპუნა დაადევნა მაჰმად-ხან ბეგს. პაპუნამ დაასწრო კიდეც მეტოქეს და ივნისში ჩააღწია თერგს, მაჰმად-ხან ბეგი კი მხოლოდ ივლისში ჩავიდა იქ. პაპუნა ბევრს ეცადა. დაერწმუნებინა რუსეთის ვოევოდები, არ გაეშვათ როსტომის ელჩი მოსკოვში. რა იყო თეიმურაზის შეშფოთების მიზეზი? რა უნდა ეთქვა როსტომის ელჩს მოსკოვში ისეთი, რომ რუსეთს თეიმურაზისთვის ზურგი შეექცია? როსტომი ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევდა, თუ მოსკოვს შესთავაზებდა რუსეთთან კავშირს. ასეთ შემთხვევაში თეიმურაზს მართლაც ჰქონდა შეშფოთების საფუძველი, რადგანაც რუსეთისათვის გაცილებით ხელსაყრელი იქნებოდა რეალური ხელისუფლების მეფესთან კავშირი.

თეიმურაზისათვის ძნელი მისახვედრი არ იქნებოდა, თუ როგორ შეხვდებოდა მოსკოვი როსტომის წინადადებას კავშირის შესახებ. ამით უნდა აიხსნას თეიმურაზის მოქმედება როსტომის ელჩის წინააღმდეგ. ამ ვარაუდს უნდა ადასტურებდეს არსენ სუხანოვის ცნობები. არსენ სუხანოვი XVII ს-ის ცნობილი რუსი საეკლესიო მოღვაწეა. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ხელმწიფის კარზე და ხშირად ასრულებდა მნიშვნელოვან დიპლომატიურ დავალებებს. მასთან მოლაპარაკებას ისე აწარმოებდნენ, როგორც რუსეთის სრულუფლებიან ელჩთან. 1652 წელს იერუსალიმიდან სამშობლოსკენ მიმავალი სუხანოვი საქართველოში ჩამოვიდა. როსტომი დაინტერესდა არსენის ჩამოსვლით თბილისში, თარჯიმანი გაუგზავნა და ჩამოსვლის მიზანი გამოიკითხა. თვითონ როსტომს არ შეეძლო სუხანოვის მიღება, მასთან ურთიერთობა დაამყარეს ქართლის კათალიკოსმა და თბილისის ეპისკოპოსმა. მეტად საყურადღებოა არსენის საუბარი კათალიკოსთან: „კათალიკოსმა არსენი სადილზე მოიწვია, თავისთან ახლოს დასვა მარცხენა მხარეს და მჯდომარე ამბობდა: ჩვენი მეფე თუმცა მაჰმადიანი არის, მაგრამ ჩვენს მიმართ მოწყალეა, მისგან არავითარი საწყენი არ შეგვხვედრია. თქვენი ხელმწიფე რომ ჩვენს ქვეყანას დაიკავებდეს, ჩვენს ხანს ეს გაუხარდება კიდეცო".[2] ასევე ნიშანდობლივია სუხანოვისა და თბილელის საუბარი: „ხელმწიფე

---

[1] დ. კაპარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113; თ. ტივაძე. საქართველოს და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში. თბ., 1977, გვ. 58.

[2] ი. ცინცაძე, ვასილ გაგარასა და... გვ. 72.

რომ როგორმე ყუმუხებს დაიპყრობდეს, მაშინ კახეთიც მისი სახელმწიფო შეიქნება, ხოლო როგორც კი კახეთს დაიჭერს, თბილისიც მისი, ხელმწიფისავე გახდება".[1] არსენი დაინტერესდა, საჭიროების შემთხვევაში როსტომს რამდენი კაცის გამოყვანა შეეძლო. დანამდვილებით შეიძლება ვთქვათ, რომ ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა ეპისკოპოსს, თუ იგი ამ მოლაპარაკებას როსტომის მითითებით არ აწარმოებდა, არ შეეძლო — მისთვის სახელმწიფო ღალატის დაბრალება შეიძლებოდა. ეპისკოპოსი კი სუხანოვს ზუსტ ცნობას აწვდის: „როსტომ-ხანს საალწერო დავთარში შეტანილი ქართველები ოცდაოთხი ათასი ჰყავს, კახეთს გარდა, თეიმურაზს რომ წაერთვა, ხოლო კახეთში თორმეტი ათასი იქნება. როგორც დავინახეთ, არსენ სუხანოვს კათალიკოსისა და ეპისკოპოსის პირით როსტომმა თავისი პოლიტიკური პროგრამა გადაუშალა. ზემოთ თქმული, ჩვენი აზრით, აშკარად მიუთითებს როსტომის გადაწყვეტილებაზე — დაამყაროს კავშირი რუსეთთან. არსენ სუხანოვთან მოლაპარაკება და მაჰმად-ხან ბეგის ელჩობა ერთსა და იმავე მიზანს უნდა ემსახურებოდეს. უცნაური იქნებოდა, რომ ის სიტყვები, რასაც საქართველოში მოულოდნელად გამოცხადებულ არსენს ეუბნებიან, არ დაებარებინათ მოსკოვში წასულ მაჰმად-ხან ბეგისათვის. მომენტიც შესაფერისი იყო. რუსეთ-ირანის კონფლიქტმა კულმინაციას სწორედ 1652-1653 წლებში მიაღწია.[2] ყველაზე მეტად ამ დროს შეიძლებოდა დაინტერესებულიყო რუსეთი საქართველოთი. აღსანიშნავია შემდეგიც: ირანული ქარავნის გაძარცვასთან დაკავშირებით შემახის მფლობელმა ელჩი გაგზავნა რუსეთში საქმის გამოსარკვევად. ეს ელჩი ასტრახანში დააკავეს და ერთი მხლებელიც მოუკლეს.[3] თითქმის ზუსტად ამავე დროს მგზავრობს მაჰმად-ხან ბეგიც. მისი მისიის ჩაშლას ენერგიულად ცდილობს თეიმურაზი, მაგრამ არც თერგზე, არც ასტრახანში რუსეთის მოკავშირისა და ერთგული ქვეშევრდომის თეიმურაზის თხოვნას ყურადღებას არ აქცევენ და მაჰმად-ხან ბეგს დაუბრკოლებლივ ატარებენ მოსკოვისაკენ. საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება. მაჰმად-ხან ბეგი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ტოლოჩანოვს.[4] არ შეიძლება აქვე არ შევნიშნოთ შემდეგი: კარგად არის მოსკოვში უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიღების წესი. ელჩებს დიდხანს აჩერებდნენ გზაში. მაგალითად, როდესაც ელჩი ასტრახანში ჩავიდოდა, ასტრახანის ვოევოდა ამ ამბავს შეატყობი-

---

ი. ცინცაძე, ვასილ გაგარასა და... გვ. 70.

История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Пигулевская и др., გვ. 298.

ი. ცინცაძე, ვასილ გაგარასა და... გვ. 79.

М. А. Полиевктов, К вопросу о сношениях Ростома Карталинского с Москвою, ენიმკის მოამბე, V-VI. 1940, გვ. 524.

ნებდა მოსკოვს და მხოლოდ ნებართვის მიღების შემდეგ აძლევდა ელჩს გზის გაგრძელების უფლებას. მაჰმად-ხან ბეგი ყველა ამ ფორმალობას ააცილეს. როგორც ვთქვით, როსტომის ელჩი მოსკოვში ჩავიდა ტოლოჩანოვის გავლილი გზით. მას რომ დაუბრკოლებლად ატარებენ იმ დროს, როდესაც ირანის ელჩებისათვის გზა დაკეტილია, ეს ტოლოჩანოვის რეკომენდაციით იყო.

მაგრამ როსტომი ასეთი დიდი მნიშვნელობის საკითხს უეცრად არ წყვეტდა. იგი წინაპირობას აყენებდა, რუსეთს უნდა დაეკავებინა ტერიტორია თერგსა და კახეთს შორის, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ლაპარაკი რუსეთ-საქართველოს კავშირის შესახებ. ასეთი პოლიტიკური გეგმა პირველად წამოაყენა ალექსანდრე II კახთა მეფემ. სამართლიანად შენიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი: ალექსანდრე კახთა მეფის მიერ საქართველოს საკითხის ეს დიპლომატიური გამართვა "მუტატის მუტანდის" სახელმძღვანელოდ რჩებოდა ჩვენი ქვეყნის ყველა შემდგომ მსხვილი პოლიტიკოსისათვის.[1] როსტომის პოლიტიკური მოღვაწეობა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი ასეთ პოლიტიკურ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა.

რუსი ელჩების მოლაპარაკება თეიმურაზთან, როგორც აღვნიშნეთ, უშედეგოდ დამთავრდა, სამაგიეროდ მათ წარმატებით შეასრულეს თავისი მისია იმერეთში. თავდაპირველად ალექსანდრე მესამეც აჭიანურებდა ფიცის მიღებას. ალექსანდრეს მთავარი მიზანი იყო სამხედრო დახმარების მიღება დადიანის წინააღმდეგ, ელჩებმა კი მას მხოლოდ დაპირებები ჩამოუტანეს. ალექსანდრემ ყოყმანი დაიწყო. რუს ელჩთა დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ ალექსანდრე III-მ დადო ერთგულების ფიცი, მაგრამ შესაბამის დოკუმენტთა გაფორმებას აჭიანურებდა. ამ დროს თეიმურაზსა და ლევან დადიანს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა. ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი ამ მოლაპარაკებაზე იმერეთ-სამეგრელოს შორის ზავის დადების საკითხი იყო. როგორც ჩანს, ალექსანდრე მოლაპარაკების შედეგს უცდიდა. დადიანთან შერიგება არ მოხერხდა. 1657 წლის 9 ოქტომბერს ალექსანდრემ ხელი მოაწერა ფიცის წიგნს. მასთან ერთად ფიცის წიგნს ხელი მოაწერა იმერეთის თავადაზნაურობამ. ამით დამთავრდა ტოლოჩანოვისა და იევლევის ელჩობა იმერეთში. ისინი სამშობლოში გაემგზავრნენ. რუს ელჩებს ალექსანდრე მესამემ გააყოლა თავისი ელჩები — ლომკაცი ჯაფარიძე და არქიმანდრიტი ევდემონი. იმერეთის ელჩებმა მოსკოვის ხელმწიფეს წარუდგინეს ალექსანდრე მესამის წერილი, რომელიც კვლავ დადიანის წინააღმდეგ ითხოვდა დახმარებას.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. IV, თბ., 1967, გვ. 46.

ამჯერად ალექსანდრე აღარ თხოულობდა რუსთა რეგულარული ჯარის გამოგზავნას, არამედ დადიანის წინააღმდეგ კაზაკების გამოგზავნა სურდა.[1] ლომკაცი ჯაფარიძე და ევდემონი მოსკოვიდან ყოველგვარი სამხედრო დახმარების გარეშე გამოუშვეს. რუსეთი უკრაინისათვის ომს იწყებდა და საქართველოსათვის არ ეცალა. ელჩებმა ალექსანდრე მესამეს ჩამოუტანეს საჩუქრები და წყალობის სიგელი. ხელმწიფე ალექსანდრეს ერთგულებისაკენ მოუწოდებდა, დაპირებებს არ აკლებდა. ამავე დროს სთხოვდა, თეიმურაზი კარგად შეინახე და დაიცავი აგარიანებისაგანო.[2] მარტო დაპირებები საქმეს არ შველოდა. ლევან დადიანი აგრძელებდა გამანადგურებელ თავდასხმებს იმერეთზე. 1657 წელს მოსკოვში კვლავ მიიღეს ალექსანდრეს წერილი. იმერეთის მეფე ისევ დადიანის წინააღმდეგ თხოულობს დახმარებას.[3] მიუხედავად ალექსანდრეს დაჟინებული თხოვნისა, რუსეთი არ ფიქრობდა რაიმე რეალური დახმარების გაწევას. პოლონეთთან ომის გარდა რუსეთს მრავალი სხვა საზრუნავი ჰქონდა, რასაც ქვემოთ აღვნიშნავთ, და საქართველოს საქმეებში ჩასარევად არ ეცალა. |

თეიმურაზ I-მა 1652 წელს თავისი შვილიშვილი ერეკლე ბატონიშვილი საქართველოს საკითხით რუსეთის უფრო მეტად დაინტერესების მიზნით რუსეთში გაგზავნა. მართებულად წერს ნ. ასათიანი: „1653 წლიდან რუსეთის სამეფო კარზე იმყოფებოდა თეიმურაზის შვილიშვილი ერეკლე დავითის ძე, რომელიც რუსეთში გაგზავნილი იყო თვითონ მისი პაპის ინიციატივით, თეიმურაზი ვარაუდობდა, რომ ქართველი ბატონიშვილის მოსკოვში ყოფნით უფრო მტკიცე საფუძველი შეექმნებოდა რუსეთ-საქართველოს კავშირს, რადგან ამით თეიმურაზი, ერთი მხრივ, ხაზს უსვამდა თავის უსაზღვრო ერთგულებას რუსეთისადმი და, მეორე მხრივ, რუსეთის სამეფო კარიც თანხმდებოდა ქართველი ბატონიშვილის თავისთან ყოფნას და თავის თავზე იღებდა გარკვეულ ვალდებულებას საქართველოს მიმართ.[4] ერეკლე ბატონიშვილის შესახებ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს და ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ვერც ამ დიპლომატიურმა ნაბიჯმა — ერეკლეს მოსკოვში გაგზავნამ, ვერ მოუტანა თეიმურაზს სასურველი შედეგი, რაიმე რეალური დახმარება. თეიმურაზმა რამდენიმეჯერ შეახსენა რუსეთის ხელმწიფეს დაპირება. ასე მაგალითად, 1656 წელს მოსკოვში ჩავიდნენ თეიმურაზის ელჩები დიმიტრი ეზეკიე-

---

[1] М. Броссе, Переписка.., გვ. 66-67.
ЦГАДА, ფ. 110, 1657, 1, ფურ. 10.
იქვე. 4, ფურ. 15.
ნ. ასათიანი, მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973, გვ. 33.

ლის ძე არეშიძე და აზნაური ბიძინა დავითის ძე. მათ ჩაიტანეს თეიმურაზის წერილი. თეიმურაზი ახსენებდა ალექსი მიხეილის ძეს: შენ დამპირდი, შვილიშვილს თუ გამოაზგავნი, ჯარით დაგეხმარებიო და კვლავ თხოულობდა სამხედრო დახმარებას.[1] 1657 წელს მოსკოვს იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის ელჩები ეწვივნენ. ალექსანდრე კვლავ დადიანის წინააღმდეგ ითხოვდა დახმარებას. იმავე წელს გარდაიცვალა ლევან დადიანი და იმერეთის მეფემ აღადგინა თავისი ჰეგემონია დასავლეთ საქართველოში.

თეიმურაზმა ყველა შესაძლებლობა ამოწურა, მაგრამ დახმარება არსაიდან ჩანდა. მაშინ მან გადაწყვიტა, თვითონ გამგზავრებულიყო მოსკოვს. თეიმურაზის გამგზავრებამდე ჩატარდა წინასწარი მოსამზადებელი სამუშაო. ისეთი მეფისათვის მხარდაჭერა, რომელსაც არც მამული გააჩნდა და არც ქვეშევრდომები, მეტად რთული იყო, საჭირო იყო რაიმე გარკვეული ტერიტორიის ფლობა, საიდანაც რუსეთის ჯარი შეძლებდა ბრძოლის დაწყებას.[2] ამიტომ მოსკოვს შეატყობინეს, რომ თეიმურაზი ფლობს თუშ-ფშავ-ხევსურეთს და რომ მოსახლეობა თეიმურაზის ერთგულია. მთიელთა ელჩები მოსკოვში გამოცხადდნენ და მფარველობა ითხოვეს. ამრიგად, თეიმურაზმა შეძლო რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობაში საქართველოს მთიანეთის ჩათრევა, რითაც თავისი გეგმის განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა.[3]

1658 წლის 20 ივნისს თეიმურაზი ჩავიდა მოსკოვში — ვიზიტისათვის მეტად არახელსაყრელ დროს. რუსეთი 1654 წლიდან პოლონეთს ეომებოდა და, ცხადია, საქართველოსათვის სამხედრო დახმარების გაწევაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ამას დაემატა კიდევ ერთი გარემოება: თეიმურაზს მოსკოვში დახვდა ირანის შაჰის ელჩი დაკულ სალტანი. ელჩს ევალებოდა რუსეთ-ირანის ურთიერთობის ნორმალიზაცია. მოსკოვიც მეტად იყო დაინტერესებული ურთიერთობის მოგვარებით, ამიტომ მოლაპარაკებისას ორივე მხარე გარკვეულ დათმობაზე წავიდა. მოლაპარაკებაზე განიხილეს საქართველოს საკითხი. ირანი არ აპირებდა საქართველოს მიმართ თავის პრეტენზიებზე უარის თქმას. ირანის ელჩმა პირდაპირ განაცხადა, რომ თეიმურაზი თავისი მიწა-წყლით უძველესი დროიდან შაჰის ქვეშევრდომი იყო.[4] თეიმურაზისათვის რუსეთ-ირანის მოლაპარაკების შედეგები, უნდა ვივარაუდოთ, ცნობილი გახდებოდა, იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რუსეთი საქართველოს გულისათვის

---

თ. ტივაძე, თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, გვ. 126.

Ш Месхиа, Я. Цинцадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

3 იქვე. გვ. 80.

4 ნ. ნაკაშიძე ამ ელჩობის ინიციატორებად მთიელებს მიიჩნევს.

ირანთან კონფლიქტზე არ წავიდოდა, ამიტომ მოლაპარაკების დროს მან ტაქტიკა შეცვალა. პირველ რიგში თეიმურაზმა ხელმწიფის დიპლომატებს დაწვრილებით აუხსნა საქართველოში შექმნილი მდგომარეობა. აღნიშნა, რომ როსტომი ღრმად მოხუცებულია და აპირებს, ტახტი დაუტოვოს მოღალატე ვახტანგს.[1] თეიმურაზმა ხაზი გაუსვა შექმნილი ვითარების ხელსაყრელობას და ითხოვა ჯარი, რათა არ დაეშვათ ვახტანგის გამეფება. მომენტი მართლაც თითქოს ხელსაყრელი იყო. „ქართველობისათვის მებრძოლი დასის აქტიური მოქმედებით — თეიმურაზ კახთა მეფის და ალექსანდრე იმერთა მეფის მეთაურობით — მოსკოვის სამეფოსადმი სასარგებლო განწყობილება ამ დროს განსაკუთრებით ძლიერი იყო: მოსკოვის მეფეს ყმობდნენ კახეთის მეფე, იმერეთის მეფე, ყმობასვე ეფიცებოდნენ მას იმერთა მეფის მორჩილი სამეგრელოსა და გურიის მთავრები. ქართლშიაც თეიმურაზის მოსკოვის მომხრეთა ძლიერი დასი სამოქმედოდ მზად იყო. რუსეთმა ამჯერადაც ვერ გამოიყენა ეს ხელსაყრელი პირობები. სხვა მიზეზებთან ერთად მთავარ დაბრკოლებას ირანი წარმოადგენდა. ეს თეიმურაზმაც კარგად იცოდა, ამიტომ მოლაპარაკება ისე წარიმართა, რომ თითქოს იგი ირანის წინააღმდეგ არ ითხოვს დახმარებას: „თქვენ, დიდ ხელმწიფეს, შაჰთან ძმური მეგობრობა და სიყვარული და კეთილურთიერთობა გაქვთ, და ამიტომ მას არა სურს რომ თქვენ, დიდი ხელმწიფე შაჰთან წაგაჩხუბოთ და შაჰის წინააღმდეგ, მისი წყენისათვის სამხედრო დახმარებას თქვენგან, თქვენი უდიდებულესობისაგან, ამჯერად არ მოითხოვს“.[2] თეიმურაზმა საქმე ისე წარმოადგინა, რომ თითქოს თავის მოღალატეთა დასასჯელად სჭირდებოდა ჯარი. მაგრამ მას პირდაპირ დაუსვეს კითხვა: „ყიზილბაშთა შაჰი ამ მოღალატე ბოიარებისათვის ომს ხომ არ დაიწყებს?“[3] თეიმურაზმა უპასუხა: „ ხელმწიფემ ბრძანოს მისი მიწა-წყლის მოღალატეებისაგან გაწმენდა, შაჰის სამფლობელოსთან მას საქმე არ აქვს. მიეხმარება თუ არა შაჰი მის მოღალატეებს, ეს მან არ იცის“ თეიმურაზმა, ცხადია, კარგად იცოდა, რომ შაჰი დაიცავდა თეიმურაზის „მოღალატეებს“ (აქ იგულისხმებიან როსტომი და ვახტანგ V), მაგრამ დიპლომატიურ ხერხს მიმართავს. არც რუსი დიპლომატების მოტყუება იყო იოლი. როდესაც თეიმურაზი დარწმუნდა, რომ ვერავითარ დახმარებას ვერ მიიღებდა, მთელი საქართველოს სახელით ურთიერთობის გაწყვეტითაც კი დაემუქრა: „თუ მეფის უდიდებულესობა ჩემს დაცვას არ

---

[1] ე. მაჭარაძე, ჩანაწერები თეიმურაზ პირველის მოლაპარაკებისა მოსკოვში 1658 წ. თსუ შრომები, ტ. 113, თბ., 1965, გვ. 448. გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658), გვ. 463.

[2] გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 465.

[3] იქვე. გვ. 450.

ბრძანებს, იმერეთიც, დადიანიც და გურიაც ურწმუნოთა დევნისაგან დასაცავად სხვა ხელმწიფეს დაუწყებენ დევნას".[1] მუქარამ ვერ გაჭრა. თეიმურაზის საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო. საქართველოს საქმეების მოგვარება უკეთესი დროისათვის იქნა გადადებული. თავისი უარი დახმარებაზე რუსეთის სამეფო კარმა პოლონეთთან ომით ახსნა. თეიმურაზს ურჩიეს, როგორმე მოეხერხებინა საქართველოში ცხოვრება, რაც შეეხება დახმარებას, დაპირება არც ახლა დააკლეს, პოლონეთთან ომის დამთავრების შემდეგ გამოგიგზავნით ჯარსო — აღუთქვეს თეიმურაზს.[2] გულგატეხილმა თეიმურაზმა ხელმწიფეს სთხოვა, თუშეთამდე უსაფრთხოების მიზნით 7000 ცხენოსანი, 1000 ქვეითი და 5-6 ზარბაზანი გაეტანებინათ. მართებულად შენიშნავს ნ. ნაკაშიძე: „თეიმურაზმა ეშმაკობას მიმართა. თუშეთში რვაათასიანი რუსული რაზმის ჩასვლა თეიმურაზთან ერთად, რომელსაც ქართველები თავის კანონიერ მეფედ თვლიდნენ და უცილობლად მხარს დაუჭერდნენ, ;;ვდიდეს შთაბეჭდილებას მოახდენდა. თეიმურაზს, ცხადია, იმედი ჰქონდა, რუსი მეომრები როსტომის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაეთრია.[3] არც ამ ეშმაკობამ გაჭრა. რუსეთისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ როსტომის წინააღმდეგ ბრძოლა ირანის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა და თეიმურაზს ამ ბოლო თხოვნაზეც უარი უთხრეს.

1658 წლის სექტემბერში თეიმურაზმა მოსკოვი დატოვა. სარატოვში თეიმურაზმა მიიღო ცნობა შვილიშვილის, ლუარსაბის გარდაცვალების შესახებ. თეიმურაზმა წერილი გაუგზავნა ალექსი მიხეილის ძეს და ერეკლეს გამოშვება სთხოვა. 1659 წლის ბოლოს თეიმურაზი დაბრუნდა იმერეთში. თავის მხრივ ალექსანდრე III-მაც გაუგზავნა წერილი ალექსი მიხეილის ძეს და სთხოვა ერეკლეს გამოშვება იმერეთში გასამეფებლად.[4] 1660 წლის მარტში გარდაიცვალა ალექსანდრე III. იმერეთის ტახტზე ავიდა ბაგრატ ალექსანდრეს ძე. მალე იმერეთში დაიწყო ფეოდალური ანარქია. ამ ცვლილებების შესახებ მოსკოვში არაფერი იცოდნენ და 1660 წლის ზაფხულში ერეკლე საქართველოში გამოისტუმრეს. თეიმურაზმა გზაში შიკრიკი მიაგება ერეკლეს და შეუთვალა, რომ საქართველოში აღარ ჩამოსულიყო და ხელმწიფესთან გაბრუნებულიყო, მაგრამ ბატონიშვილი თუშეთში წავიდა, რათა საკუთარი ძალებით ეცადა კახეთში გამეფება.

---

[1] გ. პაიჭაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 465.
[2] იქვე. გვ. 468.
[3] Н. Накашидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.
[4] ЦГАДА, გვ. 110-1660 2, გვ. 16-17.

ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ მალე თეიმურაზი ბერად აღიკვეცა და სკანდის ციხეში ცხოვრობდა. როდესაც ვახტანგ V-მ იმერეთში ილაშქრა, თეიმურაზი მას ჩაბარდა. მალე თეიმურაზი მისივე სურვილით ვახტანგ მეხუთემ ირანს გაისტუმრა. „ეს ირანის დიდი გამარჯვება იყო — მტერს დამორჩილდა სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლოვანი ბრძოლის მესაჭე. საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისითაც რუსეთის თავდადებული მომხრის შაჰისადმი დამორჩილება ირანის დიდი წარმატება იყო. ამდენადვე ეს იყო ამიერკავკასიაში მოსკოვის მეფის საგარეო პოლიტიკის მარცხი“.[1]

თეიმურაზი შაჰმა დიდი პატივით მიიღო. „მას განუწყვეტლივ იწვევდნენ სამოთხესავით მოკაზმულ მეჯლისში და უზომო საჩუქრებით და უსაზღვრო წყალობის მინიჭებით აბედნიერებდნენ“.[2] თეიმურაზის პატივით მიღებას ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძეც.[3] შაჰ-აბას II-ს თავისი პოლიტიკური მიზნები ჰქონდა. ირანი ვერ მოითმენდა ქართლის ან კახეთის ტახტზე რუსეთში აღზრდილ ერეკლე ბატონიშვილს, რომელიც 1660 წლიდან თუშეთში იმყოფებოდა და კახეთის ტახტის დაუფლებას ცდილობდა. შაჰს სურდა, თეიმურაზი გამოეყენებინა ერეკლეს გადაბირებისათვის. „ხელმწიფემ ბატონს თეიმურაზს ასრე უბრძანა: „შენი შვილიშვილი მამგვარეო, კახეთსაც მოგცემო და სხვა მრავალ წყალობასაც დაგმართებო"[4] — წერს ფ. გორგიჯანიძე. თეიმურაზმა შვილიშვილს ელჩები გაუგზავნა და შაჰის დანაბარები შეუთვალა. ერეკლე არ ეახლა შაჰს. შაჰ—აბასმა ერეკლეს ჩამოუსვლელობა თეიმურაზს დააბრალა და მის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა, პატივი მოუკლო და გამაჰმადიანება მოსთხოვა. თეიმურაზმა გამაჰმადიანებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. შაჰის ბრძანებით, ღრმად მოხუცებული თეიმურაზი ასტრაბადის ციხეში გამოკეტეს. იგი 74 წლის ასაკში ციხეში გარდაიცვალა. თ. ტივაძე თავის გამოკვლევაში წერს, რომ 1663 წელს თეიმურაზი შაჰის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს.[5] უნდა აღინიშნოს, რომ თეიმურაზი სიკვდილით არ დაუსჯიათ, იგი ციხეში ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

თეიმურაზის პრორუსულმა საგარეო პოლიტიკურმა კურსმა სრული მარცხი განიცადა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თეიმურაზის სტრატეგიული კურსი მცდარი იყო. თეიმურაზს კარგად ესმოდა, რომ ერთა-

---

საქართველოს ისტორია, 1943. გვ. 317.

მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც. იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ნაკვ. 30, გვ. 397.

ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 272.

იქვე. გვ. 272.

თ. ტივაძე, თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა. გვ. 145.

დერთი სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო ადრე თუ გვიან დახმარების ხელი გაეწვდინა მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეული საქართველოსათვის, მხოლოდ ქრისტიანული რუსეთი შეიძლება ყოფილიყო. თეიმურაზის მყარ ორიენტაციას რუსეთზე განაპირობებდა რუსეთის დიპლომატიის მოქმედებაც. რუსეთი არასოდეს აკლებდა თეიმურაზს დახმარების იმედს, ჰპირდებოდა, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც აღმოუჩენდა დახმარებას, თუმცა სინამდვილეში რუსეთის სახელმწიფოს მესვეურები არც კი ფიქრობდნენ თეიმურაზისათვის რეალური დახმარების გაწევას. რუსეთში ამიერკავკასიის საკითხი შორეული მომავლისათვის იგეგმებოდა,[1] და ეს ცრუ დაპირებები მოსკოვის დიპლომატიას საქართველოში გავლენის შესანარჩუნებლად სჭირდებოდა. თეიმურაზის მარცხი განაპირობა არა იმან, რომ თეიმურაზი სუსტი დიპლომატი იყო, არამედ რუსეთის იმდროინდელმა მდგომარეობამ. მართალია, უკვე ამ დროს რუსეთს საკუთარი ინტერესები გააჩნდა კავკასიაშიც, მაგრამ ეს ინტერესები მეორეხარისხოვანი იყო. რუსეთის საგარეო პოლიტიკის წინაშე სამი ძირითადი პრობლემა იდგა: გადაუწყვეტელი იყო უკრაინისა და ბელორუსიის მიწების შემოერთების საკითხი, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბალტიის ზღვის საკითხს და თურქეთთან და ყირიმთან ბრძოლის აუცილებლობას.[2] როგორც აღვნიშნეთ, 1654 წელს დაიწყო რუსეთ-პოლონეთის ომი. ასეთ ვითარებაში რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ წავიდოდა ირანთან ურთიერთობის გამწვავებაზე, ეს ეწინააღმდეგებოდა მის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ინტერესებს. თეიმურაზისათვის დახმარების გაწევა გულისხმობდა ირანთან ურთიერთობის გაუარესებას. ყოველივე ამის გამო გამორიცხული იყო სამხედრო დახმარების აღმოჩენა თეიმურაზისათვის, რათა საბოლოოდ არ დაეკარგა თავისი გავლენა და ავტორიტეტი საქართველოში, რუსეთი ზოგჯერ დიპლომატიური ჩარევით ცდილობდა გამოქომაგებას, მაგრამ, როგორც სწორად შენიშნავს თ. ტივაძე, ეს არამც თუ საკმარისი იყო, არამედ ხანდახან ზიანის მომტანიც ხდებოდა.[3]

---

[1] Ш. Месхиа, Я. Цинцадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.
[2] История дипломатии, М., 1959, т. I, გვ. 293-294.
[3] თ. ტივაძე, თეიმურაზ პირველის... გვ. 72.

## 2. ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა XVII საუკუნის II ნახევარში

ღრმად მოხუცებული როსტომი 1658 წელს გარდაიცვალა. ტახტის მემკვიდრის საკითხი როსტომის სიცოცხლეში იყო გადაწყვეტილი. ქართლის მეფობა უნდა რგებოდა ვახტანგ მუხრან-ბატონს. ვახტანგი თეიმურაზ პირველის მოწინააღმდეგეთა დასს ეკუთვნოდა. როდესაც შაჰმა ქართლი როსტომს ჩააბარა, მას ერთ-ერთი პირველი ეახლა ვახტანგ მუხრან-ბატონი და ერთგულება აღუთქვა.[1] შემდეგშიც ვახტანგმა როსტომს მრავალი სამსახური გაუწია. ვახტანგმა თეიმურაზის კახეთიდან განდევნაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო.[2]

ვახტანგი ირანში გაამაჰმადიანეს, უწოდეს შაჰ-ნავაზი, დაამტკიცეს ტახტის მემკვიდრედ და გამოუშვეს საქართველოში. 1658 წელს ვახტანგმა დაიკავა ქართლის ტახტი. მისი მეფობით იწყება „ბაგრატიონთა მუხრან-ბატონების შტოს მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართლის სამეფო ტახტზე“.[3]

ვახტანგ V ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე და მტკიცე ნებისყოფის პატრონი გამოდგა. მან ალაგმა ურჩი ფეოდალები და ქვეყანაში წესრიგი დაამყარა. აქტიურად ერეოდა საქართველოს სამეფო-სამთავროების საქმიანობაში. ვახტანგი ემზადებოდა საქართველოს ირანის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის. აკად. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო „აღდგომისა და გამოხსნისათვის“ ძალას იკრებდა, საამისოდ ირაზმებოდა. წამყვანი როლი ამ საქმეში ქართლს ეკუთვნოდა. ირანის პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად ქართლი აღნიშნულ დროს ეკონომიურად და კულტურულად წინ მიდიოდა. ამავე დროს მისი გავლენა საქართველოს სამეფო-სამთავროებზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა“.[4]

ვახტანგის ნაყოფიერ სახელმწიფო-პოლიტიკურ მოღვაწეობას ხელს უწყობდა გაუმჯობესებული საგარეო პირობებიც. ირანის სიძლიერე ამ დროს უკვე შერყეული იყო. შაჰ სულეიმანის დროს უკვე შეიმჩნეოდა ირანის სამეურნეო და პოლიტიკური დაცემულობის პირველი ნიშნები.[5] ირანში არსებულ პოლიტიკურ არეულობაზე მიუთითებს ირანის

---

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ. 1973. გვ. 438.

იქვე.

საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1948, გვ. 358.

ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს-ის საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიის საკითხებზე, წ. II, გვ. 149.

История Ирана с древнейших времен до конца 18 в.Л., 1952, გვ. 299.

საქმეების კარგი მცოდნე ფარსადან გორგიჯანიძეც. ირანის შინაგან სირთულეებზეა ლაპარაკი ნახიჭევანის არქიეპისკოპოსის სებასტიან კნაბის წერილში რომის პაპისადმი: „სპარსეთის კარისაგან არაფერი კარგი არ არის მოსალოდნელი. შაჰის ფუფუნებისა და დროსტარებისათვის მთელი სახელმწიფო უძრავ მდგომარეობაშია. პროვინციების ნაწილში უკვე ორი წელია, ჭირის ეპიდემია მძვინვარებს. ყალბი ფული აუტანელია და იწვევს ხალხის უკმაყოფილებას. ამიტომ ვაჭრობა ჩამკვდარია და სიძვირე ყველაფერში იზრდება".[1]

ვახტანგი კარგად სარგებლობდა ირანის საშინაო და საგარეო პოლიტიკური გართულებებით და შეძლებისდაგვარად ცდილობდა დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას. მან კარგად შეაფასა საქართველოში შექმნილი მდგომარეობაც, იცოდა, რომ საქართველოს დაუძლურების მთავარი მიზეზი მისი დაშლა-დაქუცმაცება იყო. ამიტომ პირველ რიგში ძირითად მიზნად დაისახა საქართველოს შეკავშირება-გაერთიანება, რადგან გაერთიანებულ საქართველოს მტერიც და მოყვარეც მეტ ანგარიშს გაუწევდა. მოსკოვიდანაც ხშირად მოუწოდებდნენ ქართველ მეფეებს ქვეყნის ძალთა გაერთიანებისაკენ, რუსეთის მეფის მფარველობით საქართველოს ძველი ძლიერების აღდგენისაკენ. ვახტანგმა ისიც კარგად იცოდა, თეიმურაზი რომ ერთიანი საქართველოს მეფე ყოფილიყო, რუსეთი ასე ადვილად არ გასწირავდა მას. ამიტომ ვახტანგი ყველაფერს აკეთებდა სამეფო-სამთავროების შემოსაერთებლად ან ამ სამეფო სამთავროებზე თავისი გავლენის გასავრცელებლად. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი ლაშქრობანი დასავლეთ საქართველოში.

იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამე გარდაიცვალა 1660 წლის 4 მარტს. ტახტზე ავიდა მისი ვაჟი პირველი ცოლისაგან, ბაგრატი. იმავე წლის ივლისში ბაგრატი ტახტიდან ჩამოაგდო და დააბრმავა ალექსანდრეს ქვრივმა დარეჯანმა და თვითონ დაჯდა ტახტზე. დარეჯანის გამეფებით უკმაყოფილო ფეოდალთა ნაწილმა ვახტანგი მიიწვია იმერეთში, ნაწილმა კი ვამეყ დადიანი. ვახტანგმა ისარგებლა ამ მიწვევით, გადავიდა დასავლეთ საქართველოში და დადიანთან ერთად გაინაწილა იმერეთი. ბუჯის წყლის აღმოსავლეთი ტერიტორია ვახტანგს ერგო, დასავლეთი — დადიანს. ამავე დროს მათ მოილაპარაკეს, რომ დადიანის ასული ცოლად უნდა გაჰყოლოდა ვახტანგის ვაჟს არჩილს და ამ უკანასკნელს უნდა ემეფა იმერეთში. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ დადიანს თვით სურდა მთელს იმერეთში გაბატონება. მან სიტყვა გატეხა და ქალიშვილი იმერეთის ძლიერ ფეოდალს ბეჟან ლოლობერიძეს მიათხოვა. 1661

---

[1] ციტატა გ. ზედგინიძის ნაშრომიდან: „ქართველი დიპლომატი ბოგდან გურჯიცკი". „მნათობი", №12, 1975, გვ. 172.

წელს ვახტანგი დიდი ლაშქრით გადავიდა დასავლეთში და აიღო იმერეთის ციხეები, მათ შორის სკანდის ციხეც, სადაც იმყოფებოდა თეიმურაზ I. იმერეთის დალაშქვრის შემდეგ ვახტანგი გადავიდა ოდიშში. დადიანი სვანეთში გაიქცა, სადაც მოკლეს ვახტანგის მიგზავნილმა კაცებმა, ოდიშში ვახტანგს ეახლნენ გურიისა და აფხაზეთის მთავრები და მორჩილება გამოუცხადეს მას. ოდიშიდან ვახტანგი დაბრუნდა ქუთაისში, სადაც იმერეთის მეფედ გამოაცხადა არჩილი. თითქოს საქართველოს გაერთიანებას მტკიცე საფუძველი ეყრებოდა, მაგრამ საქმეში ჩაერია თურქეთი. 1639 წლის ზავით დასავლეთი საქართველო ირანის მიერ თურქეთის ხელდებულ ქვეყანად იყო აღიარებული. ამიტომ იმერეთის ტახტზე ირანის შაჰის ვასალის — ვახტანგის ვაჟიშვილის — არჩილის ასვლა თურქეთმა თავის საშინაო საქმეებში ჩარევად ჩათვალა. „ხონთქარმან წარმოუვლინა დესპანი ყეენსა, მეტყველმან: არის ზავი ჩვენს შორის და აწ დაუპყრავს იმერეთი შანაოზ მეფეს და უკეთუ გნებავს ვბრძოთ ურთიერთსა“.[1] ირანი მოერიდა თურქეთთან ურთიერთობის გამწვავებას და არჩილი იმერეთიდან გაიწვია. არჩილს შაჰმა კახეთის ტახტი უბოძა.

1660 წელს რუსეთიდან თუშეთში ჩამოვიდა კახეთის ტახტის მაძიებელი ერეკლე ბატონიშვილი. მან თუშთა დახმარებით სცადა კახეთის დაპყრობა. ვახტანგთან ბრძოლაში ერეკლე დამარცხდა და თორღის ციხეს შეაფარა თავი. 1664 წელს ვახტანგმა ციხეს ალყა შემოარტყა. ერეკლეს დატყვევებას აღარაფერი აკლდა, მაგრამ „დედამან ერეკლესამან მოუგზავნა მეფესა ვედრება, რათა განუტეოს ფარულად, რამეთუ უჯერო არს შენდა ტყვეობა და მაჰმადიანობა ჩვენი“.[2] ვახტანგმაც ფარულად გაუშვა ისინი თუშეთს. რატომ გაუშვა ვახტანგმა ერეკლე უვნებლად, როდესაც შაჰისაგან მისი შეპყრობა ჰქონდა ნაბრძანები და, გარდა ამისა, ერეკლე მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეც იყო? ისეთი პოლიტიკური მოღვაწისათვის, როგორიც ვახტანგი იყო, საეჭვოა, ელენე დედოფლის თხოვნას აეჩუყებინოს გული. ვახტანგმა სხვა მიზეზის გამო არ დაატყვევა ერეკლე. ერეკლეს დატყვევებით ვახტანგი რუსეთთან დამოკიდებულებას გაიფუჭებდა, ქვემოთ კი ვნახავთ, რომ ვახტანგი რუსეთს მომავალ მოკავშირედ მიიჩნევდა.

ნიკონის გასამართლებაში მონაწილეობის მისაღებად სხვა მღვდელმთავრებთან ერთად რუსეთში მიიწვიეს მაკარი ანტიოქიელი. მის მოსაწვევად გაგზავნილ იქნა იეროდიაკონი მელეტი. მელეტიმ დააგვიანა და მაკარს დამასკოში ვეღარ ჩაუსწრო — იგი საქართველოში გამომგზავ-

---

1 ვახუშტი ბაგრატიონი. დასახ. ნაშრომი. გვ. 450.
2 იქვე, გვ. 451.

რებულიყო. მელეტი გამოჰყვა მის კვალს და საქართველოში ჩამოვიდა. იგი თბილისში მოვიდა, და აქ გაიგო, რომ მაკარი დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა. მელეტიმ დააპირა დასავლეთში გამგზავრება, მაგრამ ვახტანგ მეხუთემ იგი არ გაუშვა, თავისი შიკრიკი გაგზავნა და მაკარი და მისი შვილი პავლე ალეპოელი თბილისში ჩამოიყვანა. საგულისხმოა, რომ ვახტანგმა მაშინ მოიწვია მაკარი თბილისში, როდესაც შეიტყო, რომ იგი მოსკოვში აპირებდა გამგზავრებას. მაკარი და პავლე ალეპოელი შეხვდნენ ვახტანგსა და არჩილს. მათ სთხოვეს მაკარს, ეშუამდგომლა მოსკოვის სამეფო კარის წინაშე, რათა რუსეთს დახმარება აღმოეჩინა „ურწმუნოთა ბატონობის ქვეშ მოქცეული საქართველოსათვის".[1] აღსანიშნავია, ვახტანგს კარგად ესმოდა, რომ რუსეთს ჯერ კიდევ არ შეეძლო რეალური დახმარების გაწევა საქართველოსათვის, რადგან შორს იყო და მათ შორის მტრული იმიერკავკასია იყო მოქცეული, ამიტომ მისი უპირველესი თხოვნა იყო, რომ რუსეთს მტკიცედ ჩაედგა ფეხი იმიერკავკასიაში,[2] რადგან მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ლაპარაკი რუსეთიდან რეალური დახმარების მიღებაზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთი იმიერკავკასიას დაიპყრობდა, შეიძლებოდა საქართველო მისი მოკავშირე გახდარიყო. მანამდე ვახტანგი თავს იკავებდა მფარველობის თხოვნისაგან. ამით განსხვავდებოდა ვახტანგის დამოკიდებულება რუსეთისადმი თეიმურაზის დამოკიდებულებისაგან, თორემ პრინციპში ვახტანგიც რუსეთთან კავშირის მომხრე იყო.

ერეკლე დამარცხდა მამა-შვილთან ბრძოლაში და 1666 წელს რუსეთში გაბრუნდა. ფაქტობრივად გაერთიანებული აღმოსავლეთი საქართველო სერიოზული ძალა გახდა. ქვეყანაში მშვიდობიანობა ჩამოვარდა. „შენდებოდა კახეთი... ვერცაღა თუ ლეკნი იკადრებდნენ ხდომასა", უფრო მეტიც, კახელები თვითონ გადადიან შეტევაზე ლეკთა წინააღმდეგ.[3] ქართლ-კახეთის სიძლიერე გაპირობებული იყო იმით, რომ „იყვნენ (კახელები, დ. კ.) შეერთებულნი ქართველთათანა ყოველითურთ".[4]

მეზობელ სამეფო სამთავროებში ვახტანგის გავლენა დღითი-დღე იზრდებოდა. 1664 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში პატრი სერაფინო მელიკოკა თბილისიდან რომს ატყობინებდა: „ამ მეფეს საქართველოს უდიდესი მთავრებიც ემორჩილებიან, მისი დიდი პატივისცემა

---

1 ნ. ასათიანი, პავლე ალეპოელის „საქართველოს აღწერილობა" და რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი, თსუ და საქართველოს პედინსტიტუტების ისტორიის კათედრების გაერთიანებული სესია, 1965 წლის თეზისები.

2 იქვე.

3 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 603.

4 იქვე.

აქვთ და ეშინიათ კიდევაც მისი, თუ მისი სიმდიდრისა თუ ძლიერების გამო".[1]

ვახტანგ მეხუთემ, მართალია, ვერ შეძლო იმერეთის შემოერთება, მაგრამ მარტო ქართლ-კახეთიც მის ხელში საკმაო ძალას წარმოადგენდა. ვახტანგი იმდენად გაძლიერდა, რომ ირანის შაჰის ბრძანებებს იგი ხშირად აღარ ემორჩილებოდა. ეს კარგად ჩანს თბილისში მყოფი მისიონერების სიტყვებიდან. მისიონერები შარდენს ეუბნებიან: „...ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ საქართველოს მეფე (იგულისხმება ვახტანგ V, დ. კ.) აგრერიგად არ ემორჩილება სპარსეთის შაჰის ბრძანებებს".[2] ვახტანგი რომ შაჰის ბრძანებებს არ ასრულებდა, ამას ქართული წყაროებიც მოწმობენ. 1667 წელს არჩილმა არაგვის ერისთავს კახეთის მამულების დაცლა მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო"... ყაენმანო კახეთის ნახევარი ზაალ ერისთავს მისცაო... ყაენისაგან გვაქვს მოცემული და ვერც ვინ უყაენოთ წაგვართმევსო".[3] ყაენით დამუქრებამ ვერ გასჭრა და მამა-შვილმა დაადგინეს: „ამათ ამოუწყვეტლათ ეს მამული არ წაერთმევისო, მაშ ესენი ამოვსწყვიტოთო და ქართლი და კახეთი მოისვენებსო".[4] არაგვის ერისთავებმა შეიტყვეს ვახტანგის გადაწყვეტილება და ოთარ ერისთავი შაჰთან გაემგზავრა საჩივლელად. ასეთ პირობებში საერისთავოსთან შებრძოლება შაჰის წინააღმდეგ გამოსვლას ნიშნავდა, მაგრამ ვახტანგმა არაფრად ჩააგდო შაჰი და საერისთაოს ჯარი შეუსია. შაჰს მოახსენეს, რომ „ქართველი მეფე და კახი ბატონი თავიანთი დიდის ლაშქრითაო საერისთაოს შეუხდნენო და ერისთავის ძმა პაპო მოკლესო და საერისთაო დაარბიეს და რაც საკახეთო მამული ეპირათ, წაართვესო".[5] ამ ამბავმა შაჰის განრისხება გამოიწვია. ოთარ ერისთავს თავისი ელჩი გამოატანა და ვახტანგს უბრძანა, არაგვის ერისთავისათვის წართმეული მამულები დაებრუნებინა. ქართლ-კახეთის მეფეები არც ახლა დაემორჩილნენ შაჰის ბრძანებას. მეტიც, ერთი წლის შემდეგ ოთარ ერისთავი და მისი ძმა ედიშერი დაიხოცნენ. „მოწამელა ითქვა მათი".[6] ხმები ძმების მოწამვლაზე ალბათ არ იყო საფუძველს მოკლებული.

ურთიერთობა ირანსა და ქართლ-კახეთს შორის უკიდურესად დაიძაბა. შაჰი ხედავდა, რომ ვახტანგი ხელიდან მიუდიოდა. ირანის კარზე გადაწყვიტეს, როგორმე ხელში ჩაეგდოთ ვახტანგი. შაჰ-სულეიმანი ეშ-

---

1 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 228.
2 ჟ. შარდენი, მოგზაურობა, გვ. 64.
3 ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, იხ. საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 27.
4 იქვე.
5 იქვე.
6 იქვე.

მაკობასაც არ დაერიდა. „წარმოუვლინა ყეენმა მეფესა ვერცხლი დიდი, რათა მოავლოს ზღუდე ტფილისს, ხოლო მეფემან აღისრულა რა, დაადგინეს კართა მცველი ყიზილბაშნი მათ".[1] ვახტანგი მიუხვდა მტერს ჩანაფიქრს. ,ესე ჰყვეს ყიზილბაშთა, რამეთუ სწადდათ ღამესა ერთსა დახშვა კართა და მოსლვა სპათათა მათთა და შეპყრობა მეფისა სახლეულითა სრულიადა"[2] ვახტანგი აღარ შევიდა თბილისში. როცა ყიზილბაშებმა დაინახეს, რომ მათმა ხერხმა არ გაჭრა, „დაუტევნეს ტფილისის კარნი და წარვიდნენ".[3]

ვახტანგმა გადაწყვიტა, ირანის წინააღმდეგ აშკარა აჯანყება დაეწყო და მოკავშირედ თურქეთი შეარჩია.[4] თურქეთში გაგზავნა არჩილი, რომელიც თითქოს ვახტანგის ნების წინააღმდეგ გაიქცა თურქეთში.

ვახტანგ მეხუთის აჯანყების შესახებ ქართულ წყაროებს არ შემოუნახავს პირდაპირი ცნობა, მაგრამ აღნიშნული აჯანყების მიახლოებითი სურათის აღდგენა ხერხდება ქართული და უცხოური წყაროების ანალიზისა და შეჯერების გზით. ერეკლე პირველი 1674 წელს ჩამოვიდა თუშეთში და შემდეგ წელს გაემგზავრა ირანში. მან, რასაკვირველია, კარგად იცოდა, თუ რა ამბები ხდებოდა საქართველოში. ირანიდან ერეკლემ წერილი მისწერა ალექსი მიხეილის ძეს. წერილში იგი წერდა:

მართალია, მახარა მაგაზედ გამოვგზავნე და კიდეც შემოგეხვეწე თქვენ დიდ ხელმწიფეს აშტრახნიდამე, და დასტური და შენდობა გთხოვე, ასე, რომ უსაცილოდ ყეენთან წავალ მეთქი, რომ ეგების ჩემის მისვლით საქართველო არ წაახდინოს მეთქი".[5] ერეკლეს ამ წერილიდან კარგად ჩანს, რომ შაჰი საქართველოს „წახდენას" აპირებდა. ერკლეს ცნობას, რომ შაჰი საქართველოში ლაშქრობას აპირებდა, ადასტურებენ სხვა ცნობებიც. ერთ-ერთი პატრი „წერს რომში და აუწყებს მისიონის დიდ განსაცდელში ჩავარდნას არეულობის გამო, რადგან მოელოდნენ თუ სპარსელების, თუ ოსმალების შემოსევას საქართველოში".[6] შაჰს საკმაოზე მეტი მიზეზი გააჩნდა საქართველოში ლაშქრობისათვის. მოსკოვის ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „უფლისწულის თუშეთში ჩამოსვლის წინ შაჰმა შაჰ-ნავაზ ხანს მისწერა, რომ საქართველოს ზარაფხანიდან შემოსავალი მთლიანად მისთვის, შაჰისათვის გაეგზავნა, მაგრამ შაჰ-ნავაზ

1 ვახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 454.
2 იქვე.
3 იქვე.
4 იქვე.
5 Броссе М. Переписка на иностранных языках грузинских царей с русскими государями, СПб., 1861, გვ. 90.
6 მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 250.

ხანი არ დაემორჩილა".[1] ვახტანგის უარს განურისხებია შაჰი.[2] კიდევ უფრო საინტერესო ცნობას გვაწვდის ერეკლე ბატონიშვილი. თევდორე ალექსის ძისადმი გაგზავნილ წერილში იგი სხვათა შორის წერს: „შაჰი მოვიდა ყაზვინში, რათა წავიდეს საქართველოში მრავალი მიზეზისა და შაჰ-ნავაზ ხანის, რომელმაც მოჭრა საკუთარი მონეტა, არასაიმედოობის გამო".[3] ვახტანგის მიერ საკუთარი მონეტის მოჭრა ჩვეულებრივ მოვლენად ვერ ჩაითვლება. ცნობილია, რომ „XVII საუკუნის დაწყებისთანავე თბილისის ზარაფხანა უშვებს პროდუქციას, რომელსაც აშკარად ირანული სახეობა აქვს. აქედან დაწყებული, თბილისური ვერცხლის მონეტა კარგავს დინასტიურ ხასიათს, ქართველ მეფეთა სახელები მასზე არ იხსენიება, ზედმიწერილები მხოლოდ და მხოლოდ სპარსული ჩნდება, თარიღი ჰიჯრით არის აღბეჭდილი, და ერთადერთი ცნობა, რომელიც ამ მონეტებს საქართველოსთან აკავშირებს, — ეს მოჭრის ადგილი — თბილისია. მონეტებზე აღბეჭდილი სახელები უცხო მფლობელებს, ერანის შაჰებს ეკუთვნის: აბას პირველი (1587-1629), სეფი...[4] როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ირანის ვასალურ სახელმწიფოში, ფული მხოლოდ ირანის შაჰების სახელით იჭრება და ასეთ ვითარებაში საკუთარი მონეტის მოჭრით ვახტანგი უარს ამბობდა ირანის ვასალობაზე და ხაზს უსვამდა, რომ იგი დამოუკიდებელი, სუვერენული ხელისუფალია.

მოვლენები ისე განვითარდა, რომ ვახტანგმა ვერ შეძლო თავისი გეგმის განხორციელება — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მან ვერ მიიღო დახმარება თურქეთიდან. ამან, რასაკვირველია შეამცირა წარმატების იმედი, მაგრამ თურქეთზე მეტად ვახტანგს ქვეყნის შიგნით უმტყუნეს. მას უღალატეს დიდმა ფეოდალებმა. ვახტანგს უღალატა და შაჰს ეახლა იესე ქსნის ერისთავი. ამრიგად, ვახტანგმა მძიმე მარცხი განიცადა, იგი განრისხებული შაჰის პირისპირ დარჩა. ვახტანგმა ხერხი იხმარა — „აცნობა ყოველნი ესე... ყეენსა უგულებელყოფა ძეთა თვისთაგან და ერთგულება და უცოდველობა თავისი",[5] ე. ი. არჩილი ჩემი ნების წინააღმდეგ გაიქცა თურქეთშიო. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი ‚გაქცევა" უცხო არ იყო ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთათვის არც ვახტანგამდე და არც შემდეგ. გავიხსენოთ ალექსანდრე კახთა მეფის ძის ერეკლეს ‚გაქცევა" თურქეთში და სულხან-საბას ‚გაქცევა" ევროპაში. ვახტანგმა გადაწყვიტა, ხლებოდა შაჰს. „შაჰ ნავაზ მეფემ ყაენს არზა

---

1 ЦГАДА, ф. 110, д. № 1, л., 191.
2 იქვე.
3 Переписка..., გვ. 99.
4 დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 91.
ვახუშტი. დასახ. ნაშრომი, 456.

მისწერა, რომ ჩემად უნებურად შვილები წამოვიდნენო, არამც მტერმახ ჩემი თავი ტყუილად შემოგაბეზღონო. ერთი კაცი გვიბოძეთო, რომ ხელმწიფის კარზედ გვინდათ ჩამოვიდეთო, ჩვენი თავი ვიმართლოთო".[1] ეს დიპლომატიური ხერხი იყო. შაჰი თვითონ იბარებდა მას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საქართველოში შემოჭრით იმუქრებოდა. ვახტანგმა სამშობლოს განადგურებას თავის გაწირვა ამჯობინა და ირანს გაემგზავრა. ქვეყანა თავის ვაჟს გიორგის დაუტოვა. ვახტანგ მეხუთემ ისპაჰანამდე ვერ ჩააღწია, 1675 წელს გზაში, ხოშკარს გარდაიცვალა.

ვახტანგმა ირანში წასვლის წინ ქართლი თავის მეორე ვაჟს, გიორგის ჩააბარა. როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგმა ისპაჰანამდე ვერ ჩააღწია, გზაში გარდაიცვალა. შაჰმა გიორგი ისპაჰანში დაიბარა. ისპაჰანში ამ დროს იმყოფებოდა გიორგის ძმა ალექსანდრე. იგი ირანში აღიზარდა და ისპაჰანის მოურავი იყო. ალექსანდრეს თვითონ სურდა ქართლის მეფობა მიეღო. მას „კარი ქრთამით შეეკრა და მეფობას თავის თავისათვის ცდილობდა. ამისათვის ცოტას ხანს გიორგის მეფობა უკუუვარდა".[2] ქართლის სამეფო ტახტზე გიორგის დამტკიცება გაჭიანურდა. შაჰს, რასაკვირველია, ერჩია ქართლში მეფედ ირანში აღზრდილი და გამაჰმადიანებული ალექსანდრე დაესვა. შაჰის ყოყმანს ბოლო მოუღო არჩილმა. იგი ახალციხიდან გადმოვიდა. სადგერს დადგა და ქართლის შემომტკიცება დაიწყო: „არჩილ მეფე სადგერს მყოფი ჩამოვიდა ქართლს და იწყო პყრობად ქართლისა, არა თუ თვისად, არამედ რათა სცნეს ყეენმან და მოსწრაფედ წარმოავლინოს ძმა მისი გიორგი".[3] ქართლის აჯანყების შიშით შაჰმა გიორგი დაამტკიცა მეფედ, წინასწარ იგი გაამაჰმადიანეს. თუმც არის ერთი ცნობა, რომლის მიხედვით გიორგის სარწმუნოება მოგვიანებით, აჯანყების შემდეგ შეუცვალეს.[4] გიორგის გამეფება ეროვნული ძალების გამარჯვება იყო, მაგრამ შაჰმა მაინც ძლიერი დარტყმა მიაყენა საქართველოს. რათა არ დაეშვა ქართლ-კახეთის ერთიანობა, კახეთი გიორგის არ მისცეს. შაჰმა განაახლა თავის წინაპართა პრაქტიკა და კახეთი ყიზილბაშ ხანს, ბეჟანს ჩააბარა. ამის შემდეგ 1703 წლამდე კახეთს ყიზილბაში ხანები განაგებდნენ.

ჩამოვიდა თუ არა გიორგი ქართლში (1677 წ.), მაშინვე მოუვიდა შაჰის ბრძანება, შეეპყრო არჩილი და მასთან გაეგზავნა. ხანს, შაჰი არ აპირებდა, ეპატიებინა არჩილისათვის გიორგის სასარგებლოდ მოქმედება. რაც მთავარია, ირანის თვალში არჩილი იყო თურქეთთან კავშირის

---

[1] ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 275.

[2] იქვე.

[3] ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 456-457.

[4] Hanwai, Beschreibung seiner Reisen, Hamburg und Leipzig, 1754, I Abteil, IV. Cap. გვ. 23.

აქტიური მომხრე. მაგრამ „ირანისადმი მორჩილებას გიორგი XI უფრო ნაკლებად ითმენდა, ვიდრე მამამისი და აჯანყებისათვის საიდუმლოდ ემზადებოდა“.[1] მან არა თუ არ შეასრულა შაჰის ბრძანება, არამედ დაეხმარა არჩილს იმერეთის ტახტის დაკავებაში. არჩილის იმერეთში გამეფება არც ამჯერად მოეწონა თურქეთს. სულთანმა იცოდა, რომ არჩილის ზურგს უკან გიორგი იდგა და ახსნა-განმარტება მოსთხოვა ირანს. ირანმა აცნობა, რომ არაფერ შუაშია და გიორგი არც მას მორჩილებს. მაშინ ირანმა და თურქეთმა კავშირი შეკრეს გიორგის და არჩილის წინააღმდეგ. თურქეთი იმერეთს უნდა შესეოდა, ხოლო ქართლის საზღვრებთან ირანს ჯარი უნდა გამოეგზავნა, რათა გიორგი XI-ს არჩილისათვის დახმარება ვერ გაეწია. შექმნილ ვითარებაში არჩილმა კვლავ დაკარგა იმერეთის ტახტი.

შაჰმა გიორგი XI-ს კვლავ მოსთხოვა არჩილის შეპყრობა ან გაძევება. ამჯერად გიორგი შაჰის თვალის ასახვევად თითქოსდა არჩილის შესაპყრობად წავიდა — „მეფე გიორგიმ ამ ახალი ბრძანების მიღებისთანავე, საგანგებოდ გამოგზავნილმა შიკრიკმა რომ მოიტანა, გადაწყვიტა სპარსელთათვის გარეგნულად მაინც ეჩვენებინა, რომ ის მზადაა, ხელმწიფის ბრძანება შეასრულოს. ქართლის მთელი ჯარით დასახელებულ მთისაკენ მიმავალმა (მეფემ) გაიარა გორზე, სადაც ვიმყოფებოდი და შემეძლო მენახა ლაშქარი, რომელსაც მეფე მიუძღოდა“[2] — წერს დიონიჯო კარლი. არჩილმა გადაწყვიტა რუსეთში წასვლა. იგი მართლაც გაემგზავრა მოსკოვს. „ყველაფერი ეს მან (გიორგიმ, დ. კ.) ხელმწიფეს აცნობა იმ ვარაუდით, რომ არჩილის განშორება მას დააწყნარებდა, მეტს არაფერს მოითხოვდა, მაგრამ ხელმწიფეს არც ერთი გაუკეთებია, არც მეორე“.[3] რომ არჩილის წასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტია შაჰ-სულეიმანს გიორგის მტრობა, ვახუშტიც მოწმობს: „არამედ კვალად არ დასცხრა შური შაჰ-სულეიმანისა გიორგი მეფეს ზედა და მცდელობდა შემუსვრასა მისსა შიხალი-ხანის გამო და უბრძანა აჯი ალი ხანს მტერობა მეფისა“.[4] როგორც ვხედავთ, შაჰი ცდილობდა გიორგის ტახტიდან ჩამოგდებას. ჩანს, შაჰმა შეიტყო, რომ გიორგი ანტიირანული აჯანყებისათვის ემზადებოდა. საინტერესო ცნობას გვაწვდის დიონიჯო კარლი. იგი წერს: „მტკიცედ ჯერათ, რომ ორ ძმას შორის ამასწინდელი შეთანხმების ამბავი გამომჟღავნდა და რომ (ამის გამო) გიორგი მეფის სიცოცხლე საფრთხეშია“.[5] ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ გიორ-

---

„საქართველოს ისტორია“, ს. ჯანაშიას რედ., თბ., 1948, გვ. 358.
დიონიჯო კარლი, თბილისის აღწერა, მსკი, ნაკვ. 29, 1951, გვ. 171.
იქვე.
ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 458.
დიონიჯო კარლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

გი და არჩილი ირანის წინააღმდეგ სამოქმედოდ შეთანხმებულან, მაგრამ ეს ამბავი გამჟღავნებულა. გიორგიმ კარგად შეაფასა საფრთხე და ემზადებოდა მტრის დასახვედრად. „ასეთ ვითარებაში მეფე გიორგის ფრთხილად უჭირავს თავი... არ ძინავს,. პირიქით, მან თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი ოვსთა მთავრის ქალიშვილზე დააქორწინა... ამ ქორწინება-დანათესავების წყალობით, საჭიროებისამებრ გიორგი მეფე იქ თავშესაფარს ჰპოვებს და სპარსეთს წინააღმდეგობას გაუწევს.[1]

ირანელებმა კარგად იცოდნენ გიორგის მზადყოფნის შესახებ და ვერ ბედავდნენ საქართველოში შემოჭრას. „სპასალარი, შაჰის ბრძანების მიუხედავად, ვერ ჰბედავს საქართველოში შეჭრას, რადგან ფიქრობს, რომ სისასტიკითა და ხოცვა-ჟლეტით ვერაფერს გახდება. ოთხს წელზე მეტია ამ ქალაქში დგას, მაგრამ გამბედაობა არ ყოფნის წინ წაიწიოს. ეს კი მიუხედავად იმისა, რომ მისმა ხელმწიფემ სამჯერ და მეტადაც გააძლიერა თბილისისა და გორის ციხეები იმასთან შედარებით, რაც ჩემი ამ ქვეყანაში მოსვლის ჟამს იყო. მას თავისი ჯარის, თუ ვინიცობაა წინ წაიწია, დაღუპვისაც ეშინია და სპარსელთა პრესტიჟის დაკარგვისაც. ქართველები გულადად უცდიან მას, რადგან კარგი მეომრები არიან და თანაც საკუთარ მიწაწყალზე იბრძვიან".[2]

ასეთი დაძაბული ვითარების მიუხედავად, გიორგი თავის ყურადღებას არ აკლებდა იმერეთს. 1687 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ბაგრატი. ტახტი ხელში ჩაიგდო გიორგი გურიელმა. გიორგი XI-მ გადაწყვიტა, იმერეთის ტახტზე თავისი სასურველი კანდიდატი დაესვა. ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა ბაგრატ მეფის ძე ალექსანდრე, რომელიც გიორგი XI-ის კარზე იზრდებოდა. გიორგიმ „ინება, რათა სჯდეს ნებისმყოფელი თავისი იმერეთს ძალისა თვისი-სათვის".[3] გიორგიმ ელჩები გაუგზავნა ახალციხის ფაშას და აცნობა თავისი გეგმა. ზუსტად ამ დროს ახალციხის ფაშასთან გამოცხადდნენ იმერეთის ფეოდალთა წარმომადგენლები, რომლებმაც ფაშას განუცხადეს: „ჩვენ გურიელის ამხანაგნი ვართო და იმის ყმობას არ ვიკადრებთო. ჩვენი ბატონიშვილი ქართლის მეფესა ჰყავსო და... ესები გაგვიბატონეთო",[4] ფაშამ ყველაფერი ეს სულთანს აცნობა. შექმნილ ვითარებაში სულთანმა ეს გეგმა მისაღებად ჩათვალა და ფაშას უბრძანა, ალექსანდრე დაესვა იმერეთის ტახტზე. 1683 წელს ჩამოაგდეს გიორგი გურიელი და გაამეფეს ალექსანდრე ბაგრატის ძე.

---

[1] დიონიჯო კარლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.
[2] იქვე, გვ. 170.
[3] ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 459.
[4] ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 277.

გიორგი XI-ს არ გაუმართლდა იმედი, რასაც ის ალექსანდრეზე ამყარებდა. ალექსანდრე არ აღმოჩნდა მისი ნების აღმსრულებელი. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო მალე მათ შორის ურთიერთობა გამწვავდა, იმდენად, რომ როდესაც ალექსანდრე რაჭაში ლაშქრობდა, გიორგი XI სამხედრო დახმარებას უწევდა რაჭის ერისთავს.

1682 წელს გარდაიცვალა დედოფალი მარიამი. იგი მცხეთას დაუსვენებიათ. გიორგი XI სხვებთან ერთად ესწრებოდა სამგლოვიარო ცერემონიალს ეკლესიაში. დიონიჯო კარლი, რომელიც ამ ამბების მომსწრე იყო, წერს, რომ „სპასალარმა (იგულისხმება აჯი ალი ხანი, დ. კ.) მეფის მწუხარებაში მონაწილეობის ნიშნად შიკრიკი გამოგზავნა“.[1] მაგრამ, როგორც ჩანს, ელჩის მოსვლის ნამდვილი მიზეზი სხვა იყო. ელჩმა ხსნა-განმარტება მოსთხოვა გიორგის, თუ რატომ შედიოდა მაჰმადიანი მეფე ქრისტიანულ ეკლესიაში. გიორგიმ ირანის ელჩს მტკიცე პასუხი გასცა: — „რადგან ის ქართველად დაიბადა და საქართველოში ცხოვრობს, ამიტომ არ ეგების თავისი ქვეყნის ძველი წესჩვეულებების მიტოვება. გასპარსელება მას სრულიადაც არ უკრძალავს ცოლის გამოსატირებლად შევიდეს ეკლესიაში“.[2] ამ პასუხით გიორგიმ შაჰს აგრძნობინა, რომ, მართალია, სარწმუნოება შეიცვალა, მაგრამ გულით ქართველი დარჩა.

ირანელები აქტიურ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ ქვეყნის შიგნით. მათ ქრთამითა და უხვი დაპირებებით მოისყიდეს ქართველ ფეოდალთა ნაწილი — „ხოლო აჯი ალი ხან წარიბირნა მთავარნი, რამეთუ არღარა აქვნდათ სიმტკიცე სჯულისა და მეფეთა თვისთა ერთგულებისა, ვინაიდან მცირედითა ნიჭითა გამაჰმადიანდებოდნენ და აქვნდათ როქი ყეენისაგან, შემყვარე იყვნენ უფრო სოფლის დიდებისა, ვიდრეღა უფლისათვის დაკლულისა ქრისტესა“.[3] გიორგი XI-ს უღალატეს იასონ არაგვის ერისთავმა, იესე და ელიზბარ მაჩაბლებმა, მუხრან ბატონის შვილმა ერეკლემ, „ხოლო მელიქი სომხითისა ქამარ-ბეგ ამხილებდა ქმნულებას მეფისასა აჯი ალი ხანს“.[4] გიორგიმ ენერგიული ზომები მიიღო მოღალატეთა მიმართ. მან მოაკვლევინა ქამარ-ბეგი და არაგვის ერისთავი, ხოლო მაჩაბლები და ერეკლე საპყრობილეში ჩაყარა.

გიორგი XI რეალისტურად აფასებდა შექმნილ ვითარებას. მას ესმოდა, რომ საკუთარი ძალებით გაძნელდებოდა ურჩ ფეოდალთა ალაგმვა და ირანის ბატონობისაგან განთავისუფლება. იგი თავის წინაპართა

---

[1] დიონიჯო კარლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.
[2] იქვე. გვ. 173.
[3] ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 459-460.
[4] იქვე.

მსგავსად მოკავშირეს ეძებდა. გიორგიმ კარგად იცოდა, რომ თურქეთი იმჯერად ასეთ მოკავშირედ ვერ გამოდგებოდა. თურქეთს მაშინ ძალაც არ შესწევდა, გიორგისათვის დახმარების აღმოჩენის სურვილიც რომ ჰქონოდა. საქმე ის იყო, რომ 1683 წელს დაიწყო თურქეთ-ავსტრიის ომი. ივლისში თურქთა მრავალათასიანმა არმიამ ალყა შემოარტყა ვენას. ავსტრიელთა დასახმარებლად ვენასთან გამოცხადდა პოლონეთის მეფე იან სობესკი. მუჰამედ IV-ის არმია მთლიანად განადგურდა. ვენის ბრძოლის შემდეგ შეიქმნა ანტითურქული კოალიცია, ე. წ. „საღვთო ლიგა“. ლიგაში შევიდნენ: ავსტრია, პოლონეთი, ვენეცია და მალტა. მოგვიანებით ლიგას შეუერთდა რუსეთიც. „საღვთო ლიგამ“ დაიწყო საომარი მოქმედება თურქეთის წინააღმდეგ. თურქები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. განსაკუთრებით დიდი დამარცხება განიცადეს თურქებმა მახაჩესთან ბრძოლაში 1687 წელს. 1688 წელს აღებულ იქნა ბელგრადი. ამას მოჰყვა ბალკანეთის დამონებულ ხალხთა აჯანყება თურქეთის წინააღმდეგ. საფრთხე შეექმნა თვით კონსტანტინოპოლს. თურქეთი საბოლოო განადგურებისაგან იხსნა საფრანგეთმა. ავსტრიის გაძლიერება საფრთხეს უქმნიდა საფრანგეთის უშიშროებას და მან ჯარებს მოუყარა თავი ავსტრიის საზღვრებთან. ავსტრიელები იძულებულნი გახდნენ, ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეყვანათ რაინზე. თურქეთის სიძლიერე ამ ომში საფუძვლიანად შეირყა.

საქართველოში ევროპის ამბების შესახებ საკმაოდ ზუსტი ინფორმაცია ჰქონდათ. ქართველი პოლიტიკოსები ხედავდნენ, რომ თურქეთს არავის დახმარება არ შეეძლო, პირიქით, თვითონ საჭიროებდა იგი დახმარებას.[1] ამიტომ, ბუნებრივია, რომ გიორგი XI-ის საგარეო პოლიტიკაში არ ჩანს თურქეთთან დაახლოების ცდები. გიორგი XI-ის პოლიტიკური კურსი უფრო დასავლეთისაკენ იხრებოდა.[2] იგი ცდილობდა, ევროპის სახელმწიფოები გამოეყენებინა თავისი ინტერესებისათვის. განსაკუთრებით ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა მას რომის პაპთან. ამ უკანასკნელსაც ჰქონდა თავისი ინტერესები საქართველოში. რომის ეკლესია ჩაბმული იყო ბერძნული მართლმადიდებლობისა და ოსმალური მუსლიმანობის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში და თვით საჭიროებდა ერთგულ მოკავშირეს. ვატიკანის პოლიტიკის გასატარებლად საქართველოში მრავლად მოდიოდნენ კათოლიკე მისიონერები. სწორედ ამ მისიონერთა საშუალებით დაუკავშირდა გიორგი XI რომის პაპს. გიორგის მისწრაფებას ევროპისაკენ დიდად შეუწყო ხელი ვენასთან თურქების განადგურებამ. დიონიჯო კარლი წერს: „მეფემ ვენის გამარ-

[1] А. Новичев, История Турции, გვ. 185-188.
[2] ნ. კანდელაკი, ქართული საელჩო მჭევრმეტყველება, გვ. 161.

ჯვება რომ გაიგო, იტალიური ენის შესწავლას შეუდგა. მას ერთი ჩვენი პატრი ასწავლის.[1]

პაპთან დაწყებულ მოლაპარაკებას რომ სასურველი შედეგი მოჰყოლოდა, გიორგი XI-მ კათოლიკობაც კი მიიღო. ამას გვატყობინებს მისიონერი ჯუსტინო 1687 წლის 28 მაისს რომის პაპისადმი გაგზავნილი წერილიდან. ეს წერილი მრავალმხრივ არის საინტერესო და საჭიროდ მიგვაჩნია, თითქმის მთლიანად მოვიტანოთ: „ 7 დეკემბერს, 1686 წელს, ჩემს წინაშე მეფემ წარმოთქვა სარწმუნოების აღსარება და თან ფიციც დადო, რომ თავისი სამეფოც ერთიან დაუმორჩილოს თქვენს უწმინდესობას... შეერთების ხუთი დღის შემდგომ ამ მეფეს აღსარებაც ვათქმევინე. ცხრა წელიწადზე ცოტა მეტია, რომ იგი ურჯულო მაჰმადიანთ აღსარებას აღიარებდა, მაგრამ გარეგნულად, მოჩვენებით, ვიდრე გულით, ისიც იმიტომ, რომ მეფობა არ ჩამორთმეოდა, რადგან მამის სიკვდილის შემდგომ ერთი თავისიანი ეცილებოდა ტახტს... მეტად სახელგანთქმულია, ბრძენი და ყოველნაირი ნიჭით შემკული, როგორათაც მოგახსენებს ჩემი მონდობილი პატრი ანჯელო, რომელსაც მეფე თავის პირველ ელჩად გიგზავნისო, რომ მეფე რომის ეკლესიის შვილად შერაცხოთ"...[2] როგორც ვხედავთ, გიორგი XI პატრ ანჯელოს სპეციალური დავალებით აგზავნის რომის პაპთან. კონკრეტულად რა დავალება ჰქონდა ელჩს, ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცით, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართლსა და ირანს შორის არსებულ გამწვავებულ ვითარებას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გიორგი ირანის წინააღმდეგ ითხოვდა დახმარებას, — რადგანაც ერთადერთი საფრთხე ქართლს ამ დროს ირანიდან ემუქრებოდა.

მაგრამ რომის პაპს და ევროპის სახელმწიფოებს იმ დროს შორეულ ამიერკავკასიაზე ხელი არ მოუწვდებოდათ, ესეც რომ არ ყოფილიყო, ამ ქვეყნების ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ინტერესებს ირანთან მეგობრობა უფრო შეესაბამებოდა. უნდა გავიხსენოთ, რომ ევროპის სახელმწიფოები ირანს ყოველთვის მიიჩნევდნენ პოტენციურ მოკავშირედ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. „საღვთო ლიგის" ჩამოყალიბების დროს ევროპის სახელმწიფოები ლიგაში ირანის ჩათრევასაც კი ცდილობდნენ. ასეთ ვითარებაში ირანის წინააღმდეგ ევროპიდან რაიმე დახმარების მიღება გამორიცხული იყო. ამიტომ გიორგის ელჩობა რომის პაპთან ფაქტობრივად უშედეგოდ დამთავდა. გარდა ამისა, როდესაც მისიონერი ანჯელო საქართველოში უკან დაბრუნდა, მან გიორგი XI უკვე ბრძოლის ველზე იხილა.

---

1 დიონიჯო კარლი. დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

2 მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის.. გვ. 264-265.

ცოტა ადრე გიორგიმ, საფიქრებელია, ნიადაგი მოსინჯა რუსეთშიც. პატრი იოსების წერილიდან ვგებულობთ, რომ „მოსკოვში ჩვენი მეფე გზავნის კაცსა თავის ძმა არჩილთან".[1] გიორგი საქართველოში იწვევდა არჩილს. შესაძლოა, გიორგი იმედოვნებდა, რომ არჩილს მოსკოვიდან ჯარს გამოატანდნენ. 1687 წელს გიორგის ელჩი ლავრენტი მოსკოვში გამოცხადდა. ელჩი რუსეთის მთავრობას ატყობინებდა, რომ გიორგი იძულებით გამაჰმადიანდა, მაგრამ გულით ქრისტიანიაო. ელჩმა არჩილს გიორგის მიწვევა გადასცა. არჩილმა საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა, მის ჩამოსვლამდე აქ დიდი ამბები დატრიალდა.

შაჰ-სულეიმანმა გიორგის მძევლებად მოსთხოვა ვაჟიშვილი ბაგრატი და ძმა ლევანი. გიორგი XI-მ გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ დაეწყო აჯანყება. აჯანყებაში კახეთიც აპირებდა მონაწილეობას. კახელებს უნდა მოეკლათ ირანის მოხელე, კახეთის ხანი და შეერთებოდნენ გიორგის. აჯანყების დასაწყისს კარგი პირი უჩანდა. მაგრამ თავი იჩინა ფეოდალური ქვეყნისათვის დამახასიათებელმა მოვლენამ — ფეოდალთა ნაწილმა გადამწყვეტ მომენტში მეფეს უღალატა. ერთ-ერთმა პირველმა ჩაიდინა ღალატი ქართველთა სპასპეტმა თამაზმა: „ ღამესა მას განივლტო სპასპეტი თამაზ და შევიდა აღჯაყალის ციხესა შინა". სპასპეტის მაგალითს მალე სხვებმაც მიბაძეს. ამას დაემატა ისიც, რომ „მომკვდარიყო ბიძის ძე მეფისა მუხრანის ბატონი თეიმურაზ, რომელი იყო კაცი დიდი შემძლე საქმისა, ერთგული მეფისა და რიდობდნენ ყველანი. და ესრეთ მოაკლდებოდა მეფისანი და განმრავლდებოდა წინაამდგომნი".[2] როგორც ვხედავთ, მეფეს თანდათან უმრავლდებოდნენ მოღალატეები. მალე მას ფაქტობრივად აღარ დარჩა მომხრეები. ქართველმა ფეოდალებმა ძლიერი მეფის ხელისუფლებას უცხოელთა ბატონობა არჩიეს. შაჰ-სულეიმანს უკვე საკმაოდ ჰყავდა დასაყრდენი ქართლში და აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. 1688 წელს შაჰმა გიორგი XI გადააყენა ტახტიდან და ქართლი ერეკლე პირველს უბოძა (1688-1703) გიორგი ერთხანს აგრძელებდა ბრძოლას, მაგრამ მალე იძულებული გახდა, დასავლეთ საქართველოსათვის შეეფარებინა თავი.

1691 წელს გიორგი ისევ გადმოვიდა ქართლში და ოთხი წლის განმავლობაში ებრძოდა ერეკლეს. მასთან ერთად ყიზილბაშებს ებრძოდა არჩილიც, რომლის მიზანი კახეთის დაუფლება იყო. მაგრამ ძმებმა საბოლოოდ მარცხი განიცადეს. გიორგიმ გადაწყვიტა, შაჰს დამორჩილებოდა და 1695 წელს ირანში გაემგზავრა. გიორგი XI ჭეშმარიტი მამუ-

---

[1] ვახუშტი ბაგრატიონი. დასახ. ნაშრომი. გვ. 461.

[2] მ. ხუბუა. ქართულ-ირანული ურთიერთობიდან ენიმკის მოამბე. V-VI. თბ. 1949. გვ. 248.

ლიშვილი იყო. იგი შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა ირანის წინააღმდეგ. მთელი მისი მოღვაწეობა მიმართული იყო საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომისაკენ“. მისი ირანში წასვლა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ჰანვეი პირდაპირ მიუთითებს, რომ გიორგის შაჰთან გამოცხადება შეიძლება მისთვის საბედისწერო ყოფილიყო,[1] მაგრამ გიორგი იხსნა ირანის წინააღმდეგ დაწყებულმა ავღანელთა აჯანყებამ.[2] გიორგის დაავალეს მათ წინააღმდეგ ბრძოლა. რაც შეეხება ერეკლე პირველს, მთელი მეფობის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა ირანს. ერეკლე, რომელმაც თითქმის 34 წელი სამშობლოს გარეთ გაატარა, სუსტი ხელისუფალი გამოდგა, დასუსტდა ცენტრალური ხელისუფლება, გაძლიერდა ყიზილბაში მეციხოვნეების თვითნებობა. მოსახლეობა გარბოდა კახეთში.

1703 წელს შაჰ-სულთან ჰუსეინმა ქართლის მეფობა კვლავ გიორგი XI-ს უბოძა, ოღონდ ირანში დატოვა, ქართლში კი მის მოადგილედ ვახტანგ ლევანის ძე დაინიშნა. ერეკლე ირანში გაიწვიეს და კახეთის მეფობა მისცეს, თუმცა ისიც ირანში დატოვეს, კახეთში კი მის მოადგილედ მისი ვაჟი დავითი გამოგზავნეს.

## 3. ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში და მისი პოლიტიკური შედეგები

XVII საუკუნის 30-50-იან წლებში დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ფეოდალურმა შინაომებმა, რომლის მთავარი ინიციატორი იყო ლევან II დადიანი, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა სამეფო-სამთავროების ეკონომიკას, გააღრმავა ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობა. დადიანის პოლიტიკამ საფუძველი ჩაუყარა იმ საშინელ ფეოდალურ ანარქიას, რომელმაც დიდი ხნით მოიცვა დასავლეთი საქართველო.

ლევან დადიანი გარდაიცვალა 1657 წელს. ალექსანდრე III იმერთა მეფემ კარგად ისარგებლა ამ ძლიერი მთავრის სიკვდილით, სამეგრელოსა და გურიის მთავრებად თავისი სასურველი პირები დასვა და აღადგინა იმერეთის სამეფოს ჰეგემონობა დასავლეთ საქართველოში. შენელდა დაუსრულებელი შინაომები. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე დასავლეთ საქართველოში ახალი ძალით იფეთქა ფეოდალურმა ანარქიამ. არეულობას ბიძგი მისცა ალექსანდრე III-ის ქვრივის, დარეჯან თეიმურაზის ასულის მოქმედებამ.

[1] მ. ხუბუა, ქართულ-ირანული ურთიერთობიდან. ენიმკის მოამბე, V-VI, თბ., 1949, გვ. 248.

[2] იქვე.

ალექსანდრე III იმერთა მეფე გარდაიცვალა 1660 წლის 4 მარტს. ტახტზე ავიდა ალექსანდრეს ვაჟი პირველი ცოლისაგან ბაგრატი. მაგრამ ქვეყანას ალექსანდრეს ქვრივი დარეჯანი განაგებდა. წყაროთა მონაცემებით დარეჯანი ძალაუფლების მოყვარე და დიდი ნებისყოფის ქალი ყოფილა. მოჰამედ თაჰერი შენიშნავს: „თეიმურაზ ხანის ქალი, რომელიც ცოლად ჰყავდა ალექსანდრე ხანს, დიდი ნებისყოფის მქონე იყო“.[1] ქვეყანას რომ დარეჯანი მართავდა და ბაგრატის მეფობა ფიქცია იყო, მრავალი წყარო მოწმობს. ფარსადან გორგიჯანიძე დარეჯანის შესახებ წერს: „თვითონ მეფეც იყო და დედოფალიცა, ბაგრატს არაფერი ეკითხებოდა“.[2] გორგიჯანიძის ცნობას ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული ორი სიგელიც — ერთი ასე იწყება: ‚ჩუენ დედოფალთა დედოფალმან პატრონმა ნესტან დარეჯან, და ძემან ჩუენმან მეფემან პატრონმა ბაგრატ“..., [3] მეორე სიგელში ნათქვამია: „დედოფალთა დედოფალმან კახთა მეფისა ასულმან ნესტან-დარეჯან და ძემან ჩვენმან მეფემან ბაგრატ...[4] როგორც ვხედავთ, ორივე სიგელში პირველ რიგში დასახელებულია დარეჯან დედოფალი. ცხადია, ბაგრატი არ შეურიგდებოდა ასეთ მდგომარეობას. იმერეთში ორი დაჯგუფება შეიქმნა. ერთი მხარს უჭერდა ბაგრატს, მეორეს კი ბაგრატის ტახტიდან ჩამოგდება და დარეჯანის გამეფება სურდა. დარეჯანის მომხრეთა შორის ყოფილა იმერეთის კათალიკოსიც. ნ. ასათიანმა დაასაბუთა, რომ ბაგრატი მართლაც ცდილობდა, თავი დაეღწია დარეჯანის მეურვეობისაგან და ამ მიზნის მიღწევას თურქთა დახმარებით აპირებდა.[5] წყაროთა უმრავლესობა ბაგრატსა და დარეჯანს შორის კონფლიქტის მიზეზად ამ უკანასკნელის პატივმოყვარეობასა და ძალაუფლებისაკენ სწრაფვას მიიჩნევს. ნ. ასათიანის აზრით კი კონფლიქტის მიზეზი მოწინააღმდეგე დაჯგუფებათა საპირისპირო საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია იყო — დარეჯანი და მისი ჯგუფი აგრძელებდა თეიმურაზის საგარეო პოლიტიკურ კურსს, ე. ი. რუსეთზე ორიენტაციას, ბაგრატი კი თურქული ორიენტაციის მომხრე იყო.[6] ის ფაქტი, რომ ბაგრატი თურქთა დახმარებით აპირებდა დარეჯანის თავიდან მოცილებას, არ გულისხმობს მის ანტირუსული ორიენტაციის კურსს. უბრალოდ, ახალციხის საფაშო წარმოადგენდა ერთადერთ ძა-

---

1 მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოცემა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 395.

2 ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 62.

3 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, შ. ბურჯანაძის გამოცემა, წ. I, 1958, გვ. 30.

თ. ჟორდანია, ქრონიკები, წ. II, ტფ., 1897, გვ. 477-478.

ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973, გვ. 43.

6 იქვე, გვ. 42.

ლას, რომელსაც შექმნილ კონკრეტულ ვითარებაში შეეძლო ოპერატიული დახმარება აღმოეჩინა ბაგრატისათვის და მისი ფიქტობრივი მეფობა ნამდვილ მეფობად ექცია. საერთოდ თურქების მოწვევა დასავლეთ საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. თურქებს თავიანთი მიზნებისათვის ხშირად იწვევდნენ მეფეებიც, მთავრებიც და ცალკეული ფეოდალებიც. თვით იმერეთიდან გაძევებულმა დარეჯან დედოფალმა ახალციხის ფაშას დახმარებით შეძლო მცირე ხნით ტახტის დაბრუნება. ვფიქრობთ, ეს ფაქტი არ გამოგვადგება იმის საბუთად, რომ დარეჯანი ანტირუსული ორიენტაციის კურსს ადგა. ბაგრატი რომ არ იყო ანტირუსული ორიენტაციის მომხრე, ნათლად ჩანს მისი შემდგომი მოღვაწეობიდან. იგი, ისევე როგორც მამამისი, ალექსანდრე III, დაჟინებით ცდილობდა რუსეთის მფარველობაში შესვლას.

ბაგრატმა მხოლოდ რამდენიმე თვეს იმეფა, ერთი ცნობით კი მისმა მეფობამ მხოლოდ ექვს კვირას გასტანა.[1] როგორც აღნიშნული იყო, ბაგრატი დარეჯანის დასამხობად თურქების მოწვევას აპირებდა, მაგრამ დარეჯანმა და მისმა მომხრეებმა დაასწრეს, ბაგრატი შეიპყრეს და დააბრმავეს. ამ ფაქტს მრავალი ავტორი ეხება. ვახუშტის ცნობით, „მზაკვართა კაცთა ენითა შეიპყრა ბაგრატ მეფე, გერი თვისი, დარეჯან დედოფალმა, წაგუარა ცოლი ქეთევან და აღმოხადნა თუალნი."[2] ფარსადან გორგიჯანიძე ფეოდალებს სდებს ბრალს შეთქმულების მოწყობაში: „შეუჯდნენ დედოფალს ეშმაკსავით მაცდურები და ასე გამოურჩიეს: ბაგრატი მოკალო და ჰუჰუნეიშვილი ვახტანგ ბაგრატიონი შეირთეო და მეფედ აკურთხეო."[3] საინტერესო ცნობას გვაწვდის „პარიზის ქრონიკის" ავტორი: „დარეჯან დედოფალმან თავისი გერი შესართავად მოინდომა, ბაგრატ არ ქნა, დედოფალი ამაზე და სხვა რიგადაც გარჯნა, გაუავდა და ბაგრატ დააჭირვინა და თვალები დააწვევინა."[4] არავითარი საფუძველი არ გვაქვს არ ვენდოთ ამ ცნობას, მითუმეტეს, რომ მას ადასტურებს ისეთი სანდო ავტორიც, როგორც იყო მაკარი ანტიოქიელიც.

განხილულ წყაროთა ჩვენებები, ვფიქრობთ, გვაძლევს უფლებას, ვამტკიცოთ, რომ დარეჯან დედოფალს, როდესაც იგი შეთქმულებას აწყობდა ბაგრატის წინააღმდეგ, ამოძრავებდა არა ქვეყნის ინტერესები, არა საგარეო ორიენტაციის პრობლემები, არამედ ძალაუფლების სურვილი.

---

1 გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის (1660-1685), საისტორიო მოამბე, №23-24, თბ., 1970, გვ. 155.

2 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 835.

3 ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 270-271.

4 „პარიზის ქრონიკა", ზ. ჭიჭინაძის რედაქციით, 1903, გვ. 65-66.

ბაგრატის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ დარეჯანმა ქმრად მოიყვანა ბაგრატიონთა შორეული ნათესავი, ვინმე ვახტანგ ჭუჭუნეიშვილი და მასთან ერთად შეუდგა ქვეყნის მართვა-გამგეობას. დარეჯანის და, განსაკუთრებით, ვახტანგ ჭუჭუნეიშვილის მეფობა მიუღებელი აღმოჩნდა იმერეთის ფეოდალთა დიდი ნაწილისათის. დარეჯანის საწინააღმდეგოდ იმერეთში მოიწვიეს ვახტანგ V და დადიანი. როსტომ მეფის ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგად ქართლის სამეფო კვლავ დაწინაურდა და გაძლიერდა. როსტომის მემკვიდრე, ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე ვახტანგ V აქტიურად ერეოდა საქართველოს სამეფო სამთავროების საქმიანობაში. ვახტანგის პოლიტიკა მიზნად ისახავდა საქართველოს გაერთიანებისა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას. ნ. ბერძენიშვილი როცა ეხებოდა ამ პერიოდში საქართველოში შექმნილ ვითარებას, წერდა: „ საქართველო „აღდგომისა და გამოხსნისათვის" ძალას იკრებდა, საამისოდ ირაზმებოდა. წამყვანი როლი ამ საქმეში ქართლს ეკუთვნოდა. ირანის პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად ქართლი აღნიშნულ დროს ეკონომიურად და კულტურულად წინ მიდიოდა. ამავე დროს მისი გავლენა საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა".[1]

ვახტანგ V-ის პოლიტიკური მიზნების განხორციელებას ხელს უწყობდა გაუმჯობესებული საგარეო ვითარებაც. ირანის სიძლიერე ამ დროს მნიშვნელოვნად იყო შერყეული. შაჰ-სულეიმანის დროს უკვე შეიმჩნეოდა ირანის სამეურნეო და პოლიტიკური დაცემულობის პირველი ნიშნები.

იმერეთის ფეოდალთა მოწვევა სავსებით ეთანხმებოდა ვახტანგ V-ის მიზნებს და მან დაუყოვნებლივ ილაშქრა იმერეთში. მან და დადიანმა გაინაწილეს იმერეთი: ბუჯის წყლის აღმოსავლეთი ტერიტორია ვახტანგს ერგო, დასავლეთი — დადიანს. ამავე დროს ისინი შეთანხმდნენ, რომ დადიანის ასული ცოლად გაჰყოლოდა ვახტანგის ვაჟს არჩილს და უკანასკნელს უნდა ემეფა იმერეთში. ეს კი რეალურად ქართლის სამეფოსათვის იმერეთის შემოერთებას" ნიშნავდა. ვახტანგი რომ თავის თავს იმერეთის (ბუჯის წყლის აღმოსავლეთით) სრულუფლებიან ბატონპატრონად თვლიდა, კარგად ჩანს მისი სიგელიდან: „მეფეთ-მეფე შაჰნავაზ უზეშთაესთა მოგახსენებთ და უქუედაესთა გიბრძანებთ, ერთობილნო ბუჯას წყალს ზედათნო, ხრეითიანთ ·ლიხის მთამდი. მერე თქვენი სარდლობა ზაალ წერეთელისათვის გუიბოძებია და რომელიცა ჩვენი სამსახური, ან ლაშქრობა, ან ნადირობა ან სხუა რამე დაგპატიჯოს

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს-ის საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965, გვ. 149.

ყუელაზედ მოუდექით და ნურას საქმეზედ ნუ დაეურჩებით, თუ არა ვინც დაეურჩებით და ან ამის სამართალს არ გაიგონებთ, იცოდეთ გაგიწყრებით და რაც ავია, იმას გიზამთ."[1] დადიანმა დაარღვია პირობა, მან თავისი ასული ცოლად მისცა იმერეთის ძლიერ ფეოდალს ბეჟან ლოლობერიძეს. როგორც ჩანს, დადიანს არ სურდა იმერეთის ტახტზე არჩილი ეხილა, ეს აშკარა საფრთხეს შეუქმნიდა მის დამოუკიდებლობას. ვახტანგ V-მ ხელმეორედ ილაშქრა იმერეთში, აიღო ციხეები, და შემდეგ გადავიდა ოდიშში. ვამეყ დადიანი გაიქცა სვანეთში, სადაც მოკლეს ვახტანგის ბრძანებით. ოდიშში ვახტანგს ეახლნენ აფხაზეთისა და გურიის მთავრები და მორჩილება განაცხადეს. ქუთაისში დაბრუნებულმა ვახტანგმა იმერეთის მეფედ გამოაცხადა არჩილი. როგორც ვხედავთ, ქართლის ჰეგემონია გავრცელდა მთელ დასავლეთ საქართველოზე. მაგრამ საქმეში გარეშე ძალა — ოსმალეთი ჩაერია. თურქეთ-ირანის 1639 წლის ზავით დასავლეთი საქართველო ირანმა ოსმალეთის ხელდებულ ქვეყანად ცნო. იმერეთის ტახტზე ირანის შაჰის ვასალის, ვახტანგის ვაჟიშვილის, არჩილის ასვლა თურქთმა თავის საშინაო საქმეებში ჩარევად ჩათვალა და ირანს ოფიციალური პროტესტი განუცხადა. შაჰი მოერიდა ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავებას და მისი ბრძანებით ვახტანგმა არჩილი იმერეთიდან გაიწვია.

1663 წელს იმერეთში კვლავ ბაგრატი გამეფდა.[2] ქვეყანაში გრძელდებოდა შინაფეოდალური ომები. ახალგამეფებული ბაგრატის წინააღმდეგ გაილაშქრა ლევან დადიანმა. ბანძასთან ბრძოლაში გაიმარჯვა ბაგრატმა. ლევან დადიანი ტყვედ ჩავარდა. ბაგრატმა მას ცოლი, სილამაზით განთქმული თამარი წაართვა, თვითონ შეირთო, ხოლო ლევანს თავისი და, გოშაძის ნაცოლარი შერთო.[3] მეფის ასეთი უგუნური მოქმედება კიდევ უფრო ამწვავებდა ქვეყანაში შექმნილ ვითარებას. მალე ბაგრატს „განუდგნენ მთავარნი და მიიტაცებდიან თვისთვისთა მხარეთა და აღარა იყო მორჩილება ეგდენი მეფეთა, იწყეს ტყვის სყიდვა... კუალად ხდომა, შფოთი, კირთება ერთმან მეორესა ზედა და ოხრება ქვეყანათა".[4] ამას ემატებოდა ფეოდალთა აშკარა ღალატიც. სახლთუხუცესმა სეხნია ჩხეიძემ 1666 წელს ქუთაისის ციხე ოსმალებს ჩააბარა.

დასავლეთ საქართველოში გამეფებული ფეოდალური ანარქია არ იძლეოდა უცხოეთის სახელმწიფოებთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის წარმოების შესაძლებლობას. ამის გამო ალექსანდრე

---

1 ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა.., გვ. 33.
2 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა..., გვ. 837.
3 იქვე. გვ. 837.
4 იქვე. გვ. 838.

III-ის გარდაცვალებისთანავე შეწყდა ურთიერთობა იმერეთსა და რუსეთს შორის, მაგრამ როგორც კი ბაგრატის მდგომარეობა შედარებით მყარი გახდა, კვლავ განახლდა იგი. ბაგრატი მაშინ, ალექსანდრე III-ის მსგავსად, ქვეყნის გადარჩენას რუსეთის მფარველობას უკავშირებდა.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის აღდგენის ინიციატორად ბაგრატი გამოვიდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეული იყო, რომ ბაგრატმა პირველი ელჩობა რუსეთში გაგზავნა 1669 წელს. მაგრამ მოსკოვის ძველ აქტთა არქივში აღმოჩნდა ბაგრატის წერილი ალექსი მიხეილის ძისადმი, დათარიღებული 1667 წლით.[1] იმავე საქმეში ინახება ალექსი მიხეილის ძის საპასუხო წერილი, რომელიც, აგრეთვე, 1667 წლით არის დათარიღებული.[2] ამრიგად, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ბაგრატმა პირველი ელჩობა რუსეთში გაგზავნა არა 1669 წელს, არამედ 1667 წელს. ამ ელჩობას მეთაურობდა დიმიტრი იეზეკიას ძე. წერილით ბაგრატი რუსეთის ხელმწიფეს ატყობინებს ალექსანდრე III-ის გარდაცვალებისა და თავისი გამეფების შესახებ, შემდეგ აღუწერს იმერეთში მომხდარ ამბებს და სთხოვს ხელმწიფეს, რუსეთსა და იმერეთს შორის აღდგენილიყო ისეთივე ურთიერთობა, როგორიც იყო ალექსანდრე III-ის დროს, ე.ი. რუსეთს კვლავ დაედო მფარველობის ხელი იმერეთის სამეფოსათვის.[3] დამეხმარე, რათა მტრები დავამარცხო და ქუთაისი გავათავისუფლო თურქებისაგანო, მიმართავდა ბაგრატი ალექსი მიხეილის ძეს. წერილიდან არ ჩანს, რა სახის დახმარებას ითხოვდა ბაგრატი, შეიძლება ეს დავით იეზეკიას ძეს ზეპირად უნდა მოეხსენებინა ხელმწიფისათვის (ელჩს რომ ზეპირი დანაბარებიც ჰქონდა, ეს წერილში საგანგებოდ არის აღნიშნული). ბაგრატი სთხოვდა რუსეთის მეფეს, გამოეგზავნათ მისთვის ისეთივე წყალობის სიგელი, როგორიც გამოუგზავნეს ალექსანდრე III-ს და ბოლოს, ბაგრატი თხოულობდა, რომ ხელმწიფეს იმერეთში გამოეგზავნა საპასუხო ელჩობა.

ბაგრატის ელჩი დაუბრკოლებლად გამოისტუმრეს საქართველოში. ელჩს თან მოჰქონდა ალექსი მიხეილის ძის წყალობის სიგელი. იმერეთის მეფეს მფარველობას ჰპირდებოდნენ. საპასუხო ელჩობის გამოგზავნა კი საჭიროდ არ ჩათვალეს. ჩვენს ელჩს სხვა დროს გამოგიგზავნითო, — ატყობინებდნენ ბაგრატს.

დიმიტრი იეზეკიას ძის ელჩობის პოლიტიკური მნიშვნელობა იმით გამოიხატებოდა, რომ აღსდგა იმერეთ-რუსეთს შორის კარგა ხნით შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა.

---

[1] ЦГАДА,ф. 110, 1667, ფფ. 5-8.
[2] იქვე. ფფ. 14-18.
[3] ЦГАДА,ф. 110,1667, ფფ. 5-6.

ბაგრატის ელჩი საქართველოში დაბრუნებულიც არ იყო, რომ ვითარება იმერეთში კვლავ შეიცვალა, 1667 წელს ბეჟან ლორთქიფანიძე მოულოდნელად დაესხა თავს ქუთაისის ციხეს, ამოწყვიტა ოსმალთა გარნიზონი და ციხე ბაგრატს გადასცა. ამ შემთხვევით კარგად ისარგებლა ახალციხეში თავშეფარებულმა დარეჯან დედოფალმა, რომელიც უკვე დიდი ხანია ცდილობდა თურქთა დახმარებით ტახტის დაბრუნებას. ოსმალთა გარნიზონის ამოწყვეტის შემდეგ დარეჯანმა ადვილად მოახერხა, დაეთანხმებინა თურქები საქართველოში ლაშქრობაზე. ფაშა დიდი ლაშქრით შემოესია იმერეთს. დადიანმა და გურიელმა არ დააყოვნეს და ოსმალებს ეახლნენ. ფაშასთან გამოცხადდა აგრეთვე სეხნია ჩხეიძე. ბაგრატ მეფემ მტერს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ლეჩხუმს შეაფარა თავი. „ოსმალთა მოსრნეს, მოსტყვევნეს იმერეთი, შემუსრეს მრავალნი ხატნი და ჯვარნი, მოსწვეს ქვეყანანი და ეკლესიანი."[1] ოსმალთა ლაშქრობის შედეგად იმერეთში შიმშილობა ჩამოვარდა: „ დედოფალმან დარეჯან ჩამოიყვანა ურუმის ლაშქარი და მრავალი სოფელი წახდა და კიდეც შიმშილობა იქნა".[2] ყოველივე ამის შედეგად დარეჯანმა შეძლო ტახტის დაბრუნება. დარეჯანის მეფობა ხანმოკლე აღმოჩნდა. იმავე წელს იგი და მისი ქმარი ვახტანგ ჭუჭუნეიშვილი შეთქმულებმა მოკლეს და მეფედ დიმიტრი გურიელი მოიწვიეს. არც ამ უკანასკნელს დასცალდა დიდხანს მეფობა. 1669 წელს მას თვალები დათხარეს, იმერეთიდან გააძევეს და კვლავ ბაგრატი გაამეფეს. სეხნია ჩხეიძე კვლავ გამოვიდა ბაგრატის წინააღმდეგ — ქუთაისის ციხე ხელმეორედ გადასცა ოსმალებს. ამჯერად ციხე დიდი ხნით დარჩა თურქთა ხელში და წარმოადგენდა მათი ბატონობის პლაცდარმს. „თურქმა მეციხოვნეებმა, მას შემდეგ, რაც ქუთაისის ციხე თავის რეზიდენციად გამოაცხადეს, კიდევ უფრო გაამწვავეს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა ურთიერთობა. ისინი მეფე-მთავრებს ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ. ყველანი ერთად და ცალ-ცალკე ქვეყანას აოხრებდნენ".[3] ქუთაისის ციხის თურქებისათვის გადაცემის შემდეგ სეხნია ჩხეიძემ იმერეთში დადიანი მოიწვია. მათ შეუერთდნენ მეფის სხვა მოწინააღმდეგეებიც. ჩხართან მომხდარ ბრძოლაში გაიმარჯვა ბაგრატმა. ამ ბრძოლაში მოკლეს ქვეყნის მოღალატე სეხნია ჩხეიძე. ცოტა ხნის შემდეგ დადიანი მოულოდნელად დაესხა თავს ქუთაისს, ბაგრატმა ძლივს გაასწრო და რაჭა-ლეჩხუმს შეაფარა თავი, დადიანი კი იმერეთის ძარცვას შეუდგა. რაჭა-ლეჩხუმის დახმარე-

---

[1] ვახუშტი, აღწერა., გვ. 838.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 485.

[3] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, თბ., 1965, გვ. 446.

ბით ბაგრატმა შეიპყრო დადიანი და დიდი შეცდომა დაუშვა — ფიცის დადების შემდეგ მან სამეგრელოს მთავარი გაათავისუფლა.

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა ბაგრატმა იმედის თვალი კვლავ რუსეთს მიაპყრო. მან მეორე ელჩობა გაგზავნა რუსეთში. ელჩობას მეთაურობდნენ მიტროპოლიტი ევდემონი და დიმიტრი იეზეკიას ძე. ელჩები მოსკოვში ჩავიდნენ 1670 წელს და თან ჩაიტანეს ბაგრატის 1669 წელს დაწერილი წერილი. ბაგრატი რუსეთის ხელმწიფეს შეახსენებს პირველი ელჩობის შესახებ: „მეფე ბაგრატ მოგახსენებთ, დიმიტრი იეზეკიას ძის მეშვეობით ჩვენ უკვე ადრე მოგმართეთ თქვენ, გაცნობეთ რა ჩვენი მდგომარეობისა და საქართველოს საქმეების შესახებ და ჩვენ დაგვპირდნენ წყალობას, საჩუქრებსა და სიმაგრეებიდან თურქთა განდევნას"...[1] მაგრამ დახმარება ვერ მივიღეთო. იმერეთის მეფე კვლავ სთხოვდა მფარველობას რუსეთს. ამჯერად მან მოსკოვის ხელმწიფეს ფინანსური დახმარებაც სთხოვა ქუთაისის ციხის გამოსასყიდად. ეს ელჩობა უშედეგოდ დასრულდა — მან არათუ მფარველობა და ფული ვერ მიიღო რუსეთიდან, არამედ მისი ელჩებიც ვერ დაბრუნდნენ უკან.

ირკვევა, რომ ბაგრატის ელჩობა ჩაშალა მოსკოვში მყოფმა ერეკლე ბატონიშვილმა. მან ხელმწიფის კარზე საჩივარი წარადგინა დიმიტრი იეზეკიას ძის წინააღმდეგ და ღალატი დასწამა მას — დიმიტრი თეიმურაზისა და ჩემი ყმა იყო, ხოლო შემდეგ გვიღალატაო — ამტკიცებდა ერეკლე. რუსეთის მეფის ბრძანებით, დიმიტრის საგანგებო დაკითხვა მოუწყვეს. დიმიტრიმ უარყო ღალატის ბრალდება — მე, მართალია, თეიმურაზის ყმა ვიყავი, მაგრამ ირანში გამგზავრების წინ, თვით თეიმურაზის ნებართვით შევედი იმერეთის მეფის სამსახურში — განაცხადა მან. მეფის მთავრობამ დიმიტრი ერეკლე ბატონიშვილს გადასცა. ერეკლემ მოახერხა დიმიტრის გადაბირება და გამოიყენა იგი მიტროპოლიტ ევდემონის წინააღმდეგ. ორივემ ერთად დაარწმუნა ხელმწიფის კარი, რომ ბაგრატი იმერეთში არ ფლობს არავითარ ძალაუფლებას და ევდემონი არის თვითმარქვია ელჩი. ალექსი მიხეილის ძის ბრძანებით ევდემონი მონასტერში გამოკეტეს.[2] ზუსტად ძნელი სათქმელია, რატომ მოქმედებდა ერეკლე ბატონიშვილი ბაგრატისა და მისი ელჩების წინააღმდეგ. შეიძლება მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა: ერეკლესთვის კარგად იყო ცნობილი, რომ არჩილს სურდა, დაუფლებოდა იმერეთის ან კახეთის ტახტს. მას შემდეგ, რაც არჩილი იძულებული გახდა დაეტოვებინა იმერეთი, ვახტანგმა შეძლო მისი გამეფება კახეთში (1664 წ.). არჩილმა, კახეთის ტახტზე ლეგიტიმური უფლების განმტკიცების მიზ-

---

1 М. Броссе, Переписка.., გვ. 84

2 ЦГАДА, ф. 110, 1677, д. N1, ფ. 28.

ნით, ცოლად შეირთო თეიმურაზის შვილიშვილი, ბაგრატის ცოლყოფილი ქეთევანი. რუსეთში მყოფი ერეკლე ბატონიშვილისათვის არჩილის კახეთში მეფობა მიუღებელი იყო, რადგან მისი მთავარი მიზანი სწორედ კახეთში გამეფება იყო. ამიტომ შესაძლოა, ერეკლე იმიტომ გამოდიოდა ბაგრატის წინააღმდეგ, რომ იმერეთის ტახტისაკენ გზა გაეხსნა არჩილისათვის. ასე იყო თუ ისე, ერეკლემ მოახერხა ელჩობის ჩაშლა. მოსკოვი ისეთ მეფეს, რომელსაც არავითარი ძალაუფლება არ გააჩნდა, დახმარებას არ გაუწევდა. მოსკოვმა ბაგრატს არა თუ დახმარება გაუწია, მასთან დიპლომატიური ურთიერთობაც კი მიზანშეუწონლად მიიჩნია. ურთიერთობა იმერეთსა და რუსეთს შორის დიდი ხნით შეწყდა.

დასავლეთ საქართველოში ფეოდალური ანარქია კიდევ უფრო ძლიერდებოდა. იმერეთსა და სამეგრელოს შორის განუწყვეტელმა ბრძოლამ ორივე ქვეყანა მნიშვნელოვნად დაასუსტა. ამით ისარგებლა გიორგი გურიელმა, რომელიც ვახუშტის დახასიათებით ყოფილა „უღვთო, მესისხლე და ტყვისმსყიდველი უწყალო“.[1] საქმეში გურიელის „რომანიული“ ინტერესებიც ჩაერია — გარდა ვიწროფეოდალური ინტერესებისა, გურიელს შეჰყვარებია ბაგრატის მეუღლე თამარი. გიორგი გურიელმა მოიწვია ახალციხის ფაშა და 1672 წელს თავს დაესხა ბაგრატს. ბაგრატი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. თამარმა მოასწრო გადამალვა. იმერეთის აოხრების შემდეგ გურიელი ოსმალებს სამეგრელოში შეუძღვა. შარდენი ამის შესახებ წერს: „უფრო შევწუხდი და მეწყინა, როდესაც გავიგე, რომ ოსმალები და მთავარი გურიელი შესულიყვნენ ჯარით სამეგრელოში, დაეწყოთ ომი, ცარცვავდნენ თავიანთი მეზობლების სახლებს, იტაცებდნენ ხალხს და პირუტყვს, სადაც მოასწრებდნენ“.[2] გიორგი გურიელმა მაინც ვერ მოახერხა იმერეთის ტახტზე ასვლა. ბაგრატმა ახალციხის ფაშას მისცა საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა, აგრეთვე მძევლად მისცა ვაჟიშვილი ალექსანდრე და შეძლო ტახტის დაბრუნება. ბაგრატი შეუკავშირდა დადიანს და 1672 წლის დეკემბრის ბოლოს გაილაშქრა გურიაში — „ვერ წინა-აღუდგა გურიელი, მოსტყვევნა და მოსწვა გურია და წარმოვიდა ალაფითა და იავარითა“.[3] ბაგრატისა და დადიანის კავშირი მალე დაირღვა. საქმეში ჩაერია ვახტანგ V ბაგრატის იზოლაციის მიზნით ვახტანგმა გადაწყვიტა დადიანთან კავშირის დამყარება და შესთავაზა დაექორწინებინათ არჩილის ასული დარეჯანი დადიანის ვაჟზე მანუჩარზე. დადიანი დათანხმდა და

---

1 ვახუშტი, აღწერა.., გვ. 840.

2 შარდენი, მოგზაურობა, გვ. 10.

3 ვახუშტი, აღწერა.., გვ. 841.

მანუჩარი ქართლში გაგზავნა. ბაგრატმა შეძლო ამ ქორწინების ჩაშლა. მანუჩარის ამალა დაარწმუნეს, თითქოს ვახტანგი მანუჩარის ყაენთან გაგზავნას აპირებდა, მანუჩარის მხლებლები მოტყუვდნენ, იგი გამოიპარეს და სამეგრელოში ჩაიყვანეს.[1]

1674 წელს ბაგრატმა თურქებს წაართვა ქუთაისის ციხე. თურქებმა ბაგრატს ციხის დაბრუნება მოსთხოვეს, სამაგიეროდ მძევლად წაყვანილი ალექსანდრე ბატონიშვილის დაბრუნებას დაპირდნენ და ბაგრატი იძულებული გახდა, ციხე დაებრუნებინა. დაუსრულებელი შინაომები ანადგურებდა მთელ დასავლეთ საქართველოს. განსაკუთრებით მძიმე დღეში აღმოჩნდა სამეგრელო აფხაზთა თავდასხმების შედეგად. სამეგრელოს მდგომარეობას ასე აფასებს ერთ-ერთი მისიონერი: „სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებულია. აღარავის ჰყავს საქონელი და ყველას სარჩო აკლია."[2] ანალოგიური ვითარება იყო მთელს დასავლეთ საქართველოში.

ბაგრატმა მესამე ელჩობა გაგზავნა მოსკოვში. ელჩობას მეთაურობდა დავით მალაქიას ძე. ელჩს მიჰქონდა მეფის წერილი და თან მიჰყავდა შვიდი რუსი, რომლებიც ოსმალთა ტყვეობიდან გამოუხსნია ბაგრატს. დავით მალაქიას ძე მოსკოვში ჩავიდა 1677 წელს და თევდორე ალექსის ძეს წარუდგინა ბაგრატის წერილი. ბაგრატი კვლავ მფარველობას თხოულობდა. თევდორეს აცნობებდა, რომ მტკიცედ უპყრია ძალაუფლება (რაც, რასაკვირველია, გადაჭარბებული იყო), ქუთაისის ციხეში კვლავ თურქები დგანან, დანარჩენი ქვეყანა მე მემორჩილებაო, — წერდა ბაგრატი.[3] ამავე დროს, ბაგრატი კითხულობდა დავით იეზეკიას ძისა და მიტროპოლიტ ევდემონის შესახებ.[4] მოსკოვში დარწმუნდნენ, რომ იმერეთში ბაგრატი მეფობდა და ევდემონი თვითმარქვია ელჩი არ იყო. გარდა ამისა, ამ დროს საქართველოში ერთადერთი პოლიტიკური ერთეული, რომელიც რუსეთთან კავშირისაკენ მიისწრაფოდა, იმერეთის სამეფო იყო და გადაწყვიტეს, განეახლებინათ იმერეთთან ურთიერთობა. საქართველოში გამობრუნებულ დავით მალაქიას ძეს თან მოჰქონდა თევდორე ალექსის ძის წერილი ბაგრატისადმი. საპასუხო წერილში რუსეთის ხელმწიფე კვლავ აღებდა მფარველობის ხელს იმერეთის სამეფოს. თევდორე ალექსის ძე მადლობას უხდიდა ბაგრატს რუსი ტყვეების განთავისუფლებისათვის.[5] თევდორე ალექსის ძის წერილით დასტურდება,

---

1 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 841.
2 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 204.
3 ЦГАДА, ф. 110, 1677, д. N1, ფ. 8-12.
4 იქვე.
5 იქვე, ფ. 6-7.

რომ ევდემონ მიტროპოლიტის ელჩობა მართლაც ერეკლე ბატონიშვილმა ჩაშალა. თევდორე პირდაპირ წერდა: „ ... ქართველმა უფლისწულმა ერეკლემ გვაუწყა, რომ ელჩები თვითმარქვიები არიან და ჩამოვიდნენ სარდალ დიმიტრის სახელით. მართალია, ბაგრატის მესამე ელჩობას გარკვეული წარმატება ხვდა — აღდგა იმერეთ-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობა და ბაგრატს კვლავ აღუთქვეს მფარველობა, მაგრამ პრაქტიკულად არც ამ ელჩობას მოჰყვა რაიმე შედეგი. რუსეთი არც კი ფიქრობდა, რაიმე დახმარება გაეწია იმერეთის სამეფოსათვის. გარდა ამისა, მალე იმერეთში ახალი ცვლილება მოხდა. გურიელი არ აპირებდა იმერეთის ტახტისათვის ბრძოლაზე უარის თქმას, ამავე დროს, იგი დაჟინებით ცდილობდა ბაგრატისათვის ცოლის, თამარის წართმევას. გურიელის შემორიგების მიზნით ბაგრატმა მას ცოლად მისცა ქალიშვილი, რომელიც თამარისაგან ჰყავდა. 1678 წელს ბაგრატმა კვლავ დაკარგა ტახტი — იმერეთის ახალციხის ფაშას ჯარით შეესია არჩილი. ბაგრატი სიძესთან, გურიაში გაიქცა. არჩილმა თამარი დადიანს დაუბრუნა. 1679 წელს ბაგრატმა არზრუმის ფაშას დახმარებით გააძევა არჩილი და ტახტი დაიბრუნა. გამეფებისთანავე ბაგრატმა ილაშქრა სამეგრელოში, გააძევა ლევან დადიანი და თამარი კვლავ შეირთო ცოლად. ლევან დადიანი დაუკავშირდა გიორგი გურიელს, მისცა მას ვაჟიშვილი მანუჩარი მძევლად და დაიბრუნა ოდიში.

ლევან დადიანი გარდაიცვალა 1680 წელს. ოდიშელებმა მოინდომეს მანუჩარის გამთავრება და გამოსთხოვეს იგი გურიელს. გურიელმა თავისი თავი შესთავაზა ოდიშელებს მთავრად, მაგრამ უარი მიიღო. „ვიდრემდის ცოცხლებით არს მანუჩარ არავის მივსცეთ ციხენი და ქვეყანანი“[1] — უპასუხეს გურიელს სამეგრელოს ფეოდალებმა. ასეთმა პასუხმა გადაწყვიტა მანუჩარის ბედი — გურიელმა იგი მოაკვლევინა და იარაღით სცადა სამეგრელოს დაპყრობა, მაგრამ მარცხი განიცადა: სამეგრელოში ძალაუფლება კაცია ჩიქოვანის ხელში გადავიდა. „ოდიში იყო უპატრონოდ და კაცია ჩიქოვანი იყო თავი და განმგე მათი. ამან მოსრნა მრავალნი შემძლებელნი და წარჩინებულნი ოდიშისანი.[2] სამეგრელოს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა კაციას სიკვდილის შემდეგ — „დაიპყრა ლიპარიტიანობა ძემან კაციასამან გიორგიმ უმეტეს მამისა თვისისა და სრვიდა უწყალოდ, ჰყიდდა ტყვედ ოდიშართა“.[3] ყველაფერს ამას ემატებოდა აფხაზთა შემოსევები. „მოვიდოდიან ნა-

ვახუშტი, აღწერა — გვ. 844.
იქვე, გვ. 845.
იქვე, გვ. 845-846.

ვებითა და ხმელითა და სტყვევნიდიან".[1] აფხაზეთმა XVII საუკუნის დასაწყისში დამოუკიდებლობა მოიპოვა სამეგრელოს მთავრისაგან. ლევან დადიანმა კავშირი შესთავაზა აფხაზეთის მთავარს და ცოლად შეირთო ამ უკანასკნელის ქალიშვილი. ლევანი დაუმოყვრდა გურიის მთავარსაც. ეს „სამთა კავშირი" მიმართული იყო იმერეთის მეფის, გიორგი III-ის წინააღმდეგ. მეფესა და დადიანს შორის ბრძოლა დადიანის გამარჯვებით დამთავრდა. ამ გამარჯვებამ განამტკიცა დადიანის მდგომარეობა და მან მოინდომა, აღედგინა თავისი ძალაუფლება აფხაზეთზე, ცოლს, აფხაზთა მთავრის ქალიშვილს, ღალატი დასწამა, მოსჭრა მას ცხვირი და ყურები, შეიპყრა აფხაზეთში და სასტიკად აოხრა. ლევანმა აიძულა აფხაზთა მთავარი, ოდიშის სასარგებლოდ ხარკი ეკისრა. ხარკის უმნიშვნელო რაოდენობა მოწმობდა აფხაზეთის დამოკიდებულების ნომინალურ ხასიათს.[2] აფხაზეთი ფაქტობრივად დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, ლევან დადიანის სიკვდილის შემდეგ კი აფხაზები იწყებენ გამუდმებულ თავდასხმებს სამეგრელოზე. XVII ს-ის 80-იანი წლებიდან იცვლება აფხაზთა შემოსევების ხასიათი. თუ მანამდე ისინი მხოლოდ ნადავლისა და ტყვეებისათვის აწყობდნენ ლაშქრობებს, ამ დროიდან ცდილობენ სამეგრელოს ტერიტორიაზე ფეხის მტკიცედ მოკიდებასა და წარმატებასაც აღწევენ — სორეხ შარვაშიძის მთავრობის დროს აფხაზებმა დაიპყრეს კოდორსა და ენგურს შორის მდებარე ზღვისპირა ტერიტორია.[3]

1681 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ბაგრატ IV. იმერეთის ფეოდალებმა ტახტზე აიყვანეს გიორგი გურიელი. ქართლის მეფე გიორგი XI ცდილობდა იმერეთში არჩილის გამეფებას, როდესაც ეს ცდები მარცხით დამთავრდა, გიორგიმ გადაწყვიტა, რომ იმერეთის ტახტზე აეყვანა ალექსანდრე ბაგრატის ძე, რომელიც 1678 წლიდან გიორგი XI-ის კარზე იმყოფებოდა. გიორგიმ „ინება, რათა სჯდეს ნებისყოფელი თვისი იმერეთს ძალისა თვისისათვის".[4] გიორგიმ ალექსანდრეს გამეფებისათვის შეწევნა სთხოვა ახალციხის ფაშას. ამ დროს გიორგი გურიელმა გაუგონარი საქციელი ჩაიდინა — გაეყარა ცოლს და სიდედრი თამარი შეირთო. ამან იმერეთის ფეოდალური საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ახალციხის ფაშასთან ჩავიდნენ იმერეთის ფეოდალთა წარმომადგენლები და განუცხადეს მას: „ჩვენ გურიელის ამხანაგნი ვართო და მის ყმობას არ ვიკადრებთო. ჩვენი ბატონიშვილი

---

1 ვახუშტი, აღწერა.., გვ. 845.
2 ვ. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI-XVIIвв.), Сухуми, გვ270
3 იქვე. გვ. 271.
4 ვახუშტი. აღწერა.., გვ. 459

ქართლის მეფესა ჰყავსო და... ესენი გაგვიბატონეთო".[1] ფაშამ ამ მოლაპარაკების შესახებ სულთანს აცნობა. სულთანმა ეს გეგმა მისაღებად ჩათვალა და ფაშას უბრძანა, ალექსანდრე ბაგრატის ძე გაემეფებინათ. 1683 წელს გურიელი ჩამოაგდეს ტახტიდან და ალექსანდრე გაამეფეს. გიორგი XI, როდესაც ხელს უწყობდა იმერეთში ალექსანდრეს გამეფებას, ცხადია, ვარაუდობდა, რომ ალექსანდრეს სახით მას დასავლეთ საქართველოში ერთგული მოკავშირე ეყოლებოდა. მაგრამ გიორგის არ გაუმართლდა იმედი. მალე ურთიერთობა გიორგი XI-სა და ალექსანდრეს შორის გამწვავდა და ბოლოს აშკარა მტრობაში გადაიზარდა. როდესაც ალექსანდრე ებრძოდა რაჭის ერისთავს პაპუნას, გიორგი XI ამ უკანასკნელს სამხედრო დახმარებას უწევდა. გიორგისა და იმერეთის მეფეს შორის მტრობის მიზეზის შესახებ ცნობა დაცულია „პარიზის ქრონიკაში". ირკვევა, რომ ალექსანდრემ ირანში გააგზავნა ელჩი და აპირებდა შაჰისათვის კავშირი და თავისი სამსახური შეეთავაზებინა.[2] საფიქრებელია, რომ ეს ნაბიჯი ოსმალეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. იმერეთის მეფის ელჩმა ირანამდე ვერ ჩააღწია, იგი, ჩანს, მოაკვლევინა გიორგი XI-მ. იმერეთის მეფის მიერ ჩაფიქრებული პოლიტიკური კომბინაცია მიუღებელი იყო გიორგისათვის — იგი ირანის წინააღმდეგ აჯანყებისათვის ემზადებოდა და ვერ მოითმენდა ზურგში ერთგული მოკავშირის ნაცვლად ირანის შაჰის ვასალის მეფობას.

გიორგი გურიელი არ შეურიგდა ტახტის დაკარგვას. იგი დაუკავშირდა გიორგი ლიპარტელიანს, შოშიტა რაჭის ერისთავს და ბეჟან ლორთქიფანიძეს. როკითიან გამართულ ბრძოლაში მოკლეს გიორგი გურიელი და შოშიტა რაჭის ერისთავი. გიორგი გურიელის შვილებმა ახალციხეს შეაფარეს თავი. გურიის მთავარი გახდა გიორგის ძმა მალაქია. ახალციხეში თავშეფარებული გიორგი გურიელის ვაჟი ქაიხოსრო ოსმალთა ჯარით გურიაში შეიჭრა. ოსმალებმა დაამარცხეს მალაქია და სამთავრო ქაიხოსროს ჩააბარეს. მალაქია დახმარების სათხოვნელად იმავე ახალციხის ფაშას ეახლა. ფაშამ შეარიგა ბიძა-ძმისწული, მაგრამ როდესაც მალაქია გურიაში დაბრუნდა, ქაიხოსრომ შეიპყრო იგი და თვალები დასთხარა. თურქებმა მალაქიას დაბრმავება გურიაში ახალი ლაშქრობის საბაბად გამოიყენეს. 1689 წელს ქაიხოსრო მოკლეს და უსინათლო მალაქია გაამთავრეს. მალაქიას მოწინააღმდეგეებმა მოიწვიეს ახალციხის ფაშა და ტახტზე ქაიხოსროს ძმა მამია აიყვანეს. დღითიდღე უარესდებოდა სამეგრელოს მდგომარეობაც — „ქვეყანა იყო ოდიშს ჭირი დიდი გიორგი ლიპარტელიანისაგან კვლითა და ტყვითა ყიდვისათა

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 277.
[2] „პარიზის ქრონიკა", გვ. 74.

და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდიან ლაშქრად და აოხრებდიან ქვეყანათა ავაზაკობით და ცხადად."[1]

გიორგი XI-ის ანტიირანული აჯანყება ქართველ ფეოდალთა ღალატის შედეგად მარცხით დამთავრდა. 1688 წელს შაჰმა გიორგი ტახტიდან გადააყენა და თავისი სასურველი კანდიდატი — ერეკლე I გაამეფა. ამ ცვლილებას მაშინვე გამოეხმაურა ალექსანდრე იმერთა მეფე — მან „განაცხადა მტერობა მისი და მოყურობა ერეკლე მეფისა".[2] გიორგი XI იძულებული გახდა, დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. მან რაჭას შეაფარა თავი. ალექსანდრე იმერთა მეფემ რაჭის ერისთავს პაპუნას უბრძანა, არ შეეშვა გიორგი რაჭაში. პაპუნამ არ შეასრულა მეფის ბრძანება. ალექსანდრემ ილაშქრა რაჭაში, მაგრამ გიორგი XI ხელთ ვერ იგდო. ალექსანდრემ მოაოხრა რაჭა და უკან გამობრუნდა.

ამასობაში რუსეთიდან დაბრუნდა არჩილი. ძმებმა მოახერხეს მიემხროთ იმერეთის ფეოდალთა ნაწილი და დახმარება სთხოვეს სულთანს. შუამავლად ყირიმის ხანს მიმართეს. სულთნისაგან პასუხის მიღებამდე გიორგისა და არჩილს დახმარებას შეჰპირდნენ: რაჭის ერისთავი, გიორგი ლიპარტიანი, ბეჟან ლორთქიფანიძე, ჩილაძე-მიქელაძენი და სხვები, ამიტომ ძმებმა საკუთარი ძალებით გადაწყვიტეს იმერეთის ტახტის ხელში ჩაგდება. გადამწყვეტი ბრძოლის წინ მეფეთა ბანაკში ღალატმა იჩინა თავი. მეფეებს პირველმა უღალატა გიორგი ლიპარტიანმა, რომელსაც ვახუშტი ასე ახასიათებდა: „იყო ლიპარტიანი ულვთო, ცრუფიც, უპირო, ტყვის-მყიდველ".[3] ალექსანდრე მეფემ მას ლეჩხუმის თავობა აღუთქვა და ლიპარტიანიც უყოყმანოდ გადავიდა მის მხარეზე. მეფეები გადავიდნენ საჩილაო-სამიქელაოს. გიორგი ახალციხეში წავიდა და ცდილობდა, დახმარება მიეღო არჩილის იმერეთში გასამეფებლად. ამასობაში სტამბოლიდან დაბრუნდა მეფეთა ელჩი დავით თურქესტანიშვილი. მან წარმატებით შეასრულა თავისი მისია — სულთანმა გადაწყვიტა არჩილის გამეფება — დავით თურქესტანიშვილი, ცხადია, სულთანს მოახსენებდა ალექსანდრე იმერთა მეფის პროირანული პოლიტიკის შესახებ. 1690 წელს ალექსანდრე ტახტიდან ჩამოაგდეს და გაამეფეს არჩილი. ალექსანდრემ ერეკლე I-ს შეაფარა თავი. არჩილმა სცადა ქუთაისის ციხის განთავისუფლება ოსმალთაგან და ციხეს ალყა შემოარტყა. გარნიზონს სურსათი შემოაკლდა და დანებებას აპირებდა, მაგრამ ლიპარტიანმა კვლავ აშკარა ღალატი ჩაიდინა — ოსმალებს ციხეში

---

1 „პარიზის ქრონიკა", გვ. 74.
2 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 850.
3 იქვე. გვ. 851

სურსათი შეუგზავნა. ოსმალებმა 1690 წელს არჩილი ჩამოაგდეს ტახტიდან და კვლავ ალექსანდრე გაამეფეს.

დასავლეთ საქართველოში ბოლო არ უჩანდა ფეოდალურ ანარქიას. საკმარისია ითქვას, რომ ორმოცი წლის მანძილზე იმერეთში ჩვიდმეტი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. არჩილმა კიდევ ორჯერ შეძლო იმერეთში გამეფება. (1695-1696 და 1698 წლებში), მაგრამ ორივეჯერ დაკარგა ტახტი. არჩილი დახმარებას მოსკოვსაც სთხოვდა, მაგრამ ამაოდ. ასეთი სახელმწიფოს მფარველობა — მოკავშირეობა, სადაც მეფეები ყოველ წუთს იცვლებოდნენ, რუსეთს ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანდა. ამიტომ არც ბაგრატის და არც არჩილის ცდებს, მიეღოთ დახმარება რუსეთიდან, შედეგი არ მოჰყოლია. მით უფრო, რომ რუსეთის სახელმწიფოს ამ დროს შესაძლებლობაც არ ჰქონდა, რეალური დახმარება გაეწია საქართველოსთვის. რუსეთის საგარეო პოლიტიკის წინაშე სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემები იდგა.

დასავლეთ საქართველოში ფეოდალური ანარქია ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა. განადგურდა იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის სამთავროები. დაუსრულებელ შინა ომებში წყდებოდა მოსახლეობა, თითქმის მთლიანად მოიშალა სოფლის მეურნეობა, გახშირდა შიმშილობა, დაეცა საქალაქო ცხოვრება, ჩაკვდა ვაჭრობა, ხელოსნობა. კატასტროფული ხასიათი მიიღო ისეთმა სოციალურმა სენმა, როგორიც იყო „ტყვის სყიდვა“. ქვეყნის ზნეობრივი დონე ისე დაეცა, რომ „ტყვის სყიდვას“ ეწეოდნენ არა ცალკეული ფეოდალები, არამედ მეფეებიც, კათალიკოსებიცა და ეპისკოპოსებიც.

განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა იმერეთის მეფის ხელისუფლების დასუსტებას. ადრე იმერეთის მეფეები მეტ-ნაკლებად ახერხებდნენ დასავლეთ საქართველოში გარკვეული წესრიგის შენარჩუნებას, მაგრამ XVII საუკუნის მეორე ნახევარში ხშირად ესა თუ ის მთავარი უფრო ძლიერ იყო, ვიდრე იმერეთის მეფე. მეფის ხელისუფლების დასუსტებამ კიდევ უფრო გააღრმავა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური დაშლილობა.

ფეოდალური შინაომების პირდაპირი შედეგი იყო იმერეთში ოსმალთა საბოლოო გაბატონება. პოლიტიკურად დაქსაქსულ დასავლეთ საქართველოს არ შეეძლო თურქთა შემოტევის შეჩერება. მეტიც, ხშირად ქართველი მეფე-მთავრები და თვით ცალკეული ფეოდალებიც კი თვითონ იწვევდნენ ოსმალებს, რითაც უადვილებდნენ მათ ქვეყნის დაპყრობას. ოსმალეთის ბატონობა გაძლიერდა გურიაში, ოდიშში, აფხაზეთში. XVII საუკუნის ბოლოსათვის დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ციხეებში ოსმალური გარნიზონები იდგნენ.

შეწყდა ნორმალური ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების „დიპლომატია“ ძირითადად იფარგლებოდა ოსმალთა ლაშქრის ქვეყანაში მოწვევით. დასავლეთ საქართველოში გამეფებული ფეოდალური ანარქია შეუძლებელს ხდიდა თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის შექმნილი ხელსაყრელი ვითარების გამოყენებას. ასეთი ვითარება შეიქმნა 80-იანი წლების დასაწყისისათვის. ვენის ბრძოლის შემდეგ შეიქმნა ანტიოსმალური კოალიცია, ე.წ. „საღვთო ლიგა“, რომელშიც შევიდნენ ავსტრია, პოლონეთი, ვენეცია და მალტა. 1685 წელს ლიგას შეუერთდა რუსეთიც. ლიგის წევრმა სახელმწიფოებმა სცადეს ირანის მიმხრობაც, მაგრამ უშედეგოდ. თურქთთან „საღვთო ლიგის“ საომარი მოქმედება ევროპელთა უპირატესობით წარიმართა. თურქთი მარცხს მარცხზე განიცდიდა. განსაკუთრებით სერიოზული დამარცხებები განიცადეს თურქებმა 1687 წელს. 1688 წელს მოკავშირეებმა აიღეს ბელგრადი. თურქთის წინააღმდეგ აჯანყდა ბალკანეთის დამოხებული მოსახლეობა. საფრთხე დაემუქრა თვით კონსტანტინოპოლს. თურქთი განადგურებისაგან იხსნა საფრანგეთმა, რომელიც შეაშფოთა ავსტრიის გაძლიერებამ. ფრანგებმა ჯარებს მოუყარეს თავი ავსტრიის საზღვრებთან. ავსტრიელები იძულებული გახდნენ, ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეყვანათ რაინზე. ლიგასთან ომის შედეგად თურქთის სამხედრო სიძლიერე საფუძვლიანად შეირყა.[1] დასავლეთ საქართველომ ვერ შეძლო და არც შეეძლო ამ მეტად ხელსაყრელი ვითარების გამოყენება. ფეოდალური შინაომებით მოცულ, დაშლილსა და დასუსტებულ სამეფო-სამთავროებში შეუძლებელი იყო საგარეო მტრის წინააღმდეგ გაერთიანება.

---

1 А. Новичев. История Турции. გვ. 187-188.

# XVII თავი. ქართული დიპლომატია XVIII საუკუნეში

## 1. სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია ევროპაში (1713-1716 წწ.)

ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, მწერლის, მეცნიერისა და დიპლომატის სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია ევროპაში და მისი შედეგები ისტორიკოსებისათვის დღემდე კვლევის საგანია. ვინაიდან ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმ დროის საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელების მხრიდან. მას საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა საკითხი საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ — დასავლეთი ევროპა, თუ რუსეთი.

ამ მისიის ისტორიის შესწავლის დროს ისმება კითხვა: როგორ მოხდა, რომ საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობა, რომელიც XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე იდგა დასავლეთევროპულ ორიენტაციაზე, კერძოდ საქართველოს გადარჩენას ეძებდა საფრანგეთთან და ვატიკანთან კავშირში, დარწმუნდა ამ ორიენტაციის უიმედობაში და საბოლოოდ თავისი ბედი რუსეთის სახელმწიფოს დაუკავშირა? ამ კითხვის პასუხი სწორედ ევროპაში სულხან-საბას დიპლომატიური მისიის შედეგებთანაა დაკავშირებული.

ევროპაში სულხან-საბას დიპლომატიური მისიის კვლევა-ძიებისა და განხილვის დროს, XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისამდე, ისტორიკოსებს ხელთ ჰქონდათ: მ.ფ. ბროსეს, მ. თამარაშვილის და დევიდ ლენგის მიერ მიკვლეული დოკუმენტები. აქედან მ. თამარაშვილმა და დ. ლენგმა მასალები აიღეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან (საფრანგეთის სხვა არქივებში მათ არ უმუშავიათ), ხოლო მ. ფ. ბროსეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში არ უმუშავია, მან სულხან-საბას მისიასთან დაკავშირებული მასალები აიღო საფრანგეთის სამეფო კარის მრჩევლის გრაფი მონმერკეს ავტოგრაფების შემთხვევით გადარჩენილი კოლექციიდან. ამიტომაა, რომ მ. ფ. ბროსეს წყარო ზუსტად არა აქვს მითითებული.

ამრიგად, მიმდინარე საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისამდე, ქართველი ავტორები (ვ. გაბაშვილი, ალ. ბარამიძე, ლ. მენაბდე, გ. ლეონიძე და სხვ.), ვინც ეხებოდნენ ს. ს. ორბელიანის დიპლომატიურ მისიას ევროპაში, ეყრდნობოდნენ ზემოხსენებული სამი ავტორის (მ. ფ. ბროსე, მ. თამარაშვილი, დ. ლენგი) მიერ მიკვლეულ მასალებს [1]

---

[1] M.-F. Brosset. Documents originaux sur relations diplomatiques de la Géorgie avec la France vers la fin du règne de Louis XIV. "Nouveau Journal Asiatique", Paris, 1832, t. IX, გვ. 205-

1962 წლიდან მოყოლებული, საშუალება მოგვეცა ევროპის (კერძოდ, საფრანგეთისა და იტალიის) არქივებში მუშაობის დროს გამოგვევლინა ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიურ მისიასთან დაკავშირებული ახალი მასალა და ასევე, ადრე აღმოჩენილი ზოგიერთი დოკუმენტი დაგვეზუსტებინა. ამჟამად ჩვენს ხელთაა საფრანგეთისა და იტალიის არქივებში მოპოვებული 79 დოკუმენტი, რომლებიც უშუალოდ შეეხებიან სულხან-საბას დიპლომატიურ მისიას ევროპაში. ყველა ეს დოკუმენტი: ორიგინალის ენაზე, ქართული თარგმანებითა და ჩვენი კომენტარებით უკვე ქვეყნდება[1], რაც საშუალებას გვაძლევს, უფრო ფართოდ განვიხილოთ ამ პრობლემასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი და დავასკვნათ, რომ ს. ორბელიანის მისიის მომზადება დაიწყო არა 1713 წელს, როგორც ეს ადრე იყო მიღებული, არამედ 1711 წლის აგვისტოში, როდესაც ქართლში პირველად ჩამოვიდა ფრანგი მისიონერი ჟან რიშარი.

უცხოეთის მისიების წევრი, ლაზარისტი ფრანგი ჟან რიშარი საფრანგეთიდან აღმოსავლეთის ქვეყნებში სამისიონერო მოღვაწეობისათვის პირველად 1710 წელს გაემგზავრა. მაშინ ის მალე დაბრუნდა საფრანგეთში, ხოლო 1711 წელს, აგათოპოლელ ეპისკოპოსთან (რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების უფროსი იყო) ერთად კვლავ გაემგზავრა აღმოსავლეთში, კერძოდ სპარსეთში, ამჯერად საქართველოზე გავლით. სწორედ მაშინ, აგვისტოში, ქართლში, აგათოპოლელი ეპისკოპოსი და ჟან რიშარი შეხვდნენ ქართლის მეფეს ვახტანგ VI-ს და სულხან-საბას.

ჟან რიშარი გაეცნო ქართლში ქრისტიანული რელიგიის მდგომარეობას, დარწმუნდა ვახტანგისა და სულხან-საბას რწმენის სიმტკიცეში და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თუ რომი და პარიზი ფიქრობდნენ კათოლიციზმის გავრცელებას აღმოსავლეთში (და ეს ასეც იყო), საქართველოზე უკეთეს დასაყრდენ ქვეყანას ვერ ნახავდნენ. ალბათ, მაშინ ჟან რიშარმა მისწერა საფრანგეთის სახელმწიფო მდივანს და მინისტრს გრაფ დე პონშარტრენს (მეორე პიროვნებას მეფე ლუი XIV-ის შემდეგ) და ურჩია, მხარი დაეჭირათ და დახმარებოდნენ ვახტანგ მეფეს, რაც

---

221. 339-334. 347-357. 359-363. 437-441. 444-448. 451-454; მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის XIII საუკუნითგან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფ-1902; M. Tamarati, L'Eglise Géorgienne des origines jusqu' à nos jours. Rome, 1910; D. M. Lang, Georgian Relations with France during the reign of Vakhtang VI (1711-24). "Journal of the Royal Asiatic Society" Parts 3 and 4, pp. 114-126, October, 1950. იხ. ასევე. Н. М. Табагуа, Материалы о Грузии в архивах Франции, „მაცნე", 1964, №3.

[1] იხ. ი. ტაბაღუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში და საქართველო საფრანგეთის არქივებსა და წიგნთსაცავებში. თბ., 1996. ტ. I. გვ. 85-322.

პარიზსა და რომს სასარგებლო შედეგებს მოუტანდა) სხვანაირად ძნელია ახსნა ის, თუ როგორ მოხდა, რომ იმ დროს ევროპის საქმეებში იმდენად დაკავებულმა პიროვნებამ, როგორიც იყო საფრანგეთის მეფე ლუი XIV, წერილი მოსწერა ვახტანგ მეფეს? როგორც შემდეგ დავინახავთ, ვახტანგ მეფისათვის გრაფ დე პონშარტრენსაც გამოუგზავნია წერილი.

სწორედ 1711 წლის აგვისტოში, როცა ქართლში ჟან რიშარი შეხვდა ვახტანგ მეფეს და სულხან-საბას, მაშინ დამყარდა მათ შორის მეგობრული ურთიერთობა და ჩაისახა იდეა საფრანგეთიდან დახმარებისა და მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობის შესახებ. სწორედ ამის შედეგი იყო ლუი XIV-ისა და გრაფი დე პონშარტრენის მიერ ვახტანგ მეფისადმი წერილების მიწერა და პაპი კლემენტი XI-ის აქტიურობა საქართველოს სასარგებლოდ სულხან-საბას პარიზში ყოფნის დროს.

1712 წლის აპრილში ვახტანგ მეფე დიდი ამალით, სპარსეთის შაჰ ჰუსეინის „მიწვევით" ისპაჰანში ჩავიდა. მას ახლდა სულხან-საბა. შაჰს ვახტანგი უნდა დაემტკიცებინა ქართლის მეფედ გიორგი XI-ისა და ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ ამისათვის შაჰმა მისგან გამაჰმადიანება მოითხოვა. ვახტანგმა ამაზე კატეგორიული უარით უპასუხა. მაშინ ქართლის მეფედ შაჰმა ვახტანგის გამაჰმადიანებული ძმა იესე დანიშნა, ხოლო ვახტანგი სპარსეთში დატოვა და „ტყვეობაში" ჰყავდა რჯულის შეცვლაზე თანხმობის მოლოდინში. 1712 წლის დეკემბერში სულხან-საბა ქართლში დაბრუნდა.

სპარსეთში მყოფმა ვახტანგმა კონტაქტი დაამყარა კათოლიკე მისიონერებთან, პირველ რიგში, ზემოხსენებულ ჟან რიშართან, რომელიც იმ დროს სპარსეთში იყო. ის ხვდებოდა ვახტანგს და სულხან-საბას, ვიდრე ეს უკანასკნელი ქართლში არ დაბრუნდებოდა.

1712 წლის 22 სექტემბერს გარდაიცვალა აგათოპოლელი ეპისკოპოსი და მისი ადგილი დაიკავა ჟან რიშარმა. სპარსეთში მოღვაწე ფრანგ მისიონერებს აქტიური მიმოწერა ჰქონდათ საფრანგეთის ელჩთან კონსტანტინოპოლში გრაფ დეზალორთან, რომის პაპთან და საფრანგეთის სამეფო კართან. სპარსეთში მყოფმა ვახტანგმა მიიღო საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის და გრაფი დე პონშარტრენის 1713 წლის 25 აპრილით დათარიღებული წერილები. იმავე წლის 11 მაისს ფრაგი მისიონერი პიერ დ' ისუდენი ისპაჰანიდან გრაფ დე პონშარტრენს სწერდა: „4 მაისს ალეპოს გზით მივიღე მისი უდიდებულესობის და თქვენი აღმატებულების წერილები საქართველოს მეფისათვის. მე ისინი მას გადავეცი მეორე დღეს..."[1] იმავე წერილში ნათქვამია: „მისი უდიდებულესობის

[1] Archives du Ministere des Affaires Etrangères. Paris. "Perse", t. 3. f. 43.

წერილი, რომელიც მან (ვახტანგმა, ი. ტ.) თაყვანისცემისა და მადლიერების დიდ გამოვლინად მიიღო, იქნება მისთვის კიდევ ერთი საბაბი, რათა ის გახდეს კიდევ უფრო მტკიცე ქრისტიანობაში... ბატონი აბატი რიშარი იქნება აღჭურვილი პასუხებით, რომლებსაც მეფე მისწერს მის უდიდებულესობას და თქვენს აღმატებულებას".[1] ამ წერილებმა საფრანგეთის დახმარების მიღების იმედი მისცა ვახტანგ მეფეს.

ამის შემდეგ ვახტანგმა ჟან რიშართან ერთად გადაწყვიტა, საპასუხო წერილები გაეტანებინა მისთვის საქართველოში სულხან-საბას გადასაცემად. აქვე გადაწყდა საბოლოოდ, რომ სულხან-საბა ჟან რიშართან ერთად გაემგზავრებოდა საფრანგეთში და წაიღებდა ამ წერილებს.

ამ დროს სპარსეთის შაჰმა ჰუსეინმა გადაწყვიტა ელჩის გაგზავნა საფრანგეთში, რათა ამ ქვეყანასთან დაემყარებინა ფართო სავაჭრო ურთიერთობა და ჟან რიშარს დაავალა, გაჰყოლოდა სპარსეთის ელჩს, რომელსაც, შაჰის დავალებით, ერევნის გუბერნატორი დანიშნავდა. მდგომარეობა გართულდა: ვის უნდა გაჰყოლოდა ჟან რიშარი საფრანგეთში: სპარსეთის ელჩს, თუ ვახტანგის ელჩს? ჟან რიშარმა, რომელიც უფრო დაინტერესებული იყო საფრანგეთსა და საქართველოს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარებით, ამ მდგომარეობიდან გამოსავალი თვითონ მონახა. ჟან რიშარმა მიიღო შაჰის ბრძანება: 1713 წლის მაისის ბოლოს ჩაიბარა შაჰის წერილი და საჩუქრები საფრანგეთის მეფისათვის და სათანადო ამალით ერევანს გაემგზავრა. 5 ივნისს ის უკვე ერევანშია. აქ აღმოჩნდა, რომ ერევნის გუბერნატორს ჯერ კიდევ ვერ შეერჩია საფრანგეთში გასაგზავნი ელჩი. ჟან რიშარმა შაჰის წერილი და საჩუქრები ჩააბარა ერევნის გუბერნატორს და უთხრა, რომ მას საფრანგთში ეჩქარებოდა, ხოლო ელჩი, როცა მას შეარჩევდნენ, წამოსულიყო საფრანგეთში და ჟან რიშარი მას მარსელში დახვდებოდა, ხოლო იქიდან პარიზში ჩაიყვანდა. ამის შემდეგ ჟან რიშარი ერევნიდან საქართველოში გაემგზავრა, ცოტა ხანს შეჩერდა თბილისში და იქიდან გორში ჩავიდა, სადაც მას სულხან-საბა ელოდებოდა. მან ვახტანგის საპასუხო წერილები ლუი XIV-ისათვის, დე პონშარტრენისა და პირადად სულხან-საბასათვის სულხან-საბას გადასცა. საერთო გადაწყვეტილება ვახტანგისაგან მოდიოდა. მას იზიარებდნენ სულხან-საბა და ჟან რიშარი: სულხან-საბა ვახტანგის დავალებით ელჩად მიემგზავრებოდა საფრანგეთში, მიჰქონდა ვახტანგის საპასუხო წერილები და მას თარჯიმნად მიჰყვებოდა, ვახტანგ-სულხან-საბას გეგმის განხორციელებით დაინტერესებული ჟან რიშარი.

---

[1] Ibid., f. 45.

1713 წლის 17 აგვისტოს ისინი გორიდან დასავლეთ საქართველოში გაემგზავრნენ, ჩავიდნენ ქუთაისში და გელათში შეხვდნენ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს გრიგოლს. აქ ისინი დარჩნენ 40 დღეს. სულხან-საბამ კათალიკოს გრიგოლს გააცნო ევროპაში მისი მისიის მიზნები. ჩანს, რომ კათალიკოსი გრიგოლი იზიარებდა ვახტანგისა და სულხან-საბას დასავლურ ორიენტაციას, კერძოდ საფრანგეთთან და რომის პაპთან ურთიერთობის გაფართოებას, საქართველოში კათოლიკობის გავრცელებას, საქართველოსა და საფრანგეთს შორის ვაჭრობის განვითარებას და აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობისათვის საქართველოზე სავაჭრო გზის გასვლას. ჟან რიშარი კი დაკავებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე სავაჭრო გზის დადგენით. ამ მიზნით მან მოიარა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროები და სავაჭრო გზაც დაადგინა.

აი, მოკლედ რას ატყობინებდა ჟან რიშარი გრაფ დე პონშარტრენს ერევნიდან: „მე წავედი საქართველოში, თბილისში. თბილისიდან გორში, სადაც შევხვდი სულხან-საბას, საქართველოს მეფის ბიძას, რომელმაც უკვე რამდენიმე წელია, რაც წმ. ბასილის ბერის სამოსელი ჩაიცვა, მას შემდეგ, რაც თავის ძმებს მისცა დიდი სამფლობელო, რომლის ბატონიც თვით იყო, რათა შესძლებოდა უფრო თავისუფლად ემსახურა კათოლიკურ სარწმუნოებაში... სულხან-საბამ, რომელმაც აღზარდა ვახტანგი და მისი ოჯახი... დაიმსახურა პატივი და სიყვარული, ვითარცა მათმა მამამ...“[1]

დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი გრიგოლი რომ მხარს უჭერდა ვახტანგისა და სულხან-საბას რელიგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ შეხედულებებს, ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთი ისაა, რომ მან სულხან-საბას და ჟან რიშარს გააყოლა თავისი შემწე ბერი დავითი, საფრანგეთისა და იტალიის საარქივო მასალების მიხედვით, „დავით მეგრელად“ წოდებული. ჟან რიშარის სიტყვებით, დავით მეგრელს ახლო ურთიერთობა ჰქონია კათალიკოს გრიგოლთან, ეს უკანასკნელი, „მას ძალიან ენდობა“ — წერს ჟან რიშარი.[2]

კათალიკოს გრიგოლის შესახებ ჟან რიშარი წერს: „მან ჩვენ მიგვაცილა შავ ზღვამდე. მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე გამოთქვა სურვილი, შეერთებოდა კათოლიკურ ეკლესიას, მან მთხოვა გამომეგზავნა მისთვის მისიონერები სამი მისიონისათვის, რომლებსაც ის განალაგებდა სამეგრელოში, იმერეთსა და აფხაზეთში...“[3]

---

[1] Ibid., t. 3, f. 79.
[2] Ibid., f. 93.
[3] Ibid., f. 80.

რაც შეეხებოდა სავაჭრო გზას, ჟან რიშარი გრაფ დე პონშარტრენს სწერდა: „ჩვენ ვიპოვეთ ადვილი გზა ჩვენი ფრანგი ვაჭრებისათის, რომლებიც მოისურვებენ კონსტანტინოპოლიდან შავი ზღვით საქართველოში და სპარსეთში ჩასვლას, იმ რჩევის მიხედვით, რომელიც კათალიკოსმა მოგვცა“.[1]

ამრიგად, სულხან-საბა საფრანგეთში მიემგზავრებოდა არა მარტო ქართლის ვიწრო საქმეებით, არამედ როგორც მთელი საქართველოს ფართო გეგმებით აღჭურვილი.

1713 წლის 15 ნოემბერს სულხან-საბა, ჟან რიშარი და დავით მეგრელი კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ. საფრანგეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში გრაფმა დეზალორმა ისინი გულთბილად მიიღო და დააბინავა თავის სასახლეში. ჟან რიშარმა წერილობით მოახსენა ელჩ დეზალორს სულხან-საბას მისიის შესახებ. იმავე წლის 28 ნოემბერს სულხან-საბამ წერილი მისწერა ვახტანგ მეფეს, სადაც სწერდა გორიდან გამგზავრებაზე, დასავლეთ საქართველოში ყოფნაზე და კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის მიერ გულთბილ მიღებაზე. ვახტანგმა მიიღო სულხან-საბას ეს წერილი და მასთან ერთად ელჩი დეზალორის წერილიც.

სულხან-საბასადმი მიწერილ ვახტანგის საპასუხო წერილიდან ჩანს, რომ ვახტანგი კარგად იყო ინფორმირებული საფრანგეთისა და მისი მეფის ლუი XIV-ის შესახებ. ვახტანგი სულხან-საბას სწერდა: „დიდად მეწყინა, როცა გავიგე, თუ როგორ მძიმედ გადაგიტანიათ თქვენ მგზავრობა, მაგრამ ვიმედოვნებ, მალე ვინუგეშო, როცა შევიტყობ საფრანგეთში თქვენი ჩასვლის შესახებ, სადაც, ვიმედოვნებ, თქვენ გექნებათ პატივი, იხილოთ უდიდესი და ყველაზე გულუხვი მონარქი დედამიწაზე და ყველაზე აყვავებული სამეფო ევროპაში; სადაც ყველაზე განსაკუთრებული იქნება ის, რომ თქვენ ნახავთ ღირსეულ ხალხს, თავდადებულს ჩვენი იესო ქრისტესადმი, სარწმუნოებისადმი და მისი გავრცელებისადმი. ყველა ეს ღირსება იმსახურებს იმას, რომ ისინი იხილოს მთელმა მსოფლიომ. მხოლოდ მე ვერ ვიხილავ მათ, მაგრამ ის მანუგეშებს, რომ ცოცხალი ვარ და სანამ ცოცხალი ვარ, ცოცხალი იქნება ჩემი იმედიც“.[2]

1713 წლის 16 დეკემბერს ელჩმა დეზალორმა სულხან-საბა ორბელიანის მისიის მიზნებზე წერილობით აცნობა მარსელში საფრანგეთის გალერიებისა და ვაჭრობის გენერალურ ინტენდანტს პიერ დ' არნუს და რომში ვატიკანს, ხოლო პარიზში გრაფ დე პონშარტრენს მან ორჯერ მისწერა წერილი სულხან-საბას მისიის მიზნებზე და მიუთითა იმ „მდი-

---

[1] Ibid.

[2] Ibid., f. 98.

დარ მოსავალზე", რომელიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ მისიას. ალბათ, დეზალორის ამ წერილებმაც ხელი შეუწყვეს სულხან-საბას მაღალ დონეზე მიღებას პარიზსა და რომში.

1713 წლის 17 დეკემბერს სულხან-საბა, ჟან რიშარი და დავითი ჩასხდნენ კონსტანტინოპოლში საფრანგეთის გემ „ლ' ასოპსიონში" („მიძინება") და გაემგზავრნენ მარსელში, სადაც ჩავიდნენ 1714 წლის 22 იანვარს. კონსტანტინოპოლიდან მარსელამდე ამ მგზავრობის მარშრუტი უკანასკნელ დრომდე ჩვენთვის ცნობილი არ იყო, ვინაიდან, როგორც ცნობილია, სულხან-საბას დღიურების პირველი ნაწილი დღემდე დაკარგულია. ამ სტრიქონების ავტორმა ქალაქ მარსელის არქივში ნახა ზემოხსენებული გემის კაპიტანის ჟოზეფ აბეის „დღიურები" და დაადგინა ყველა ის ადგილი, სადაც გაიარა გემმა კონსტანტინოპოლიდან მარსელში ჩასვლამდე.[1]

სულხან-საბა თავისი თანმხლები პირებით დაახლოებით ორ თვეს დარჩა მარსელში, სადაც ის დიდი პატივით მიიღეს.[2] მას აქ შეხვედრები და მოლაპარაკებები ჰქონდა ქალაქის მერიაში, სავაჭრო პალატაში და ხანგრძლივი, მეტად შედეგიანი მოლაპარაკება საფრანგეთის გალერებისა და ვაჭრობის გენერალურ ინტენდანტ პიერ დ'არნუსთან. ამ მოლაპარაკების შედეგად შედგა ვრცელი მემორანდუმი, რომლის სათაურია: „მემორანდუმი შესახებ იმისა, თუ რისი გაკეთება შეიძლება რომის კათოლიკური სარწმუნოების გასავრცელებლად და სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად საქართველოში და იმ ხალხებთან, რომლებიც მათ მეზობლად ცხოვრობენ; აგრეთვე, მეფის ძლიერებისა და საფრანგეთის ვაჭრობის გაძლიერებისათვის ლევანტსა და აღმოსავლეთში, კერძოდ თურქებთან და სპარსელებთან".[3]

სულხან-საბამ მარსელიდან წერილი მისწერა რომის პაპს კლემენტ XI-ს და სთხოვა მხარდაჭერა საფრანგეთის მეფის წინაშე. პაპმა ეს თხოვნა სიამოვნებით შეასრულა. ჟან რიშარმა წერილობით მოახსენა პიერ დ' არნუს სულხან-საბას მისიის შესახებ საფრანგეთში და წარუდგინა მოხსენებითი ბარათი აღმოსავლეთში, კერძოდ საქართველოში საფრანგეთისათვის აბრეშუმითა და სხვა საქონლით ვაჭრობის შესაძლებლობის შესახებ. ჟან რიშარმა ასევე წერილი გაუგზავნა გრაფ დე პონ-

---

[1] ი. ტაბაღუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII ს. I ნახ.). თბ., 1972, გვ. 160.

[2] Archives... "Perse". t. 4, f. 398v°.

[3] ამ მემორანდუმის სრული ტექსტი ფრანგულად, ქართული თარგმანითა და ჩემი კომენტარებით, იხ. საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1707-1714 წწ.). ტ. I. შესავალი, თარგმანი და განმარტებები დაურთო ი. ტაბაღუამ, თბ., 1975, გვ. 257.

შარტრენს და შეატყობინა მარსელში მათი ჩამოსვლისა და მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ. სულხან-საბას ჩამოსვლისა და მასთან მოლაპარაკების შესახებ პიერ დ'არნუსაც მიუწერია წერილი პარიზში.

აღმოსავლეთის ქვეყნებთან, კერძოდ საქართველოსთან, საფრანგეთის ვაჭრობის განვითარების შესახებ მარსელის მოლაპარაკებაში ჩართული იყო პიერ დ' არნუს მრჩეველი ბიიონ დე კანსევილი, რომელმაც საფრანგეთის სამეფო კარის დავალებით, საფრანგეთში სულხან-საბას ჩასვლამდე ორჯერ იმოგზაურა საქართველოზე გავლით სპარსეთში. მისი ამ მოგზაურობების მიზანი იყო აღმოსავლეთის ქვეყნებთან საფრანგეთისათვის სავაჭრო გზების დადგენა.[1]

მარტის შუა რიცხვებში სულხან-საბა თავისი თანმხლები პირებით პარიზში გაემგზავრა, სადაც ის ჩავიდა 21 მარტს. პარიზის ახლოს მას შეხვდა საფრანგეთის ხელისუფლების ორი წარმომადგენელი, მათ შორის ერთ-ერთი იყო დემარე, ხოლო პარიზში 21 მარტს გრაფი დე პონშარტრენის სახელით მას მიესალმა მამა პოტიე. 22 მარტს ჟან რიშარმა წერილობით მოახსენა გრაფ დე პონშარტრენს სულხან-საბას პარიზში ჩამოსვლის შესახებ, ხოლო 23 მარტს ის შეხვდა გრაფ დე პონშარტრენს და სიტყვიერად მოახსენა ყველაფერი.[2]

21 მარტს, სულხან-საბას თხოვნით, გრაფ დე პონშარტრენთან მივიდა ზემოხსენებული დემარე და მას მოახსენა სულხან-საბას მისიის შესახებ. ჟან რიშარის სიტყვებით, სულხან-საბა კმაყოფილი დარჩენილა გრაფ დე პონშარტრენთან დემარეს შეხვედრით. 23 მარტს სულხან-საბამ წერილობით მიმართა გრაფ დე პონშარტრენს და მოახსენა თავისი ჩამოსვლისა და საპასუხო წერილების ჩამოტანის შესახებ: „ გაცნობებთ, რომ თქუენის მაღლის მეფის ბრძანებითა და წყალობითა და ნიჭითა, აქ დიდს ქალაქს ფარიზს მოვედით, და... ვახტანგ ქართველთ მეფის პასუხები დიდებულთანაც, და თქუენთანაც მოვიტანე: როდესაც გინდათ, თქუენთან მოვალ და მადლსაც გარდვიხდი, რომ ორი პატიოსანი თქუენი მოსამსახურე მოგვაგებეთ და ალერსები და მოკითხვა შემოგვალეთ, და წამოგვიძღვნენ და დაგვასადგურეს..."[3]

გრაფ დე პონშარტრენთან სულხან-საბას ასეთ ურთიერთობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მისი მისიის დადებითად დამთავრებისათვის. გრაფი დე პონშარტრენის მფარველობის და მმართველობის ქვეშ იყო აღმოსავლეთის საკითხები, საფრანგეთის აღმოსავლური პოლიტიკა. აღმოსავლეთის საკითხებში მის აზრს იზიარებდნენ: მარკიზ დე

---

1 იქვე. გვ. 164-165.

2 Archives... "Perse", t. 3, f. 107.

3 M. Brosset, "Nouveau Journal Asiatique", t. IX, გვ. 342-343.

ტორსი, რომელიც განაგებდა საგარეო საქმეებს, ასევე, პიერ დ' არნუ, ელჩი დეზალორი და სხვა. ასე რომ, სულხან-საბას მისიასთან დაკავშირებული საკითხები წინასწარ გააზრებული იყო ამ მაღალი თანამდებობის პირთა წრეში. მათთან მჭიდრო ურთიერთობაში იყო ჟან რიშარი. ყოველივე ეს იცოდნენ ვახტანგმა და სულხან-საბამ. ამიტომ ვახტანგ მეფისა და სულხან-საბას მიერ გადადგმული ნაბიჯი წინდაწინ გააზრებული იყო.

მეფესთან შეხვედრამდე სულხან-საბას დაათვალიერებინეს პარიზი და მისი ღირსშესანიშნაობანი. ქალაქის დათვალიერების დროს სულხან-საბა შეხვდა და ესაუბრა აღმოსავლეთის მისიების გენერალურ პროკურორს მამა ფლერიოს. 25 მარტს სულხან-საბამ ლუი XIV-სადმი წარსადგენად სამახსოვრო ბარათი გადასცა გრაფ დე პონშარტრენს. ამ სამახსოვრო ბარათში ვკითხულობთ: „თუ ვახტანგი, საქართველოს მეფე, დარჩება ისფაჰანში, საქართველო მთლიანად გამაჰმადიანების აშკარა საფრთხეშია. თუ ის დაბრუნდება თავის სამფლობელოში, ქართველები არა მარტო შეინარჩუნებენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, არამედ ასევე შეუერთდებიან კათოლიკურ სარწმუნოებას თავიანთი მეფის მაგალითისამებრ, რომელიც განწყობილია გააკეთოს ეს და რომელიც მიაწერს თავის უბედურებას ამ საქმის დაყოვნებას. მან გამოთქვა სურვილი, მეტი აღარ დააყოვნოს, როგორც კი დაბრუნდება თავის სამეფოში. ამ მეფის განზრახვა უფრო მეტიცაა. მას სურს, მისიონერებს მისცეს ქმედითი საშუალებები, მიაღებინოს ეს სარწმუნოება ჩერქეზებს, რომელიც ესაზღვრება საქართველოს და რომლის მთავრის ერთ-ერთი ქალიშვილი მან ცოლად შეირთო".[1]

ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში კათოლიკური სარწმუნოება შეიძლებოდა გავრცელებულიყო მჭიდროდ დასახლებულ დაახლოებით 24 პროვინციასა და მრავალ მეზობელ სამფლობელოში. მაგრამ ამისათვის პირველ რიგში აუცილებელი იყო ვახტანგის დაბრუნება საქართველოში გამაჰმადიანების გარეშე. სულხან-საბა ითხოვდა საქმეში საფრანგეთის მეფის ჩარევას. საჭირო იყო სპარსეთში საფრანგეთის მეფის ისეთი წარმომადგენლის გაგზავნა, რომელიც მოაგვარებდა ვახტანგის განთავისუფლების საქმეს. სულხან-საბა საფრანგეთის მეფეს სთხოვდა ფულს, რომელიც აუცილებელი იყო ვახტანგის განსათავისუფლებლად: „3000 ათასი ეკიუ აუცილებელია და საკმარისი..."[2] შემდეგ მოხსენებით ბარათში ნათქვამია: „ამ მოწყალების შემდეგ, რომელსაც მე ვბედავ ვთხოვო ვახტანგისათვის საფრანგეთის უძლევამოსილეს იმპერა-

---

[1] Ibid., გვ. 347-348.

[2] Ibid., გვ. 349.

ტორს, მრჩება კიდევ წარვუდგინო მას სამეგრელოს პატრიარქის უმდაბლესი თხოვნა. ამ პრელატმა, რომელსაც მე ძალიან დიდი ხანია ვიცნობ როგორც სათნო ადამიანს, მის სამფლობელოზე გამოვლისას მეტად დაჟინებით მთხოვა რვა ან ათი მისიონერი ვთხოვო მის უდიდებულესობას — ყველა მისიონის მფარველად და მხარდამჭერად აღიარებულს მთელს ლევანტში".

როდის მიიღო სულხან-საბა საფრანგეთის მეფემ, ზუსტად არ ვიცით. მაგრამ ვეყრდნობით შემდეგ საბუთებს და მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ეს მოხდა 9-14 აპრილს შუა: ვახტანგის ქართულად დაწერილი საპასუხო წერილი სამეფო კარის თარჯიმანმა ჟან რევერანმა ფრანგულად თარგმნა 7 აპრილს; 9 აპრილის ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია, რომ მეფესთან მიღებას ელოდება საქართველოს მეფის ბიძა და ბოლოს გვაქვს ჟან რიშარის მიერ 14 აპრილს მარსელში პიერ დ' არნუს სახელზე გაგზავნილი წერილი, სადაც ნათქვამია მეფის მიერ სულხან-საბას მიღებაზე. საპასუხო წერილში პიერ დ'არნუ ჟან რიშარს სწერდა: „ დიდი სიამოვნება ვიგრძენი, როცა გავიგე ხსენებული ბატონის — სულხან-საბას მეფის მიერ კარგად მიღებაზე და მეფის იმ ბრძანებაზე, რომელიც გულისხმობს რომამდე მის გამგზავრებას სამეფოს ხარჯზე".[1]

სულხან-საბა წარსდგა მეფის წინაშე იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი ავადმყოფობისაგან სავსებით განკურნებული არ იყო, თავს ცუდად გრძნობდა და გუნებაზე არ იყო. როდესაც სულხან-საბამ მიულოცა მეფეს გამოჯანმრთელება, ლუიმ უპასუხა, რომ თუმცა იგი გადაურჩა ერთ მტერს, — ავადმყოფობას, მაგრამ მას დაეცა მეორე მტერი — სიბერე. „ეს ადვილი საქმე არ არის, 60 წელს გადააცილო" — დასძინა მეფემ.

„ხელმწიფევ, თქვენი უდიდებულესობა ისე მოხდენილად ატარებს ამ წლოვანებას, რომ ყველა ისურვებდა ამ ასაკში ყოფნას" — უპასუხა სულხან-საბამ. სულან-საბას ეს პასუხი ძალიან მოსწონებია მეფეს და არაერთხელ მოუგონებია შემდგომში.

საფრანგეთის მეფესთან პირველი აუდიენციის დროს, სამეფო კართან სულხან-საბას მოლაპარაკებას შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა ვახტანგის წერილი ლუი XIV-სადმი, სულხან-საბას ზემოხსენებული მოხსენებითი ბარათი, ჟან რიშარის წერილები და ბოლოს სულხან-საბასა და ჟან რიშარის საუბრები მეფის მინისტრებთან; ხოლო მეორე აუდიენციის დროს (რომელიც მაისში მოხდა), საფრანგეთის სამეფო კარს უკვე ჰქონდა სხვა მასალებიც, კერძოდ: პაპი კლემენტი XI-ის 1714 წლის 13 აპრილის წერილი-შუამდგომლობა, პარიზში პაპის ნუნციის

---

[1] Archives... "Perse", t. 3, f. 149.

სარეკომენდაციო წერილი და, რაც მთავარია, მარსელში შედგენილი ვრცელი მემორანდუმი.

სამწუხაროდ, დღემდე ვერ მივაკვლიეთ ლუი XIV-სთან სულხან-საბას მეორე შეხვედრის დროს შედგენილ საბუთებს: „საფრანგეთის მეფის ლუი დიდის გამოთქმები, რომელთაც მოსდევს კრებული სიტყვებისა, წარმოთქმული საქართველოს პრინცის მიერ სენ-სირის სახლში ყოფნის დროს", 128 ფურცელი. ეს მასალები ინახებოდა საარტილერიო სასწავლებლის არქივში ქ. პუატიეში. 1940 წელს, გერმანელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დროს, სხვა არქივებთან ერთად, ის გერმანელებმა წაიღეს. ის აღნიშნულია წაღებული მასალების სიაში, მაგრამ ომის შემდეგ უკან დაბრუნებული მასალების სიაში არ არის.

მეორე შეხვედრის დროს, სულხან-საბამ სიტყვით მიმართა საფრანგეთის მეფეს[1] ამ შეხვედრის შედეგად შემუშავდა ექვსი მუხლისაგან შემდგარი საქართველო-საფრანგეთის შეთანხმების პროექტი, რომელიც საქართველოში საფრანგეთის კონსულის მოღვაწეობას შეეხებოდა.[2]

საფრანგეთში მოლაპარაკების შემდეგ სულხან-საბა, ჟან რიშარი და დავით მეგრელი რომში გაემგზავრნენ. იქ უნდა განხილულიყო საქართველოში მისიონერების გაგზავნის საკითხი. პარიზიდან წასვლის წინ სულხან-საბამ სთხოვა გრაფ დე პონშარტრენს, წერილი მიეწერა სპარსეთში მყოფი ვახტანგისათვის პარიზში მოლაპარაკების შედეგებზე.

1714 წლის 6 ივნისს სულხან-საბა და მისი თანმხლები პირები უკვე მარსელში იყვნენ. აქედან სულხან-საბამ მადლობის წერილი მისწერა გრაფ დე პონშარტრენს. პიერ დ' არნუმ ისინი კარგად მიიღო და რომში გაგზავნა, სადაც, პაპის განკარგულებით, სულხან-საბას უმაღლეს დონეზე უმასპინძლეს. იქ, სადაც რომთან ის ზღვიდან ხმელეთზე გადაჯდა, მას დახვდა პაპის ორი ეტლი და კარეტა, შემხვედრი პირებით, კარდინალ ალბანის მეთაურობით. პაპმა ორჯერ მიიღო სულხან-საბა. მას შეხვედრები ჰქონდა კარდინალებთან. გრაფი დე პონშარტრენის წერილები სულხან-საბამ გადასცა კარდინალებს დე ლა ტრემუაის და საკრიპანტის. რომში მოლაპარაკებების შემდეგ სულხან-საბამ წერილი მისწერა გრაფ დე პონშარტრენს. ამ წერილში ნათქვამია, რომ რომში მოლაპარაკების შედეგებზე მეფეს მოახსენებს ჟან რიშარი, რომელიც რომიდან პარიზში გაემგზავრა.[3] არის ერთი საბუთი, სადაც ნათქვამია: სულხან-საბამ საფრანგეთის მეფეს „სთხოვა ორი წყალობა: პირველი, აღმოეჩინა დახმარება საქართველოს მეფისათვის, მისი დისწულისათვის,

---

[1] იხ. ი. ტაბაღუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა... გვ. 213-214.
[2] იქვე. გვ. 212-213
[3] Brosset, Ibid., გვ. 355-356.

რათა ის თავისუფლად დაბრუნდეს თავის სამფლობელოში; მეორე — კეთილ ინებოს, გაგზავნოს 12 მისიონერი სამეგრელოსა და აფხაზ ხალხთან, რომლებიც მეზობლები არიან... საფრანგეთის მეფემ შეიწყნარა მისი ორივე თხოვნა..."[1]

1714 წლის 26 ივლისს პაპმა წერილი მისწერა ლუი XIV-ს და სთხოვა, ვახტანგისათვის დახმარება აღმოეჩინა.[2] 17 აგვისტოს პაპმა იმედებით აღსავსე წერილი მისწერა „ცნობილ და უძლიერეს ვახტანგს, აზიური იბერიის მეფეს".[3]

საფრანგეთსა და იტალიაში სულხან-საბას მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, სულხან-საბას მისიასთან დაკავშირებულ საკითხებზე გრძელდებოდა მიწერ-მოწერა გრაფ დე პონშარტრენს, მარკიზ დე ტორსს, ჟან რიშარს, გრაფ დეზალორსა და სხვ. შორის, ასევე, პარიზსა და რომს შორის. წერილებში ლაპარაკი იყო როგორც სპარსეთის „ტყვეობიდან" ვახტანგის განთავისუფლებაზე, ასევე, კათოლიკობის გავრცელებაზე საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში. ერთ-ერთ წერილში ნათქვამია: „ეს არის სამეგრელო, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის, ანუ „ევქსინის პონტოს" სანაპიროზე; კარგი ქვეყანაა, მოსავლიანი და ოდესღაც განთქმული, ცნობილი იასონის, არგონავტების მეთაურის ექსპედიციის შემწეობით, რომლებიც იქ გაემგზავრნენ ოქროს საწმისის წამოსაღებად. ეს მეტად ზომიერი კლიმატის ქვეყანაა. მცხოვრებლები იქ გულკეთილნი არიან."[4]

როგორც ჟან რიშარის ერთ-ერთი წერილით ჩანს, თავდაპირველად გათვალისწინებული ყოფილა სულხან-საბას რომიდან პარიზში დაბრუნება, მაგრამ ეს აზრი შემდგომში შეუცვლიათ. ცხადია, ეს შეუძლებელი იყო: პარიზში დღე-დღეზე ელოდებოდნენ სპარსეთის ელჩის ჩამოსვლას, ხოლო პარიზში ამ ელჩის ყოფნის დროს სულხან-საბა იქ ვერ გამოჩნდებოდა. საერთოდ, სპარსეთის ამ ელჩობამ დიდად შეუშალა ხელი სულხან-საბას მისიის წარმატებებს. სულხან-საბა იტალიიდან კონსტანტინოპოლში დაბრუნდა 1715 წლის იანვარში.

ჟან რიშარი გრაფ დე პონშარტრენს მოაგონებდა: როგორც კი მეფე განკარგულებას გასცემს დასავლეთ საქართველოში მისიონერების გაგზავნის შესახებ, ჟან რიშარი მათ შეუერთდებოდა და ისინი ერთად გაემგზავრებოდნენ კონსტანტინოპოლში, სადაც მათ დახვდებოდა სულხან-საბა. ჟან რიშარი იმედოვნებდა, რომ ამასთანავე ის მიიღებდა მეფის

---

1 Archives... "Perse", t. 3, f. 179.

2 Archives... "Rome", t. 541, f. 243.

3 M. Tamarati, L'Eglise Géorgienne..., გვ. 6006601.

4 Jean Bonnet, Projet de Mission en Mingrelie ou Géorgie. "Annale de la Congregation de la Mission". Paris, 1902, გვ. 591.

ბრძანებას კონსულად საქართველოში მისი დანიშვნის შესახებ. კონსტანტინოპოლში მყოფი სულხან-საბა (სადაც საფრანგეთის ელჩმა ის კვლავ თბილად მიიღო), წერილებს სწერდა გრაფ დე პონშარტრენს და ჟან რიშარს.

ჟან რიშარის ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, რომ საფრანგეთის მეფეს წერილი მიუწერია ვახტანგისათვის. ახლა, როდესაც ჟან რიშარი ემზადებოდა საქართველოში კონსულად წასასვლელად, ითხოვდა, მიეცათ მისთვის მეფის ახალი წერილი ვახტანგისათვის, „წერილი მსგავსი იმ წერილისა, რომელიც მისმა უდიდებულესობამ უკვე მისწერა ვახტანგ მეფეს"; ჟან რიშარი ასევე ითხოვდა სარეკომენდაციო წერილს სპარსეთის სამეფო კარისათვის. ჟან რიშარი არწმუნებდა გრაფ დე პონშარტრენს, რომ „მას შეეძლო მოემზადებინა ნიადაგი ვახტანგის განთავისუფლებისათვის". ჟან რიშარის წერილიდან ვგებულობთ, რომ მეფეს უკვე გამოუყვია „ათასი ეკიუ მისიონერების გასამგზავრებლად საქართველოში."[1] ამ მისიონერებისათვის სათანადო ინსტრუქციებიც მიუციათ.

ამ დროს სულხან-საბა კვლავ კონსტანტინოპოლშია. აქ მისი დაყოვნების მიზეზად სამი მოტივია აღნიშნული ერთ-ერთ წერილში: 1. დაპირება, რომელიც მან მისცა პარიზში, და რომში, დაელოდოს მისიონერებს კონსტანტინოპოლში, რათა ისინი თვითონ წაიყვანოს საქართველოში; 2. საქართველოში დაბრუნების სიძნელე, ვინაიდან აქ დაჰპირდა, რომ ევროპიდან ჩამოიყვანდა მედიცინის კარგ მცოდნე პირებს და 3. საქართველოში შექმნილი პოლიტიკურ მდგომარეობა, გამოწვეული სპარსეთიდან ვახტანგის დაბრუნების დაგვიანებით. ამ სამ მოტივს წერილის ავტორი კიდევ უმატებს ერთს: ქართლის მეფე, რომელმაც ვახტანგი შეცვალა, არ იყო კარგად განწყობილი სულხან-საბასადმი.

ჟან რიშარის ხელით დაწერილ ერთ-ერთ წერილში ჩამოთვლილია წერილები და საბუთები, რომლებიც უკვე ხელთ ჰქონია საქართველოში გასამგზავრებლად მომზადებულ ჟან რიშარს: მეფე ლუი XIV-ის წერილი ვახტანგისათვის; წერილი სპარსეთის შაჰის კარისათვის; საქართველოსა და მის მეზობელ მხარეებში კონსულის რწმუნების სიგელი ჟან რიშარის სახელზე; ინსტრუქცია და განკარგულებები, რომელთა შესრულება მას მოუხდებოდა; სარეკომენდაციო წერილი ელჩი დეზალორისათვის. ყველა განკარგულება გაცემული იყო. საფრანგეთის მეფემ გამოყო 7 ათასი ლივრი წლიურად მისიონერებისათვის.

ამ დროს, 1715 წლის 1 სექტემბერს მეფე ლუი XIV გარდაიცვალა. მეფედ გამოცხადდა მცირეწლოვანი ლუი XV. რეგენტი ფილიპე ორლეანელი და მისი მინისტრები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული სა-

[1] Archives... "Perse", t. 4, f. 21.

ქართველოს ამბებით. ყოველივე ამის შემდეგ, სულხან-საბა ერთხანს კიდევ ელოდა შედეგებს პარიზიდან, მაგრამ როცა ყველა იმედი ამოიწურა, 1716 წლის მაისში ის კონსტანტინოპოლიდან საქართველოში წამოვიდა. მისი მგზავრობის ხარჯები საფრანგეთის ელჩს აუღია თავის თავზე.

ამრიგად, სულხან-საბას ეს ხანგრძლივი ელჩობა ევროპაში უშედეგოდ დამთავრდა. პირველ რიგში მას ხელი შეუშალა სპარსეთის ელჩის ჩასვლამ პარიზში. ჯერ ერთი, მისი ჩასვლა გაჭიანურდა და მეორე, ასევე გაჭიანურდა მისი წასვლაც საფრანგეთიდან. მართალია, როგორც ზემოთ ითქვა, სულხან-საბას მისიას მხარს უჭერდა მაღალი წრეებიდან ერთი ჯგუფი, მაგრამ იყო მეორე ჯგუფიც, რომელიც სპარსეთთან ურთიერთობას უფრო წინა პლანზე აყენებდა. ამავე დროს, ხელი მოაწერეს საფრანგეთისათვის ხელსაყრელ საფრანგეთ-სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულებას. რაც შეეხება საკითხს: დაუშვებდნენ თუ არა თურქები და სპარსელები საქართველოს ფართო ურთიერთობას საფრანგეთთან, ეს ცალკე კვლევის საგანია.

## 2. ვახტანგ VI-ის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან

ვახტანგ მეექვსის დროს ახალი ეტაპი იწყება საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში. ვახტანგ მეექვსეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, ვახტანგის საგარეო პოლიტიკურმა კურსმა ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა. პირველი დიდი შეცდომა ვახტანგმა მაშინ დაუშვა, როდესაც ირანში მყოფმა გადაჭრით უარყო მაჰმადიანობის მიღება. მას ევროპის სახელმწიფოების დახმარების იმედი ჰქონდა. ამ მიზნით გაგზავნა ევროპაში სულხან-საბა ორბელიანი. უკვე ეს ფაქტი მოწმობს, რომ ვახტანგი და ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ნაკლებად ერკვეოდნენ იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებაში. ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობას საკუთარი სავაჭრო ეკონომიკური ინტერესები ჰქონდა ირანში, ამავე დროს ევროპა ყოველთვის თვლიდა ირანს თურქეთის პოტენციურ მოწინააღმდეგედ, ამიტომ ევროპის სახელმწიფოები თავს არიდებდნენ ირანთან ურთიერთობის გაუარესებას და, ცხადია, ირანის წინააღმდეგ საქართველოს საქმეებში არ ჩაერეოდნენ. ვახტანგი ყველაზე დიდ იმედებს საფრანგეთზე ამყარებდა, მაგრამ, როგორც მართებულად შენიშნავს ვ. გაბაშვილი, ირან-საფრანგეთის 1708 წლის სავაჭრო შეთანხმება წინა-

სწარ გამორიცხავდა საბას ელჩობის წარმატებას ლუი XIV-ის კარზე.[1] ბუნებრივია, სულხან-საბა ორბელიანის მისია სრული მარცხით დამთავრდა.

განსაკუთრებით საბედისწერო შედეგები დაუშვა ვახტანგმა პეტრე პირველთან ურთიერთობის დროს. მხედველობაში გვაქვს პეტრე I-ის ლაშქრობა კასპიისპირეთში და სამხედრო-პოლიტიკური კავშირი პეტრესა და ვახტანგს შორის. პეტრე I-ის ლაშქრობა კასპიისპირეთში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. საკმარისია დავასახელოთ ვ. ლისცოვის სპეციალური გამოკვლევა — „Персидский поход Петра I“, ამიტომ ამ საკითხს მხოლოდ მოკლედ შევეხებით. პეტრე პირველისათვის პირველი რიგის საგარეო-პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა გასასვლელის მოპოვება ბალტიის ზღვაზე. ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა ჩრდილოეთის ომმა. როგორც ირკვევა, პეტრე I ომის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე ადგენდა გეგმებს კასპიის ზღვის სანაპიროების შემოერთებისათვის.[2] ამ გეგმამ კონკრეტული სახე მიიღო ოციანი წლების დასაწყისისათვის. კასპიის ზღვის სანაპიროები რუსეთს იზიდავდა ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით. კასპიისპირეთის შემოერთება რუსეთის მზარდ მანუფაქტურულ მრეწველობას უზრუნველყოფდა ნედლეულით. ამავე დროს ხელს შეუწყობდა რუსეთის საგარეო ვაჭრობის განვითარებას ისეთ ქვეყნებთან, როგორიც იყო ირანი, ინდოეთი და სხვა. ფაქტობრივად რუსეთზე გაივლიდა სავაჭრო-სატრანსპორტო გზა ევროპასა და აზიას შორის. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა სამხედრო-პოლიტიკურ მხარეს. ირანი აღნიშნულ პერიოდში დაცემას განიცდიდა. აჯანყება აჯანყებას მოსდევდა. განსაკუთრებული დარტყმა ირანს მიაყენეს ავღანელებმა. 1722 წლის მარტში ავღანელებმა ალყა შემოარტყეს ისპაჰანს და 12 ოქტომბერს აიღეს ქალაქი. ავღანელებმა ტყვედ ჩაიგდეს შაჰი ჰუსეინი. ტყვეობას გადაურჩა ტახტის მემკვიდრე თამაზი. თურქეთმა სცადა ესარგებლა ირანის დასუსტებით. მას სურდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონება და კასპიისპირეთის დაუფლება. თურქეთის ამ მისწრაფებას არ შეიძლებოდა რუსეთის მთავრობის შეშფოთება არ გამოეწვია. პირველ რიგში თურქეთის კასპიისპირეთში გაბატონება რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაკლებად დაცულ საზღვრებს ემუქრებოდა.[3] მეორე, რუსეთი დაკარგავდა ყოველგვარ გავლენას კავკასიაში, მესამე, თურქეთის გაბატონებას კასპიისპირეთში მოჰყვებოდა რუსეთის აღმოსავლური ვაჭრო-

---

1 ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მსკი, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 12

2 გ. პაიჭაძე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 56-57.

3 В. Лисцов, Персидский поход Петра Ш, М., 1951, გვ. 91-164.

ბის სრული ჩაშლა.[1] კასპიისპირეთში ლაშქრობის ნამდვილ მიზეზს თვით პეტრე აღნიშნავდა: „Нам крайная нужда будет берега по Каспийского морию овладеть, понижe турок тут допустить нам невозможно".[2] პეტრე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ლაშქრობაში ქართველებისა და სომხების მონაწილეობას. 1720 წელს ვოლინსკისადმი მიცემულ ინსტრუქციაში ვკითხულობთ: „Склонять карталинского царя Вахтанга и прочих христян к пользам России, уверяя их в благорасположении Петра I и обнадеживая их в государством покровительстве."[3] პეტრე პირველმა თავისი წარმომადგენლების მეშვეობით ადრევე დაიწყო მოლაპარაკება ვახტანგთან ერთობლივი სამხედრო მოქმედების შესახებ. თავის მხრივ ვახტანგმა ვითარება ხელსაყრელად ჩათვალა, რათა რუსეთის დახმარებით განთავისუფლებულიყო ირანის ბატონობისაგან. 1720 წლისათვის პეტრესა და ვახტანგს შორის დაიდო სამხედრო პოლიტიკური შეთანხმება. პეტრე I ვახტანგს ჰპირდებოდა, რომ კასპიისპირეთისა და შემახის დაკავების შემდეგ ჯარებს შეიყვანდა საქართველოში. პეტრეს ამ დაპირების გულწრფელობაში ეჭვი არ ეპარება ვ. ლისცოვს. იგი წერს: „в планы Петра I входили не только действия по овладению морским берегом от реки Терека до реки Куры, но и поход через Шемаху в Грузию и Арменню"[4] აღსანიშნავია, რომ ეს შეთანხმება იურიდიულად არსად არ გაფორმებულა. გ. პაიჭაძის აზრით, პეტრე პირველი გაურბოდა ოფიციალური დოკუმენტების გაცემას, რადგან „ფრთხილობდა, შაჰს არაფერი გაეგო და რაიმე არ ეღონა".[5] სინამდვილე კი სულ სხვა იყო. პეტრე არ აპირებდა თავისი დაპირების ასრულებას. და ამიტომ არიდებდა თავს ხელშეკრულების იურიდიულ გაფორმებას.

პეტრე პირველმა თავისი ლაშქრობა დიპლომატიურადაც მოამზადა. ირანის შაჰს ატყობინებს, რომ ლაშქრობას აწყობდა ირანის მტრების, დაღესტნელების დასასჯელად. რაც მთავარია, პეტრემ შესანიშნავად გაითვალისწინა თურქეთის მოსალოდნელი რეაქცია. მან კარგად იცოდა, რომ რუსეთის მიერ კასპიისპირეთის დაპყრობა თურქეთის პროტესტს გამოიწვევდა. პეტრე კი უფრთხოდა თურქეთთან ომს. ამიტომ ჯერ კიდევ 1720 წელს მან სტამბოლში ხელშეკრულება გააფორმა თურქეთთან. ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა, არ დაერღვია ზავი. როდე-

---

[1] გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33-34.

[2] ციტ. Очерки истории СССР. XVIII в., первая четверть, М., 1954. გვ. 606.

[3] П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г., ч. II, СПб., 1869, გვ. 6.

[4] В. Лисцов, დასახ. ნაშრომი, გვ. 210.

[5] გ. პაიჭაძე, ვახტანგ მეექვსე, გვ. 111.

საც ვახტანგი თავის ლაშქრობას იწყებდა, ამ ხელშეკრულების პირობები მაინც უნდა გაეთვალისწინებინა, მაგრამ საქმე ისაა, და ეს იყო ვახტანგის უდიდესი პოლიტიკური შეცდომა, რომ მან საერთოდ ვერ გაითვალისწინა თურქთის მოსალოდნელი რეაქცია. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება — ლაშქრობის დაწყებამდე ვახტანგი აუცილებლად თვლიდა საქართველოში რუსთა ხუთათასიანი ჯარის შემოყვანას, მაგრამ შემდეგ რატომღაც უარი თქვა ამ გონივრულ გეგმაზე. 1722 წლის 3 აგვისტოს პეტრემ შეატყობინა ვახტანგს, რომ დაიწყო ლაშქრობა. ამავე დროს, არზრუმის ფაშამ სულთანის სახელით ვახტანგს აცნობა, რომ თურქთი ომს იწყებდა ირანთან და კავშირი შესთავაზა. სამაგიეროდ სულთანი ვახტანგს მთელ საქართველოს ჰპირდებოდა. ვახტანგმა არ მიიღო ეს წინადადება და ყველაფერი პეტრეს აცნობა. როგორც ვნახავთ, ესეც დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო. ირანში გალაშქრების საკითხი დარბაზის სხდომაზე განიხილეს. დარბაზის წევრთა უმრავლესობა ლაშქრობის წინააღმდეგი იყო. საბუთი ერთი იყო და სავსებით სწორი: რუსთა მოსვლამდე მტერს შეეძლო საქართველო გაენადგურებინა. დარბაზის განწყობილებას კარგად გადმოგვცემს დავით გურამიშვილი:

„მეფეს სძრახავდნენ, იტყოდნენ ეგევითარსა გმობასა,
სამს დიდ ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა“[1]

ვახტანგმა არ შეისმინა დარბაზის რჩევა:

„ბევრნი ბევრს რასმე იტყოდნენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა?
მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა რასაც ინებდა!“[2]

1722 წლის აგვისტოში ვახტანგი 40000-იანი ლაშქრით განჯასთან დაბანაკდა. იგი უნდა შეერთებოდა სამხრეთისაკენ მომავალ პეტრე პირველის ლაშქარს. ეს მეტად სახიფათო მოქმედება იყო. განჯაში ლაშქრობის იმით გამართლება, რომ თითქოს იგი შაჰის განკარგულების საფუძველზე დაღესტნელებს უტევდა, ადვილად გამოსაცნობი დიპლომატიური ოინი იყო.[3] რასაკვირველია, ვახტანგი ვერც ირანს მოატყუებდა და ვერც თურქეთს.

---

დავით გურამიშვილი. დავითიანი, თბ., 1992 გვ. 46.
იქვე.
მ. დუმბაძე. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973. გვ. 422.

(პეტრემ მიაღწია დარუბანდს, შემდეგ კი უკან გაბრუნდა და ლაშქრობა მომავალი წლისათვის გადასდო, რაც დიდი დაგვიანებით შეატყობინა ვახტანგს. ეს უკანასკნელი პეტრეს მოლოდინში თითქმის მთელი სამი თვე — აგვისტოდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე — იდგა განჯაში. საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება — პეტრემ მოსთხოვა ვახტანგს, მდგარიყო განჯაში 1723 წლის ზაფხულამდე, როდესაც განაახლებდა ლაშქრობას კასპიისპირეთში.[1] ეს პეტრეს მხრივ კიდევ ერთი აშკარა მუხანათობა იყო. საქმე ისაა, რომ ამ დროს პეტრემ შესანიშნავად იცოდა, თურქეთი საქართველოში შესაჭრელად რომ ემზადებოდა. ჯერ კიდევ 1722 წლის 12 ოქტომბერს რუსეთის რეზიდენტს სტამბოლში ნეპლიუევს ოფიციალურად განუცხადეს, რომ პორტამ გადაწყვიტა ქართლში 50000-იანი არმიის შეყვანა და თბილისის დაკავება.[2] მაგრამ პეტრეს ნაკლებად აწუხებდა საქართველოს ბედი.

შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგმა მხოლოდ მაშინ დაინახა ის დიდი საფრთხე, რომელიც ქართლს ემუქრებოდა ოსმალეთის მხრიდან, როდესაც მიიღო ცნობა პეტრეს უკან გაბრუნების შესახებ. შეშფოთებულმა ვახტანგმა 1722 წლის 29 ნოემბერს საგანგებო წერილები გაუგზავნა რომის პაპს, ინოკენტი XIII-ს, ავსტრიის იმპერატორს კარლოს VI-ს და მათ თურქეთის მთავრობასთან შუამდგომლობა სთხოვა, რათა ამით თავიდან აეცილებინა ოსმალთა შემოსევა.[3] რასაკვირველია, ამ თხოვნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს. რამდენად სჭირდებოდა ქართლს 1722 წელს ირანის წინააღმდეგ გალაშქრება. ვახტანგი დიდი ხანია ოცნებობდა ქართლის განთავისუფლებას ირანელთა ბატონობისაგან და ამიტომ დაუკავშირდა იგი პეტრეს. მაგრამ 1722 წელს ვითარება ირანში კარდინალურად შეიცვალა. მარტიდან ისპაჰანი ავღანელების მიერ იყო ალყაშემორტყმული, ალყა საბოლოოდ ისპაჰანის აღებითა და შაჰის დატყვევებით დამთავრდა. ტახტის მემკვიდრე, თამაზი მთებში დაეხეტებოდა და ჯარების შეკრებას ცდილობდა (მან შემდეგშიც არაერთხელ იწვნია მარცხი ავღანელებისაგან). ასე რომ, ფაქტობრივად ავღანელებმა გაათავისუფლეს ქართლი ირანელთა ბატონობისაგან და ამდენად ირანის წინააღმდეგ ომში ჩაბმა სრულიადაც არ პასუხობდა ქართლის ინტერესებს. ამავე დროს, ვახტანგმა ვერ გამოიყენა ის

---

1 М. Броссе. Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями. от 1631 по 1770. СПб., 1861, გვ. 186–187.

2 В. Лисцов, დასახ. ნაშრომი, გვ. 223.

3 ი. ტაბაღუა, ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (საქართველოს ურთიერთობა ავსტრიასთან), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე", XI-VII, №1, 1967, გვ. 241-244.

დიდი ძალა, რაც მას გააჩნდა. ორმოცი ათასი მეომრით მას ადვილად შეეძლო დამოუკიდებლად გადაეჭრა ლეკთა საკითხი, ან ბოლოს და ბოლოს გაერეკა თბილისის ციხიდან ირანელთა გარნიზონი. ვახტანგმა არც ერთი გააკეთა, არც მეორე. კვლავ მიენდო პეტრეს დაპირებებს და დათანხმდა ლაშქრობის 1723 წელს განახლებას. მაგრამ მოვლენები სულ სხვანაირად განვითარდა. 1723 წელს კახეთის მეფემ კონსტანტინემ თბილისი აიღო. ოსმალები დღე-დღეზე აპირებდნენ ქართლში შეჭრას. ვახტანგმა კვლავ პეტრეს მიმართა და ჯარის სასწრაფოდ გამოგზავნა მოსთხოვა. პეტრეს პასუხი ნაკლებად დამაიმედებელი იყო: „что нам того ныне никоим образом учинить невозможно, пока на берегах Каспийского моря не укрепимся и Баки не возьмём, когда Баку буде взят и мы на Каспийском море укрепимся, тогда в помощь войски наши... прислать не оставим, несмотря на то, что хотя у нас от того дошло до войны с турки" [1] თურქეთთან ომის შესახებ პეტრე კვლავ ცრუობდა — იგი ყოველგვარი საშუალებით გაურბოდა ომს თურქეთთან. ბოლოს ვახტანგმა სცადა ოსმალებთან საქმის მოგვარება, მაგრამ გვიანღა იყო. იმავე 1723 წელს ქართლში ოსმალები შემოვიდნენ, დაიკავეს მთელი ქართლი და თბილისი. დაიწყო ოსმალთა ბატონობის მძიმე და ხანგრძლივი პერიოდი. „ოსმალობამ" ქვეყანას დიდი უბედურება დაატეხა თავს. 1723 წელს პეტრემ დაიკავა კასპიისპირა პროვინციები და შეჩერდა. ამით პეტრემ მიაღწია თავის მთავარ მიზანს — არ დაუშვა თურქეთი კასპისპირეთში. ამაზე შორს პეტრეს გეგმები არ მიდიოდა. „Желание избежать новой войны с Турцией заставило Петра I ограничить свой "Персидский поход" 1722-1733 гг. только занятием Дербенда, Баку и некоторых других пунктов на Каспийском побережье, хотя соглашения с грузинским царем Вахтангом VI и армянскими меликами предусматривали более широкие масштабы наступательных операций русских войск в Закавказье".[2] ვიმეორებთ, პეტრე პირველი ჰპირდებოდა ვახტანგს ჯარების შემოყვანას საქართველოში, მაგრამ ეს დიპლომატიური მანევრი იყო. პეტრემ კარგად იცოდა, რომ თურქეთი ძნელად შეურიგდებოდა რუსეთის მიერ კასპიისპირეთის პროვინციების დაპყრობას, და მართლაც საქმე კინაღამ ომამდე მივიდა. პეტრეს ჯარების შემოყვანას საქართველოში კი თურქეთი არავითარ შემთხვევაში არ მოითმენდა და ამას გარდუვალად მოჰყვებოდა რუსეთ-თურქეთის ომი, რის თავიდან აცილებასაც პეტრე დაჟინებით ცდილობდა.

---

1 ციტ. ვ. ლოსცოვის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 224-225.

2 А. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в. М., 1960, გვ. 22.

1724 წელს სტამბოლში რუსეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას. ამ შეთანხმებით თურქეთი სცნობდა რუსეთის მიერ კასპიისპირეთის დაპყრობას, თავის მხრივ პეტრე აღიარებდა ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ სომხეთის დაპყრობას. ასე ხელაღებით გასწირა პეტრემ თავისი ერთგული მოკავშირე. მართებულად აღნიშნავდა მ. დუმბაძე, რომ „მეფის პოლიტიკას მართლმადიდებლური გრძნობები მოერია და პეტრე დიდის ჭეშმარიტი მიზნები ვერ გამოიცნო",[1] და რომ „პეტრე დიდს ქართლი მხოლოდ ირანის საკითხის მოსაგვარებლად და ოსმალეთთან სამშვიდობო ზავის დასამყარებლად სჭირდებოდა.[2] არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ვახტანგის პოლიტიკურ მოღვაწეობას არსებითად სწორი შეფასება მისცეს ისტორიკოსებმა — დ. ლენგმა და უ. ალენმა. საბჭოთა პერიოდში ქართულმა ისტორიოგრაფიამ ეს შეხედულებები სასტიკად გააკრიტიკა, როგორც ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა შეხედულებები.[3] დ. ლენგი წერს: „თავის ურთიერთობაში რუსეთთან ქართველი მეფეები ავლენდნენ ბრმა ოპტიმიზმს, რაც მათ არ აძლევდა საშუალებას, დაენახათ, რომ თურქებთან და ირანელებთან ურთიერთობაში რუსებს სხვა მიზნები ჰქონდათ, ვიდრე საქართველოს განთავისუფლება".[4] მართალია დ. ლენგი მაშინაც, როდესაც აღნიშნავს: „ვახტანგის პოლიტიკა ემყარებოდა მის მცდარ წარმოდგენას მახლობელ აღმოსავლეთში ძალთა თანაფარდობის შესახებ".[5] უ. ალენი თავის ნაშრომში სავსებით სწორად ასკვნის, რომ ვახტანგი არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკური მოღვაწე იყო.[6]

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვეებმაც უარყოფითად შეაფასეს ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკური კურსი. კათალიკოსი ბესარიონი ვახტანგისადმი მიწერილ წერილში პირდაპირ სდებს მას ბრალს ქვეყნის უბედურებაში: „ბოლოს რაც მოხდეს, ნურავის დააბრალებთ, არც ღმერთთან გექნებათ საქმე, არც კაცთან, ამ ქვეყნის სისხლსა და წახდენას თქვენგან იძევს".[7]

1724 წელს ვახტანგმა სავსებით გაუმართლებელი ნაბიჯი გადადგა. იმის მაგივრად, რომ სათავეში ჩასდგომოდა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ, ბედის

---

1 მ. დუმბაძე. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 425.

2 იქვე. გვ. 423.

3 Г. Пайчадзе, Русско-грузинские отношения в 1725-1735 гг. Тб., 1965, გვ. 8-9.

4 D. Lang. The Last Years of the Georgian Monarchy. 1658-1832. New-York. 1957. გვ. 102.

5 დ. ლენგი. დასახ. ნაშრომი. გვ. 115

6 W. Allen. A. History of the Georgian People. From the beginning down to the Russian conquest in the nineteenth century. London. 1932.

7 М. Броссе, Переписка.., დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

აჰაბარა მიატოვა ქვეყანა და რუსეთს გაემგზავრა. საქართველოში ვახტანგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა და მის აქ ყოფნას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ვახტანგს რუსეთში მრავლად მისდიოდა წერილები საქართველოდან. მას ემუდარებოდნენ, რომ დაბრუნებულიყო სამშობლოში და სათავეში ჩასდგომოდა განმათავისუფლებელ ბრძოლას, თვითონ თუ ვერ ჩამოვიდოდა, შვილი ბაქარი მაინც გამოეგზავნა, უფრო მოგვიანებითაც, მაგ. 1731 წელს ბარძიმ არაგვის ერისთავი ატყობინებდა ვახტანგს: თურქები ისე დასუსტდნენ, ბაღდადიც დაკარგეს. ქართლშიც მათი ჯარი შემცირდაო და დაბრუნებას ურჩევდა.[1] მაგრამ ვახტანგი საქართველოში ჩამოსვლას არ ჩქარობდა. იგი სამშობლოში დაბრუნებას მხოლოდ რუსთა ჯართან ერთად აპირებდა...

ვახტანგის რუსეთში წასვლამ საქართველოს სხვა გამოუსწორებელი ზიანიც მიაყენა. ვახტანგს თან წაჰყვა 1200 კაციანი ამალა. ამ ამალაში შედიოდა ქართლის განათლებული საზოგადოების უდიდესი ნაწილი. ამით ქართლი ერთბაშად დაიცალა მოწინავე გონებრივ მუშაკთაგან და ქვეყანაში დიდი ხნით შეწყდა ადრე გაცხოველებული კულტურული მოღვაწეობა.[2] მართალია, რუსეთში ემიგრირებულ ქართველებს არ შეუწყვეტიათ მეცნიერული და კულტურული მოღვაწეობა, მაგრამ, როგორც მართებულად აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, „მათი ეს მოღვაწეობა საქართველოს შედარებით მცირედ რგებდა. მათი ნამუშაკევი სამშობლოში მცირედ აღწევდა და აქ კულტურული მოღვაწეობის მოდუნების გამო ვერც სათანადო გამოძახილს პოულობდა და რაც უმთავრესი იყო, დიდი ინტენსიური მუშაობის შედეგად შექმნილი ქართული კულტურის ეს კერა იქ, უცხოეთში გადახიზნული, უმემკვიდრეოდ გადასაშენებლად იყო განწირული: საქართველოს ნიადაგს მოწყვეტილი მოსკოვის კოლონია მშობლიურ კულტურულ მოღვაწეთა ახალ თაობას არ ქმნიდა".[3]

როდესაც ვახტანგი რუსეთში მიემგზავრებოდა, მას იმედი ჰქონდა, რომ დაბრუნდებოდა რუსთა ჯარით და განდევნიდა ოსმალებს. მაგრამ რუსეთი რომ ოსმალეთთან ომს არ აპირებდა და განსაკუთრებით სტამბოლის 1724 წლის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების დადების შემდეგ, კარგად გამოჩნდა რუსეთის პოზიციაში კახეთის მიმართ.

საქართველოში „ოსმალობის" დამყარების შემდეგ თურქთა წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს კახეთის მეფე კონსტანტინეც. 1724 წლის იანვარ-

---

1 М. Броссе, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

2 ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965, გვ. 197

3 იქვე გვ. 197-198

ში მან კავშირი დაამყარა ბაქართან და ამავე დროს დახმარებისათვის მიმართა პეტრე I-ს.[1] იმავე წელს კონსტანტინემ ელჩობა გაგზავნა რუსეთში თავად დავით ბეჟანის ძის მეთაურობით. ელჩობაში შედიოდნენ აგრეთვე ბერი ზებედე და ქრისტეფორე.[2] ეს ელჩობა ასტრახანში ჩავიდა 1724 წლის 1 ნოემბერს. როგორც კი მიიღო ამის შესახებ ცნობა ეკატერინე პირველმა, მან ასტრახანის გუბერნატორს ვ. ვოლინსკის უბრძანა, კონსტანტინეს ელჩებისათვის დახმარებაზე უარი განეცხადებინა და ელჩები კახეთში გაებრუნებინა. მაგრამ ისე მოხდა, რომ სანამ ეკატერინეს ეს ბრძანება ასტრახანს მიაღწევდა, ელჩები უკვე მოსკოვში აღმოჩნდნენ. თუმცა ამას არაფერი შეუცვლია. მოსკოვში დავით ბეჟანის ძეს ზეპირად გადასცეს ეკატერინეს უარი დახმარებაზე.

ასეთი პასუხის მიზეზს მართებულად განმარტავს გ. პაიჭაძე — რუსეთი გაურბოდა საქართველოსთან ოფიციალურ პოლიტიკურ მოლაპარაკებას, რადგან ერიდებოდა თურქეთთან ურთიერთობის გამწვავებას.[3] ცხადია, რუსეთის ასეთი პოზიცია თავისთავად გამორიცხავდა მის გამოსვლას ვახტანგის მხარეზე თურქეთის წინააღმდეგ. მით უმეტეს, რომ ვახტანგის მთავარი იმედი პეტრე პირველი ვახტანგის მოსკოვში ჩასვლამდე გარდაიცვალა.

ეკატერინე მეორის მთავრობასთან მოლაპარაკებას ვახტანგისათვის არავითარი სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, რუსეთი კვლავ ცდილობდა ვახტანგის თავისი ინტერესებისათვის გამოყენებას. სწორედ ვახტანგის მეშვეობით სცადეს მათ შაჰ-თამაზთან ურთიერთობის მოგვარება. შემდეგ კი შესთავაზეს ვახტანგს, ქართველები დაესახლებინათ ახალშემოერთებულ კასპიისპირა პროვინციებში, ასე რომ, ამ პროვინციების დაცვას რუსეთი ქართველების ხელით აპირებდა.

1730 წელს, პეტრე II-ის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის საიმპერატორო ტახტზე ავიდა ანა ივანეს ასული. რუსეთში დაიწყო „ბორონოვშჩინის“ ათწლიანი პერიოდი. ამ პერიოდში, ფაქტობრივად, რუსეთი ატარებდა ანტიეროვნულ პოლიტიკას. 1732 წლის 21 იანვარს რეშტში დაიდო რუსეთ-ირანის ხელშეკრულება. რუსეთმა ირანს გილანი, მაზანდარანი და ასტრაბადი დაუბრუნა. რეშტის ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი საქართველოს ეხებოდა. მასში აღნიშნული იყო, რომ „რუსეთისა და ირანის ერთგულმა ვახტანგმა“ ტახტი დაკარგა და შაჰი პირობას

---

1 М. Броссе, Переписка..., გვ. 170-172.

2 Г. Пайчадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

3 იქვე. გვ. 69.

დებდა, რომ საქართველოს ირანის მფარველობაში შესვლის შემდეგ ვახტანგს კვლავ ქართლის მეფედ აღიარებდა.[1]

ამასობაში ირანში დიდი ცვლილებები მოხდა. ნადირმა თამაზი ტახტიდან გადააყენა და შაჰად თამაზის ვაჟი აბასი გამოაცხადა, თავი კი რეგენტად „დაინიშნა". ამ დღიდან ნადირი გახდა ირანის ფაქტობრივი გამგებელი.

ვახტანგი კვლავ თხოულობდა ანასაგან დახმარებას და მისი ან ბაქარის სამშობლოში გაგზავნას. 1734 წლის 1 მაისს ანა ივანეს ასულმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას კასპიისპირეთში ვახტანგისა და ბაქარის გამგზავრების შესახებ (რასაკვირველია, ყოველგვარი დამხმარე ჯარის გარეშე). მამა-შვილი 26 სექტემბერს ასტრახანში ჩავიდნენ, ხოლო 10 ოქტომბერს უკვე დარუბანდში იყვნენ.

1734 წელს ნადირმა ოსმალეთის წინააღმდეგ ომი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადაიტანა. მალე დაიწყო რუსეთ-ირანის ახალი მოლაპარაკება.[2] რუსეთს სურდა, ნადირს ეკისრა ვალდებულება, რუსეთ-თურქეთის ომის შემთხვევაში ირანი რუსეთის მხარეზე გამოსულიყო. ნადირი ამაზე არ წავიდა, მისთვის საკმარისი იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ოსმალთა განდევნა და არა რუსეთის ინტერესებისათვის ოსმალეთთან ომის გაგრძელება. 1735 წლის 10 მარტს რუსეთ-ირანს შორის განჯაში დაიდო ახალი ხელშეკრულება. რუსეთი ახალ დათმობაზე წავიდა. ირანს უბრუნდებოდა ბაქო და დარუბანდი. ერთადერთი, რასაც რუსეთმა მიაღწია, ის იყო, რომ ნადირი ვალდებულებას კისრულობდა, არ წამოეწყო ცალმხრივი მოლაპარაკება თურქეთთან და მასთან ხელშეკრულება რუსეთთან ერთად დაედო.[3] ნადირი კვლავ ადასტურებდა, რომ ოსმალთა განდევნის შემდეგ ქართლის ტახტს ვახტანგს დაუბრუნებდა.

ნადირმა ტახტის დაბრუნების პირობად ვახტანგს მასთან გამოცხადება მოსთხოვა. ვახტანგი არ წავიდა, მან ავადმყოფობა მოიმიზეზა. გ. პაიჭაძე ვახტანგის წაუსვლელობას ხსნის იმით, რომ თითქოს ვახტანგის სიცოცხლეს ირანში საფრთხე დაემუქრებოდა და გარდა ამისა, ეს იქნებოდა რუსეთის პრესტიჟის შელახვა.[4] ვფიქრობთ, რომ მიზეზი სხვა იყო. ვახტანგის სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. ნადირი იბრძოდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან და კერძოდ ქართლიდან ოსმალების გასადევნად. ოსმალთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის დასარაზ-

---

1 გ. პაიჭაძე. ვახტანგ მეექვსე. გვ. 171.

2. იქვე. გვ. 172.

3 აღსანიშნავია, რომ ნადირმა დაარღვია ეს პირობა. რუსეთ-თურქეთის 1735-1737 წლების ომის მსვლელობაში. 1736 წელს მან სეპარატული ხელშეკრულება დადო თურქეთთან.

გ. პაიჭაძე. ვახტანგ მეექვსე. გვ. 173

მავად მას უდავოდ დაეხმარებოდა ვახტანგის ავტორიტეტი. ამიტომ ამ შემთხვევაში ძნელია, ეჭვი შევიტანოთ ნადირის გულწრფელობაში. თუ გავიზიარებთ გ. პაიჭაძის მოსაზრებას, რომ ვახტანგი უფრთხილდებოდა რუსეთის პრესტიჟს, უნდა ვაღიაროთ, რომ არც ამ შემთხვევაში შეიძლება ვახტანგის მოქმედების გამართლება. იმ დროს, როდესაც რუსეთი მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის ზრუნავდა და სრულიადაც არ აწუხებდა საქართველოს ბედი, ვახტანგს ნაკლებად უნდა ეფიქრა რუსეთის პრესტიჟზე. სინამდვილე კი ის იყო, რომ ვახტანგს არ სურდა ტახტი ნადირის ხელიდან მიეღო, რადგან ეს კვლავ ირანის ვასალობის აღიარების დადასტურება იქნებოდა. ასე რომ, ვახტანგმა ხელიდან გაუშვა ტახტის დაბრუნების რეალური შესაძლებლობა და, რაც მთავარია, ნადირთან მის გამოცხადებას ალბათ შეეძლო, ქვეყნისათვის თავიდან აეცილებინა „ყიზილბაშობის" საშინელი წლები.

1737 წლის 26 მარტს რუსეთის დახმარების ამაოდ მომლოდინე ვახტანგ მეექვსე ასტრახანში გარდაიცვალა.

## 3. გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ. 24. VII)

გეორგიევსკის ტრაქტატი პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებული, რომლის ძალით ქართლ-კახეთის სამეფო შევიდა რუსეთის მფარველობაში. ამ აქტით ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II „სახელითა თვისითა, მემკვიდრეთა და მენაცვალეთა თვისთა დღესასწაულობით" აცხადებდა, რომ ამიერიდან სამუდამოდ უარს ამბობდა, ეცნო ირანის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მეთაურის უზენაესი ხელისუფლება, გარდა რუსეთისა, ხოლო რუსეთი ვალდებულებას იღებდა, დაეცვა ქართლ-კახეთი გარეშე მტრებისაგან და ეზრუნა მისთვის მტრის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებისათვის, რომელიც ქართველი მეფის მფლობელობაში უნდა დარჩენილიყო.

გეორგიევსკის ტრაქტატი, ვითარცა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, ორი საუკუნეა მკვლევართა ყურადღების ცენტრშია, მაგრამ, სამწუხაროდ, 1983 წლამდე იგი სათანადოდ გაშუქებული არ ყოფილა, რადგან მისი სრული ტექსტი არ იყო გამოქვეყნებული.

ტრაქტატის ნაწილი, სახელდობრ პრეამბულა, 13 ძირითადი მუხლი და ქართლ-კახეთის მეფის რუსეთისადმი ერთგულების ფიცის ნიმუში („სახე") პირველად რუსულ ენაზე სტამბური წესით დაბეჭდეს ხელშეკ-

რულებაზე ხელმოწერის უმალვე, იმპერიაში გასაცხადებლად და საზღვარგარეთ რუსეთის ელჩებისათვის გასაგზავნად.[1]

ხელშეკრულება მეორედ სტამბურად დაიბეჭდა 1783 წლის ბოლოსა თუ 1784 წლის დასაწყისში ქართულ და რუსულ ენებზე (პარალელური ტექსტი). გვერდის მარცხენა ნახევარი ეკავა რუსულ ტექსტს, მარჯვენა — ქართულს (ნუსხა-ხუცური შრიფტით).[2] ამას ადასტურებს აბეზბოროდკოს 1783 წლის 15 დეკემბრის წერილი, რომლის შინაარსიდან ჩანს, რომ ტრაქტატის ორენოვანი ტექსტი მეცნიერებათა აკადემიაში გაიგზავნა დასაბეჭდად და მეთვალყურეობა (რედაქტორობა) თავად მოურავოვისათვის (თარხან-მოურავი) დაუვალებიათ.[3]

გეორგიევსკის ტრაქტატის[4] პროექტის შემუშავებას საფუძვლად დაედო სამი დოკუმენტი: ერეკლე მეფის თხოვნის წიგნი (1771 წლის 30 დეკემბრისა), ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობა (1772 წლის 6 იან-

---

1 1783 წლის 21 აგვისტოს ა. ბეზბოროდკო ცარსკოე სელოდან საგარეო საქმეთა კოლეგიას (სავარაუდებელია გრაფ ოსტერმანს) სწერდა: "Препровождая сим Трактат, заключенный с карталинским и кахетинским царем Ираклием Теймуразовичем о признании им верховной власти Всероссийских императоров над царями и царствими Карталинским и Кахетинским, имею честь сообщить вашему сиятельству о высочайшем ея и.в. соизволении, чтоб, во-первых, на сей Трактат заготовлена была императорская ратификация, в которой царю Ираклию Теймуразовичу дать все те титулы, коим от себя именует в своей Полной мочи. Второе, сей Трактат для сведения в Империи всероссийской напечатать, а хотя и должно оный во известие сообщить министрам российским в чужих краях пребывающим, но притом наставить их, что в случае каковых либо безпокойств от каких бы то ни было держав имеют они ответствовать, что у нас все вобще дела азиатския почитаются посторонними и отнюдь не принадлежащими к европейским державам, так что и сами союзники наши имеют о том с нами точное условие, что и здесь наблюдать. Третье, что же касается до сепаратных артикулов, оные в печать не отдавать и никуда не разсылать" (АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178. л. 18).

2 АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178. лл. 35-47. იხ. აგრეთვე: გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები და ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გამომცემლობა „ხელოვნება". თბ., 1873. გვ. 87 (ქვემოთ ასე: ვ. მაჭარაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი).

3 "Милостивый государь мой! Ея и. в-у угодно, чтобы ваше сиятельство (ალბათ იგულისხმება გრაფი ოსტერმანი, ვ. მ.) благоволили приказать препроводить к ее сиятельству княгине Катерине Дашковой с г-м канцелярии советником князем Моуравовым верную копию Трактата, постановленнаго с карталинским и кахетинским царем Ираклием для напечатания в Академии на грузинском и российском языках. Имея часть сообщить о сем вашему сиятельству пребываю в совершенным почитанием" (АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178. л. 19). აგრეთვე, ვ. მაჭარაძის გეორგიევსკის ტრაქტატი.

4 შემდეგ, XIX და XX სს. ტრაქტატის ტექსტი რამდენჯერმე გამოიცა, მაგრამ ჩვენ აქ მათზე შეჩერება ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან მათი კრიტიკული მიმოხილვა დაბეჭდილი გვაქვს (იხ.: ვ. მაჭარაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი, გვ. 5-10).

ვარს) და ეკატერინე II-ის მითითება გრ. პოტიომკინისადმი (1782 წლის ბოლო — 1783 წლის დასაწყისი).

ერეკლეს თხოვნის წიგნში წამოყენებული იყო შემდეგი პირობები: 1) რუსეთს ქართლ-კახეთში უნდა გამოეგზავნა ოთხიათასიანი ჯარი, ხოლო ,ვინც ჯარის თავი იქნება, ჩვენის (ერეკლეს, ვ. მ.) შეძლებით, როგორც რჩევას იმას დავუჯერებდეთ, აგრეთვე ისიც ჩვენს რჩევას მიიღებდნენ და დაიჯერებდნენ, ვინადგან ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისათვის"; 2) მიეღოთ ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაში სამუდამოდ, ოღონდ იმ პირობით, რომ ერეკლეს ,ჩამომავლობის მეფობა... საუკუნოდ უცვალებელად" დარჩენილიყო; 3) რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ეკლესიურად დამოუკიდებელი დარჩენილიყო: „მსგავსადვე საკათოლიკოზოსა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად"; 4) ყირიმში განთავისუფლებულ ტყვეებს სამშობლოში დაბრუნების ნება დართოდათ; 5) ქართლ-კახეთს მისცემოდა სესხი.[1]

თუ ერეკლეს თხოვნა დაკმაყოფილდებოდა, მეფე რუსეთის წინაშე ვალდებულებას იღებდა: 1) „დღეს ჩვენს ქვეყანაში რომლისაც ნივთის მადანი არის ან და ან გამოჩნდება, იქიდამ სარგებელი მოიპიება, ნახევარი თქვენის დიდებულების ხაზინას მიერთმეოდეს", 2) „რაც ჩვენს მორჩილებას ქვეშ კაცნი არიან, ყოველწლით იმათგან კვამლზე თოთხმეტი შაური სახელმწიფოთ აიღებოდეს და მოგერთმეოდესთ"; 3) ღვინოს, რიცხვით ორი ათას ვედრას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში რჩეული ღვინო იშოება, ყიზლარს ჩვენის ხარჯით მოვიტანთ სახელმწიფოთა"; 4) „რაც ჩვენს ქვეყანაში რჩეული ცხენი იშოება, თოთხმეტი ცხენი ნიადაგ წელიწადს ყოვლად დიდებულებასა თქვენსა მიერთმეოდეს"; 5) „როდესაც ძალითა და შეწევნითა თქვენისა დიდებულების კორპუსისათა, რაც ოსმალთაგან წართმეული მამულები გვაქუს და იმ ადგილებს დავიპერთ, იმათ მოგართვან ხარჯი თქვენ ყოვლად დიდებულსა ხელმწიფესა, რაც რომ რუსეთის იმპერიაში თავადის ყმა აძლევს, იმისი ნახევარი ხარჯი"; 6) „თუ რომ კახეთის წართმეული ადგილები (ჭარი, ვ. მ.) დავიპირეთ... იმასაც, როგორც ზემორე დაგვიწერია, იმ სახით ვამსახურებთ: კვამლზე თოთხმეტს შაურს წელიწადში და იმავ ადგილებიდამ წელიწადში აბრეშუმს ორას ფუთსა იმ ქვეყნიდამ, და, თუ მეტი შევიძელით, მეტს მოვართმევთ დიდებულობასა თქვენსა"; 7) როდესაც ქვეყნის მდგომარეობა გაუმჯობესდება, ჯარზე დახარჯული ფული დაუბრუნდება რუსეთის ხაზინას; 8) როდესაც ქვეყანა დამშვიდდება, „რაც რუსეთის იმპერიაში სულზედ სალდათი აძეს, ჩვენს იმდენს კვამლზედა

[1] ვ. მაჭარაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი. გვ. 10

მივართმევთ სალდათს თქვენს დიდებულებასა“; 9) თუ ზემოაღნიშნული თხოვნა შესრულდება „ ... მივართმევთ ძესა ჩვენსა რომელსამე და აგრეთვე რაოდენსამე კნიაზსა თქვენს ყოვლად დიდებულსა ხელმწიფესა და აზნაურთაცა შეძლებისაებრ ჩვენისა“.[1]

დასასრულ, ერეკლე ისევ თავის ძირითად თხოვნას უსვამდა ხაზს: „უცუალად ვედრებით მოვახსენებთ თქვენს ყოვლად მოწყალებასა, რათა ამავე ზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა და უკეთუ შერიგება მოხდეს... მაშინაც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაიდგან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქუსთ და მრავალნი ქრისტიანენი არიან ამათში, და სხუანიცა ახალი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ.[2]

ამასთან, ერეკლე პრეტენზიას არ აცხადებდა უცხო ქვეყნის ტერიტორიების მითვისებაზე: „უკეთუ ღთითა და ბედნიერეობითა თქვენითა, რომელიც სხვა მტერის ქვეყანა თქვენის დიდებულების კორპუსის ძალით დავიჭიროთ, იმისი სრულიადი ნება თქუენის დიდებულებისა არის“.[3] ერეკლე მეფე არც 1782 წლის 21 დეკემბერს წარდგენილ პროექტში აცხადებდა პრეტენზიას არაქართულ მიწებზე, რაც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს.[4]

ასეთია ერეკლეს მიერ წამოყენებული პირობები.

ზემოხსენებული თხოვნის წიგნის გასამაგრებლად ქართლ-კახეთის სამეფო კარს საჭიროდ ჩაუთვლია, 1772 წლის 6 იანვარს მცხეთაში გადა-

---

1 ვ. მაჭარაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი. გვ. 10-11. 59-60. 99-102

2 იქვე. გვ. 11. 59-60. 99-102

3 იქვე.

4 ერეკლე მეორეს არც რუსეთის მთავრობისათვის წარდგენილ ხსენებულ დოკუმენტებში და არც სხვაგან წამოუყენებია არაქართული მიწების უშუალოდ საქართველოსთვის შემოერთების გეგმა. ერეკლეს სომეხთა გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებმა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში არაერთგზის შესთავაზეს სომხეთის მეფის გვირგვინიც. მაგრამ მეფე ამაზე არ დათანხმდა (შდრ. ა. იოანესიანის შრომები). მართალია, ერეკლეს ვასალურ დამოკიდებულებაში ჰყავდა ერევნისა და განჯის სახანოები, მაგრამ ეს უფლება თვითონ ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით. ირანის ტახტის მაძიებლებისაგან დაცვით მოიპოვა და მტკიცედ იცავდა ამ ხაზს, რადგან ამით საქართველოზე მოსასვლელ სტრატეგიულ პუნქტებს ინარჩუნებდა. ამიტომაც ირანისა და თურქეთის წაქეზებით, ხსენებულ სახანოთა მმართველობის განდგომას არ უშვებდა. რაც შეეხება ელჩების რწმუნების სიგელში ერეკლეს ტიტულში არაქართული მიწების მფლობელად მოხსენიებას (შდრ: ვ. მაჭარაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი. დოკ. №4 АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 177. лл. 3-4) და ა. ბეზბოროდკოს მითითებას სარატიფიკაციო სიგელში ერეკლე იმავე ტიტულით მოიხსენიეთო (შდრ: АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178. л. 18), იგი ერეკლეს ინიციატივით კი არა, მხარეთა წინასწარი შეთანხმებით გამიზნულ ნაბიჯად გვესახება, რომელსაც გზა უნდა გადაეღობა ირანის შემდგომი აგრესიისათვის ამიერკავკასიაში, რაკი რუსეთის ხელდებული ერეკლე ამ სახანოების მფლობელად აცხადებდა თავს (შდრ. ვ. მაჭარაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი, გვ. 81).

სულიყო და იქ, ძველ სატახტოში შეადგინა მეორე დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოაწერეს და ბეჭედი დაუსვეს ერეკლე II-მ, დარეჯან დედოფალმა, ანტონ კათალიკოსმა, გიორგი, ლევან, ვახტანგ და იულონ ბატონიშვილებმა, დოკუმენტზე ხელმომწერნი აცხადებენ, რომ რუსეთის ჯარის დახმარებით თურქეთთან და ირანთან ბრძოლაში როგორ წარმატებასაც არ უნდა მიაღწიონ, რუსეთის ქვეშევრდომობაზე ხელს არ აიღებენ.[1]

ამრიგად, ერეკლე II უარს აცხადებდა თავისი სუვერენული უფლებების ნაწილზე, კისრულობდა ხარკსაც, მაგრამ მეფე ამ ნაბიჯს დგამდა დიდი მნიშვნელობის საკითხების მოსაგვარებლად — ქართლ-კახეთის უშიშროების უზრუნველსაყოფად და მტრის მიერ მიტაცებული მიწების დასაბრუნებლად. ქართული მიწების დაბრუნების მნიშვნელობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ ოლქებს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ თვით ქართლისა და კახეთის თავდაცვისათვის. ჯერ ერთი, თურქებმა, მიიტაცეს სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და ძალით გაავრცელეს ისლამი, მოსახლეობის ნაწილი გაათურქეს, ეკონომიკა მოშალეს, მატერიალური კულტურის ძეგლები გაანადგურეს; ხოლო ახალციხის საფაშო აქციეს თავიანთ პლაცდარმად, საიდანაც თავს ესხმოდნენ ქართლ-კახეთს და კავშირს ამყარებდნენ ლეკებთან;[2] მეორე, ლეკებმა დაიკავეს აღმოსავლეთი კახეთი, საიდანაც თავს ესხმოდნენ კახეთსა და ქართლს, იტაცებდნენ ადამიანებს, მიერეკებოდნენ საქონელს და ა. შ. ახალციხისა და ჭარის ტერიტორიული სიახლოვე აიოლებდა ლეკების კავშირს თურქებთან. პირველი (ახალციხის) საკითხის გადაწყვეტა საქართველოს გარეშე ძალის დაუხმარებლად არ შეეძლო და ეს საკითხი არც დასმულა დღის წესრიგში, სანამ რუსეთის დაინტერესება ამიერკავკასიით არ დაინახეს; მეორე (ჭარის) საკითხი ერეკლემ და თეიმურაზმა 50-იან წლებში დასვეს, მაგრამ ვერ გადაწყვიტეს, რადგან ჭარელებს ამიერკავკასიის მაჰმადიანი მფლობელები წამოეშველნენ და საიდუმლოდ არც თურქებს დაუკლიათ ხელი. მტრის ამ ორი პლაცდარმის მოშლის გარეშე ქართლ-კახეთის დაცვა შეუძლებელი იყო.

აი, რატომ გადადგა ერეკლემ ასეთი ნაბიჯი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა რუსეთის მხრივ ყოველგვარი ჩაგონების გარეშე. რუსეთის წარმომადგენლები გენ. სუხოტინი და კაპ. ი. ლვოვი, რომლებიც მაშინ ქუთაისში

---

[1] ვ. მაჭარაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი. გვ. 61-64. 103-104 (შდრ.: დოკ № 2 — დედანი (თარგმანითურთ), გვ. 61-64; ფოტოპირი — გვ. 103-104).

[2] ლეკთა საკითხის გადახლართვა საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის საკითხთან საკმაოდ ნათლად აქვს ნაჩვენები ნ. ბერძენიშვილს (აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. იხ.: „მიმომხილველი“. III, 1953. გვ. 85-86).

იყვნენ, აღშფოთებულნიც კი იყვნენ მათთვის შეუტყობინებლად ელჩების რუსეთში გაგზავნის გამო (როგორც ჩანს, ეჭვობდნენ, ერეკლემ ჩვენზე საჩივარი ხომ არ მისწერაო) და მთავრობას აცნობებდნენ, ჩვენ ელჩობის მიზანი არ ვიცითო.[1]

1772 წლის იანვარში რუსეთში გაემგზავრა ელჩობა ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის მეთაურობით, რომელთაც მიჰქონდათ ერეკლე II-ის თხოვნის წიგნი და სამეფო კარის პირობა.

რა თქმა უნდა, რუსეთს, თურქეთთან ომის დროს,[2] როცა ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი რუსეთის შავი ზღვის სანაპიროზე დამკვიდრებისა და თავისუფალი ნაოსნობის უფლების საკითხები, ევროპის ქვეყნების მტრული პოზიციის ვითარებაში, — არ შეეძლო მიეღო ქართლ-კახეთი მფარველობაში, რადგან იგი გამოიწვევდა თურქეთთან ომის გაჭიანურებას და ირანელ ხანებსაც (ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით) მოთმინებიდან გამოიყვანდა, რომლებთანაც დამაიმედებელი წერილები ჰქონდათ გაგზავნილი (რომ რუსეთს ირანის წინააღმდეგ მტრული განზრახვა რა ჰქონდა და ჯარი საქართველოში მხოლოდ თურქეთის წინააღმდეგ შემოიყვანა). ამიტომ 1773 წლის 31 დეკემბრის წერილით ეკატერინე II, თუმცა უწონებდა ერეკლე II-ს გადაწყვეტილებას, მაგრამ მეფეს ატყობინებდა, რომ თქვენი წინადადების მიღება ამჯერად არ შეგვიძლია და უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადავდოთო. ამასთან, იმპერატორი მეფეს ჰპირდებოდა — თურქეთთან ზავის დადებისას სულთანს ქართველი ხალხის უშიშროების უზრუნველყოფის პირობას ჩამოვართმევთ, რომლის შესრულებაზე მე თვითონ დავაწესებ კონტროლსო.[3] 1774 წელს ელჩები ხელცარიელი დაბრუნდნენ საქართველოში.[4]

ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ რუსეთის ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდა: ჯერ ერთი, დნეპრსა და ბუგს შორის მდებარე ტერიტორიისა და კინბურგის სიმაგრის მიღებით, რუსეთი შავ ზღვაზე გავიდა; მეორე, ქერჩისა და ენიკალეს მიღებით, რუსეთს გზა გაეხსნა აზოვიდან შავი ზღვისაკენ; მესამე, თურქეთმა სცნო რუსეთის უფლება შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობისა. ამრიგად, რუსეთი საბოლოოდ დამკვიდრდა შავ ზღვაზე. ქუჩუკ-კაინარჯის ზავით თურქეთის ვასალი ყირიმის სა-

---

1 АВПР, ф.Сн. России с Грузией, 1769-1775 гг., оп. 110/2, д. 11, лл. 45-50; იგივე ფონდი. 1769-70 гг., оп. 110/2, д. 12, л. 172.

2 1786-74 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი.

3 АВПР, ф.Сн. России с Грузией, 1770-74 гг., оп. 110/2, д. 14, лл. 45-47; Грамоты, I, стр. 394-397

4 ხსენებული ელჩობის ისტორია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები ცალკე იბეჭდება.

ხანო დამოუკიდებლად გამოცხადდა. ამ აქტით თურქეთმა დაკარგა პლაცდარმი და საიმედო რეზერვი შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რუსეთის სტრატეგიული მდგომარეობა. გარდა ამისა, ქუჩუკ-კაინარჯის ზავით გაუქმდა ბელგრადის 1739 წლის ტრაქტატები, რომლითაც ყაბარდო ნეიტრალურ ზონად იყო გამოცხადებული და რუსეთს (თურქეთსაც) ეკრძალებოდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის საქმეში ჩარევა; თუმცა ქუჩუკ-კაინარჯის ზავს საბოლოოდ არ გადაუწყვეტია ყაბარდოს საკითხი, მაგრამ რამდენადაც თურქეთმა რუსეთსა და ყირიმს დაუთმო მისი გადაწყვეტა, რუსეთს თავისუფალი მოქმედებისათვის ხელები ეხსნებოდა. ყირიმელ დიდებულთა წინდაუხედავი პოლიტიკის (თურქეთიდან ჩამოცილება არ შეგვიძლიაო) წყალობით, ომის შემდეგ თურქეთი (70-80-იანი წლების მიჯნაზე) აქტიურად ჩაერია ყირიმის საქმეებში[1] (ტამანიდან ყირიმში შეჭრით და აქ თავისი ბატონობის აღდგენით თურქეთი ქერჩისა და ენიკალეს ციხეებს ემუქრებოდა და ქერჩის სრუტის ხელახლა ჩაკეტვის საფრთხეს უქმნიდა; გარდა ამისა, თურქეთი ტამანიდანვე საფრთხეს უქმნიდა აგრეთვე რუსეთის პოზიციებს ჩრდილო კავკასიაში, ხოლო ოჩაკოვიდან — კინბურნის ციხესა და დნეპრიდან შავ ზღვაზე გასასვლელს). ამ მდგომარეობამ აიძულა რუსეთი ავსტრიასთან დაახლოების გზას დადგომოდა და დაეჩქარებინა ყირიმის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა. რუსეთის მთავრობამ რეალურად დასვა ყირიმის საკითხი, ხოლო მისი გადაწყვეტის შემთხვევაში შესაძლოდ მიიჩნიეს საქართველოს საკითხის წამოჭრაც.[2] ასეთ პირობებში რუსეთის მთავრობამ ქართველ მეფეებს

---

ყირიმში შესაჭრელად თურქეთის დიდი მზადების თაობაზე ქართველმა დიპლომატებმა რუსეთს ჯერ კიდევ 1778 წელს აცნობეს (იხ.: ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 218).

მართალია, ირანის სისუსტე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, რომ საქართველოს საკითხი დაესვათ, მაგრამ XVIII ს. 70-80-იანი წლების მიჯნაზე რუსეთს ირანში შეჭრის საკითხი არ წამოუყენებია და არც „ირანის საკითხის გამოცოცხლებას" ჰქონია ადგილი, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ეჩვენებოდა. მაშინ საქმე ეხებოდა მხოლოდ რუსი ვაჭრების ინტერესებისა და რუსეთის პრესტიჟის დაცვას. ისტორიოგრაფიაში გაზვიადებულია აგრეთვე თურქეთის მიმართ რუსეთის გეგმებიც (ე.წ. საბერძნეთის პროექტი). 80-იან წლების დასაწყისში საქმე ეხებოდა არა საკუთრივ თურქეთის ტერიტორიას, არა კონსტანტინოპოლს, არამედ ყირიმის საკითხს და ყაბარდოში დამკვიდრებას, რადგან ტამანში გამაგრებული თურქეთი, რუსეთის ომში მარცხის მიუხედავად, თავის პრეტენზიებზე ხელს არ იღებდა.

XVIII ს. 80-იან წლებში რუსეთის დიპლომატია მართლმადიდებლების ხსნის დიდი ლოზუნგით არ გამოსულა, რადგან 1768-74 წლების ომის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ბალკანეთის მოსახლეობა ამ ბრძოლისათვის ჯერ კიდევ არ იყო პოლიტიკურად და ორგანიზაციულად მომზადებული, ხოლო დუნაის სამთავროებისა (ვალახია, მოლდავია) და ქართული სამეფოების ბრძოლისა და რუსეთის იარაღის წარმატების შედეგებიც, ევროპის ქვეყნებმა (პირველ რიგში ავსტრიამ) მინიმუმამდე შეკვეცეს. რუსეთის მთავრობამ

ი. რაინეგსის პირით აცნობა დიპლომატიური მოლაპარაკების განახლების შესაძლებლობაზე და ხელშეკრულების პროექტის შემუშავებას შეუდგა.

ეკატერინე II-ის ინსტრუქციაში, რომელიც გრაფმა ა. ბეზბოროდკომ 1782 წლის ბოლოსა თუ 1783 წლის დასაწყისში აცნობა გრ. პოტიომკინს,[1] ნათქვამია:

„Мнение ея величества было, чтоб: 1-е, через вашу светлость заключить с грузинскими царями союзный трактат, не именуя их подданными, но союзниками, от Империи всероссийской покровительствуемыми.

2. Поборов денежных не принять никаких ниже половины с металов и минералов, а оставить все то в пользу царей грузинских, а принять только ежегодную присилку шелку, вин и лошадей".[2]

გარდა ამ ორი უმთავრესი პუნქტისა, ეკატერინე II-ის ინსტრუქცია შეიცავდა კიდევ ოთხ პუნქტს, რომლებზედაც იმპერატორს აინტერესებდა თავად გრ. პოტიომკინის მოსაზრებები:

3. ომის შემთხვევაში საქართველოში გამოსაგზავნი ჯარისა და სუბსიდიის რაოდენობა განესაზღვრა თავად გრ. პოტიომკინს;

4. ერეკლეს კავშირი ავსტრიის იმპერატორთან სასურველად არ იყო მიჩნეული და ერეკლესაც მიმოწერაზე ხელი უნდა აეღო (რუსეთ-ავსტრიის დაახლოება ერეკლემ რუსეთიდან ცნობის მიღებამდე შეიტყო, ამიტომ მიმართა მეფემ ავსტრიის იმპერატორს, მაგრამ რუსეთის სამეფო კარმა 1768-74 წლების ომის გამოცდილებით იცოდა, რომ „მეგობრობის" მიუხედავად, ავსტრიის მთავრობას შეეძლო ხელი შეეშალა);

5. ჯარისა და სხვა საკითხებზე იმპერატორი თავად გრ. პოტიომკინის მოსაზრებებს ელოდებოდა;

---

გამოცდილებით იცოდა, რომ ამ დიდ საქმეში ავსტრია პარტნიორად არ გამოდგებოდა (ამიტომ არ დართო რუსეთმა იმერეთს ნება 1787-91 წლების ომში ჩაბმულიყო, რადგან იცოდნენ შედეგს ვერ მიიღებდნენ). მაგრამ თუ ახლა ავსტრია მაინც „მეგობრად" აირჩიეს, რუსეთს მხოლოდ იმის იმედილა შეიძლებოდა ჰქონოდა, რომ ავსტრია, ბუკოვინის მიტაცების (1774) შემდეგ, თურქეთის „მეგობარი" აღარ იყო და შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში სადავო საკითხებზე რუსეთს განზე ვერ განუდგებოდა.

1 წერილს თარიღი არ უზის. ა. ცაგარელი მას 1782 წლის დეკემბრით ათარიღებდა (Грамоты, II, вып. I, с. 30-31). ი. ცინცაძეს 1783 წლის თებერვალ-მარტში შედგენილად მიაჩნია (ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 99).

2 АВПР, ф.Сн. России с Грузией, 1774-1804 гг., оп. 110/2, д. 18, лл. 66-67; Грамоты, II, вып. II, გვ. 30-31.

6. ხომ არ თვლიდა თავადი პოტიომკინი საჭიროდ ერეკლესა და სოლომონს შორის ნათელი და ზუსტი ზავის დადებას იმისვე (თავად პოტიომკინის) თავდებობით.[1]

ეკატერინეს მითითებების გარდა, ა. ბეზბოროდკოც თავის მოსაზრებებს სთავაზობდა თავად გრ. პოტიომკინს, სადაც სხვა საკითხებთან ერთად[2] ისიც იყო აღნიშნული, რომ საქართველოდან ღვინო ფასით უნდა წაეღოთ, რადგან იგი „касается простого народа".[3]

ამრიგად, ეკატერინე II-ის ინსტრუქცია ითხოვდა, ტრაქტატი დადებულიყო უფრო შეღავათიან პირობებში ქართლ-კახეთისათვის, ვიდრე ერეკლეს პროექტით იყო ნავარაუდევი.[4] აქედან ძნელი როდია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ტრაქტატი შეიძლებოდა დადებულიყო 1772 წელს, ხოლო მისი 11 წლით დაგვიანების მიზეზი უნდა ვეძიოთ არა საქართველოს, არამედ რუსეთის საგარეო ვითარებაში, კიდევ მეტი, რაკი ქართლ-კახეთი 1771 წელს მზად იყო დაედო ხელშეკრულება უფრო მძიმე პირობებით, მაშასადამე, ხელშეკრულების დადება 1783 წელს განუპირობებია არა საქართველოს მდგომარეობას 80-იანი წლების დასაწყისში (მისი გაუარესება ან გაუმჯობესება აქ მთავარი არ იყო), არამედ რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

რა თქმა უნდა, ეკატერინე I-ის დათმობის მიზეზი (შეადარე ინსტრუქცია ერეკლეს პროექტს) დედოფლის კეთილშობილებაში კი არ უნდა ვეძიოთ, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი ვარაუდობდა, არამედ რუსეთის საერთაშორისო ვითარებასა და იმაში, თუ რა როლი უნდა ეთამაშა საქართველოს, რუსეთის ერთგულ და საიმედო მოკავშირეს, კავკასიის პრობლემის გადაწყვეტაში. საქმე ისაა, რომ თურქეთმა სამი საუკუნის მანძილზე, გარკვეული მიზეზების გამო, მოახერხა მთის კავკასიაში ქრისტიანობის ამოძირკვა და ისლამის, მისი სუნიტური სექტის დამკვიდრებით, საიმედო საყრდენი გაეჩინა კავკასიის მთის ტომების დიდკაცებში, რაც კავკასიის პრობლემის გადაჭრას აჭიანურებდა და ართულებდა. ფეხზე წამომდგარ საქართველოს, ცხადია, რუსეთის გეგმების გადაჭრაში საპატიო როლი უნდა ეთამაშა. ა. ბეზბოროდკო წერდა

---

1 АВПР, ф.Сн. России с Грузией, 1774-1804 гг., оп. 110/2, д. 18, лл. 66-67; Грамоты, II, вып. II, გვ. 30-31.

2 ეს მოსაზრებები ეხებოდა საქართველოში გამოგზავნილი ჯარის რაოდენობას, ინვესტიტურას, ქართული ეკლესიისა და სინოდის დამოკიდებულებასა და სხვ.

3 АВПР, ф.Сн. России с Грузией, 1774-1804 гг., оп. 110/2, д. 18, л. 67; Грамоты, II, вып. II, გვ. 31.

4 ცხადია, ცდებოდნენ მკვლევრები, რომლებიც ლაპარაკობდნენ რუსეთის დიპლომატიის მიერ „ერეკლესთან მომგებიანი ხელშეკრულების" დასადებად ალექსანდრე ბატონიშვილის გამოყენების შესახებ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 688;). ამის შესახებ სპეციალურ ნარკვევში გვექნება საუბარი.

გრ. პოტიომკინს: „можно шпародовать насегда два баталиона пехоты с четырьмя пушками; сие тем паче будет полезно, что горския дикия народы с обоих сторон гор приперты будут".[1] შემდგომში XIX საუკუნეში, საქართველომ მართლაც ითამაშა ეს როლი, რასაც, სამწუხაროდ, ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

* * *

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს ვითარებას, იგი ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. საქართველოს მდგომარეობის შესწავლამ ცხადყო, რომ ერეკლე II-ის მეფობაში, ვიდრე 1783 წლამდე (ე. ი 1744-1783. წწ.), ყველაზე უკეთესი 1775-83 წლებია. ეს არაა შემთხვევითი: ჯერ ერთი, 1768-74 წლების ომში დამარცხებულ თურქთს კაინარჯის ზავით ეკრძალებოდა საქართველოში ახალი მიწების ხელში ჩაგდება — ვერავის თავის ქვეშევრდომად ვერ გადააქცევდა, გარდა იმათისა, ვინც „Издревле ей принадлежали",[2] რაც სერიოზული გაფრთხილება იყო;[3] მეორე, თურქთი, თავისი სისუსტის მიუხედავად, ყირიმელი დიდკაცების უგუნური პოლიტიკის გამო, არ ეშვებოდა ყირიმსა და ყაბარდოს, რის გამოც რუსეთთან უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ცხადია, ასეთ პირობებში თურქთი, აღმოსავლეთ საქართველოს საქმეებში ჩარევა კი არა, თავის სავასალო დასავლეთ საქართველოშიც პოზიციებს კარგავდა (ვითარებით კარგად ისარგებლა სოლომონ მეფემ); კიდევ მეტი, მან არა მარტო აპატია ერეკლეს ომში მონაწილეობა (აწყური, ასპინძა, ჯავახეთში ლაშქრობა), არამედ საჩუქრებსაც უგზავნიდა (1776 და 1778 წლებში); მესამე, სპარსეთი წინანდებურად დაშლილი და დასუსტებული იყო, ხოლო 1779 წლიდან, ქერიმ ხანის სიკვდილის შემდეგ, ანარქიამ მოიცვა.

ზემოაღნიშნულ პირობებში ერეკლემ შეძლო აღედგინა თავისი პოზიციები ამიერკავკასიაში; ხელი მოეკიდა სამთო საწარმოების გახსნისათვის, რასაც ადრე მტრის მომრავლების შიშით ვერ ბედავდა; შექმნა მორიგი ჯარი, რითაც მნიშვნელოვნად ალაგმა ლეკთა თარეშები.[4]

---

1 АВПР, ф. Сн. России с Грузией, 1776-1804 гг., оп. 110/2, д. 18, 66-67; А. Цагарели, Грамоты, II, вып. II, გვ. 31.

2 Е. И. Дружинина, Кючук-Кайнарджийский Мир, М 1955, გვ. 356

50-60-იან წლებში რუსეთის დიპლომატიამ არაერთხელ აალებინა ხელი თურქთს „სპარსეთის საქმეებში" ჩარეულიყო — ქართლში შეჭრილიყო

ლეკთა თარეშების შესახებ ხსენებულ წლებში ბუტკოვის შეუმოწმებელ ცნობას თბილისში ლეკთა თავხედობის შესახებ (П. Бутков, Материалы, ч. II, გვ. 119) შემდეგ

აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესება XVIII ს-ის 70-80-იანი წლების მიჯნაზე, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა საერთო მდგომარეობის რადიკალურ შეცვლას, რადგან მტრის ძალები ბევრად ჭარბობდა ქართველთა ძალებს. მაგალითად, საქართველოს მოსახლეობა XVI-XVIII საუკუნეებში ცხრაჯერ შემცირდა. 1254 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 810 ათას კომლს, ანუ 4-5 მილიონ სულს, ხოლო 1770 წელს — 87-90 ათას კომლს, ანუ 400-500 ათას კაცს; გარეშე ფაქტორი ამ ძალების გაერთიანებასაც გამორიცხავდა.[1] დასავლეთ საქართველო თურქეთის სავასალო იყო და ქართლის იმერეთისადმი დახმარებას სულთანი მტრულ აქციად აღიქვამდა. 60-იან წლებში სულთანმა უბრძანა ახალციხის ფაშას, თუ შეიტყობ, რომ იმერეთს ქართლიდან ეხმარებიან, ნება გეძლევა ჩემ უკითხავად შეიჭრა ქართლშიო,[2] მაგრამ თურქეთის მთავრობამ, რუსი დიპლომატების პროტესტის გამო, თავი შეიკავა. ამიტომ იყო, რომ ქართველ მეფეთა 1758 წლის ურთიერთდახმარების შეთანხება რეალურად და აშკარად ვერ ხორციელდებოდა.

რაც შეეხება მოწინააღმდეგის ძალებს, ლეკებსა და ირანზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო თურქეთი ახერხებდა იმ დროს ნახევარ მილიონიანი არმიის გამოყვანას (ე. ი. იმაზე მეტის, ვიდრე მთელი საქართველოს მოსახლეობა იყო).

მართალია, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ თურქეთი საგრძნობლად დასუსტდა, მაგრამ იგი არც ისე „ღონემიხდილი" იყო, როგორც ეს ზოგ მკვლევარს ეჩვენებოდა.[3] ერეკლე კარგად ხედავდა, სამხრეთ საქართველოს მაგალითზე, რა მოჰქონდა თურქეთს. ამიტომ, მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესების მიუხედავად, დაგვიანებული პასუხის მიღებისას არც უყოყმანია, დაუყოვნებლივ გამოეხმაურა მას.

---

ბევრნი იმეორებდნენ და მათ შორის გ. ქიქოძეც (გ. ქიქოძე- ერეკლე II. თბილისი, 1958. გვ 166).
უმართებულოა ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისის კრიტიკა, რომელიც „ნარკვევებშია" მოცემული საქართველოს გაერთიანების შესაძლებლობის თაობაზე (იხ: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. გვ. 728). ნ. ბერძენიშვილი მართალი იყო.

2 АВПР, ф.Сн. России с Турцией, 1765 г., оп. 89/8, д. 375, лл. 27-30.

3 სიმართლეს არ შეეფერება იმის მტკიცება, რომ თითქოს 1787 წელს თურქეთს „ძლივს შეეგროვებინოს 2 ათასი მხედარი" (შდრ: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 679, 722, 723). ეს „ღონემიხდილი" თურქეთი, ევროპის ქვეყნების ხელშეწყობით, 100 წელიწადს აგრძელებდა ბრძოლას თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად ბალკანეთსა და კავკასიაში და ისიც საკმაოდ ცნობილია, რა უბედურება მოუტანა მან დაპყრობილ ხალხებს. მითი თურქეთის „ღონემიხდილობის" შესახებ ევროპელმა დიპლომატებმა შეთხზეს, რომ ოსმანთა იმპერიას ტერიტორია არ ჩამოჰჭროდა, თურქეთის ბაზარი არ შემცირებულიყო. ამიტომ ელობებოდნენ წინ რუსეთს, აზვიადებდნენ მის გეგმებს (ე. წ. „საბერძნეთის პროექტიც" მათი ნახელავია) და შესაძლებლობებს.

ერეკლე მეორისა და ქართლ-კახეთის სამეფო კარის ერთსულოვან გადაწყვეტილებას საზოგადოებრივი აზრიც აპირობებდა:

ჯერ ერთი, რუსეთთან მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთობამ და მოსკოვის ქართული კოლონიის საქმიანობამ საქართველოს ფეოდალური საზოგადოების ზედაფენებში რუსეთისადმი ნდობა განამტკიცა. საქმე ისაა, რომ უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ სამასწლოვანი უთანასწორო ბრძოლის დროს რუსეთი ქართველებისათვის იმედი იყო, ხოლო მარცხის შემთხვევაში — თავშესაფარი. ამასთან, სპარსელები და თურქები, მოსახლეობის გაჟლეტის გარდა, ქართული კულტურის ძეგლებს (ეკლესია-მონასტრებს) ანგრევდნენ, რუსეთიდან კი ოსტატებს გზავნიდნენ ამ ძეგლების აღსადგენად (საყოველთაოდ ცნობილია რუსი მხატვრების მოღვაწეობა საქართველოში XVII საუკუნეში). თურქებმა და სპარსელებმა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველო აიკლეს, სტამბა დაანგრიეს და კულტურული საქმიანობა ჩაკლეს, რუსეთში კი გადასახლებულ ქართველებს ადამიანური ცხოვრებისა და კულტურული საქმიანობის პირობები შეუქმნეს. XVIII საუკუნეში მოსკოვის ქართული კოლონია, სხვა მრავალმხრივ საქმიანობასთან ერთად, ქართულ ენაზე წიგნებსაც ბეჭდავდა, რომლითაც საქართველოსაც ამარაგებდა.

მეორე, საქართველოს საზოგადოების ქვედა ფენებში — გლეხობაში, დიდი იყო რუსეთისადმი ნდობა და პატივისცემა. რუსეთში პოულობდნენ თავშესაფარს და ადამიანურ მოპყრობას დაღესტნიდან, ჩეჩნეთიდან, ყაბარდოდან, ყირიმიდან, თურქეთიდან გამოქცეული ქართველი ტყვეები. კიდევ მეტი, 1758 წლიდან ქართველი ტყვეების დაცვა რუსეთში სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავიდა; იმპერატორის ბრძანებულებით რუსეთის განაპირა გუბერნიების უფროსები და კომენდანტები ვალდებულნი იყვნენ, ქართველი ტყვეები გამოეკვებათ, ღამის გასათევი გამოეყოთ, პასპორტი და მეგზური მიეცათ და სამშობლოში გამოესტუმრებინათ. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის (1774) შემდეგ, ქართველი ტყვეების დაცვა რუსეთის მხრივ საერთაშორისო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი, რასაც მოწმობს რუსეთის ელჩების მოხსენებები კონსტანტინოპოლიდან. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთში (სადგერიდან გავაზამდე), ალბათ, არ იყო სოფელი, სადაც რუსეთის მთავრობის დახმარებით ტყვეობიდან თავდახსნილი გლეხი არ ცხოვრობდა.[1] ტყვეობიდან თავდახს-

---

[1] ჩვენ რამდენიმე ასეული დოკუმენტი გვაქვს გამოვლინებული ქართველი ტყვების გამოხსნასა და მათი საქართველოში გამომგზავრებისათვის რუსეთის მთავრობის ზრუნვისა, რომელთა ნაწილი ნაწყვეტების სახით გამოვაქვეყნეთ (იხ. ე. მაჭარაძე, მასალები II, გვ. 140-142, 523-525, 542-546); ე. მაჭარაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი, გვ. 16-17, ნაწილიც იბეჭდება ჩვენი „მასალების" III წიგნში.

ნილთა შორის იყვნენ თავადაზნაურობისა და სამღვდელოების წარმომადგენლებიც.

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, რუსეთისადმი ნდობამ და რუსულმა ორიენტაციამ საქართველოში საყოველთაო, ფართო ხასიათი მიიღო, მას პროპაგანდა არ სჭირდებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთის მფარველობაში შესვლა — გეორგიევსკის ტრაქტატის დადება XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოს საერთო ვითარების სერიოზული განსჯისა და საფუძვლიანი გაანალიზების, რუსეთთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის გათვალისწინებით მოხდა.

გეორგიევსკის ტრაქტატის პროექტის შემუშავებას, როგორც ზემოთ ითქვა, საფუძვლად დაედო სამი დოკუმენტი, ერეკლე II-ის თხოვნის წიგნი (პროექტი), ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობა და ეკატერინე II-ის მითითებანი გრ. პოტიომკინისადმი.

ხელშეკრულების პროექტის ერთ-ერთი ვარიანტი,[1] ა. ბეზბოროდკოს ავტოგრაფით შემონახული, გულისხმობდა ორივე ქართულ სამეფოსთან (ქართლ-კახეთთან და იმერეთთან) სამოკავშირეო-მფარველობითი ხელშეკრულების დადებას,[2] მაგრამ თურქეთის აშკარა გამოწვევას (იმერეთი თურქეთის სავასალო ქვეყანა იყო) თავი აარიდეს. დამოუკიდებელი ყირიმის შეერთება (თუმცა იგი არღვევდა ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობებს) და ასევე დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის მფარველობაში მიღება (თუმცა ისიც არღვევდა რუსეთ-თურქეთის ტრადიციულ დამოკიდებულებას „ირანის საკითხისადმი", — ორივე დიდი სახელმწიფო XVIII საუკუნის 50-60-იანი წლებში მტკიცედ სთხოვდნენ ერთმანეთს ქართლ-კახეთის, როგორც ირანის სავასალო ქვეყნების საქმეებში ჩარევისაგან თავი შეეკავებინათ — და აგრეთვე ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობებსაც), ეს ორი აქტი მაინც არ ნიშნავდა თურქეთის კუთვნილი ტერიტორიის ხელყოფას, თურქეთის საშინაო საქმეებში აშკარა ჩარევას.[3]

1783 წლის 7 მაისს გენერალმა პ. პოტიომკინმა პოლკოვნიკ ტამარას ხელით თავად გრ. პოტიომკინისაგან მიიღო ქართლ-კახეთის სამეფოსთან დასადები ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც 9 მაისს პოდპოლკოვნიკი ტამარა თბილისისაკენ გამოისტუმრა.[4] ერეკლე მეფისადმი წერილ-

---

არ გამოვრიცხავთ პროექტის სხვა ვარიანტის არსებობას.

2 АВПР, ф Сн. России с Грузией, 1774-1804 гг., оп. 110 ₂, д. 18, лл. 46-56: Грамоты, II, вып. II, გვ. 32-41.

მიუხედავად ამისა, თურქეთი იოლად როდი შეხვდა ამ ორ აქტს, როგორც ცნობილია, მას მოჰყვა ჯერ ამიერკავკასიული მაჰმადიანი მფლობელების ამხედრება, ხოლო შემდეგ 1787-1791 წლების რუსეთ-თურქეთის ომი.

4 ЦГВИА, ф.52, оп. 194, д. 286, ч.I, лл. 6606.

ში გენერალი პ. პოტიომკინი მეფეს ულოცავდა იმპერატორის გადაწყვეტილებას და აცნობებდა, რომ ტრაქტატის მუხლების თაობაზე განმარტებას პოდპოლკოვნიკი ტამარა მოგცემთ, ელჩები შეარჩიეთ გეორგიევსკში გასაგზავნადო, ხოლო ტრაქტატზე ხელმოწერისთანავე დამხმარე ჯარი საქართველოში შემოვა და მაჰმადიან ხანებს გაფრთხილება გაეგზავნებათო.[1] ხოლო გენერალი პ. პოტიომკინი სოლომონ მეფეს სწერდა, რომ ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაშია მიღებული და გულწრფელად მსურს, ვითარებამ შესაძლო გახადოს თქვენი მიღებაცო, ახლა კი იმპერატორის სურვილია, თქვენ და ერეკლე მეფე მეგობრულ ურთიერთობაში იყოთო.[2] მალე (1783 წლის მაისში) საქართველოში გამოიგზავნა პოლკოვნიკი ს. ბურნაშოვი, რომელსაც საქართველოს თავდაცვის მდგომარეობა უნდა შეესწავლა.[3]

1783 წლის მაისის მეორე ნახევარში პოდპოლკოვნიკი ტამარა თბილისში ჩამოვიდა და ერეკლე II-ს გადასცა ხელშეკრულების პროექტი (რუსულ და ქართულ ენებზე). ქართლ-კახეთის სამეფო კარი თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იხილავდა პროექტს. პოდპოლკოვნიკ ტამარას ცნობით, ერეკლეს რუსულიდან „თარგმანის" მიმართ შენიშვნები გაუკეთებია და შესწორებებიც შეუტანია, რაზედაც ტამარა დაპირებია, თუ რუსეთში მთარგმნელები მისაღებად მიიჩნევენ, შევასწორებთო.[4]

1783 წლის ივნისის ბოლოს საბოლოოდ გადაწყდა ქართლ-კახეთის დელეგაციის წარმომადგენლების შემადგენლობა; პირველ ელჩად დაინიშნა თავადი ივანე ბაგრატიონი, მეორე ელჩად — თავადი გარსევან ჭავჭავაძე, ასისტენტად — თელავის სემინარიის რექტორი გაიოზ არქიმანდრიტი. შეარჩიეს საელჩოს მდივანი და ელჩების ამალა 20 კაცის (სულ 24) შემადგენლობით. ამასთან, თუ ელჩებს შორის უთანხმოება ჩამოვარდებოდა, ერთ-ერთი ელჩის ხელმოწერა საკმარისი იყო.[5] 1783 წლის ივნისში ქართლ-კახეთის სამეფო კარმა პროექტი ძირითადად მოიწონა, 28 ივნისს ერეკლემ ხელი მოაწერა სამეფოს თავადაზნაურთა სიას, რომელიც ტრაქტატის დანართს წარმოადგენდა[6] და მალე ელჩობა რუსეთს გაემგზავრა.

---

1 ЦГВИА. ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 68-69.

2 იქვე. лл. 67.

ბურნაშოვის მოხსენებები, როგორც საისტორიო წყარო, ჩვენი „მასალების" IV წიგნში დაიბეჭდება.

ЦГВИА. ф. 52. оп. 194. д. 286. ч. 1, лл. 117-118.

იქვე.

АВПР. ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 35-47.

რუსეთის მთავრობამ თავის წარმომადგენლად თავადი გრ. პოტიომკინი დანიშნა,[1] ამასთან, თუ მოლაპარაკებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ნება ეძლეოდა, თვითონვე დაენიშნა სხვა წარმომადგენელი, ასეც მოხდა. გრ. პოტიომკინმა თავის წარმომადგენლად დანიშნა თავისი ნათესავი „კავკასიის ხაზის" სარდალი პავლე პოტიომკინი.[2]

1783 წლის 15 ივლისს ქართლ-კახეთის წარმომადგენლები მოზდოკში ჩავიდნენ. პ. პოტიომკინი, ცნობის მიღებისთანავე, ყუბანიდან გეორგიევსკში დაბრუნდა. 16 ივლისს ქართველ ელჩებს პორუჩიკი თავადი ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი) გაუგზავნა მისასალმებლად და 50 ცხენი მიართვა, ხოლო 17 ივლისს პოდპოლკოვნიკი ტამარა მოზდოკში გაგზავნა ეკიპაჟით, რომ ქართველი ელჩები მიეცილებინა გეორგიევსკამდე; 18 ივლისს გეორგიევსკიდან მაიორი კომარსკი გაიგზავნა, რათა იგი ელჩებს პავლოვსკის ციხე-სიმაგრეში შეხვედროდა, მთავარსარდლის სახელით ბედნიერად ჩამოსვლა მიელოცა და გეორგიევსკამდე მიეცილებინა. ელჩობის მარშლად დაინიშნა სეკუნდ-მაიორი გრაფი აპრაქსინი, რომელიც გეორგიევსკის მახლობლად უნდა შეხვედროდა და რეზიდენციამდე გაძღოლოდა, ხოლო ქართველ ელჩებს ციხე-სიმაგრის კარიბჭესთან უნდა შეხვედროდა გენერალი გილი; პოლკოვნიკ მოლოჟენნიკოვს, როგორც ციხესიმაგრის უფროსს, დაევალა რეზიდენციაში მოეყვანა ელჩები და გამასპინძლებოდა. 18 ივლისს საღამოს 8 საათზე, ზემოაღნიშნული ცერემონიალის დაცვით, ელჩები გეორგიევსკის ციხესიმაგრეში შევიდნენ.[3]

1783 წლის 19 ივლისს დილის 9 საათზე ქართველ ელჩებთან გამოცხადდა ელჩობის მარშალი გრაფი აპრაქსინი და აცნობა, რომ 11 საათზე სხდომა იყო დანიშნული. მთავარსარდლის მისაღებთან ელჩებს პატივით მიეგებნენ. დაიწყო პირველი სხდომა, რომელიც საზეიმო ცერემონიალის ხასიათს ატარებდა. სხდომაზე სიტყვები წარმოსთქვეს გარსევან ჭავჭავაძემ და პავლე პოტიომკინმა. დღის 5 საათზე დაიწყო მეორე სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: პ. პოტიომკინი, ი. ბაგრატიონი, გ. ჭავჭავაძე, გაიოზ არქიმანდრიტი, ქართული საელჩოს მდივანი, პოდპოლკოვნიკი ტამარა და მთარგმნელები პორუჩიკი თავადი ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი) და პორუჩიკი სავარსამიძე. პ. პოტიომკინმა სხდომა გახსნა შესავალი სიტყვით, რომელშიც ხაზი გაუსვა იმ დათმობებს, რომელიც. რუსეთის მთავრობამ ქართლ-კახეთის სასარგებლოდ გააკეთა (იგულისხმება ერეკლეს პროექტის შერბილება), ხოლო შემდეგ ი. ბაგ-

---

1 АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3, 9.

2 ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 164-165.

3 იქვე.

რატიონს გადასცა იმპერატორის მიერ გრ. პოტიომკინისათვის მიცემული რწმუნების დამადასტურებელი დოკუმენტი. შემდეგ ქართველმა ელჩებმა პ. პოტიომკინს გადასცეს მათი რწმუნების სიგელი.[1] რწმუნების სიგელების გაცვლის შემდეგ დაიწყეს ხელშეკრულების ტექსტის კითხვა (ჯერ წაიკითხეს რუსული ტექსტი, შემდეგ — ქართული). მოლაპარაკებისას წამოიჭრა საკითხები, რომლებზედაც მხარეებმა წერილობითაც კი მიმართეს ერთმანეთს. 21 ივლისს კამათი ეხებოდა მეფის კურთხევას, გერბს, კათალიკოსის ადგილს რუსეთის სინოდში და სხვა. 23 ივლისს დაიწყეს ტექსტის ხელმეორედ კითხვა (რუსული წაიკითხა ტამარამ, ქართული — გაიოზმა). ყოველი მუხლი ერთმანეთს შეადარეს მთარგმნელებმა (ჩოლოყაშვილმა და სავარსამიძემ).

1783 წლის 24 ივლისს დილით წარმომადგენლები შეიკრიბნენ და 1 საათზე საზეიმოდ ხელი მოაწერეს სამ დოკუმენტს: ტრაქტატის ძირითად ნაწილს (13 მუხლი), სეპარატულ მუხლებს და „ფიცის სახეს" (რუსულ და ქართულ ტექსტებს) ჯერ პ. პოტიომკინმა, ხოლო შემდეგ ქართველმა ელჩებმა (ი. ბაგრატიონმა და გ. ჭავჭავაძემ). წინასწარ შეთანხმდნენ მეოთხე დოკუმენტზეც (დამატებით მუხლზე). ხელმოწერის შემდეგ ხელშეკრულების ტექსტები გაცვალეს. სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა გარსევან ჭავჭავაძემ, სადაც საგანგებოდ აღნიშნა ამ საქმეში გრ. პოტიომკინის დამსახურება. 24 ივლისს საღამოს მთელი ქალაქი გეორგიევსკი გაჩირაღდნებული იყო. იმავე დღეს პ. პოტიომკინმა ხელშეკრულების დედანი, ქართველ თავადაზნაურთა სია და მოლაპარაკების ოქმი გაუგზავნა გრ. პოტიომკინს და აცნობა: 25 ივლისს ქართველი ელჩები მთავარსარდლის ბანაკს მოინახულებენ, ხოლო 27 ივლისს სამშობლოში გაემგზავრებიანო.[2]

გეორგიევსკის ტრაქტატი ოთხი დამოუკიდებელი დოკუმენტისაგან შედგება: ცამეტი ძირითადი, ოთხი სეპარატული (ცალკე), ერთი დამატებითი მუხლისაგან და ერეკლეს ფიცის ნიმუშისაგან („სახე"). ყოველ მათგანს, როგორც დამოუკიდებელ დოკუმენტს, წარმომადგენლებმა ცალკე მოაწერეს ხელი და თავიანთი ბეჭდები დაუსვეს. ხელშეკრულება რუსულ და ქართულ ენებზე შედგა, ორივე ტექსტი სრული ძალისა იყო, არც ერთ მათგანს მეორე ენაზე არსებულ ტექსტზე მითითება არა აქვს, ამიტომ ყოველ მათგანს მეორე ენაზე „თარგმანი" ახლდა. ეს ფაქტი მხარეთა ეროვნული ღირსების პატივისცემას გამოხატავდა.[3] ეს

---

1 ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 166-168.

2 იქვე. ფურც. 162, 176.

3 В. Мачарадзе, С. Повальников, Подлинник русско-грузинского договора 1783 года, см. журн. "Литературная Грузия", 1982, № 2, გვ. 201-210.

გეორგიევსკის ტრაქტატის, როგორც ხელშეკრულების, თავისებურება იყო. დღეს მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართული დედანი (რუსული „თარგმანითურთ“),[1] რომელიც რუსეთის მხარეს გადაეცა (იგი რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივშია დაცული),[2] ხოლო რუსული დედანი (ქართული „თარგმანითურთ“), რომელიც საქართველოს მხარეს გადაეცა, ჯერ მიკვლეული არ არის.[3]

ტრაქტატის პირველ დოკუმენტს, მის ცამეტ მუხლს (არტიკულს), წინ უძღვის პრეამბულა, სადაც მოკლედ ჩამოყალიბებულია ხელშეკრულების ან „მეგობრობის პირობის“ (რუსული ტექსტი „მეგობრობის ხელშეკრულების“ — „дружественный договор“) დადების მოტივები. აღნიშნულია, რომ საქართველოს ოდითგანვე აწუხებდა მეზობელი ქვეყნები და რუსეთმა არაერთგზის აღმოუჩინა მას დახმარება, ხოლო ახლა შევთანხმდით, რომ ქართლ-კახეთის მეფე სცნობს რუსეთის ხელმწიფის უზენაეს ხელისუფლებას, ხოლო რუსეთი დაიცავს ქართლ-კახეთს გარეშე მტრებისაგანო. შემდეგ დახასიათებულია მხარეთა მიერ დანიშნული სრულუფლებიანი წარმომადგენლები და ქვემოთ 13 მუხლად (არტიკულად) ჩამოყალიბებულია შეთანხმების პირობები, რომელთა შინაარსი ასეთია:

1) ქართლ-კახეთის მეფე „სახელითა თვისითა, მემკვიდრეთა და მენაცულეთა თვისთა: საზეიმოდ („დღესასწაულობით“) და საქვეყნოდ აცხადებს, რომ იგი ამიერიდან სამუდამოდ უარს ამბობს ცნოს ირანის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ხელმწიფის უზენაესი ხელისუფლება და მფარველობა, გარდა რუსეთის იმპერატორისა და მისი მემკვიდრეებისა, აღუთქვამს მათ ერთგულებას;

2) რუსეთის იმპერატორი თავისი და მემკვიდრეთა სახელით აღუთქვამს ერეკლე მეფეს, რომ იგი სამუდამოდ გაუწევს მფარველობას ქართლ-კახეთის სამეფოს და დაიცავს მას გარეშე მტრებისაგან იმ სამფლობელოების ჩათვლით, რომელთაც ერეკლე თეიმურაზის ძე, ვითარების წყალობით, მომავალში შემოიერთებს, რომლებიც მასვე დაუმკვიდრდება (მუხლი 2);

3) როდესაც ერეკლეს მემკვიდრეები გახდებიან მეფეები, უმალ აუწყებენ რუსეთის მთავრობას და რუსეთის მთავრობა უგზავნის მათ

---

1 მართალია, „თარგმანს“ ბეჭედი არა აქვს დასმული, მაგრამ, ცხადია, იგი დედანს ზუსტად იმეორებდა.

2 АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3-8, 9-12.

რუსული დედანი, ალბათ, აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წელს თბილისის აკლებისას, ქართლ-კახეთის სამეფოს მთელ არქივთან ერთად დაიღუპა.

სამეფო ნიშნებს[1] და იღებენ ერთგულების ფიცს; ამ წესს აღასრულებს ერეკლე მეფეც (მუხლი 3);

4) ერეკლემ (შემდეგ მისმა მემკვიდრეებმაც) უცხო ქვეყნებთან მიმოწერა რუსეთის მინისტრთან (წარმომადგენელთან) და „კავკასიის ხაზის“ სარდალთან უნდა შეათანხმოს (მუხლი 4);

5) ერეკლე II-ს რუსეთის სამეფო კარზე ეყოლება თავისი მინისტრი, ან რეზიდენტი, რომელიც მეფის საჭიროებაზე მოახსენებს რუსეთის მთავრობას, იგი უფლებებით გათანაბრებული იქნება სხვა მფლობელ მთავართა მინისტრებთან, ხოლო რუსეთის მთავრობას ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ეყოლება თავისი მინისტრი (წარმომადგენელი) (მუხლი 5);

6) რუსეთის იმპერატორი, რომლის უზენაესობა აღიარა ქართლ-კახეთმა და მიიღო ეს უფლებები, თავისი და მემკვიდრეების სახელით აღუთქვამს მას, ქართლ-კახეთს: ა) ქართული სამეფოს მოსახლეობას თვლის იმპერიასთან მჭიდრო კავშირში მყოფად, ამიტომ დაიცავს მას გარეშე მტრებისაგან და მათ მტრებს თავის მტრად ჩათვლის, ხოლო თურქეთთან, სპარსეთთან და სხვა ქვეყნებთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებები მათზეც ვრცელდება; ბ) ერეკლესა და მის შთამომავლებს „დაიცავს უცვალებელად სამეფოთა ზედა ქართლისა და კახეთისათა“; გ) ქვეყნის საშინაო საქმეები — მმართველობა, სასამართლო და მსჯავრი, გადასახადების აკრეფა, ქართლ-კახეთის მეფის სრული ნება და სარგებელიც მისია; რუსეთის მთავრობა აუკრძალავს თავის სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებს ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში ჩარევას (მუხლი 6);

7) ერეკლე, რუსეთის იმპერატორის ალთქმის პასუხად, თავისი და მემკვიდრეობის სახელით ვალდებულებას კისრულობს: ა) ყოველთვის მზად იყოს თავისი ჯარით რუსეთის იმპერატორის სამსახურზე; ბ) რუსეთის მოხელე დიდკაცებთან მუდმივი მიმოწერა ჰქონდეს და ასრულებდეს მათ მოთხოვნას და დაიცვას რუსეთის ქვეშევრდომები შევიწროებისა და შეურაცხყოფისაგან; გ) თანამდებობაზე პირთა დანიშვნის, თუ მათი დაწინაურებისას, გაითვალისწინებს რუსეთის იმპერიის წინაშე მათ დამსახურებასაც (მუხლი 7);

8) ქართლ-კახეთის კათალიკოსი უწმინდესი სინოდის წევრი ხდება და იგი რუსეთის ეპისკოპოსებს შორის იკავებს მერვე ადგილს

---

[1] როდესაც ერეკლეს მემკვიდრეები სამეფო ტახტზე ავლენ, აცნობებენ რუსეთის მთავრობას, ხოლო იმპერატორისაგან მიიღებენ წერილობით დამტკიცებას და სამეფო ნიშნებს: დროშას რუსეთის გერბით (მათ ჰქონდათ საკუთარი სამეფო გერბიც), ხმალს, კვერთხს და ყარყუმის მანტიას (წამოსასხამს).

(ტობოლსკის ეპისკოპოსის შემდეგ); თუმცა ქართლ-კახეთის საეკლესიო მართვისა და სინოდთან ურთიერთობის თაობაზე ცალკე შეთანხმება უნდა მოხდეს (მუხლი 8);

9) ქართველი თავადაზნაურობა უფლებებით უთანაბრდება რუსეთისას, სათანადო პატივი რომ მიაგონ რუსეთში ჩასვლისას, ერეკლესაგან ითხოვენ სიას (მუხლი 9);

10) ქართლ-კახეთის მცხოვრებთ უფლება აქვთ გადასახლდნენ რუსეთში და სურვილისამებრ დაბრუნდნენ სამშობლოში, ხოლო ქართველ ტყვეებს, რომლებიც გამოხსნილნი იქნებიან სპარსეთის ან თურქეთის ტყვეობიდან, სურვილისამებრ უფლება ეძლევათ დაბრუნდნენ სამშობლოში, ოღონდ გამოსასყიდი და გზის ხარჯები უნდა დაფარონ, ასეთივე წესი ვრცელდება საქართველოს მეზობელთაგან ტყვეობიდან გამოხსნილ რუსებზეც (მუხლი 10);

11) ქართლ-კახეთის ვაჭრებს უფლება ეძლევათ ივაჭრონ რუსეთში და იქ ისარგებლონ იმავე უფლებებით, რომლებითაც რუსეთის ვაჭრები სარგებლობენ, ხოლო რუს ვაჭრებს ეძლევათ ისეთივე უფლება საქართველოში, აგრეთვე საქართველოს გზით მეზობელ ქვეყნებში სავაჭროდ გამგზავრებისა (მუხლი 11);

12) ხელშეკრულება იდება საუკუნოდ (სამუდამოდ — „на вечные времена"), მაგრამ თუ საჭირო აღმოჩნდება რომელიმე მუხლის შეცვლა, ან დამატება მხარეთა სასარგებლოდ, საჭიროა, ორივე მხარის თანხმობა (მუხლი 12);

13) ტრაქტატის რატიფიკაციისა და გაცვლის ვადად წესდება 6 თვე, თუ შესაძლებელი იქნება, ადრეც (მუხლი 13).[1]

ტრაქტატის პირველ დოკუმენტს (ძირითად მუხლებს), რომელიც დაიდო გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს, ხელს აწერენ: გენერალი პავლე პოტიომკინი, თავადი იოანე ბაგრატიონი და თავადი გარსევან ჭავჭავაძე, დასმული აქვს მათი ბეჭდები.[2]

დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით გაფორმდა 4 სეპარატული (ცალკე) მუხლი (არტიკული), რომელთა შინაარსი ასეთია:

1) ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, ერეკლეს ევალება მეგობრულ ურთიერთობაში დარჩეს სოლომონ იმერთა მეფესთან, ხოლო უთანხმოების ჩამოვარდნის შემთხვევაში, უნდა დაემორჩილოს რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას (მუხლი 1);

---

1 АВПР. ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3-5. (იხილე რუსული ტექსტი იქვ. ფურცლები 9-12).

2 იქვე.

2) ქართლ-კახეთის დასაცავად რუსეთმა საქართველოში უნდა გამოგზავნოს თავისი ჯარის 2 ბატალიონი 4 ზარბაზნით (მუხლი 2);

3) რუსეთის „მესაზღვრე უფროსი“ (კავკასიის ხაზის სარდალი) უფლებამოსილია იმპერატორისაგან, ომის შემთხვევაში შეუთანხმდეს ერეკლეს და ისეთი ზომები მიიღოს ქართლ-კახეთის დასაცავად და მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ, როგორიც საჭიროა საერთო მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ; ხოლო თუ ქართლ-კახეთის ჯარი იმპერატორის სამსახურში იქნება გამოყენებული, ხარჯი რუსეთმა უნდა გაიღოს (მუხლი 3);

4) რუსეთის იმპერატორი აღუთქვამს ერეკლე მეფეს, რომ ომის დროს ეცდება იარაღით, ხოლო დაზავებისას მოლაპარაკების გზით დაუბრუნოს ქართლ-კახეთს მტრისაგან მიტაცებული მიწები, რომელიც ადგილობრივი (ქართლ-კახეთის) მეფის გამგებლობაში დარჩება (მუხლი 4).[1]

სეპარატული მუხლები გაფორმდა გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს, მას ხელი მოაწერეს ზემოთ ხსენებულმა წარმომადგენლებმა და დაუსვეს თავიანთი ბეჭდები.[2]

ცალკე დოკუმენტის (მესამე დოკუმენტი) სახით გაფორმდა ფიცის ნიმუში („სახე“), რომელიც ერეკლეს უნდა მიეღო ტრაქტატზე ხელმოწერის შემდეგ. იგი შეთანხმებულ იქნა გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს, ხელი მოაწერეს და ბეჭდები დაუსვეს პავლე პოტიომკინმა, იოანე ბაგრატიონმა და გარსევან ჭავჭავაძემ. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე, თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით აღუთქვამდა რუსეთის იმპერატორს, მის ძეს პავლეს და ყოველ კანონიერ მემკვიდრეს რუსეთის ტახტისას, რომ იქნება ერთგული რუსეთის იმპერატორისა და აღიარებს მის უზენაეს ხელისუფლებასა და მფარველობას, უარყოფს სხვა ხელმწიფეთა უზენაეს ხელისუფლებას და მფარველობას, რუსეთის მტერს თავის მტრად შერაცხს.[3]

დასასრულ, მეოთხე დოკუმენტი, ე. წ. „შესასრულებელი არტიკული“ ანუ დამატებითი მუხლი ეხება ქართლ-კახეთის მეფის კურთხევის წესს. აქ აღნიშნულია, რომ რაკი ქართლ-კახეთის მეფეები ძველთაგან სამეფო ტახტზე გვირგვინით იმყოფებოდნენ და მირონცხებას იღებდნენ, რუსეთის იმპერატორი ნებას რთავს ასეთივე წესით ეკურთხონ, მაგრამ, ამის გარდა, რუსეთის იმპერატორი გამოუგზავნის მას ინვესტიტურას

---

[1] АВПР. ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3-5 (შდრ: რუსული ტექსტი იქვე, ფურცლები 9-12).

[2] იქვე, ფურცელი 6.

[3] იქვე, ფურცელი 8 (იხ: რუსული ტექსტი, იქვე, ფურცელი 16).

და ჩვეულებრივ სამეფო გვირგვინს. როგორც ხელშეკრულებითაა განსაზღვრული, მეფე მიიღებს მას და ატარებს. ერეკლე თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით აღუთქვამს, რომ ამ წესს აღასრულებენ ერთგულების ფიცის მიღების შემდეგ. საინტერესოა, რომ ეს მუხლიც ხელმოწერილია ხსენებულ წარმომადგენელთა მიერ და დასმული აქვს მათი ბეჭდები, ოღონდ ხელმოწერის თარიღია 1784 წლის იანვარი და ხელმოწერის ადგილად მინიშნებულია ქ. თბილისი.[1] თუმცა, როგორც ცნობილია, პავლე პოტიომკინი 1784 წლის იანვარში თბილისში არ ყოფილა. ამასთან, საქმეში იქვე დაცულ დამატებითი მუხლის რუსულ „თარგმანს" თვე, რიცხვი და ხელმოწერის ადგილი მინიშნებული არა აქვს.[2] როგორც ირკვევა, ეს მუხლი, გეორგიევსკში იქნა შეთანხმებული, მაგრამ წარმომადგენლებმა ხელმოწერისაგან თავი შეიკავეს, სანამ მათი სუვერენები არ გადაწყვეტდნენ საკითხს. ჯერ ეკატერინემ დაამტკიცა იგი და პოლკოვნიკმა ტამარამ 1783 წლის დეკემბერში ჩამოუტანა პავლე პოტიომკინს, რომელმაც რუსული დედანი შეადგინა, ხელი მოაწერა და საქართველოში გამოგზავნა, თან პოლკოვნიკ ტამარას დაავალა, რომ ეთხოვა ერეკლე მეფისათვის „чтоб он приказал сей артикул бывшим полномочным подписать и такой же написать (იგულისხმება ქართულ ენაზე, გ. მ.) за их печатми и подписью ко мне доставить".[3] ასე რომ, ქართული ტექსტი, რუსული ტექსტის ადეკვატური (რომელიც საქართველოში დარჩა), დაიწერა თბილისში 1784 წლის 24 იანვარს და საქართველოს წარმომადგენლებმა (ი. ბაგრატიონმა და გ. ჭავჭავაძემ), ერეკლეს მიერ სარატიფიკაციო სიგელის ხელმოწერის დღეს, მოაწერეს ხელი (ასევე რუსულ ეგზემპლარშიც, რომელიც საქართველოში დარჩა). 25 იანვარს ყოფილმა ქართველმა ელჩებმა და პოლკოვნიკმა ტამარამ ტექსტები გაცვალეს[4] (ქართული პოლკოვნიკმა ტამარამ ჩაიბარა, ხოლო რუსული — ი. ბაგრატიონმა და გ. ჭავჭავაძემ), ხოლო პავლე პოტიომკინს, ტამარას თბილისიდან დაბრუნების შემდეგ მოუწერია ხელი (თარიღი ძველი, თბილისში ხელმოწერის დრო დაუტოვებია). ამიტომაა, რომ დამატებითი მუხლის ქართული ტექსტი გაფორმებითაც და ხელითაც განსხვავდება ტრაქტატის დედნის დანარჩენი დოკუმენტებისაგან, იგი იმავე ხელითაა ნაწერი, რომლითაც ქართული სარატიფიკაციო სიგელი.[5]

---

1 АВПР. ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л. 7.
2 იქვე. ფურცელი 15.
3 ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, л. 344; там же, ч. II, лл. 29-30.
4 იქვე. ფურცელი 344.
5 АВПР. ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3-8; შდრ.: ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, საქმე №2973-ა, №2073-ბ.

1783 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ელჩები საქართველოში დაბრუნდნენ, რასაც სიხარულით შეხვდნენ. პოლკოვნიკი ს. ბურნაშოვი თავად გრ. პოტიომკინს სწერდა: ერეკლე ტარქტატით ძალზე კმაყოფილია, დიდებულები მასში საკუთარ სარგებლობას ხედავენ, ხალხი ადიდებს მარჯვენას, რომელიც მას ლეკებისაგან დაიცავსო.[1] 1783 წლის 20 აგვისტოს ერეკლემ ტრაქტატზე ხელმოწერის აღსანიშნავად საზეიმო ცერემონიალი დანიშნა. ზეიმზე პოლკოვნიკი ს. ბურნაშოვი მიიწვია. 9 საათზე ხალხი სიონის ტაძართან შეიკრიბა, ხოლო 11 საათზე მეფე უფლისწულებითა და დიდებულებით მოვიდა. წირვა გადაიხადეს. შემდეგ მეფემ წვეულება გამართა, სალუტი მისცეს, ხოლო საღამოს მეფის სასახლე და მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. მხიარული ხალხი მთელი ღამე ქუჩაში დადიოდა.[2] ზეიმზე გაიოზ არქიმანდრიტმა წარმოთქვა სიტყვა, რომლის ტექსტი რუსეთში გაგზავნეს.[3]

1783 წლის აგვისტოში ტრაქტატის დედანი პეტერბურგში ჩაიტანეს. იგი მოიწონეს და განკარგულება გასცეს მისი დაბეჭდვის თაობაზე. ტრაქტატის ძირითადი ტექსტი — 13 მუხლი მალე სტამბური წესით დაიბეჭდა რუსულად „ქვეყანაში გასაცხადებლად“, რუსეთის საელჩოებსაც გაუგზავნეს უცხოეთში.[4] 1783 წლის 21 სექტემბერს ეკატერინე II-მ მოახდინა ტრაქტატის, ანუ როგორც იგი წერდა, „მეგობრობის ხელშეკრულების“ რატიფიკაცია და საქართველოში გამოგზავნეს“.[5]

1783 წლის ოქტომბერში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი, როგორც ეს ტრაქტატით იყო განსაზღვრული, საქართველოში შემოვიდა. 3 ნოემბერს ისინი თბილისის გარეთ ვაკე მინდორზე, ქალაქიდან 3 ვერსზე (ალბათ, საბურთალოზე, დღევანდელი სპორტის სასახლის ახლოს) პოლკოვნიკმა ბურნაშოვმა საპარადოდ მოაწყო და ერეკლეს წარუდგინა, ხოლო 4 ნოემბერს ბურნაშოვმა ერეკლეს წარუდგინა რუსის ჯარის ობერ და შტაბ ოფიცრები.[6]

1783 წლის დეკემბერში პოლკოვნიკი ტამარა პეტერბურგიდან გეორგიევსკში ჩავიდა, საიდანაც 26 დეკემბერს გენერალმა პავლე პოტიომკინ-

---

1 ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч I, лл. 251-252.

2 იქვე. ფურცლები 253-254.

3 იქვე. ფურცლები 256-259.

4 ერთი ეგზემპლარი ინახება რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში (იხ: АВПР. ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 80-82).

ეკატერინეს მიერ რატიფიცირებული რუსული ტექსტი დაკარგულად უნდა ჩაითვალოს ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო, მაგრამ შენახულია მისი „შავი “ პირი (იხ: АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 71-79)

ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч I, лл. 284-290.

მა იგი ტრაქტატის რატიფიცირებული რუსული ტექსტით, სამეფო ნიშნებითა და საჩუქრებით თბილისისაკენ გამოისტუმრა.[1]

1784 წლის 17 იანვარს პოლკოვნიკი ტამარა თბილისში ჩამოვიდა და 22 იანვარს ერეკლეს წარუდგა. 24 იანვარს ერეკლემ ტრაქტატის რატიფიკაცია მოახდინა (სარატიფიკაციო სიგელს ხელი მოაწერა), 25 იანვარს რუსი მოხელეების (ბურნაშოვისა და ტამარას) თანდასწრებით რუსეთის ერთგულების ფიცი მიიღო, რის შემდეგ ვახტანგ ბატონიშვილმა და პოლკოვნიკმა ტამარამ სარატიფიკაციო სიგელები გაცვალეს,[2] ხოლო ი. ბაგრატიონმა და გ. ჭავჭავაძემ, როგორც ზემოთ ითქვა, დამატებითი მუხლი გაუცვალეს პოლკოვნიკ ტამარას.[3]

გეორგიევსკის ტრაქტატი ძალაში შევიდა.

საქართველოში ადრე გამოგზავნილი პოლკოვნიკი ბურნაშოვი, რომელმაც 1783 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარის 2 ბატალიონიც ჩაიბარა, 1784 წლის 25 იანვრიდან ოფიციალურად შეუდგა საქართველოში რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის (რეზიდენტის, მინისტრის) ფუნქციის შესრულებას, ხოლო 1784 წლის 29 იანვარს ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლად (რეზიდენტად, მინისტრად) რუსეთის სამეფო კარზე თავადი გარსევან ჭავჭავაძე დანიშნა.[4]

---

[1] ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч I, ფურცლები 343-349.

[2] ქართული სარატიფიკაციო სიგელი რუსეთის მხარეს გაეგზავნა. მაგრამ 1922 წელს იგი საქართველოს დაუბრუნდა (იურიდიულად იგი რუსეთის მხარის საკუთრება იყო) სხვა უნიკალურ მასალებთან ერთად და ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (იხ.: ფონდი II, საქმე №2073-ა და საქმე №2073-ბ).

[3] ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч I, лл. 284-290.

[4] ამ ბოლო დროს სამეცნიერო ლიტერატურაში გეორგიევსკის ტრაქტატის გვერდით აყენებენ და „ხელშეკრულებას" უწოდებენ ქართველი მეფეების „ფიცის წიგნებს" და რუსი ხელმწიფეების XVI-XVII საუკუნეების „წყალობის სიგელებს". საქმე იქამდე მივიდა, რომ პეტრე პირველსა და ვახტანგ VI-ს შორის დადებული „ხელშეკრულებაც" გაჩნდა. ამ მოსაზრების ავტორები აკად. ნ. ბერძენიშვილის ავტორიტეტს ემყარებიან. აკად. ნ. ბერძენიშვილი, ჯერ კიდევ 1944 წელს დაბეჭდილ ნაშრომში, 1587 და 1589 წლის აქტებს „ხელშეკრულებას" უწოდებს (შდრ.: ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, გვ. 23). თუმცა ნ. ბერძენიშვილი, იმავე ნაშრომში, ხსენებული ცალმხრივი დოკუმენტების აღსანიშნავად სხვა ტერმინებსაც ხმარობს: „ფიცის წიგნი", „წყალობის სიგელი", ორივეს ერთად „მფარველობა ხელდებულების აქტს" უწოდებს.

ამ თვალსაზრისმა ფეხი მოიკიდა იურიდიულ ლიტერატურაში — ლ. ალექსიძე ლაპარაკობს რუსეთ-საქართველოს რამდენიმე „ხელშეკრულებაზე" 1783 (იხ.: Л. Алексидзе, Взаимоотношения Грузии с Россией в XVI-XVIII вв. (Международно-правовое исследование), თსუ შრომები, ტ. 94, გვ. 3-91; მისივე, რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულების საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობა, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", №4, 1981, გვ. 3-14). ცნობილი იურისტი ი. სურგულაძე ამ თვალსაზრისს არ იზიარებდა.

ამ ცალმხრივ აქტებს 1587 და 1589 წლებისა „ხელშეკრულებას" უწოდებდა ვ. გუჩუა (იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 145-146); გ. პაიჭაძეც ამასვე იმეორებს, აგრეთვე ლაპარაკობს პეტრე პირველსა და ვახტანგ მეექვსეს შორის დადე-

გეორგიევსკის ტრაქტატი პირველი ორმხრივი ხელშეკრულება იყო რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში, რომლითაც რუსეთი პირველად აცხადებდა საჯაროდ დიდი მაჰმადიანური იმპერიების — ოსმალეთისა და სპარსეთის — გასაგონად, რომ იგი ამიერიდან დაიცავდა ქრისტიანულ საქართველოს, ხოლო ქართლ-კახეთიც ასევე პირველად აცხადებდა საჯაროდ, რომ იგი სამუდამოდ ემიჯნებოდა მაჰმადიანურ სამყაროს და მხოლოდ რუსეთის მფარველობას ცნობდა.)

გეორგიევსკის ტრაქტატი, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, ორი სამყაროს, ფეოდალური ეპოქის ორი უმთავრესი იდეოლოგიის დაპირისპირებაც იყო, მაგრამ იგი საკუთრივ თურქეთისა და ირანის ტერიტორიის ხელყოფას არ გულისხმობდა, არც ამ ქვეყნების რელიგიისა და სახელმწიფოებრივი წყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული, იგი არც ე. წ. „საბერძნეთის პროექტის", თურქების „წაქცევის" გეგმის ნაწილი ყოფილა, იგი მხოლოდ ოსმალეთის იმპერიისა და შაჰის ირანის მტაცებლურ გეგმებს უდებდა ზღვარს კავკასიის რეგიონში.

გეორგიევსკის ტრაქტატით, ამ ორმხრივი სამოკავშირეო მფარველობითი ხელშეკრულებით, ქართლ-კახეთის სამეფო ნებაყოფლობით სამუდამოდ შევიდა რუსეთის მფარველობაში. გეორგიევსკის ტრაქტატით ორ ქვეყანას შორის გაფორმდა სამ-

---

ბულ „ხელშეკრულებაზე" (იხ.: გ. პაიჭაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა. თბ., 1890, გვ. 15, 17-19). თუმცა სხვა ნაშრომში გ. პაიჭაძე წერს: „პეტრე I-სა და ვახტანგ VI-ს შორის დაიდო ხელშეკრულება... მაგრამ იურიდიულად ეს შეთანხმება არსად არ იყო გაფორმებულიო..." (გ. პაიჭაძე. ვახტანგ მეექვსე. თბ., 1981, გვ. 111). ნ. ასათიანი 1587 წლის „ფიცის წიგნს" უწოდებს „ხელშეკრულებას", ხოლო 1589 წლის „წყალობის სიგელს" — „ხელშეკრულების რატიფიკაციას" (იხ. ჟურნ. „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა და გეოგრაფია სკოლაში, 1981, №1, გვ. 65).

ჩვენ არ ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს, რომელიც, ჩვენი აზრით, შედეგია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არასაფუძვლიანი შესწავლისა. ჯერ ერთი, ავტორები ვერ ითვალისწინებენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფორმასა და შინაარსს შორის სხვაობას (რუსეთ-საქართველოს ურთიერთობამ XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან XVIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე არაერთხელ მიიღო სამხედრო პოლიტიკური კავშირის ხასიათი, მაგრამ საგარეო ვითარების წყალობით მათ ვერ მიიღეს შესაბამისი იურიდიული გაფორმება — მის გახმაურებასაც კი ერიდებოდნენ). მეორე, ავტორები არ ითვალისწინებენ რუსეთის დიპლომატიის ისტორიას: რუსეთში ჯერ კიდევ X საუკუნეში იცოდნენ, თუ როგორ ფორმდება საერთაშორისო ხელშეკრულება (იხ.: ხელშეკრულებები ბერძნებთან X ს.), იმასაც ივიწყებენ, რომ 1471 წლის ხელშეკრულებას დამარცხებულ ნოვგოროდთან ორივე მხარე აწერდა ხელს (ივანე III და ნოვგოროდის პოსადნიკი).

ცალმხრივ აქტებს არ შეიძლება „ხელშეკრულება" ვუწოდოთ. გეორგიევსკის ტრაქტატი იყო პირველი საერთაშორისო ორმხრივი ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის, რომლის დადება შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ვითარების შეცვლით.

ხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომლითაც ქართლ-კახეთის მეფე ქვეყნის საშინაო მმართველობაში სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, ხოლო საგარეო პოლიტიკის საკითხები უნდა შეეთანხმებინა მფარველ-მოკავშირესთან — რუსეთთან, რომელმაც იკისრა ქართლ-კახეთის დაცვა საგარეო მტრებისაგან. მართალია, ეს იყო ქართლ-კახეთის მეფის მიერ თავისი სუვერენიტეტის ნაწილზე უარის თქმა, მაგრამ ერეკლე II-მ ეს ნაბიჯი გადადგა აღმოსავლეთ საქართველოს უშიშროების და მისი ისტორიულ საზღვრებში აღდგენისათვის, რაზედაც მეორე მხარისაგან ოფიციალური ხელშეკრულებით დაპირება მიიღო.

გეორგიევსკის ტრაქტატის მნიშვნელობა დიდი იყო, როგორც რუსეთის, ასევე კავკასიის ხალხებისათვის. ჯერ ერთი, ტრაქტატზე ხელმოწერისთანავე ჩრდილოეთ კავკასიაში შეიქმნა რამდენიმე გამაგრებული პუნქტი, რათა საქართველოსთან უზრუნველეყოთ უშიშარი კომუნიკაციები. ამით ოსეთის ნაწილი განთავისუფლდა ყაბარდოელი მთავრების ბატონობისაგან და რეალურად აღმოჩნდა რუსეთის მფარველობაში, ოსებს გზა გაეხსნათ მოზდოკისაკენ. მეორე, ოსეთში ფეხის მოკიდებით რუსეთმა გათიშა ყაბარდოელი მთავრები ჩეჩენ-დაღესტნელებისაგან, რაც გზას უხსნიდა რუსეთს ხსენებულ რაიონებში დამკვიდრებისაკენ. მესამე, გეორგიევსკის ტრაქტატი ახალი ეტაპის დასაწყისი იყო ამიერკავკასიის ხალხებისათვის. ტრაქტატზე ხელმოწერისთანავე იმერეთის სამეფომ ხელახლა დასვა საკითხი რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე, გეორგიევსკის ტრაქტატის ანალოგიური პირობებით, ხოლო სომხებმა ბრძოლა გააჩაღეს რუსეთის მფარველობაში შესვლისათვის. ზოგიერთი აზერბაიჯანელი ხანიც მზად იყო შესულიყო რუსეთის მფარველობაში.

ერეკლე II ფართო გეგმებს სახავდა, მაგრამ მტრებსაც არ ეძინათ.

ოსმალეთის იმპერია, რომელსაც გვერდით ამოუდგნენ ევროპის ქვეყნები, მალე აშკარად გამოვიდა. თურქეთის აგენტურამ მოახერხა კავკასიელი მფლობელების ამოქმედება და ლეკების საქმეში აქტიური ჩაბმა, ჩრდილო კავკასიაში გაჩაღდა მთიელთა მოძრაობა, რომელმაც საფრთხე შეუქმნა რუსეთის სამხრეთ საზღვარზე (კავკასიის ხაზზე) მდებარე ციხექალაქებს. კავკასიაში შეიქმნა რთული ვითარება. ერეკლე II ტრაქტატის ერთგული დარჩა და ბრძოლას აგრძელებდა.[1] ხოლო იმერეთის დიპლო-

---

[1] ქართველმა დიპლომატებმა ისიც კი სცადეს, რომ თურქეთისათვის დაეპირისპირებინათ მისივე ქვეშევრდომები აზიასა და აფრიკაში და დაეკავშირებინათ ისინი რუსეთთან (იხ.: В. Мачарадзе, Грузинские документы по истории русско-грузинско-египетско-эфиопских отношений 80-х гг. XVIII века, Тб., 1967.

მატები თანამდევრულად იბრძოდნენ გეორგიევსკის ტრაქტატის ანალოგიური ხელშეკრულების დასადებად.[1]

## 4. ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობის გამწვავება ირანთან გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ

1779 წელს გარდაიცვალა ქერიმ ხან ზენდი. ირანში დაიწყო დაუნდობელი ბრძოლა ტახტის პრეტენდენტებს შორის. ამ ბრძოლას თითქმის მთელი ზენდების საგვარეულო შეეწირა. გადარჩა მხოლოდ ლუთფალი-ხანი. ზენდების დინასტიის ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე გახდა ყაჯართა დინასტიის წარმომადგენელი აღა-მაჰმად-ხანი. ამ უკანასკნელის მამა ქერიმ ხანთან ბრძოლას შეეწირა, ხოლო თვით აღა-მაჰმად-ხანი ქერიმმა დაასაჭურისებინა და მძევლად ჰყავდა შირაზში. ქერიმ-ხანის გარდაცვალებისთანავე მაჰმად ხანი მშობლიურ მაზანდარანში, აბედრაბადში გაიქცა, სათავეში ჩაუდგა თავის საგვარეულოს და დაიწყო ბრძოლა ტახტისათვის.[2] იგი ნიჭიერი პოლიტიკოსი და ორგანიზატორი გამოდგა. თავდაპირველად, როდესაც ირანში ტახტისათვის ბევრი პრეტენდენტი აგრძელებდა ბრძოლას, აღა-მაჰმად-ხანმა სცადა თავის მხარეზე გადაეყვანა ერეკლე მეფე. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ა. ბუტკოვი: „В сие время был в Персии грузинский князь Захар Цицианов для свидания с своими родственниками. Ага-Магомет-Хан, приказав представить его к себе в Персии, поручил ему уверить царя Иракля в своей дружбе, в желании быть с ним в союзе и поручить ему в полновластное управление вес Азербайджан, но просил царя чтоб он походатайствовал ему благоволение и милость российской императрицы. Сие было летом 1786 года".[3] როგორც ვხედავთ, აღა-მაჰმად-ხანი ერეკლეს მეგობრობას და კავშირს სთავაზობდა, სამაგიეროდ მთელ აზერბაიჯანს ჰპირდებოდა. ამავე დროს, როგორც ნიჭიერი დიპლომატი, ერეკლეს მეშვეობით აპირებდა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას. რუსეთის მთავრობა, რომელსაც უდიდესი სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები გააჩნდა ირანში, ყურადღებით ადევნებდა თვალს იქ მიმდინარე პროცესებს. პირველ ხანებში რუსეთი, როგორც ჩანს, მართლაც გარკვეულ დახმარებას

1 იხ.: ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე. თბილისი. 1968.

2 Н.В. Пигулевская и др. История Ирана с древнейших времен до конца XVIII века. Л., 1958, გვ. 327.

3 П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, ч. II, СПб., 1869, გვ. 301.

უწევდა აღა-მაჰმად-ხანს.[1] მაგრამ, რადგანაც ბრძოლის ბედი ჯერ საბოლოოდ არ იყო გარკვეული, რუსეთი ორმაგ თამაშს ეწეოდა, არც ირანის ტახტისათვის მებრძოლ სხვა პეტენდენტებს აკლებდა ყურადღებას, კერძოდ მფარველობასა და დახმარებას უწევდა გილანის მმართველსაც.[2]

1791 წლისათვის აღა-მაჰმად-ხანი თითქმის მთელ აზერბაიჯანში გაბატონდა. მან ერეკლეს მიმართ ტონი შეიცვალა. თუ ადრე მეგობრობასა და კავშირს სთავაზობდა, ახლა იგი ერეკლესაგან სრულ მორჩილებასა და რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას მოითხოვდა. მოსალოდნელი საფრთხის გამო ერეკლე ხშირად მიმართავდა რუსეთის მთავრობას დახმარების აღმოჩენის შესახებ.[3] აღა-მაჰმად-ხანმა სრული მორჩილება მოსთხოვა აგრეთვე ერევნისა და ყარაბაღის ხანებს, მაგრამ: „Что касается до ханов карабакского Ибраим-Хана и ереванского Гуссеин-Хана оба они на подобныя требования Ага-Магомет-Хана не преклонились и Ереванский под тем предлогом, что состоит в полной зависимости от грузинского царя Ираклия“.[4] აღა-მაჰმად-ხანმა დააპირა იარაღის ძალით დაემორჩილებინა ყარაბაღისა და ერევნის სახანოები, მაგრამ მის წინააღმდეგ შეთქმულება ეწყობოდა და იგი იძულებული გახდა, თეირანში დაბრუნებულიყო.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას ერეკლე უკვე ელოდა. იმავე წელს მან თხოვნით მიმართა რუსეთს ტრაქტატის პირობებით გათვალისწინებული ჯარის ნაწილების გამოგზავნის შესახებ.[5] უცნაური იყო პასუხი: „ Императрица Екатерина дала ему знать в рескрипте генералу Гудовичу от 8 мая 1792, что ныне отправлять в Грузию воиска за благо не приемлется, предоставляя впред таковое воиск наших там пребывание, дондеже не откроются удобнеишие к тому случаи и обстоятельства более благоприятныя, о чем прежде помышлять не должно“.[6] ამ პასუხის შესახებ ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „ისე გამოდიოდა, რომ ხელშეკრულებას მხოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა, როდესაც ამას რუსეთი საჭიროდ დაინახავდა და არა მაშინ, როცა საქართველოს უჭირდა“.[7]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. V, თბ., 1953, გვ. 82.
[2] იქვე.
[3] А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. V, выш. II, 1902, გვ. 78.
[4] П. Г. Бутков, Материалы, ч. II, გვ. 320.
[5] იქვე, გვ. 334.
[6] იქვე.
[7] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83

ალა-მაჰმად-ხანის მხრივ საფრთხის ზრდასთან ერთად ერეკლემ გააქტიურა დიპლომატიური მოღვაწეობა. 1794 წელს მან ხელმეორედ გაგზავნა რუსეთის საიმპერატორო კარზე გარსევან ჭავჭავაძე.[1] გ. ჭავჭავაძე 1794 წლის 21 მაისს ეკატერინე II-ს შეხვდა და ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების შესრულება მოსთხოვა. გ. ჭავჭავაძე შეხვდა იმპერიის უმაღლესი რანგის მოხელეებსაც, მაგ. კანცლერ ბეზბოროდკოს, ვიცე-კანცლერ ოსტერმანს და სხვებს. ბევრს ეცადა, შეესრულებინა ერეკლეს დავალება, მაგრამ ამაოდ. უფრო მეტიც, მას გარკვეული პასუხიც არ გასცეს. ალა-მაჰმად-ხანს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი აზერბაიჯანის სახანოების დამორჩილება და საქართველოზე კვლავ გაბატონება. ჯერ კიდევ 1795 წლის დასაწყისში მან თურქეთის სულთანს აცნობა, რომ აპირებდა საქართველოს დამორჩილებას და სთხოვდა, ამ საქმეში არ ჩარეულიყო.[2] 1795 წლის მაისში ალა-მაჰმად-ხანმა ჯარების შეგროვება დაიწყო. ერეკლე მეფე არ კარგავდა რუსეთის დახმარების იმედს; „ეს მით უფრო გასაოცარი იყო, რომ ერეკლე მეფემ ეკატერინე მეორეს ჯერ კიდევ 1792 და 1794 წელს თავისი ელჩის გარსევან ჭავჭავაძის პირით სთხოვა, ჯარი გამოეგზავნა მისთვის, მაგრამ ორივეჯერ უარი მიიღო".[3] სამართლიანად შენიშნავს გ. ქიქოძე. მაისში ერეკლემ წერილით მიმართა კავკასიის ხაზის მთავარსარდალს გენერალ გუდოვიჩს, აცნობა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და 3000 ჯარისკაცის გამოგზავნა მოსთხოვა.[4] გუდოვიჩმა, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეეძლო ამ გადაწყვეტილების მიღება, 7 მაისს თავის მთავრობას აცნობა ერეკლეს წერილის შესახებ, ხოლო 2 აგვისტოს განმეორებით შეატყობინა მთავრობას ერეკლეს თხოვნის შესახებ.[5] მაგრამ დედაქალაქიდან პასუხი არ მოდიოდა. ერეკლე იმაზეც კი წავიდა, რომ ივნისში რუსეთის მთავრობას ნებართვა სთხოვა, პირადად შეხვედროდა სოფ. ჩიმში ან მოზდოკში გენერალ გუდოვიჩს.[6] ივლისში გ. ჭავჭავაძემ კატეგორიულად მოითხოვა პასუხი, აპირებდა თუ არა რუსეთი საქართველოსათვის დახმარების აღმოჩენას.[7] რუსეთის მთავრობამ არც ამ კატეგორიულ მოთხოვნას გასცა პასუხი.

---

1 П. Г. Бутков, Материалы..., გვ. 335. გარსევან ჭავჭავაძის ელჩობის შესახებ დაწვრილებით იხ. ზ. ცქიტიშვილი, გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1982.

2 П. Г. Бутков, Материалы..., გვ. 329.

3 გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბ., 1958, გვ. 187.

П. Г. Бутков, Материалы..., გვ. 335.

იქვე.

А. Цагарели, Грамоты, т. II, вып. II, გვ. 91.

იქვე. გვ. 272.

1795 წლის 4 აგვისტოს ირანელებმა არაქსი გადმოლახეს. ჯარის ძირითადმა ნაწილმა, რომელსაც თვით აღა-მაჰმად-ხანი სარდლობდა, შუშის ციხეს შემოარტყა ალყა. აქ აღა-მაჰმად-ხანი თითქმის მთელ თვეს იდგა. აქედან მან ერეკლე მეფეს ელჩები გაუგზავნა: „предложил царю Ираклию быть под его покровительством, и угрожая впадением в Грузию, требовал от царя, чтоб покорился ему и обязался клятвою платить ту дань, какую платили цари грузинские прежним шахам. Ираклий оставил сие без ответа".[1]

შუშასთან მდგომი აღა-მაჰმად-ხანი არ ჩქარობდა საქართველოში შეჭრას. მას აფიქრებდა რუსეთის მოსალოდნელი რეაქცია, რათა გაერკვია, აპირებდა თუ არა გუდოვიჩი საქართველოში ჯარების გამოგზავნას, აღა-მაჰმად-ხანმა ეშმაკურ ხერხს მიმართა — რუსეთში ელჩები გაგზავნა. როდესაც ელჩები გუდოვიჩთან გამოცხადდნენ, გამოირკვა, რომ მათ არ გააჩნდათ რწმუნების სიგელები, არ აღმოაჩნდათ არც წერილები რუსეთის იმპერატორთან და არც გუდოვიჩთან.[2] ამიტომ გუდოვიჩმა მათ განუცხადა: რომ ვერ ჩათვლის ელჩებად და ვერ გაატარებს სამეფო კარისაკენ.[3] მაგრამ ეს არც შედიოდა აღა-მაჰმად-ხანის ანგარიშში. ეს „ელჩები" ფაქტობრივად მზვერავები იყვნენ და მათი ამოცანა იყო, გაეგოთ, აპირებდა თუ არა გუდოვიჩი ერეკლესათვის სამხედრო დახმარების გაწევას. სწორედ ამიტომ გაუშვა „ელჩები" შაჰმა რწმუნების სიგელების გარეშე. შეუძლებელია გუდოვიჩი ვერ მიმხვდარიყო შაჰის ნამდვილ განზრახვას. მაგრამ იმის მაგივრად, რომ ეს ცრუ ელჩები დაეპატიმრებინა, ან თავისი ჯარის მოჩვენებითი მოძრაობა დაეწყო, მან ისინი ძალიან კარგად მიიღო, განუცხადა, რომ ღებულობს მათ როგორც კერძო პირებს და უფლებას აძლევს, თუ სურთ დარჩნენ, თუ სურთ, უკან გაბრუნდნენ.[4] ასე რომ, გუდოვიჩმა ყველაფერი გააკეთა, ცხადია, საკუთარი მთავრობის მითითებით, რათა შაჰის აგენტები დარწმუნებულიყვნენ, რომ ერეკლე ვერ მიიღებდა სამხედრო დახმარებას.

უკან გაბრუნებული ელჩები გუდოვიჩმა გააფრთხილა, რომ აღა-მაჰმად-ხანი არ დასხმოდა ერეკლეს სამფლობელოს, რადგან ამას რუსეთი თავის შეუარცხყოფად ჩათვლიდა.[5] ამ დიპლომატიურ დემარშს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. აღა-მაჰმად-ხანი დარწმუნდა, რომ რუსეთი ერეკლეს სამხედრო დახმარებას არ გაუწევდა. და ეს იყო იმჟამად მისთვის მთავარი.

---

1 П. Г. Бутков, Материалы..., გვ. 337.
2 იქვე, გვ. 330.
იქვე.
იქვე.
იქვე

მაინც რატომ არ გაუწია რუსეთმა საქართველოს ტრაქტატით გათვალისწინებული დახმარება? ამის შესახებ ზ. ცქიტიშვილი წერს: „როგორც ჩანს, რუსეთის საიმპერატორო კარზე ფიქრობდნენ, რომ სპარსეთი რუსეთის შიშით ვერ გაბედავდა საქართველოზე თავდასხმას".[1] ეს, რასაკვირველია, არ არის სწორი. აღა-მაჰმად-ხანი რომ ნამდვილად აპირებდა საქართველოში შეჭრას, არავისთვის არ წარმოადგენდა საიდუმლოს. მით უმეტეს, ამის შესახებ თვით აღა-მაჰმად-ხანი აცხადებდა საჯაროდ. საქმე ის იყო, რომ რუსეთი საქართველოს დასაპყრობად კარგა ხანს ემზადებოდა. საქართველოს დაპყრობის იდეა 1799-1800 წლებში არ გაჩენილა. პირველი ასეთი ცდა იყო 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს. მეტად საეჭვოა, რომ 1770 წელს ტოტლებენი თვითნებურად მოქმედებდა. ერთხელ სიკვდილმისჯილი გენერალი ამას ვერ გაბედავდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ტოტლებენის მოქმედება რუსეთის მთავრობას არ დაუგმია, ხოლო ტოტლებენის შემცვლელ სუხოტინს ფაქტობრივად ნება მისცეს, გაეგრძელებინა ქართველების დაფიცება რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე.[2] [როგორც ჩანს, საქართველოს დაპყრობის იდეა საბოლოოდ მომწიფდა XVIII ს-ის ბოლოს. რუსეთის მთავრობას კარგად ესმოდა, რომ აღა-მაჰმად-ხანს არ ჰქონდა იმდენი ძალა, ქართლ-კახეთი მტკიცედ დაეპყრო, მაგრამ თუ ქართლ-კახეთი კიდევ ერთხელ განადგურდებოდა, რუსეთი სულ იოლად შეძლებდა საბოლოოდ დაუძლურებული სამეფოს დაპყრობას. ასე რომ, ქართლ-კახეთი შეგნებულად გასწირა და ფაქტობრივად თავისი მოქმედებით თუ უმოქმედობით წააქეზა აღა-მაჰმად-ხანი საქართველოზე თავდასასხმელად.)

არ იქნება სწორი, თუ კრწანისის ტრაგედიას მხოლოდ რუსეთის ვერაგულ პოლიტიკას დავაბრალებთ. რაც უფრო შედიოდა ხანში ერეკლე მეფე, მით უფრო სუსტდებოდა მისი ხელისუფლება. სამეფო-გამგეობის საქმეებში სულ უფრო აქტიურად ერეოდა დარეჯან დედოფალი. როგორც ჩანს, სწორია ბუტკოვი, როდესაც წერს: „царица Дария, которая начав входить в дела, как мы виделись 1780 года, с 1792 г. почти самовластно Грузиею управляла".[3] დარეჯან დედოფლის ზეგავლენით თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში ერეკლემ რამდენიმე საბედისწერო შეცდომა დაუშვა. მივმართოთ ფაქტებს:

1789 წელს ერეკლესთან გამოცახდდნენ იმერეთის საერო და სასულიერო ფეოდალები და მეფეს შესთავაზეს, შეეერთებინა იმერეთი. მე-

---

[1] ზ. ცქიტიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. თბ., 1982. გვ. 123.

[2] გ. პაიჭაძე, ქ. ჩხატარაიშვილი, იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973. გვ. 656

[3] П. Г Бутков, Материалы..., გვ. 336.

„ამ აღნიშნული საკითხის განსახილველად მოიწვია დარბაზის სხდომა. დარბაზის წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ერთიანობის იდეას. მიუხედავად ამისა, ერეკლემ უარი განაცხადა. მან განუცხადა დარბაზის წევრებს, რომ იმერეთში გაამეფებდა შვილიშვილს დავით არჩილის ძეს. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი დარეჯან დედოფალმა შეასრულა. „ქუთათელი და გენათელი, აბაშიძე და სხვანი დესპანნი მიუთხრობდეს დედოფალსა იმერეთისა მდგომარეობასა და სრულიად დაღუპვას, უკეთუ არ მოხდება ერთობა ქართველთა თანა. დედოფალი ბრძანებდა უარსა და იტყოდა ვერ გამოწირვასა იმერეთისა გვირგვინისა შვილისშვილის ხელიდან".[1] როგორც ვხედავთ, დარეჯან დედოფალს ერჩია, იმერეთის ტახტზე თავისი ქალიშვილის ელენეს ვაჟი დამჯდარიყო, ოღონდ გაერთიანებული სამეფო არ რგებოდა მის გერს, ტახტის მემკვიდრეს გიორგის. ზოგიერთი მკვლევარი ერეკლეს უარს გაერთიანებაზე თურქეთის შიშით ხსნის: „განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლე მეფეს, ერთგვარი პოლიტიკური ზომიერების კარნახით, არ უნდოდა იმერეთის სამეფოს შემოერთებით მისი ფორმალური პროტექტორი — თურქეთის იმპერია გადაეკიდებინა".[2] ასეთივე აზრია გატარებული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში: მეფეს სხვათა შორის ერთი მძიმე საბუთიც ჰქონდა: ერეკლე რუსეთის ხელდებული იყო, იმერეთი კი ოსმალეთს თავისად მიაჩნდა. ამიტომ ამერეთ-იმერეთის გაერთიანებას ოსმალეთი არ მოითმენდა".[3] ეს შეხედულება არ უნდა იყოს სწორი. თურქეთი 1787 წლიდან რუსეთთან ომში იყო ჩაბმული, მარცხს მარცხზე განიცდიდა და იმერეთისათვის, ცხადია, არ ეცალა. გარდა ამისა, როგორც სამართლიანად შენიშნავს მ. დუმბაძე, დარბაზის სხდომაზე არც ერთ მხარეს, გაერთიანების მომხრეებსა თუ მოწინააღმდეგეებს ოსმალეთის საკითხი არ უხსენებიათ.[4] ასე რომ, ამ პროგრესული საქმის ჩაშლის მთელი პასუხისმგებლობა დარეჯან დედოფალსა და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ერეკლე მეორეს მიუძღვით.

მალე დარეჯან დედოფალმა და მისმა პარტიამ ერეკლეს ორი კანონი მიაღებინეს. პირველი ეხებოდა ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლას. ტახტი ერეკლეს შემდეგ გიორგის ხელში გადადიოდა, შემდეგ კი არა ამ უკანასკნელის ვაჟის, არამედ მომდევნო ძმის ხელში. ამ კანონით დარეჯანს სურდა, მეფობა რგებოდათ მის შვილებს: იულონს, ვახტანგს,

---

1 პლატონ იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბ., 1978. გვ. 17.

2 გ. ქიქოძე. ერეკლე II. თბ., 1958. გვ. 177.

ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1943. გვ. 370.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1973. გვ. 728.

მირიანს და ა. შ. თუ რა შედეგი მოჰყვა ამ კანონს, კარგად წერს პლატონ იოსელიანი: „დასუსტდა ჰაზრი და მნიშვნელობა პირმშოობისა, ეცინოდნენ მემკვიდრეობასა; არა პატივსცემდნენ პირველობასა და თვითეული წევრი სამეფოისა სახლისა გონებდა თავსა თვისსა მეფობისათვის განმზადებულად. სჯული არღა სჯულებდა სამეფოში, სადაცა უფლებდნენ მეფის-ძენი და კარისკაცნი მათნი“[1]

კიდევ უფრო დამღუპველი გამოდგა მეორე ღონისძიება — მეფემ ბატონიშვილებს ცალ-ცალკე გამოუყო საუფლისწულოები. ყოველი უფლისწული თავის სამფლობელოში დამოუკიდებელ ხელმწიფედ მიიჩნევდა თავს. ასე რომ, ერთიანი ქართლ-კახეთის სამეფო ფაქტობრივად ცალკეულ საფეოდალოებად დაიშალა. შექმნილი ვითარების დახასიათებისას პ. ბუტკოვი სამართლიანად შენიშნავს: „Внутренная несогласия в Грузии в сие время разительно оказались. Царевичи, имея в руках знатнейшую часть царства, по пагубному разделу онаго на уделы, учиненному главнейше 6 марта 1794 г., по влиянию царицы Дарии, в предосуждение князей, не мыслили о повиновении к благу общему, Всякий усиливал свою партию и соделался в особенности как бы самовластным, или вовлекал царство в гибельную разстройку, и разделенная таким образом власть в толь малом царстве представляла вид безначалия“.[2] უფლისწულთა მოქმედების შესახებ კრწანისის ბრძოლის წინ, ბუტკოვი წერს: „Тифлисцы надеялись, что каждый из царевичей из своего удела по 10 т. воинов; однако надежда сия не исполнилась, и они как и царевич Георгий, совсем не слушали царя и отца“.[3]

აღა-მაჰმად-ხანი შესანიშნავად იყო ინფორმირებული უფლისწულებს შორის არსებული განხეთქილების შესახებ და „старался поселить в Тифлисе вражду между церевичами, и без того уже несогласными, предлогая тайно пособие свое тому из них, который яснее докажет право свое быть наследником царства, по чему, Ага-Магомет-Хан, увидевши справедливую сторону, принудить и царя подтвердить формально право настоящего наследника“.[4] როგორც კრწანისის ბრძოლამ ცხადყო, აღა-მაჰმად-ხანმა ამ მხრივ გარკვეულ წარმატებას მიაღწია. თუ ბუტკოვს დავუჯერებთ, საქმე იქამდე მივიდა, რომ დარეჯან დედოფალი მშვიდად შესცქეროდა აღა-მაჰმად-ხანის მოახლოებას, რადგან იმედოვნებდა, რომ შაჰი გიორგის წაართ-

---

პლატონ იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

2 П. Г. Бутков, Материалы.., გვ. 336.

იქვე. გვ. 337.

იქვე.

მეფდა ტახტის მემკვიდრეობის უფლებას და მემკვიდრედ მის საყვარელ შვილს იულონს დანიშნავდა. ასეთ ვითარებაში საქართველო განწირული იყო. კრწანისის ტრაგედია ქვეყანაში შექმნილი ვითარების ლოგიკური ფინალი იყო. ერეკლე მეორეს შეეძლო კრწანისის ტრაგედიის თავიდან აცილება. ამისათვის ორი გზა არსებობდა. ერეკლე მეორეს დროებით უნდა შეეცვალა ტაქტიკა და მოეგვარებინა ურთიერთობა ირანთან – მიეღო აღა-მაჰმად-ხანის წინადადება, ან შესაფერისად მომზადებული-ყო მტრის დასახვედრად. ერეკლემ არც ერთი გააკეთა და არც მეორე. პ. ბუტკოვი პირდაპირ მიუთითებს: „царь Ираклий, взывая непрестанно о помощи к генералу Гудовичу, и надеясь на одна только рассийская войска, не принимал собственная свои меры к обороне".[1] ამას თვითონ ერეკლე მეორეც ადასტურებს. 1795 წლის 15 სექტემბერს ერეკლემ წერილი გაუგზავნა ბატონიშვილ მირიანს და გარსევან ჭავჭავაძეს. წერილში აღნიშნულია: „ я всегда полагаясь на торжественный трактат и всемилостивейшее обещания... не приняд нужного приготовления".[2]

როგორც ვხედავთ, ერეკლე II თვით ბოლო წუთამდე რუსეთზე ამყარებდა მთელ თავის იმედებს. ერეკლე ვერ მიხვდა, რომ რუსეთის მთელი პოლიტიკა და მოქმედება საქართველოს მიმართ მხოლოდ რუსული პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი.[3] რუსეთის მთავრობას უნდოდა, რომ ქართველები უსულო იარაღივით გამოეყენებინა თავისი პოლიტიკური მიზნებისა და ზრახვების მისაღწევად.[4] ერეკლეს ეს ბრმა რწმენა რუსეთზე ერთმორწმუნეობაზე იყო დამყარებული. ერეკლეს ღრმად სწამდა, რომ ქრისტიანული რუსეთი არ გასწირავდა ქრისტიანულ საქართველოს. ერეკლემ ბოლომდე ვერ გაიგო, რომ რელიგიური მომენტი პოლიტიკაში არ თამაშობდა გადამწყვეტ როლს. საკმარისი იქნებოდა, ერეკლეს გადაეხედა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის და თვალნათლივ დაინახავდა, რომ რუსეთი არასოდეს ასრულებდა დაპირებებს საქართველოს მიმართ. საკმარისია გავიხსენოთ თეიმურაზ I და ვახტანგ VI. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, აღა-მაჰმად-ხანის 35000-იან არმიას ერეკლემ მხოლოდ 5000 მეომარი დაუპირისპირა.[5] კრწანისის კატასტროფა გარდუვალი იყო. კრწანისის შორს

---

1 П. Г. Бутков, Материалы.., გვ. 395.

А. Цагарели, Грамоты, т. II, вып. II, გვ. 105.

ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. V. თბ. 1953. გვ 90.

იქვე, გვ 91.

ბუტკოვის მიხედვით გადამწყვეტი ბრძოლის წინ ერეკლეს მხოლოდ 1500 მეომარი ჰყავდა – П. Г Бутков, Материалы.., გვ. 339.

მიმავალი შედეგები მოჰყვა. კრწანისი ფაქტობრივად 1801 წლის აქტის პრელუდია იყო.

## 5. ქართულ სამეფო-სამთავროთა დიპლომატიური აქტიურობა საერთო-ქართული სახელმწიფოებრივი ერთობის მისაღწევად XVIII საუკუნის მიწურულს. სოლომონ ლიონიძე

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მთლიანობის შეგნება ქართველ ხალხში არასოდეს ჩამკვდარა და არც არასდროს გაწყვეტილა ის არტერია, რომელიც ამ ერთიანობას ასაზრდოებდა ისტორიულად. ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის ერთი კუთხის გასაშუქებლად გვსურს წარმოვაჩინოთ XVIII საუკუნის II ნახევრის, უფრო სწორად მიწურულის, ისტორიული სინამდვილე და ამავე დროს იმდროინდელ პროგრესულ მოღვაწე-მოაზროვნეთა პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც უდავოდ ესადაგება ეპოქის განვითარების ტენდენციას.

განსახილველ ეპოქაში საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლა შედარებით უკეთეს პირობებში უნდა წარმართულიყო. ერეკლეს გაძლიერება ქართლ-კახეთში და სოლომონ I-ისა დასავლეთში ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ქვეყნის ეროვნულ-ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებისათვის. ყოველივე ამას თეორიულად ამაგრებდა XVIII საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსი ვახუშტი, რომელმაც მართლაც აშკარად და სანიმუშოდ გადალახა საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის დროინდელი პროვინციალიზმი საისტორიო და პოლიტიკურ აზროვნებაში. დიდი ისტორიკოსი სპეციალურად ასაბუთებს თანამედროვეთათვის ქართველ ტომთა სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ერთობას: ,ერთ მეფობასა წარმოაჩინებს აწცა სამნი ხილულნი ესენი, იმერლები, ამერლები, სამხრეთელები... უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა, ანუ იმერსა, მესხსა და ჰერ-კახსა, „რა რჯული ხარ" წამს მოგიგებს ,ქართველი", არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი ქართული. არა სადმე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკლესია-მონასტერთა, ანუ ხატთა და ჯუართა ძვირფასთა, რომელთა ზედა იყოს სხუათა მეფეთა სახელნი თვინიერ — ,ჩუენ მეფემან საქართველოსამან, ანუ ქართლისა და აფხაზეთისამან"...[1] სხვა გასაგებ მომენტებთან ერთად აქ ხაზგასმულია ის, რომ ვახუშტი სიტყვა „რჯულს" ეროვნების შესატყვისად ხმარობს.

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 291-292.

XVIII ს-ის მეორე ნახევრისა და მომდევნო საუკუნის დასაწყისში მოღვაწე-მოაზროვნენი ქვეყნის პოლიტიკური დაშლისადმი შეურიგებლობას იმითაც გამოხატავდნენ, რომ წინ წამოსწევდნენ საქართველოს ერთიანობის დროინდელ სახელწოდებებსა და ცნებებს და მათში ახალ შინაარსს დებდნენ. იმდროინდელ საბუთებში ან ნარატიულ ძეგლებში ხშირად ვხვდებით გამოთქმას — „საქართველონი“, რითაც იმის აღნიშვნა სურდათ, რომ საქართველო რაღაც უცხო ნაწილებად კი არა, არამედ „საქართველოებად“ დაიშალა და მისი მთლიანობის აღდგენა აუცილებელი შეიქნა. ამ დროს ხშირია გამოთქმები „ზემო საქართველო“, „ზემო ივერია“, „ქვემო საქართველო“, „ქვემო ივერია“.[1]

როგორც ქართლ-კახეთის, ისე დასავლეთ საქართველოს პროგრესული მოღვაწეები ხედავდნენ, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას უკეთესი პერსპექტივები ექნებოდა; ზოგიერთი მათგანის აზრით, სწორედ ერეკლე იყო ის კანდიდატი, რომელიც სრულიად საქართველოს ხელმწიფე უნდა გამხდარიყო; გაერთიანებისაკენ მიილტვოდნენ 80-იან წლებშიც „ზემო ივერიის“ მხარე და „მეფე აფხაზთა და ყოვლისა იმერეთისა“ სოლომონი;[2] 1764 წელს გამოცემული კურთხევანის „პირველ გვერდზე დაბეჭდილია ანტონ I-ის მინაწერი, რომლის ბოლო სტრიქონში იკითხება“: „ბეჭდისა ამის მეორედ განსახლებული მეფე სრულად საქართველოისა ირაკლი“. ასეთივე ტიტულით იხსენიება იგი 1784 წ. გამოცემულ „კურთხევანშიაც“.[3]

ერთიანი ისტორიული საქართველოს აღდგენისაკენ მიისწრაფოდა თვით ერეკლე და მამამისი თეიმურაზ მეორეც. ამ მხრივ საინტერესოა ის, რომ ათანასე თბილელისა და სვიმონ მაყაშვილის რუსეთში 1752 წლის ელჩობის ერთ-ერთ მთავარ მოტივად მოჩანს ქართლ-კახეთის მეფეების მიერ ელისაბედ დედოფლისათვის გაგზავნილი წერილის სიტყვები: „ხოლო ვინაიდან აწ მყოფსა ამას ჟამსა არღარავინ არს უსჯულოთა მეფეთაგან უფალი ჩვენზედა, ესე მოეხსენოს გონებასა შენსა. აწ არს ჟამი გამოხსნისა და დღე აღდგომისა ჩვენისა“.[4] ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ფორმულა „ჟამი აღდგომისა და დღე გამოხსნისა“ ქართლ-კახეთის მასშტაბით კი არ უნდა იყოს გააზრებული, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქართლი და

---

ქრონიკები ტ. III. გვ. 328-329; შ. ხანთაძისა და გ. ჟორდანიას რედ. თბ., 1972. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროების შესახებ. შ. ბურჯანაძის რედ. I. გვ. 118. 131.

2 საქ. ცენტრალური არქივი. ფ. 1449. 158. ფურც. 6. (1779 წ.).

3 ქართული წიგნი. I. 1941. გვ. 55-56.

4 ი. ცინცაძე. ათანასე თბილელისა და სვიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში (1752-54). საისტორიო მოამბე, 6. თბ., 1952. გვ. 140.

კახეთი ამ დროს ფაქტობრივად განთავისუფლებული და გაერთიანებული იყო. სრულიად აშკარაა, რომ თუ „აღდგომასა“ და „გამოხსნას“ გაერთიანებად და განთავისუფლებად გავიგებთ, მაშინ აქ საუბარია არა ქართლ-კახეთზე, არამედ მთელ საქართველოზე. ასე რომ, თეიმურაზი და ერეკლე საქართველოს „უსჯულოთაგან“ განთავისუფლებისა და გაერთიანების საკითხს სვამდნენ და საბოლოო ანგარიშით მთლიანი საქართველოს პერსპექტიულ და მაგისტრალურ ამოცანას აყენებდნენ. ჯერ კიდევ 1769 წლის 4 ოქტომბრის წერილში, რომელიც გრაფი პანინისადმი იყო გაგზავნილი, ერეკლე გამოხატავდა მისწრაფებას, ოსმალთა ბატონობისაგან გამოეხსნა ყველა ქრისტიანი, მათ შორის „ოსმალთა მიერ დაპყრობილი შავი ზღვის პირას ჩვენს მიწაზე მდებარე მცხოვრებნი. ერეკლეს დაუოკებელი მისწრაფება — ქრისტიანული რუსეთის დახმარებით მომხდარიყო ისტორიული სამხრეთ საქართველოს განთავისუფლება და შემოერთება, ნათლად ჩანს მისი ერთი მოხსენებიდან: „კვალად ვედრებით მოგახსენებთ, რათა ამავე გაზაფხულზე არ უტეონ დაპყრობილად ქვეყანა ახალციხისა, ვინაიდან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქვს, მრავალნი ქრისტიანნი არიან იმაში... სამცხე-საათაბაგო წინათ ჩვენი იყო, ისე რომ თურქთს არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა“.[1]

ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი გაერთიანებისათვის იდეური და პრაქტიკული (საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური) პირობები უდავოდ შეინიშნებოდა XVIII ს-ის 80-90-იანი წლების მიჯნაზე. ამ პერიოდში კარს მომდგარ საფრთხეს დასავლეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო სამთავროთა დიპლომატიურ-პოლიტიკური კავშირი, ან გაერთიანების საკითხი რეალურად დაუყენებია. თითქოს უკეთესი მომავალი უნდა ჰქონოდა ამ დიდ საქმეს. თანაც, მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა (1783 წ.) ქვეყნის თავდასაცავად ზრუნვა ერთი წუთითაც არ შეჩერებულა. მოწინავე წრეებში მწიფდებოდა აზრი ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენის შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს გაერთიანების იდეა არასოდეს არ დასამარებულა, მოწინავე წრეებში იგი მუდამ ცოცხლობდა, მაგრამ მისი განხორციელება ყოველთვის გადაულახავ დაბრკოლებებს აწყდებოდა.

მას შემდეგ, რაც იმერეთის მეფე სოლომონ პირველი უშვილოდ გარდაიცვალა (1782 წ) და ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო ორ პრეტენდენტს: დავით გიორგის ძესა და დავით არჩილის ძეს შორის და გამარჯვება დავით გიორგის ძეს დარჩა, შინაბრძოლები თავადთა დასებს შო-

---

1 А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы относящиеся к Грузии, т. II, ч. I, 1894, გვ. 224, 84.

რის არ ცხრებოდა. დავით არჩილის ძეს ერეკლე II-ც უჭერდა მხარს, როგორც ღვიძლ შვილიშვილს. დავით არჩილის ძე ჯერ მცირეწლოვანი იყო. ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს 1790 წელს თბილისის სასახლეში გამართულ ორდღიან დარბაზობას აღნიშნულ საკითხზე და ზედმეტად არ მიგვაჩნია მისი ცნობების შედარებით დაწვრილებითი ანალიზი, იმის გასათვალისწინებლად, თუ რა გამოსავალს გეგმავდნენ მაშინდელი ქართველი დიპლომატები და პროგრესული ქართველი არისტოკრატია ქვეყნის გაერთიანებისა და პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლისათვის. პლ. იოსელიანის მონაცემებით, რომელიც სხვა წყაროებიდანაც დასტურდება, იმერეთის მოწინავე არისტოკრატია (რომლის შემადგენლობაში იყვნენ: სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე, ფიცისკაცნი ლორთქიფანიძენი, იოსელიანი, ავალიანი, ექვთიმე გენათელი და დოსითეოზ ქუთათელი) 1790 წელს გამოცხადდა თბილისში ერეკლე მეორის სასახლეში და დაჟინებით ითხოვდნენ იმერეთის სამეფოსა და დანარჩენ სამთავროთა შეერთებას ქართლ-კახეთთან და ამ გზით საქართველოს გაერთიანებას.[1]

იმერელი დესპანების წინადადება ასეთი იყო ერეკლეს მიმართ: „რადგანაც არ გვსურს მეფე დავით (იგულისხმება დავით გიორგის ძე, ბიძაშვილი სოლომონ I-ისა, გ. ი.) მიმტაცებელი ტახტისა, ინებე და შეიერთე თვისდა სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთმთავრობისა დროთა. ყოვლად სამეფო იმერეთისა მოელის სიქადულით და მხიარულებით საქმისა ამის დასასრულისა. თვით მთავართა გურიისა და ოდიშისას სურთ და სწყურიათ ესე და უხარით ბატონობა თქვენი".[2] დესპანთა შემოთავაზებული მართლაც ღირსეული წინადადებისა და ალტერნატივის გასარჩევად ერეკლემ სამეფო დარბაზის მოწვევა ბრძანა. დანიშნულ დღეს სასახლეში თათბირზე მოწვეულ იქნენ ქართლ-კახეთის მდივან-ბეგნი, სარდალნი, თავადნი და პატრიარქ-მღვდელმთავარნი. პირველად სიტყვა ჰაბუა ორბელიანს აუღია: „მეფე სდუმდა და ბრძენი ჰაბუა ასმენდა ქუხილისა სიტყვებითა დიდსა საქვეყნოსა სარგებლობასა იგი მიმართავდა მეფესა... ნუ ჰყოვნი მეფეო, მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის, იმერთა ერი ითხოვს ერთობასა და კავშირს".

პლ. იოსელიანის მიხედვით, ჰაბუა ორბელიანს თითქოს წინასწარ გათვალისწინებული ჰქონდა, თუ რატომ შეიძლებოდა მეფეს გასჭირვებოდა საკითხის დადებითად გადაწყვეტა (მისი აზრით, ერეკლეს უმძიმდა

1 პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედ. თბ., 1936, გვ. 15-17.
2 იქვე, გვ. 15.

თავისი შვილიშვილისათვის, დავით არჩილის ძისათვის იმერეთის სამეფო ტახტის წართმევა). ამიტომ მას პირდაპირ განუცხადებია მეფისათვის: „ვიცი და მესმის აზრი თქვენი მეფეო: ვითარ მიუღო მეფობა შვილიშვილისა ჩემისა? ესრეთი აზრი უეჭველად არის უბედურებითი იმერთათვის, დამღუპავი ქვეყნისა". ეპოქალური და საქვეყნო საქმის დიდ სარგებლიანობაზე და მნიშვნელობაზე ჰაბუა ორბელიანი ურყევი არგუმენტებით უმტკიცებდა და ამავე დროს შეახსენებდა მეფეს, რომ სხვისი სამფლობელოს მისაკუთრებაში ერეკლეს საკმაოდ დიდი პრაქტიკა ჰქონდა და როცა საჭირო იყო, ერთხელაც უკან არ დაუხევია. წყარო ამგვარი არგუმენტებით გადმოგვცემს ჰ. ორბელიანის სიტყვებს: „ვითარ მოელო მეფობა ქართლისა მეფეთა და რა დაკარგა საქართველომან დაკავრებითა ქართლისა და კახეთისა? ვითარ მოეღო მეამბოხეთა არაგვისა ერისთავთა? ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობას, ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება". აღნიშნულ სიტყვებს კომენტარი აღარ სჭირდება, როგორც ცნობილია, ერეკლეს მართლაც უკან არ დაუხევია აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების დროს, ქართლი რუსეთში გადახვეწილ ვახტანგ VI-ის შთამომავალთ წაართვა, ხოლო ქსნისა და არაგვის საერისთავოები აქაურ ერისთავებს. აქედან გამოდის ჰ. ორბელიანი, როცა მეფეს უწონებს ასეთ აქტებს, და, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ყოველივე ეს ქართლ-კახეთის სამეფოს გასაძლიერებლად გადადგმულ ნაბიჯებად მიაჩნია და ამ ისტორიული მაგალითებით სურს, მეფეს იმერეთისა და დასავლეთ საქართველოს შემოერთების გადაწყვეტილება გაუადვილოს.

ამგვარი პოლიტიკური შეგონებით გამოსულა მეფისა და დარბაზის წინაშე ქაიხოსრო წერეთელი, მით უმეტეს, როცა ჰაბუა ორბელიანის არგუმენტაციის შემდეგაც მეფე მდუმარე დაუნახავს: „ამით არა დაშავდება რა. სცადეთ, რა შეუდგება, მიიღეთ გვირგვინი ჩვენიცა, განძლიერდით ჩვენით და განგვაძლიერეთ თქვენით", თუმცა ერეკლეს არც იმერეთის წარმომადგენლის სიტყვის შემდეგ არ გაუცია პასუხი დასმულ საკითხზე.

თათბირზე საწინააღმდეგო პოლიტიკური ხაზიც განვითარდა, საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგ გამოვიდა სარდალი იოანე მუხრან-ბატონი (ერეკლეს სიძე). მისი ყურით მოთრეული, უმწეო და უბადრუკი არგუმენტაცია შემდეგი იყო: „დაკავშირება იმერეთისა დიახაც რომ ძნელია, ჩვენ ქართველთა ჩვენთვის ვერ მოგვივლია, ვითარ მოვუაროთ იმერეთსა? რათ ვექმნეთ პატრონად ქვეყანასა, რომელსაც ჰყავს საკუთარი პატრონი შვილიშვილი მეფისა ერეკლესი". პირდაპირ საცოდავი ვითარება იქმნება, როცა გონებადაბინდული თავადი მუხრანბატონი საკუთარი ტყავიდან ვერ ძვრება, იმერელი და ქართლელი

სხვადასხვა ჰგონია და არავითარი წარმოდგენა არ აქვს ზოგად ქართულ ინტერესებზე. განა შეიძლება მისი შედარება, ან თუნდაც მოხსენიება იმდროინდელ ქართველ მოღვაწეებთან ერთად და მათ გვერდით? ამიტომ იყო, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მთავარსარდალი დავით ორბელიანი საშინლად აღელვებულა და იქვე გესლით აღსავსე სიტყვებით მიუმართავს იოანე მუხრან-ბატონისათვის: „მართლად აღიარებს მუხრან-ბატონი, რომ ვერ მოუვლის იგი დღეს ქვეყანასა თავისის ხმლითა და იარაღითა. მოვა დრო და მოსცემს ღმერთი სხვასა მუხრანის ბატონსა, რომლის ხმალი უფრო მჭრელი იქნება“. როგორც ვხედავთ, გაერთიანების წინააღმდეგ თათბირზე უმცირესობა გამოდიოდა. თვით დავით ორბელიანის გამოსვლას დარბაზობაზე დიდი შეხლა-შემოხლა გამოუწვევია, ისე, რომ თათბირის გაგრძელება შეუძლებელი გამხდარა, მეფეს მდუმარედ დაუტოვებია სხდომა და დესპანთა შეკრებაც ამით დაშლილა.

სასახლეში მიმდინარე თათბირს ერეკლეს მეუღლე დარეჯან დედოფალი არ ესწრებოდა. მაგრამ თათბირის შემდეგ მას ყველაფერი მოხსენდა. თვით დარეჯანი ურჩ ფეოდალთა მფარველი და დიდი გავლენის მქონე იყო სამეფო კარზე. მან საქვეყნო-საზოგადოებრივ პოლიტიკას მკვეთრად დაუპირისპირა ფეოდალური საოჯახო ინტერესები. თანაც დედოფალი მტრულად უყურებდა თავის გერს, ერეკლეს უშუალო მემკვიდრეს და პირველ შვილს გიორგის, რომელსაც ერეკლეს შემდეგ კანონით ეკუთვნოდა გამეფება, და მისადმი ცივად განწყობილი დედინაცვლის პატივმოყვარეობა ანგარიშს არ გაუწევდა. ამიტომ დედოფალი ამჯობინებდა, რომ იმერეთის მეფედ თავისი ასულის ელენეს შვილი დავით არჩილის ძე ეხილა.[1] რასაკვირველია, იგი საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგ გამოვიდოდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ დედოფალმა დაუფარავი საყვედურებით აავსო ჭაბუა ორბელიანი და სხვები, რომლებიც გულმხურვალედ უჭერდნენ მხარს ქვეყნის გაერთიანებას, თუმცა ჭ. ორბელიანი არც დედოფალთან იხევდა უკან და ურყევად იცავდა თავის აზრს: „არა ბატონო დედოფალო, ვერ შევიქმნები ორგული მეფისა და ქვეყნისა. ჰაზრი ჩემი დაშთება უცვალებლად და უკეთუ არ აღსრულდება შთავიტან თან საფლავსა შინა. ვარ შვილი ქვეყნისა და ერთგული მეფისა“...[2] დედოფალი კი როგორც იმერელ დესპანთ, ისე ადგილობრივ დარბაზის წევრთ არაორაზროვნად უპასუხებდა: „დედო-

---

[1] გ. ქიქინაძე, საქართველოს გაერთიანების აზრი XVIII საუკუნეში, „მწყემსი“, 1903, №6, გვ. 10.

[2] იქვე, გვ. 16-17.

ფალი ბრძანებდა უარსა და იტყოდა ვერ შამოწირვასა იმერეთისა გვირგვინისა შვილიშვილისა ხელთაგან" — აღნიშნავს პ. იოსელიანი.

სამი დღის შემდეგ იმავე პრობლემებზე, იმავე პერსონალური შემადგენლობით სასახლეში კვლავ შემდგარა თათბირი და ბჭობა. გაერთიანების სასარგებლოდ ყველას დამატებითი არგუმენტები წამოუყენებია და თვით საქართველოს პატრიარქიც (ანტონ II) ამ იდეას მტკიცედ უჭერდა მხარს. სიტყვით გამოსულა ერეკლეს მემკვიდრე გიორგიც: „შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა, თუ გნებავთ უძლეველობა ქვეყნისა ჩვენისა მტერთაგან უნდა იქნას ერთობა... სამეფო ისრაელთა დაეცა მაშინ, როდესაც განსქდა ორად მეფობა სოლომონისა; დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად და სამად"... სიტყვანი ესენი — დასძენს პლ. იოსელიანი — მოიწონეს შეკრებულთა მსაჯულთა".[1] ჰაბუა ორბელიანს ისევ სიტყვა აუღია და მეფისათვის იმერეთის დესპანთა თხოვნის კატეგორიული დასტური მოუთხოვია. საინტერესო ის არის, რომ მეფეს ყოველგვარი განმარტებისა და ვრცელსიტყვაობის გარეშე (თუნდაც რაიმე საგარეო თუ საშინაო კონკრეტულ არგუმენტთა მოშველიებით) განუცხადებია: „თხოვასა ამას ვერ მივიღებთ, მტერი მადგას კარსა, ვერ გავიხდი ახალსა მტერსა; რომლითაც უნდა იყოს შვილიშვილი ჩემი იმერთა ტახტისათვის განმზადებული. დესპანო! წარვედით და იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსამ იმერეთისა ტახტზედ შვილიშვილსა ჩემს და ესრეთის კავშირითა თავით თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანაო".[2] ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დავით არჩილის ძე ქართლ-კახეთის სამეფოს დამხმარე ჯარით 1790 წელს გამეფებულა იმერეთში სოლომონ მეორის სახელწოდებით.

ცხადია, რომ ზოგადეროვნული, პატრიოტული და ისტორიული თვალსაზრისით ზემოთ განხილული ისტორიული ფაქტი ადამიანში უარყოფით ემოციებს იწვევს. და ეს სავსებით სწორიცაა. ამიტომ არ მეჩვენება ისტორიულ ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისი სწორად, რომელიც ამართლებს ერეკლეს პოზიციას იმით, რომ თითქოს „ამერეთ-იმერეთის გაერთიანებას ოსმალეთი არ მოითმენდა", რომ ოსმალეთს „დასავლეთი საქართველო თავისად მიაჩნდა".[3] ჯერ ერთი, ისტორიული ფაქტებით დასტურდება, რომ ამგვარი განცხადებების საწი-

---

გ. ქიქინაძე. საქართველოს გაერთიანების აზრი XVIII საუკუნეში, „მწყემსი", 1903, №6, გვ. 17-18.

პლ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

იხ. საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედ. 1946, გვ. 411; იასე ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი 1963; გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე. 1941, გვ. 129

ნააღმდეგოდ არაერთი არგუმენტი შეიძლება იქნეს მოშველიებული.[1] და მეორეც, ჩვენ მიერ განხილული დარბაზის სხდომაზე არც ერთ მხარეს, საქართველოს გაერთიანების მომხრეებს თუ მოწინააღმდეგეებს, ოსმალეთის საფრთხე არ უხსენებიათ.[2]

ფაქტია, რომ მუდმივმოქმედმა საგარეო ფაქტორმა, განუწყვეტელმა საშინაო და საგარეო ომებმა ქვეყანა ისე შეაწუხეს, რომ მოწინავე და მოაზროვნე ფეოდალურმა არისტოკრატიამ ძლიერი ხელისუფლების ხელქვეით ყოფნა ამჯობინა, ასეთად კი იმ დროს სხვებთან შედარებით ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება გამოიყურებოდა, რომელსაც გაერთიანებული საქართველო იმდენ ძალას შეჰმატებდა, რომ იგი გარე და შინაური მტრის პასუხის გამცემად მიაჩნდათ. ფაქტია, რომ როგორი უარყოფითი პოზიციიდანაც არ უნდა შევხედოთ ამ საკითხს ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი თვალსაზრისით, ფეოდალიზმის ეპოქაში სიმართლე იმდროინდელ პროგრე[illegible]ულ ქართველთა მხარეზე იყო. ეს შემდგომმა ისტორიულმა სინამდვილემ დაადასტურა. არ იქნება ზედმეტი, თუ იმავე პ. იოსელიანის კომენტარს მოვიშველიებთ. მისი აზრით, „ოდეს მეფემან ირაკლი მეორემან დაკარგა ერთმეფობისა იმერთა ერისა თხოვნა, -დაკარგაცა ძალი კავშირისა“.[3] პატრიოტული და ეროვნულ-ფსიქოლოგიური კუთხით აფასებს ზემოხსენებულ ისტორიულ მოვლენას იაკობ გოგებაშვილი. საინტერესოა მისი ცრემლნარევი ტონი: „სახელმწიფო კრება ერეკლეს სასახლეში, ცხარე ბაასი და ხანგრძლივი სჯა მთელის საქართველოს შეერთებაზე ისეთი შესანიშნავი ფაქტია ჩვენს ისტორიაში, ისე ცხადად გვიხატავს ერთის მხრივ ჩვენი ერის განვითარებას და სახელმწიფოს ჰკუას და მეორეს მხრივ სამეფო სახლის ეგოიზმს, წვრილმანობას, რომ საჭიროდ ვრაცხთ დაწვრილებით მოვახსენოთ ეს ამბავი მკითხველსა“...[4] და გადმოცემს ი. გოგებაშვილი ზუსტად მასვე, რაზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. გეგონება, დაამთავრაო მსჯელობა ამ საკითხზე, დიდი პედაგოგი განაგრძობს: „ქვის გული უნდა ჰქონდეს საქართველოს შვილს, რომ ეს ისტორიული მოვლენა, სავსე მაღალი ტრაგიკული მნიშვნელობითა გაიცნოს ისე, რომ დარდითა და ნაღვლით არ აივსოს“. იგი იმოწმებს არაერთ ფაქტსა და ისტორიულ ეპიზოდს საქართველოსა და სხვა ქვეყნების ისტორიიდან ერის ერთია-

---

[1] ამაზე თავის დროზე მიუთითა პროფ. მ. დუმბაძემ. იხ. მისი „თეზისები“ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლის ისტორიიდან. „მეცნიერება“, 1968.

[2] თუ საჭირო გახდა, დამატებითი არგუმენტებით გავაძლიერებთ საქართველოს გაერთიანების მომხრეთა ისტორიულ სამართლიანობას ეპოქის ისტორიული და ფაქტობრივი მასალის მოშველიებით.

[3] პლ. იოსელიანი. დასახ. ნაშრომი. გვ. 27.

[4] იაკობ გოგებაშვილი. რანი ვიყავით გუშინ. თბ., 1990. გვ. 176-185.

ნობის სასარგებლოდ და ასე ამთავრებს:[1] „დასასრულ ჩვენი წერილის სიმართლის შესამოწმებლად მოვიყვანოთ ერთ სომხის მწერლის სიტყვები, რომელსაც ვერავინ ვერ შესწამებს მიდგომით მსჯელობას ქართველების მიმართ; გენერალი ქიშმიშოვი თავის ნადირ-შაჰის ისტორიაში ამბობს: „წარსულის საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო იყო ძლიერი სახელმწიფო და მას ემორჩილებოდნენ და ხარჯს აძლევდნენ განჯის, ყარაბაღისა და ერევნის ხანები. თუ შეერთებული ქართლ-კახეთი ამოდენა ძალას იჩენდა, ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ძლიერების პატრონი შეიქმნებოდა საქართველო, როდესაც ერთი სკიპტრის ქვეშ თავს მოიყრიდნენ ქართლ-კახეთთან ერთად იმერეთიც, გურიაც, რაჭაც და სამეგრელოც, თანახმად მაშინდელი დაწინაურებული ქართველების წადილისა". ი. გოგებაშვილთან ერთად ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ ამგვარ შეფასებას აძლევდნენ XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში გაერთიანების პერსპექტივებს სხვა სომეხი ისტორიკოსებიც.[2]

მაშასადამე, ამგვარად „გადაწყვიტა" გაერთიანების საკითხი საქართველოს დიპლომატიამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, იმერეთში მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ისეთი პიროვნების გამეფება, რომელიც ერეკლე მეფის მხარის დამჭერი იქნებოდა და ერთიანი საქართველოს ინტერესებისათვის იმუშავებდა. ასეთ პიროვნებად კი ერეკლე მეორის შვილიშვილი — დავით არჩილის ძე იქნა შერჩეული. მაგრამ იმდროინდელი საქართველოს მოწინავე წრეები ქვეყნის გაერთიანებაზე ფიქრსა და მოქმედებას ამით როდი ასრულებდნენ. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლდათ ჯერ ერეკლე მეფისა და შემდეგ იმერეთის ვიცე-კანცლერი და მდივანბეგი სოლომონ ლიონიძე, თავისი დროის ღრმად განათლებული და მოაზროვნე პოლიტიკოსი-დიპლომატი. საქართველოს გაერთიანების იდეების მარცხის შემდეგაც დიდ პატრიოტს ს. ლიონიძეს იმედი არ დაუკარგავს და 1790 წელსვე მისივე თაოსნობით დასავლეთ საქართველოს მფლობელებსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ფიცით განმტკიცებული ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დაიდო. ხელშეკრულების იურიდიული სუბიექტები არიან: ერეკლე II, სოლომონ II, გრიგოლ დადიანი და სვიმონ გურიელი. ხელშეკრულებას ეწოდება „ტრაქტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა აღწერილი სამეუფოსა ქალაქსა თბილისს

---

1 იაკობ გოგებაშვილი, რანი ვიყავით გუშინ, თბ., 1990, გვ. 184.

2 Лео (Аракел Вабаханян), История Армении, т. 3. Ереван, 1946, 201; А. Иоаннисян, Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, Ереван, 1947; მისივე, Иосия Емин, Ереван, 1945.

1790 წელს".[1] მის შესავალ ნაწილში ფრიად საგულისხმო განაცხადია გაკეთებული: „ვინაიდგან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთმორწმუნეობა, არიან ძენი ერთისა ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხებლობითიცა სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ, ზემოხსენებულთა ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი... აღვუსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა"... ამაზე შორს წასვლა შეუძლებელი იყო. აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ იხმარება ტერმინი „ივერია", იმიტომ, რომ კვლავაც დიდია ტერმინის „საქართველოს" პოლიტიკური მნიშვნელობა. ხელშემკვრელმა მხარეებმა იციან, რომ მათ ხალხებს ისტორიულად ერთი ტერიტორია, ენა, სარწმუნოება და სხვა ეროვნული ატრიბუტები ერთნაირი აქვთ. მაშასადამე, ფსიქიკური შეგნება დღესაც ძლიერია, მაგრამ პოლიტიკური მდგომარეობა მძიმე, უფრო დარღვეულ-დაქუცმაცებული. თუმცა კვლავაც ბატონობს შეხედულება, რომ ეს სამყარო მთლიანად ქართული სამყაროა, საქართველოა.

ეს ტრაქტატი საინტერესო დოკუმენტია იმდროინდელ ქართველ პოლიტიკოსთა და დიპლომატთა, კერძოდ კი სოლომონ ლიონიძის მოღვაწეობის გასაცნობად. აქ, ამ პოლიტიკურ ტრაქტატში, ისე როგორც სხვა დოკუმენტშიც კარგად ჩანს ზოგადად ქართველთა, კერძოდ კი სოლომონ ლიონიძის მაღალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური შეგნება. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ნ. ბერძენიშვილის ერთი საარქივო ჩანაწერი, სადაც ს. ლიონიძის პოლიტიკური კრედო შემდეგნაირადაა დახასიათებული: „ყველა საერთაშორისო, თუ საშინაო აქტი 1783 წლიდან დაწყებული, ვიდრე 1804 წლამდე ერთ წერტილში სცემს და ერთი პირის ნახელავი სჩანს: ყველა ეს მიზნად ისახავს ერთ რასმე: რუსეთის მფარველობის ქვეშ ძლიერი საქართველოს შექმნას... ესაა სოლომონ ლიონიძის პროგრამა და გასაგებია მისი პოლიტიკური სახე ბარათაშვილს რომ ყავს გაცოცხლებული".[2] ს. ლიონიძე რომ მაშინდელი პოლიტიკური აქტების შემოქმედია, ეს კნორინგისადმი მიწერილი მისი ერთი წერილიდანაც კარგად ჩანს: „პირველად საქართველოს ტრაქტატით რუსეთთან შეერთებაში (ლაპარაკია 1783 წლის მფარველობით ხელშეკრულებაზე, გ. ი.) მე ვიყავ მოქმედი და ამას გარდა, საქართველოსა და სრულიად იმერეთის შავ ზღვამდე მე გავაკეთე ტრაქტატი (ლაპარაკია 1790 წლის ივერიელთა ტრაქტატზე, გ. ი.) და საქართვე-

---

[1] А. Цагарели, Грамоты.., т. 2. вып., I, стр. 183-185; ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 501-502.

[2] აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ნ. ბერძენიშვილის ფონდი №9

ლოსა და იმერეთის მეფეთა, თავადთა და კათალიკოს მღვდელთა მთავართაგან დაიბეჭდა და ხელმოწერილ იქნა ჩემის მოქმედებით"[1]

თუ იურიდიული კუთხით შევხედავთ, საყურადღებოა, რომ 1790 წლის ხელშეკრულებაში ქართველ მეფე-მთავრებს შორის უზენაეს ხელისუფლად ქართლ-კახეთის მეფე მოჩანს, თუმცა საამისოდ არავითარი საგანგებო მუხლი ხელშეკრულებაში შეტანილი არ არის. საბუთი ოთხ ცალად არის გაფორმებული, რომლებშიც ერთი და იგივე მუხლებია ჩამოყალიბებული, მაგრამ ხელრთვა სხვადასხვა. ქართლ-კახეთის მეფე დასავლეთ საქართველოს მეფე-მფლობელებს ერთს — საერთო დოკუმენტს უბოძებს: „მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ირაკლი მეორე... გარწმუნებთ ყოვლისა საიმერეთოსა მეფესა და მთავარსა ოდიშისა და სხვათა სამთავროთა დადიანს გრიგოლს, და მთავარსა გურიისა სვიმეონს და ერთობითა, აზნაურთა და ერთა ქვემოსა ივერიისა ესრეთ"...

ამ საბუთის საპასუხოდ იმერეთის მეფე ცალკე აფორმებს ერეკლეს მისამართით ხელშეკრულებას, დადიანი ცალკე და გურიელი ცალკე. ხელშეკრულებაში ძირითადია მეოთხე და მეხუთე მუხლები. მეოთხე მუხლში აღნიშნულია: „უკეთუ აღსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი, ან მცირე მხედრობითა ჩემითა, ანუ სხვისითა ძალითა, სიტყვითა და საქმითა შეძლებისა ჩემისამებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა".[2] მეხუთე მუხლი რუსეთთან ქართველი მეფე-მთავრების დამოკიდებულებას განსაზღვრავს. აქ ერეკლე მეფის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებაში აღნიშნულია: „უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი, ვითარცა მაქვნდეს შეკრულება, ვიყო მწადნელი თქვენდაცა უბედნიერესსა შინა მდგომარეობასა მოყვანებად მფარველობითა ერთბაშად ერთისა უავღუსტესისა კარისათა".

დასავლეთი საქართველოს ხელისუფალთა მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებებში იგივე მუხლი ასე იკითხება: „უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი, ვითარცა აქვნდეს უმაღლესობასა თქვენსა შეკრულება, ვიყო თქვენთან მქონებელი, თანხმობისა უბედნიერესისა მდგომარეობისა ჩვენისათვის, მფარველობითა ერთბაშად ერთისა უავღუსტესისა კარისათა".

სოლომონ ლიონიძის აქტიური მოღვაწეობით შედგენილი ამ დოკუმენტით ქართლ-კახეთის მეფეს ენიჭებოდა უპირატესობა როგორც დანარჩენი ქართული სამეფო-სამთავროების მფარველს. მას უნდა ეშუამდგომლა რუსეთის საიმპერატორო კარზე მთელი საქართველოს სახელით. უკვე 1791 წლის 29 იანვრით დათარიღებული წერილით ერეკლე II

---

[1] Акты Кавказской Археографической Комиссии, I, გვ. 323-324.

[2] А. Цагарели, Грамоты.., II, вып., I, გვ. 183-184.

გ. პოტიომკინს სწერდა და სთხოვდა, რომ „რადგან ქართლ-კახეთი, იმერეთი, ოდიში და გურია ასე შეერთდა, დროის სიმარჯვე საჰიროდ ითხოვს, რომ დაუგვიანებლად უძველეს მხედრობით შეგვეწიოთ".[1]

ზემოხსენებული ხელშეკრულება შეიძლება საქართველოს გაერთიანების უნიკალურ დოკუმენტს არ წარმოადგენდეს, მაგრამ პროგრესული და ისტორიულად ღირებული აქაც უსათუოდ შეიმჩნევა: როგორც ვხედავთ, აქ, ჯერ ერთი, მინიშნებულია სწრაფვა შინაგანი სამხედრო დახმარებისა და ერთიანობისაკენ, და მეორეც, აღიარებულია რუსეთის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთის მეფისადმი მორჩილება რუსეთზე ორიენტირების საკითხშიც და ერეკლე მეფე, თავის მხრივ პირობას აძლევს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს, იზრუნოს მათი რუსეთის მფარველობაში მიღებაზე.

ფელდმარშალ გ. პოტიომკინთან მოსული წერილებიდან და იქ მყოფი იმერთა მეფის ელჩის ბესარიონ გაბაშვილის საქმიანობიდან ნათლად ჩანდა, რომ ქართული დიპლომატია და ს. ლიონიძე რუსეთზე კვლავაც დიდ იმედებს ამყარებდნენ.[2] ისინი, როგორც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ რუსეთის მთავრობა ოსმალეთთან სამშვიდობო მოლაპარაკების დროს შეძლებდა მეფე-მთავართა აღნიშნული თავისებური გაერთიანებისათვის მხარის დაჭერას და მისთვის ზურგის გამაგრებას, მაგრამ მათი იმედები ვერ გამართლდა.

ამჯერადაც ქართველ მეფე-მთავართა შორის ურთიერთდახმარების და გაერთიანების ხელშეკრულების დადება გაძნელდა და ვერ მოხერხდა, მასში გადამწყვეტ უარყოფით როლს საშინაო და განსაკუთრებით იმდროინდელი საგარეო პოლიტიკური ფაქტორები ასრულებდნენ (რუსეთის დიპლომატიას, რუსეთს, ისე როგორც შემდეგშიც, არც მაშინ აწყობდა ერთიანი საქართველო). სოლომონ ლიონიძე „მრავლად დაშვრა, რათა მოეყვანა ერთობასა მტკიცესა ერთნათესაობა ქართველთა ოთხასითა წლითა განმტკიცებული... გარნა სადღა იყო ძალი დამაკავშირებელი მათი?... ხმა ლიონიძისა იყო ხმა ღაღადებისა უდაბნოსა ენითა, ცემა ჰაერისა და ამაო ბგერა ბაგეთა",[3] რის გამოც თურმე დიდად წუხდა დიდი პატრიოტი და მამულიშვილი. ყოველივე ზემოთქმულს არაპირდაპირ ადასტურებს 1793 წლის რუსეთის დედოფლისადმი გაგზავნილი, ქართველ მეფე-მთავართა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი: „ადრითგანვე უმაღლესი კარი უდიდებულესისა თქვენისა ყოვლითა წერილითა და პირითა ელჩთათა ნიადაგ ვალდებულ გვყოფდა ამასზედა

---

[1] ზ. ცქიტიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი, თბ., 1982, გვ. 63.
[2] ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968, გვ. 180-187.
[3] პლ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

რათამცა შეერთებულ ვიქმნეთ ჩვენ, მეფენი ყოვლისა ივერიისანი, რომლისთვისცა საუკუნოთა ამით ტრახტატითა შეერთებულ იქმნა თანხმობა ჩვენ მეფეთა და მთავართა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა ესრეთ მტკიცედ, ვითარ ესე ცხად არს ტრახტატსა ამას შინა ერთგვარად შეერთებისა ჩვენისა".[1]

როგორც აღინიშნა, სოლომონ ლიონიძეს ამ საქმის მოგვარება გასძნელებია და ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, 1793 წელსვე ქართველი მეფე-მთავრები რუსეთის დედოფალს კვლავ შეახსენებენ: „ამიერითგან ქრისტიანებრითა ერთგულებითა ივერიისა მეფეთა და მთავართა გვსურს... მსახურება უდიდებულესობისა თქვენისა, რათა არა განყოფილ იქნას საუკუნოდ ერნი ქართლისა, იმერთა ოდიშისა და გურიისა რუსთა იმპერიისა ზედა მიწერითა, და რათა მსგავსად საქართველოისა მთელი ივერია იყოს მიწერილი იმპერიასა ზედა რუსეთისა, ტრახტატისა ამის ჩვენისაებრ მფარველობითა თქვენისა უავგუსტესისა კარისათა, და... შეერთებულნი ესე ყოვლისა ივერიისა მეფენი და მთავარნი... საერთოთა მფარველობითა განვათავისუფლოთ სულთაგან მახმადიანთა მონარხთასა".[2] მოტანილი ადგილი ვრცელ კომენტარს აღარ საჭიროებს. რუსეთმა ამჯერად არ გაუწია დახმარება საქართველოს, ერთგულ მოკავშირეს, რითაც მან ერთხელ კიდევ დაარღვია 1783 წლის ტრაქტატის პირობები. ეს კარგად გამოიყენა სპარსეთის შაჰმა აღა-მაჰმად-ხანმა, 1795 წელს თბილისი აიღო და სასტიკად ააოხრა. კვლავ დაისვა საკითხი საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის გადასინჯვაზე, შინა ოპოზიციამ 1796 წელს ერეკლეს კარზე შეთქმულება მოაწყო, რომელშიც ჩაბმული აღმოჩნდნენ სპარსოფილი ქართველებიც.[3] ამ მოვლენამ შეიწირა ნაწილობრივ ერეკლე მეფისა და სოლომონ ლიონიძის კარგი ურთიერთობა, რასაც მოჰყვა ამ უკანასკნელის სამეფო წრეებიდან ჩამოშორება და მათი გათიშვა.

ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმებისა და რუსეთის მიერ მისი დაპყრობის შემდეგ სოლომონ ლიონიძეს ოდნავადაც არ უღალატია პოლიტიკაში თავისი გენერალური ხაზისა და პოზიციისათვის. მან იცოდა, რომ რუსეთის ცარიზმის გენერალური გეგმა ამიერიდან კავკასიაში თავისი ბატონობის პლაცდარმის გაფართოება იქნებოდა და იმერეთის სამეფოც აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ბედს გაიზიარებდა. ამიტომ ამიერიდან ის (ცნობილი კონფლიქტების გამო ჯერ ბატონიშვილებთან და შემდეგ რუსეთის ხელისუფლებასთან) იმერეთის სახელმწი-

---

[1] А. Цагарели, Грамоты, II, вып, I, გვ. 112.

[2] იქვე, გვ. 112-113.

[3] საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტ. III, გვ. 369.

ფოს კარზეა და რუსთა სარდლობასთან კონფლიქტი მას 1801 წლის მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე მოუხდა.

სოლომონ ლიონიძეს კვლავ უნდოდა რუსეთის სახელმწიფოს მხარდაჭერითა და დახმარებით ამიერკავკასიაში ძველი ქართული სახელმწიფოს აღდგენა, ან იმერეთის სამეფოს შენარჩუნება მაინც, მაგრამ რუსეთისათვის ამ დიდი პატრიოტის გეგმები მიუღებელი იყო, კიდევ მეტი: რუსეთს აღარ სურდა 1783 წლის ტრაქტატის პოლიტიკური ენით საუბარი, ტრაქტატისა, რომელიც სოლომონის სტრატეგიულ პროგრამას უსათუოდ ესადაგებოდა.

1802 წლის ზაფხულში სოლომონ ლიონიძე იმერეთიდან თბილისში ჩამოვიდა და საქართველოს მმართველ კოვალენსკისთან გამოცხადდა. პ. კოვალენსკის მან გადასცა ქართველი ბატონიშვილებისა და იმერეთის მეფე სოლომონ მეორის წერილები და პირადად თავისი სურვილი რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ, მხოლოდ იმ პირობით, რომ რუსეთი „Сохранит ему почесть и наименование государя“.[1]

პ. კოვალენსკი და სხვა რუსი მოხელეები ამჯერად ს. ლიონიძესთან დაახლოებას ცდილობდნენ, რადგან კარგად იცოდნენ მისი დიდი გავლენა იმერეთის სამეფო კარზე და სოლომონ მეფეზე. მაგრამ ქართველ დიპლომატს ეს „დაახლოება“ ქვეყნის ინტერესებისათვის და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის აინტერესებდა. ამ დროს კი არც ს. ლიონიძისა და არც რუსეთის ინტერესები და მიზნები ერთმანეთს ვეღარ დაემთხვეოდნენ. 1804 წლის 4 იანვარს სოლომონ ლიონიძეს ბოლო შეხვედრა ჰქონდა ალექსანდრე პირველთან, როგორც ელჩს, მაგრამ ამ აუდიენციას შედეგი არ მოჰყოლია — იმერეთისა და მთელი დასავლეთ საქართველოს ბედი გადაწყვეტილი იყო.[2] სოლომონ მეორის „სათხოვარი პუნქტები“ ცარიზმისათვის მოულოდნელი იყო იმიტომ, რომ იმერეთის მეფე, ს. ლიონიძის პროგრამით, მთელი დასავლეთი საქართველოს ბატონ-პატრონობაზე აცხადებდა პრეტენზიას და გაერთიანებული ფორმით სურდა რუსეთის საფარველში შესვლა, ამ დროს კი რუსეთს „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკის მისთვის ჩვეული მეთოდებით სამეგრელო და სხვა სამთავროები იმერეთის სამეფოს საპირისპიროდ ცალ-ცალკე შეჰყავდა თავის მფარველობა-ქვეშევრდომობაში.

მოკლედ, ამგვარად გამოიყურება სოლომონ ლიონიძის ბრწყინვალე პოლიტიკური ფიგურა XVIII-XIX საუკუნეთა ისტორიულ გასაყარზე. როგორც ვხედავთ, მან თავისი პოლიტიკური აზროვნებითა და მრწამსით გაუსწრო თავის ეპოქას (სულ სხვაა, რომ უხეში ისტორიული ძა-

[1] Акты... т. I, გვ. 569; ზ. ცქიტიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 71.
[2] Акты... т. II, გვ. 363.

ლები მის პროგრესულ იდეებს იმთავითვე ასამარებდნენ, გ. ი.). ს. ლიონიძე საქართველოს უბედურებას ქვეყნის პოლიტიკურ დაშლილობა-დაქუცმაცებაში ხედავდა. მას ღრმად სწამდა, რომ ერის გადარჩენის პირობა და პოტენცია თვით ერის შინაგან ენერგიაში იყო ჩადებული, რომ მაჰმადიანური სამყაროსაგან თავდახსნა, „ახალ ცასა და ახალ ქვეყანასთან ზიარება“ საქართველოს შინაგანი, გაერთიანებული ძალებით შეიძლებოდა. ს. ლიონიძის ამგვარი მსჯელობა და იდეალი უეჭველია სწორი და პროგრესული იყო.

ს. ლიონიძეს არ ავიწყდებოდა ისიც, რომ ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც მისი სამშობლო საქართველო იყო, ამ კეთილშობილური იდეალის პრაქტიკული ხორცშესხმა, რა თქმა უნდა, გაძნელდებოდა. ამიტომ მას მიაჩნდა, რომ საქართველოს ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში რუსეთის, მფარველობა და დახმარება ესაჭიროებოდა. და მთავარი ის არის, რომ ამ იდეისათვის მას ბოლომდე არც უღალატია; თუმცა მისთვის მიუღებელი იყო ის ფინალი, რითაც დაბოლოვდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, როცა 1801 წლის რუსეთმა 1783 წლის ხელშეკრულება ფარატინა ქაღალდად აქცია. ამიტომ იყო, რომ ს. ლიონიძე იმდროინდელ სხვა ქართველ პოლიტიკოსებთან რუსეთის ცბიერ პოლიტიკას და დიპლომატიას დაუპირისპირდა. დიდ მამულიშვილს ურყევად სჯეროდა, რომ ქვეყნის ერთიანობისათვის უპირატესობა მაინც შინაგან ძალებს ენიჭებოდა. უცხო სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ შესვლას იგი დროებით პოლიტიკურ და დიპლომატიურ ღონისძიებად თვლიდა. სხვა სახელმწიფოს მფარველობაში ყოფნა მას ერის დამდაბლებად მიაჩნდა. რუსეთის მფარველობაში მხოლოდ გაერთიანებული საქართველოს შესვლას იგი თურქეთისა და ირანის ბატონობისაგან გასათავისუფლებელ დროებით ღონისძიებად თვლიდა. მომავალში კი რუსეთის (ან უცხო სხვა ქვეყნის) მფარველობაში დარჩენა სოლომონ ლიონიძეს საქართველოსათვის საზარალოდ მიაჩნდა, იგი ქართველებისათვის გადაგვარების საშიშროებას ხედავდა ამ ფაქტში. ამიტომ სხვის მოიმედედ დარჩენას აყვედრიდა საქართველოს მეფე-მთავრებს და ძალთა გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა მათ. შემთხვევით როდი აღნიშნავენ მის შესახებ თანამედროვენი: „სოლომონ ლიონიძე მრავლად დაშვრა, რათა მოეყვანა ერთობასა მტკიცესა ერთნათესაობა ქართველთა, მეცადინებდა შინაკავშირითა გაეუქმებინა გარეკავშირი“. თვით ს. ლიონიძეს ეკუთვნის სიტყვები, რომელშიც კარგად ჩანს მისი პოლიტიკური იდეალი და კრედო: „ერი დაცული გარეთითა უცხოთა ნათესავთაგან მფარველობითა არის მარადის დამდაბლებული. ერი სხვათა მფლობელობასა შინა ქვეშ შესული არის მონა და მონამზაკვარი, დაცინებული, მასხარად აგდებული, ვითარცა დამკარგველი თვითმყოფობი-

სა, კარგავს სულისა თვისისა საკუთარსა ძალასა და ღირსებასა, უძლური სულითა კარგავს სხეულისაცა ძალასა, ენა და მეტყველება მისი, მწერლობა და მწიგნობრობა მოეღება ერსა დამონებულსა უცხოსა ნათესავისა ენითა და ჩვეულებითა".[1] უკეთესად ვერ იტყვი.

## 6. ქართულ-რუსული პოლიტიკურ-დიპლომატიური კონტაქტები XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე და ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია რუსეთის მიერ. 1801 წლის აქტი

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისისათვის დიდი ევროპული სახელმწიფოების: ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის მხრიდან აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი გაზრდილი ინტერესის და იქ გაბატონებისათვის ერთმანეთთან კონკურენციის პირობებში საერთაშორისო ვითარება რუსეთისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა. რუსეთის სახელმწიფო თავის მხრივ, რა თქმა უნდა, დამპყრობლურ მიზნებს ისახავდა და არა მცირერიცხოვანი ხალხების დაცვას თურქეთისა და ირანის აგრესიისაგან. იმ პერიოდისათვის რუსეთს ამიერკავკასიაში „ვასალურ სახელმწიფოთა" შექმნა კი აღარ აწყობდა, არამედ აქაური ქვეყნების აშკარა ანექსია-დაპყრობაზე გადადიოდა.[2]

ნაპოლეონის ლაშქრობამ ეგვიპტეში ოსმალეთი იძულებული გახადა, 1799 წელს რუსეთთან იძულებითი კავშირი შეეკრა. რუსეთი და ოსმალეთი საფრანგეთის წინააღმდეგ გაერთიანდნენ და თითქოს დროებით „დაივიწყეს" ძველი მტრობა. შემდგომი პერიოდის მოვლენებმა ცხადყვეს, რომ 1806 წლამდე თურქეთი, რუსეთთან იძულებით კავშირში ჩაბმული, დიდად განიცდიდა და ითმენდა კიდეც რუსეთის ყოველგვარ პოლიტიკურ წარმატებას ამიერკავკასიაში.

ერეკლე მეფის გარდაცვალებასა და მისი შვილის გიორგის გამეფებასთან დაკავშირებით (1798 წ.) ქართლ-კახეთის საშინაო პოლიტიკური ვითარება უაღრესად დაიძაბა. გიორგის უნიათო პოლიტიკისა და ავადმყოფობის გამო სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა სამეფო ტახტის დაუფლებისათვის; ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ბატონიშვილთა უფროსი

---

1 გ. ჰეჰინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10; ხელნაწერთა ინსტ., პლ. იოსელიანის ფონდი; პლ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

2 А. Р. Иоаннисян, Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия, Ереван 1958, გვ. 21; А. Фадеев, Россия и Кавказ в первой трети XIX в., М., 1960, გვ. 17; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 252-254.

(ერეკლესაგან) და უმცროსი (გიორგისაგან) წარმომადგენლები, რომლებიც იულონ ერეკლეს ძისა და დავით გიორგის ძის გარშემო დაჯგუფდნენ. გიორგიმ კი დაარღვია ადრე თავისი სახლის შვილობისადმი მიცემული პირობა, რომ ტახტის მემკვიდრედ იულონს ცნობდა და რუსეთის იმპერატორს საკუთარი შვილის, დავითის მემკვიდრედ დამტკიცება მოსთხოვა. პავლე I-მა თავის მხრივ 1783 წლის ხელშეკრულება განაახლა და 1799 წლის 18 აპრილს გიორგის თხოვნა დააკმაყოფილა.[1] ქართველ არისტოკრატთა შორის იულონ და დავით ბატონიშვილების იმ ორი მტრული პარტიის გარდა, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას მხოლოდ 1783 წლის ტრაქტატის ფარგლებში ცნობდნენ, არსებობდა კიდევ ერთი მცირე დაჯგუფება, რომელიც რუსეთთან სრული შეერთების მომხრე იყო;[2] თავად-აზნაურთა ერთი ნაწილიც ქართველი მეფის სუვერენულ უფლებათა შეზღუდვის წინააღმდეგ ილაშქრებდა და ფიქრობდა, რომ საშინაო, თუ საგარეო პოლიტიკაში დიპლომატიური მანევრების გზით შეიძლებოდა დამოკიდებულების შენარჩუნება.[3]

ამ შინაური პოლიტიკური ჭიდილის დროს 1799 წლის ნოემბერში 1783 წლის ტრაქტატის ძალით საქართველოში რუსეთიდან დამხმარე ლეგიონი შემოვიდა. ამ ჯარს თან მოჰყვა რუსეთის წარმომადგენელი გიორგი მეფის კარზე — მინისტრი კოვალენსკი.

ოფიციალურმა ცნობამ იმის შესახებ, რომ იმპერატორმა ტახტის მემკვიდრედ იულონი კი არა, დავითი დაამტკიცა, იულონის მომხრეები შეაშფოთა. თვით ირანის სახელმწიფოც რუსეთის საწინააღმდეგოდ განეწყო, რათა ქართლ-კახეთში ძველი ბატონობა დაეცვა. იგი საომრად გაემზადა.[4]

სწორედ ამ დროს რუსეთის დიპლომატიამ ოსტატურად გამოიყენა ქართლ-კახეთში შექმნილი ვითარება. თანაც გიორგი მეფემ, რომელიც უკვე დასნეულებული იყო, გადაწყვიტა მაქსიმალურად დაეთმო თავისი ინტერესები, უკიდურესობამდე შეეზღუდა საქართველოს ავტონომია და ამ ვითარების გათვალისწინებით შედგენილი სათხოვარი პუნქტები თავისი ელჩების: გ. ჭავჭავაძის, გ. ავალიშვილის და ელიზბარ ფალავანდიშვილის ხელით რუსეთის იმპერატორთან გააგზავნა. ამ დროისათვის პავლეს უკვე მიღებული ჰქონდა საქართველოს დაზვერვის მისიით გაგზავნილი რეზიდენტის გრაფ მუსინ-პუშკინის საიდუმლო მოხსენება, რო-

---

1 Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею, т. II, Тиф., 1872, გვ. 1147.

ს. კაკაბაძე. საქართველოს ისტორია. თბ., 1922, გვ. 251.

იქვე, გვ. 253.

О. Маркова, Восстание в Кахетии 1812, М., 1951, გვ. 19.

მელშიც ეს უკანასკნელი არწმუნებდა იმპერატორს, რომ საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა რუსული ორიენტაციისა იყო და ამ მდიდარი რეგიონის შეერთებით იმპერიას შეემატებოდა ბარაქიანი და ხვავრიელი მიწები.[1]

გიორგი XII-ის დაჟინებითი მოთხოვნები იმის შესახებ, რომ რუსეთმა შეძლოს საგარეო მტრებისაგან ქართლ-კახეთის დაცვა და შეინარჩუნოს სამეფოს დამოუკიდებლობა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. რუსეთის პოლიტიკოსებმა განზრახ „განიხილეს" როგორც ნებაყოფლობითი უარის თქმა სამეფო უფლებებზე. მეტად დამახასიათებელი იყო ამ მხრივ იმპერატორ პავლეს განკარგულება გენერალი კნორინგისადმი 1800 წლის 15 ნოემბერს.[2] რა თქმა უნდა, გიორგი მეფის პოზიციას, ამ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ იგი გადამწყვეტი მაინც ვერ იქნებოდა, რუსეთის იმპერია უკვე ტაქტიკურად, თანმიმდევრულად მოიწევდა ამიერკავკასიისაკენ და ქართლ-კახეთის პატარა სახელმწიფო დიდხანს თავის დაცვას, ალბათ, ვერ შეძლებდა. იმ პერიოდის ზოგი მემატიანე ერთი მხრივ ამართლებდა გიორგის ურთიერთობის ფორმებსა და მეთოდებს რუსეთთან, ხოლო ამავე დროს მასვე უპირისპირებდა ცნობილ ქართველ მოღვაწესა და პატრიოტს სოლომონ ლიონიძეს — საქართველოს დამოუკიდებლობის თანამიმდევრულ დამცველს.[3]

გიორგი მეფის განზრახვა სუვერენულ უფლებათა უკიდურესი შეზღუდვის შესახებ („გიორგი მეფეს, ქართლ-კახეთის დიდებულებს, სამღვდელოებას და ხალხს სურთ, გახდნენ რუსეთის ქვეშევრდომები და დაემორჩილონ რუსეთის კანონებს")[4] ცნობილი გახდა მხოლოდ მისივე მრჩეველთა ვიწრო წრისათვის. ამის შესახებ მემკვიდრე დავითსაც კი არაფერი სცოდნია. ამ დროს იყო, რომ მეფესთან დაახლოებული ზოგიერთი მოხელე გიორგის საგარეო პოლიტიკის შეცვლას ურჩევდა, რომ საქართველოში რუსეთის იმპერატორის ბატონობა არ დამყარებულიყო. მაგრამ გიორგის აზრით, მის მიერ რუსეთთან გაფორმებული სამფარველო ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, რომ უცხო ქვეყნის ბატონობა მძიმე იქნებოდა, საქართველოს კარგ შედეგებს მოუტანდა.[5] როგორც ჩანს, ასეთი პოლიტიკური ალღოთი აღჭურვილი სუსტი ნებისყოფის მეფე თავდაცვისათვის არავითარ ღონისძიებას არ იღებდა. მან სათანადოდ ვერ განჭვრიტა ის მომავალი საფრთხე, რომელიც ბაგრა-

---

1 П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803, СПб., 1869, ч. II, გვ. 451.

2 Акты... I, გვ. 177-178.

3 პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედ., თბ., 1936, გვ. 57.

4 П. Г. Бутков, Материалы..., т. II, გვ. 461-462.

5 პლ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

ტიონთა ხელისუფლებას ემუქრებოდა, უეჭველია, რომ გიორგი მეფის ასეთი პოლიტიკა გახდა ერთ-ერთი მიზეზი ტახტის პრეტენდენტებს შორის ბრძოლის გამწვავებისა. ბატონიშვილთა ორ პარტიას შორის ბრძოლა მიზნად ისახავდა არა მარტო სამეფო ტახტის დაუფლებას, არამედ საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლასაც. მებრძოლთაგან ბევრი უეჭველად გრძნობდა, რომ გიორგი მეფის პოლიტიკა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს არსებობას საფრთხეს უქმნიდა. მწვავედ გრძნობდა გიორგი მეფის საგარეო პოლიტიკას იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, რომელიც რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „იცის ესე უმაღლესმან კარმან უდიდესობისა თქვენისამან, რომ სახლი მეფობისა საქართველოსა სახლი არს ჩემი, რომლისაცა დაფარვით განკემასა მეფესა გიორგისაგან და დამხობასა სამეფოსა სახლისასა განმწარებულსა მწუხარებასა მათსა შევრაცხ უბედურებად ჩემდა“.[1] „Георгий забыл духовное завещание отца и пренебрег кровью предков своих, пролитую за царство, которое предал без ведома братьев и детей своих и всего народа“.[2]

1799 წლის 7 სექტემბერს გიორგი ავალებდა თავის ელჩებს, „მთლიანად გადაეცა“ სამეფო იმპერატორისათვის, რომ ამ დროიდან მოყოლებული, ქართლოსიანთა ქვეყანა რუსეთის კუთვნილებაში იქნება იმ უფლებათა საფუძველზე, რომლებითაც სარგებლობდენ რუსეთში შემავალი მხარეები. აქვე გიორგი იმპერატორ პავლესაგან მოითხოვდა წერილობით გარანტიას ბაგრატიონთა სამეფო უფლებების შესანარჩუნებლად, „როგორც ეს იყო მისი წინაპარი მეფეების დროს“.[3] თითქმის ამასვე იმეორებდა მეფე 1800 წლის 24 ივლისის ნოტაში. იმ განსხვავებით, რომ იგი ცნობდა თავის თავს მეფედ და რუსეთის იმპერატორის ვასალად და წლიურ ჯამაგირსა და რუსეთში 30 ათას სულ გლეხს მოითხოვდა. გიორგი მზად იყო, იმპერატორის სურვილებს დამორჩილებოდა, ამით იგი ცდილობდა დიდი სახელმწიფოს დაინტერესებას, რათა საქართველოსათვის სამხედრო-მატერიალური დახმარება აღმოეჩინათ. ქართველი მეფისა და მისი ელჩების მთავარი მიზანი იყო რუსეთის დახმარებით საგარეო მტრების მოგერიება, ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარება და მეფის ხელისუფლების შენარჩუნება. გიორგი მეფის სიკვდილის წინ მასთან მოუცილებლად იმყოფებოდა რუსთა ჯარის სარდალი გენ. ლაზარევი, იგი უნებლიეთ ამჟღავნებს, რომ ავადმყოფი გიორგი ქართლ-კახეთის სამეფო სასახლის ინტერესთა დამცველი იყო, და 1783

[1] Акты... т. I, გვ. 558.
[2] იქვე. გვ. 559.
[3] Грамоты и другие документы... под ред. А. Цагарели, т. II, გვ. 287.

წლის ტრაქტატის საფუძვლებიდან გამოდიოდა. სიკვდილის წინ მეფემ ლაზარევთან გაგზავნა თავისი ორი ერთგული სულიერი მამა, რომლებმაც გენერალს განუცხადეს: „მეფე ამ წუთში ბრძანებს, რომ მისი სიკვდილის შემთხვევაში ტახტზე დაუყოვნებლივ აიყვანონ მისი მემკვიდრე დავითი".[1] ამ დროს გენერალ ლაზარევს უკვე მიღებული ჰქონდა იმპერატორ პავლესაგან ბრძანება, რომ გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე არავინ აეყვანათ; გიორგის მოთხოვნა კი, რომ რუსეთის მეფეს დავითი ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე აეყვანა, სავსებით ლოგიკური, თანმიმდევრული იყო და რუსეთში გაგზავნილი ნოტებიდან გამომდინარეობდა. დამახასიათებელია ისიც, რომ მაშინდელი ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელ ნ. დუბროვინს საჭიროდაც კი უცვნია განზრახ „შელამაზებით" გადმოეცა სათანადო ადგილები გენერალ ლაზარევის 1801 წლის 2 იანვრის მოხსენებიდან.[2] ამ და რუსეთის სხვა მაშინდელ ისტორიკოსთა შრომებში ძნელი როდია დავინახოთ ცარიზმის შენიღბული პოლიტიკა, რომელიც ცდილობდა, რომ თვით ქართველი მეფის „სურვილების" განხორციელებად დაეხატა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება".[3]

გიორგი მეფე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა 1800 წლის 18 დეკემბერს პეტერბურგში პავლე იმპერატორის კარზე შემუშავდა მანიფესტი საქართველოს შემოერთების შესახებ. ამავე დროს, ქართველ ელჩებს: ავალიშვილსა და ფალავანდიშვილს საქართველოსაკენ მოჰქონდათ პავლეს მიერ დამტკიცებული გიორგი მეფის „სათხოვარი პუნქტები", რომელიც არსებითად 1783 წლის ტრაქტატის პირობებს იცავდა. 18 დეკემბერს მანიფესტის ტექსტი საიდუმლოდ გადაუგზავნეს წინაკავკასიაში განლაგებული ჯარების სარდალ გენ. კნორინგს. ამაზე ადრე კნორინგს მიღებული ჰქონდა საიდუმლო ბრძანება, რომ გიორგის სიკვდილის შემდეგ ქართლ-კახეთში მეფის ხელისუფლება უნდა გაუქმებულიყო.[4] რუსეთის მთავრობა საქართველოს ოკუპაციისათვის სათანადო ზომებს იღებდა და აქეთკენ ჯარის ახალ ნაწილებს აგზავნიდა. პავლე იმპერატორის მთავრობა ფიქრობდა გიორგი მეფის მოტყუებას, უარს ამბობდა ყოველგვარ დაპირებებზე და ყველაფერს ქართველთა „ნებაყოფლობის" საფუძველზე აკეთებდა, მაგრამ ამჯერად პეტერბურგელ დიპლომატებს საიდუმლოება გაუმჟღავნდათ. გიორგი მეფე გარდაიცვალა 1800 წლის 22 დეკემბერს, ისე, რომ რუსეთიდან აქეთკენ მომავალმა ელჩებმა ცო-

---

[1] Акты... т. I, გვ. 189.
[2] Н. Дубровин, Георгий XII, Тиф., 1897, გვ. 170-171.
[3] Акты... т. II, გვ. 308; Н. Дубровин, გვ. 201-202.
[4] Акты... т. I, გვ. 177-178.

ხალს ვერ მოუსწრეს. ამრიგად. გენ. კნორინგმა სასურველი „თანხმობა" ვერ მიიღო და საქართველოს საქმეებიც გართულდა. 1801 წლის 8 იანვარს დედაქალაქში დაბრუნდნენ ქართველი ელჩები, რომელთაც გიორგი მეფის 1800 წლის 24 ივნისის ნოტის საფუძველზე დავით ბატონიშვილი გამოაცხადეს „საქართველოს მემკვიდრედ და მმართველად", მაგრამ თანახმად ხელშეკრულებისა, იგი რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა. დავითმაც არ დააყოვნა და ელჩები ისევ რუსეთისაკენ გააბრუნა, რათა პავლე I-ის დასტური მიეღო. ამავე დროს პავლეს მთავრობა უკვე ახორციელებდა პირველ ღონისძიებებს ბაგრატიონთა ხელისუფლების ლიკვიდაციისათვის.

ფეოდალურ-პროგრესული ძალები გიორგის სიკვდილის შემდეგ არ კარგავდნენ იმედს, რომ შეძლებდნენ სამეფოს ავტონომიის დაცვას, მაგრამ ბედმა უმტყუნათ. რუსეთის იმპერიამ უკვე შეცვალა თავისი პოლიტიკა ამიერკავკასიაში, „ვასალურ სახელმწიფოთა" შექმნის პოლიტიკიდან, რომელსაც იგი ადრე ახორციელებდა, ახლა იგი ამ ქვეყნის მიწაწყალის აშკარა ანექსიაზე გადავიდა და აქაურ ქვეყნებს უშუალოდ იპყრობდა.[1] რუსეთი საქართველოს უკვე ამ პერიოდიდან მხოლოდ საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესებით უყურებდა, საქართველო უნდა გადაქცეულიყო ბაზად ახლო აღმოსავლეთის დაპყრობისათვის.[2]

1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში გამოქვეყნდა პავლე I-ის მანიფესტი, როგორც აღინიშნა, იგი გიორგი მეფის სიცოცხლეშივე შეადგინეს, მანიფესტის მიხედვით, ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. იგი თბილისში ცნობილი გახდა მხოლოდ 16-17 თებერვალს. 20 იანვრის ბრძანების საფუძველზე „საქართველოს სამეფო სახლის ყველა წევრს" პეტერბურგში იწვევდნენ. რუსეთის იმპერიის დედაქალაქში ჯარის ნაწილის თანხლებით გაიგზავნა გიორგი მეფის სამეფო გვირგვინი და კვერთხი.[3] 1801 წლის 6 მარტს პეტერბურგში შეიმუშავეს ქართლ-კახეთის ახალი მმართველობის წესები. 11 მარტს სენატმა გენერალ-გუბერნატორად დანიშნა ცნობილი კნორინგი, ხოლო სამოქალაქო გუბერნატორად გარუსებული გენერალი ორბელიანი. 1801 წლის 11 მარტს კი იმპერატორ პავლეს მკვლელობასთან დაკავშირებით, ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის დანგრევის საქმე დროებით შეფერხდა.

მართალია, რუსეთის სამხედრო-ბიუროკრატიულმა ხელისუფლებამ არ დაუშვა ქართლ-კახეთის ახალი ქართველი მემკვიდრის, მეფის გამო-

---

[1] А. Р. Иоаннисян, Присоединение.., გვ. 22.
[2] А. В. Фадеев, Россия и Кавказ... გვ. 19.
[3] Акты... т. I, გვ. 154.

ცხადება, მაგრამ უარი ვერ უთხრა დავით გიორგის ძე ბატონიშვილს, განეგო სამეფო, როგორც კანონიერ და ოფიციალურ მემკვიდრეს. არ არსებობდა სრულუფლებიანი ხელისუფლება დავითისა, ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი რუსული მმართველობა. სწორედ ეს პერიოდი — 1801 წლის თებერვლიდან 1802 წლის მაისამდე (დავითის გამგებლობის ხანა) იყო გარდამავალი პერიოდი ქართლ-კახეთის სახელმწიფოს სრული რუსიფიკაციის გზაზე.[1]

ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ბედის გადაწყვეტა უკვე ახალ იმპერატორს ალექსანდრე I-ს მიენდო, რომელმაც ეს საკითხი განსახილველად დასვა სახელმწიფო საბჭოში. სახელმწიფო საბჭოს წევრთა დიდი უმრავლესობა უკვე მშვიდობიანად შემოერთებული ქვეყნის შენარჩუნებას სამი არგუმენტით ასაბუთებდა:

1. უთანხმოება თვით ქართლ-კახეთში ტახტის მემკვიდრეთა შორის;

2. იმპერიის სამხრეთული პოლიტიკა და ღირსება ითხოვდა ქართლ-კახეთის საბოლოო დაუფლებას;

3. ქართლ-კახეთის შეერთება უზრუნველყოფდა რუსეთის საზღვრების უშიშროებას და მთის ხალხების თვითნებობის ალაგმვას.

ამიტომ სახელმწიფო საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნდა ქართლ-კახეთში „დროებითი“ რუსული მმართველობის გახსნა გუბერნატორის ხელისუფლებით, რომელიც გააერთიანებდა სამოქალაქო და სამხედრო უფლებებს.[2] თვით იმპერატორი და საიდუმლო კომიტეტის ზოგიერთი წევრი „არ იზიარებდნენ“ სახელმწიფო საბჭოს ამ თვალსაზრისს, რადგან ალექსანდრე I-ს „ეჭვი ეპარებოდა“ უცხო ქვეყნის შეერთების სამართლიანობაში, რადგან არც ერთი დოკუმენტიდან არ ჩანდა, რომ ქართლ-კახეთის ქვეყანა და ხალხი მართლაც ნებაყოფლობით შედიოდა რუსეთის შემადგენლობაში. ლეგიტიმისტური სულისკვეთებით აღგზნებული იმპერატორი გაკვირვებით სვამდა კითხვას: „განა უსამართლობა არ ჩავიდინეთ უცხო ქვეყნის ტახტის მემკვიდრეთა მიმართ“? მაგრამ ეს მხოლოდ ლამაზი და ყალბი პათეტიკური ფრაზები იყო. იმავე იმპერატორმა არც კი მოუსმინა იმ დროს პეტერბურგში ჩასულ ქართველ ელჩებს, რომელნიც ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებას და ერთ-ერთი ბატონიშვილის ქართლ-კახეთის მეფედ დამტკიცებას სთხოვდნენ. ამის შემდეგ სახელმწიფო საბჭომ და თვით იმპერატორმა მიიღეს უალრესად ფორმალური დადგენილება — გამოირკვიეს ადგილზე, შეძლებს თუ არა ქართლ-კახეთი დამოუკიდებელ არსებობასო. ალექსანდრე I-მა გენერალ კნორინგს სათანადო ინსტრუქცია-კითხვებით დაავალა მდგომა-

---

[1] Акты... т. I, გვ. 315-320.

[2] Н. Дубровин, Георгий XII... გვ. 216.

რეობის ადგილზე შესწავლა (კითხვარი: 1. შეუძლია თუ არა ქართლ-კახეთს საკუთარი ძალებით მოიგერიოს სპარსეთის შემოტევები და უზრუნველყოს ქვეყნის მშვიდობიანობა; 2. საკუთარი რწმენით, სამშობლოს სარგებლიანობის სურვილით მივიდა თუ არა ქართლ-კახეთის მეფე რუსეთთან შეერთების აუცილებლობამდე და 3. უჭერდნენ თუ არა მხარს ამ გადაწყვეტილებას სხვადასხვა მაღალი წოდებანი და ხალხი)[1] კნორინგი სრულიადაც არ თვლიდა საჭიროდ, ქართველი ხალხის სურვილისათვის ანგარიში გაეწია და იმგვარად შეუდგა საქმის და მდგომარეობის „გამოკვლევა-შესწავლას", რომ იპერატორისათვის მისაღები პასუხისათვის დაიწყო ქართლ-კახეთის თვალსაჩინო მაღალი არისტოკრატიის პირთა დაშინება, მოსყიდვა და მუქარა დასტურის მისაღებად ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმებასა და რუსეთთან შეერთებაზე. ამის შესახებ ბაგრატ ბატონიშვილი წერს: „ხოლო მას ჟამსა ღენარალს ლაზარევს მუნ მყოფსა ებირნა რაოდენიმე გვამნი მეფისა ორგულნი... ამათ ათქმევინა უარყოფა მეფისა და გახსნა რუსეთისა მმართველობისა, რომლისა მსმენელმა კნორინგმა მიუღო დავითს მეფობა და დასხნა თვისნი მსაჯულნი, ვიდრე გახსნამდე ღუბერნიისა".[2] ამ სიტყვებს კომენტარი აღარ სჭირდება. კნორინგმა დავით ბატონიშვილის მმართველობიდან გადაყენების შემდეგ ჩამოაყალიბა საქართველოს დროებითი მმართველობა გენერალ ლაზარევის თავმჯდომარეობით, რომელშიც შევიდნენ ქართველი მდივანბეგები: ზაალ ბარათაშვილი, ეგნატე თუმანიშვილი, თბილისის მელიქი დარჩო ბებუთოვი და სხვა.[3]

1801 წლის 28 ივლისს კნორინგმა წარადგინა თავისი „გამოკვლევები და ანგარიშები" სახელმწიფო საბჭოში, რომელშიც ყველაფერი ისე დახატა, რომ ქართლ-კახეთს საკუთარი ძალებით არ შეეძლო აღდგომოდა სპარსელებს და მთიელთა შემოსევებს, რომ სხვადასხვა წოდებანი და ხალხი უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა მომხრეა რუსეთის მმართველობისა, რომ თავადებს სურთ, შეინარჩუნონ მემკვიდრეობითი თანამდებობანი და ა. შ.[4] კნორინგის მოხსენება, როგორც ირკვევა, ცნობილი გახდა მოწინავე ქართველი არისტოკრატიისათვის. ეს უკანასკნელი შეეცადა, რუსეთის სახელმწიფო საბჭოში საქმის განხილვა საქართველოს სასარგებლოდ შემოებრუნებინათ და ეროვნული ავტონომია შეენარჩუნებინათ. სოლომონ მეორემ თავისი დესპანი ჯაფარიძე სასწრაფოდ გაგზავნა რუსეთში იმპერატორთან და გაატანა შუამდგომლობის წერი-

---

[1] П. Г. Бутков, Материалы... т. II, გვ. 474.
[2] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 79.
[3] Н. Дубровин, Георгий XII... გვ. 224-225.
[4] А. Цагарели, Грамоты... т. II, გვ. 300-301.

ლი იულონის ქართლ-კახეთის მეფედ დამტკიცების თაობაზე, მაგრამ გენერალ კნორინგის ბრძანებით, იმერეთის მეფის ელჩი კავკასიის ხაზზე დააკავეს.[1]

1801 წლის სექტემბერს პეტერბურგში გამოქვეყნდა მანიფესტი ქართლ-კახეთის სახელმწიფოს რუსეთთან შეერთების შესახებ. ქართველმა დიპლომატებმა მხოლოდ ამ აქტის შემდეგ გაიგეს, რომ ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ბედი მათ გარეშე გადაწყდა. ქართველი ელჩები გ. ჭავჭავაძე, გ. ავალიშვილი და ე. ფალავანდიშვილი, ისე როგორც სხვა პროგრესულად მოაზროვნე ქართველები, ითხოვდნენ ქართლ-კახეთის დატოვებას ავტონომიურ სამეფოდ 1783 წლის ტრაქტატის უფლებრივი ნორმების საფუძველზე. შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში ისინი აღშფოთებული წერდნენ თავად კურაკინს: „ჩვენ თავს უბედურად ვთვლით, ყველაზე უკეთ თქვენ იცოდით ჩვენი სურვილი, მისწრაფება და საქმის წარმოება, ამიტომ თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ასეთი შეერთების წყალობით დავკარგეთ თანამემამულეთა ნდობა და პატივისცემა".[2] ელჩებს მართლაც ჰქონდათ ასეთი განცხადების საფუძველი, რადგან მაშინდელი და შემდგომი ეპოქების ბევრი ქართველი პატრიოტი და მოაზროვნე ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებაში ბრალს სდებდა არა მხოლოდ რუსეთის იმპერატორს, არამედ ქართველ დიპლომატებს. ასე მაგალითად, ბაგრატ ბატონიშვილი წერდა: „ჭავჭავაძე გარსევანმა მიართვა წიგნი იმპერატორს პავლეს თავის გაკეთებული სახელსა ზედა მეფისასა, რეცა აღება მეფობისა საქართველომ და გახსნა ღუბერნიისა"...[3] იოანე ბატონიშვილიც იმაში ადანაშაულებს ელჩებს, რომ მათ ბოროტად გამოიყენეს მეფის რწმუნებები და გაყიდეს საქართველო.[4] თვით ხალხის გრძნობები კი კარგად არის გადმოცემული ექვთიმე არქიმანდრიტის კნორინგისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში: „აქამდე მონასტრის ბერები — წერს არქიმანდრიტი — უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ, ახლა კი რუსთ ხელმწიფეს საქართველო ამან მიართვაო, ბერები ამიტეხეს და ამ მიზეზით მტანჯავენ. ჭეშმარიტია, საქართველოს... გამოხსნისათვის მეფე გიორგი ვაწუხე, დიდხანს დავშვერ სამღვთოს მადლითა... ჭეშმარიტება მოწამეა, თუ არა ჩემი დიდი შრომით, ეს საქმე არ მოხდებოდა. ახლა ამის მიზეზით ვიტანჯები. ყოველ კიდეც იპყრობთ, თქვენთვის დევნილი არ შემიწყალოთ, უარესს მიყოფენ.... ხალხი".[5] მართალია, რუსეთის იმპერიას ქართლ-კახეთის სამეფოს

---

[1] ა. ბენდიანაშვილი. ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-21, თბ., 1980, გვ. 28.
[2] А. Цагарели, Грамоты... т. II, გვ. 310.
[3] ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა. გვ. 78.
[4] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა. ტ. I. 1936. გვ. 128-136.
Акты... т. I, გვ. 443.

გაუქმებაში რამდენიმე ქართველი რენეგატი მართლაც დაეხმარა, მაგრამ ქვეყნის დამოუკიდებლობის მოსპობის უპირველესი შემოქმედი თვით იყო.

1801 წლის 12 სექტემბერს მანიფესტს საქართველოში დიდი პროტესტით შეხვდნენ, რომელსაც კნორინგმა დიდი რეპრესიებით უპასუხა. იმთავითვე დააპატიმრეს გავლენიანი პატრიოტი თავადები — მაჩაბელი, ამირეჯიბი და სხვები.

ქართული სახელმწიფოს ლიკვიდაცია და უცხო სახელმწიფოს ბატონობის დამყარება მიუღებელი იყო როგორც მაღალი წოდებისათვის, ისე ხალხის ფართო მასებისათვის. ცარიზმის უხეში ძალის ბატონობათვითნებობა და რეპრესიები იწყებოდა.[1] დასრულდა აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს ისტორია; საფუძველი ჩაეყარა რუსეთის იმპერიის საზღვრების გაფართოებას ამიერკავკასიაში.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 818.

# XVIII თავი. საქართველოს საკითხი XIX საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებში

## 1. საქართველო რუსეთ-თურქეთის პოლიტიკურ და დიპლომატიურ გეგმებში XIX საუკუნის I მესამედში

ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ანექსიის შემდეგ, XIX საუკუნის დამდეგს სოლომონ იმერეთის მეფეს რუსეთმა „მფარველობაში“ მიღებაზე დიპლომატიური უარი შეუთვალა იმ საბაბით, რომ რუსეთს ოსმალეთთან „მეგობრული“ ურთიერთობა ჰქონდა. მაგრამ ამ მეგობრობამ ხელი არ შეუშალა რუსეთს, რომ დაზვერვები ეწარმოებინა იმერეთის შემოერთება-დაპყრობისათვის, რისთვისაც აქ საგანგებო მოხელე სოკოლოვი მიავლინეს.[1] ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სამეგრელოს მთავარს დადიანს, რომელსაც ალექსანდრე ნეველის ორდენი გამოუგზავნეს. რუსეთის იმპერატორს სჯეროდა, რომ მისი წარმომადგენლის მიერ ოსმალეთის სახელმწიფოსთან მოლაპარაკება ჯერ სამეგრელოსა და შემდეგ იმერეთის მფარველობაში მიღების შესახებ დადებითად გადაწყდებოდა.[2] რუსეთის იმპერატორი არცთუ ისე უსაფუძვლოდ ფიქრობდა, რომ მასთან იძულებით კავშირში მოქცეულსა და შინაგანი კრიზისით დაუძლურებულ ოსმალეთს იმ დროს წინააღმდეგობის უნარი აღარ გააჩნდა, რუსეთის მფარველობას იმერეთის მეფე სოლომონიც ითხოვდა (ოღონდ, 1783 წლის ტრაქტატის იურიდიულ ნორმათა საფუძველზე, გ. ი.), მაგრამ რუსეთის მთავრობას ამ მოთხოვნისათვის ანგარიში არ გაუწევია. მან დახმარების ხელი პირველად დადიანს გაუწოდა, რა თქმა უნდა, არა სიბრალულის გრძნობით, არამედ იმიტომ, რომ იმერეთის მეფე კიდევ უფრო დაესუსტებინა და შემდეგ თავისი პოლიტიკური სურვილები ეკარნახა მისთვის; პირველი რიგის ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ დადიანი უნდა გადაქცეულიყო რუსეთის იარაღად იმერეთის სამეფოს დაპყრობის და გაუქმების საქმეში.

მიუხედავად დადიანის დამორჩილებისა, იმერეთის მეფის იძულებით მოქცევისა რუსეთის მფარველობაში (1803-1804 წლები), დასავლეთ საქართველოში რუსეთის ბატონობა ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული. იმერეთსა და სამეგრელოში გაგზავნილ საგანგებო მოხელეს ლიტვინოვს დაევალა რუსეთის პოლიტიკური მბრძანებლობის განმტკიცება, მთავრების (გურიის, სამეგრელოს) გაძლიერება და იმერეთის მეფის დასუს-

---

[1] А. Соколов, Путешествие мое в Имеретию. М., 1874, გვ. 18.

[2] Акты... т. II, გვ. 456.

ტება.[1] მასვე დაევალა 1804 წელს (მაის-ნოემბერში) სამეგრელოში, ყულევში ფოთის გვერდის ავლით რუსთა ჯარების გადასხმის მომზადება. რა თქმა უნდა, დასავლეთ საქართველოში და საერთოდ, დასავლეთ ამიერკავკასიაში ჯარების შეყვანის გარეშე „ოსმალეთის სამასწლოვანი მონოპოლიის" (ნ. ბერძენიშვილი) მოსპობა და რუსეთის იქ გაბატონება ვერ მოხერხდებოდა. მართალია, ოსმალეთის მთავრობამ ფორმალური თანხმობა მისცა რუსეთს სამეგრელოს მფარველობაში მიღებაზე, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ იგი გულგრილად შეხვდებოდა რუსთა ჯარის გადასხმას ზღვის სანაპიროზე. ფოთში მდგარმა ოსმალური გარნიზონის უფროსმა რამდენჯერმე უკან გააბრუნა იქ მისული რუსთა გემები, რომელთაც სურსათი მოჰქონდათ. რუსეთის მთავრობის ყოველგვარი ცდა, რომ ფოთის გარნიზონის უფროსი მოესყიდა, მარცხით დასრულდა.[2] მიუხედავად აღნიშნულისა, რუსეთის მთავრობამ ფოთს გვერდი აუარა და მაინც შეძლო თავისი რაზმების გადასხმა ხობის შესართავთან, ყულევში 1804 წლის ოქტომბერში. ეს იყო დიდი ხნის წინათ რუსეთის დიპლომატების მიერ ნანატრი ოცნების ასრულება; რუსეთი ამიერკავკასიას ზღვითაც უკავშირდებოდა, და აქედან იწყებოდა ოსმალეთის საბოლოოდ განდევნა. რუსეთის დიპლომატების აღფრთოვანება გამოუწვევია დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა შემოყვანას იმპერიის მფარველობაში. იმ დროს, როდესაც ციციანოვს დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები რუსეთის მფარველობაში შეჰყავდა და განჯისა და ერევნის სახანოებს იპყრობდა, სამსახურიდან უკვე გადამდგარი, პავლე I-ის ერთგული კარისკაცი გრაფი როსტოპჩინი მას სწერდა: „მოგილოცავ ახალ წარმატებებს; მე მიხარია რომ ჩემი მეგობარი ახორციელებს იმას, რასაც მე ჩემს ოცნებად ვთვლიდი. მე მივეცი დასაბამი ამ საქმეს ქაღალდზე, შენ დაამკვიდრე იგი მიწაზე. პირველი არაფერს ნიშნავს, მეორე კი მნიშვნელოვანია და დიდებული".[3] თუ რა შორსმიმავალ დასკვნებს აკეთებდნენ რუსეთში დასავლეთი საქართველოს და საერთო ზღვისპირეთის დაპყრობაზე, კარგად ჩანს როსტოპჩინის სხვა წერილიდან იმავე ციციანოვისადმი: „შენ თუ წარმატებებს მიაღწევ რუსეთის ქვეშევრდომად იმერეთის შემოყვანაში, ამით არსებით და მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტან როგორც რუსეთს, ისე საქართველოს. ამაზე მეც ბევრი მიფიქრია თავის დროზე, უნდა გამოვტყდე, რომ იგი მიუღწეველ და განუხორციელებელ ოცნებად მი-

---

[1] Акты... т. II, გვ. 545.

[2] იქვე. გვ. 476.

[3] Письма гр. Ростопчина кн. П.Д. Цицианову, изд. Бартеневым, 1872, кн. 2, გვ. 38.

მაჩნია... ეს გზა შეიძლება უფრო საიმედოც კი იქნეს, ვიდრე პოტიომკინის მიერ ტავრიდაზე გაკვალული გზა, ცარგრადისაკენ რომ მიმართა და კარიბჭეზე წააწერა: „გზა სოფიისაკენ".[1]

ცხადია, რუსეთის მთავრობა არ ივიწყებდა აფხაზეთის სამთავროს, რომელსაც შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირზე და დასავლეთ ამიერკავკასიაში სტრატეგიული პოზიცია ეჭირა. აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე ხედავდა რუსეთის აშკარა პოლიტიკურ უპირატესობას და ყოველნაირად ცდილობდა ოსმალეთის ზეგავლენისაგან თავი დაეძვრინა, და ამიტომ 1803 წელს ფარულად ითხოვა რუსეთის მფარველობა. ერთი სიტყვით, 1804 წლის მიწურულისა და 1805 წლის დამდეგიდან უკვე ნათლად ღვივდებოდა რუსეთის კონფლიქტი ოსმალეთთან შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირების გარშემო. რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობას ისიც ართულებდა, რომ აფხაზეთის სამთავროში საკმაოდ ძლიერი ოსმალოფილური პარტია მოქმედებდა.[2] რუსეთი კი ამ პერიოდისათვის ჩაება ნაპოლეონთან ომში. ნაპოლეონი უკვე სპობდა რუსეთის გავლენას ოსმალეთში და უკანასკნელსაც რუსეთის წინააღმდეგ ამზადებდა.[3] ოსმალეთსაც თავის მხრივ რუსეთის წინააღმდეგ საომრად მრავალი მიზეზი ჰქონდა... ნაპოლეონის გაძლიერებითა და ირანთან მიმდინარე ომით გათამამებულმა ოსმალეთმა 1806 წელს რუსეთს ომი გამოუცხადა. თუ რუსეთ-ირანის ომი უფრო მეტად აზერბაიჯანულ და სომხურ ოლქებს შეეხო, ოსმალეთთან ომი ამიერკავკასიის ფრონტზე უმთავრესად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, რუსეთის ომი ოსმალეთთან ასე თუ ისე ქართველი ხალხის ენერგიული მხარდაჭერით მიმდინარეობდა, იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ებრძოდა საუკუნოვან მტერს და ისტორიული მიწა-წყლის დაბრუნებას მოითხოვდა, თუმცა რუსეთის დიდმპყრობელური იმპერია თავის საზღვრებს აფართოებდა... საკმაოდ გაჭიანურდა ბრძოლა ფოთის ციხისათვის, სადაც ქართველთა მონაწილეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა; ასევე დიდი ბრძოლები წარმოებდა ახალციხე-ახალქალაქისა და ყარსის მიმართულებითაც.

1807 წლის 13 ივნისს ტილზიტის ზავთან დაკავშირებით რუსეთ-ოსმალეთს შორისაც ჩამოვარდა ხანმოკლე ზავი; მართალია, რუსეთისათვის ეს შეთანხმება ძალზე მძიმე იყო, მაგრამ მისთვის მისაღები ამჯერად

---

[1] Письма гр. Ростопчина кн. П. Д. Цицианову, изд. Бартеневым, 1872, кн. 2, გვ. 8-9.

[2] Очерки истории Абхазской АССР, I, Сухуми, 1960, გვ. 130-140.

[3] А. З. Манфред, Наполеон Бонапарт, М., 1989, გვ. 417-418.

ის იყო, რომ ნაპოლეონი დიპლომატიურად უარს აცხადებდა ოსმალეთის დახმარებაზე.

1809 წელს ფოთისათვის განახლებულ ბრძოლას გენ. ორბელიანი სარდლობდა. ოსმალური გარნიზონი მედგრად იცავდა თავს, მაგრამ ქართველთა და რუსთა გაერთიანებულმა ჯარებმა გამარჯვება მოიპოვეს. 1809 წლის ნოემბერში ახალციხის ფაშას ფოთის გადასარჩენად 9000 მეომარი მოჰყავდა. ოსმალეთს, როგორც ჩანს, გურიის მთავრის იმედი ჰქონდა და გულდაჯერებით მოდიოდა გურიის ზღვისპირის გაყოლებით ფოთისაკენ. მაგრამ ხალხის სიძულვილი ოსმალო დამპყრობთადმი იმდენად დიდი იყო, რომ მთავარმა გურიელმა ვერ შეძლო მათი მიმხრობა ოსმალთა საშველად. ხალხმა იგი აიძულა და მოხალისეებმა, თვით გურიელის სარდლობით, მოულოდნელად შეუტიეს ოსმალოებს მდინარე მალთაყვასთან და დაამარცხეს, ხოლო 1809 წლის 15 ნოემბერს ფოთიც აიღეს.[1] ამის შემდეგ რუსეთის დიპლომატიის მთავარი ამოცანა იმერეთის „საქმეთა მოგვარება" იყო. ოსმალეთთან ომის ვითარებაში რუსეთის სარდლობას არ შეეძლო დამატებითი ჯარების გადაყვანა იმერეთში. იქ არსებული ძალებით კი სოლომონ მეფის დამარცხება შეუძლებელი იყო. კრიტიკული მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, რუსეთის სარდლობამ მიმართა მეფე-მთავართა ერთიმეორის წინააღმდეგ ამხედრების ნაცად ხერხს. საჭირო გახდა გურიის მთავრის მიმხრობაც. ამ მიზნით გურიელი დააიმედეს, რომ რუსეთის მფარველობაში მიიღებდნენ იმ პირობით, თუ იგი იმერეთის მეფის წინააღმდეგ გამოვიდოდა და მისი ბრძოლა რუსთა სარდლობას იმერეთში დამატებითი ჯარების გაგზავნისაგან იხსნიდა. მართლაც, გურიელმა ოსმალეთთან ნეიტრალური პოზიცია დაიჭირა და სამეგრელოს მთავართან ერთად დიდი დახმარება გაუწია რუსთა ჯარებს იმერეთის დაპყრობაში... 1810 წლის სექტემბრის ბოლოს დამარცხებული სოლომონ მეფე თავის მხლებლებთან და სოლომონ ლიონიძესთან ერთად ახალციხეში გაიქცა,[2] რამაც ერთგვარი სიამოვნება მოჰგვარა ოსმალეთის მხარეს, თუმცა ოსმალო პოლიტიკოსები ხედავდნენ, რომ რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური წარმატებები დღითი-დღე იზრდებოდა დასავლეთ საქართველოში.

ქართლ-კახეთის სახელმწიფოს დაპყრობისა და გაუქმების შემდეგ იმერეთის სამეფოს ანექსია რუსეთის მიერ მორიგი მარცხი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში;[3] მოისპო ეროვნული სახელმწი-

---

1 Акты... т. IV, გვ. 768; Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. V, გვ. 271.

2 ქრონიკები, III, თბ., 1969, შ. ხანთაძისა და გ. ჟორდანიას რედაქციით, გვ. 478.
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973, გვ. 86; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 304.

ფის ეს უკანასკნელი გადმონაშთი, რომელიც ჯერ კიდევ ასულდგმულებდა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლ ძალებს და კვლავ აცოცხლებდა იმედს, რომ თვითმპყრობელური იმპერიის მიერ პატივაყრილი საქართველო თავის ძველ უფლებებს დაიბრუნებდა.

დევნილი იმერთა მეფე სოლომონი საგარეო ძალების დახმარებით ცდილობდა ჩამორთმეული ტახტის დაბრუნებას. იგი ამჯერად სასოწარკვეთილი მიმართავდა ოსმალეთს, ირანს და თვით საფრანგეთსაც დახმარებისათვის. მან ოსმალეთში, სულთნის მთავრობის წინაშე გაგზავნა სპეციალური დიპლომატიური მისია ქაიხოსრო წერეთლის მეთაურობით, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ კარგად მიიღო და დახმარება აღუთქვა.[1]

1810 წლის 18 დეკემბერს გენერალი სიმონოვიჩი სწერდა საქართველოს მთავარსარდალ ტორმასოვს — „სოლომონ მეფე ერევანში გვეგონა, ალექსანდრე ბატონიშვილთან, მაგრამ ის არტაანში აღმოჩნდა. იქიდან ევროპაში კაცები გაუგზავნია და ნაპოლეონს და სულთანს დახმარებას სთხოვსო".[2] ქაიხოსრო წერეთელს სტამბოლში მართლაც ჩაუტანია სოლომონის 1811 წლის 6 იანვრის წერილი ნაპოლეონისადმი. ეს წერილი იქვე უთარგმნიათ ჯერ თურქულად, მერე კი ფრანგულად და პარიზში გაუგზავნიათ. როგორც ჩანს, იმერთა მეფემ და მისმა მრჩევლებმა კარგად იცოდნენ, რომ ნაპოლეონი იმთავითვე, ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მიწურულიდან საქართველოს საკითხებით დაინტერესებული იყო.[3]

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1803 წელს ოსმალეთთან სამშვიდობო ურთიერთობის გამო რუსეთს აფხაზეთის სამთავროს მფარველობაში მიღება არ შეეძლო, მაგრამ ომის გაჩაღების დღიდან (1806 წ.), რა თქმა უნდა, აღნიშნული მიზეზი მოიხსნა. რუსეთი მეტისმეტად დაინტერესებული იყო აფხაზეთის სამთავროს ძალების გამოყენებით ოსმალთა წინააღმდეგ ომში. რუსეთი აფხაზეთის დამორჩილების გზით ფიქრობდა, რომ თავის გავლენას ჩერქეზულ ტომებზეც გაავრცელებდა და სამხრეთით მდებარე საზღვრებთან მშვიდობიანობას დაამყარებდა. ამიტომ იყო, რომ აფხაზეთის გამოგლეჯას ოსმალთა გავლენიდან რუსეთის მთავრობა „ურთულესი საკითხის" გადაჭრად თვლიდა და მისი შემოერთებით იმდენად დაინტერესებული იყო, რომ აფხაზეთის გაოსმალებულ

ქრონიკები. გვ. 476-477.

Акты... т III, გვ. 338.

ა. კიღურაძე. საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული ურთიერთობიდან. „მნათობი". 1971. №1. გვ. 115-116.

მთავარ ქელეშ-ბეი შარვაშიძეს ტყვე ადამიანებით ვაჭრობის უფლებასაც კი უტოვებდა, ოღონდ იგი რუსეთის მორჩილი გამხდარიყო.[1]

რუსეთ-ოსმალეთის ომის ვითარებაში აფხაზეთის მთავართან მოლაპარაკება გაჭიანურდა. თავის მხრივ ოსმალეთსაც არ გამოჰპარვია შარვაშიძის ურთიერთობა რუსეთთან. ოსმალეთმა გამოიყენა შარვაშიძის სამთავრო კარზე არსებული უთანხმოებანი და ქელეშ-ბეგს მის მიერვე ათვალწუნებული შვილი ასლან-ბეგი დაუპირისპირა, ასლან-ბეგმა კი როგორც ოსმალოფილური პარტიის წარმომადგენელმა, 1808 წლის 2 მაისს მოკლა საკუთარი მამა და თავისი ორი უმცროსი ძმაც სიცოცხლეს გამოასალმა. მამის მკვლელმა დაიპყრო სოხუმი და ბრძოლა გაუმართა საფარ-ბეგ შარვაშიძეს (იგივე გიორგი ქრისტიანობაში). მაგრამ აფხაზეთის სამთავროს შემოერთების საქმეში რუსეთის მთავრობას ამ დროს დიდი დახმარება გაუწია სამეგრელოს დროებითმა მმართველმა ნინო დადიანმა, რომლის ასული ცოლად ჰყავდა აფხაზეთის მთავრის მემკვიდრეს გიორგი შარვაშიძეს.[2]

რუსეთის მთავრობისა და დადიანის ცდები, რომ აფხაზეთში ჯარების გადასხმის გარეშე დაემარცხებინათ ასლან-ბეგი და გიორგი გაემთავრებინათ, უშედეგოდ დასრულდა. რუსეთის მთავრობას სამხედრო ძალებით მოუხდა აფხაზეთში ქრისტიანი მთავრის ხელისუფლების აღდგენა და აფხაზეთის შემოერთება. შემდგომში რუსი მოხელეები აღიარებდნენ, რომ აფხაზეთის მთავარი გიორგი რუსეთის ძალებით შექმნილი ხელისუფალი იყო.[3]

1810 წლის ივლისში, როცა იმერეთში დიდი ბრძოლები აღინიშნა, ქალაქ სოხუმს ზღვიდან რუსთა ერთი ბატალიონი უახლოვდებოდა. 10 ივლისს რუსებმა სოხუმიდან გამოდევნეს ოსმალური გარნიზონი და ციხე აიღეს. ვიდრე სოხუმთან ბრძოლა დაიწყებოდა, ასლან-ბეგი, რომელიც სადესანტო ჯარებს არ მოელოდა, თავისი ლაშქრით სამეგრელოს ემუქრებოდა, მაგრამ სოხუმთან ბრძოლის დაწყების შესახებ ამბების გაგებისთანავე იგი უკან გაბრუნდა, მაგრამ ქალაქი აღებული დაუხვდა. 1810 წლის ოქტომბერში გიორგი შარვაშიძე სოხუმში ჩავიდა. მან რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა. შარვაშიძე, ისე როგორც დადიანი და გურიელი, ოსმალეთის პოლიტიკური სფეროდან გამოვიდა და ამიერიდან რუსეთის მთავრობის ხელდებული და მისი პოლიტიკის გამტარებელი მმართველი ხდებოდა.

---

1 Крок. О состоянии Мингрелии и Абхазии. ЦГИА Ленинграда ф. 1268, д 7, გვ 14-15.

2 ЦГИА Ленинграда, ф. 1268, д. 7, лл. 17-18.

3 იქვე. ფურცელი 28.

რუსეთის იმპერიის დიპლომატები ოსტატურად იყენებდნენ ქართველი ხალხის სწრაფვას დაკარგული ისტორიული მიწების დაბრუნებისათვის. XIX საუკუნის პირველი ათწლეულიდანვე გახშირდა მოწოდებები იმის შესახებ, რომ რომანოვთა სახელმწიფო თითქოს საქართველოს უბრუნებდა ოსმალთა მიერ მიტაცებულ ქართულ პროვინციებს (სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და ა. შ.). რა თქმა უნდა, ქართველმა საზოგადოებამ კარგად იცოდა, რომ რუსეთი თავისი იმპერიის საზღვრებს აფართოებდა ამიერკავკასიაში, მაგრამ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ოსმალთაგან განთავისუფლება, რა ფორმითაც არ უნდა წარმართულიყო ის, ობიექტურად ქართველი ხალხის ინტერესებსაც უპასუხებდა. ამით აიხსნებოდა, რომ იმპერიული ძალების მომხრე ქართულმა არისტოკრატიამ რუს სამხედრო და დიპლომატიურ მოხელეთა მხარდაჭერით, ნებით თუ იძულების გზით, ფართო მასების დიდი ნაწილი რუსეთის საგარეო ომებში ჩააბა, რომელსაც თავისი იდეური საფუძვლები ჰქონდა. 1804-13 წლებში რუსეთის იმპერიის საერთაშორისო მდგომარეობა უაღრესად მძიმე იყო. იგი ორ ფრონტზე იბრძოდა — ნაპოლეონის წინააღმდეგ დასავლეთში და ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ აღმოსავლეთში. კიდევ ერთი „ფრონტი" რუსეთს ახალდაპყრობილ საქართველოში ჰქონდა, სადაც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არ ცხრებოდა.

რუსთა რეგულარულ ჯარებთან ერთად ქართველები წარმატებით იბრძოდნენ ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ დროს ქართველთა ლაშქარმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ოსმალთა ბატონობისაგან ქალაქ ფოთის განთავისუფლებაში; ქართველები მონაწილეობდნენ აგრეთვე რუსთა სამხედრო ექსპედიციებში ახალციხის, ახალქალაქისა და სოხუმის გასათავისუფლებლად...

1812 წლის მაისში, ბუქარესტში დაიდო რუსეთისათვის პოლიტიკურად და დიპლომატიურად მომგებიანი საზავო ხელშეკრულება. ოსმალეთთან ზავით, გარდა იმისა, რომ რუსეთმა ბესარაბია შეიერთა და რამდენადმე შეისვენა კიდეც, ნაპოლეონის ფართომასშტაბიანი შემოტევის საწინააღმდეგო სამზადისიც ჩაატარა.

ბუქარესტის ზავის VI მუხლის საფუძველზე ამიერკავკასიაში რუსეთს ოსმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა იმჟერად ომითა და იარაღით დაპყრობილი ტერიტორიები.[1] ეს მუხლი საშუალებას აძლევდა რუსეთს, თავის მფლობელობაში შეენარჩუნებინა „ნებაყოფლობით" შემოერთებული დასავლეთი საქართველოს სამთავროები და უარი ეთქვა ოსმალეთისათვის სოხუმის დაბრუნებაზე. ხელშეკრულების საიდუმლო

1 Договоры России с Востоком, сост. Т. Юзефович, СПб., 1869, გვ. 53.

მუხლის მიხედვით, რუსეთის „სარგებლობაში“ გადადიოდა შავი ზღვის სანაპირო, დაწყებული მდინარე ბზიფიდან, მდინარე რიონამდე. ფაქტობრივად კი რუსეთის გამგებლობაში ექცეოდა საქართველოს ზღვის ნაპირი ბზიფიდან მდინარე ჩოლოქამდე და ამ სანაპიროზე მდებარე ნავმისადგომები: სოხუმი, ყულევი და შეკვეთილი.[1] მაგრამ აღნიშნული ზავის მიხედვით, რუსეთი იძულებული გახდა ოსმალეთისათვის დაებრუნებინა ქალაქები ფოთი და ახალქალაქი, რომლებიც რუსთა ჯარებმა 1811 წლის 8 დეკემბერს აიღეს. ეს ქალაქები, დროებით, მაგრამ კვლავ იქცეოდნენ ტყვეებით მოვაჭრე ოსმალთა სათარეშო ასპარეზად.

რა თქმა უნდა, ბუქარესტის ზავით ვერ დამყარდა მშვიდობიანი ურთიერთობა რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ეს უკანასკნელი ამიერკავკასიაში დასავლეთ საქართველოზე პრეტენზიებს აცხადებდა და აღნიშნული ზავის პირობებზე დაყრდნობით მოითხოვდა რუსეთის მიერ ამ ქვეყნის დაცლას და დატოვებას.[2] მაგრამ საქართველოსა და ამიერკავკასიის მთავარმმართველი გენერალი რტიშჩევი დიპლომატიურად პასუხობდა ოსმალეთის მხარეს, რომ დასავლეთი საქართველო რუსეთს მიერთებული ჰქონდა მანამდე, ვიდრე ამ ორ ქვეყანას შორის ომი დაიწყებოდა. მიუხედავად ამისა, ოსმალეთი ხელს არ იღებდა თავის პრეტენზიებზე. განსაკუთრებით აღშფოთებული იყო სოხუმის დაბრუნებაზე უარის მიღების გამო. ოსმალეთი ანგარიშს არ უწევდა რუსეთის მფარველობაში ნებაყოფლობით გადასული შარვაშიძის უფლებებს სოხუმზე და მას თავისად აცხადებდა.[3]

ოსმალეთმა, რაკი ნებით ვერაფერი გამოუვიდა, დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში რუსეთის მფლობელობის წინააღმდეგ საიდუმლო, ძირგამომთხრელი საქმიანობა დაიწყო. იგი თავის აგენტურას გზავნიდა სამეგრელო-გურია-აფხაზეთში, აჯანყებდა ნოღაელებსა და ყაბარდოელებს და ქართველ მთავრებს სულთანის ერთგულებისა და მფარველობისაკენ მოუწოდებდა.

სულთანის აგენტები განხეთქილებას თესდნენ აფხაზეთ-სამურზაყანოში, ზურგს უმაგრებდნენ ოჯახის მოღალატე და მამისმკვლელ ასლანბეგ შარვაშიძეს, რომელსაც მთავარ გიორგის წინააღმდეგ ამხედრებდნენ. ოსმალეთი ძალითაც ცდილობდა სოხუმისა და ყულევის დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ, იგი მხარდამჭერას ვერ პოულობდა. ოსმალეთის ბატონობა შერყეული იყო აჭარაშიც, სადაც ახალციხის ყოფილი ფაშა

---

1 Договоры России с Востоком, сост. Т. Юзефович, СПб., 1869, გვ. 54-55.
2 Акты... т. V, გვ. 496.
ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოცემა თბ., 1962, გვ. 203.

სელიმ ხიმშიაშვილი გამაგრდა და სულთანის მთავრობას არ ცნობდა.[1] ოსმალეთის პრეტენზიები რამდენადმე შენელდა მაშინ, როცა 1814 წლის 31 მარტს მოკავშირეებმა პარიზი აიღეს და ნაპოლეონის იმპერია საბოლოოდ გაანადგურეს. 1815 წელს ელბის კუნძულიდან ნაპოლეონის გაქცევამ და მისმა წარმატებამ ოსმალეთს კვლავ განუახლა იმედები. ტრაპიზონის ჯარების მთავარსარდალი მრავალრიცხოვანი ჯარით დასავლეთ საქართველოს მოუახლოვდა, მაგრამ ამჯერად ოსმალებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ სელიმ ხიმშიაშვილი, აჭარის საქართველოსთან შეერთების ენერგიული მომხრე, შეიპყრეს, თავი მოჰკვეთეს და აჭარაში თავიანთი მფლობელობა განამტკიცეს. ამასობაში ნაპოლეონიც საბოლოოდ დამარცხდა, ტრაპიზონის ახლოს ამბოხებაც დაიწყო და ოსმალებმა თავის პრეტენზიებზე დროებით ხელი აიღეს.[2]

რუსეთისა და ოსმალეთის პოლიტიკური და დიპლომატიური ჭიდილი შემდგომშიც გრძელდებოდა საქართველოს გამო. ცნობილია, რომ ისტორიული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა, XVI საუკუნიდან მოყოლებული, ოსმალეთის სახელმწიფოს უღელქვეშ იყო მოქცეული, იძულებით გაოსმალებული ქართველები ფარულად თუ აშკარად არ წყვეტდნენ საუკუნეების მანძილზე ბრძოლას დედასამშობლოსთან შეერთებისათვის. 1806-13 წლების ომის დროს ახალციხისათვის ბრძოლას შედეგი არ მოუტანია; ახლა კი, როცა რუსეთმა 1828 წელს ირანთან ომი დაასრულა და იწყებოდა ახალი ომი ოსმალეთთან, კვლავაც იქმნებოდა შესაძლებლობა საქართველოს ისტორიული მიწების შემოერთებისათვის. რუსეთის მთავრობაც ოსმალებთან ომებში, როგორც ზემოთ ითქვა, მარჯვედ იყენებდა ქართველი ხალხის კანონიერ პრეტენზიებს თავის ისტორიულ მიწა-წყალზე.

ყოფილი სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი ამ დროს ოსმალეთის სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ „ახალციხის საფაშოში" ერთიანდებოდა. ამ საფაშოს შემოერთება რუსეთს დიდად აინტერესებდა, რადგან იგი წარმოადგენდა ოსმალეთის აგრესიის პლაცდარმს ამიერკავკასიაში. საქართველოში რუსეთის დამკვიდრების დღიდან ახალციხე გადაიქცა ოსმალეთის ანტირუსული საქმიანობის დედაბუდედ, აქედან უსევდნენ ოსმალები ქართლ-კახეთს ქურდულ-ავაზაკურ რაზმებს. ამავე დროს ახალციხეს პირდაპირი კავშირი ჰქონდა ჭართან და დაღესტანთან.

1828-29 წლების რუსეთ-ოსმალეთის მიმდინარე ომში რუსთა და ქართველთა პირველი დარტყმები მიიღო ფოთმა, ყარსმა და ახალციხე-

---

[1] Н. Дубровин, История войны и владыч. русских..., VII, გვ. 150.
[2] იქვე. გვ. 153.

ახალქალაქმა.[1] ახალციხის განთავისუფლებას არა მხოლოდ სიმბოლურ-პოლიტიკური, არამედ დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა; დიდი აღტაცებით შეხვდნენ ახალციხის განთავისუფლებას ოსმალთა ბატონობაში მყოფი არტანუჯელი ქართველი ქრისტიანებიც, რომლებმაც მთავარსარდალ პასკევიჩს მილოცვა გაუგზავნეს და არტანუჯის გამოხსნის დაჩქარება სთხოვეს.

ფოთის აღების, ლიმანისა და კინტრიშის ბრძოლების შემდეგ, რუს-ქართველთა ჯარებმა აიღეს ყარსის ბაიაზეთის და ერზრუმის საფაშოები. 1829 წლის გაზაფხულზე ტრაპეზუნტის მიმართულებით მიმდინარე ბრძოლების დროს, როცა აჭარა და ბათუმი წინწასული რაზმების ზურგში რჩებოდა, გენერალმა გესემ მოაწყო სამხედრო ექსპედიცია აჭარაში, მაგრამ ეს ექსპედიცია მოეწყო სათანადო მომზადებისა და ცალკე მოქმედ სამხედრო ნაწილებთან შეთანხმების გარეშე.[2] ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ამჯერად ქვემო გურიისა და აჭარის შემოერთების ცდები მარცხით დასრულდა. ევროპელი დიპლომატი-კონსულტანტები სულთანის მთავრობას ზავის დაჩქარებას ურჩევდნენ... 1829 წლის 14 სექტემბერს ადრიანოპოლში დადებული ზავის მიხედვით რუსეთმა სხვა წარმატებებთან ერთად შეიერთა ძველი ქართული ქალაქები: ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი. სამცხე-საათაბაგოს ერთი მცირე ნაწილი კვლავ საქართველოსთან ერთად რუსეთის მფლობელობაში გაერთიანდა. შემოერთებული ტერიტორია მოიცავდა ახალციხის, ასპინძის, აწყურის, ხერთვისის, ქვაბლიანის, აბასთუმნის და ჭაჭარაქის სანჯაყებს.[3]

ომის პროცესში ოსმალური პროპაგანდისა და თვით რუსეთის „ქრისტიანული" დიპლომატიის შედეგად აღნიშნულ რაიონებში მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი (გამუსლიმანებული) ოსმალეთში გადასახლდა. ისტორიული სამართლიანობა მოითხოვდა, რომ იმხანად ახალციხის მაზრაში განთავისუფლებული ადგილები დაებრუნებინათ ქართული მოსახლეობისათვის, რომელსაც საცხოვრებელი საკმაო მიწები არ გააჩნდა. ამის შესახებ მიუთითებდა სწორედ ივ. ჯავახიშვილი გვიან, XX საუკუნეში საბჭოთა მთავრობას: „1828 წლითგან მოყოლებული — წერდა ივ. ჯავახიშვილი — როდესაც ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკლიო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა თავიანთი მამაპაპეული სამო-

---

[1] Утверждение русского владычества на Кавказе, Тиф., 1897, т. IV, გვ. 133-134.
[2] იქვე, გვ. 138; Акты... т. VII, გვ. 778-79.
[3] საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 417, ს. 6, ფურც. 110-111.

სახლოთაგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს,[1] გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხთ იმერეთიდან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთაგან 30 ათასი მცხოვრები ჩაასახლა... მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველი მოსახლეობა 90%-ს აღემატებოდა, 1830 წელს უკვე, რუს მოსახლეთა წყალობით, უმრავლესობად სომეხნი იქცნენ".[2]

მართლაც, ახალშექმნილ „ახალციხის ოლქში" 1830 წელს მცხოვრებ 32730 სულიდან 25545 სომეხი იყო, ქრისტიანი ქართველი – 1859, ხოლო მაჰმადიანი – 10663. იქვე სახლდებოდნენ ბერძნები და ებრაელები.[3]

ოსმალეთთან ომის დამთავრებისა და ზავის დადების შემდეგ იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა გამოსცა მანიფესტი, სადაც აღნიშნული იყო: „ბერძენთა დაღვრილი სისხლი ანაზღაურებულია ჩვენი იმპერიისათვის მნიშვნელოვანი სარგებლიანობით. დარდანელი და ბოსფორი გახსნილია ყველა მოვაჭრე სახელმწიფოსათვის. რუსეთის საზღვრების ხელუხლებლობა დაცულია განსაკუთრებით აზიიდან ისეთი ციხე-ქალაქების შემოერთებით, როგორიცაა, ანაპა, ფოთი, ახალციხე, აწყური და ახალქალაქი".[4]

ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებამ დაადასტურა რუსეთის იმპერიის მორიგი პოლიტიკური გამარჯვება ამიერკავკასიაში. ოსმალეთი საბოლოოდ განდევნილ იქნა მდინარე ყუბანსა და მდ. ჩოლოქს შუა მდებარე შავი ზღვის ნაპირებიდან. რუსეთისათვის გაიხსნა შავ ზღვაზე მიმოსვლა ბოსფორის გავლით. ოსმალეთს დიდძალი კონტრიბუციის გადახდა დაეკისრა. მაგრამ ისტორიული კონფლიქტი რუსეთსა და ოსმალეთს შორის საქართველოსათვის ამით არ დამთავრებულა. პოლიტიკური და დიპლომატიური მოვლენები კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით განვითარდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

---

1 А. Потто, Кавказская война, СПб., 1902, т. IV, გვ. 404-07.
2 საქ. რესპუბლიკის ცენტრ. ისტ. არქივი, ფონდი 417, ს. 6, ფურც. 110-111.
3 А. Потто, Кавказская война, გვ. 420.
4 Газ. "Тифлисские ведомости", №41, 1829, Потто, Кавказская война, т. IV, გვ. 407.

## 2. საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა ასპექტში XIX საუკუნის 50-70-იან წლებში

1829 წლის 2 სექტემბერს რუსეთსა და ოსმალეთს შორის საომარი მოქმედების შემდეგ ადრიანოპოლის ხელშეკრულება დაიდო. ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიამ მაშინ „მომრიგებელი მოსამართლის“ როლი შეასრულა და ამით რუსეთს საკმაოდ დიდი დათმობებისკენაც უბიძგა. რუსეთს დარჩა დუნაის შესართავის ნაპირები, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო მდ. ყუბანიდან მდ. ჩოლოქამდე, ანაპა, ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი. ამავე დროს ეს ხელშეკრულება ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიის მარცხს გამოხატავდა. პეტერბურგის „მესია“ ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ხალხებს „განმათავისუფლებლად“ მოევლინა. 1828-29 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში მიუხედავად წარმატებისა და თურქეთის მიერ ადრე მიტაცებული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნებისა, აჭარა, ქანეთი და ბათუმის ოლქი კვლავ ოსმალეთის ხელში რჩებოდა. ოსმალეთმა შეძლო ამჯერად და საკმაოდ დიდხანს ბათუმის შენარჩუნება. თურქეთისა და მისი სამხედრო მოკავშირეებისათვის ბათუმი კვლავ ინარჩუნებდა თავის ძველ მნიშვნელობას; ცხადია, ხელსაყრელი მომენტის დადგომის შემთხვევაში მტერი უსათუოდ აქედან შეეცდებოდა დასავლეთ საქართველოზე გამოლაშქრებას; მართლაც, არ გასულა დიდი ხანი და ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ადრიანოპოლის ხელშეკრულება ხანგრძლივი მშვიდობის დამამყარებელი ხელშეკრულება არ იყო. იგი ინგლის-საფრანგეთისა და თურქეთისათვის კრიტიკული მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, დროის მოსაგებად გადადგმული ნაბიჯი იყო. ამ ხელშეკრულებით რუსეთი კიდევ უფრო ძლიერი და საშიში ძალა ხდებოდა მსოფლიოში პირველობისათვის მებრძოლ სახელმწიფოთ შორის.[1] ინგლისი ამჯერად რუსეთისათვის ყველაზე უფრო სერიოზული მოწინააღმდეგე იყო, რადგან საფრანგეთი, ავსტრია და პრუსია ომებითა და რევოლუციებით დასუსტებულნი, მხოლოდ ახლა ითქვამდნენ სულს. თავის მხრივ ინგლისი კარგად ხედავდა აზიური „არწივისაგან“ მოსალოდნელი საფრთხის სერიოზულობას; ბოსფორისა და დარდანელის ხელში ჩაგდება ინგლისს აგრეთვე გზას გაუხსნიდა შავი ზღვისაკენ, ბათუმისაკენ და აქედან მთელი კასპიისპირეთის, წინა და შუა აზიის სატრანზიტო და სავაჭრო გზებისაკენ. მოწინააღმდეგე მხარეებმა ჩინებულად იცოდნენ, რომ კასპიის ზღვასთან მისვლა მხოლოდ შავი ზღვით შეიძლებოდა. ინგლისი პირველი გადავი-

[1] Лукиановичь, Описание турецкой войны 1828 и 1829 годов, ч. 2, СПб., 1844, გვ. 129; А. Потто, Кавказская война, გვ. 118; Акты, т. VIII, გვ. 325.

და შეტევაზე რუსეთის წინააღმდეგ. 1841 წელს ლონდონის კონვენციით ინგლისმა და საფრანგეთმა მიაღწიეს იმას, რომ რუსეთს დაუხშეს გზა ბოსფორსა და დარდანელში. მათ იცოდნენ, რომ შავი ზღვის „მკვდარ ზღვად" გადაქცევას რუსეთი ვერ შეურიგდებოდა. საქართველოს როლი მომწიფებულ კონფლიქტში სრულიად განსაკუთრებული იყო. შემთხვევითი არ იყო ის, რომ ინგლისის საგარეო პოლიტიკის გამოჩენილი ხელმძღვანელი, აღმოსავლეთი ომის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი ლორდი პალმერსტონი 1854 წელს წინადადებას იძლეოდა, ჯარები გადაესხათ არა ყირიმის ნახევარკუნძულზე, არა სევასტოპოლში, არამედ საქართველოს სანაპიროზე[1] და ხოლოდ ნაპოლეონ III-ის ენერგიულმა წინააღმდეგობამ შეაცვლევინა ინგლისს მისი პირვანდელი ტაქტიკური გეზი. აქ პირველად გამომჟღავნდა ის ბზარი, რომელიც მალე დაუსრულებელ მტრობად და ქიშპობად გადაიქცა ევროპელ მოკავშირეებს შორის.

რუსეთის წინააღმდეგ ევროპული კოალიცია დგებოდა, ჯერ კიდევ ყირიმის ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, როდესაც ინგლისელი და თურქი მზვერავები გულდასმით სწავლობდენ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებს და განსაკუთრებით კი საქართველოს ნაპირებს.[2] ომის დასაწყისში კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვი სამხედრო მინისტრს სწერდა: ‚ჩვენმა მზვერავმა სოფელ ქაქუთში (ამჟამად ქობულეთის რაიონი) ნახა ერთი ემიგრანტი, რომელიც დურბინდით ათვალიერებდა ჩვენს ზოგიერთ პოზიციას, განსაკუთრებით ჩვენს მთავარ ოზურგეთის პოზიციას — ექადიის სიმაღლეებს, სადაც ავაგეთ დროებითი სიმაგრე. შემოწმებისას ემიგრანტმა განაცხადა, რომ დამხმარე ძალების მოსვლის შემდეგ მას განზრახული აქვს რეგულარული ქვეითი ჯარის ათი ბატალიონით და 15 ქვემეხით დაიკავოს აღნიშნული პოზიცია".[3]

ომის დროს თურქები და ინგლისელები მაქსიმალურად იყენებდნენ ბათუმსა და მის მიდამოებს თავიანთი ჯარის შესავსებად და სურსათ-სანოვაგით მოსამარაგებლად. ისინი ცდილობდნენ, რომ გურიისა და სამეგრელოს მოსახლეობა აემხედრებინათ რუსეთის წინააღმდეგ. ქობულეთში მყოფმა ინგლის-საფრანგეთის რეზიდენტებმა გურულებისა და მეგრელების გადმობირების მიზნით, თურქებს არა თუ არ მიაყენეს შეურაცხყოფა, არამედ მოამარაგეს ბათუმში შემოზიდული დიდძალი სურსათ-სანოვაგით.

---

1 Е. Тарле, Крымская война, т. I, 1950, გვ. 301; История дипломатии, т. II, М., 1945, გვ. 3-5.

2 Акты, т. 10, გვ. 698.

3 სრცია, ფონდი, 1087, საქ. 472, ფურც. 533.

გაიცა ბრძანება თურქეთის მიერ წაყვანილი ტყვეების სამშობლოში დაბრუნების შესახებ და ბევრი მათგანი კიდეც დაბრუნდა.[1] რა თქმა უნდა, ინგლისელთა ეს საქციელი ჰუმანიზმის შედეგი არ ყოფილა; თურქეთის საექსპედიციო არმიის მთავარსარდალი ომერ-ფაშა ინგლის-საფრანგეთის აგენტურის მითითებით ავრცელებდა პროკლამაციებს, რომლითაც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებდნენ, შეერთებოდნენ თურქებს. ამავე დროს, ომერ-ფაშას და შამილს შორის ცხოველი ურთიერთობა დამყარდა. როგორც ირკვევა, ინგლის-საფრანგეთის აგენტურამ აჭარის მაჰმადიანურ მოსახლეობაში პოლიტიკური აგიტაციის გაშლა შამილს დააკისრა. შამილს ყირიმის ომის დროს აჭარაში ხშირად მიუვლინა თავისი კაცები, რომლებიც სოფელ-სოფელ დადიოდნენ და ხალხს „გიაურების" წინააღმდეგ საღვთო ომისაკენ მოუწოდებდნენ. საქმე ის იყო, რომ შამილის აგენტების აგიტაციამ აჭარელ მოსახლეობაში პოპულარობა ვერ პოვა, რადგან თვით შიგა საქართველოს (გურია, იმერეთი, სამეგრელო) მოსახლეობაც, მიუხედავად იმისა, რომ მან რუსული კოლონიური რეჟიმის სუსხი იცოდა, ზიზღით უყურებდა და „ისტორიული კუთხით აფასებდა მაჰმადიანურ სახელმწიფოთა მტრულ გარემოცვას. ამიტომ მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთსულოვნად ირაზმებოდა მტრის ურდოების წინააღმდეგ. არასრული ცნობებით მხოლოდ გურიის მილიციაში ჩარიცხულთა რაოდენობა 1853 წელს 3 ათას კაცს აღწევდა, ხოლო თბილისის გუბერნიაში გაწვეული იყო 2930 ქვეითი და 800 ცხენოსანი; აქვე 1854 წელს გაწვეული იყო 11134 ქვეითი და 1850 ცხენოსანი, 1855 წელს 6495 ქვეითი და 500 ცხენოსანი მებრძოლი.[2] თურქეთის წინააღმდეგ სახალხო მილიციაში მონაწილეობა მიუღიათ თუშ-ფშავ-ხევსურების ცხენოსან რაზმელებსაც.[3]

დასავლეთი საქართველოს მოსახლეობის იმედი თურქებს მაინცდამაინც არ უნდა ჰქონოდათ. ისინი უმთავრესად შინაგან ძალებს უნდა დაყრდნობოდნენ. ამიტომ იყო, რომ თურქებმა ყარსში თავი მოუყარეს ანატოლიის არმიის ძირითად ძალებს, ამავე დროს ბათუმში იწყება შავი ზღვის სანაპიროზე ცალკეული კორპუსების ფორმირება ევროპელ მოკავშირეთა მონაწილეობით. ბათუმის მიმართულებით თურქები დროებით თავდაცვაზე გადავიდნენ. ახლა მტერმა რუსებს ახალციხიდან შემოუტია 1853 წლის ნოემბერში. ალიფაშას არმია ყარსიდან გამოემართა გენერალ ივანე ანდრონიკაშვილის შენაერთის შესახვედრად.

---

1 Акты, т. XI, გვ. 189.

2 Акты, т. XII, გვ. 10.

3 Батум и его окрестности, Тиф., 1906, გვ. 138.

მტრის დაზვერვა და ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიური წრეები მოითხოვდნენ ახალ შევსებას ყარსიდან, არტაანიდან და აჭარიდან. გენერალ ანდრონიკაშვილის აზრით კი, ასეთ პირობებში დაყოვნება მტრისათვის იქნებოდა სასარგებლო და ამიტომ ბრძანება გასცა, არტილერიითა და ხიშტით გადასულიყვნენ იერიშზე ორნახევარჯერ ნაკლები ჯარით.[1] რუს-ქართველთა ჯარების ეს ბრწყინვალე ოპერაცია მაშინვე საერთაშორისო პოლიტიკის მიმომხილველთა საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. ენგელსი წერდა: გენერალ ანდრონიკაშვილის კორპუსმა გაათავისუფლა ალყაშემორტყმული ახალციხე და დაამარცხა მტერი გაშლილ ველზე ამ ქალაქის ახლოს. ყარსის მიმართულებით რუსეთის შემტევ ჯარებს დიდი წარმატებები ჰქონდათ. ბაშკადიკლარში თურქები სასტიკად დამარცხდნენ და მორალურად იქნენ გატეხილნი. ასევე მარცხდებოდა მათი დიპლომატიაც.[2]

ნიკოლოზ I, რომელიც დიდი გატაცებით ადევნებდა თვალყურს კავკასიის ჯარების ოპერაციებს, თავად ვორონცოვს უბრძანებდა — დაუყოვნებლივ დაწყებულიყო ერთდროული შეტევა ყარსისა და ბათუმის მიმართულებით, მაგრამ გაცილებით უფრო ადვილი იყო ასეთი ბრძანების გაცემა, ვიდრე მისი შესრულება.[3] ვორონცოვმა იცოდა, რომ ბათუმის გარშემო მტრის დიდი ძალები იყო დაჯგუფებული. მან ჩვეული დიპლომატიური მანევრებით დაიყოლია იმპერატორი და ნაჩქარევი იერიშებისაგან თავი შეიკავა. ფრონტზე შექმნილმა მდგომარეობამ სავსებით დაადასტურა ვორონცოვის მოსაზრების სისწორე.

1855 წელს რუსეთის არმიამ ყარსის ციხესიმაგრეში მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგე ძლიერ მარწუხებში მოამწყვდია. მდგომარეობის გამოსასწორებლად თურქთმა ინგლისელთა დახმარებით ზღვიდან აფხაზეთში მრავალრიცხოვანი დესანტი გადმოსხა და იქიდან კოლხეთის ველებს შეუსია. ამიერიდან ბრძოლის მთავარი ასპარეზი ერთი მხრივ ყარსი, ხოლო მეორე მხრივ სამეგრელოს ტერიტორია გახდა; ბათუმის მიმართულებით ბრძოლებმა დაკარგა თავისი უწინდელი მნიშვნელობა. გურიის მიმართულებით დაბანაკებული მუსტაფა-ფაშას ჯარი პოზიციურ თავდაცვით ბრძოლებზე გადავიდა, ბათუმი ომერ ფაშასათვის მხოლოდ დასაყრდენი და სურსათ-სანოვაგით და ჯარით შემავსებელი ბაზა ხდებოდა. ირკვევა, რომ თურქებს ბათუმიდან საქართველოში პირდაპირ შეჭრის ფართო გეგმა ჰქონდათ შემუშავებული, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანიათ. ეს კარგად ჩანს აფხაზეთის მთავ-

---

[1] Е. Тарле, Крымская война, т. I, 1950, გვ. 301
[2] К. Маркс и Ф. Энгельс, т. IX, 1933, გვ. 591.
[3] Е. Тарле, Крымская война, გვ. 299.

რის მიხეილ შარვაშიძის მიერ ვ. ბებუთოვისადმი გაგზავნილი წერილიდან: „მაისის თვეში (1855) წელსა შემოველ რა სამთავროსა შინა ჩემსა, თვით იმა დღესა, რომელსაცა შემოუვალ ოჩამჩირეს, წაიყვანეს სოხუმიდან პარახოდით 500 თავადნი და აზნაურნი აფხაზეთისა და წებელდისაგან და რაოდენიმე სამურზაყანოელიცა. ამათ რიცხვში ერივნენ გამოცხადებულ რეკრუტად 120 კაცი. ესენი მიჰყავდათ იმ აზრით, რომელ მათ შემდეგ კვალად უნდა შეეკრიბათ რეკრუტები 1500 აფხაზეთისა წებელდისა და სამურზაყანოსაგან, 250 ჯიქეთისაგან და 1500 უბისისაგან. გავეც რა განკარგულება ესე მათი, დაუყოვნებლივ გავგზავნე სანდო კაცი ბათუმსა და შევუთვალე თავკაცებს, რომელ მე უკვე შემოვიქეც აფხაზეთში და ისინი დაუყოვნებლივ მოსვლას ეცადნონ. გაიგონეს რა ჩემი შემოთვლილება, მაშინვე ერთპირად გამოუცხადეს მუსირ მუსტაფა ფაშას, რომელ მთავარნი ჩვენი მოსულა აფხაზეთში და უსათუოდ უნდა წავიდნენ მასთან სანახავადო. ფაშამ პირველი უარი უყო, გარნა ნახა შფოთობდნენ, წამოიყვანა და თვითცა მოვიდა სოხუმს".[1]

თურქეთის ნაწილები ადგილობრივი მოსახლეობის მრისხანე წინააღმდეგობას პირველი წააწყდნენ და წარმატების შემდეგ კუს ნაბიჯით მიიწევდნენ წინ. თვით ევროპელი სამხედრო სპეციალისტებიც დიდი ირონიით უთვალთვალებდნენ თურქებისაგან თბილისის მუქარის ცდას. გერმანელმა სამხედრო ისტორიკოსმა ფონ რიუსტოვმა გამოიანგარიშა, რომ ომერ ფაშა მიიწევდა სამეგრელოში, საშუალო სიჩქარით 1000 ნაბიჯი დღეში, და ასეთი ტემპით მან დაიწყო მოძრაობა თბილისისაკენ. ამგვარი სიჩქარით ომერ ფაშას შეეძლო მისულიყო თბილისამდე წელიწადნახევრის შემდეგ. ცხადია, ეს ცნობილი იყო ფონ რიუსტოვისათვის.[2] ოსმალებს წარმატება ვერ მოუპოვა ინგლის-საფრანგეთის საზღვაო ფლოტის მიერ ყულევის ნავსადგურის დაბომბვამ და ვერც ნაწილნაწილად მიწოდებულმა ინგლისურმა სტერლინგებმა. აქვე გვინდა აღენიშნოთ, რომ ჯერ კიდევ 1854 წლის 8 მაისს ინგლის-საფრანგეთის ფლოტმა სასტიკად დაბომბა რეუტ-კალე (ყულევი). ინგლისელები მოთმინებიდან იყვნენ გამოსული იმის გამო, რომ რუსეთმა მათ ყულევის ნავსადგური ფაქტობრივად XIX ს-ის 20-იანი წლებიდან ჩაუკეტა, ამის შემდეგ ყოველწლიურად საგარეო ვაჭრობის ზარალს ინგლისელები 3 მილიონამდე სტერლინგით ვარაუდობდნენ.[3]

რუსეთთან ომმა თურქეთი სულ ერთიანად გააკოტრა. უკვე 1855 წლის ივნისში პალმერსტონმა პარლამენტს მოახსენა, რომ თურქეთი

---

1 საქ. რესპ. ც. ია. ფონდი 10, საქ. 42, ფურც., 160-162.

2 Е. Тарле, Крымская война, т. II, გვ. 536.

3 А. Фадеев, Краткий очерк истории Абхазии, ч. I, Сухуми, 1934, გვ. 134.

ფინანსურ ჩიხშია მოქცეული და ყველა მისი შემდგომი ოპერაცია დამოკიდებულია იმაზე, მიიღებს თუ არა ის ამჟამად ფულს ინგლისისაგან. პარლამენტმა პრემიერმინისტრის წარდგინება დაამტკიცა და 1855 წლის აგვისტოში ოფიციალურად გამოქვეყნდა ცნობა თურქეთისათვის სესხის მიცემის შესახებ, მაგრამ თურქეთისათვის ნებადართული 5 მლნ გირვანქა სტერლინგიდან გაღებულ იქნა მხოლოდ ორი მილიონი, ისიც ნაწილ-ნაწილ (100 ათასი გირ. სტერლინგი).[1] ერთი რამ ცხადია: მე-19 ს-ის 50-იან წლებში რუსეთის იმპერიამ, როგორც იქნა, თავი დააღწია საქართველოსა და ამიერკავკასიის დაკარგვის საფრთხეს, მაგრამ ეს მოხდა ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების ენერგიული მხარდაჭერის შედეგად...

ყირიმის ომის შედეგად რუსეთისათვის ძალზე არა ხელსაყრელი ტრაქტატი (ზავი) დაიდო. ეს ყველანაირად ბოჭავდა რუსეთის ეკონომიკურ და საგარეო პოლიტიკურ განვითარებას; ბუნებრივია, რომ რუსეთი, როგორც კი მას მიეცემოდა შესაძლებლობა, კანონგარეშე გამოაცხადებდა მისთვის არახელსაყრელ ხელშეკრულებას.[2] ასეც მოხდა. თითქმის 15 წლის შემდეგ 1870-81 წლებში პრუსიასთან საფრანგეთის დამარცხება რუსეთს აშკარად ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა პარიზის ტრაქტატის გასაუქმებლად. იმპერიის დიპლომატებმა არ დააყოვნეს და ოფიციალურად გამოაქვეყნეს ცნობა, რომ რუსეთი სავალდებულოდ არ ცნობდა ხელშეკრულების იმ მუხლებს, რომლებიც ზღუდავდა შავ ზღვაზე მის უფლებებს. ამის საპასუხოდ ინგლისმა რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის თურქეთის მომზადება დაიწყო და სერბიის წინააღმდეგ ისევ შეტევაზე გადავიდა. თურქეთმა აგრეთვე უარყო ლონდონის კონფერენციის ოქმი, რომელიც ბალკანეთის კონფლიქტის უომრად მოწესრიგებას შეეხებოდა. ამის საპასუხოდ, მეორე დღესვე 1877 წლის 13 აპრილს იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ხელი მოაწერა მანიფესტს თურქეთისავის ომის გამოცხადების შესახებ.[3] ცხადია, რომ რუსეთის ხელისუფლება ამ ომში ყველაზე მეტ დაინტერესებას ბათუმისა და აჭარის მიმართ იჩენდა. მეფის ისტორიკოსი პოტო წერდა: „ბათუმის სიახლოვე ჩვენს საზღვრებთან და კონსტანტინეპოლთან მისი დაკავშირების სიმარჯვე გვავალებდნენ ჩვენ მისთვის გვეცქირა, როგორც საუკეთესო ბაზისისათვის... ამიტომ მტრისათვის ამ ბაზის წართმევა, ბუნებრივია, ჩვენთვის უნდა გამხდარიყო პირველ და მთავარ საზრუნავად".[4]

---

[1] Историı дипломатии, т II, გვ. 15-16.
[2] И. Бестужев. Крымская война. М., 1956, გვ. 230.
[3] Война 1877-178 гг., т. II, под ред. Зикова, СПб., 1852, გვ. 9-10.
[4] Батум и его окрестности... გვ. 153.

ბალკანეთის სლავებისა და აჭარლების აჯანყებით შეწუხებული თურქეთი საერთაშორისო დამხმარე ძალების ძებნას შეუდგა. ეს ერთი დამატებითი ძალაც მალე გამოჩნდა, ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატები. აშშ-მა ამ დროს ომის დასაწყისში თურქეთს „დახმარების“ სახით მისცა 3929159 დოლარის, ხოლო მეორედ 3101074 დოლარის საქონელი. ამ საქონლის უდიდეს ნაწილს საომარი მასალა შეადგენდა.[1]

თურქეთს ენერგიულად ეხმარებოდნენ აგრეთვე ინგლისი, საფრანგეთი და ავსტრია-უნგრეთი. ინგლისის დიპლომატიური ჩანაფიქრით, განსაზღვრული იყო რუსეთის დამარცხება და ხალიფატის შექმნა ამიერკავკასიაში. მიუხედავად რუსეთის დიპლომატიასა და გენერალიტეტში არსებული წინააღმდეგობისა, ერთწლიანი ომი თურქეთთან რუსეთის სასარგებლოდ დამთავრდა. 1878 წლის 20 იანვარს რუსებმა უომრად აიღეს ადრიანოპოლი და უშუალოდ კონსტანტინოპოლს დაემუქრნენ. სულთანი იძულებული გახდა, ზავი ეთხოვა, რომელიც გაფორმდა 3 მარტს სან-სტეფანოში, რომელიც დროებითი ზავის სახელწოდებითაა ცნობილი. ზავით რუსეთს შეუერთდა ბათუმის, ყარსის, არტაანისა და ბაიაზეთის ოლქები, და გაფართოვდა მისი უფლებები ბალკანეთის ქვეყნების მიმართ. ინგლისი მთელი თავისი დიპლომატიური არსენალით ამოძრავდა, რადგან იგი ვერ შეურიგდებოდა რუსეთის ასეთ წარმატებას ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში. მან კატეგორიულად მოითხოვა სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვა. ინგლისის ამ მოთხოვნას სხვა ქვეყნებიც გამოეხმაურნენ. გადასინჯვის მომხრეთა „ცივ ომში“ ჩაერია „პატიოსანი მაკლერი“ ბისმარკი, რომელიც მომრიგებლის როლში გამოვიდა. რუსეთი მკაცრი არჩევანის წინაშე დადგა: დათანხმებულიყო საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას ზავის გადასინჯვის შესახებ, თუ ჩაბმულიყო ომში კოალიციაში შემავალი ქვეყნების წინააღმდეგ.

1878 წლის 13 ივნისს ბერლინში საერთაშორისო კონგრესი გაიხსნა. კონგრესის სხდომები ინგლისის ინიციატივით ერთ თვეს გაჭიანურებულად მიმდინარეობდა. ამ ხნის განმავლობაში ინგლისის დიპლომატიამ და დაზვერვამ აჭარა-ლაზისტანში გააძლიერა მუშაობა (იარაღის მოწოდება, აგიტაცია-პროპაგანდა, მოსყიდვა და ა. შ.) მოსახლეობის საყოველთაო აჯანყების მიზნით. მაგრამ მიზანი ვერ იქნა მიღწეული. ასეთ პირობებში ინგლისმა უკანდახევა არჩია. აღნიშნულმა გარემოებამ ბერლინის კონგრესზე რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას საშუალება მისცა, ზოგიერთი დათმობის პირობებში ბათუმი „პორტო-ფრანკოდ“ (თავისუფალ ქალაქად) გამოეცხადებინა.[2] კონგრესზე ინგლისის

---

[1] Б. Колюбакин, Русско-турецкая война в 1877-78 гг., ч. I, СПб., 1906, გვ. 150.
[2] იქვე. გვ. 210.

მიერ წამოყენებული „ცივი ომის“ შედეგად თურქეთში ფართოდ ვრცელდებოდა ხმა, რომ ომის განახლება რუსეთთან აუცილებელიაო. ინგლისისა და თურქეთის აგენტებმა მოსყიდული ადამიანების საშუალებით პროვოკაციული გამოსვლები მოაწყვეს ზემო აჭარაში. მდგომარეობა დროებით გართულდა და ისეთი გავლენიანი პიროვნება, როგორიც იყო შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, აჭარიდან გაიხიზნა, რადგან პროვოკატორებმა დაარბიეს მისი სახლ-კარი.[1] ინგლის-თურქეთის დაზვერვამ მოსყიდული თურქოფილი ჯგუფის საშუალებით ჩამოაყალიბა შეთქმულ დივერსანტ-ტერორისტთა არალეგალური შენაერთები. შეთქმულთა მიზანი იყო რუსი ოფიცრებისა და მოხელეების ხელყოფა. შეთქმულებმა გადაწყვიტეს: პირველ რიგში მოეკლათ გენერალი კომაროვი, რომელიც ხელმძღვანელობდა ბათუმის თურქთაგან გაწმენდის საქმეს. შეთქმულთა საქმის კურსში იყო ცნობილი მრეწველი როტშილდი, რომელიც მაშინ ლონდონში იმყოფებოდა. შეთქმულებმა გააფართოვეს თავისი ორგანიზაციის ქსელი რუსეთის ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. შეთქმულთა ხელმძღვანელი, ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო მუსტაფა-ფაშა, რომელზეც ბათუმში დიდ იმედებს ამყარებდნენ ინგლისელები. მისი მიზანი იყო, მასობრივი აჯანყების ქსელი გაება არა მარტო რუსების მიერ დაკავებულ ახალ ტერიტორიაზე, არამედ მთელ კავკასიასა და ბალკანეთში... ომის განახლების შემთხვევაში ინგლისის განზრახვა იყო სოხუმში, როგორც თავდაცვის თვალსაზრისით შედარებით ცუდად გამაგრებულ პუნქტში, გადმოესხათ საზღვაო დესანტი, მიემხროთ აფხაზთა ზედა ფენა, გადმოებირებინათ მთიელი მოსახლეობა და აეჯანყებინათ იგი.[2] სამაგიეროდ, ომის განახლების შემთხვევაში, როგორც ჩანს, ბოსნიელები, ჰერცეგოვინელები და სხვა სლავი ხალხები იარაღს აისხამდნენ და აჯანყებისათვის ემზადებოდნენ. ყოველივე ამას გავლენა უნდა მოეხდინა ბერლინის სამშვიდობო ხელშეკრულებაზე.

ინგლისის პირვანდელი სასტიკი წინააღმდეგობა რუსეთისათვის ბათუმის გადაცემის საკითხში თანდათანობით იცვლებოდა, რუსეთი არც ისე სუსტი და ბრძოლისუნარდაკარგული ჩანდა, როგორც ეს ინგლისის პოლიტიკოსებს პირველ ხანებში ეჩვენებოდათ. სლავები, ქართველები, სომხები, ქურთები და სხვა ხალხები თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ხელახლა ირაზმებოდნენ, სწორედ ინგლისის დიპლომატია ამან დააფიქრა და მისი უკანდახევა აუცილებელი შეიქნა.[3]

---

[1] სრცია. ფ. 521, აღწ. 10, საქ. 23, ფურც. 75-76.

[2] იქვე. ფურც. 90.

[3] Ф. Мартенс, Собрание трактатов и конвенций, заключенных Россиею с иностранными государствами, т. XII, СПб., 1898, გვ. 12[illegible].

ინგლისის პრემიერ-მინისტრი ლორდი ბიკონსფილდი ითვალისწინებდა ბათუმის პორტოფრანკოდ გამოცხადებას იმ მიზნით, რომ მომავალში ეს ქალაქები რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო და ეკონომიკური შეტევისათვის გამოეყენებინა.[1] მაგრამ ინგლისის დიპლომატიამ ბათუმის და საერთოდ საქართველოს საკითხში ამ დროს მარცხი განიცადა. მართალია, ექსპანსიონისტურმა რუსეთმა დაკარგა თავისი გამარჯვების ნაყოფის ნაწილი, მაგრამ მაინც მოახერხა ხელში ჩაეგდო ბათუმი, აჭარა და სხვა ტერიტორია. ბაიაზეთი დარჩა თურქეთს. თურქეთის დამცველებმა — ინგლისმა და ავსტრიამ სრულიად უომრად ხელთ იგდეს: პირველმა — კვიპროსი, მეორემ — ბოსნია და ჰერცეგოვინა.

ბერლინის ტრაქტატის დადების შემდეგ, სადაც ფაქტობრივად ინგლისიცა და თურქეთიც დიპლომატიურად და პოლიტიკურად უკან იხევდნენ, კავკასიის მეფისნაცვლისაგან მოვიდა ცნობა, რომ თანახმად იმპერატორის გადაწყვეტილებისა, რუსეთის ჯარს 15 აგვისტოს უნდა დაეკავებინა ქ. ბათუმი. 7 აგვისტოს მოვიდა მეორე ცნობა, რომ თურქების თხოვნის თანახმად ბათუმის დაკავება გადადებულია 10 დღით, ე. ი. 25 აგვისტომდე.[2] ამის შემდეგ ბათუმის მხარის ჩასაბარებლად შედგა რუსეთ-თურქეთის კომისია. კომისიაში შევიდა თავმჯდომარედ — მთავარსარდლის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი სვიატოპოლს-მირსკი, წევრებად: თავადი ტრუბეცკოი, პოლკოვნიკი თავადი გურიელი, ზემდეგი ვასილჩიკოვი და რუსეთის ადრინდელი ელჩი ჯუდიჩი. თურქეთის მხრიდან: ვარნის ყოფილი გუბერნატორი ალი ბეი, ბრიგადის გენერალი ნეად-ფაშა, სულეიმანები და თურქეთის დიპლომატიური კორპუსის სხვა მოხელეები.[3]

მხარეები შეთანხმდნენ, რომ თურქეთის ჯარებს დაეტოვებინათ და რუსებს დაეკავებინათ ადგილები: ჩურუქსუ, სამება და კვირიკე — 17 აგვისტოს, ციხისძირი — 21 აგვისტოს, ჩაქვი — 24 აგვისტოს. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ სახელმწიფო დაწესებულებების უძრავი ქონება, შენობები აგრეთვე, დოკუმენტები და არქივები რუსეთს გადასცემოდა.

მიუხედავად ამ საქვეყნოდ გამოცხადებული ოფიციალური პირობებისა, თურქებმა ევაკუაციის დროს გაიტანეს სახელმწიფო ადმინისტრაციული მმართველობისა და სხვა დოკუმენტები, რამაც სერიოზული დაღი დაასვა მომავალში მთელი სამხრეთი საქართველოს ისტორიის შესწავლას.

---

[1] Ф. Мартенс, Собрание трактатов..., გვ. 142.
[2] История дипломатии, т. I, 1945, გვ. 50.
[3] Ф. Мартенс, Собрание трактатов..., გვ. 152.

ასე ჩამოყალიბდა საერთაშორისო ვითარება XIX ს-ის 50-70-იან წლებში, რომელმაც ფეოდალური რუსეთი დააჭახა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ევროპას. ამ ისტორიულ ჭიდილში უკანასკნელი ადგილი როდი ეჭირა საქართველოს პრობლემას რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ. მთელი მე-19 საუკუნის მსოფლიოს პოლიტიკურ ურთიერთობათა ასპექტში კიდევ უფრო გააქტიურდა საქართველოს საკითხი საერთაშორისო ურთიერთობაში.

# XIX თავი. ქართული პოლიტიკურ-დიპლომატიური აზრი XIX საუკუნეში

## 1. ეროვნული ავტონომიის აღდგენის საკითხი და ქართული პოლიტიკურ-დიპლომატიური აზრი XIX საუკუნის I მესამედში

### (დავით გიორგის ძე და ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონები)

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე საქართველო ისტორიის ბედისწერისაგან განწირული აღმოჩნდა. ქვეყანამ 25 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში შენარჩუნებული სახელმწიფოებრიობა დაკარგა და ბაგრატიონთა 1200 წლოვანმა დინასტიამ არსებობა დაასრულა. საქართველოს ხერხემალი გადატყდა და ამიერიდან ქართული სახელმწიფოების და ქვეყნების არსებობას პოლიტიკური შინაარსი გამოეცალა. 1801-1802 წლიდან რუსეთმა დაარღვია 1783 წლის ტრაქტატი და ჯერ ქართლ-კახეთის, შემდგომში კი მთელი დასავლეთ საქართველოს ანექსია-ოკუპაცია მოახდინა. თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი ადრე (რომაელების, სპარსელების, ბიზანტიელების, არაბების, თურქ-სელჩუკების, მონღოლების, ოსმალებისა და ირანელების დროს) არასოდეს შერიგებია საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ხელყოფას და მითუმეტეს ამიერიდან ყოველთვის თავდადებით იბრძოდა ქართული ეროვნული თვითმმართველობის აღდგენისა და დამოუკიდებლობის დაბრუნებისათვის.

შევეცადოთ ავხსნათ, თუ როგორ აისახა ყოველივე ეს იმდროინდელი ქართული არისტოკრატიული ფენის — ბატონიშვილების პოლიტიკურ და დიპლომატიურ ნააზრევში.

* * *

XVIII საუკუნის ბოლოს, როცა ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქართველო არსებობდა, როგორც აქ, ისე სხვაგან, პოპულარული შეიქნა კერძოდ ის შეხედულება, რომ ქვეყანას იხსნის განათლებული აბსოლუტიზმი, ანუ სოციალური წოდებებისაგან დამოუკიდებელი, შეუზღუდველი მონარქია, რომლის სათავეში უნდა იყოს განათლებული გონიერი მეფე. ერეკლეს დროს საქართველო მზად იყო სწორედ განათლებული აბსოლუტიზმისა და ევროპულად გარდაქმნისათვის.[1] გვიანფეოდალური

---

[1] С. Д. Бурнашев, Картина Грузии, Тб., 1896, გვ. 39.

საქართველოს სახელმწიფო წყობილებისა და პოლიტიკურ განვითარების პროგრესულ მისწრაფებებში განსაკუთრებული გულისხმიერებითა და მეთოდურობით გამოირჩეოდა ერეკლეს შვილიშვილი დავით გიორგის ძე ბაგრატიონი, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფო სახლის უკანასკნელი გამგებელი (და არა მეფე) იყო და 1801 წლიდანვე მოქნილი დიპლომატიურ-პოლიტიკური გზებითა და მეთოდებით იბრძოდა ქართული სახელმწიფოს და ეროვნული თვითმმართველობის აღდგენისათვის. მის შესახებ თანამედროვენი ერთხმად აღნიშნავდნენ: „ამან იწყო მართვად ქართლისა ფრიად გონიერად, ვინაითგან იყო ესე აღზრდილ მეცნიერებასა შინა, ვითარცა საღმრთოთა და ფილოსოფიათა, აგრეთვე სამხედროსაცა შინა, ვინადგან უწყოდა მან ვითარცა კანონი სამოქალაქო და სამხედრო აზიისა, აგრეთვე ევროპისა... და მოელოდა მეფობისა დამტკიცებასა როსიით".[1]

რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას იმდროინდელ საქართველოში მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა და მომხრეებიც. სოლომონ ლიონიძე წერდა: „ იქით სარდლები იწვევენ, აქეთ მეფის ძენი, მელიქი და სომხობა გვეღურად იქცევიან... დავითისა მემკვიდრისა მტერობისათვის, რათა უნდათ შეექმნათ მტერი ქვეყანასა... ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, ერთი მეორეს ეცინოდა, ვიეთთამე უნებდათ მეფედ იულონ, ვიეთთამე დავით, ვიეთთამე სურდათ აღსრულებულიყო მეფისა ირაკლისა ანდერძი... გაჩნდნენ მეამბოხენი, რომელთ ზოგთა სურდათ რუსნი, ზოგთა მემკვიდრე დავით... ზოგთა მეფედ დედოფალი დარეჯან."[2] რა თქმა უნდა, ამგვარ ვნებათა ღელვაში დინასტიური ზრახვები ქვეყნის კეთილდღეობის ინტერესებს ჩრდილავდა. დავით ბაგრატიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის მიმართ ამგვარი რამ არ ითქმის. იგი პირველთაგანი იყო, რომელსაც არავითარი მერყეობა არ გამოუჩენია და დასახულ გზას ბოლომდე მტკიცედ მისდევდა. ორგვარია დავით ბაგრატიონის დამოკიდებულება საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხის მიმართ: იგი აღიარებს 1783 წლის ტრაქტატის პირობებს ერთი მხრივ და მეორეც, ცხადია, წინააღმდეგია საქართველოს სამეფოს გაუქმებისა და მისი გადაქცევისა რუსეთის იმპერიის ჩვეულებრივ გუბერნიად. ამგვარ მდგომარეობაში ჩავარდნილი დავითი, რომელსაც შეგნებული ჰქონდა, თუ რას უპირებდა „დიდი მფარველი" მის ქვეყანას, მაინც ერიდებოდა გაემწვავებინა დამოკიდებულება რუსეთთან და კერძოდ მის უშუალო წარმომადგენელ გენერალ ლაზარევთან. მით უფრო, რომ მათ შორის

---

[1] თ. ბაგრატიონი, ახალი ისტორია, თბ., 1983, გვ. 67-68.

[2] პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა ა. გაწერელიას შესავალი წერილით, თბ., 1936, გვ. 222-223.

კარგი ურთიერთობა ისედაც არ სუფევდა.[1] დავითმა თავიდანვე უარი უთხრა თვით ისეთ დიდ პოლიტიკოსსა და დიდ ქართველს ს. ლიონიძეს, რომელიც „ურჩევდა, გამოეჩინა ძალი და ძლიერება და მტრებისათვის დაეცა ზარი და მეხი შიშისა და დაეფიცებინა ხალხი თავის მორჩილებაზე". მან ასევე უარყო სარდალ იოანე ორბელიანის წინადადება, „გავრეკოთ რუსის ჯარი, დავიცვათ მეფობა და როგორც გვიმეფია, ისევე ვიმეფოთო".[2] ყველაფერი ეს არ ნიშნავს, რომ დავით ბატონიშვილი გულგრილად შეურიგდა უცხო ძალის შემოსვლას საქართველოში. ეს კარგად იცოდა თვით რუსეთის მხარემაც და დავითის სახით ღირსეულ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს ხედავდა. სრულიად ტაქტიკური ხასიათის იყო დავითის განცხადება: „უკეთუ წვრილად აღმეწერა მათ (ე. ი. რუსების, გ. ი.) მიერ ტირანებაი და კლებაი ქართველთა თავადთა სახლისა და გლეხთა, ფრიად განვრცელდებოდა ისტორია ესეც და სიგრძისათვის დავიდუმეო".[3] რუსეთი ხედავდა დავით ბატონიშვილში იმ პოლიტიკურ ფიგურას, რომლისთვისაც პირველ ყოვლისა და უმეტესად ანგარიში უნდა გაეწია, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ მისი დინასტიური უფლება ჯერ თვითონვე აღიარა, მერე კი უხეშად შელახა. ამიტომ რუს მოხელეებს დავითის ყოველი ნაბიჯი აეჭვებდათ და ეშურებოდნენ, იგი საქართველოდან გაეძევებინათ. რუს პოლიტიკოსებს და აქ წარმოგზავნილ აგენტებს სრულიადაც არ მოსწონდათ და გულს უფორიაქებდათ, რომ: „Царевич Давид весьма теперь посмурен, ибо он не так ожидал, как делается и я замечаю в нем, что он весьма предан Французским нынешним постановлениям и всегда выхваляет Бонапарта, что он весьма славно сделал революцию," ან კიდევ „დავითს ძალიან სურს ევროპისა და განსაკუთრებით საფრანგეთის ნახვა... ის მოხიბლულია ბონაპარტის სამხედრო ხელოვნებითა და რესპუბლიკური იდეებით".[4] რუსი მოხელეები აზვიადებდნენ, რომ „დავით ბატონიშვილი ყველასათვის საძულველი და აუტანელია, ვერ მალავს ბოღმას სამეფოს დაკარგვის გამო, მას სწამებდნენ ანტირუსულ აგიტაციას და მიაჩნდათ, რომ თითქოს იგი გიორგი XII-ის სიკვდილის შემდეგ მომხდარ ამბოხშიაც მონაწილეობდა.

უეჭველია, რომ დავით ბატონიშვილი არა თუ მხოლოდ პიროვნულ სევდას განიცდიდა, არამედ პრინციპულად უკმაყოფილო იყო ქართული

---

[1] პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას შესავალი წერილით, თბ., 1936, გვ. 221.

[2] Русский биографический словарь, СПб., 1905, გვ. 8-9; Акты, გვ. 287.

[3] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოც., თბ., 1941, გვ. 75-76.

[4] Акты, т. №, 1866, გვ. 329; П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, ч. II, СПб., 1869, გვ. 157.

სახელმწიფოებრიობის მოსპობისა. მისი აზრით, საქართველოს ძველ ისტორიაში არსებობდა ჯერ „ერის საზოგადოება“ და მერე სამეფო ხელისუფლება, რომელთა დროს ქართველი ხალხი თავისუფალი და დამოუკიდებელი იყო. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობდა, და დ. ბაგრატიონსაც ეს უნდოდა ეგრძნობებინა რუსეთის თვითმპყრობელობისათვის, რომ ძველად დიდი და თავისებური ისტორიის მქონე ქართველ ხალხს და საქართველოს გაუქმებულ სამეფოს დამოუკიდებელი განვითარების უფლება აქვს და ამ უფლების განხორციელების დროც დაუდგებათ.[1] საგულისხმოა, რომ თავის ერთ-ერთ ნაშრომში დ. ბაგრატიონი წერს: „საჭირო იყო ისტორიისაცა შემეცნება და ვინაიდგან ბუნება გონიერებით ასწავებს ყოველთა თავისა თვისისა უმჯობესისა აღრჩევასა, ამისათვის მეცა უმჯობესად ვრაცხე შრომაი ესე“. იქვე განაგრძობს: „გარნა არა მრცხვენის, ამაოდ რომელ განღვიძებულ ვიკომცა სიყვარულისათვის მამულისა, რომელსაც თავი თავისი მზად მიყოფიეს სისხლითურთ ტრაპეზსა ზედა საყვარლისასა დასაწუელად, რომელიც არა ვპრიდენ შრომასა სარგებლობისათვის მამულისა, რათა აღმოვჩნდე სიყვარულითა ერთგულობითა და მსახურობითა და რათა მეცა ნიადაგ დაუვიწყებლობასა შინა მათსა ვიყო მათ მრავალჟამიერ სახსოვი“.[2] შემდეგში პეტერბურგს გადასახლებული დავითი თავის სამსახურთან სენატორობასთან ერთად გაცხოველებულ, გარეგნულად კულტურულ, მაგრამ საბოლოო ანგარიშით პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი წერს გენერალ ტუჩკოვის თხოვნით „საქართველოს მოკლე ისტორიას“, შემდეგ გენერალ ერმილოვისათვის გაავრცობს ამ შრომას რუსულადვე და აგრძელებს მას 1816 წლამდე. ამ დროს იგი ეკამათება ევროპელ მწერლებს და მეისტორიეთ, რათა გაუქარწყლოს ყალბი და ანტიისტორიული წარმოდგენები ქართველ ხალხზე, იგი უარყოფს მცდარ ისტორიულ ცნობებს თავისი ხალხის ზნე-ჩვეულებებისა, ტრადიციისა და კულტურის შესახებ, რომლებიც მოიპოვება „ბ. ბიუფონის ბუნებისმეტყველების მე-5 ნაწილში“. და აგრეთვე მოტანილია „ბატონ ლოკის მიერ თავის ლოგიკაში... ბ-ნ ლამბერტიდან“.[3]

ამჯერად დავითისა და ქვემოთ ალექსანდრე ბატონიშვილის ნააზრევის განხილვის მაგალითზე შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ XIX საუკუნის პირველ მესამედში საქართველოს საზოგადოებრივი ძალები და ფეოდალური არისტოკრატია არ იჩენდნენ სეპარატიზმს, მიზანშეწონილად არ

---

1 მიხეილ გაფრინდაშვილი. ქართულ. საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები III. თბ., 1988. გვ. 48.

2 დავითი, ისტორიული ნარკვევი. თბ., 1800, გვ. 5.

3 Р. Орбели, Грузинские рукописи Института востоковедения, I, М-Л., 1956, № 18.

თვლიდნენ რუსეთისაგან სრულ იზოლაციას. მაგრამ ამ მაღალი წრიდან თვით დავით ბაგრატიონი ერთ-ერთი პირველი ვერ ურიგდებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვას, ვერ ეგუებოდა უცხო, საოკუპაციო რეჟიმს. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, დავითი იმედოვნებდა, რომ შეიძლებოდა ცარიზმის რუსეთი წასულიყო იმ დათმობაზე, რომ 1783 წლის ტრაქტატის უფლებრივ ნორმათა საფუძველზე მომხდარიყო საქართველოს ავტონომიის აღდგენა და ამ გზით იქნებოდა შენარჩუნებული ქვეყნის ეროვნული თვითმყოფობა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ქართველი პროგრესული ზედაფენის და კერძოდ დავით ბაგრატიონის ეს პროგრამა არ ეთანხმებოდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას.[1] მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბაგრატიონები და თვით დავითი იმედს არ კარგავდნენ ხან დიპლომატიის ენით, ხან ბრძოლით, რუსეთი დათმობაზე წაეყვანათ და ქართული ავტონომიური სამეფოს აღდგენაზე დაეყოლიებინათ. ამ მხრივ სწორედ დავით ბაგრატიონის პროექტია საყურადღებო, რომელშიც სწორედ დიპლომატიური ენითაა საუბარი რუსეთის სიამპერატორო კარის წინაშე.

პირველი წერილი — „ორი ჩანაწერი საქართველოს უკეთესად მოწყობის შესახებ“ — დავით ბაგრატიონმა რუსეთის საიმპერატორო კარს 1812 წლის სექტემბერში მიართვა. ამ ბარათში დასახულია ღონისძიებანი საქართველოს შინაგანი მმართველობის დარგში და ქვეყნის სამეურნეო აღმავლობისათვის. ასევე მასში ჩამოყალიბებულია საკმაოდ შორს გამიზნული და გაბედული გეგმები საგარეო პოლიტიკაში და იმდროინდელი ევროპის დიპლომატიურ ურთიერთობათა სფეროში. ამავე დროს ბატონიშვილის წერილი ეხმიანება 1799 წლის „არტიკულებს“ და მათ დანამატ „პუნქტებს“. სხვა ღონისძიებებს სარჩულად უდევს იმის დაჟინებული მტკიცება, რომ ბატონიშვილთა გაძევება საქართველოდან ქვეყნის საზიანოა და მის მმართველს დასახმარებლად (!) ერთ-ერთი ბატონიშვილი უნდა მიეჩინოს...[2] ბარათის შესავალ ნაწილში წერს, რომ საქართველო ერთ მცირედ ქვეყანას წარმოადგენს, მას თავდაპირველად (უხსოვარ დროს) ჰქონდა სახალხო მმართველობა, შემდეგ რამდენსამე ხანს მას ალექსანდრე მაკედონელის ნაცვალი განაგებდა, ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ქვეყანა ჩამოყალიბდა მონარქიული სახელმწიფოს სახით და მას მართავდნენ მეფეები.[3] მთელი ისტორიის განმავლო-

---

1 А. Иоаннисян, Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия, Ереван, 1958, გვ. 21.

2 Две записки царевича Давида „О лучшем устройстве Грузии", изд. И. Ениколопов; მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნ. 1, გვ. 128-155.

3 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნ. 1, გვ. 128-129.

ბაში — განაგრძობს დ. ბაგრატიონი — საქართველოს ურთიერთობა (როგორც მშვიდობიანი, ისე საბრძოლო) ჰქონდა მეზობელ სახელმწიფოებთან: ჩვენ გვებრძოდნენ არაბნი, ხონთქარი, ყაენი, დაღესტანი, მაგრამ ამეებს არც ერთ თავი არ დაუდევით, მათ ჩვენში ვერ მოშალეს მეფობა... უფრო ხშირად საქართველო იმყოფებოდა სპარსეთის პროტექტორატის ქვეშ, ამ გაჭირვებაში რომ ვიყავით, ჩვენი მეფენი ევედრებოდნენ ყოვლად მოწყალე ხელმწიფეს რუსეთისას, რომ ქრისტიანობისთვის რუსეთის საფარველი გვდებოდა... ხელმწიფემ საქართველო რუსეთს შეაერთა, მანიფესტები გვიბოძა... დავითს არ რჩება მხედველობიდან ამბების უფრო დაწვრილებით გადმოცემა: 1799 წელს იმპერატორმა — განაგრძობს იგი — პავლე I-მა ქართლ-კახეთის მეფედ დაამტკიცა გიორგი XII-ის ძე, რომელმაც მოითხოვა 1783 წლის ტრაქტატის ზოგი მუხლის შეცვლა. კიდეც იქნა წარდგენილი სათხოვარი პუნქტები, მაგრამ პავლე I-ის გარდაცვალების გამო იგი დაუმტკიცებელი დარჩა. რასაკვირველია დავითი ვერ ბედავს სათხოვარი პუნქტების დაუმტკიცებლობაში და ქართლ-კახეთის სამეფოს მოსპობაში ბრალი იმპერატორს დადოს იგი მხოლოდ მთავარმართებლებს კნორინგსა და ციციანოვს ადანაშაულებს.[1] დავითს ამ შემთხვევაში სავსებით შეგნებულად (ვითომდა იმპერატორის მოსათაფლავად და გულის მოსაგებად) მთელი აქცენტი და დანაშაულის სიმძიმის ცენტრი იმ დროინდელ რუს მოხელეებზე ციციანოვზე, გუდოვიჩზე, ტორმასოვზე გადააქვს.

ქართველი ხალხის უკმაყოფილების, აქ მართვა-გამგეობის მოუწესრიგებლობის მთავარ მიზეზებად დ. ბაგრატიონს შემდეგი მომენტები მიაჩნდა: 1. ციციანოვს არ უნდა გადაესახლებინა ბატონიშვილები რუსეთს, რადგან ამან ძალზე ცუდად იმოქმედა ქართველებზე, შეარყია და გააქარწყლა ქართველთა არჩევანი — რუსული ორიენტაცია. ეს გარემოება თვით რუსეთისათვის იყო პოლიტიკურად მავნე და საზარალო; 2. თუ საქართველოში მოხელე მთავარსარდალი დაინიშნებოდა, აუცილებელი იყო მის მოადგილედ ქართველი ბატონიშვილის დანიშვნა; 3. თუ საქართველოს მართვა-გამგეობა მიენდობოდა ერთ-ერთ ბატონიშვილს, თურქეთს უფლება აღარ ექნებოდა პრეტენზიები განეცხადებინა იმერეთსა და ახალციხეზე, რადგან ეს ქვეყნები თავის დროზე საქართველოს ერთიანი სამეფოს განუყოფელ ნაწილებს შეადგენდნენ; 4. თუ საქართველოში სამეფო ხელისუფლება შენარჩუნებული იქნებოდა, საჭირო აღარ გახდებოდა რუსის ჯარისკაცის დიდი რაოდენობით შემოყვანა აქ. ამ ფუნქციას ქართული ლაშქარი შეასრულებდა, რომელიც ჩამოყალიბდებოდა ერეკლესდროინდელი მორიგე ლაშქრის განჩინების საფუძ-

---

[1] ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, თბ., 1980, გვ. 92.

ველზე; 5. მომდევნო წინადადებად სახაზინო შემოსავლის გაზრდის მიზნით დავითი იმპერატორს სთავაზობდა სამთო მრეწველობის განვითარებას ქართლ-კახეთში, ხე-ტყის წარმოებას იმერეთში, შავი ზღვის გადაქცევას რუსეთ-საქართველოს საზღვაო-სანაოსნო ურთიერთობის მთავარ წყაროდ. შემდეგ დავითი იმპერატორს უყენებს კონკრეტულ წინადადებებს ქვეყნის მართვა-გამგეობის პროგრესულ ღონისძიებათა განხორციელებისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ.[1]

დავით ბაგრატიონის აქ მოყვანილი და სხვა წინადადებები აშკარად რეალური აზროვნების ნაყოფი იყო. რუსეთს, თუკი იგი ანგარიშს გაუწევდა ბაგრატიონთა საგვარეულოს და ქართველი ხალხის სურვილს და ნებას, შეეძლო აღედგინა საქართველოს სამეფო 1783 წლის სამართლებრივ ნორმათა საფუძველზე, ისე, რომ მას თვითონ პოლიტიკურად არ წაეგო. ტრაქტატით გათვალისწინებული დამოკიდებულების აღდგენისათვის ქართველი პროგრესული საზოგადოებისა და პირადად დავით ბაგრატიონის ბრძოლა პოლიტიკურად რეალური და პერსპექტიული იყო. ცნობილია, რომ სწორედ ამ პერიოდში ცარიზმმა იარაღით დაიპყრო ფინეთი, პოლონეთი, მაგრამ მათ თვითმმართველობა, სეიმი და კონსტიტუცია დაუტოვა, რა თქმა უნდა, რუსეთი დაპყრობილი ხალხების მიმართ ასეთ მოპყრობას არ იყო ნაჩვევი, მაგრამ მას ეშინოდა, ჯერ ერთი, იმისა, რომ ევროპის ცენტრში მდებარე კონსტიტუციურ სახელმწიფოებთან უშუალოდ მომიჯნავე პოლონეთისა და ფინეთისათვის ისევე აეყარა ეროვნულ-პოლიტიკური უფლებანი, როგორც ამას საქართველო-ამიერკავკასიაში აკეთებდა, რომელიც გარშემორტყმული იყო ბარბაროსული აზიური სახელმწიფოებით. მეორეც, რუსეთი ანგარიშს უწევდა იმ პროგრესულ პიროვნულ ძალებს, რომლებიც ევროპაში პოლონეთსა და ფინეთში მომძლავრებულიყვნენ და ეროვნული ძალების კონსოლიდაციას ეწეოდნენ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღსადგენად. ამიტომ ითმენდა რუსეთი მოწინავე ევროპის საზღვარზე (უნდოდა თუ არ უნდოდა) ფინეთისა და პოლონეთის თვითმმართველობათა, ანუ ავტონომიების არსებობას და საქართველოს შეერთებისას ამ გარემოებათათვის ანგარიშის გაწევას სრულიადაც არ ფიქრობდა. მან (რუსეთმა) იცოდა, რომ საქართველო გარემოცული იყო ფეოდალიზმის დაბალ სტადიაზე მდგომი მუსლიმანური სამთავროსახელმწიფოებით, სადაც აზიური დესპოტიზმი იყო გამეფებული და კონსტიტუციის ხსენებაც არ არსებობდა. ძალიან გადაჭარბებული თუ არ გამოგვივა და პოლიტიკურად მოვლენებს თუ არ გავუსწრებთ, ამგვარი სიტუაცია შეიქმნა 1921 წლის საქართველო-რუსეთის ურთიერ-

---

[1] Две записки... გვ. 132-135.

თობაში... არა გვგონია, რომ ყოველივე ზემოთქმულში ვერ ერკვეოდა დიდი პოლიტიკური და დიპლომატიური ალღოს მქონე ევროპულად განათლებული დავით ბაგრატიონი... იგი ერთი წუთითაც არ ღალატობს ისტორიულ და პოლიტიკურ რეალიზმს.

იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ო. კოზოდავლიევმა დავით ბაგრატიონის ბარათი „განსახილველად" მთავარმართებელ პაულუჩის გადაუგზავნა. ამ უკანასკნელმა კი აღნიშნულ დოკუმენტზე ვრცელი უარყოფითი დასკვნა დაწერა, სადაც ვკითხულობთ: „ფართოდ წამოწყებანი ბატონიშვილი დავით გიორგის ძისა, რომელიც საქართველოს უკეთ მოწყობის საბაბით... ყველაფერს იქით წარმართავს, რომ იქ მეფე იქნას აღდგენილი. იგი დიდი ხანია ირწმუნება, რომ რუსებს არ აქვთ საქართველოს მართვის უნარი... დავითი მოითხოვს მეფის სახლის წევრებისათვის სამშობლოში დაბრუნების უფლებას, მაგრამ ეს არც საქართველოსათვის იქნება ხელსაყრელი და არც რუსეთისათვის, მათი პეტერბურგში ყოფნაც კი საშიშია, რადგან შეუძლიათ ანტირუსული პარტიის შექმნა... თუ სიფრთხილის ზომა დროზე არ იქნება მიღებული, ქართველი ბატონიშვილები რუსეთს დიდ ვნებას მოუტანენო".[1]

დ. ბაგრატიონმა იმპერატორ ალექსანდრე I-ს 1817 წელს მეორე ბარათი მიართვა. „უხსოვარი დროიდან საქართველოს ყოველთვის ჰყავდა საკუთარი მეფე, ჰქონდა თავისი კონსტიტუცია", რომელსაც მფარველები არ არღვევდნენ... VI საუკუნეში საქართველოს სამეფო ტახტის მფლობელ ხოსროიანთა დინასტიიდან ცოცხალი აღარავინ დარჩა, მიუხედავად ამისა, იუსტინიანეს საქართველოს სამეფო არ გაუუქმებია. ბიზანტიის იმპერატორმა მეფედ გამოგზავნა ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი, რადგან მან კარგად იცოდა, რომ „აქაური ხალხი არაფრისთვის არ იქნებოდა სასარგებლო თავის წინანდელი და საკუთარი კონსტიტუციის გარეშე... ჩემი პაპა ერეკლე — განაგრძობს დავითი — შევიდა რუსეთის მფარველობაში ხელშეკრულების მე-6 მუხლის ძალით. იმპერატორი პირობას დებდა დაეცვა მეფე ერეკლე და მისი მემკვიდრენი საქართველოს სამეფო ტახტზე, გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ 1783 წლის ტრაქტატისა და 1800 წლის სათხოვარი პუნქტების საფუძველზე ველოდი თქვენგან მეფედ დამტკიცებას... მაგრამ თბილისში გახსნეს რუსული მართველობა... ათას ორასი წელი და მეტი არის, რომ ბაგრატოვანნი მემკვიდრეობენ და სისხლი დაუთხევიათ ჩვენთვის. ჩვენი ვედრება ის არის, რომ ჩვენზე მრავალგვარად გარჯილის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ (ე. ი. 1783 წ. ტრაქტატი, გ. ი.). დავითი დიპლომატიური დემარშებით ცდილობს, მოხიბლოს ხელმწიფე

---

[1] Две записки... გვ. 140.

იმპერატორი და გამოსტყუოს კუდშეკვეცილი ავტონომია მაინც. ალექსანდრე I-ს იგი ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური ბედ-იღბალის მებაირახტრედ მიიჩნევს: „თქვენ სამართლიანი ბრძანდებით და ზრუნავთ არა მარტო საკუთარი ქვეშევრდომების, არამედ გარეშე ხელმწიფეთა კეთილდღეობისათვის. თქვენ აღადგინეთ ტახტზე ავსტრიის, პრუსიის, საფრანგეთის, ესპანეთის და პორტუგალიის მეფენი... ბაგრატიონთა გვარი ელოდება თქვენგან თავის აღდგენას — თუ ეს ასრულდა, საქართველო მოიწმენდს ცრემლს... და მადლობით მოიყრის მუხლს თქვენი უდიდებულესობის წინაშე".

ისტორიული მაგალითების შეხსენება ბაგრატიონთა საგვარეულოს შესახებ ალექსანდრე იმპერატორს გულს ვერ აუჩუყებდა. იგი და ჟანდარმული რუსეთი, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა ევროპული დემოკრატიისა და რევოლუციების წინააღმდეგ, ბატონიშვილის ვედრებისადმი კეთილშობილი ვერ აღმოჩნდებოდა.

რუსეთის მინისტრთა კაბინეტმა 1817 წლის 20 ნოემბერს დავით ბატონიშვილს თხოვნაზე უარი უთხრა და თანაც არაკჩეევის მკაცრი გაფრთხილებით ციმბირს გადასახლებით დაემუქრა. დიდმა პატრიოტმა და „ვოლტერიანელმა" დავით ბაგრატიონმა მწარედ განიცადა პოლიტიკური იმედების გაცრუება და ერთი წლის შემდეგ — 1818 წელს გარდაიცვალა.

* * *

ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის საკითხში მკვეთრად გამოხატული პოზიცია ეჭირა დავით ბატონიშვილის ბიძას ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონს. მას შემდეგ, რაც 1801 წელს რუსეთის მთავრობამ საქართველოს ანექსია მოახდინა, ალექსანდრე ბაგრატიონი (ბატონიშვილი) საქართველოში მეფობის აღდგენისათვის ბრძოლის მეთაურად იქცა და სიკვდილამდე ეს ბრძოლა არ შეუწყვეტია. უტეხი ნებისყოფის დიდი პატრიოტი საშუალებას არ ზოგავდა თავისი მიზნის მისაღწევად: სამხედრო ღონისძიებანი, თხოვნა — მიწერ-მოწერანი, დიპლომატიური საშუალებანი, მთიელებთან, სპარსეთ-ოსმალეთთან კავშირი და ა. შ. 1801 წლის შემდეგ, 1830-იან წლებამდე ამიერკავკასიაში იშვიათი იყო კოტად თუ ბევრად ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომელთანაც ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი არ იყოს დაკავშირებული.

წინასწარ შეიძლება ითქვას და ქვეძოთაც დარწმუნდებით, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი რუსეთის, ევროპის, ანუ საქრისტიანოს მოწინააღმდეგე არასოდეს ყოფილა, როგორც ამას წარმოადგენდნენ ძველი და ზოგი ახალი ხანის ისტორიკოსები. ის მუდამ მზად იყო „რუსე-

თის სამსახურად" (როგორც თვითონ ამბობს) ოღონდ ამის აუცილებელ პირობად საქართველოში თვითმმართველობის, ავტონომიის აღდგენა მიაჩნდა. მას სპარსეთისა და თურქეთის არაფერი სწამდა. მან შესანიშნავად იცოდა ისტორია და მიაჩნდა, რომ შაჰ-აბასი, ნადირ-შაჰი, აღა-მაჰმად-ხანი, სულთნები ის აზიელები იყვნენ, რომლებმაც ამოაგდეს და ამოძირკვეს თავისი სამშობლო. მაგრამ ალექსანდრეს ტრაგედიაც ის იყო, რომ მას უხეში რუსული ძალის წინააღმდეგ სხვა გზა და სხვა საშუალება არ ჰქონდა და ამავე სპარსეთ-ოსმალეთის საშუალებით ცდილობდა ზოგჯერ „გამოხსნას უღლებისაგან უცხოთასა" — აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი.[1]

ალექსანდრე კარგად ერკვეოდა იმდროინდელ დიპლომატიურ ურთიერთობებსა და საიდუმლოებაში. მან ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისიდანვე აღნიშნა საქართველოს საკითხის მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკაში. მას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ საქართველოს საკითხს, ამავე დროს, მარტო შაჰი და სულთანი კი არა, არამედ ინგლისი და სხვა ევროპელები დირიჟორობდნენ, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ, რათა ეს ქვეყანა რუსეთს არ დარჩენოდა.

საინტერესოდ გვესახება ალ. ბატონიშვილის შეხედულებანი რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის პირობებისა და მიზანდასახულობის, პერსპექტივის, წმინდა დიპლომატიურ-პოლიტიკური თვალსაზრისით. ამ საკითხების ნათლად წარმოსაჩენად ბატონიშვილი მიმართავს ისტორიულ ანალოგიას „ძველთაშინა დროთა". „ოდესცა მართლმადიდებელნი იმპერატორნი კონსტანტინეპოლისანი ფლობდნენ აღმოსავლეთსა და დასავლეთსა — წერდა ბატონიშვილი, რუსეთის იმპერატორს მას ჟამსა საქართველოთა მეფეთა აქვნდათ მათ მიერ ესეგუარი საფარველი, რომელი საქართველოსანი არცა გარემოთა თვისთაგან არ ჰქონდათ შეწუხება და მეფენი საქართველოსანი მიიღებდნენ მათგანს ნიჰს ურიცხვსა და აქვნდათცა სახლისა მათისა კურაპალატობა, რომელ არს სახლთუხუცესობა და შეწევნითა მათითა ფლობდნენ კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე".[2]

როცა ბიზანტიის იმპერია დაეცა და მის ნანგრევებზე მუსლიმანური სახელმწიფოები გაჩნდა, „შევიდა ქვეყანა ჩუენი განუსვენებლობასა შინაო" — წერს ბატონიშვილი, მაგრამ მალე განვრცა ხელმწიფობა როსიისა იმპერიისა და მომგონებელთა მეფეთა საქართველოსათა ძველთა მათ მფარველობათა მოიწებეს, რათა შევვედრონ თავი თავის ქრისტიანესავე იმპერატორსა და რომელიცა საფარველი სდებიესთ ძველთა მათ

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., გვ. 369.
[2] Акты, т. II, გვ. 156.

იმპერატორთა მიერ მოენიჭოსთცა იმპერატორისა მიერვე მსგავსისა მათისა მართმადიდებლისა"...[1] აქვე ბატონიშვილი კონკრეტულად ასახელებს ერეკლეს მიზნებს რუსეთის მფარველობაში შესვლის დროს. „მამამან ჩემმან მეფემან ირაკლიმ შეევედრა თავი თვისი იმპერატრიცა ეკატერინას, რათამცა დაიცვას სამეფო და სახლი თვისი გარემოთა მტერთაგან".[2]

ამავე საკითხზე ალექსანდრე ბატონიშვილის წერილში პ. ციციანოვისადმი ვკითხულობთ: „საქართველოისა მეფემან ირაკლიმ ბატონმან ჩვენმან მათის იმპერატორების დიდებულებს ამისათვის მიმართა, რადგანაც ქრისტიანი ყოვლად მოწყალე ხელმწიფე ბრძანდებოდა ამისთვის, რომ თავისი ოჯახი და საქართველო უმეტესად აღემაღლებინა".[3]

მაშასადამე, საქართველოს დაცვა გარეშე მტერთაგან, ერთმორწმუნე მფარველის შეძენა, სამეფოს გაძლიერება, საზღვრების გაფართოება, — აი, რა მიზნით უკავშირდებოდნენ ქართველები რუსეთს. ამავე დროს ქართული სამეფო, რა თქმა უნდა, შენარჩუნებული ყოფილიყო. „ოდესცა იქმნა მეფედ ძმაი ჩვენი გიორგი მსასოებელმან ქრისტიანესამან ხელმწიფისა, შეევედრა თავისი სახლი, რათამცა დაიცვას მშვიდობისა შინა და არა განსრულიყო მეფობა ჩუენით".[4]

ბატონიშვილების რუსეთში ძალით გადასახლებასთან დაკავშირებით ალექსანდრე იმპერატორს შესჩიოდა: „ყოვლად მოწყალევ ხელმწიფევ. ნაცვლად კეთილად დაცვისა ესე გვარი დაცვა მოიღო სახლმან ბაგრატიოანთამან რომელ ერთიც ძე ბაგრატოვანთა არღარა იპოვების საქართველოსა შინა, არა თუ ფულად, არამედ არცაღა თუ სახითა ერთისა კეთილშობილისათა... აღვიფხვრებით ქვეყნით ჩვენით, რომელსაც შინა განვლო შთამომავლობამ ჩუენმან ათასორასოცდათოთხმეტი წელნი მეფობასა შინა".[5] უფრო მძაფრი ტონით ამასვე წერდა იგი პეტრე ბაგრატიონს: „ვერც ამას ვიფიქრებდით, რომ მართლმადიდებლის ხელმწიფის საფარვლის დადებით ჩვენს ქვეყანასაც დავკარგავდით და ჩვენ ქვეყანაში ერთი კეთილშობილის სახითაც ველარ ვიცხოვრებდით".[6]

დავით ბატონიშვილის დემარშებისა არ იყოს, ალექსანდრეც იმპერატორისადმი ისევ დიპლომატიურ ფერებას ამჯობინებს და გამოთქვამს „ეჭვს", რომ ყოველივე ზემოაღნიშნული იმპერატორის ნებით არ უნდა

---

[1] Акты, т. II, გვ. 156.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 153.
[4] იქვე, გვ. 156.
[5] Центральный госуд. исторический архив в Ленинграде (ЦГИАЛ), ф. 1281, д. 18, л. 268.
[6] იქვე, ფურცელი 270.

მომხდარიყო. „ყოვლად მოწყალევ ხელმწიფევ! — სწერდა იგი იმპერატორს — უწყით ჩვენ არა იქნებოდა უსამართლობა ესე ნება ხელმწიფობისა თქვენისა, რათამცა აღგეფხურათ უსამართლოდ ძველი ოჯახი მართლმადიდებლისა ქრისტიანისა იმპერატორსა ქრისტიანესა... და რაც იყო საკადრო დიდებულებისა თქვენისა, არამედ იქმნა ესე მტერთა მიერ ჩვენთა, რომლთა შესმენაი ჩუენი განავლინეს წინაშე დიდებულებისა თქვენისა".[1]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ალექსანდრე ყველაფერზე მიდიოდა, რათა ნაწილობრივ პოლიტიკურ დათმობაზე წასულიყო რუსეთი და მისი მმართველი ელიტა. „თუ ხელმწიფე გააბედნიერებს ჩვენს სახლს და დასვამს ერთ რომელიმე პირს მეფედ, ისეთ საქმეებს ვაჩვენებთ, რომ არავითარ აჯანყებებს ადგილი არ ექნება და ამ მიწას დავიმორჩილებთ ყოველგვარი ომის გარეშე".[2]

ამგვარი სულისკვეთებითაა გაჟღენთილი ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი მოხელე ნესვეტაევისადმი, რომელიც მას ურჩევდა რუსეთის მთავრობასთან შერიგებას. ბატონიშვილი საპასუხოდ მოითხოვდა ქართული მემკვიდრეობის (სამეფოს) დაბრუნებას და საქართველოში თავის დატოვების გარანტიას: „ვითხოვ ამას, რომ ყოვლად მოწყალის ხელმწიფისაგან ერთი ბრძანება მომიტანოთ, რომ მე საქართველოში ვიმყოფებოდე და ამითი დავაჯერო მე ჩემი გული... მაშინ კიდეც მოვალ და კიდეც ვემსახურები ხელმწიფეს". ბატონიშილი ვერ ენდობოდა რუს მოხელეებს და ეს გასაგებიც იყო. „ამას რომ მწერ მიენდე რუსებსაო და მერე მოწყალებას მოიღებს ყოვლად მოწყალე ხელმწიფე და ბედნიერი შეიქმნებიო, ეს არ იცის რომ მე მაგათი მონა არ გავხდები... ან იმ ღუქოვიმს როგორ ვერწმუნო. ეგ ის კაცია, რომ მეფე ერეკლეს ამდენი ტყუილი წიგნი სწერა და იმედი აძლია, რომ ბოლოს იმის მიზეზით მაჰმად ხანს ველარც სწორედ შეება და ველარც შეურიგდა და მოვიდა მაჰმად ხან და წაახდინა ქალაქი და თუ ის არ დაინდო და ისე მოატყუა, მე როგორ ვერწმუნო, რომ დამინდობდეს".[3]

ნესვეტაევის მუქარაზე და საყვედურებზე ბატონიშვილი პასუხობს: „უკეთუ ბრალეულის გვყოფთ მიზეზისათის ბრძოლისა საქართველოსა, არა ვიყვნეთ ამით ბრალის ქვეშე, ამისათვის ვითარმედ მამულისათვის ჩვენისა ვებრძოლეთ მტერთა ჩვენთა და ამის მიზეზისათვის სათანადო არა არის, რათა ბრალეულ გვყოთ ჩვენ, მით რამეთუ მიწყივ ვეძიებთ

---

1 Центральный госуд. исторический архив в Ленинграде (ЦГИАЛ), ф. 1281, д. 18, л. 271.

2 Акты, т. II, გვ. 375.

3 მოამბე, 1900, №11, გვ. 62-63.

მამულისა ჩვენსა"... თავის აზრს და შეუვალ პოზიციას ნესვეტაევთან ალექსანდრე ბატონიშვილი შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „ახლა ჩემი უკანასკნელი სიტყვა ეს არის, რომელიც ხელმწიფე ჩემს მშობელ ქვეყანაში მამყოფებს, მისი თანამდები მონა და მოსამსახურე ვიქნები. ვიდრე უკანასკნელი სისხლის წვეთამდე".[1]

ალ. ბატონიშვილის, როგორც პოლიტიკოსისა და დიპლომატის, შეფასებისათვის საინტერესო მასალას გვაძლევს მისი და მთავარმართებელ ტრიშჩევის მიმოწერა 1812-13 წლის კახეთის აჯანყების დროს. ტრიშჩევის მეტად მოქნილ და ცბიერულ საყვედურზე: ღვთის მეშვეობით საქართველო დასაცავად გადაეცა რუსეთს, შენ კი ამის წინააღმდეგ იბრძვი და დახმარებას იმასთან ეძებ ვინც შენი სამშობლოს სისხლით ვერ ძღებოდაო (ე. ი. ირანთან, გ. ი.), ბატონიშვილი პასუხობს, რომ მართალია, იმპერატორმა ღვთისნიერად მიიღო ქართველ მეფეთა წინადადება და შეიფარა ჩვენი ქვეყანა, მაგრამ თქვენ ის მფლობელობაში მოაქციეთ სამუდამოდ და თქვენს საკუთრებად აქციეთ. ხალხი სამართლის აღდგენისათვის იბრძვის. მამხელთ, რომ ჩემს საქმეში ღმერთი არ მწყალობს, — წერს ბატონიშვილი, — ღმერთმა არ აკურთხა ჩემი ბრძოლა და ამიტომაა თითქოს ყოველთვის ემარცხდები. თუ ეს მართალია, მაშ რამ აამოძრავა ჩემს სასარგებლოდ ამოდენა ხალხიო, მე მდევნის არა ღმერთი, არამედ უსამართლობა, „ხმა ღვთისა და ხმა ერისა", სამართალი ჩემს მხარეზეა, ხალხი ჩემს მხარეზეა, მაშ, ღმერთიც მე მწყალობს, მდევნის კი უსამართლობა, რა გინდ ძლიერი არ უნდა იყოს ეს უსამართლობა, მის წინააღმდეგ ბრძოლა მართებულია, რაკი სამართალი, ხალხი, ღმერთი ყველა ჩემს მხარეზეა.[2] მართლაც შეუვალი პასუხია. ბატონიშვილი საკითხს უაღრესად პრინციპულად და იდეურად სვამს: სადაც სამართალია, ხალხიც იქ არის, ან პირიქით, და ღვთის ხელიც ხალხს ფარავს.

ტრიშჩევი რუსეთის დიდი ძალით აშინებდა და ემუქრებოდა ბატონიშვილს. ეს უკანასკნელი მიუგებს: მე ვიცი, რომ ხელმწიფე ძლიერია, მაგრამ გულისხმიერი და მოწყალე, თქვენ კი ხალხის ღაღადისი მის ყურამდე არ მიგაქვთ. აშკარაა, ალექსანდრე ერიდება ხელმწიფის აუგზე და უსამართლობაზე ლაპარაკს და უსამართლობის მოქმედად მას მხოლოდ ადგილობრივი მოხელეები გამოჰყავს. ბატონიშვილი, რა თქმა უნდა, ისეთი გულუბრყვილო არ იყო, რომ ქართველი ხალხის გამუდმებული ბრძოლის 12 წლის მანძილზე ვერ მიმხვდარიყო, თუ ვინ იყო დამნაშავე. მან კარგად იცოდა, რომ უსამართლობის სათავე თვით ხელმ-

---

1 Акты, т. III, გვ. 67-68.

2 საქ. ცენტრალური საისტორიო არქივი, (სსცია) ფონდი 2, საქ. 389. ფურც. 23.

წიდე და რუსული პოლიტიკა იყო, მაგრამ მან გააშიშვლა დამპყრობელი, ოსტატურად შემოაცალა მას ცრუ იდეური საბურველი და მოახსენა, რომ სამართალი და ღმერთი იქაა, სადაც ხალხია, მაშასადამე, სამართალიც მის მხარეზეა და ის ებრძვის უსამართლობას, რომლის განსახიერებაც დამპყრობელი რუსეთი იყო.

გახარებს ჩემი დაცემა-უღონობა, — განაგრძობს ბატონიშვილი, — მაგრამ ღმერთი აღადგენს დაცემულსო. მას მოაქვს არგუმენტი იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ მორალურ სიმტკიცესა და სიამაყეს გრძნობდა ის ამ წმინდა ბრძოლაში: რამდენი ათასი უმანკო ბავშვი ამოხოცა იროდმა ახალშობილი ქრისტეს დაღუპვის მიზნით? მაგრამ ქრისტე ხომ უბრალო იყო მათ სისხლში, ხოლო დახოცილი ბავშვები კი მოწამეებად დარჩნენ.[1] მაშასადამე, ბატონიშვილის აზრით, ქრისტე უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ალექსანდრეა, იროდი — რუსეთის მთავრობა, რომელიც ალექსანდრეს დაღუპვას ცდილობს, ქრისტეს მოწამე ბავშვები ქართველი ხალხი, რომელიც უდანაშაულოდ იხოცება ალექსანდრეს გულისათვის.

ალ. ბატონიშვილი, რტიშჩევის საყვედურზე — მაჰმადიან სპარსელებს ეყრდნობიო, არ უარყოფს, რომ ისინი ქართველთა მტრები არიან, მაგრამ აქ თითქოს ირონიას მიმართავს: იქ თავისუფალიცა ვარ და პატივიც შესაფერისი მაქვსო... ალექსანდრე გულუბრყვილობის გამო სრულიადაც არ ურევდა ერთმანეთში სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ ფაქტორებს სახელმწიფოთა ურთიერთობაში. მან მწარე გამოცდილებით კარგად იცოდა, რომ ძველი „ქრისტიანული სიყვარული" ახლა ძალაში აღარ იყო. მაგრამ ამის გამო იგი სრულიადაც არ ყოფილა სპარსოფილი. მან ისიც კარგად იცოდა, რომ სპარსელები მას მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური ანგარიშების გამო უფრთხილდებოდნენ, მაგრამ ის იყო შეურიგებელი მოწინააღმდეგე არა ქრისტიანულ რუსეთთან კავშირისა, არამედ რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოს დაპყრობისა; ალექსანდრე არ შეიძლებოდა ყოფილიყო სპარსეთის ორიენტაციისა, ამ დროს ქართველი პროგრესული პოლიტიკური მოღვაწე სპარსული სულისკვეთების ვერ იქნებოდა: ხალხის მომხრეობის მაძებარი ალექსანდრე ბატონიშვილი პოლიტიკურ ორიენტაციას არა თუ „აზიაზე", არამედ „ევროპისაკენ" აიღებდა. იგი იმ დროსაც კი, როცა სპარსეთის დახმარებით საქართველოში მეფის რუსეთის ბატონობას ებრძოდა, რუსეთის ორიენტაციისა რჩებოდა; ერთი სიტყვით, იგი თავისუფალი საქართველოსათვის იბრძოდა. პრინციპული მომხრე იყო რუსეთთან კავშირისა და ებრძოდა რუსთა ბატონობას თავის ქვეყანაში.

---

სსცია. ფონდი 2. საქმე 389. ფურც. 18.

ყველა დიდი პოლიტიკოსისა და, მითუმეტეს, პატრიოტისათვის მუდმივად თანამდევია მისი სიტყვები გენერალ რტიშჩევისადმი: „თქვენმან მაღალმან კეთილგონებამან კარგად იცის, მანამ კაცი ცოცხალი არის თავის მშობლის და სამკვიდრო მამულისათვის უნდა გაისარჯოს ვიდრე სისხლისა წვეთამდე და არავისაგან ეს საძრახავი არ არის და არც ავად ჩამოსართმევი და რომელი კაცი არ ეცდება თავისი მშობლის მამულისათვის ის არ იქნება სრულის კაცის ანგარიშში და განითულება იგი გვამი სულელთა გვამთა შინა“.[1] „განა თქვენ მამულისათვის არ ირჯებით? — წერდა ბატონიშვილი რტიშჩევს, — სამკვიდროსათვის, მამულისათვის მებრძოლი ვინც უნდა იყოს და ვის წინააღმდეგაც უნდა იყოს ეს ბრძოლა (მაჰმადიანი იქნება ის, თუ ქრისტიანი) სულერთია, სამოთხეს დაიმკვიდრებს... და მე მყვედრით მამულისა და ხალხისა ჩემისათვის ერთისა ცხენისა შემოძუგძუგებასა, და რაისთვის თავსაც ჩემსა არა წარვაგებ მამულისა რჯულისა და სახელისათვის?... ცხოვრება ესე ჩემი არა არს ცხოვრებად წოდებად, არამედ განგრძელებული ტანჯვა მამულისა ჩემისათვის“.[2] ყოველგვარი კომენტარი ზედმეტად გვეჩვენება. და ბოლოს, ბატონიშვილი სთხოვდა რტიშჩევს, რუსეთის იმპერატორს შეესრულებინა მისი თხოვნა მამულის (ტახტის) დაბრუნების შესახებ... „რათა შემეძლოს მეცა ვეგო მარადის ერთგულად მათი იმპერატორობითის დიდებულებისა ვიდრე უკანასკნელად სისხლისა ჩემთა დათრევამდე და მაშინ სცნობთ სამსახურსა და ერთგულებასა ჩემსა“.

ასეთია ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის პოლიტიკური და დიპლომატიური კონცეფცია XIX საუკუნის განსახილველ პერიოდში. ერთი რამ ფაქტია: რუსეთთან პოლიტიკური კავშირის მქონე თვითმმართველი, საქართველოს წმიდათაწმიდა იდეალი, რომელიც ბაგრატიონებმა და მათი დროის სხვა პროგრესულმა ქართველებმა წინაპრებისაგან მიიღეს, მკაფიო ზოლად გასდევს საქართველოს XIX საუკუნის მთელს ისტორიას.

---

სსცია ფ. 2, საქ. 389, ფურც. 29.

იქვე. ფურც. 30.

## 2. ხალხთა ისტორიული ურთიერთობა და საგარეო პოლიტიკის საკითხები XIX საუკუნის II ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა ნააზრევში

თერგდალეულთა შეხედულებანი პოლიტიკასა და დიპლომატიაზე ისტორიულ პროცესში ყველაზე უფრო ნათლად ილიამ, ნიკო ნიკოლაძემ, აკაკიმ და იაკობ გოგებაშვილმა ჩამოაყალიბეს.

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობებში ყოველთვის, ისტორიულადაც და მის დროსაც, ძალის პოლიტიკის წინააღმდეგი იყო. „სახელოვანის ინგლისის მეცნიერის დარვინის მიერ ეჰვგარეთ დაყენებული კანონი, რომელსაც „ბრძოლას არსებობისათვის" ეძახიან, სათავეა ყოველის მოძრაობისა, რასაც კი დღეს ჩვენის თვალითა ვხედავთ, სახელმწიფოთა შორის".[1] ამიტომ ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკა ძალადობაზე იყო და არის დამყარებული: „პოლიტიკაში ყოველთვის ძალა აღმართსა ჰხნავს".[2] ილია აკრიტიკებს ძალის პოლიტიკის მქონე დიდ სახელმწიფოებს, რომლებიც „დიპლომატიური ქურქით" შემოსილნი ავიწროებენ და იპყრობენ სუსტ და პატარა ქვეყნებს, რომელთა ხალხებისადმი „მომხრეობას თხოულობს თვით ჭეშმარიტი და განწმენდილი ზნეობაც, მაგრამ რას იზამთ, როცა დიდ პოლიტიკაში ევროპისა არც სამართლიანობას, არც ზნეობას კუთვნილი ადგილი არ უჭირავს და ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება. მტერობა, ჯიბრი, ცილობა და ხარბობა... დღეს ამოქმედებს პოლიტიკას სხვადასხვა სახელმწიფოსას".[3]

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოთა ურთიერთობებში მშვიდობის შესანარჩუნებლად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დიპლომატიასა და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს საყოველთაო უშიშროებისა და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. მისი აზრით, „ისტორიული პასუხისმგებლობა" ენიჭებათ დიდ სახელმწიფოებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად სწორედ დიდი სახელმწიფოები აქეზებენ ერთმანეთზე თავდასხმისათვის პატარა სახელმწიფოებს, რათა შემდეგ მათ ხელი მოითბონ საერთაშორისო ასპარეზზე: „დიდთა სახელმწიფოთა შორის არც ერთობლივი აზრია და არც ერთობლივი სურვილი. აქ ზოგიერთს ეჩო უჭირავს ხელში და ლამის თავისაკენ მოითალოს".[4]

---

1 ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებ. ტ. 9. თბ. 1968. გვ. 75.
2 იქვე. გვ. 131.
3 იქვე. გვ. 133-134.
4 იქვე. ტ. 5. გვ. 278-279.

როცა ილია მრავალეროვან სახელმწიფოზე ლაპარაკობს, იქვე აღნიშნავს, რომ ასეთ სახელმწიფოთა არსებობის საფუძველი უნდა იყოს თანასწორუფლებიანობა. იგი მიუთითებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცარია და კიდევ მრავალი სხვა სახელმწიფო, როგორც რთული პოლიტიკური ორგანიზმები, შექმნილია სხვადასხვა ერისა და სარწმუნოების მქონე ხალხთა გვარტომობის ერნი, ისე სამართლიანად და მშვიდობიანად ერთმანეთში მოთავსებულნი არიან, რომ ერთობა სახელმწიფოსი არა თუ ჰკარგავს რასმე, არამედ მტკიცედ და ფეხმაგრად სდგას".[1]

მრავალეროვან, ფედერაციულ სახელმწიფოში ყველა ერს უნდა ჰქონდეს განვითარების შესაძლებლობა. მრავალეროვანი სახელმწიფო, რომლებიც ერის დამოუკიდებლობის მოსპობას ისახავს მიზნად და თავის საქმიანობას აქეთკენ წარმართავს, საკუთარი ბუნებით ეწინააღმდეგება სახელმწიფოებრიობის იდეას: „მოსპობა რომელიმე ერის დამოუკიდებლობისა და შერაცხვა მისი სხვა ერთა შინა, ეგ იმას ნიშნავს, რომ ძალად და განზრახ აიღოს მან ხელი თავის თავზე, დაივიწყოს თავისი უწინდელი ცხოვრება, მოგონებანი, თავისი დაცემული დიდება, თავისი ინტერესები, თავისი ზნე, ენა და სუყველა ეს მტრის გასახარებლად, მტრის სასარგებლოდ".[2] ერების დევნა, ძლიერი ერების პატარა ერებზე ბატონობა მრავალეროვან სახელმწიფოში და საერთოდ ყველგან უნდა დაიგმოს, რადგანაც ერი ადამიანთა მაღალორგანიზებული ერთობაა, რომელსაც კეთილშობილური იდეალები ასულდგმულებს. „ყველა ერს აქვს თავისი ღირსება, თავისი კაცურკაცობა, დიდბუნებოვნება და მადლი, რომლითაც განიზომება თითოეული ერი და რაც ერის საწყაოს შეადგენს". მრავალეროვან სახელმწიფოში დასაგმობია ამ ქვეყანაში მცხოვრებ ერთა დისკრიმინაცია, მგარამ, ილიას აზრით, უფრო აღმაშფოთებელია, როცა რომელიმე ერი ათვალწუნებულია ყველა სახელმწიფოს მიერ და მას სდევნიან და ავიწროებენ სხვადასხვა უსაფუძვლო ბრალდებებით. ამიტომ ილია დაუშვებლად მიიჩნევს უკანასკნელ პერიოდში მთელ ევროპაში გავრცელებულ ანტისემიტიზმს, როგორც ებრაელთა წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას. „არ მოიპოვება ისეთი ისტორიული უსამართლობა, რომელსაც ებრაელები არ დაეჩაგროს, სდევნიდნენ ებრაელებს ვითარცა ერს, სდევნიდნენ ვითარცა თავისებურისა და განსაკუთრებულის რჯულის მაღიარებელთ, სდევნიდნენ ვითარცა უსამართლო ეკონომიკურის წეს-წყობილების წარმომადგენელთ

---

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებ.. ტ. 5, გვ. 86-87.
[2] იქვე. გვ. 278-279.

და სხვა ერთა ეკონომიკურ მჩაგვრელებს“.[1] ასევე, ილიას აზრით, ბისმარკს არ ეყო არც პოლიტიკური და არც დიპლომატიური ალღო, როცა მან პოლონელები განდევნა პრუსიიდან, რაც, მისი აზრით, სავსებით სამართლიანად დაჰგმო პრუსიის პარლამენტმა. ი. ჭავჭავაძე იწონებს პრუსიის პარლამენტის პროგრესისტი-დეპუტატების ვინდჰორსტის, ლიბკნეხტის, რიკერტის და სხვათა გამოსვლებს, რომლებშიც ხაზგასმული იყო, რომ „გერმანიის სახელმწიფო ბისმარკის წყალობით კი არ არსებობს, არამედ გერმანია ბისმარკზე ძლიერია, რადგან მისი არსებობის წყაროებია“.[2]

დიდი და პატარა ერების ისტორიულ და პოლიტიკურ დამოკიდებულებას ილია სწავლობს მრავალეროვან სახელმწიფოებში მათი ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე, სამართლებრივი მოწყობის და მდგომარეობის საფუძველზე; ამასთან ერთად განსაზღვრავს ევროპის სახელმწიფოებსა და რუსეთის იმპერიის შიგნით ხალხთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპებს. ილიას აზრით, ზოგიერთ მრავალეროვნულ სახელმწიფოში სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხებს შორის ურთიერთობა ასე თუ ისე მოგვარებულია (მაგალითად, ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფო). მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ერი სახელმწიფოს შიგნით მთავრობებისა და ძლიერი ერების შევიწროებას განიცდის. იმ ეპოქისათვის რუსეთის იმპერიაში მოქცეულ ხალხებთან ერთად ერთ-ერთ ასეთ სადავო და გადასაჭრელ პრობლემად ილიას მიაჩნდა ირლანდიელთა სამართლებრივი მდგომარეობა ინგლისის სახელმწიფოში. ილია ჭავჭავაძე ირლანდია-ინგლისის ურთიერთობას განიხილავს არა როგორც კერძო მოვლენას, არამედ ეპოქის მოთხოვნით წამოყენებულ და გადასაჭრელ პრობლემად. რადგან, მისი აზრით, „ფეოდალიზმის დამხობამ და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა გამარჯვებამ ერები და მათი ისტორიული ურთიერთობა გადასინჯა და პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან პრობლემად წარმოსახა“.[3] ილია ამასთან დაკავშირებით (ე. ი. ეროვნულ ურთიერთობებთან) ხშირად იშველიებდა მაგალითებს და პარალელებს საქართველოს ისტორიიდან. მისი აზრით, დავით აღმაშენებელმა შეძლო თავის სახელმწიფოში უცხო სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხებთან ურთიერთობაში ისეთი წესრიგი შეეტანა, რომ ამ უკანასკნელთა პატივისცემა დაემსახურებინა. ილიას თქმით, „ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელად არ ზოგავდა, ამისთანა კაცთმო-

---

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებ., ტ. 8. გვ. 248.
[2] იქვე. ტ. 9. გვ. 239.
[3] იქვე. ტ. 4. გვ. 210.

ყვარული პატივისცემა სხვა ეროვნებისა, სხვა სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან... მაშინ, როცა დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს საკვირველებად მიგვაჩნია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნებას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთმოყვარეობით, რითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივსა სცემდა. კეთილგანწყობილება თავისი ქვეყნის უცხო სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხებთან, რაშიც ილიამ დაინახა დავითის ეპოქისათვის უჩვეულო ჰუმანიზმი, სწორი და მოქნილი საეროვნებათაშორისო პოლიტიკა იყო.[1]

უაღრესად რეალისტურად გაიგო ილიამ თამარის ეპოქის საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის არსიც. მისი აზრით, მას შემდეგ, რაც სომხეთი შეიმუსრა, ჩვენი სამხრეთი ღია დარჩა მტერთათვის შესამუსრავად; ამიტომ ყველა მეფე, ვინც მოწოდების სიმაღლეზე იდგა, ცდილობდა სამხრეთი საზღვრების მოწესრიგებას და ამით საკუთარი ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფას. ყველა მათგანი ცდილობდა, „ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველოზედ შორის გაედგა მოსვენებისა და უშიშროებისათვის, ამ მტრისათვის ისეთი ზარი დაეცა, რომ დიდხანს აღარ შემოებედნა-რა საქართველოსათვის. ეს იყო პოლიტიკური საჭიროება, რომელიც ეთავდებებოდა ჩვენს მშვიდობით ყოფასა და არსებობასა... განა სულელები იყვნენ დავით აღმაშენებელი და მისი შემდგომნი თამარამდე და თამარის შემდეგ სხვა მეფენიც სულ აქეთ იწვევდნენ საომრად. ქართველებს ამ მხრის გამაგრება რომ მოესწროთ, — ვინ იცის, საქართველოს ბედი როგორ დატრიალებულიყო“.[2] თანაც ილია გასაგებად მიუთითებდა, რომ „და თუ დღემდე ჩვენს ახლანდელ სამშობლოს შევრჩით, ეს ალბათ მისი ბრალია, რომ მეტი გასაქანი აღარ გვქონდა: ჩრდილოეთით გარდაუვალი მთები გვეკრა, დასავლეთით ზღვა, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი მქრით დასახლებული ადგილები, ანუ უდაბნოები“.[3] აქვე საინტერესოა ილიას აზრი იმის შესახებ, რომ „ჩვენი გეოგრაფიული საზღვრები და მდებარეობა არ აძლევდა ქართველ კაცს იმის საშუალებას, რომ იგი სხვისი მიწების დამპყრობი და მიმტაცებელი ყოფილიყო“...

დიდი მოაზროვნე და ისტორიული ალღოს მქონე ი. ჭავჭავაძე არ ივიწყებდა მეზობელ ქრისტიან სომხეთს, რომელსაც ჩვენს ისტორიაში დიდი როლი ენიჭებოდა. „საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბე-

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 4, გვ. 181.

2 იქვე. გვ. 67-68; შოთა ბადრიძე, ილია ჭავჭავაძე, როგორც ისტორიკოსი, თბ., 1987, გვ. 128.

3 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 102.

დურ დღეს, როცა კი პირქვე დაემხო სომხეთი — ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთსა და სომხები გვინახავდნენ სამხრეთით"...[1]

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ და ისტორიულ შეხედულებათა სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს საქართველო-რუსეთის ურთიერთობას. ილია მიუთითებს, რომ საქართველო უძველესი ქვეყანაა, მისი ისტორია ათასობით წელს ითვლის, ამ ხნის განმავლობაში ქართველმა ხალხმა საუკუნეობით დაიცვა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა. ილია დაინტერესებულია იმის გამოკვლევით, თუ რა მიზეზმა გააძლებინა ქართველ ხალხს ისტორიის მთელ მანძილზე. და რამ განსაზღვრა ქართული სახელმწიფოებრიობის კრიზისი და მისი დამოუკიდებლობის მოსპობა XVIII ს. ბოლოს. ილიას აზრით, ქვეყნის დაუძლურების მიზეზთა შორის უნდა იქნეს დასახელებული: „მძიმე გარეშე საპოლიტიკო ვითარება", „მაჰმადიანი მომთაბარენი", „ევროპულ ცხოვრებას მოწყვეტა" და ბოლოს „ქვეყნის ეკონომიკური დაუძლურება, უსწორ-მასწორობა მიწის ისტორიულ მფლობელობაში".[2] მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობას კარგავდა, ილიას აზრით, მან მაინც მისაღები და გონივრული ნაბიჯი გადადგა, როცა სამხრეთის მტრულ სახელმწიფოებისაგან თავის დაღწევის მიზნით „ნაბიჯი გადადგა რუსეთისაკენ". „საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის თვითმყოფობით სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავის ვალი და ვახში არ დარჩენია... სასოება გაღვიძებული მეფე და ერი გულწრფელად მიენდო თავის მომავალსა, რუსეთის მფარველობის იმედით ფრთაშესხმული".[3] ისტორიის ავბედობით დაშლილი და დანაწევრებული საქართველოს სახელმწიფოებრიობა, აღნიშნავს ილია, გაქრა და მოისპო, მაგრამ რუსეთის დიდ სახელმწიფოში იქმნებოდა შესაძლებლობა „ქართველობის მამულის აღდგენისა".

ილიას საქართველო-რუსეთის ურთიერთობისას ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა „ობიექტური ვითარება ისტორიისა" და იგი ყოველთვის (თუნდაც შეფარვით, ტაქტიკური ქარაგმებით და ა. შ.) თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობაზე, მის ეროვნულ თვითმმართველობაზე ფიქრობდა.

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, რუსეთის სახელმწიფოს თავისებურება ისაა, რომ მასში სხვადასხვა ტომის, ენისა და რჯულის ერები ცხოვრობენ, რომლებიც გაფანტული კი არაა რუს მოსახლეობაში, არამედ თა-

---

1 ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. 5. გვ. 193-194.
2 იქვე. ტ. 4. გვ. 178; ტ. 5. გვ. 108.
3 იქვე. ტ. 4. გვ. 217.

ვიანთ მამაპაპეულ მიწაზე არიან დასახლებული კომპაქტურად. და ამის კვალობაზე „რუსეთის იმპერიაში ცხოვრების ასპარეზზე მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესებია წარმოდგენილი, პატარა ერების გასაჭირი კი მთლიანად მივიწყებულია".[1] „რუსეთს არ ჰქონდა და არც დღეის აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა, და სად იწყება სახელმწიფოსი".[2] ამ მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობაშია ქართველი ერი: „ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ძნელად თუ მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ზედ გვაბოტებს და მიწასთან გვასწორებს; ლამის კავკასიის აქეთ ჩვენი ხსენება მოსპონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდან აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ"...[3]

ილიას აზრით, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის უძველესი დროიდან იღებს სათავეს. მაგრამ სულ სხვაგვარად უნდა შეფასდეს, მისი აზრით, ისეთი პოლიტიკური ფენომენი, როგორიცაა საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა. „აქ მეტი სიფრთხილეა საჭირო და მომავლისა და პერსპექტივის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინება" — აღნიშნავს იგი. („რუსეთი ჩვენ — ამატებს ილია, თვისიანადაც უნდა მივიღოთ რჯულის მიხედვით და ამავე დროს უცხოეთადაც პოლიტიკურის აზრით".) ამ ნიადაგზე დაყრდნობით უნდა ვიფიქროთ და ვიბრძოლოთ „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენისათვის". ილიას ამგვარი შეფასება რუსეთთან დამოკიდებულებისა უდიდესი საპროგრამო პოლიტიკური მინიშნებაა მომავალი თაობებისათვის.

1832 წლის შეთქმულების მარცხმა თავზარი დასცა ქართველთა სულიერ სამყაროს: ილიას მიხედვით: „დამარცხებულნი მთლად გაეცალნენ ცხოვრების სარბიელიდან, დაიქსაქსენ, თუმცა კი გულისტკივილი მათი თესლად დარჩა ცხოვრების ხნულში... ამ თესლზე გატყდა ჯაჭვი ცხოვრების ზედმიყოლებისა, აწმყოსა და წარსულს შუა ჩატყდა ხიდი, ბუნებრივ ორკეცი დენა ცხოვრებისა შედგა... მოაზრე და მოსაქმე ცხოვრება შეფერხდა, ანუ შევწყვიტეთ ფიქრი იმაზე, თუ ვინა ვართ და რანი ვართ".[4] ილია აგრძელებს, რომ ასეთ ვითარებაში „ქართველი ორმოციანისა და ორმოცდაათიანის წლებისა დარჩა უსაგნოდ, მარტო, სულით ობოლი, სასოებამიხდილი". მაგრამ ერის სულიერი ცხოვრების განვითარების ინტერესები „უქმად ყოფნას" ეწინააღმდეგებოდა, რაც

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 2, გვ. 30.
2 იქვე, ტ. 5, გვ. 80.
3 იქვე, ტ. 5, გვ. 55.
4 იქვე, ტ. 3, გვ. 203-204.

დრო გადიოდა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობიდან წარმომდგარი პოლიტიკური წინააღმდეგობანი გადაჭრას მოითხოვდა. მართალია, ილიას აზრით, სახელმწიფოებრივად საქართველო რუსეთში იყო გაერთიანებული და „ჩვენობა და უცხოობა ერთმანეთს იშნევდნენ, მაგრამ გულში კი ერთმანეთთან ვერა რიგდებოდნენ". ამის გამო „უპასუხოდ დარჩენილი საკითხი, ვინა ვართ და რანი ვართ ხელახლა უნდა გამოსულიყო მოედანზე".[1] და მართლაც ასე მოხდა. დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი, მაღალი ეტაპი.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძეს საქართველოს მთელი ისტორია არსებობისათვის და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიად აქვს წარმოდგენილი. მისთვის ქართველობის, საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობათა განხილვაც ამ საფუძველს ემყარება.

ამა თუ იმ ერის, კერძოდ ქართველების ისტორიული და პოლიტიკური მისია, მისი ადგილი მსოფლიო ისტორიაში XIX-XX საუკუნეების მოვლენებთან მიმართებაში სრულიად ორიგინალურად (თეორიული დიპლომატიით) შესანიშნავად აქვს გააზრებული გამოჩენილ ქართველ მოაზროვნეს ნიკო ნიკოლაძეს. მისი რწმენით, ბუნება და საზოგადოება, საერთოდ ადამიანი, მარტო გონიერებით არის აღჭურვილი. ისტორიის ხანგრძლივი გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ამა თუ იმ ერს, ხალხს თუ თავდაცვა, თვითშენახვა არ შეუძლია, უეჭველად სხვისი მსხვერპლი გახდება. მისი აზრით, მართალია, „ბევრი დაიწერა თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე, მაგრამ ჯერჯერობით ერთობ ცოტაა იმათი რიცხვი, ვისაც ეს სწავლა სისხლსა და ხორცში გაჯდომოდეს და მოქმედების კანონად გახდომოდეს... უმრავლესობა ძველებური კანონითა და ზნე-ჩვეულებით ცხოვრობს, სრულიად არ ესირცხვილება სუსტი ხალხების ძარცვა-გლეჯა იმავე მიზეზით, რომლითაც მე და შენ, ჩემო მკითხველო, ვერ ვგრძნობთ ჩვენს საკუთარ უსამართლობას, დანაშაულობას და სისაძაგლეს, როცა უმანკო ხბოს, ან კრავს ვკლავთ ჩვენი კუჭის გასაძღომად. ევროპელი ხალხი — ჩვენთვის ერთობ საჭიროა გავიგოთ, გონებაში ჩავიჭედოთ, და ნიადაგ გვახსოვდეს ეს გარემოება — ევროპელი ხალხი მეთქი სწორედ იმ თვალით უყურებს ყოველს, სხვა უკან ჩამორჩენილს და უძლურს ხალხს, როგორითაც ჩვენ თვითონ ცხვრის ფარას დავცქერით".[2] ამიტომ „ხბოსა და ცხვრის ხვედრი რომ აიცილო — განაგრძობს ნიკოლაძე, ერთადერთი გზა არსებობს: გაძლიერება ეკონომიკურადაც, პოლიტიკურადაც და კულტურულადაც: პატარა შვეიცარიას ძლიერი და ხარბი სახელმწიფოებიც კი მორიდებით

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 205.
[2] ნიკო ნიკოლაძე, თხზ., ტ. 3, გამეზარდაშვილის რედ., თბ., 1979, გვ. 82.

შესცქერიან. შვეიცარია კი ხმამაღლა გვეუბნება: თავისუფლება, თვითარსებობა მარტო მაშინ არის ამ წმინდა სახელების ღირსი, სანამ ხალხი საძრახი და სამარცხვინო არ გამხდარა სხვა ხალხების თვალში. ეს კი მოიპოვება სწავლით, ზნეობით, შრომითა და ღირსებით".[1] „მთელი ბუნება ამაზე ტრიალებს და ბევრიც რომ ვიგოდოთ ან ვიქადაგოთ, ამ არსებით კანონებს ადამიანის ძალა და გონება ვერ შეცვლის, ვისაც თავისთავის, თავისი ერისა და ქვეყნის ამაღლება და ბედნიერება ჰსურს, ის არც თვითონ იქნება სხვისი იმედით და არც თავის ხალხს შეაჩვევს სხვის თვალებში შეჩერებას.... კერძო პირსაც, ლიდერსაც, საზოგადოებასაც, ერსაც თავის ცხოვრება, ბედი და იმედები მარტო საკუთარ შრომაზე, ღონეზე და პოლიტიკაზე უნდა ჰქონდეს დაფუძნებული... ჰოლანდიელები დაჰაობებული ზღვის ნაპირის მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ; შრომაც ძნელი იყო იქ და არსებობაც, მაგრამ მათ მოახერხეს ამ მდგომარეობისაგან თავის დაღწევა არა იმით, რომ ბუნების კანონი შეცვალეს, არამედ იმით, რომ ის კანონები შეისწავლეს და მერე ცოდნით შეიარაღებულნი ისე მოიქცნენ, როგორც ამას ბუნების კანონზომიერება ითხოვდა"[2] — წერდა ნ. ნიკოლაძე.

ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკურ შეხედულებებთან (სახელმწიფო მმართველობის ფორმები, კანონსა და სამართალზე დამყარებული სახელმწიფო, მოქნილი პოლიტიკა და დიპლომატია) დაკავშირებით საგულისხმოა მისი თვალსაზრისი ბიზანტიურ-რუსულ და ევროპულ მმართველობაზე. „მმართველობის პირველ ფორმაში მთელი სახელმწიფოს ცხოვრება და ტრიალი მარტო მეფის, ან დესპოტის სურვილზე და შეხედულებაზე იყო დამყარებული; ევროპაში კი არსებობდა სხვანაირი სიმართლე, კანონი, ტრადიცია, დიპლომატია, სისტემა და ბოლოს მეცნიერება. ბიზანტიურ-რუსულ მმართველობაში საქმე ბრმა ბედს მიჰყავს. თუ მეფე ჰკვიანი და გონიერია, მაშინ კიდევ არა უშავს რა: ქვეყანას შეიძლება უბედურება არ ეწიოს, მაგრამ თუ ხელმწიფე უტვინო და უბედურია, ყველაფრის დაღუპვა შეიძლება, რაკი კანონ-სამართალი კი არ მართავს, არამედ მეფის პიროვნული ნება-სურვილი... რუსეთისა და საქართველოს ევროპისაგან ჩამორჩენა სწორედ მმართველობის წესმა განაპირობა.... დესპოტის სამსახური და ქვეყნის ან იდეალის სამსახური — აგრძელებს ნიკოლაძე — დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან... ევროპელი მთავარი ენერგიას და ენთუზიაზმს იმით აღვიძებს მსახურებში, რომ მამულის, იდეალის მსახურებას ახსენებს ყოველწამიერ. აზიელ დესპოტს კი მარტო ოქროთი და ვერცხლით, მარტო

---

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზ. ტ. 3. გვ. 92.
[2] ნ. ნიკოლაძე. თხზ. ტ. 3. გვ. 88.

თვალმარგალიტით შეეძლო წაეხალისებინა მისი მსახურები: არავითარი პოლიტიკა, არავითარი დიპლომატია, არც შიგნით, არც გარეთ... რაღა ლარი. და ხაზი უნდა, რომ ამ წესით აღჭურვილი ქვეყანა ვერასოდეს დაეწეოდა იმ ქვეყნებს, სადაც საწინააღმდეგო წესი სუფევდა: საერთო, საზოგადო, საერო დაწესებულება ქვეყნის სამსახურის გასაწევად, ქვეყნის სამართლისა და სიკეთის დასაცავად".[1]

ნიკო ნიკოლაძე არ იყო თავწამკვდარი რადიკალი ეროვნულ საკითხში, უფრო მეტიც, ის ამ მხრივ ზოგჯერ საოცარ კონსერვატიზმსაც იჩენდა. მაგრამ მას ყოველთვის ქართველი ხალხის ისტორიული გამოცდილებიდან გამოჰქონდა სათანადო დასკვნები და თავის პოლიტიკურ მრწამსს დიპლომატიური სვლებით და არგუმენტებით ამაგრებდა ეპოქის კვალობაზე. ამიტომ იყო, რომ იმ თავის ხალხს არა მხოლოდ ეთიკის პოზიციებიდან ელაპარაკებოდა, არამედ დიპლომატიისა და ნამდვილი პოლიტიკის ენით. ნ. ნიკოლაძის აზრით, თუ ოდესმე, მომავალში საქართველო რუსეთს გამოეყოფოდა, ეს უნდა მომხდარიყო მხოლოდ მშვიდობიანი გზით, იმპერიის მთავრობის თანხმობითა და ნებასურვილითაც. „როგორც რუსეთის, აგრეთვე ევროპის ხალხში ჩვენი ხალხი უნდა გამოჩნდეს მხნე, პატიოსან და რაინდ ხალხად, იმისათვის, რომ პატივისცემის ღირსია მოქალაქობრივი პატიოსნების და გონიერებისათვის".

ნიკო ნიკოლაძის აზით, „ჩვენ არასდროს არ უნდა ვილაპარაკოთ პოლიტიკური რომანტიზმის ენით, არამედ ვიყოთ პოლიტიკური რეალიზმის პატივისმცემელნი და შემფასებელნი".[2]

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას ნიკო ნიკოლაძე როგორც ისტორიულად, ისე თანამედროვე ვითარებაში მეტად ფრთხილად და ფხიზლად, რეალისტი პოლიტიკოსისა და თეორეტიკოსი დიპლომატის თვალით ზომავდა. მან კარგად იცოდა, რომ ქართველ ხალხს არ ახასიათებდა არც ანტირუსული განწყობილება და არც ეროვნული შეზღუდულობისაკენ მისწრაფება. ამდენად იგი ცნება „ნაციონალიზმს" ანტიცარისტული განწყობილების გამოსახატავად ხმარობს. ქართველი ხალხი ცარიზმს ებრძოდა თავის ეროვნულ უფლებათა დაცვა-გაფართოებისათვის. მაგრამ ამ ბრძოლის ყოველგვარი ფორმა და შედეგი ნ. ნიკოლაძეს მისაღებად როდი მიაჩნდა. „ჩვენ არ გამოვეკიდებით, წერდა იგი, რუსეთის მთავრობისათვის, ისევე როგორც საქართველოსათვის საინტერესო საკითხს, ეროვნულ მისწრაფებათა განვითარების საკითხს: ჩვენი მდგომარეობა საუკეთესო საბუთია იმისა, რომ უარი ვთქვათ ამ

---

[1] Н. Николадзе, Византийские споры, газ. "Новое обозрение", 1889, № 222.

[2] ნ. ნიკოლაძე, ჩემ პოლიტიკაზე, ქუთაისი, 1913, გვ. 23.

განმარტებაზე, რომელსაც ადვილად შეიძლება მოჰყვეს ინსინუაცია. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: ჩვენის აზრით ამ იდეის განვითარებას შეუძლია საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენოს ქართველი ხალხის მატერიალურსა და გონებრივ განვითარებას. ნურაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ეროვნულ მისწრაფებათა გადაჭარბებას შეუძლია მიიყვანოს საქართველო იმ სასაკლაოზე, სადაც ამას წინათ ტყავი გააძრეს პოლონეთს და სადაც მთლად სისხლი გამოსწოვეს ჩერქეზებს და ჩრდილო კავკასიის მთიელებს... ეროვნული მისწრაფება რომ გამარჯვებითაც დაგვირგვინდეს და საქართველომ საფრანგეთისა და ინგლისის მფარველობა მოიპოვოს... ჩვენი ქვეყანა საკმაოდ დიდი ხნით დაჰკარგავს თავის იმედებს იმის შესახებ, რომ წარმატებით გადაიჭრას გონიერი და სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების (შექმნის) ის საკითხი, რომელიც მას აღელვებს".[1] ნიკო ნიკოლაძის აზრით, შექმნილ სიტუაციაში საქართველო დასავლეთი ევროპის „მფარველობით" ვერც ერთ მტკივნეულ საკითხს ვერ გადაჭრის, ქართველი ხალხი ვერ მოიპოვებს სოციალურ და ეროვნულ თავისუფლებას. ასეთი თავისუფლება „აქვე, ჩვენივე თავში" უნდა ვეძიოთ. რაკი ქართველ ხალხს ჯერ არ შეუძლია ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, იგი რუსეთის განახლების მოლოდინში, იმპერიის შემადგენლობაში უნდა დარჩეს... „ამ შემთხვევაში იგი უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ, ან მფარველად ეყოლება (აღარაფერს ვამბობ მფლობელობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა და სპარსეთზე, რომლებზეც საქართველოში არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის".[2]

სადღეისოდ, თუ სამომავლო დიპლომატიისა და სტრატეგიის თვალსაზრისით, უაღრესად ფასეულია ნიკო ნიკოლაძის შემდეგი მსჯელობა: „ქვეყნის პოლიტიკას, როგორც მისი ბუნების ნამდვილ ძალებს, ადამიანის, ხალხის სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა სჭედს. პოლიტიკა ახალი მოდური შლიაპკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენ ქიფზე იყოს დამოკიდებული, არამედ ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება... სანამ შავი ზღვიდან გასავალი სრუტე ოსმალოს ხელშია, სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით რუსი, ბევრი რომ ვიწრიალოთ ამ პოლიტიკას ვერც ავცდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უაღრესად გმირებს ბევ-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. I, 1962, გვ. 264-265.
[2] იქვე, თხზ., ტ. I, გვ. 266.

რი ცდის ძებნისა და მსხვერპლის შემდეგ... უკეთესი რომ შესაძლო ყოფილიყო, განა მათ დაემალებოდათ? ჩვენზე ცოტათი სწყუროდათ ვითომ დამოუკიდებლობა? საკუთარი გვირგვინი ჩვენზე ნაკლებ უყვარდათ? საძებნი გზა ჩვენსავით დახშული როდი ჰქონდათ; უფლებაც სისრულით ხელთ ეპყრათ, ვისთანაც უნდოდა საქმე დაეკავებინათ, კავშირი შეეკრათ. ბრძანებისამებ მთელი ქვეყანა მიმოვლეს მათმა ელჩებმა, სამეფო არსად დარჩენიათ, რომელთანაც მოლაპარაკება არ გაემართათ, დაახლოება სახსნელად არ ეცადათ. სანამ საბოლოოდ გზას დაადგებოდნენ, სანამ გვირგვინს ერის არსებობას შესწირავდნენ, ყოველი საშუალება სინჯეს, ყოველი ღონისძიება იხმარეს, თვით სარწმუნოების შეცვლასაც შეჰპირდნენ რომის პაპს და ფრიდრიხ დიდს. (უცრემლოდ ვერ გადაიკითხავს კაცი ამ სამი საუკუნის მეცადინეობის აღწერას მატიანეში.) (რაც ამდენს ამისთანა თაობას აუგია, აუცილებლად უცვნიათ, იმას ერთი ჯგუფი, ერთი თაობა ვერ შეცვლის, სანამ ოსმალოს, რუსისა, ან სპარსეთის ადგილს რომელიმე სხვა რასსა, ან მეფობა არ დაიჭერს საქართველოსათვის არავითარი სხვა პოლიტიკა არ იარსებებს.) რა ძალამ და აუცილებლობამ ეს მდევები (ჩვენი წარსულის მეფე-პოლიტიკოსები) გასტეხა, ის ახლაც უცვლელად არსებობს, მას ვერც ჩვენ მოვერევით... ბუნების წინააღმდეგ ყოველი ცდა ამაოდ და სასტიკად ისჯება".[1] თითქოს ღრმა გულისტკივილი და უიმედობა მოსჩანს ამ სტრიქონებში, მაგრამ ნიკო ნიკოლაძის შეხედულება მაინც პოლიტიკურ რეალიზმს ემყარება: გლობალური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური წინასწარხედვა მომავალში (თუნდაც დღეს, გ. ი.) რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ადგილისა და როლის შესახებ მსოფლიო მასშტაბით. 1894 წელს იგი წერდა: „დღეს მსოფლიოში სამი დიდი სახელმწიფო არსებობს: დიდი ბრიტანეთი, აშშ და რუსეთი. ამ სამიდან დიდი ბრიტანეთია ყველაზე სუსტი. მისი კოლონიები დედამიწის სხვადასხვა კუთხეშია გაბნეული. მათი მართვა თანდათან ძნელდება და რთულდება. ამასთანავე ბევრი კოლონია თავად ბრიტანეთზე ბევრად დიდია ტერიტორიითა და მოსახლეობით. მალე დადგება დრო, რიცა დიდი ბრიტანეთი მათ მართვას ველარ შეასრულებს და ისინი ლონდონის მმართველობისაგან განთავისუფლდებიან... რუსეთის უპირატესობა კი ის არის, რომ მისი კოლონიები მასთან ერთად და ახლოს არის, ყველა რუსეთს ესაზღვრება და გეოგრაფიულად ერთი სხეულია.... თუ რუსეთი ეკონომიურ წარმატებაზე იზრუნებს, მაშინ იგი იცხოვრებს უმეტოქოდ და უშიშრად. აშშ-იც ბუნებრივად მდიდარი ქვეყანაა, ახალგაზრდა და თავისუფალი; მათი ლოზუნგია „ამე-

[1] ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტიკაზე— გვ. 26.

რიკა ამერიკელებისათვის". მალე ისინი ევროპის ქვეყნებს ამერიკის კონტინენტიდან გააძევებენ. ეს უნდა გააკეთონ, თორემ სხვანაირად მათი ლოზუნგი ცარიელ სიტყვად დარჩება და საქმედ არ იქცევა. როგორც კი ეს მოხდება, აშშ ფაქტიურად მთელი კონტინენტის მფლობელი გახდება... ერთი სიტყვით, ისტორიის მსვლელობა იმას მეტყველებს, რომ მე-20 საუკუნეში აშშ და რუსეთი იქნებიან კაცობრიობის მბრძანებლები".[1] მოტანილი მსჯელობა კომენტარს არ საჭიროებს და დიდხანს დარჩება ისტორიკოსებისა და პოლიტოლოგებისათვის სახელმძღვანელოდ.

თერგდალეულთა ისტორიულ კონცეფციაში აკაკი წერეთლის ნააზრევი ასევე ორიგინალური და ყურადსაღებია. შეიძლება ჩვენს მსჯელობას აკაკიზე სახელმძღვანელოდ წარვუმძღვაროთ მისი ზოგადპრაქტიკული და მოქნილი პოლიტიკურ-დიპლომატიური თვალსაზრისები, საქართველოს წარსულსა და აწმყოში არა ერთი შეცდომის გასწორებაში რომ წაგვადგება. აკაკის აზრით, „მთელი ჩვენი ისტორიული გამოცდილება და თვით ისტორია დიპლომატიურად უნდა ვაქციოთ ახალ დროში... რაც უწინ შეგვეშალა და შეცდომა ვნახეთ, ის აღარ გავიმეოროთ".[2] აკაკი წერეთელი ხმარობს თავისი მსოფლმხედველობის სააზროვნო-პოლიტიკურ კატეგორიებს: „დროსა და ადგილის ვითარების", რაც სხვაგან მრავალჯერ აქვს მოხსენიებული „დრო და ვითარების", „დროთა ვითარების", „დროის მოთხოვნილების", „სხვაგვარი გარემოების",[3] „ჩვენი ცხოვრების წყობილების", „საზოგადო ნიადაგის"[4] ტერმინებით. მისი აზრით, „ადამიანი არის გაჩენილი ხატად და მსგავსად ღვთისა, თავისუფლად და არა მონად"... საერთოდ ადამიანი, მისი გრძნობა-გონება, მთელი ცხოვრება დამოკიდებულია ადგილზე, დროსა და ვითარებაზე. „ყოველ საუკუნოს თავისი განსაკუთრებითი ჟამთავითარება უდგას და მაშასადამე, საკუთარი მოთხოვნილებაც აქვს, რომლისაც გვერდის ახვევა შეუძლებელია"... ამასთან, „რასაც დღესაც ვმსჯელობთ, ის სხვად საკმარისი აღარ არის ხოლმე, ამიტომ ყოველივე დრო და ადგილის გარემოების შეფერებით უნდა კეთდებოდესო".[5] ა. წერეთლის თქმით, XIX ს-ის I ნახევრისათვის გამოსადეგი საადგილმამულო ბანკი შეიძლება გამოუსადეგარი აღმოჩენილიყო იმავე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოსათვის, რადგან „ერთი პრუსიელი რომ დაჰკარგავდა ადგილ-მამულს, მეორე პრუსიელივე ყიდულობდა და მის ადგილს

---

[1] ნ. ნიკოლაძე, მოსალოდნელი ცვლილება, „მოამბე", 1894. №10.
[2] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. II, გვ. 134.
[3] ი. გოგებაშვილი. საიუბილეო საღამო, თხზ., ტ. 4, გვ. 207-208.
[4] იქვე. წერილები აკაკი წერეთლისადმი, ტ. 9, გვ. 344-345.
[5] ა. წერეთელი, თხზ., ტ. 7. გვ. 577; აკაკის კრებული, 1899, №6.

ჩადგებოდა ხოლმე, ამით პრუსია საერთოდ არას ჰკარგავდა... მაგრამ პრუსიელების მაგიერ ფრანცუზები რომ ჩამდგარიყვნენო... კეთილდღეობაში ჩავარდებოდნენ პრუსიელები, თუ ირლანდიელთა და ინდოელთა მსგავსად გალატაკდებოდნენ უცხო ქვეყნელთა მიერ მიწა-წყლის ჩამორთმევით"? „იგივე დაემართება, ან დამართნია ქართველ ხალხს, თუ მისთვის შეუფერებელმა პოლიტიკამ მიწა-წყალი დააკარგვინა" — დასძენს ა. წერეთელი".[1] აკაკის მართებული განცხადებით, „ჭეშმარიტების გასაგებად ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხშირად ავი საქმე კარგსა ჰგავს შორიდან და კარგი ხანდახან ავის ფერს იღებს. საჭიროა მათი დაკვირვება, რიგიანი აწონვა, პოლიტიკური ალღო... ესეები ყველა ჭეშმარიტების პირველი ანაბანაა. ჭეშმარიტების და პოლიტიკის მკვლევარმა (მით უფრო მეტად) მოვლენებს ყოველის მხრით უნდა შეხედოს, თორემ ერთის მხრით შეუძლებელია, რადგან ყველაფერი არც მარტო ბიწიერებაა, არც მარტო უბიწოება".[2]

აკაკი წერეთელი პოლიტიკაში მომხრეა შეფარდებითი და აბსოლუტური ჭეშმარიტების კავშირისა. „ნამდვილი ჭეშმარიტება არასოდეს არ ძველდება. ყოველთვის იგივე ჭეშმარიტებაა, მხოლოდ მოჩვენებულ ჭეშმარიტებას ელება ხოლმე ბოლო დროთა განმავლობაში. ამასთან ამ ქვეყანაში სამუდამო არა არის რა".[3] იცვლება ბუნება, საზოგადოება, ადამიანი, მისი ცხოვრება, ისტორიული ვითარება, ქვეყნების გეოგრაფიული და პოლიტიკური წყობა. „ცივ ქვეყანაში შედგენილი რეცეპტი და იქ შეზავებული წამალი გამოსადეგი იქნება თუ არა ცხელი ქვეყნელებისათვის". ამიტომ ხალხთა პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობის გარკვევისას მეტად აუცილებელია, რომ კერძოდ „ჩვენი საქართველო სხვა რომელიმე ქვეყანასავით გაშლილი არ არის, ის არის სხვადასხვა კუთხეებისაგან შეხამებულ-შეფერადებული, თვითოეულ ამ კუთხეს თავისი საკუთარი ფერ-ხორცი აქვს, მათი ხალხი თუმცა ტომით და ენით ერთნი არიან... ამ სხვადასხვა კუთხეებს სხვადასხვა შემთხვევები ჰქონიათ და სხვადასხვა გავლენის ქვეშ ყოფილან ხოლმე— მაგრამ აკაკი არ ეთანხმება იმათ, ვინც ფიქრობს, რომ „ერთ-ფერობა, ერთგვარობა და ერთხმოვანება აუცილებელი საჭიროება არის კეთილწარმატებისათვისო" და სამაგალითოდ კვლავ ასახელებს საქართველოს, რომელიც, მისი თქმით, „არის ჩონგური, რომლის სიმებსაც შეადგენენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა და სხვ. თითოეულს ამათგანს თავის საკუთარი ხმა აქვს, მაგრამ კერძოდ

---

1 ა. იოვანიძე. აკაკი წერეთელი, „საისტორიო მოამბე", 1953, №7.

2 კ. აბაშიძე. აკაკი წერეთელი, ეტიუდები, 1962, გვ. 22-221.

3 იქვე, გვ. 224, 236.

თავის თავად არც ერთს არ აქვს ძალა, თუ ერთმანეთს არ შეუთანხმდნენ. მართალია, ამ მხარეებს თავისი საკუთარი ფერი და სული აქვთ... მაგრამ სულის მოძრაობა მრავალგვარობის შეთანხმებით უფრო დიდებული და უფრო მჰიდროა. საგანი ერთია, თუმცა მასალა მარად სხვადასხვანაირი, უფრო ნამდვილი და ნაციონალური".[1]

აკაკიმ შესანიშნავად იცოდა თავისი ერის წარსული, ისტორიის თითოეული წარმატება თუ მარცხი მას მომავლის გაკვეთილად მიაჩნდა. XIX და შემდეგ მეოცე საუკუნეს იგი იმედითა და სასოებით შესცქეროდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს ისტორიულ ბედ-იღბალში მომხდარი მარცხი და შეფერხება, — რუსეთის მფლობელობაში გაერთიანება მას ორმაგი ჭეშმარიტებისა და სტანდარტის პოზიციიდან ესმოდა. ამ აქტს ყველა მისი ობიექტური შედეგისა და ჩრდილოვანი მხარის გათვალისწინებით აკაკი აფასებდა ზოგჯერ დადებითადაც მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ქვეყანამ დიდ ქარტეხილიან ისტორიულ გზაზე დროებითი მშვიდობა მოიპოვა: „მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ... დროებით მშვიდობით გაიკურნა ჩვენი სამშობლო".[2] „ჩვენმა სამშობლომ იმედმიხდილმა, იმით დაასრულა თავისუფლებისათვის მტრებთან ბრძოლა, რომ თვითონ მონახა ის, რასაც უწინ ვერასდროს ვერ ურიგდებოდა... უარჰყო თავისი დამოუკიდებლობა, ამით მოიპოვა გარეგანი მყუდროება".[3] აკაკის მიაჩნდა, რომ ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვა ერის ცხოვრებაში განცდილი დიდი ტრაგედია იყო, მაგრამ ის იმ დროს უმცირესი ბოროტება იყო, რადგან მაშინ სხვა გამოსავალი არ არსებობდა. მაგრამ აკაკი არასდროს შერიგებია ცარისტული რუსეთის ყოველთვის მზაკვრულ პოლიტიკას, მუდამ გულისტკივილით იგონებდა იმას, თუ როგორ ისარგებლა რუსეთის იმპერატორმა საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარებით და ადრე აღიარებული მფარველობა ანექსიითა და დაპყრობით შეცვალა, როგორ გათელა ფეხქვეშ ქართველთა ეროვნული სუვერენიტეტი და აქ რუსული საოკუპაციო რეჟიმი დაამყარა:

„ადრე ყოფილა ჩემი გვარი „ქართველიშვილი",
შემდეგ მეძახდნენ „გურჯიოღლის" დიდხანს თათრები.
დღეს კი „გრუზინსკით" შევიქმენი მე გარდაქმნილი.
სულ დამეკარგა გვარ-ტომობის ძველი დავთრები". —

---

[1] გ. მაიაშვილი. რჩეული ნაწერები. I. 1967, გვ. 50-54.
[2] აკაკი წერეთელი. თხზ., ტ. 2. გვ. 34.
იქვე. გვ. 157: „მნათობი", 1872. №6.

ჩვის პოეტი „გიორგის აღსარებაში“ და ალეგორიულად საქართველოს მწარე ბედ-იღბალს გამოხატავს. ამ ლექსში გადმოცემული გიორგის ბიოგრაფია პოლიტიკურად დანახული საქართველოს ისტორიაა, ხოლო „ავ დედინაცვალში“, რომელმაც გიორგი მოატყუა, ცრემლები შეუშრო, ხოლო შემდეგ თვალში ნაცარი მიაყარა, — რუსეთია: რუსეთმა კი

„ოქროს ქსოვილით ამიხვია ორივე თვალი,
რომ ვერ შევიძლო მე უმისოდ სწორ გზაზე გავლა,
და მის მონასა მებნეოდეს აწ გზა და კვალი!“[1]

ამ მარადიულად მტკივნეულ საკითხს პოეტი მრავალჯერ შეეხო. მას ცენზურული ზედამხედველობის ვითარებაში შესაძლებლობა არ ჰქონდა ეთქვა ყველაფერი ისე, როგორც სწამდა... მაგრამ ალეგორიული, თუ მოქნილი დიპლომატიური აზროვნების ბრწყინვალე ოსტატი მაინც ახერხებდა ამ აქტის შეფასებას (იხ. „ვორონცოვი“, „გორგასალი“) ისე, რომ თავისი ნააზრევი ქართველ მკითხველამდე მიეტანა.

აკაკი იმთავითვე მტრულად განეწყო კოლონიური რეჟიმისადმი, რომელიც რუსეთმა გააბატონა საქართველოში. რუსულ ე. წ. „საშინაო პოლიტიკას“ იგი ქართველი ხალხისათვის, საქართველოსათვის უცხოდ თვლიდა მის ტრადიციებთან, ხასიათთან, სულისკვეთებასთან შეუსაბამოდ მიიჩნევდა. აკაკი დიდ საშიშროებად მიიჩნევდა „ერის მიძინებას“, რაც ხშირად შეიმჩნეოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ. ეს ძილი კი ყველაზე სახიფათო იყო მისი ისტორიული ბედისათვის; ეს მისი სასიცოცხლო ძალების მოდუნებას, მისი მებრძოლი სულისკვეთების ჩაქრობას, გადაგვარებას და უსახელო, ნელ სიკვდილს მოასწავებდა. აკაკის აზრით, მომავლისათვის ბრძოლა წარმატებით მაშინ მოხერხდება, როცა მკაფიოდ გესმის აწმყოს ვითარება და ტკივილები. პოეტი ერთი მხრით ხედავდა უნუგეშო სინამდვილეს და მეორე მხრივ, მის ნაყოფს, იმდროინდელ ქართველ კაცს. რა თქმა უნდა, იმდროინდელი ქართველი საზოგადოება ერთგვაროვანი არ ყოფილა, კარგი და ცუდი გვერდიგვერდ სახლობდა. აუცილებელი იყო, პოეტის აზრით, გამორჩევა: კეთილს მხარდაჭერა სჭირდებოდა, ბოროტს, დაუნდობელს — უარყოფა. აკაკიმ ზუსტად განჭვრიტა მანკიერი ქართველის პორტრეტი: „თავი ქონით გაქვს სავსე, ტვინით კი — ფეხები“ — უთხრა პოეტმა იმ ქართველს და ყოველი გონიერი ადამიანისათვის საცნაური გახადა, ვინ უნდა მოეკვეთა ჩვენს საზოგადოებას, თუ გადარჩენა სურდა.

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. I, გვ. 185-186.

ეროვნული თავისუფლება აკაკის თავი და თავი ტრფიალი იყო. მაგრამ რეალისტ მოაზროვნესა და თავისი ისტორიის მსაჯულს კარგად ესმოდა, რომ ასეთი თავისუფლების მოპოვება სეპარატისტული მეთოდებით ქართველ ხალხს იმ დროს არ გამოადგებოდა. „მალულად და ფარული გზებით ერის განთავისუფლება სასაცილოა" — აღნიშნავდა პოეტი. „იმჟამად რუსეთთან იარაღით ბრძოლა ერის სასაკლაოსკენ წაქეზებას ნიშნავდა".

აკაკი წერეთელი პოლიტიკოსის ალღოთი მიიჩნევდა, რომ ხალხის უდროო წაქეზება იარაღისაკენ დანაშაული იყო. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, უცხო, უხეში ძალის წინააღმდეგ ბრძოლას, პირველ ყოვლისა, ქართველობის გამოფხიზლება, გათვითცნობიერება და შემართება ესაჭიროებოდა. პირველი საზრუნავი ამ მხრივ ცოდნა და განათლება იყო. პოეტის ეს მრწამსი ნათლადაა გამოხატული ლექსში „დედა და შვილი". დედა მუდამ ჩაფიქრებულია, მოწყენილი, თვალზე ცრემლი არ უშრება, როცა შვილი შეიტყობს, რომ დედის სევდა ეროვნული, პოლიტიკური სევდაა, გაბედულად შესძახებს:

„დედილო, მომეც ფარ-ხმალი,
რომ ავასრულო ვალიო!" —
— ადრეა, შვილო, ჯერ კიდევ
წიგნია შენი ხმალიო!" —

არიგებს დედა.

აკაკის მუდმივი საზრუნავი იყო საქართველოს ერთიანობა და მთლიანობა. იგი წყევლა-კრულვით იგონებდა იმ შავბნელ დროს, როცა ერთიანი საქართველო გაითიშა დასავლეთად და აღმოსავლეთად, მისი ცალკე სამთავროები გათავისთავდა და დაირღვა მთლიანი ეროვნული სხეული. ამით კი „ყველა მტერმა გაიხარა", „მტერმა შორიდანაც კი მოგვძებნა, ვით ტურა-მელამ".

1876 წელს „დროების" იანვრის ნომერში აკაკიმ გამოაქვეყნა ფელეტონი — „ხალამპიოს მოგონაკის წერილებიდან", ეს სტატია პოლიტიკური არაკის და ალეგორიის ბრწყინვალე ნიმუშია. აკაკი აქ ყანდიის (კრეტის) პოლიტიკურ ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ყანდია, — წერს პოეტი, — ადრე დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, მაგრამ მტრებთან ბრძოლაში დაუძლურებული ოსმალეთის „მფარველობაში შევიდა, მიენდო ძმობით, თუმცა ცოტა ხანში დაიდგა მონობის უღელი". ყანდიის მმართველად ოსმალებმა გამაჰმადიანებული ყანდიელი დანიშნეს. დივანმა მას თავისი ხალხის გადარჯულება დააკისრა. ათონის მაღალმა სასწავლებელმა რამდენიმე ყანდიელი ახალგაზრდა გამოზარდა, რომლებმაც, სამშობლოში რომ დაბრუნდნენ, მიძინებულ ერს ყიჟინა დასცეს

და თვალები გაახელინეს. ქვეყნის მოწინავე კაცებს აწუხებდათ ყანდიის ბედი. მათ იციან, რომ ერის ერთი, მცირე ნაწილი გადაგვარებისკენ მიათრევს მთელ ქვეყანას. მაგრამ ქვეყნის მთავარი საგარეო პოლიტიკური ამოცანაა ოსმალეთის ბატონობისაგან განთავისუფლება. ამ ბრძოლაში ქვეყნის ყველა ძალა უნდა შეერთდეს, მაღალი და დაბალი წოდება უნდა გაერთიანდეს და „ერთად, შეერთებულის ძალით წინ აღუდგეს გარეშე მტერს“.[1] ეჭვს არ იწვევს, რომ ყანდიის სახით პოეტი საქართველოს გულისხმობს, ოსმალო დამპყრობლების სახით — რუსეთს.

XIX ს-ის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა შორის თავისი ისტორიული და პოლიტიკური კონცეფციით ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს იაკობ გოგებაშვილს. იაკობ გოგებაშვილის პოლიტიკური კრედო მთლიანად მოიცავს საქართველოს ერთიანობისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ცალკეულ პრობლემებს XVIII საუკუნის ბოლოს და XIX ს-ის დასაწყისში.

XVIII საუკუნის უკანასკნელი პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ძალთა ჭიდილში იაკობ გოგებაშვილი გამარჯვებისა და მომავლის პერსპექტივას მაინც ქართულ ეროვნულ ფენომენში ეძებდა. იგი დაჟინებით მიუთითებდა ისტორიის ამ მონაკვეთში დაშვებული შეცდომების საბედისწერო ხასიათზე საქართველოს შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. იაკობის აზრით, „ისტორიული ფაქტები გვიპასუხებენ, რომ მთელი ერი საქართველოსი, ყოველი მისი წოდება მეთვრამეტე საუკუნის დამლევს გრძნობდა ერთობის აუცილებელ საჭიროებას, მის დიდ სარგებლობას და მოწადინებული იყო შეედგინა ერთი სახელმწიფო დაღესტნის საზღვრებიდან დაწყობილი ვიდრე შავი ზღვის კიდეებამდის“. „ევროპას — განაგრძობს იგი — მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევდა ის გარემოება, რომ გაუვალი კედელი, რომელიც ამართა საქართველოსა და ევროპის შუა ოსმალეთმა შავ ზღვაზე, შემუსვრილ იქნა რუსეთის მძლავრის ხელით და ამის შემდეგ ეს ზღვა წარმოადგენდა ფართო განიერ გზასა საქართველოს ერის დაახლოებისთვის აყვავებულ ევროპის ერთა თანა. ეს კარგად ესმოდათ მაშინ ჩვენებს, კარგად ახსოვდათ ისიც, რომ უწინ, თამარ მეფის დროს ერთობამ, ერთმთავრობამ საქართველო აღამაღლა“.[2] ამ მსჯელობის ლოგიკური გაგრძელებაა გოგებაშვილის ისტორიული ექსკურსი, რომელიც შეეხება 1790 წლის ცნობილ ისტორიულ ამბებს, როცა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს მოწინავე ფეოდალ-არისტოკრატები, ერეკლესთან მოწვეული დარბაზობაზე, დაჟინებით მოითხოვდნენ საქართველოს გაერთიანებას. „ამ დესპა-

---

[1] აკაკი წერეთელი. თხზ., ტ. 2. გვ. 354.

[2] იაკობ გოგებაშვილი. რანი ვიყავით გუშინ. თბ., 1990. გვ. 176.

ნების მოსვლა, სახელმწიფო კრება ერეკლეს სასახლეში, ცხარე ბაასი და ხანგრძლივი სჯა მთელის საქართველოს შეერთება ისეთი შესანიშნავი ფაქტია ჩვენს ისტორიაში, ისე ცხადად გვიხატავს ერთის მხრით ჩვენის ერის გონიერებას და სახელმწიფო ჭკუას და მეორე მხრით სამეფო სახლის ეგოიზმს, რომ საჭიროდ ვრაცხთ დაწვრილებით მოვახსენოთ ეს ამბავი მკითხველსა".[1]

იაკობ გოგებაშვილი ამ დარბაზობის უშედეგოდ დამთავრებას მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. იაკობს ურყევად სჯერა, რომ მიუხედავად მტრული რკალისა და გარემოცვისა, რაშიც მოქცეული იყო საქართველო, მის პოლიტიკოსებს და კერძოდ მეფეს მეტი სიბრძნე უნდა გამოეჩინათ. „არ შეიძლება ბრმა ლოდინი იმისა, თუ ხვალ რა დღე დამადგება, რა მეშველება, დღეს როგორ იქცევი და რა პასუხს აძლევ აწმყოს?" — მწარე ირონიით შენიშნავს ი. გოგებაშვილი. „ამ მავნე გავლენის ნაყოფი იყო სამეფო სახლის ის აღმაშფოთებელი და ქვეყნის დამღუპავი ანდერძი, რომლითაც ერეკლე თავის პირმშო შვილის გიორგის შვილს გამოსწირავდა სამეფო ტახტსა, დაუმტკიცებდა მას იულონსა უფროს შვილს დარეჯანისასა და თავის სამეფოში შემოჰქონდა ოსმალური წესი ტახტის მემკვიდრეობისა, ნაცვლად ევროპის წესისა"...

იაკობი განაგრძობს: ‚ეს ანდერძი სრულიად გვარწმუნებს, რომ ერეკლე შემკული მრავლითა სამაგალითო სამხედრო თვისებითა და ვაჟკაცურის ხმლის მღელვარებითა, ჩვენდა საუბედუროდ ნადირშაჰივითა და კარლოს მეთორმეტესავით მოკლებული იყო პოლიტიკურ შორსგამჭვრეტელობასა და ამ მხრით განუზომლად დაბლა იდგა თავის წინაპრებზე".[2]

ი. გოგებაშვილს მიაჩნია, რომ XVIII ს-ის ბოლოს საქართველოს გაერთიანების შესაძლებლობის უარყოფითმა გადაწყვეტილებამ არა მხოლოდ საკუთრივ საქართველოს, არამედ კავკასიის სხვა ხალხებსაც ჩასცა მახვილი. ამიტომ იყო, რომ, იაკობის აზრით, სომეხი მეისტორიენიც ამ აქტის ამგვარ დაბოლოებას დიდი სინანულით შეხვდნენ: „შესამოწმებლად ჩვენი მსჯელობის დედა-აზრისა, მოვიყვანთ ერთს სომხის ისტორიკოსის სიტყვებსა, რომელსაც ვერავინ ვერ შესწამებს მიდგომით მსჯელობას ქართველების შესახებ: გენერალი ქიშმიშოვი თავის ნადირშაჰის ისტორიაში ამბობს: წარსულის საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო იყო ძლიერი სახელმწიფო და მას ემორჩილებოდნენ განჯის, ყარაბაღისა და ერევნის ხანები; თუ შეერთებული ქართლ-კახეთი ამოდენა ძალას იჩენდა, ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ძლიერების პატრონი შეიქმნებოდა საქართველო, როცა ერთი სკიპტრის ქვეშ თავს

---

[1] იაკობ გოგებაშვილი, რანი ვიყავით გუშინ, თბ., 1990, გვ. 176-177.
[2] მისივე, თხზ., ტ. I, თბ., 1955, გვ. 230.

მოიყრიდნენ იმერეთიც, გურიაც, სამეგრელოც, რაჭაც, თანახმად მაშინდელის დაწინაურებული ქართველების წადილისა".[1])

მეორე მხრივ იაკობი ისევ საყვედურობს იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკის მესვეურთ და მათ ყურადღებას მიმართავს მსოფლიო ქვეყნების მეცადინეობისაკენ, თუ რა გაჭირვებით მოახერხეს მათ გაერთიანება. იაკობ გოგებაშვილის აზრით, „საქართველოს მოწინავე საზოგადოება საუკუნეების სიღრმიდან ამონაკვნესი შეძახილით საყვედურობს იმ დროინდელ სამეფო ერად, განძლიერდი ჩემით, განმაძლიერე შენით, შემოვიფანტოთ მტერნი... მეორე მხარეს დგანან მეფე დედოფალნი, რომელნიც თავის მრავალწამებულს, მაგრამ კიდევ ერთგულ ერს ეუბნებიან: ორივე მხარე უწინდებურად დანაწილებულნი და უძლურნი უნდა დავრჩეთო, აღმოსავლეთად და დასავლეთადო... იტალიის შეერთებას მოუნდა' არაერთი შინაური ომი, გერმანიამ შეადგინა ერთი იმპერია, მას უკან, რაც ბისმარკმა დააჯერა ნემეცების ერთობის საჭიროება, რუსეთის მოკრება ერთს მთავრობის ქვეშ იყო შედეგი ხანგრძლივის შინაურის ომისა, საფრანგეთმა, ესპანიამ, ინგლისმა ამავე გზით დაამყარეს თავისი ერთობა, ჩვენ?"[2] ამ კითხვაზე უპასუხოდ იქნა მიტოვებული დიდი მოაზროვნე ისტორიის მიერ.

იაკობ გოგებაშვილი დიდ პატივს მიუზღავს XVIII-XIX საუკუნეების დიდ ქართველ პოლიტიკოსებს და სახელმწიფო მოღვაწეებს: „სოლომონ მსაჯული არის ისტორიული პირი, ტიპი მთელის მამულიშვილების დასის და არა ქმნილება ფანტაზიისა... რომელიც სავსე იყო მაღალის ჭკუით, მხნეობით, შეუცდომელ დიპლომატიითა და შორსგამჭვრეტელობით, მხურვალე პატრიოტული გრძნობით... ვუწოდებთ მას, პატიოსნებისა გამო მაღლისა დროთა ამათ ფაბრიციოდ ქართველთა — ამბობს ლიონიძეზედ ავტორი მეფე გიორგის ცხოვრებისა — (ლაპარაკია პლატონ იოსელიანზე. გ. ი) და ვითარცა მტკიცე და შეურყეველი იქმნა ნამდვილ ქართველთა ერისა და ისტორიისა კატონად".[3]

ი. გოგებაშვილს კარგად ესმოდა, რომ იმ რთულ ისტორიულ პირობებში, რომელშიც საქართველო მოექცა XVIII ს-ის მიწურულს და XIX ს-ის დასაწყისში რუსული პოლიტიკა და რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია გარდაუვალი იყო.(მას ვერანაირი „დიპლომატია ვეღარ უშველიდა", თუმცა რუსეთთან შეერთება, მისი აზრით, „მცირე უბედურებას" წარმოადგენდა ოსმალეთ-სპარსეთის მიერ „ჩაყლაპვა-განადგურების პერსპექტივასთან შედარებით". იაკობის აზრით,)რუსეთმა ობიექტურად

---

[1] იაკობ გოგებაშვილი. რანი ვიყავით გუშინ. გვ. 184.

[2] იქვე. გვ. 181.

[3] იქვე. გვ. 171.

„მშვიდობიანობა მოუტანა საქართველოს“, მაგრამ მისივე კითხვით, კარგად გამოვიყენეთ ეს მშვიდობა? გავძლიერდით და ავყვავდით ახლის, მაღალის თვისებებით? თუ უფრო მივეცენით ძილსა და მოსვენებასა სხვისი იმედით?...) გავიხადეთ წინამძღოლად ის ცხადი ჭეშმარიტება მეცნიერებისა, რომ ყოველ ერს, მეტადრე ისტორიულს, გადაბირება, უცხო ტომის გზაზე დადგომა არამც თუ გადაასხვაფერებს, არამედ შინაარსს დაუქიანებს, ორწყალშუა გააჩერებს, თავისას ყველაფერს მოაკლებს, გონებით დაამდაბლებს, პოლიტიკურად გამოფიტავს და ბოლოს სრულიად აღგვის მას დედამიწის ზურგიდან“.[1] ეს ოდინდელი კითხვები და წუხილია, რომელიც დიდხანს დარჩება პასუხგაუცემელი.

(იაკობ გოგებაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც არასდროს არ მისტიროდა წარსულს და წარსულში დაშვებულ შეცდომებზე მოითხოვდა „დღევანდელი ისტორიის პოლიტიკის სამსახურში“ ჩაყენებას. მისი აზრით, ძველი საქართველოს აღდგენა.... სიზმრადაც აღარავის ეჩვენება... ჩვენ გვინდა არა მკვდრის აღდგენა, არამედ ცოცხლის გამოყვანა ქაობიდან“...[2])

ის პოლიტიკური, მეცნიერული რეკომენდაციები და ისტორიული წიაღსვლები, რასაც თერგდალეულთა პლეადა იძლეოდა თანადროულ, თუ მომავალ პრობლემათა შეფასების თვალსაზრისით, დღესაც ფასეულია და ინარჩუნებს არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულშემეცნებით ღირებულებას.)

ი. გოგებაშვილი, ტ. I, გვ. 230,. რანი ვიყავით გუშინ, გვ. 186-187.
მისივე, თხზ., ტ I, გვ. 375.

# XX თავი. საქართველო საერთაშორისო არენაზე 1918-1933 წლებში

## 1. 1917 წლის რევოლუციები რუსეთში და საქართველო-ამიერკავკასიის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა

### ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის დიპლომატიური საქმიანობა

პეტროგრადში ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების შესახებ ცნობაზე რეაქცია ერთმნიშვნელოვანი არ ყოფილა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მართალია, საბჭოური ისტორიოგრაფია მკაცრი ცენზურისა და ისტორიული მეცნიერების იდეოლოგიზაციის პირობებში ამ მოვლენას ცალმხრივად, წინასწარ შემუშავებული სტერეოტიპით განიხილავდა: „საქართველო, ისევე როგორც მთელი ამიერკავკასიის მშრომელთა მასების უმეტესი ნაწილი, მხურვალედ მიესალმებოდა ბურჟუაზიის ბატონობის დამხობას და მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამყარებას", მაგრამ საარქივო დოკუმენტები სულ სხვა რამეს მოწმობენ. რუსეთის უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის ცენტრში გავეცანით რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმოწერას სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ამიერკავკასიაში 1917-1918 წლებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, საიდანაც შეიძლება მოვიძიოთ ობიექტური ცნობები ამ მოვლენაზე მასების რეაქციის შესახებ. „მასებს, უმთავრესად მუშებსა და ღარიბებს გლეხებს, — ნათქვამია დოკუმენტში, — სრულიად არაფერი გაეგებოდათ რუსეთში სულ უფრო განვითარებადი დიდი პროლეტარული რევოლუციისა... ამიერკავკასიის ხალხთა შრომით ელემენტებს ძალზე დამახინჯებული წარმოდგენა ჰქონდათ რუსეთის პარტიებს შორის მიმდინარე მძაფრ ბრძოლაზე და ყველაფერს ამიერკავკასიის თვალთახედვით, ვიწრო კუთხით უყურებდნენ, სადაც ბოლშევიკთა მცირერიცხოვანი ჯგუფების წინააღმდეგ იდგნენ მსხვილი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები...

ოქტომბრის რევოლუციამ გადააგდო კერენსკის მთავრობა. ეს ამიერკავკასიის ხალხებისათვის სრული მოულოდნელობა იყო. როცა სახალხო კომისართა სიები გამოაქვეყნეს,... შეგნებული მუშების გარდა არავინ იცნობდა მათ...

გავრცელდა აზრი, რომ სახალხო კომისართა ახალი მთავრობა, თუ იგი მართლაც არსებული ფაქტია, იარსებებს დიდი-დიდი ერთ-ორ თვეს".[1]

ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში მასზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში მიღებული ცნობები არასრული და წინააღმდეგობრივი იყო. სწორედ ამით უნდა აიხსნას ამიერკავკასიის პოლიტიკურ მოღვაწეთა ერთგვარი დაბნეულობა. მაგალითად ნ. ჟორდანიამ თავიდან ვერ გაიგო, თუ რა მოხდა 25 ოქტომბერს პეტროგრადში. ქართველ მენშევიკთა ლიდერი ფიქრობდა, რომ იქ მოხდა თავისი ოდენობით არც ისე მნიშვნელოვანი ინციდენტი, რომლის „ლიკვიდაცია შეიძლება და უნდა მოხდეს კიდეც". ამიტომ მის მიერ შემოთავაზებულ და თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 26 ოქტომბრის სხდომაზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ რევოლუციის ინტერესები გვიკარნახებენ აჯანყების მშვიდობიანი ლიკვიდაციის აუცილებლობას მთელი რევოლუციური დემოკრატიის შეთანხმების საფუძველზე.[2]

ორი დღის შემდეგ თბილისის ქალაქის სათათბიროს სხდომაზე ნ. ჟორდანიამ ასე გადმოსცა პეტროგრადში მომხდარი მოვლენები: „აჯანყება პეტროგრადში სულს ღაფავს. იგი თავიდანვე განწირული იყო მარცხისათვის იმიტომ, რომ ძალაუფლების ასეთი მალული და შეთქმულებრივი ხელში ჩაგდება ეწინააღმდეგება რევოლუციის განვითარების ბუნებრივ მსვლელობას".

ქართველი სოციალ-დემოკრატები დარწმუნებული იყვნენ ოქტომბრის გადატრიალების ლიკვიდაციის გარდაუვალობაში. თავის მემუარებში ნ. ჟორდანია წერდა: „ჩვენ კიდევ ვიმედოვნებდით, რომ ბოლშევიკებს ბოლოს მოუღებდნენ რუსეთში და შესდგებოდა ნორმალური მთავრობა".[3]

1917 წლის 11 ნოემბერს მენშევიკთა ინიციატივით საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტმა თბილისში მოიწვია თათბირი ამიერკავკასიაში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზაციის თაობაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ყველა პოლიტიკური პარტიის, სამხარეო და თბილისის საბჭოების, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წარმომადგენლები, კავკასიის ფრონტის სარდალი, ანტანტის სახელმწიფოთა მისიები. თათბირმა უარი თქვა სახალხო კომისართა საბჭოს ძალაუფლების

Российский центр хранения и изучения документов новейшей истории (РЦХИДНИ) ф. 17. опись 65, дело 19, л. 1.

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919, გვ. 2.

ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული. პარიჟი, 1953. გვ. 121.

ალიარებაზე და გამოიტანა გადაწყვეტილება ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის შექმნის შესახებ, რომელიც გაუძღვებოდა ადგილობრივ საქმეებს, სანამ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდა. თათბირის მონაწილე ბოლშევიკებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელიც გმობდა თათბირის ორგანიზატორებს, და დატოვეს კრება.

15 ნოემბერს თათბირის მონაწილეებმა, ნაცვლად ოზაკომისა, შექმნეს ამიერკავკასიის კომისარიატი, რომლის თავმჯდომარე გახდა ე. გეგეჭკორი (მენშევიკი). ხელისუფლების ახალი ორგანოს 18 ნოემბრის დეკლარაციაში აღნიშნული იყო ამ ხელისუფლების დროებითი ხასიათი „მხოლოდ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, ხოლო მისი მოწვევის შეუძლებლობის შემთხვევაში, იგი ინარჩუნებს თავის უფლებამოსილებას ამიერკავკასიიდან დამფუძნებელთა კრების წევრთა ყრილობამდე“.[1]

ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის დიპლომატიური მისიები უშუალოდ მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის ახალი მთავრობის ორგანიზაციაში და რეალურ დახმარებას აღუთქვამდნენ. ამიერკავკასიის ხელისუფლების შექმნის წინა დღეებში თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების კონსული სმიტი სახელმწიფო მდივან ლანსინგს უდეპეშებდა: „შაბათს მე დავესწრები სხდომას, სადაც ჩამოყალიბდება ამიერკავკასიის მთავრობა, რომელიც გაერთიანდება სამხრეთ-აღმოსავლეთ ფედერაციაში და უარს იტყვის დაზავებასა და სეპარატულ ზავზე — აუცილებელია გავუწიოთ მათ ფინანსური დახმარება... ამ დახმარებას ითხოვენ, როგორც დროებითი მთავრობის წარმომადგენლები, ისე არმიის სარდალი“.[2]

1917 წლის 20 ნოემბერს საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს ინიციატივით მოწვეული იქნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ყველა პოლიტიკურმა პარტიამ. ბოლშევიკების გარდა ყრილობამ განიხილა მიმდინარე მომენტი და შექმნა ხელმძღვანელი პოლიტიკური ორგანო — საქართველოს ეროვნული საბჭო. ეს იყო მეორე უმნიშვნელოვანესი აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე.

ამგვარად, საქართველოს ძირითადმა პოლიტიკურმა პარტიებმა ბოლშევიკების გარდა არ მიიღეს ოქტომბრის რევოლუციის მიერ გამოცხადებული იდეები. ამასთან, ყველა პოლიტიკური პარტია ესწრაფოდა, დაეცვა თებერვლის რევოლუციის იდეები რუსეთის დემოკრატიასთან

---

1 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919, გვ. 9.

2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. თბ., 1972, გვ. 543.

ერთად. ამავდროულად არც ამიერკავკასიის კომისარიატს, არც საქართველოს ეროვნულ საბჭოს, თუმცა არ აღიარეს სახალხო კომისართა საბჭოს ძალაუფლება, ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ მხარის რუსეთისაგან გამოყოფა. ეს შეიძლება აიხსნას რთული საგარეო პოლიტიკური ვითარებით. ომი ხომ გრძელდებოდა და ამიერკავკასიას უპირისპირდებოდა თურქეთი.

ამიერკავკასიის მთავრობამ თავი აარიდა საბჭოთა მთავრობის მიერ გერმანიასა და მის მოკავშირეებთან ბრესტში დაწყებულ მოლაპარაკებას. იგი საბჭოთა ხელისუფლებას არ ცნობდა, მაშასადამე, მის მიერ წამოწყებულ არც ერთ ღონისძიებას არ ატარებდა და, ბუნებრივია, ეს ეხებოდა საგარეო პოლიტიკის სფეროსაც. 4 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომაზე მოისმინეს კავკასიის არმიის მთავარსარდლის განცხადება, რომ მან მიიღო თურქეთის მესამე არმიის მთავარსარდლის ვეხიბ-ფაშას წერილი, რომელშიც, თურქეთის მთავრობის დავალებით, სთავაზობდა, დროებითი დაზავების საკითხზე მოლაპარაკება დაეწყოთ. ფრონტის მთავარსარდლის პრჟევალსკის მოხსენების საფუძველზე კომისარიატმა დაადგინა, თურქეთის არმიის სარდლის მიერ შემოთავაზებული წინადადება მიეღო.[1]

კომისარიატმა თავისი დადგენილება თბილისში მყოფ დასავლეთის სახელმწიფოთა კონსულებს ამცნო და ერზინჯანში თურქეთის დელეგაციასთან მოსალაპარაკებლად კომისია გაგზავნა გენერალ ვიშინსკის მეთაურობით.

5 დეკემბერს თურქეთისა და კავკასიის არმიებს შორის დროებითი დაზავების ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა. საომარი მოქმედება თურქეთ-კავკასიის მთელ ფრონტზე შეწყდა. შემუშავდა სადემარკაციო ხაზი[2] (კავკასიის ხაზზე მყოფი რუსი ჯარისკაცები დაუყოვნებლივ სამშობლოში დაბრუნებას მოითხოვდნენ. დაიწყო მასობრივი დეზერტირობა — ფრონტი ფაქტობრივად მოიშალა). საომარი მოქმედების შეჩერებას უნდა მოჰყოლოდა მოლაპარაკება ზავის შესახებ. თურქეთი დაინტერესებული იყო, რომ მას საქმე ჰქონოდა დამოუკიდებელ ამიერკავკასიასთან. ეს ნათლად ჩანს თურქების ნოტებიდან და არც ერთ შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ დიპლომატიურად ეს აზრი არ ჩაეწვეთებინათ კავკასიელებისათვის. ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის მეთაურმა ვიშინსკიმ ერზინჯანში ყოფნის დროს განაცხადა, რომ ის მოქმედებდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის სახელით. ამას

---

[1] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919, გვ. 11.

[2] იქვე.

ხელი ჩაავლო ვეხიბ ფაშამ და 1918 წლის 14 იანვარს გენერალ ოდიშელიძეს კიდევ ერთხელ გაახსენა ეს ამბავი, ამასთან, გამოთქვა სურვილი, რათა ამიერკავკასიის მთავრობამ მიიღოს დელეგაცია, რომელსაც გამოგზავნის თბილისში.[1] (თურქეთი. შესაძლებლად თვლიდა ამიერკავკასიის კომისარიატთან საზავო ხელშეკრულების დადებას, თუ ეს უკანასკნელი რუსეთისაგან ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. ე. გეგეჭკორის მთავრობა ასეთი ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავდა. ის რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევას უცდიდა. თურქეთმა ამით ისარგებლა და ფრონტზე შეტევა განაახლა.)

ამიერკავკასიის კომისარიატმა არ მიიღო ბრესტის მოლაპარაკებაზე თურქების მოწვევა და ამჯობინა, თურქეთთან ურთიერთობა ცალკე წარემართა. თურქეთის მთავრობა ატყობინებდა კომისარიატს, „რომ ცენტრალურ სახელმწიფოთა დელეგატები, რომელნიც შეკრებილნი არიან ბრესტ-ლიტოვსკში, მზად არიან, მიიღონ ყოველგვარი ზომები ამიერკავკასიის მთავრობის დამოუკიდებლობის ცნობისათვის, რომელსაც შეუძლია გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები ბრესტ-ლიტოვსკში". ამ მიწვევის უარყოფით კომისარიატმა გაუშვა ხელიდან ნორმალური საერთაშორისო ურთიერთობის დამყარების შანსი. 1956 წელს, პარიზში, „ერთ საჯარო კრებაზე აკაკი ჩხენკელმა აღიარა ეს შეცდომა და ასაბუთებდა იმით, რომ შემდეგში გერმანიის კანცლერთან შეხვედრის დროს, უკანასკნელს უთქვამს: დროზე რომ ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციას დასწრებულიყავით, ჩვენ მხარს დაგიჭერდით და თქვენს მიწებს თურქებს არ დავუთმობდითო".[2]

1918 წლის 5 იანვარს მოსკოვში გაიხსნა დამფუძნებელი კრება, რომლის დეპუტატებმა უარი თქვეს საბჭოთა ხელისუფლების აღიარებაზე. ამის პასუხად ბოლშევიკებმა გარეკეს დამფუძნებელი კრება. ეს იყო აშკარად ანტიდემოკრატიული ნაბიჯი, რომელმაც რუსეთი სამოქალაქო ომის მორევში გადაისროლა.

ვითარება ამიერკავკასიაშიც შეიცვალა. დემოკრატიულ რუსეთთან ამიერკავკასიის ერთიანობის შენარჩუნების იმედი ამოიწურა. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და თურქეთთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის კი კომისარიატს სათანადო რწმუნება არ გააჩნდა. ამიტომ 12 იანვარს ამიერკავკასიის კომისარიატმა განიხილა ამიერკავკასიის პოლიტიკური მდგომარეობის საკითხი და მიიღო გადა-

---

1 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919, გვ. 19.

2 ა. მანველიშვილი. „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა", სან-ფრანცისკო. 1984, გვ. 138.

წყვეტილება ამიერკავკასიის სეიმის მოწვევის შესახებ, რომელიც შეასრულებდა საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტის ფუნქციებს.[1]

1918 წლის 10 თებერვალს თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის სეიმის პირველი სხდომა, რომელიც გახსნა სეიმის მოწვევის დროებითი ბიუროს თავჯდომარემ კ. ჩხეიძემ. 16 თებერვალს სხდომაზე სეიმმა თურქეთთან საზავო მოლაპარაკების დელეგაციის შემადგენლობა დაამტკიცა. თავმჯდომარედ აირჩიეს ა. ჩხენკელი, 23 თებერვალს დელეგაცია ჩავიდა ტრაპიზონში, რომელიც შერჩეული იყო მოლაპარაკებისათვის, როგორც ნეიტრალური ქალაქი, მაგრამ თურქეთის ჯარებმა იგი სწორედ იმ დღეს დაიკავეს, როცა ამიერკავკასიის მთავრობის დელეგაცია ჩავიდა.

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთმა და კაიზერულმა გერმანიამ ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომლის პირობები უმძიმესი იყო რუსეთისათვის. რუსეთს ჩამოსცილდა პოლონეთი, ბელორუსიისა და ლიტვის ნაწილი. საბჭოთა მთავრობა გერმანიას უხდიდა დიდ კონტრიბუციას. ზავის IV მუხლის ძალით ოსმალეთის ხელში გადადიოდა არდაგანის, ყარსის ოლქები და აჭარა ბათუმითურთ.

თბილისში უკვე 2 მარტს, კარახანის დეპეშის შედეგად, შეიტყვეს რუსეთ-ოსმალეთის გარიგების შესახებ. იმავე დღეს სეიმისა და მთავრობის სახელით კ. ჩხეიძემ და ე. გეგეჭკორმა პროტესტი განაცხადეს და ყველა ქვეყანას აცნობეს, რომ არ ცნობდნენ ბრესტ-ლიტოვსკის უკანონო გადაწყვეტილებას.

ტრაპიზონში ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია 1914 წლის, ე. ი. ომამდელი, საზღვრების მთლიანად შენარჩუნებას ცდილობდა. შემდეგ ის ბრესტის ზავით გათვალისწინებული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილის დათმობაზე წავიდა. მოლაპარაკება მიმდინარეობდა, თურქეთის ჯარები კი შეტევას განაგრძობდნენ. მათ დაიკავეს ყარსი, არდაგანი, ოზურგეთი, ახალციხე, ბათუმი. ტრაპიზონის საზავო კონფერენციამ მუშაობა შეწყვიტა.

ფრონტზე წარუმატებლობამ აიძულა ამიერკავკასიის მთავრობა, დათმობაზე წასულიყო. მან აღიარა ბრესტის საზავო ხელშეკრულება. მიიღეს გადაწყვეტილება — განეახლებინათ მოლაპარაკებანი, მაგრამ თურქეთის მმართველმა წრეებმა ახლა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დეკლარაციული აღიარებაც მოითხოვეს. თურქეთის მთავრობას მიაჩნდა, რომ დამოუკიდებელ სუსტ მეზობელს ადვილად წამოაჩოქებდა და ახალ-ახალ დათმობებს გამოსძალავდა.

---

[1] საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (სსცსა) ფ. 1818, აღ 2, საქმე 6, ფურც. 25.

1918 წლის 9 აპრილს სეიმმა ხმათა უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების თაობაზე, თურქეთმა კი გააგრძელა შეტევა. ნ. ჟორდანია თავის მემუარებში აღნიშნავს: „შედეგს არ დაუყოვნებია, ოსმალო შემოიჭრა და დაიპყრა ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, მთელი აზერბაიჯანი და სომხეთის სამი მეოთხედი, გერმანელების დახმარებით ჩვენ შევაჩერეთ ისინი ჩვენს საზღვარზე, ტფილისთან ახლოს. მათ ხელში იყო ბაქო, ბათუმი და სურდათ ამისათვის მიემატებინათ ტფილისიც".[1]

თურქეთის ექსპანსიამ ამიერკავკასიაში შეაშფოთა ანტანტის ქვეყნები. ამერიკის კონსული თბილისში სმიტი 10-12 მარტის დეპეშებით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს ატყობინებდა ამიერკავკასიაში უკიდურესად კრიტიკული ვითარების შესახებ, რაც შეიქმნა თურქეთის აგრესიის შედეგად და დაჟინებით მოითხოვდა ამიერკავკასიისათვის ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ლანსინგის საფრანგეთში აშშ-ის ელჩ შარფისადმი 1918 წლის 18 აპრილს გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნული იყო: „სიტუაცია კავკასიაში უკიდურესად კრიტიკულია: თურქები უტევენ, სომხებს ემუქრება სრული განადგურება, თუმცა შესაბამისი ხელმძღვანელობით და ფინანსური დახმარებით უკანასკნელთ შესწევთ, უზრუნველყონ დიდი სამხედრო ძალა. ბრიტანეთის წარმომადგენლობამ უნდა მიიღოს უფრო საფუძვლიანი ზომები, თუ სურთ გადაარჩინონ მდგომარეობა.

თბილისის კონსული იტყობინება, რომ გერმანია ახორციელებს თავის გეგმას ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობის გამოყენებით. თათრები და ადგილობრივ მოსახლეობად შენიღბული თურქები, რომელთაც თურქეთის მუსლიმანური ლიდერები ამარაგებდნენ ბევრი ფულით, აწარმოებენ გამალებულ საქმიანობას, წარმოქმნიან უწესრიგობას, შეტაკებებს თერგის კაზაკებსა და მუსლიმანურ ტომებს შორის. შეიარაღებული მუსლიმანები თავს ესხმიან სომხურ სოფლებს და სამხედრო ქვედანაყოფებს. სიტუაცია უარესდება მოკავშირეთა ჩაურევლობით. კავკასიის ნაწილზე თურქეთის მოთხოვნამ აიძულა ქართველები, შეეთავაზებინათ სომხეთთან კავშირი. ფრონტის დაცვა მთლიანად დამოკიდებულია სომხებზე, ვინაიდან მათი ძალები ამჟამად შეადგენს 15000 კაცს თურქეთის ქვეშევრდომთაგან და 2500-ს რუსეთის ქვეშევრდომთაგან. გარკვეული დახმარებით ქართველები შეძლებენ 30000 კაცის შეიარაღებას. პრემიერ-მინისტრი ითხოვს დახმარებას და ამტკიცებს, რომ ქართულ-სომხური არმია შეაკავებს თურქებს, მაგრამ დიდი ბრიტანე-

---

[1] ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული. პარიჟი. 1953. გვ. 127.

თის სასწრაფო ფინანსური და სამხედრო დახმარების იმედის გარეშე თურქები შეძლებენ კავკასიის ნებისმიერი ტერიტორიის ოკუპირებას. თუ არ იქნება მიღებული სასწრაფო ზომები, მაშინ 2 თვის განმავლობაში მოხდება ასეთი ოკუპაცია და სომეხთა ხოცვა-ჟლეტა აუცილებლად მოსალოდნელია. გთხოვთ, ყველაფერი ეს გადასცეთ მოკავშირეთა სამხედრო საბჭოს..."[1]

მოკავშირეთა სამხედრო საბჭოში აშშ-ის წარმომადგენელმა გენერალმა ბლისსმა მოსთხოვა ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს მის ხელთ არსებული ინფორმაცია ამიერკავკასიის მოვლენებზე. ბრიტანეთის სამხედრო სამინისტრომ გამოაგზავნა ინფორმაცია: „1 დეკემბრის დასაწყისში ნათელი გახდა, რომ რუსეთის არმიებს აღარ ძალუძთ სომხეთის დაცვის უზრუნველყოფა კავკასიაში და 18 დეკემბერს მთელ კავკასიაში გამოცხადდა დროებითი დაზავება, შემდგომში ზავის დადების ანგარიშით. ამასთან 14 დეკემბრის წინა დღით სამხედრო კაბინეტის თათბირის შედეგად, ბრიტანეთის წარმომადგენელმა კავკასიაში მიიღო მითითება, ნება დაერთო, სომხეთისა და საქართველოს ხელისუფლებს შეესყიდათ რუსეთისაგან იმდენი იარაღი, რამდენის გამოყენებასაც ისინი შეძლებენ. ასევე შეპირებოდა ისეთ ფინანსურ დახმარებას, როგორიც მათ მანეთებში დასჭირდებოდათ". 2. იმის გამო, რომ წარმატების ერთადერთი იმედი მდგომარეობს სხვადასხვა ეროვნებათა — სომხების, ქართველების, თათრების — ერთ პოზიციად გაერთიანებაში, თურქეთის საწინააღმდეგოდ ყველა ღონისძიება იქნა მიღებული ამ გეგმის განსახორციელებლად, ეროვნული საბჭოების და ეროვნული ლიდერების მეშვეობით. ბაქოს თათრები აშკარად არიან განწყობილი პროთურქულად. 11 მარტს დაეცა ერზრუმი, 13 აპრილს — ბათუმი. მშვიდობიანი მოლაპარაკება ტრაპიზონში შეწყვიტა ამიერკავკასიის მთავრობამ წინააღმდეგ საქართველოს სურვილისა, დასასრული ახლა გარდუვალია".[2]

ანტანტის ქვეყნების, კერძოდ აშშ-ის განწყობაზე ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, თურქეთის 1918 წლის ექსპანსიის შედეგად, შეიძლება ვიმსჯელოთ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებლის ფრენკ პოლკის 1918 წლის 31 ივლისით დათარიღებული წერილის შინაარსის მიხედვით, რომელიც მან მისწერა ამერიკის ელჩს ინგლისში და სადაც აცნობებდა: „სერ, მე მივიღე მისტერ ლაფლინის 12 ივლისის № 287 ტელეგრამა, რომლითაც სახელმწიფო დეპარტამენტს ეტყობინება თქვენ მიერ, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან

[1] Papers Relating to the Foreign Relations of the United States, 1918, Volume I, The World War, Washington, 1933, გვ. 889.

[2] Idid.

მიღებული არაოფიციალური შეტყობინების არსი კავკასიაში სომხეთის მდგომარეობის შესახებ.

მე ასევე მივიღე ორი წერილი ვაშინგტონში სომხეთის კათოლიკოსის პასდერმაჯანისაგან, სადაც იგი ხაზს უსვამს კრიტიკულ სიტუაციას კავკასიაში; სარგებლობას, რომელიც შეიძლება მოუტანოს მათ გერმანიისა და თურქეთის მიერ კავკასიის ექსპანსიის თავიდან აშორებამ; სამსახურს, რომლის გაწევაც მოკავშირეებისათვის შეუძლიათ ქართველებს და სომხებს, თუ ისინი მათ დაეხმარებიან, და ბოლოს, თხოულობს აშშ-ისაგან ფულად დახმარებას.

16 აპრილს დეპარტამენტმა ტელეგრაფით გადასცა პარიზის საელჩოში თხოვნა მოკავშირეთა სამხედრო საბჭოს ამ საკითხისადმი დამოკიდებულების შესახებ. მე გიგზავნით მათ გასაცნობად—

ამერიკის ხალხი და აშშ-ის მთავრობა დაინტერესებულნი არიან სიტუაციით კავკასიაში, სომხური საკითხით და ქრისტიანების მდგომარეობით აღმოსავლეთში, რამდენიმე მიზეზის გამო:

1. თითქმის უკვე ასი წელია ამერიკელი ხალხი ძალას არ იშურებს თურქეთის იმპერიაში მცხოვრებ ქრისტიანთა მორალური და კულტურული კეთილდღეობისათვის. ამ ქვეყნებში არსებობს რამდენიმე ამერიკული რელიგიური, საქველმოქმედო და საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებიც არსებობენ ამერიკელთა შეწირულობების ხარჯზე და პრაქტიკულად მხოლოდ ქრისტიანებით არიან დაინტერესებულნი.

2. ამერიკელი ხალხი გულგრილი ვერ დარჩება არათურქი, განსაკუთრებით სომეხი, მოსახლეობისადმი იმ დამოკიდებულებების გამო, რასაც ისინი განიცდიან თურქეთში 1915 წლიდან. სირიისა და სომხეთის დახმარების ამერიკის კომიტეტმა, რომლის მუშაობა წარმოებს პრეზიდენტის თანხმობით, მიმართა ხალხს მოწოდებით და დღეისათვის შეიკრიბა 11000000 დოლარზე მეტი.

3. როგორც ერთ-ერთ მეომარ ქვეყანას, აშშ-ს, ბუნებრივია, აინტერესებს, რას აკეთებს გერმანია იმისათვის, რომ დაიკავოს ახლო აღმოსავლეთში გაბატონებული მდგომარეობა.

რუსეთის რევოლუციის შემდეგ გერმანიის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ჯერ რუსეთის ევროპულ ნაწილში, შემდეგ ამიერკავკასიაში. იგი თავის მოკავშირეს თურქეთს ეხმარებოდა არა მარტო დაკარგული ტრაპეზუნდის, ერზერუმის, ვანის ოლქების ხელახლა ოკუპაციაში, არამედ ბრესტ-ლიტოვსკში დაეხმარა რუსული ტერიტორიების — ბათუმის, ყარსის და არდაგანის გადაცემაში. გერმანელები და თურქები განსაკუთრებული წინააღმდეგობის გარეშე შეიჭრნენ ამ ოლქებში, დაიპყრეს სხვებიც და ირანის ტერიტორიაზეც კი შევიდნენ. ისლამური სამყაროს და ცენტრალურ სამფლობელოთა თვალში გერმანულ-თურქული ძალე-

ბის წინსვლა ნიშნავდა მორალურ გამარჯვებას, რითაც დამპყრობლებს ენიჭებოდათ სტრატეგიული და მატერიალური უპირატესობები. ეს შეტევები ემუქრება ამ ქვეყნებში თვით ქრისტიანობის არსებობას, მათ არსებობას, ვისაც გერმანელ-თურქი დამპყრობლები თვლიან თავისი ამბიციებისა და აღმოსავლეთისაკენ მისწრაფებათა ხელისშემშლელად. და ასევე ანტანტის ქვეყნებისათვის სერიოზულ სიძნელეებს შექმნიან.

თბილისში ყოფნისას, ბ-მა სმიტმა, ამერიკის კონსულმა, დეპარტამენტის ყურადღება მიაქცია კავკასიაში კრიტიკულ მდგომარეობას და მისცა სავსებით განსაზღვრული რეკომენდაციები, წარდგენილი დიდი ბრიტანეთის მთავრობის საყურადღებოდ. მაგრამ შემექმნა შთაბეჭდილება, თითქოს საგარეო საქმეთა სამინისტრო თვლის, რომ სმიტს უბრალოდ სურს უზრუნველყოს სომხებისადმი მოკავშირეთა დახმარება (იხ. თქვენი № 8500 4 თებერვლის და თქვენ მიერ პარიზიდან გამოგზავნილი ზემოხსენებული დეპეშები).

მაგრამ მისტერ სმიტის ამოცანა მხოლოდ ქართველების და სომხების დახმარება არ იყო. მას სურდა, გაფრთხილებით დაეცვა მოკავშირეები ახლო აღმოსავლეთიდან მომდინარე საფრთხისაგან, დაერწმუნებინა ისინი, ანტანტის ინტერესებისათვის გამოეყენებინათ ქრისტიანი ხალხები, მათი სამხედრო ძალა, ამავე დროს ილებდა თავის თავზე მათ ხელმძღვანელობას და ფინანსირებას, რათა ხელი შეეშალა ცენტრალური სახელმწიფოებისათვის ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში პოზიციების გამაგრებაში.

დეპარტამენტს გააჩნია დაწვრილებითი სანდო ინფორმაცია კავკასიაში შექმნილ მდგომარეობაზე. მაგრამ მისტერ სმიტის თბილისიდან წასვლის შემდეგ სიტუაცია აქ მკვეთრად შეიცვალა, რამდენადაც გერმანულ-თურქულმა ჯარებმა უფრო ღრმად წაიწიეს კავკასიაში და აზერბაიჯანში, ხოლო ბრიტანეთის ჯარებმა კი სპარსეთში.

დოქტორ კიულმანის[1] 24 ივნისის „ჟურნალ დე ჟენევში" გამოქვეყნებული სიტყვით თუ ვიმსჯელებთ, გერმანიის მთავრობამ აღიარა საქართველოს „დამოუკიდებლობა". იქ ნათქვამია, რომ დოქტორ კიულმანის განცხადებით, საქართველომ გაგზავნა თავისი საგარეო საქმეთა მინისტრი ბერლინში და გერმანელებმა დაიწყეს მათთან „სერიოზული" მოლაპარაკებები, კავკასიაში მდგომარეობის შესახებ, ზუსტი წარმოდგენის მისაღებად გერმანელებმა თბილისში დიპლომატიური მისიით გაგზავნეს გენერალი ფონ კრესი.

დოქტორმა კიულმანმა აპლოდისმენტების თანხლებით წარმოთქვა: „ჩვენ ვუსურვებთ საქართველოს სახელმწიფოს, მის მამაც ხალხს, მის

---

[1] კიულმანი — გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი (ა. მ.).

მდიდარ მიწას — ბედნიერ მომავალს. რაც შეგვეხება ჩვენ, სიამოვნებით გავაკეთებთ ყველაფერს, რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული, რათა განმტკიცდეს საქართველოსა და გერმანიას შორის კეთილი ურთიერთობა“.

სომხების შესახებ ამბობს: მაშინ, როცა უმნიშვნელო ეროვნული ჯგუფები მიუერთდნენ საქართველოს, „სომხეთი ცდილობდა გადაქცეულიყო ავტონომიურ სახელმწიფოდ“. ეს იყო ერთადერთი ხსენება სომხეთის და სომხებისა.

თურქეთის პრესის ტონიც ასევე მნიშვნელოვანია. იგი სიმპათიით მოიხსენიებს საქართველოს, მაგრამ მტრულად ახსენებს „სომხურ ბანდებს“.

დოქტორ კიულმანის განცხადება, თურქეთის პრესის ტონი და სხვა ფაქტები მიგვანიშნებენ მასზედ, რომ ცენტრალურმა სახელმწიფოებმა საქართველო მოაქციეს თავისი ძალაუფლების ქვეშ, მაშინ, როცა სომხები დარჩნენ მათი გავლენის სფეროს მიღმა და ზოგიერთი მონაცემებით ბრძოლასაც აგრძელებენ.

ფლობთ რა ამ ინფორმაციას, თავისი დანართით, მე გთხოვთ, ინახულოთ ბალფური, უთხრათ მას, რომ აშშ-ის ხალხის სომხებისადმი ისტორიული ინტერესის გათვალისწინებით, დეპარტამენტი თქვენი მადლიერი იქნება, თუ დიდი ბრიტანეთი გაგვიმარტავს თავის დამოკიდებულებას კავკასიაში შექმნილი მდგომარეობისადმი და ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვაწვდის ინფორმაციას კონკრეტული ზომების შესახებ, რომლებსაც იღებენ სომხეთის საქმეში მოკავშირეთა მონაწილეობის მხარდასაჭერად“.[1]

ანტანტის სახელმწიფოები ვერ დარჩებოდნენ გულგრილნი, როცა ხედავდნენ თურქეთისა და გერმანიის პოზიციების გაძლიერებას ისეთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ რეგიონში, როგორიც იყო ამიერკავკასია, მაგრამ მოწინააღმდეგის შეჩერება მათ ვერ შეძლეს.

1918 წლის 11 მაისს განახლებულ მოლაპარაკებებზე (ბათუმში გერმანია მონაწილეობდა შუამავლის სახით) თურქეთმა, სამხედრო მიღწევებით ფრთაშესხმულმა, წამოაყენა უფრო მძიმე პირობები, ვიდრე ითვალისწინებდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. ამიერკავკასიას უნდა დაეთმო ერევნის გუბერნიის ორი მესამედი, თბილისის გუბერნიის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, თურქეთის კონტროლს ექვემდებარებოდა ამიერკავკასიის რკინიგზა.

ამიერკავკასიისადმი დამოკიდებულების საკითხში თურქეთის წარმომადგენლობით წრეებში აღინიშნებოდა სამი მიმართულება:

---

[1] **Papers Relating to the Foreign Relations of the United States, 1918. The World War, Volume I, Washington, 1933, გვ. 890.**

პირველი — ვეჰიბ-ფაშას თაოსნობით თვლიდა, რომ მოლაპარაკებების დროს უნდა იყოს დაცული ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობები;

მეორე — თალათ-ბეის მეთაურობით თვლიდა აუცილებლად, რომ ამიერკავკასიისათვის ჩამოერთვათ სხვა ტერიტორიებიც;

მესამე — ენვერ-ფაშას თაოსნობით მოითხოვდა თურქეთისადმი მთელი ამიერკავკასიის მიერთებას.[1]

საქართველოს ეროვნული საბჭოსადმი ა. ჩხენკელის მიერ მიწერილ წერილში ბათუმში მიმდინარე მოლაპარაკების შესახებ ნათქვამი იყო, რომ თურქები მიისწრაფვიან აზერბაიჯანის სრული ანექსიისაკენ და აპირებენ ხანად დასვან ენვერ-ფაშას ძმა ნური-ფაშა.[2]

„ყველგან ამიერკავკასიაში თურქებს ჰყავთ თავისი აგენტები, რომლებიც ეწეოდნენ პროპაგანდას მუსლიმურ მოსახლეობაში და ამ მხარის ყოველი მხრიდან, პატარა ქალაქებიდანაც კი, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ, ბათუმისაკენ იგზავნებოდა სწორედ ამ აგენტების მიერ ინსპირირებული თხოვნები მფარველობის შესახებ".[3]

ახალციხის მუსლიმანურმა კომიტეტმა თურქეთის დელეგაციას გადასცა თხოვნა მაზრის დაუყოვნებლივ თურქეთთან მიერთების შესახებ. ამის საპასუხოდ ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციამ წარმოადგინა სტატისტიკური ცნობები, რომლის თანახმადაც ახალქალაქის მაზრის 100 ათასიანი მოსახლეობიდან მუსლიმები მხოლოდ 26 ათასს შეადგენდნენ.[4]

მფარველობის შესახებ თხოვნით თურქებს ასევე მიმართა აფხაზეთის თავად-აზნაურთა წარმომადგენლებმაც, რომლებიც იმედს ამყარებდნენ იმაზე, რომ მათი დახმარებით დაამხობდნენ ე. ეშბას მიერ დამყარებულ საბჭოთა ხელისუფლებას".[5]

ამასთან დაკავშირებით, ა. ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს ატყობინებდა: „თურქებმა გადაწყვიტეს გაგზავნონ ჯარები სოხუმის ასაღებად და დაიწყეს შესაბამისი მზადება. მაგრამ მალევე იქნა მიღებული ცნობა, ჩვენს მიერ სოხუმის აღებისა და კომუნისტების განდევნის შესახებ. ეს ცნობა მეხივით გავარდა, ვინაიდან მოვლენათა ასეთ შემობრუნებას ისინი არ მოელოდნენ და იძულებული იყვნენ ხელი აეღოთ თავის ჩანაფიქრზე".[6]

---

[1] სცსა, ფონდი 1823, აღ. 2, საქმე 1, ფურც. 207-208.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე. ფურც. 208.
[6] იქვე.

ბათუმში თურქეთთან მოლაპარაკებამ გააშიშვლა საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში სეიმის წამყვანი პოლიტიკური პარტიების: მენშევიკებს, მუსავატელებსა და დაშნაკებს შორის არსებული უთანხმოების სიღრმე.

მუსავატელები აშკარად მიილტვოდნენ თურქეთისაკენ და არ იჭნებოდნენ წინააღმდეგი მისი პროტექტორატისა. ასეთ რთულ საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა, დახმარება და მფარველობა ეთხოვა გერმანიისათვის. 14 მაისს შესაბამისი თხოვნა გაუგზავნა გერმანიის მთავრობას, სადაც ნათქვამი იყო:

„1. საქართველოს ეროვნული საბჭო გამოხატავს სურვილს და თხოვნას, რომ გერმანიამ ხელი შეუწყოს საქართველოს საერთაშორისო და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საკითხების შეძლებისდაგვარად უმტკივნეულო გადაწყვეტას;

2. ეთხოვოს გენ. ლოსოვს, მიიღოს შესაბამისი ღონისძიებები, რომ გერმანიის ჯარებმა განაგრძონ თავისი გზა ჩრდილო კავკასიისაკენ და იმდენად მიუახლოვდნენ საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი გახდეს მათთან კონტაქტების დამყარება და საქართველოს დაცვის უზრუნველყოფა გარეშე საშიშროებისაგან;

3. ეთხოვოს გენ. ლოსოვს, ამის გაკეთებამდე დატოვოს საქართველოში გერმანელი ტყვეები და ოფიცრები და დაევალოს მათ სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობას ჰქონდეს შესაძლებლობა, გამოიყენოს ეს ჯარები შინაგანი წესრიგის დასამყარებლად და ანარქიასთან საბრძოლველად“.[1]

თურქები ცდილობდნენ, ახალი ულტიმატუმის წარდგენამდე დაეკავებინათ მხარის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტები და ყველა დაეყენებინათ მომხდარი ფაქტის წინაშე. მათი მთავარი მიზანი იყო კავკასიის დაპყრობა ოფიციალური ულტიმატუმის წარდგენის გარეშე. მათ ფაქტობრივად განახორციელეს იგი. თურქეთის ამ მოქმედებასთან დაკავშირებით გენერალი ფონ ლოსოვი ურჩევდა საქართველოს წარმომადგენლებს, დაუყოვნებლივ გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა და ეთხოვათ გერმანიისათვის მფარველობა. ფონ ლოსოვის სიტყვებით, ეს იყო ერთადერთი გზა, რომელიც გადაარჩენდა საქართველოს თურქეთის შემოსევისა და დაღუპვისაგან“.[2]

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიამ, თურქების ამიერკავკასიის სიღრმეში გადაადგილებით შეშფოთებულმა, აიძულა ისინი, 1918 წლის 27

---

1 Борьба за победу советской власти в Грузии. Документы и материалы. Тбилиси, 1958 г., გვ. 264.

2 სსცსა, ფ. 1823, აღ. 2, საქმე 1, ფურც. 208.

აპრილს ხელი მოეწერათ საიდუმლო შეთანხმებაზე ამიერკავკასიაში გავლენის სფეროების განაწილების შესახებ“.[1]

საქართველო დარჩა გერმანიის გავლენის სფეროში, ამრიგად გერმანია საქართველოს მოწვევის გარეშე აპირებდა ამიერკავკასიაში განმტკიცებას, მაგრამ საქართველოს ოფიციალური მიმართვა დახმარებისათვის მას აძლევდა საშუალებას, მოსულიყო არა „ოკუპანტის“, არამედ მფარველის სახელით და საქმე ჰქონოდა მასთან ლოიალურ დამოკიდებულებაში მყოფ ქვეყანასთან. შემთხვევით არ იყო, რომ გერმანიის სარდლობა სიამოვნებით გამოეხმაურა საქართველოს თხოვნას, რადგან როგორც იგონებს ფელდმარშალი ლუდენდორფი, ამან თურქთისაგან დამოუკიდებლად შესაძლებელი გახადა კავკასიური ნედლეულისა და რკინიგზების გამოყენება. „ამიტომ მე ვშუამდგომლობდი იმპერიის კანცლერის წინაშე საქართველოს თხოვნის დაკმაყოფილებისათვის“.[2]

24-25 მაისს შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით, რომელსაც ესწრებოდნენ: გ. ლასხიშვილი, პ. საყვარელიძე, შ. მესხიშვილი, კ. მესხი, ნ. რამიშვილი, ა. ჟურული, ალ. ასათიანი, ი. მაჭავარიანი, ლ. ვაჩნაძე, გ. გვაზავა, ი. წერეთელი, ე. გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე, ბ. გობეჩია. სხდომის მონაწილეებს გააცნეს თურქთთან მოლაპარაკების დროს ამიერკავკასიის დელეგაციის მეთაურის ა. ჩხენკელის დეპეშები და წერილები, სადაც იგი ასახავდა მოლაპარაკებებზე შექმნილ სიტუაციას და მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას.

გადაწყდა, მიეღოთ ჩხენკელის რეკომენდაციები და სეიმის მიერ თვითდათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ გამოცხადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. შეიქმნა აქტის შემდგენი კომისია, რომელშიც შევიდნენ: გ. გვაზავა, ი. მაჭავარიანი, გ. რცხილაძე, პ. ქავთარაძე, რ. არსენიძე და ი. ჯაფარიძე. საკითხის განხილვაში მონაწილეობას იღებდა ნ. ჟორდანია.

ზ. ავალიშვილის მოგონებებით, 1918 წლის მაისში, ნ. ჟორდანიას ბათუმში ყოფნისას, მან გადასცა უკანასკნელს ჩხენკელის, ნიკოლაძის და სურგულაძის მიერ მოწონებული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სავარაუდო პროექტი. თუმცა ავალიშვილი იქვე აღნიშნავს, რომ თავისთვის არ დაუტოვებია ამ პროექტის ასლი და არ იცის,

---

[1] Г. Пипия, Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг. М., 1978, გვ. 38.
[2] Э. Людендорф. Мои воспоминания о войне 1914-1918 гг. М., 1924, გვ. 182.

„გამოიყენეს თუ არა იგი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შედგენისას 1918 წლის 26 მაისს".[1]

აი, როგორ აღწერს თავის მემუარებში ნ. ჟორდანია დამოუკიდებლობის აქტის შედგენის პროცესს: „მე ვსთხოვე კომისიის წევრს გ. გვაზავას შეედგინა პროექტი, როგორც იურისტს და მოეტანა ჩემთვის. მან შეადგინა, წავიკითხე, გავოცდი. სწორ ნაციონალურ დებულებათა გვერდით იყო წამოყენებული სოციალური რეფორმის დებულებანი: რვა საათიანი სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხვა. მე ასეთი მუხლები ჩავთვალე უადგილოდ; საჭირო იყო ერთი; ყველა ქართველისათვის მისაღები ნაციონალური პლატფორმა, საიდანაც უნდა გამოირიცხოს ყველა გამთიშველი ელემენტები. ამ აზრის თანახმად შევასწორე პროექტი, ამოვაგდე იქიდან ყველა კლასიური ხასიათის მუხლები, დავტოვე შესწორების მხოლოდ ნაციონალურ-პოლიტიკური ხასიათის. ასე შესწორებული წავუკითხე კომისიას. გიორგის ხმა არ ამოუღია. მასზე დავინახე განცვიფრების და კმაყოფილების ბეჭედი... ამნაირათ დეკლარაცია შემუშავდა".[2]

სამწუხაროდ, ჟორდანიას მოგონებებში არ ჩანს, ისარგებლა თუ არა მან გვაზავას პროექტის შესწორების დროს იმ პროექტით, რომელიც მას 22 მაისს გადასცა ბათუმში ზ. ავალიშვილმა.

ეროვნული საბჭოს 25 მაისის სხდომაზე ასევე განიხილეს საკითხი მთავრობის ორგანიზაციის შესახებ. დაამტკიცეს მინისტრთა კაბინეტის შემდეგი შემადგენლობა:

1. თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი — ნ. რამიშვილი.
2. საგარეო საქმეთა მინისტრი — ა. ჩხენკელი.
3. სამხედრო — ი. გიორგაძე.
4. ფინანსთა, ვაჭრობის და მრეწველობის — მ. ჟურული.
5. სახალხო განათლების — გ. ლასხიშვილი.
6. მიწათმოქმედების და შრომის — ნ. ხომერიკი.
7. იუსტიციის — შ. მესხიშვილი.
8. გზათა — ი. ლორთქიფანიძე.[3]

მიიღეს ი. წერეთლის წინადადება — საქართველოს ეროვნულ საბჭოს ამიერიდან ეწოდოს საქართველოს პარლამენტი.

26 მაისს, შუადღის 3 საათზე ამიერკავკასიის სეიმმა თავი დათხოვნილად გამოაცხადა. სეიმის საბოლოო გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

---

1 З. Авалов. Независимость Грузии в международной политике 1918-1921 гг. Нью-Йорк. 1982 г., გვ. 58.

2 ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული. გვ. 129-130.

3 სსცსა. ფ. 1823, აღ. 2, საქმე 1, ფურც. 108.

„ვინაიდან იმ ხალხებს შორის, რომლებმაც შექმნეს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ომისა და ზავის საკითხებში გამოჩნდა აზრთა სხვაობა და ამიტომ შეუძლებელი გახდა ავტორიტეტული ხელისუფლების შენარჩუნება, რომელიც ერთიანი ამიერკავკასიის სახელით ილაპარაკებდა, სეიმი ადასტურებს დაშლის ფაქტს და უარს ამბობს თავის რწმუნებაზე".[1]

იმ დღესვე გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

## 2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია 1918-1921 წლებში

1918 წლის 26 მაისს თბილისში, მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში გამართულ ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნ. ჟორდანიამ წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. 117 წლიანი შუალედის შემდეგ ქართველმა ხალხმა აღიდგინა სახელმწიფოებრიობა.

დამოუკიდებლობის აქტით ცხადდებოდა საქართველოს მუდმივი ნეიტრალიტეტი და კეთილმეზობლობის სურვილი მსოფლიო თანამეგობრობის ყველა წევრთან, განსაკუთრებით მეზობელ ხალხებთან. მაგრამ თურქებმა ისარგებლეს ამიერკავკასიის სეიმის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის არცნობით, განავითარეს სამხედრო შეტევა და დაიკავეს საქართველოს და სომხეთის საგრძნობი ნაწილი. 14 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დახმარებისა და მფარველობისათვის გერმანიას მიმართა. გერმანიის ხელისუფლება დადებითად მოეკიდა ამ თხოვნას: ფელდმარშალი ლუდენდორფი იგონებდა, რომ საქართველოს თხოვნის მეშვეობით შესაძლებელი ხდებოდა კავკასიური ნედლეულისა და რკინიგზების გამოყენება თურქებისაგან დამოუკიდებლად. „ ... ამიტომ მე ვიშუამდგომლე იმპერიის კანცლერის წინაშე საქართველოს თხოვნის დაკმაყოფილებისათვის" — წერდა იგი.[2]

28 მაისს ფოთში გერმანიისა და საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებათა პაკეტს. ეს ნიშნავდა საქართველოს დე ფაქტო აღიარებას გერმანიის იმპერიის მიერ. იმავე დღეს გერმანიის წარმომადგენელმა ფონ ლოსოვმა საიდუმლო წერილით აღუთქვა საქართველოს ხელისუფალთ, რომ შეეცდებოდა დაეყოლიებინა გერმანიის მთავრობა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებებში ამ უკანასკნელი-

---

[1] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, გვ. 330.

[2] Э. Людендорф, Мои воспоминания о войне 1914-1918 гг. М., 1924, გვ. 188.

სათვის მხარდაჭერის აღმოჩენაზე, რუსეთისაგან გამოყოფის შემდგომ კი საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე.[1]

ა. ჩხენკელი გერმანიის დელეგაციას ბერლინში გაჰყვა. თურქეთთან საზავო მოლაპარაკების გაგრძელება ითავა ნ. რამიშვილმა, რომელიც 31 მაისს ჩავიდა ბათუმში. ბათუმში საზავო მოლაპარაკება დასრულდა 1918 წლის 4 ივნისს. „ზავის და მეგობრობის" ხელშეკრულება თურქეთს აკუთვნებდა მთელ მესხეთს, აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით.

საინტერესოა რუსეთისა და ანტანტის ქვეყნების რეაქცია საქართველო-გერმანიის დაახლოების ფაქტზე.

ლენინი საქართველოში ამ დროისათვის შექმნილი სიტუაციის შეფასებისას ამბობდა, რომ „საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშების და გლეხების წინააღმდეგ".[2] ანტანტის ქვეყნები, რომელნიც გერმანიას ეომებოდნენ, ასევე თვლიდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არარეალური იყო. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ფრენკ პოლკი სწერდა 31 ივლისს დიდ ბრიტანეთში ამერიკის ელჩს პეიჯს; „დოქტორი კიულმანის 24 ივნისის გამოსვლიდან ჩანს, რომ გერმანიის მთავრობამ ცნო საქართველოს „დამოუკიდებლობა". კიულმანის განცხადება, თურქული პრესის ტონი და სხვა ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ ცენტრალურმა სახელმწიფოებმა საქართველო სრული კონტროლის ქვეშ მოაქციეს".[3]

ლენინი სიტუაციას კლასობრივი პოზიციიდან აფასებდა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი კი მეომარი მხარის პოზიციიდან. ამ დროს კი ქართველი ხალხი ეროვნული კატასტროფის წინაშე იდგა და არ ჰქონდა სხვა ალტერნატივა საუკუნო მტრის — თურქეთისაგან თავის დასაცავად.

1918 წლის ივნის-ნოემბერში საქართველოს დელეგაცია ბერლინში იმყოფებოდა და ცდილობდა, მიეღწია გერმანიისაგან ქვეყნის დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისათვის. გერმანიის მთავრობა კი აუცილებლად მიიჩნევდა ამ საკითხის გადასაწყვეტად რუსეთის წინასწარი თანხმობის მიღებას.

---

1 З. Авалов, Независимость Грузии в международной политике 1918-1921 гг., Париж, 1924, გვ. 68.

2 ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 7-8.

3 Papers Relating to the Foreign Relations of the United States, 1918, The World War, Volume I, Washington, 1933, გვ. 893.

რაც შეეხება საბჭოთა რუსეთის პოზიციას, სტალინი 8 ივლისს სწერდა შაუმიანს — ჩვენი პოლიტიკა ამიერკავკასიაში იმაში მდგომარეობს, რომ ვაიძულოთ გერმანია აღიაროს სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის საკითხი რუსეთის საშინაო საქმედ, რომლის გადაწყვეტაში გერმანია არ უნდა მონაწილეობდეს. ამიტომაც არ ვცნობთ საქართველოს დამოუკიდებლობას, რომელიც გერმანიამ აღიარა. შეიძლება მოგვიწიოს დათმობა საქართველოს საკითხში, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გერმანელები აღიარებენ ჩაურევლობას სომხეთისა და აზერბაიჯანის საქმეში. გერმანელები თანხმდებიან, — დაგვიტოვონ ბაქო და მოითხოვენ ნავთის გარკვეულ რაოდენობას ეკვივალენტზე. ჩვენ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ ეს „თხოვნა“.[1]

ზაფხულში გერმანიის მთავრობამ მიაღწია რუსეთის თანხმობას საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე. 27 აგვისტოს რსფსრ-სა და გერმანიას შორის ხელმოწერილ იქნა დამატებითი ხელშეკრულება, რომლის მე-13 მუხლში ეწერა: „რუსეთი თანახმაა, რომ გერმანიამ ცნოს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად“.[2] ამით საბჭოთა რუსეთმა თავადაც არაპირდაპირ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა.

1918 წლის 3 ოქტომბერს მზად იყო საქართველო-გერმანიის პოლიტიკური ხელშეკრულების პროექტი. ქართველთა დელეგაციის წევრის ზ. ავალიშვილის აზრით, ამ პროექტის მთავარი პუნქტი საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება იყო. მაგრამ ხელშეკრულების ხელმოწერა არ შედგა — თავდაპირველად გერმანიაში დაწყებული პოლიტიკური კრიზისის, მოგვიანებით კი ფრონტზე მდგომარეობის გაუარესებისა და რევოლუციის მოახლოების გამო.

გერმანიის დამარცხებისა და ნოემბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა რუსეთის პოზიცია საქართველოს საკითხში მკვეთრად შეიცვალა. 1918 წლის 11 ივნისიდან 1920 წლის მარტამდე რუსეთში მყოფი საქართველოს წარმომადგენლის გ. ხუნდაძის მოგონებათა თანახმად, ჩიჩერინს ერთ-ერთი გამოსვლისას განუცხადებია; „ჩვენ არ შევკამათებივართ გერმანიას, მაგრამ საქართველოს ცნობის პირობაც არ მიგვიღია“.[3]

1918 წლის დეკემბერში გ. ხუნდაძემ დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობის გამოჩენილ მოღვაწეებთან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების საკითხის შესაძლებლობის გამოსარკვევად. კამენევი და-

---

[1] Документы по истории гражданской войны в СССР, т. I. М., 1941, გვ. 289-290.

[2] Документы внешней политики СССР, т. I, М., 1959, გვ. 443.

[3] Г. Хундадзе, Советская власть и грузинское посольство в России, Тифлис, 1920, გვ. 20.

თანხმებია, მოლაპარაკებოდა ვ. ლენინს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ უცნობებია, რომ დღევანდელ პირობებში ლენინი დამოუკიდებელ საქართველოს უარყოფითად უყურებს, რიკოვს პირდაპირ განუცხადებია, რომ მომხრეა საქართველოს კონტრრევოლუციური მთავრობის იარაღით განადგურებისა და ყველა ღონეს იხმარს, რათა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი არასოდეს განიხილონ სახკომსაბჭოში.

მსოფლიო ომში დამარცხების შედეგად გერმანიის სამხედრო ძალებმა დატოვეს საქართველო. მათ ნაცვლად კი ინგლისელები მოვიდნენ.

ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში ინგლისი და საფრანგეთი შეთანხმდნენ რუსეთის ტერიტორიის გავლენის სფეროებად გაყოფაზე. ინგლისი იღებდა პასუხისმგებლობას სომხეთზე, კავკასიაზე, საქართველოსა და ქურთისტანზე. საფრანგეთის კონტროლქვეშ ხვდებოდა ბესარაბია, უკრაინა და ყირიმი.[1] 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში ინგლისელებმა დაიკავეს ბაქო, თბილისი და ბათუმი. ჩერჩილი ამბობდა, რომ ბრიტანეთის არმია დაეუფლა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ სტრატეგიულ ხაზს, რომლის ორივე ფლანგი დაცული იყო ინგლისის საზღვაო ძლიერებით.[2]

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის საგარეო ასპარეზზე ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობა უცხო სახელმწიფოთა მიერ. ეს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე უნდა გადაწყვეტილიყო. ამიტომ მთავრობამ 1918 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე განიხილა პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის შემადგენლობის საკითხი და დაადგინა: „ევროპაში პროპაგანდისათვის და კონგრესზე დასწრებისათვის გაიგზავნოს დელეგაცია"... დელეგაციის მეთაურად დანიშნეს კ. ჩხეიძე. 21 ნოემბრის სხდომაზე მთავრობამ განიხილა და დაამტკიცა პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის მოქმედების გეგმა. „პოლიტიკური საკითხის შესახებ — ნათქვამი იყო დოკუმენტში — დელეგაციამ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი მოსაზრებებით:

ა) დელეგაცია წინააღმდეგი უნდა გამოვიდეს, თუ ვინიცობაა მოკავშირეებმა მიზნად დაისახეს რუსეთის აღდგენა ძველ ფარგლებში...

ბ) ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი ამიერკავკასიის კონფედერაციისა, — ხოლო ჯერ თვითონ ამიერკავკასიის ერები უნდა განმტკიცდნენ როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომ შემდგომ მათი შეკავშირება უფრო ადვილი და თავისუფალი იქნეს...

---

1 Documents of British Foreign Policy 1919-1939, First Series, Volume III, London, 1949, გვ. 365.

2 Черчилль, Мировой кризис, М., 1932, გვ. 106.

გ) სომხებთან დაახლოება ჩვენთვის საჭიროა მეტად, თუ ჩვენ, ორი საქრისტიანო ერი, ვერ შევთანხმდით, ეს იმის მომასწავლებელი იქნება, რომ საქართველო ვერ შეძლებს საკუთარ არსებობას; და ეს გარემოება, გარდა ამისა, ევროპაშიც ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს; ჩვენი მიზანი უნდა იყოს: ორი სომხეთის — ოსმალეთისა და რუსეთისა — შეერთება; უნდა ვეცადოთ, საოსმალო სომხეთისაკენ გადაიხაროს სომხეთის პოლიტიკურმა ცენტრმა, ჩვენ ამ მიზნით იმაშიც უნდა დავეხმაროთ სომხებს, რომ მათ გასავალი იპოვონ შავი ზღვით, თუ ასე წავიდა საქმე, მაშინ სომხეთი აღარ მოაწვება საქართველოს, — და ადვილად გადაწყდება სომეხ-ქართველთა გამწვავებული ურთიერთობა...

დ) თუ დამოუკიდებლობის საკითხი ძალიან გამწვავდა და არასგზით არ იცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა, დელეგაციას ნება ეძლევა დაუთმოს, მხოლოდ ერთი პირობით: თუ იქნება პროტექტორატი, — მხოლოდ რომელიმე ევროპული სახელმწიფოსი".[1]

საქართველოს დელეგაციამ კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი, სადაც ასაბუთებდა მისი დამოუკიდებლობის კანონზომიერებას და მოკავშირეთა საბჭოსაგან დამოუკიდებლობის ოფიციალურ აღიარებას მოითხოვდა. „იმედებით და რწმენით სავსე — ნათქვამი იყო მემორანდუმში — ქართული დემოკრატია, თავის თავისუფლებას და მომავალს ანდობს მათ, ვინც მოწოდებულია გადაწყვიტოს ევროპისა და მთელი მსოფლიოს ბედი".[2] საქართველოს დელეგაციის წევრებს, ამის გარდა, ცალკე შეხვედრები ჰქონდათ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის აშშ-ის წარმომადგენლებთან. დელეგაციას ყველგან თავაზიანად იღებდნენ, დაპირებებსაც არ იშურებდნენ, მაგრამ რეალურად საქმე წინ ვერ მიდიოდა. 1918-1919 წწ. ანტანტის ქვეყნები არ ცნობდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას. საგარეო პოლიტიკური ვითარება საქართველოსათვის განისაზღვრებოდა მხოლოდ და მხოლოდ ე. წ. „რუსული საკითხის" მდგომარეობით. იტალიის ელჩმა ლონდონში მარკიზ იმპერიალიმ 1919. წლის 3 ნოემბერს კითხვით მიმართა ბრიტანეთის მთავრობას — რა პოზიცია ეკავა მას საქართველოს აღიარების საკითხში. თავის მხრივ იტალიის მთავრობა ცალსახად აცხადებდა, რომ კავკასიის საკითხში თავის მოკავშირეთა პოზიციებზე იდგებოდა.[3]

14 ნოემბერს საპასუხო წერილში ლორდ კერზონი აცხადებდა, „საქართველოს აღიარების საკითხი დაკავშირებულია ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების საკითხთან, ეს უკანასკნელი კი რუსეთის საკითხის

---

1 Georgian Archive. Harvard University. Reel 68, box 20, book 12.

2 იქვე.

3 Documents of British Foreign Policy. First Series, Volume III. London, 1949, გვ. 624.

გადაწყვეტასა და თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებასთან“.[1]

24 დეკემბერს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო მემორანდუმი ამიერკავკასიის შესახებ. მისი ბოლო ნაწილი ეხებოდა „აღიარების საკითხს“. მასში ნათქვამია; „თუ შევადარებთ საქართველოსა და აზერბაიჯანს, პირველის მოთხოვნები უფრო საფუძვლიანია. წარსულში საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. იგი ახლაც გამოირჩევა საკმარისი ერთიანობითა და თვითმმართველობის უნარით. ამასთან, ძალზე ძნელია სხვადასხვაგვარად მივუდგეთ ამ ორ ქვეყანას. თუ რუსები კავკასიონს გადმოლახავენ და ბაქო-ბათუმი მაგისტრალის ერთ ბოლოს დაიკავებენ, საქართველოს თავისუფლების უზრუნველყოფა შეუძლებელი გახდება.

პრაქტიკული სარგებლიანობისათვის საჭიროა შეთანხმება, რომ ორივე რესპუბლიკას ერთგვარი პოზიციებიდან მივუდგეთ. მაშინ პრობლემა შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

ა) რამდენად ვართ მზად დენიკინთან და სრულიად რუსეთის პარტიასთან დასაპირისპირებლად;

ბ) რამდენადაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი ირანსა და მომავალ რუსეთს შორის ბუფერული სახელმწიფოების შექმნა.

ერთ-ერთი იდეა ისაა, რომ მოკავშირეებმა დაუყოვნებლივ ცნონ ეს რესპუბლიკები და გადასცენ ისინი ამერიკული ან ბრიტანული მანდატის მფარველობას. ამგვარი მოქმედება მანდატის მფლობელ სახელმწიფოს დენიკინთან დააპირისპირებს, მოითხოვს მისგან ისეთ პასუხისმგებლობას, რომელსაც ვერც ერთი მოკავშირე ქვეყანა ვერ აიღებს დღეს საკუთარ თავზე.

არის სხვა გზაც: შევიკავოთ თავი ახალ რესპუბლიკათა აღიარებისაგან მანამ, სანამ საბოლოოდ არ გამოიკვეთება გენერალი დენიკინის მდგომარეობა. ამასთან, გამუდმებით ვიქონიოთ მასზედ გავლენა, რათა იგი არ დაესხას თავს ამ რესპუბლიკებს.[2]

მემორანდუმში აღნიშნული ამ ორი ვარიანტიდან ინგლისის მთავრობამ მეორე აირჩია. როგორც კი გაირკვა, რომ დენიკინის არმია განადგურდა და წითელი არმია კავკასიას მოადგა, 12 იანვარს ანტანტამ „დე ფაქტო“ აღიარა საქართველო და აზერბაიჯანი. მოკავშირეთა გეგმის თანახმად მათ წითელი რუსეთისა და ანტანტის დამაშორებელი ბუფერის როლი უნდა ეთამაშათ.

---

[1] Ibid.

[2] Documents.., გვ. 701.

(ამ რთულ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ გეგმებზე მეტყველებს საგარეო საქმეთა მინისტრის, ე. გეგეჭკორის წერილი საქართველოში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის, ო. უორდროპისადმი.) ამ წერილში, რომელიც 1920 წლის 10 იანვრით თარიღდება, ვკითხულობთ, „მას შემდეგ, რაც ბოლშევიზმის იმედები დასავლეთის სოციალისტურ რევოლუციაზე არ გამართლდა, რუსმა ბოლშევიკებმა მზერა აღმოსავლეთის მუსლიმანურ სამყაროს მიაპყრეს. მართალია, აქ არაა სოციალისტური რევოლუციის ნიადაგი, მაგრამ საკმარისი ფეთქებადი მასალა კი არის, რუსთა მიერ ანტანტის წინააღმდეგ გამოსაყენებლად.

ჩვენი მონაცემებით ბოლშევიკებსა და თურქეთს, ასევე მთელი მუსლიმანური სამყაროს მმართველ წრეებს შორის არსებობს ხელშეკრულება ანტანტის, პირველ რიგში კი ინგლისის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯების კოორდინირების თაობაზე.

ამჟამად, წითელი არმიის კავკასიონთან მოახლოებისას, საქართველოს მდგომარეობა მძიმდება. რეალური დახმარების გარეშე საქართველო, რომელიც მძიმე ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, ვერ შეძლებს გაუძლოს დაწოლას ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. საქართველოს დაცემა კი სერიოზულ ზეგავლენას მოახდენს ანტანტის, პირველ რიგში კი ინგლისის აღმოსავლურ ინტერესებზე. მაგრამ თუ საქართველოს აღმოუჩენენ დახმარებას, მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ მას აღმოაჩნდება საზღვრების დასაცავად საჭირო გამბედაობა და ძალა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა თვლის, რომ ინგლისმა, საკუთარი ინტერესების შესაბამისად საქართველოს უნდა აღმოუჩინოს დახმარება ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მოახლოებულ საფრთხესთან ბრძოლაში.

ეს დახმარება, თუ იგი დროული იქნა, რესპუბლიკაში სახალხო ენერგიის აღმავლობას გამოიწვევს, ჩვენ მოგვეცემა საშუალება, დავიცვათ საქართველოსა და ინგლისის ინტერესები, რომელნიც თანმხვედრია მოცემულ ისტორიულ მომენტში“.[1] მაგრამ საქართველოს მთავრობის იმედები ინგლისიდან დახმარების მიღებაზე არ გამართლდა.

1920 წლის გაზაფხულზე საქართველოს საგარეო ვითარება გართულდა. წითელმა არმიამ განდევნა დენიკინი, არა მარტო სამხრეთი რუსეთის ტერიტორიიდან, არამედ ჩრდილოეთ კავკასიიდანაც. 1920 წლის აპრილის ბოლოს წითელი არმია ბაქოში შევიდა. თავისი საგარეო პოლიტიკური პოზიციების განსამტკიცებლად საქართველოს სჭირდებოდა იურიდიული აღიარება დიდი სახელმწიფოების მხრიდან. ზემოთ ჩვენ

---

[1] Georgian Archive. Harvard University. Reel 99, box 78, book 86.

აღვნიშნეთ, რომ ანტანტა საქართველოს იურიდიულ აღიარებას უკავშირებდა რუსეთის საკითხის გადაწყვეტას. 1920 წლის გაზაფხულზე საქართველოს პოლიტიკურმა მოღვაწეებმა სწორი დასკვნა გამოიტანეს: „ცხადი იყო, წერდა ნოე ჟორდანია, წაქცეულ რუსეთსაც დიდ ანგარიშს უწევდნენ და არ სურდათ მისი დანაწილების დადასტურება, საჭირო იყო ამ საკითხისადმი მიდგომა სხვანაირად, შემოვლით. რაკი პირდაპირი, ევროპის წინაშე შუამდგომლობით და იქ პროპაგანდით არა გამოდიოდა რა, ცხადი გახდა, საქმის ისევ რუსეთიდან დაწყების აუცილებლობა. ვიფიქრე, თუ მოსკოვმა გვცნო, ჩვენი დამოუკიდებლობა დაადასტურა, ამ თამასუქით წარვდგებით ევროპის არეოპაგის წინაშე და ეს უეჭველად გასჭრის".[1]

16 და 22 აპრილს საქართველოს მთავრობამ ნოტებით მიმართა ბოლშევიკურ რუსეთს და შესთავაზა მას მოლაპარაკების დაწყება სამშვიდობო ხელშეკრულების თაობაზე. რუსეთი დათანხმდა, ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1920 წლის 7 მაისს. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს საერთაშორისო სტატუსის განმტკიცებისათვის. რსფსრ გახდა პირველი დიდი სახელმწიფო, რომელმაც ცნო საქართველო „დე იურე" და მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. ამ ხელშეკრულებამ გზა გაუხსნა საქართველოს, სხვა სახელმწიფოებსაც ეღიარებინათ. „ეს იყო პირველი შემთხვევა — წერდა გრ. ურატაძე, — როცა სახელმწიფო სცნობდა თავისი ნაწილის დამოუკიდებლობას მანამ, სანამ ის არ უცვნია სხვა სახელმწიფოებს".[2]

1919 წლის ანტანტის ქვეყნების ინიციატივით შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია ერთა ლიგა, რომელიც, წესდების მიხედვით, მიზნად ისახავდა „ხალხთა შორის თანამშრომლობის განვითარებას, მათი მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტირებას".

საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების დადებისთანავე საქართველოს მთავრობა ზომებს იღებს რესპუბლიკის ერთა ლიგის შემადგენლობაში მიღების შესაძლებლობის საკითხის გასარკვევად. ამ მიზნით ერთა ლიგის საბჭოში, რომში, წარდგენილი იყო საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნოტა.

1920 წლის ზაფხულში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი გაემგზავრა ევროპაში წამყვან ქვეყნებთან მოსალაპარაკებლად. საქართველოს მისწრაფება ერთა ლიგაში შესასვლელად აიხსნება მისი სურვილით, ამ გზით დაეჩქარებინა დიდი სახელმწიფოების მიერ

---

[1] ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, პარიჟი, 1953, გვ. 163-164.

[2] გრ. ურატაძე, საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1821-1921 წწ., პარიზი, 1939, გვ. 179.

თავისი დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარება. ე. გეგეჭკორის მოგზაურობა ევროპის ქვეყნებში იტალიით დაიწყო. 30 აგვისტოს იგი შეხვდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ სფორცას. იმავე დღეს იგი მიიღო იტალიის მთავრობის თავმჯდომარე ჯიოლეტიმ. საუბრის დროს იმსჯელეს იტალიასა და საქართველოს შორის ორმხრივ ურთიერთობაზე. შეეხნენ ამ ურთიერთობათა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს.

გეგეჭკორსა და სფორცას შორის გამართული საუბრის დასასრულს ხაზი გაესვა, რომ სიმპათიების პარალელურად, არსებობს წმინდა ეკონომიკური ხასიათის ინტერესები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ორი ქვეყნის უფრო მჭიდრო დაახლოებას.[1]

ე. გეგეჭკორს ჰქონდა შეხვედრები ევროპის ქვეყნების წამყვან პოლიტიკურ ლიდერებთან. მოლაპარაკებებზე განიხილებოდა სხვადასხვა საკითხი — საქართველოს ერთა ლიგაში მიღების შესახებ, მის იურიდიულ აღიარებაზე ანტანტის მხრიდან, ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებაზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარების სასარგებლოდ ევროპული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში დადებითი გავლენა იქონია II ინტერნაციონალის ლიდერების ჩამოსვლამ თბილისში 1920 წლის შემოდგომაზე. სამშობლოში დაბრუნებისას პრესის ფურცლებზე მათ მკითხველებს გაუზიარეს შთაბეჭდილებები იმ ქვეყნის შესახებ, რომელშიც პირველად მსოფლიო ისტორიაში სოციალ-დემოკრატიული მთავრობა დაადგა დემოკრატიული სოციალიზმის აშენების გზას. ამ პუბლიკაციებში ნაჩვენები იყო ქართველი ხალხის ისტორიული წარსული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში მიღწეული წარმატებები.

1920 წლის 16 დეკემბერს ერთა ლიგის საერთო კრებაზე იხილებოდა საქართველოს ამ ორგანიზაციაში წევრად მიღების საკითხი. საკითხის დაყენება ერთა ლიგის საერთო კრებაზე ჟენევაში მომზადდა ერთა ლიგის მუდმივ სამდივნოსთან მოლაპარაკებებისა და მიმოწერის გზით 1920 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე.

ერთა ლიგა წესდების თანახმად, მიზნად ისახავდა „თანამშრომლობის განვითარებას ხალხთა შორის და მათი მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტიას“.

საქართველოს და სხვა ახალგაზრდა ქვეყნებს ერთა ლიგისაკენ იზიდავდა მისი წესდების მეათე სტატია. ამ სტატიის თანახმად, ერთა ლიგის წევრები იღებდნენ ვალდებულებას, პატივი ეცათ და დაეცვათ ორ-

---

1 Georgian Archive. Harvard University. Reel 100, box 31, book 29.

განიზაციის ყველა წევრის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მაგრამ სწორედ ეს სტატია გახდა საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანების ხელის შემშლელი გარემოება. განხილვაზე სიტყვით გამოვიდნენ ფ. ნანსენი (ნორვეგია) და რ. სესილი (სამხრეთ აფრიკა). ნანსენმა საქართველოს მხარდამჭერი სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე.[1]

სესილმაც მხარი დაუჭირა საქართველოს მიღებას ერთა ლიგაში. შემდგომ ამისა, სიტყვა მოითხოვა ინგლისის წარმომადგენელმა ფიშერმა. მან განაცხადა, რომ ნანსენისა და სესილის განცხადებები სწორია, მაგრამ საქართველოს დაცვა სირთულეს წარმოადგენს. არ შეიძლება საქართველოს საკითხის განცალკევება ბალტიისპირეთის რესპუბლიკათა საკითხისაგან (საქართველოს საკითხის განხილვამდე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვივიანი ბალტიის ქვეყანათა ერთა ლიგაში გაწევრიანების წინააღმდეგ გამოვიდა). „მე ვითხოვ დაფიქრებას საკითხზე, მზად ვართ თუ არა, ვურჩიოთ ჩვენს მთავრობებს, აღმოუჩინონ მატერიალური დახმარება ამ მამაც პატარა სახელმწიფოს, თუ ამგვარი აუცილებლობა დადგება" — დასძინა ფიშერმა.[2]

(კენჭისყრაში 24 სახელმწიფო მონაწილეობდა. საჭირო იყო 16 ხმის მიღება. საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანებას მხარი დაუჭირა 10-მა სახელმწიფომ. ინგლისისა და საფრანგეთის ოპოზიციამ საქართველოს ერთა ლიგაში მიღება შეუძლებელი გახადა.)

იმავდროულად საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებდა ანგორის მთავრობის დიპლომატიურ წარმომადგენელთან კიაზიმ-ბეისთან. იგი ცდილობდა, მოეპოვებინა თურქეთის დაპირება დახმარების ან ნეიტრალიტეტის შესახებ. 1921 წლის 11 იანვრის შემდეგ თბილისსა და ანგორას შორის მოხდა დეპეშების გაცვლა. თურქეთი დათანხმდა, გაეწევია სამხედრო დახმარება იმ პირობით, თუ საქართველო უარს იტყოდა ოლთისის დაბლობზე და დათმობდა არდაგანის მხარეს.[3]

თურქებს ესმოდათ, რომ დემოკრატიული საქართველო უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა. ამიტომაც მათთვის მთავარი იყო, მოქმედებათა დაწყებამდე ხელთ ეგდოთ მომენტი, რათა მოვლენებისათვის წინ არ გაესწროთ და არც დაეგვიანებინათ. 17 თებერვალს ნ. ჟორდანიამ განაცხადა საქართველოს მთავრობის თანხმობის შესახებ თურქეთის პირობებზე, თუ „თურქეთი დაუყოვნებლივ გამოვიდოდა საქართველოს მხარეზე". ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა 1921 წლის თებერვალში

---

1 Georgian Archive. Harvard University. Reel 78. box 87.

2 იქვე.

3 РЦХИДНИ. ф. 85. оп. 15. д. 136. л. 3.

ანკარაში ჩასული საქართველოს წარმომადგენელთან ს. მდივანთან.[1] მაგრამ თურქეთი საქმეს აჭიანურებდა და არც დახმარებია საქართველოს, არდაგანსა და ართვინში კი ჟორდანიას თანხმობით თავისი ჯარები შეიყვანა.

ჯერ კიდევ 1920 წლის 20 ნოემბერს საქართველომ თურქეთის მთავრობას მიმართა წინადადებით, დაეწყოთ მოლაპარაკება იმ საფუძველზე, რომ თურქეთი სცნობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას რუსეთისა და საქართველოს 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში დადებული საზავო ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრების ფარგლებში. თურქეთის მთავრობამ 1920 წლის 6 და 15 დეკემბერს ორჯერ მიმართა რსფსრ-ს, რათა გამოერკვია ამ უკანასკნელის პოზიცია თურქეთ-საქართველოს მომავალი მოლაპარაკებების თაობაზე. 19 დეკემბერს რსფრს-ის მთავრობამ უპასუხა, რომ „თურქეთისა და რუსეთის ინტერესების თვალსაზრისით უფრო სასურველად თვლიდა საზავო ხელშეკრულების დადებას საქართველოსა და თურქეთს შორის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების საფუძველზე.[2]

საბჭოთა რუსეთმა თურქეთს აღმოუჩინა სამხედრო და ფინანსური დახმარება. 1920 წლის ზაფხულში კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრს გ. ორჯონიკიძეს გადაეცა 6000 შაშხანა, 5 მლნ ტყვია, 17600 ყუმბარა თურქეთში გასაგზავნად.[3]

1920 წლის ნოემბერში, თურქეთის ჯარების სომხეთში შეჭრის გამო, რსფსრ-მ დროებით შეაჩერა იარაღისა და ოქროს გაცემა. დეკემბერში კი იარაღითა და ფულით დახმარება განახლდა.

ასეთი მჭიდრო ურთიერთობის ფონზე, რომელიც იმჟამად ანკარასა და მოსკოვს შორის ჩამოყალიბდა, გულუბრყვილო ჩანდა საქართველოს სწრაფვა, დახმარების ან ნეიტრალიტეტის დაპირება მიეღო თურქეთისაგან, რომელიც სწორედ იმ ხანებში მოლაპარაკებას აწარმოებდა რსფსრ-თან სამეგობრო ხელშეკრულების თაობაზე. ამასობაში, 1921 წლის იანვრის მიწურულს მოსკოვში გადაწყდა საქართველოს გასაბჭოება შეიარაღებული ინტერვენციის გზით. 28 იანვარს სტალინი სწერდა ორჯონიკიძეს, რომ „ცკ-მა გადაწყვიტა, აწარმოოს მოსამზადებელი სამუშაო,. თუ საჭირო გახდა საქართველოს ოკუპაცია... დავიწყებთ ინგლისთან ხელშეკრულების დადების შემდგომ“.[4] ინგლისთან სავაჭრო

---

1 Мустафа Кемаль, Путь новой Турции, т. III, М., 1934, გვ. 333.

2 Документы внешней политики СССР, т. III, М., 1959, გვ. 369-397, 393.

3 იქვე, გვ. 675.

4 РЦХИДНИ, ф. 558, оп. I, д. 2043, л. I. იხ. მენთეშაშვილი ა. მ., „ოქტომბრის რევოლუცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში. 1917-1921“, თბ., 1987, გვ. 183 (რუს. ენ.).

ხელშეკრულება 16 მარტს დაიდო. მოლაპარაკება 9 თვეს მიმდინარეობდა. ხელშეკრულების პრეამბულაში ნათქვამი იყო, რომ რსფსრ თავს შეიკავებდა ინგლისის ინტერესთა საწინააღმდეგო აგიტაციისაგან ან სხვა ქმედებებისაგან აზიის ხალხებში, განსაკუთრებით ავღანეთსა და ინდოეთში, ინგლისი კი რსფსრ-ის წინაშე ანალოგიურ პირობას დებდა იმ ქვეყნების მიმართ, რომელნიც ადრე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ.[1]

ამგვარად, ინგლისმა ცნო რუსეთის განსაკუთრებული ინტერესები საქართველოში. 1921 წლის 17 მარტს, როდესაც საქართველოს ელჩი ა. ჩხენკელი ლონდონში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ კერზონს რუსეთისა და თურქეთის აგრესიისაგან თავდაცვას სთხოვდა, ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ვერაფერს იტყოდა რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედების შესაძლებლობაზე, მაგრამ თურქეთისაგან თავდაცვაში დახმარება კი შესაძლებლად მიაჩნდა.[2]

რით უნდა აიხსნას, რომ აჯანყება ინსპირირებული იქნა 1921 წლის 11 თებერვალს ლორის „ნეიტრალურ ზონაში ინგლის-რუსეთის შეთანხმებამდე ერთი თვით ადრე". ჩანს, საბჭოთა მთავრობა კარგად იყო ინფორმირებული ინგლისის პოზიციის შესახებ საქართველოს საკითხზე და მან გადაწყვიტა მოქმედება დასახულ ვადაზე ადრე, მით უმეტეს, რომ 13 თებერვალს ვადა გასდიოდა საქართველო-სომხეთის შეთანხმებას, რომლის ძალითაც საქართველოს სამი თვით გადაეცა ლორის ნეიტრალური ზონის სამხრეთი ნაწილი. უკეთესი შესაფერისი შემთხვევის გამოძებნა აჯანყების ინსპირირებისათვის ძნელი იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1921 წლის 27 იანვარს ანტანტამ საქართველო ცნო „დე-იურედ", რამაც, ჩვენი აზრით, დააჩქარა კიდევაც საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს მთავრობის დამხობა.

ჯერ კიდევ 1920 წლის 30 დეკემბერს პარიზში, ე. გეგეჭკორი შეხვდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა გენერალურ მდივანს ბერტელოს. საუბარში შეეხნენ საქართველოს „დე-იურედ" დაუყოვნებლად ცნობისა და მისთვის იარაღით დახმარების საკითხს. გამოირკვა, რომ საფრანგეთისაგან განსხვავებით „დიდი ბრიტანეთი ამ ცნობას თვლიდა არა მარტო ნაადრევად, არამედ საქართველოსათვის სახიფათოდაც ამ უკანასკნელის ბოლშევიკებთან ურთიერთობების არასტაბილურობის მიზეზით".[3]

აჯანყება დაიწყო 11-12 თებერვლის ღამეს ლორის „ნეიტრალურ" ზონაში. 14 თებერვალს ლენინმა მეთერთმეტე არმიის რევოლუციურ

---

1 Документы внешней политики СССР, т. III, М., 1959, გვ. 608.

2 Georgian Archive. Harvard University. Reel 199, box 31, book 18, გვ. 53.

3 Ibid. reel 78, box 23, book 81.

სამხედრო საბჭოს უდეპეშა, რომ ცკ თანახმაა ნება დაგრთოთ დაეხმაროთ აჯანყებულებს და დაიკავოთ თბილისი, თუ თქვენ იძლევით წარმატების გარანტიას".[1]

ლენინის დირექტივებიდან გამომდინარე 15 თებერვალს სტალინმა ორჯონიკიძეს უდეპეშა „ეხლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი".[2]

15 თებერვალს აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოში შეიჭრნენ მეთერთმეტე არმიის ნაწილები. საქართველოს მთავრობა შეეცადა დიპლომატიური ზომებით შეეჩერებინა სამხედრო მოქმედებები. 15 თებერვალს ჟორდანია პირდაპირი ხაზით დაუკავშირდა მოსკოვს, მაგრამ კარახანმა არ ისურვა მასთან საუბარი.[3] 18 თებერვალს ჩიჩერინი დაუკავშირდა საქართველოს წარმომადგენელს ვარშავაში ერისთოვს (ჩიჩერინი თავის ნოტაში ხსნიდა, რომ ამგვარად მოიქცა თბილისსა და მოსკოვს შორის სატელეგრაფო კავშირის გაწყვეტის გამო) და გადასცა ნოტა, რომელშიც საქართველოს მთავრობას ადანაშაულებდა ლორეში ჩატარებულ რეპრესიებში. ამასთან, ჩიჩერინი შესაძლებლად მიიჩნევდა კონფლიქტის დარეგულირებას მოლაპარაკების გზით. ამ მიზნით რუსეთი გზავნიდა ა. ენუქიძეს.[4]

25 თებერვალს წითელი არმია თბილისში შევიდა. ქალაქში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

ნ. ჟორდანიას მთავრობა იტალიური გემით „ფერენ ჟოზეფ მირილით" საფრანგეთში გაემგზავრა. „მთავრობის გამგზავრება ოკუპირებული ტერიტორიიდან აუცილებელი გახდა, რადგან ეს იყო ერთადერთი საშუალება დამპყრობელთან პოლიტიკური ურთიერთობებისაგან თავის არიდებისა" — აღნიშნავდა ჟორდანია.

## 3. რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, მისი დარღვევა რუსეთის მიერ და საქართველოს ფაქტობრივი ანექსია

ქართული დიპლომატიის ისტორიაში საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. ამ ხელშეკრულებით რუსეთმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარა. და რომ რუსეთს სულ რაღაც 8 თვეში არ

---

1 В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 52, გვ. 71.
2 РЦХИДНИ, ф. 558, д. 2054, л. 1; ა. მენთეშაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 184.
3 Georgian Archive, Harvard University, reel 99, box 31, book 23-24, გვ. 105-106.
4 იქვე.

დაერღვია ეს ხელშეკრულება, ბოლომდე მოეთმინა საქართველოს დამოუკიდებლობა, სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ საქართველოსა და მისი ხალხის დღევანდელი დღე ბევრი მცირერიცხოვანი ერისათვის შესაშური იქნებოდა. მართალია, ეს ასე არ მოხდა, მაგრამ ამით 7 მაისის ხელშეკრულების მნიშვნელობა თითქმის არ ფერმკრთალდება, რადგან ეს ხელშეკრულება რომ არ ყოფილიყო, მაშინ 1920 წ. მაისში საქართველოსათვის 1921 წლის 25 თებერვალი თენდებოდა.

დიახ, ეს ნამდვილად ასე იქნებოდა. მივყვეთ მოვლენებს. მთელი ამიერკავკასიის გასაბჭოება, როგორც იტყვიან, „დღის წესრიგში" 1920 წლის გაზაფხულიდან დააყენეს. უფრო ადრე წითელ არმიას საამისო თავი არ ჰქონდა. გავიხსენოთ დეპეშა, რომელიც 1920 წლის 17 მარტს ვლადიმერ ლენინმა სერგო ორჯონიკიძეს გაუგზავნა: „ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად საჭიროა. მთელი ღონისძიებანი აქეთ წარმართეთ. ამასთან აუცილებელია განცხადებებში უაღრესი დიპლომატიურობა გამოიჩინოთ და მაქსიმალურად დარწმუნდეთ მტკიცე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მომზადებაში. იგივე ეხება საქართველოს, თუმცა გირჩევთ, მას კიდევ უფრო ფრთხილად მოეპყროთ. ჯარების გადაყვანაზე შეუთანხმდით მთავარსარდალს, ლენინი".[1]

როგორც ვხედავთ, აქ პირდაპირ არის ლაპარაკი ბაქოს აღების აუცილებლობაზე (და ეს გასაგებიცაა), მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ვლადიმერ ლენინი იმავე აზრისაა საქართველოზეც, ოღონდ, იგი მეტი დიპლომატიურობისა და სიფრთხილის გამოჩენას მოითხოვდა.

საბჭოთა რუსეთმა და მისმა წითელმა არმიამ ბაქოს პრობლემა მალე და თითქმის უმტკივნეულოდ გადაწყვიტას აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ, მე-11 წითელი არმიის ხელმძღვანელობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგეს საქართველოს დასაპყრობადაც. საქართველოს საზღვრები აზერბაიჯანში დაბანაკებულმა წითელმა არმიამ 1920 წლის 2 მაისს გადმოლახა. იგი თბილისისაკენ მოიწევდა, 3 მაისს სერგო ორჯონიკიძემ მოსკოვს აცნობა, რომ იმედი აქვს, არაუგვიანეს 15 მაისისა, თბილისს აიღებს. მეორე დღესაც, 4 მაისს სერგო ორჯონიკიძე კვლავ გზავნის დეპეშას: „მოსკოვი, კრემლი, ლენინს, სტალინს. ბაქო. 1920 წლის 4 მაისი. მეორედ ვპასუხობთ. ამბები ისე დატრიალდა, რომ იმედი გვაქვს, თორმეტს მაინც თბილისს ვიქნეთ. საამისოდ ყველაფერი გაკეთებულია. ბრწყინვალედ გამოვა. სა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 470.

კითხის სხვაგვარი გადაწყვეტა აჯანყებულთა საშინელ ხოცვა-ჟლეტას გამოიწვევს. ორჯონიკიძე".[1]

მაგრამ მოსკოვში საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხი სხვანაირად წყდებოდა. 1920 წლის 4 მაისს გაიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა, რომელმაც განიხილა სერგო ორჯონიკიძისაგან მიღებული დეპეშები. დაადგინეს, ეცნობებინათ სერგო ორჯონიკიძისათვის, რომ მას ეკრძალება „საქართველოს თვითგამორკვევა". პოლიტბიურომ დაადგინა აგრეთვე, რომ გაგრძელდეს მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან.[2] ამის შემდეგ, 1920 წლის 4 მაისსვე ვლადიმერ ლენინი და იოსებ სტალინი ასეთ დეპეშას უგზავნიან სერგო ორჯონიკიძეს:

„ცენტრალური კომიტეტი გავალებთ გამოიყვანოთ ნაწილები საქართველოს ფარგლებიდან საზღვარზე და თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისაგან. თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ ცხადია, რომ საქართველოსთან ზავი გამორიცხული არ არის. დაუყოვნებლივ გვაცნობეთ მთელი უზუსტესი ცნობები აჯანყებულთა შესახებ. ცენტრალური კომიტეტის დავალებით, ლენინი, სტალინი".[3]

იმავე საღამოს იოსებ სტალინი პირდაპირი ხაზით ელაპარაკა სერგო ორჯონიკიძეს, რომელსაც ერთხელ კიდევ გაუმეორა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალება: მიეღო „ყველა ზომა ნაწილების რუსეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებთან გასაყვანად". და უარი ეთქვა „საქართველოს წინააღმდეგ, როგორიც არ უნდა იყოს შეტევით მოქმედებაზე"...

რამ გამოიწვია მოსკოვის ასეთი პოზიცია? ნუთუ შეიძლება დავიჯეროთ, რომ წითელმა არმიამ ცენტრის დაუკითხავად გადმოლახა საქართველოს საზღვარი? რასაკვირველია, არა. პასუხი ჩვენს კითხვაზე მოცემულია თვით ლენინის დეპეშის ტექსტში, სადაც ნათქვამია, თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ ცხადია, რომ საქართველოსთან ზავი გამორიცხული არ არისო.

საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ ამ დროს (1920 წლის 26 აპრილიდან 6 მაისამდე) მოსკოვში გამალებული მუშაობა მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად, ქართული მხარე, შეიძლება ითქვას, უფრო აქტიურობდა. ეს ბუნებრივია, რადგან საქართველოს დე-

---

[1] უახლესი პერიოდის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრალური, ფ. 461, საქ. 33508, ფურც. 2.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., სრული კრებ., მეხუთე გამოც., (რუს), ტ. 51, გვ. 424, 208-ე შენიშვნა.

[3] მისივე. თხზ., ტ. 35. გვ. 474.

მოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის ნათელი იყო, რომ აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ მალე საქართველოს ჯერიც დადგებოდა. ეს კი საბჭოთა რუსეთთან ომს ნიშნავდა, რაც საქართველოსათვის არახელსაყრელი იყო. ეს საშიშროება საქართველოსათვის იმ დროს უკვე რეალობად იქცა — საბჭოთა აზერბაიჯანში განლაგებული წითელი არმიის ნაწილების მიერ 1920 წლის მაისის დამდეგს დაწყებული შეიარაღებული ბრძოლა, საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოებას რომ ისახავდა მიზნად, ფაქტობრივად რუსეთ-საქართველოს ომი იყო. ამის გამოც ვთქვით, რომ 1920 წლის მაისში საბჭოთა რუსეთის წითელი არმია ისეთივე აქციის განხორციელებას აპირებდა, როგორიც მან 1921 წლის თებერვალ-მარტში ჩაატარა. ამიტომ საბჭოთა რუსეთთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ხსნად ჩანდა. თუმცა, ზოგიერთი იმდროინდელი მოღვაწე, კერძოდ, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი გიორგი კვინიტაძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, პირადად ნოე ჟორდანიას შეცდომად მიიჩნევს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას. მისი აზრით, საქართველოს მაშინ შეეძლო დაემარცხებინა მე-11 წითელი არმია და გასაბჭოებული აზერბაიჯანიც გაეთავისუფლებინა.[1]

იმდროინდელი საერთაშორისო კონიუნქტურის გამო საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებით დაინტერესებული აღმოჩნდა თვით საბჭოთა რუსეთიც, რადგან მის წინაშე მაშინ არაერთი რთული პრობლემა იდგა: ომი პოლონეთთან და თეთრგვარდიელი გენერლის ვრანგელის საჯარისო შენაერთებთან (ყირიმში). ახალი სერიოზული საომარი კერის გაჩენა კი სარისკო იყო. თუ საქართველოს დაპყრობა უმტკივნეულოდ მოხდებოდა, ამის წინააღმდეგი, ცხადია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო არ იქნებოდა, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა, როგორც ითქვა, უვნებელყვეს თბილისელ ბოლშევიკთა შეიარაღებული გამოსვლა (თავდასხმა იუნკერთა სასწავლებელზე) და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილ წითელი არმიის ნაწილებს, რაც ახალ გართულებას უქმნიდა რუსეთს. საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება კი საბჭოთა რუსეთს საშუალებას აძლევდა, მთელი ყურადღება მთავარი საფრთხისათვის მიექცია. მით უფრო, რომ რუსეთს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისაგან არავითარი საშიშროება არ ემუქრებოდა.

---

[1] იხ.: Генерал Г.И. Квинитадзе, Мои воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921 гг. პარიზი, გვ. 7.

კიდევ ერთი მომენტი: 1920 წლის 4 მაისს საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი ჩიჩერინმა ვლადიმერ ლენინს შეატყობინა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კერზონის მოთხოვნა („კერზონის რადიო"), რომ საბჭოთა მთავრობას გამოეცხადებინა საერთო ამნისტია და შემრიგებლური დამოკიდებულება გამოეჩინა დამარცხებული გენერლებისადმი. კერძოდ, კერზონი მოითხოვდა, რომ შეჩერებულიყო საომარი მოქმედება ყირიმსა და კავკასიაში. ჩიჩერინი წინადადებას იძლეოდა: „დავეთანხმოთ ვრანგელის ამნისტიას და შევაჩეროთ შემდგომი წინსვლა კავკასიაში, სადაც ჩვენ ყველაფერი ძვირფასი უკვე ხელთ ვიგდეთ", და შეიძლება დაუყოვნებლივ ვუპასუხოთ თანხმობით".[1] იმავე წლის 4 მაისს ვლადიმერ ლენინი სწერდა ლევ ტროცკის: „ამხ. ტროცკი! ჩემი აზრით ჩიჩერინი მართალია. ახლავე უპასუხეთ თანხმობით 1) საომარი მოქმედების შეჩერებაზე (ა) ყირიმში და (ბ) კავკასიაში..."[2]

კავკასიაში საომარი მოქმედებისა და შემდგომი წინსვლის შეჩერებაზე რომ ლაპარაკობენ, კერზონი, ჩიჩერინი და ლენინი, ცხადია, საქართველოს გასაბჭოების მიზნით წითელი არმიის მიერ 1920 წლის მაისის დამდეგს დაწყებულ ბრძოლას გულისხმობენ. ჩიჩერინი კი, როცა ამბობდა, კავკასიაში ყველაფერი ძვირფასი უკვე ხელთ ვიგდეთო, პირველ რიგში, მას, უეჭველია, ბაქოს ნავთობი ჰქონდა მხედველობაში.

აი, ასეთ ვითარებაში დაევალა სერგო ორჯონიკიძეს წითელი არმიის გაყვანა საქართველოს ფარგლებიდან. აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა კერზონის მოთხოვნამ, რუსეთ-პოლონეთის ომმა და რუსეთ-საქართველოს შორის იმ დროს მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებამ. ყოველივე ამან შეუძლებელი გახადა წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი ბოლშევიკები ხელშეკრულების წინააღმდეგი იყვნენ. მათი აზრით, საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების დადება გაართულებდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლას.

ცნობილია ასეთი ფაქტიც. საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების დასადებად, საქართველოს მთავრობის რწმუნებულებით, მოსკოვში გაემგზავრა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ურატაძე, რომელიც პირადად იცნობდა ლენინს, ყოველ შემთხვევაში იგი სწავლობდა იმ პარტიულ სკოლაში (ლონჟიუმო, პარიზის მახლობლად), რომელსაც სხვებთან ერთად ლენინიც ხელმძღვა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 44, გვ. 572 (383-ე შენიშვნა).
[2] იქვე, გვ. 371-372.

ნელობდა. საქართველოს მთავრობა ამ მომენტსაც უწევდა ანგარიშს, როცა აღნიშნული დიპლომატიური მისიის შესასრულებლად გრიგოლ ურატაძე შეარჩია.

„საქართველო იყო დამოუკიდებელი, — წერს ნოე ჟორდანია, — მის შინაგანი მტერის არ გვეშინოდა, ხალხი ჩვენთან იყო და ნაძირალებს ადვილად ვუმკლავდებით, მაგრამ ასეთი მდგომარეობა სანამდე უნდა გაგრძელებულიყო. სახელმწიფო არსებობს არამარტო თავისთვის, შინაურული წესით, არამედ გარეშეებისთვისაც, ნაციონალური და ინტერნაციონალური, ამ მხრივ, ევროპიდან არაფერი სანუგეშო არ მოგვდიოდა. ვერსალის კონფერენცია გათავდა, ჩვენ კი დავრჩით უცნობი. ცხადი იყო, რუსეთს, წაქცეულ რუსეთსაც დიდ ანგარიშს უწევდნენ და არ სურდათ მისი დანაწილების დადასტურება. საჭირო იყო ამ საკითხისადმი მიდგომა სხვანაირად, შემოვლით. რაკი პირდაპირი მიდგომით, ევროპის წინაშე შუამდგომლობით და იქ პროპაგანდით არ გამოდიოდა რა, ცხადი გახდა, საქმის ისევ რუსეთიდან დაწყების აუცილებლობა. ვიფიქრე, თუ მოსკოვმა გვიცნო, ჩვენი დამოუკიდებლობა დაადასტურა, ამ თამასუქით წარვდგებით ევროპის არეოპაგის წინაშე და ეს უეჭველათ გასჭრის. გადავწყვიტე ჯერ ჩემს გულში მოსკოვში კაცის გაგზავნა. დესპანი უნდა ყოფილიყო ლენინის და მისი შტაბის ნაცნობი, სოციალ-დემოკრატი, პარტიის ყრილობაზე ნამყოფი. ვიფიქრე და გავჩერდი გრ. ურატაძეზე. ის იყო სტოგოლმისა და ლონდონის კონგრესებზე და იცნობდა ყველას. დაუძახე გრიშას და მოველაპარაკე. მან მაშინვე თანხმობა განაცხადა, თუმცა „გზა იყო ეკლიანი". უნდა გაევლო მრავალნაირი საომარი ფრონტები. მისი თანხმობის შემდეგ, წავედი საგარეო სამინისტროში, ვნახე საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი და გავუზიარე, ჩემი აზრი. მან მითხრა აგერ ერთი თვეა ქართველი კომუნისტი მეხვეწება გამატანეთ ვინმე თქვენი კაცი მოსკოვში და იქ მოვახერხებ დავითანხმო ლენინი, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზეო. დამისახელა გვარიც (აღარ მახსოვს)...[1] გრიშაზე დათანხმდა და ორ კვირაში გავისტუმრეთ რუსეთისაკენ შავი ზღვით. ამ მისიის ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო მისი საიდუმლოება ე.ი. საქართველოს კომუნისტებს არ გაეგოთ არავითარ შემთხვევაში თვარა უეჭველად ჩაშლიდნენ.

მთელი ეს ამბავი, გრიშას გამგზავრება და იქ მუშაობა, საქართველოში არავის გაუგია. მე ახლაც მიკვირს, რატომ მოსკოვი არ შეეკით-

---

[1] პროფესორმა გურამ შარაძემ საზოგადოებას უკვე ამცნო, რომ ეს პიროვნება იყო ძველი ბოლშევიკი ა.კ. კობახიძე (მირსკი). მანვე დააზუსტა, რომ საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად მოსკოვში საქართველოდან გაგზავნილი დელეგაციის მუშაობაში მონაწილეობდა აგრეთვე დავით საღირაშვილი.

ხა თავის ხალხს თფილისში. ჩვენთვის მთავარი იყო ეცნო მოსკოვს ორი დებულება: დამოუკიდებლობა და საზღვრები. ყველა დანარჩენი პირობები იქნებოდა მეორე ხარისხოვანი, როცა იქნებოდა საგანი მოლაპარაკების. ასეთი ინსტრუქცია მივეცი გრ. ურატაძეს. ის წავიდა მარტო".[1]

გზაზე, საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, როსტოვში შეაფერხეს გრ. ურატაძის მოსკოვში გამგზავრება. გარკვეული ძალები (განსაკუთრებით სამხედრო) საქართველოს გასაბჭოებას ამზადებდნენ და წინააღმდეგი იყვნენ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადებისა. ეს ხომ ის დროა, როცა წითელმა არმიამ აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ საქართველოს საზღვარიც გადმოლახა.

გრ. ურატაძემ მოსკოვს მაინც ჩააღწია (საქმეში ლენინი ჩაერია ) და მისი მისია საქართველოს დიპლომატიის გამარჯვებით დაგვირგვინდა — 1920 წლის 7 მაისს რუსეთის სფს რესპუბლიკამ და საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმეს. საბჭოთა რუსეთის მხრიდან მას ხელი მოაწერა რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლევ კარახანმა, რომელიც აღჭურვილი იყო რსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ ლენინისა და რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გიორგი ჩიჩერინის მიერ ხელმოწერილი სპეციალური რწმუნებულებით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან კი ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ურატაძემ.

ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა ყოველგვარი პირობის გარეშე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება. საბჭოთა რუსეთმა ვალდებულება იკისრა, არ ჩარეულიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში. ორივე მხარე იღებდა ვალდებულებას, არ დაეშვათ თავიანთ ტერიტორიებზე მეორე მხარისადმი მტრულად განწყობილი ორგანიზაციებისა და შეიარაღებული ძალების მოქმედება. ხელშეკრულებას ჰქონდა განსაკუთრებული საიდუმლო დამატება, რომლის ძალით საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციებს ლეგალური მუშაობის, კერძოდ, კომუნისტური პროგრამის საჯარო პროპაგანდის, კრებების მოწვევისა და საგამომცემლო საქმიანობის უფლება ეძლეოდათ.[2]

რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას, ეჭვს გარეშეა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, დასავლეთის ბევრ სახელმწიფოს, რომელთაც სურდათ საქართ-

---

[1] ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული (მოგონებანი), თბ., 1990, გვ. 112-113.

[2] იხ: ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც. ფაქტობრივი ანექსიაც. თბ., 1991, გვ. 220-229.

ველოს დამოუკიდებლობის აღიარება, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობის გამწვავების შიშით ერიდებოდნენ ამ ნაბიჯის გადადგმას, ამიერიდან ეხსნებოდათ ეს ბარიერი. და მართლაც, მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, უცხოეთის ბევრმა სახელმწიფომ მიბაძა მას. ასე, მაგალითად, საქართველოს დამოუკიდებლობა 1920 წლის მაისის შემდეგ დე-იურედ ცნეს: გერმანიამ, ბელგიამ, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, იტალიამ, იაპონიამ, პოლონეთმა, ავსტრიამ, რუმინეთმა, ლუქსემბურგმა, მექსიკამ და ა.შ.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას ნოე ჟორდანია ერთობ ოპტიმისტურად უყურებდა. იგი იმედოვნებდა, რომ „ამიერიდან რუსეთსა და საქართველოს შორის მოისპობა ყოველივე გაუგებრობა და ორივე მოძმე ხალხი მშვიდობიანად და თანხმობით იმუშავებს ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად“.[1]

ცხოვრება სხვა გზით წავიდა, უნდა ვიფიქროთ, ნოე ჟორდანიას არ ეცოდინებოდა იმ დეპეშათა შინაარსი, რომელიც ლენინმა და სტალინმა 1920 წლის 4 მაისს გაუგზავნეს ორჯონიკიძეს საქართველოს ფარგლებიდან წითელი არმიის ნაწილების გამოყვანის თაობაზე, მაგრამ იმაში კი ალბათ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ 7 მაისის შემდეგ საბჭოთა აზერბაიჯანიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ჯარის ნაწილები შეწყვეტდნენ საომარ მოქმედებას და უმალვე უკან დაბრუნდებოდნენ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საომარი ოპერაციები ამის შემდეგაც გრძელდებოდა, რასაც ორივე მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა. საქართველოს სახალხო გვარდია და რეგულარული ჯარი 7 მაისის შემდეგაც იძულებული იყვნენ იარაღის ძალით აღედგინათ და შეენარჩუნებინათ რესპუბლიკის საზღვარი. უკანასკნელი გაბრძოლება 16 მაისს მოხდა.

7 მაისის ხელშეკრულებას ზოგიერთი იმდროინდელი მოღვაწე, მათ შორის ქართველი ბოლშევიკებიც, არცთუ უსაფუძვლოდ, თავიდანვე დროებით მოვლენად, საბჭოთა რუსეთის იძულებით მანევრად მიიჩნევდნენ. სერგო ორჯონიკიძემ ლადო დუმბაძესთან პირდაპირი ხაზით ერთ-ერთი საუბრისას განაცხადა: „რუსეთისა და მენშევიკური საქართველოს დაზავება მიჩნეულია შესვენებად, რომელიც ლენინს სჭირდებოდა პოლონეთის ფრონტის სწრაფი ლიკვიდაციისა და იმისათვის, რომ პროვოკაციები აღეკვეთა.“[2]

---

[1] გაზ. „კომუნისტი“. 1989 წლის 8 ივნისი (ა. სურგულაძისა და ა. მენთეშაშვილის პუბლიკაცია).

[2] უახლესი პერიოდის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღწ. 15, საქ. 311, ფურც. 11.

ქართველი ბოლშევიკების აზრით 7 მაისის ხელშეკრულებამ დაღუპვისაგან იხსნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა“. „დაზავების აქტით ჩვენ არამარტო განვამტკიცეთ მენშევიკი გაიძვერების პოზიციები, არამედ შევასუსტეთ კიდეც განუწყვეტლივ მზარდი რევოლუციური ტალღა მასებში, რადგან საბოლოოდ შევურყიეთ საბჭოთა ხელისუფლებისადმი რწმენა და იმედი“ — აცხადებდნენ ზავით განაწყენებული ქართველი ბოლშევიკები.

ორჯონიკიძისა და კიროვის დეპეშაში, რომლებიც ჯერ კიდევ 1920 წლის 7 მაისს გაეგზავნა ლენინს, სტალინსა და ჩიჩერინს, ნათქვამია: „ჩვენი აზრით საქართველოსთან ზავის დადების პირობად უნდა იყოს აუცილებელი მოთხოვნა იმისა, რომ საქართველოში გამოცხადდეს საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენი ცნობებით მენშევიკები მზად არიან დათანხმდნენ ამას, ოღონდ ბევრს ივაჭრებენ“.[1]

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება საბჭოთა რუსეთს ზავის პირობად არ წამოუყენებია. იგი უკვე თვით იყო დაინტერესებული, რომ საზავო მოლაპარაკება აღარ გაჭიანურებულიყო. „ჩვენი ნაწილების და აგრეთვე აზერბაიჯანის ნაწილების ზოგიერთი გამოსვლა რომ არ გვირევდეს კარტს და არ გვიშლიდეს ჩვენი პოლიტიკის გატარებას, ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილი იქნებოდა“ — თითქოს გულისტკივილით ატყობინებდნენ იოსებ სტალინი და აბელ ენუქიძე სერგო ორჯონიკიძეს. ამასთან ურჩევდნენ მას „დაერწმუნებინა როგორც საქართველოს სასაზღვრო ნაწილები, ისე სხვა მეამბოხეები საქართველოს შიგნით, რომ ნუ აჩქარდებიან გამოსვლაში... როგორც ჩვენი, ისე აზერბაიჯანის ნაწილების მხრივ საქართველოს წინააღმდეგ შეტევითი მოქმედება არ იქნება და ჩვენ ხვალვე დავდებთ ხელშეკრულებას“.

აშკარაა, საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის მაისში ნაადრევად მიიჩნია, უფრო სწორად, გადაიფიქრა საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოება. მართალია, სერგო ორჯონიკიძე არწმუნებდა ცენტრს, მენშევიკები შეიძლება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებაზე დათანხმდნენო, მაგრამ საბჭოთა რუსეთმა არც ამ დიპლომატიურ ხერხს მიმართა მაშინ“. ის, რასაც შენ ამბობ საქართველოს მთავრობაზე აბსოლუტურად სწორია, — ეუბნებოდა სტალინი ორჯონიკიძეს პირდაპირი მავთულით ერთ-ერთი საუბრის დროს, მაგრამ ვითარება ისეთია, რომ... ახლა საქართველოს მიმართ აჩქარების — მისი საბჭოურად გარდაქმნის აზრით — მომხრე ჩვენ არა ვართ. სულ ერთია, რამდენიმე

---

[1] უახლესი პერიოდის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 461, საქ. 33507, ფურც. 2.

თვის შემდეგ, თუ კომუნისტები ლეგალიზებული იქნებიან, იგი ისედაც საბჭოთა რესპუბლიკა გახდება, მას სხვა გზა არა აქვს".[1]

სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად საქართველოს კომუნისტებს მართლაც მიეცათ ლეგალური საქმიანობის საშუალება, მაგრამ ამან მაინც ვერ უზრუნველყო ქართული მოსახლეობის უმრავლესობის აქტიური მხარდაჭერა კომუნისტებისათვის.

7 მაისის ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთისათვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტს შეიცავდა — საქართველოს ტერიტორია უნდა განთავისუფლებულიყო საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი შეიარაღებული ძალებისაგან (მაგ., ინგლისელთა საოკუპაციო ჯარები ბათუმის ოლქში და სხვა). და არ გადაქცეულიყო იგი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად.

ამრიგად, 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის გაფორმდა ძალზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი, რომელმაც განამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობის სამართლებრივი სტატუსი საერთაშორისო მასშტაბით, გაზარდა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მსოფლიოს სახელმწიფოთა ნდობა, ჩაეყარა საფუძველი ახალ, თანასწორუფლებიან ურთიერთობებს რუს და ქართველ ხალხებს შორის.

სამწუხაროდ, ერთი თვეც კი არ იყო გასული ხელშეკრულების დადებიდან, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა კვლავ დაიძაბა. თბილისში გაიხსნა საბჭოთა რუსეთის, საბჭოთა აზერბაიჯანისა და საბჭოთა სომხეთის საელჩოები, რომელთა მრავალრიცხოვანი შემადგენლობა მხარში ედგა ახლახან ლეგალიზებულ საქართველოს კომუნისტურ პარტიას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ რუსეთი უშუალოდ ემზადება სომხეთისა და საქართველოს დასაპყრობად. მეგობრებთან პირად საუბრებში თვით ლენინიც არ მალავს ამას. დავიმოწმოთ თურქი ავტორის, გენერალ ალი ფუად ჯებესოის წიგნი — „მოსკოვური მოგონებანი", რომელშიც გადმოცემულია ვლადიმერ ლენინთან ქემალისტური თურქეთის დელეგაციის 1920 წლის 14 აგვისტოს საუბრის შინაარსი. ამ საუბრის დროს ლენინს განუცხადებია: „უეჭველია ის ფაქტი, რომ უახლოეს

---

[1] 7 მაისის საზავო ხელშეკრულების ირგვლივ ცნობილ მოღვაწეთა საუბრები, რომლებსაც ჩვენ ვიმოწმებთ, მაგრამ საარქივო ან ლიტერატურულ წყაროებს არ ვუთითებთ, ციტირებულია ა. ირემაძის წიგნიდან „განთიადის სათავეებთან" (თბ., 1984).

დროში მოიძებნება მიზეზი სომხეთსა და საქართველოში ჩვენი შესვლისათ".[1]

ჭებესოის წიგნში აგრეთვე ნათქვამია, რომ რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ კარახანმა თურქეთის დელეგაციასთან 1920 წლის 4 აგვისტოს საუბარში განაცხადა: „ ... მიუხედავად იმისა, რომ სომხეთთან ომი არ გვსურს, ომისათვის მაინც მზად ვართ, ომის საბაბს გამოვძებნით".[2]

თურქეთის დელეგაციის მეთაურს ანკარისათვის შეუტყობინებია: „მოლაპარაკების შედეგად შეიქმნა ისეთი აზრი, რომ საბჭოთა მთავრობა პრინციპში თანახმაა ჩვენს დახმარებაზე, მაგრამ იმის გამო, რომ დაკავებულნი არიან პოლონეთის ფრონტზე და ვრანგელის წინააღმდეგ... და სანამ არ გააუვნებლებენ ვრანგელს, სომხეთში შეჭრას ერიდებიან. ყირიმსა და კავკასიაში სანამ მთლიანად მდგომარეობის ბატონ-პატრონი არ გახდებიან, სასომხეთთან და საქართველოსთან ომი ხელს არ აძლევთ".[3]

როგორც ვხედავთ, საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები უცხოელებთან შეხვედრის დროსაც კი არ ერიდებიან სომხეთსა და საქართველოში წითელი არმიის შეყვანისათვის საბაბის გამოძებნაზე საუბარს. სომხეთში შეჭრის „საბაბი" მალე გამონახეს — 1920 წლის ნოემბრის დამლევს საბჭოთა რუსეთმა სომხეთი დაიპყრო.

აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაუსაბჭოებელი საქართველო გარკვეულ „დისონანსს" ქმნიდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა, დაემხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. იგი ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ საქართველოს მშრომელები არ გამოდიოდნენ რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ, არც იმას, რომ საბჭოთა რუსეთს საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული და მოითხოვდა, წითელი არმიის შეყვანას საქართველოში. კავბიურო და XI წითელი არმიის ხელმძღვანელობა 1920 წლის დამლევისათვის უკვე საბაბს ეძებდნენ საქართველოს ომის დასაწყებად, თუმცა ცენტრი ჯერ კიდევ ნაადრევად მიიჩნევდა საქართველოს დაუყოვნებლივ გასაბჭოებას.

---

[1] საქართველოსა და რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხია კომისიის დასკვნა. — წიგნში „საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია", დოკუმენტები და მასალები, თბ., 1990. გვ. 12 (რუს).

[2] იქვე, გვ. 13.

[3] იქვე, გვ. 75.

1920 წლის 15 დეკემბერს ორჯონიკიძემ ლენინს შეატყობინა, რომ გადავწყვიტეთ წითელმა არმიამ ხვალვე გადალახოს საქართველოს საზღვარიო. იმავე დღეს ლენინმა და ტროცკიმ ორჯონიკიძეს აცნობეს: „ეს ძირეულად ეწინააღმდეგება ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას. შეიძლება დამღუპველი შედეგი მოჰყვეს. ცენტრალური კომიტეტი არავითარ შემთხვევაში არ დართავს ნებას. კატეგორიულად მოვითხოვთ გადაწყვეტილების შესრულების შეჩერებას და გაუქმებას".[1]

საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების (დაპყრობის) დეტალური გეგმა იყო მოცემული მეთერთმეტე არმიის სარდლის ა. ი. ჰეკერის მოხსენებაში, რომელიც კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს წარედგინა 1920 წლის 18 დეკემბერს. მოხსენებაში აღიარებულია, რომ საქართველოს მოსახლეობა მტრულადაა განწყობილი წითელი არმიის მიმართ. ჰეკერი წერდა: „საქართველოზე თავდასხმა" და თბილისზე შეტევა „უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ კარგი მომზადების შემდეგ, რათა სასწრაფოდ მოვუთავოთ ხელი თბილისის ხალხს". მისი აზრით, „თუ მეთერთმეტე არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო მიიღებს იმის რეალურ გარანტიებს, რომ ქიაზიმ ყარაბექირის ჯარები ჩვენს მიმართ მეგობრულად განეწყობიან, საქართველოს, და, უპირველეს ყოვლისა, თბილისის ოკუპაციის პრობლემა უფრო რეალური გახდება".[2]

ორჯონიკიძე და კიროვი კავბიუროს სახელით 1921 წლის 2 იანვარს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში კვლავ ასაბუთებდნენ საქართველოს დაუყოვნებლივი გასაბჭოების აუცილებლობას. საქართველო, თურმე, გადაიქცა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის ბაზად, დახმარებას უწევს ყველა მტრულ ძალას და ა. შ. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 12 იანვრის პლენუმმა, რომელმაც ეს მოხსენებითი ბარათი განიხილა, კვლავ ნაადრევად მიიჩნია წითელი არმიის მეშვეობით საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? როგორ, საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობა წინააღმდეგი იყო საქართველოს გასაბჭოებისა? არა, რასაკვირველია. იგი უბრალოდ საერთაშორისო გართულებას ერიდებოდა, შესაფერის მომენტს ელოდა.

საბჭოთა რუსეთი იმასაც გრძნობდა, რომ დასავლეთის ქვეყნების დამოკიდებულება თანდათან იცვლებოდა. ევროპის დიდი ქვეყნების, განსა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 44, გვ. 373.
[2] საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია. დოკ. და მას. კრებული, შემდგენელი ა. მენთეშაშვილი, რედაქტორი ა. სურგულაძე, თბ., 1990. გვ. 14. (რუს.)

კუთრებით ინგლისის, მმართველი წრეები უკვე ცდილობდნენ, კეთილი განწყობილება ჰქონოდათ სამოქალაქო ომში გამარჯვებულ რუსეთთან. საქართველოს დამოუკიდებლობის პრობლემა მათ მაინც რუსეთის საშინაო საქმედ მიაჩნდათ. აშკარა იყო, რომ რუსეთი საბოლოოდ ვერ შეურიგდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ამ ორ ქვეყანას შორის ომი გარდაუვალი ჩანდა. აშკარად გამოიკვეთა ისიც, რომ ევროპის ქვეყნები საქართველოს რეალურ დახმარებას ვერ აღმოუჩენდნენ. ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველო ერთა ლიგის წევრი ვერ გახდა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო საქართველოს მიმართ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის გააქტიურებას.[1]

1921 წლის დამდეგისათვის საბჭოთა რუსეთმა საგრძნობლად გაიუმჯობესა საშინაო და საგარეო მდგომარეობა; ამას ხელი შეუწყო პოლონელთა და ვრანგელის არმიების განადგურებამ, დიდ ბრიტანეთთან სავაჭრო ხელშეკრულების მომზადებამ და სხვ. ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა რუსეთმა უკვე შესაძლებლად მიიჩნია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამხობა. შეიმუშავეს სპეციალური გეგმა, რომელიც მხოლოდ წითელ არმიას უნდა განეხორციელებინა, რადგან 1920 წლის ზაფხულიდან საქართველოში არც ერთი აჯანყება არ მომხდარა. „საქართველოს უჭირს, მაგრამ ქვეყნის შიგნით არ არსებობენ ძალები, რომელთაც შეეძლოთ მისი დამხობა" — აღნიშნავდა რსფსრ ელჩი საქართველოში ა. შეინმანი.[2]

1921 წლის იანვრის 20-იან რიცხვებში საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობა სპეციალურ მზადებას შეუდგა საქართველოსთან ომისათვის. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 26 იანვრის პლენუმის დადგენილების პროექტი თვით ლენინმა დაწერა. მასში ნათქვამია: „მივცეთ დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნა, მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის".[3] ლენინის პროექტი უცვლელად დაამტკიცა პლენუმმა.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა რუსეთმა უკვე გადაწყვიტა, დაიპყროს საქართველო — საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, წიაღისეულს, უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ და ეკონომიკურ გზებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცებისათვის. რუსეთი დიდი ხანია ანგარიშს აღარ უწევდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას, წამდაუწუმ არღვევდა მას, აწყობდა სასაზღვ-

---

[1] იხ: საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია, დოკუმენტებისა და მასალების კრებული, თბ., 1990 გვ. 12-13 (რუს.).

[2] ციტ: დოკუმენტებისა და მასალ. კრებულის — „საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია" — მიხედვით, იხ. გვ. 14 (რუს.).

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 42, გვ. 289.

რო პროვოკაციებს, დივერსიულ აქტებს (საარტილერიო ცხენების მოწამვლა, თვითმფრინავების კატასტროფა და ა. შ.). საქართველოს სათანადო ორგანოები გარკვეულ რეაგირებას ახდენდნენ რუსეთის მიერ ხელშეკრულების დარღვევაზე.

საქართველოსთან ომი რომ „გაემართლებინათ“ და მისთვის საბაბი გამოენახათ, რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი და რუსეთის საელჩო (თბილისში) ავრცელებდნენ ყალბ ცნობებს, რომ საქართველო ვითომ თვითონ არღვევდა ხელშეკრულების პირობებს. ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ საქართველოში წითელი არმიის შემოყვანა გარე სამყაროს აღექვა როგორც საქართველოს აჯანყებული მშრომელების წინაშე წითელი არმიის მიერ ინტერნაციონალისტური მოვალეობის მოხდა.

1921 წლის 20 იანვარს ჩიჩერინი სწერდა ლენინს: „საქართველო ისე გათავხედდა, რომ შეიძლება იძულებული გავხდეთ გავასაბჭოვოთ იგი“.[1]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი წაყენებული ძირითადი ბრალდებები ასეთი იყო: საქართველომ აკრძალა თავის ტერიტორიაზე ტრანზიტი რსფსრ-დან მომავალი ტვირთისა, თუნდაც ის ყოფილიყო სურსათი სომხეთის დამშეული მოსახლეობისათვის; უარი თქვა დაებრუნებინა რსფს რესპუბლიკისათვის რუსეთის ყველაზე ძვირფასი გემები, რომლებიც მანამდე ვრანგელს ჰქონდა, ხოლო მისი განადგურების შემდეგ საქართველოს ნავსადგურებში შევიდნენ; რეპრესიებს მიმართა საბჭოთა საელჩოს თანამშრომლების წინააღმდეგ და შეურაცხყო რსფსრ სახელმწიფო ალამი, პროვოკაციულად გამოიწვია ჩრდილო კავკასიაში კონტრრევოლუციური გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მხარს უჭერდა ამ გამოსვლებს.[2]

საბჭოთა რუსეთი ამ ბრალდებათა საფუძველზე ცდილობდა გაემართლებინა საქართველოს დაპყრობა. მაგრამ ვინ გაარკვია, რომ ყველაფერი, რაც აქ არის აღნიშნული, სინამდვილეს შეეფერება. მაგალითად, ვინ დაიჯერებს, რომ საქართველოს შეეძლო „პროვოკაციულად გამოეწვია“ ჩრდილო კავკასიაში კონტრრევოლუციური გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ (იგულისხმება ანტისაბჭოთა გამოსვლების ინსპირირება და არა უკვე მომხდარიყო ასეთი გამოსვლების მხარდაჭერა, რაც სავსებით დასაშვები იყო). რატომ არავინ არ შეამოწმა, რა მიზეზით არ გაატარეს ტვირთი სომხეთში? რატომ მიმართავდნენ რეპრესიებს კომუნისტებისა და საბჭოთა საელჩოების თანამშრო-

---

[1] ციტ. გ. ქვანიას ბროშურის — როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია — მიხედვით, გვ. 58.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 42, გვ. 646, 291-ე შენიშვნა.

მელთა მიმართ? განა იმდროინდელ რუსეთში არ აპატიმრებდნენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, რომელნიც არათუ საქმით, არამედ მხოლოდ სიტყვით ებრძოდნენ არსებულ წყობილებას? განა საქართველოს ხელისუფლები გაბედავდნენ საბჭოთა საელჩოების თანამშრომელთა აბსოლუტურად უმიზეზოდ დაპატიმრებას? ნუთუ საეჭვოა, რომ საბჭოთა საელჩოების დაპატიმრებულ თანამშრომელთა საქმიანობაში ნამდვილად იყო საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებანი? რატომ არ გადაეცა რუსეთს ვრანგელის გემები? სხვისი ქონების უაპელაციოდ მისაკუთრება იყო ამის მიზეზი?

ბრალდებები, რომლებიც რუსეთმა საქართველოს წამოუყენა, თუნდაც ყველა მათგანი სამართლიანი ყოფილიყო, არ იძლეოდნენ საქართველოსთან ომის დაწყების, საქართველოს საქმეებში სამხედრო ჩარევის საბაბს (უფლებაზე რომ არაფერი ვთქვათ). საბჭოთა რუსეთმა კი უგულებელყო საერთაშორისო სამართლის ნორმები და მის მიერ იურიდიულად აღიარებული დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ ძალისმიერი აქციის განხორციელებას შეუდგა.

• 1921 წლის 28 იანვარს იოსებ სტალინი სერგო ორჯონიკიძეს ატყობინებდა: „ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება გაწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა საჭირო შეიქნეს სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია. გადაწყდა, აგრეთვე, შეკითხვა გაუგზავნონ კავკასიის ფრონტს ჩვენი სამხედრო ძალების მდგომარეობაზე, იმაზე, თუ რა ძალები დაგვჭირდება კიდევ, რომ უეჭველად დავამარცხოთ საქართველო, თორემ ტროცკი ირწმუნება, თქვენს ფრონტზე ჩვენ ერთობ სუსტი ვართო. აუცილებლად ჩემს სახელზე გამოგზავნე ცნობა, შეგვიძლია თუ არა ვიქონიოთ სრული გამარჯვების იმედი ძალთა არსებული რაოდენობით. თუ უნდა დავიწყოთ, უნდა დავიწყოთ მაშინ, როცა ხელმოწერილი გვექნება ინგლისთან ხელშეკრულება, რაც მოხდება დაახლოებით ერთი-ორი თვის შემდეგ. მე და ილიჩი ველით შენგან ზუსტ, გაუზვიადებელ ცნობას“.[1]

ეს 28 იანვრის დოკუმენტია. სტალინს სრული საფუძველი ჰქონდა, ამ დღეს ასეთი დეპეშა გაეგზავნა ორჯონიკიძისათვის, რადგან ყველაფერი წინა დღეებში გადაწყდა. ჯერ კიდევ 24 იანვარს სტალინი რკპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრებს სთხოვდა, რომ დირექტივა მიეცათ რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საბჭოსათვის იმ საკითხის გადასაწყვეტად, „თუ რა წესით განხორციელდეს სამხედრო ჩარევა“. ამავე დროს მისცეთ დირექტივა ამხანაგ ორჯონიკიძეს, რომ საჭიროა

---

1 უახლესი პერიოდის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, აღწ 1, საქ. 2043, ფურც. 1.

აჯანყებულთა გამოსვლების მომზადება საქართველოს გარკვეულ რაიონებში“.[1]

1921 წლის 26 იანვარს კი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად იმსჯელა საქართველოს საკითხზე და მიიღო ლენინის მიერ დაწერილი შემდეგი დადგენილება:

„1. დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გააჭიანუროს ურთიერთობის გაწყვეტა საქართველოსთან. ამასთან სისტემატურად შეკრიბოს ზუსტი მასალა მის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ და უფრო დაჟინებით მოითხოვოს სომხეთში სურსათ-სანოვაგის გატარება.

2. შევეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებული არიან ჩვენი არსებული სამხედრო ძალები საქართველოსთან დაუყოვნებლივი ან მოახლოებული ომისათვის. ამ საკითხის ჩამოყალიბება, ამასთან იმის აღნიშვნა, რომ საქართველო საშინლად გათავხედდა, დაევალოს კომისიას, რომლის შემადგენლობაში იქნებიან ამხ. ტროცკი, ამხ. ჩიჩერინი და ამხ. სტალინი.

3. მივცეთ დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნა, მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის“.[2]

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედი ფაქტობრივად რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 26 იანვრის პლენუმზე გადაწყდა. ასე რომ, სტალინი 28 იანვარს მხოლოდ იმეორებდა პლენუმის დადგენილებას. აღსანიშნავია, რომ ამ პლენუმმა მიზანშეწონილად ცნო საქართველოს გარკვეულ რაიონებში „აჯანყების მოწყობა“ (სტალინის იდეა), მაგრამ საქართველოში შემოჭრის საბაბად ერთი „აჯანყების“ ინსპირირება მაინც აუცილებლად მიიჩნიეს. ამ მიზნით გამოიყენეს ლორეს ნეიტრალურ ზონაში შექმნილი ვითარება. ლორე-ბორჩალოს მაზრის ის ნაწილია, რომელიც ანტანტის მიერ ინსპირირებული სომხეთ-საქართველოს ომის ერთ-ერთი საბაბი გახდა. ომი ანტანტისვე ჩარევით დამთავრდა და სადავო ტერიტორიული საკითხები ასე გადაწყდა: ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთი ნაწილი დაუტოვეს საქართველოს, სამხრეთი — სომხეთს, ხოლო ცენტრალური ლორეს რაიონი ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. აქ შერეული ქართულ-სომხური ადმინისტრაცია დააწესეს. 1920 წლის 13 ნოემბერს საქართველოსა და სომხეთის მთავრობები შეთანხმდნენ, რომ ლორეს ნეიტრალურ ზონას სამი თვით მთლიანად დაიკავებდა საქართველოს ჯარი. ამ

---

[1] ციტ. გ. ყვანიას დასახ. ბროშურის მიხედვით, გვ. 58-59.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 42, გვ. 288-289.

დროს სომხეთს თურქეთი ებრძოდა და ასეთი გადაწყვეტილება საერთო მტრის შემოტევებისაგან ზონის დაცვის ინტერესებითაც იყო ნაკარნახევი. თუ სამი თვის მანძილზე საქართველო და სომხეთი ვერ მოახერხებდნენ სადავო ტერიტორიის გამიჯვნას, საქართველოს ჯარს უნდა დაეტოვებინა ნეიტრალური ზონა და იქ ადრინდელი მმართველობის (შერეული ადმინისტრაცია) სისტემა უნდა აღდგენილიყო. ამ შეთანხმებიდან 2 კვირაც არ იყო გასული, როცა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და, ბუნებრივია, მთავრობაც შეიცვალა, ახალმა, საბჭოთა მთავრობამ მაშინვე მოითხოვა, რომ საქართველოს ჯარებს დაეტოვებინათ ლორეს ნეიტრალური ზონის ტერიტორია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სადაო ტერიტორიის გამიჯვნის საკითხის მოსაგვარებლად მშვიდობიანი მოლაპარაკება შესთავაზა. მაგრამ საკითხის გადაჭრა გაჭიანურდა და შემდეგ სომხეთის საბჭოთა მთავრობა პროტესტსაც აღარ აცხადებდა. საქმე ის გახლავთ, რომ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს ხელმძღვანელობას სამომავლო გეგმებისათვის ხელსაყრელადაც კი მიაჩნდა ნებისმიერი გაურკვევლობის შენარჩუნება საქართველოს სასაზღვრო ზონაში. აქედან ხომ შედარებით ადვილი იყო საქართველოს საზღვრის გადალახვისათვის საბაბის გამოძებნა, ზონაში მყოფი ქართული ჯარის ნაწილების ოკუპანტებად გამოცხადება, მის წინააღმდეგ ადგილობრივ მშრომელთა „აჯანყების“ დაწყებაც და საქართველოს ტერიტორიაზე მისი გავრცობა. კავბიურო უთუოდ იმასაც ითვალისწინებდა, რომ ნეიტრალურ ზონაში ქართული ჯარების ყოფნის ოფიციალური ვადა 1921 წლის 13 თებერვალს თავდებოდა. ამ დღის შემდეგ ქართული ჯარი ზონიდან გამოვიდოდა და მაშინ მშრომელთა „აჯანყების“ საბაბიც გაქრებოდა. მაშასადამე „აჯანყების“ ინსპირირება უნდა მოესწროთ 13 თებერვლამდე. ესე იგი „აჯანყების“ ადგილის შერჩევამ მისი დაწყების დროც განაპირობა.[1]

აჯანყების ინსპირირება კავბიურომ ი. ლაზიანს დაავალა. მან დავალება „პირნათლად“ შეასრულა. 1921 წლის 11 თებერვალს „აჯანყება“ დაიწყო ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ რუს კოლონისტთა სოფლებში (ვორონცოვკა, პრივოლნოე, პოკროვსკოე და ა. შ.), რაც საქართველოს ტერიტორიაზე წითელი არმიის ნაწილების შემოჭრის საბაბი გახდა. ამ სპექტაკლის მთავარი გმირები გადაცმული წითელარმიელები იყვნენ. ამრიგად, ჯერ კიდევ 11 თებერვალს წითელმა არმიამ დაიწყო აგრესიული მოქმედება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. 1921 წლის 14 თებერვალს კი ლენინმა რკპ (ბ) ცენტრალური კო-

[1] საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია. დოკ. და მას. კრებ., თბ., 1990, გვ. 16-18 (რუს.).

მიტეტის სახელით მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „ცეკა მზადაა ნება დართოს მე-11 არმიას აქტიურად დაეხმაროს აჯანყებას საქართველოში და დაიკავოს თბილისი. საერთაშორისო ნორმების დაცვით".[1] დეპეშაზე ლენინმა ხელი არ მოაწერა. მას თავისი ხელით დაუწერია: „ცეკას დავალებით, კრესტინსკი".[2]

ამ დეპეშის მიხედვით საქართველოში აჯანყება მომხდარა და მე-11 არმიას უფლებას აძლევენ, „აქტიურად დაეხმაროს" აჯანყებულებს. ლენინი, პოლიტბიურო ნებას რთავენ მე-11 არმიას, დაიკავოს თბილისი „საერთაშორისო ნორმების დაცვით". ეს მოთხოვნა მკითხველს არ შეიძლება არ გაუკვირდეს, რადგან თუ საერთაშორისო ნორმების დაცვას მოინდომებდნენ, მაშინ იმ პირობებში საერთოდ არ შეიძლებოდა თბილისის — საბჭოთა რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნების მიერ ოფიციალურად აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს დედაქალაქის — დაკავება. თბილისის აღება თურმე საჭირო იყო ლორეს ნეიტრალური ზონის აჯანყებულთა დასაცავად. ასეთი ლოგიკით ხომ სტამბოლის აღებაც შეიძლებოდა გაემართლებინათ. ერთი სიტყვით, თბილისის აღება მოსკოვმა ოფიციალურად დაავალა მე-11 არმიას.

1921 წლის 15 თებერვალს იოსებ სტალინი სერგო ორჯონიკიძეს აცნობებდა:

„Сейчас передам шифрованный ответ Цека, а пока предлагаю ахлаве шеутие, дастурия аиге калаки"[3], როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

მაშ ასე, 14-15 თებერვალს მოსკოვმა ნება დართო მე-11 არმიას, აეღო თბილისი. დახმარების თაობაზე საქართველოს რევკომის თხოვნა კი საბჭოთა მთავრობას 16 თებერვალს გაეგზავნა. სწორედ ამ დღეს შეიქმნა რევკომი. მაგრამ წითელი არმია ხომ 1921 წლის 11 თებერვალს დაესხა თავს საქართველოს. ასე რომ, რევკომის თხოვნა გაიგზავნა მას შემდეგ, რაც წითელ არმიას უკვე 5 დღის წინ ჰქონდა დაწყებული ომი საქართველოს წინააღმდეგ.

ამასთან, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საქართველოს რევკომს, როგორც არალეგიტიმურ ორგანოს, არავითარი უფლება არ ჰქონდა, ასეთი თხოვნით მიემართა მეზობელი სახელმწიფოებისათვის, რადგანაც, ჯერ-ერთი, რევკომი არ გამოხატავდა ქართველი ხალხის ნებას, იგი ქართველ ხალხს არ აურჩევია. საქართველოს რევკომი შექმნა რუსეთის

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 50.

2 იქვე.

3 უახლესი პერიოდის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი. ფ. 558. აღწ. 1. საქ. 2054. ფურც. 1.

კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიურომ (და ისიც საქართველოს ფარგლებს გარეთ). რევკომის შექმნის თაობაზე საქართველოს კომუნისტური პარტიაც არ იყო ინფორმირებული. მისი თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე საერთოდ არ იყო მაშინ კავკასიაში. რევკომის ერთ-ერთი წევრი ბუდუ მდივანი, რომელიც ასევე არ იმყოფებოდა კავკასიაში, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გაიგებს, რომ რევკომის შემადგენლობაში იყო შეყვანილი.

რევკომი მხოლოდ საქართველოს კომუნისტების ნების გამომხატველად და მათ ორგანოდ შეიძლება მივიჩნიოთ. მაგრამ ქართველი ხალხის რა ნაწილს წარმოადგენდნენ კომუნისტები? ცხადია, აბსოლუტურ უმცირესობას. მათ რიგებში მხოლოდ 10 ათასამდე კაცი თუ ითვლებოდა. სხვა პოლიტიკურ პარტიებზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო მენშევიკები თავიანთ რიგებში 80 ათასამდე კაცს ითვლიდნენ.

ამრიგად, თვით დამპყრობლის მიერ შექმნილი რევკომი არ იყო საქართველოს მოსახლეობისაგან, მისი ლეგიტიმური ორგანოებისაგან უფლებამოსილი, მოეწვია წითელი არმია.

მეორე, 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში არავითარი აჯანყება არ მომხდარა. მაშ ვის დასახმარებლად გაისარჯა წითელი არმია 11 ან 16 თებერვალს? რაც შეეხება ლორეს ამბებს, ვიმეორებთ, ეს იყო წითელი არმიის მიერ გათამაშებული სპექტაკლი წითელარმიელთა მონაწილეობით, რამაც დასაბამი მისცა რუსეთ-საქართველოს ომს.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მრავალი მხრიდან შემოესია რუსის ჯარი, კერძოდ, მე-11, მე-8, მე-9 და მე-13 არმიები, აგრეთვე ბუდიონისა და ჟლობას კავალერიის ნაწილები. წითელ არმიას საქართველო უბრძოლველად არ დაუკავებია. მას სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა საქართველოს რეგულარული არმია და სახალხო გვარდია. მწვავე ბრძოლები გაიმართა ვაზიანში, სოღანლუღში, კოჯორთან, ტაბახმელასთან, კახეთ-ზაქათალის ხაზზე, ოსიაურთან და ა. შ. რუსის ჯარი საქართველოს უტევდა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ჩრდილო კავკასიიდან, სოჭიდან.

წითელმა არმიამ ქ. თბილისი 25 თებერვალს დაიკავა. საომარი ოპერაციები მარტის მეორე ნახევარში შეწყდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უცხოეთში გაიხიზნა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. თითქმის 3 წლის თავისუფლების შემდეგ საქართველო კვლავ რუსეთის უღელქვეშ აღმოჩნდა.)

ამრიგად, 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დადებული ხელშეკრულება და წითელი არმია შემოუსია საქართველოს. რუსეთს ამის არც უფლება და არც არავითარი საფუძ-

ველი გააჩნდა. იგი არც ერთ ლეგიტიმურ ორგანოს არ მოუწვევია საქართველოში.

წითელი არმიის მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში განხორციელებული აქციის სამართლებრივ და პოლიტიკურ შეფასებას გაგვიადვილებს საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოებისათვის ბრძოლის პერიპეტიებში კარგად გარკვეულ მოღვაწეთა (მაგალითად, იოსებ სტალინი, ლევ ტროცკი, ფილიპე მახარაძე, ბესო ლომინაძე და სხვ.) ცალკეული გამონათქვამები, რომლებიც 1921 წლის თებერვალ-მარტის ამბებს ეხება.

იოსებ სტალინი, როგორც ზემოთ ითქვა, იმ აქციას, რომელსაც წითელი არმია 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში განახორციელებს, „სამხედრო ჩარევასა და საქართველოს ოკუპაციას“ უწოდებს.[1] ლევ ტროცკიმ მას „სამხედრო ინტერვენცია“ დაარქვა.[2] ფილიპე მახარაძე აღნიშნავს, რომ საქართველოს საზღვრებში წითელი ჯარების შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ გარედან დაპყრობის ხასიათი მიიღო“.[3] საინტერესოა სერგო ორჯონიკიძის აღიარებაც: „საქართველოში ჩვენ 1921 წელს შევედით, ჩვენს წინააღმდეგ აღსდგა მენშევიკების მიერ დაშინებული და წაქეზებული თითქმის მთელი მოსახლეობა“.[4] საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ბესო ლომინაძემ აღნიშნა: „ჩვენს რევოლუციას 1921 წელს საქმის დაწყება იმით მოუხდა, რომ საქართველო წითელი არმიის ხიშტებით დაიპყრო“.[5]

როგორც ვხედავთ, ბოლშევიკური პარტიის ლიდერები თვით ადასტურებენ, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოს მშრომელთა არავითარი აჯანყება არ ყოფილა და რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში მხოლოდ წითელი არმიის მეშვეობით დამყარდა. ეს მოღვაწეები საქართველოს ოკუპაციის ფაქტს არ მალავენ, მაგრამ თავისებურად ხსნიან მას.

მკვლევარმა იაკობ ფუტკარაძემ ჯერ კიდევ 1989 წელს 1921 წლის 25 თებერვლის აქტს ასეთი იურიდიული კვალიფიკაცია მისცა: „რუსეთის ფედერაციამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ 1921 წლის თებერვალ-მარტში განახორციელა პირდაპირი აგრესია

---

1 უახლესი პერიოდის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 558, აღწ. 1. საქ. 2043, ფურც.

2 Лев Троцкий, Сталин, т. II, под ред. Ю. Г. Фельштинского, 1985, გვ. 48-49.

3 პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 2914, აღწ. 2, საქ. 6, ფურც. 1-6.

4 უახლესი პერიოდის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 17, აღწ. 2, საქ. 154.

5 Материалы к политическому отчету ЦККП Грузии к III съезду КПГ. Тифлис, 1924, გვ. 7.

შეიარაღებული ინტერვენციის ფორმით, საბჭოთა წეს-წყობილების ექსპორტირება სახედრო ოკუპაციის საფუძველზე".[1]

წითელი არმიის მიერ საქართველოში 1921 წელს განხორციელებულ აქციას საბჭოური ისტორიოგრაფია განიხილავდა როგორც საქართველოს აჯანყებული მშრომელების წინაშე წითელი არმიის მიერ ინტერნაციონალისტური მოვალეობის მოხდას, რაც ისტორიული სინამდვილის უხეში ფალსიფიკაციის სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენდა.

1921 წლის 25 თებერვლის აქტის ობიექტური, მეცნიერული შეფასება (საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა) და მისი ოფიციალურად აღიარება კომუნისტური რეჟიმის პირობებში შესაძლებელი გახდა მხოლოდ 80-იანი წლების მიწურულს. ეს, ბუნებრივია, ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ განაპირობა.

ამ საკითხზე სპეციალურად იმსჯელა საქართველოს უზენაესი საბჭოს 1989 წლის 18 ნოემბრის სესიამ, რომელმაც მოიწონა და ერთხმად დაამტკიცა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის (შეიქმნა 1989 წლის ივნისში)[2] დასკვნა, სადაც ნათქვამია: „ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების დარღვევა — საქართველოში ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობილების შეცვლის მიზნით. ეს აქცია მისგან გამომდინარე შედეგებით პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, როგორც ფაქტობრივი ანექსია".[3]

ეს დასკვნა ბევრმა ქართველმა ისტორიკოსმა გაიზიარა და დღეს იგი, შეიძლება ითქვას, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ დებულებად ითვლება.

---

1 გაზ. „კომუნისტი". 1989 წლის 25 აგვისტო (ამ პერიოდში საქართველოს პრესაში ბევრი საინტერესო სტატია გამოქვეყნდა, რომელთა ავტორები მეცნიერულად ასაბუთებდნენ, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში წითელმა არმიამ განახორციელა აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და ძალდატანებით გაასაბჭოვა იგი).

2 კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ: ა. დ. ალექსიძე (თავმჯდომარე), ა. ნ. სურგულაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ზ. ი. ჟვანია (მდივანი), ლ. ა. ალექსიძე, ო. ი. გიგინეიშვილი, რ. შ. თაბუკაშვილი, ლ. მ. თოიძე, ი. მ. კაპარავა, ნ. ი. კიკვაძე, ლ. ი. მატარაძე, ა. მ. მენთეშაშვილი, უ. ი. სიდამონიძე, დ. გ. სტურუა, ი. მ. ტაბაღუა, გ. ი. ფანჯიკიძე, გ. ს. შარაძე, გ. დ. ჯავახიშვილი.

გაზ. „კომუნისტი", 1989 წლის 21 ნოემბერი.

## 5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური ღონისძიებანი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად

1921 წლის 19 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა, დაეტოვებინა ქვეყანა.

ეს ნაბიჯი გამოწვეული იყო საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციით და ქართველი ხალხის თავისუფლების და დამოუკიდებლობის ფეხქვეშ გათელვით, რამაც კანონიერ მთავრობას მოუსპო მშობლიურ მიწა-წყალზე თავისი ფუნქციების შესრულების საშუალება. აპრილის დასაწყისში, კონსტანტინოპოლის გავლით საქართველოს მთავრობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით ჩავიდა პარიზში. ევროპის საზოგადოებრივი აზრი დაპყრობილი საქართველოსადმი სიმპათიით იყო განმსჭვალული და გმობდა მის ოკუპაციას საბჭოთა რუსეთის მიერ. საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერით გამხნევებული საქართველოს მთავრობა პარიზში ჩასვლისთანავე შეუდგა საქმიანობას, რათა მის დასახმარებლად განეწყო ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური წრეები. აპრილშივე ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებს დაეგზავნა მემორანდუმი საბჭოთა რუსეთის ჯარების საქართველოზე თავდასხმის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ: „1. ქართველი ხალხის ნება-სურვილით დამყარებული დემოკრატიული რესპუბლიკური წყობილება გაანადგურა არა ქვეყნის შიგნით არსებულმა ხალხის უმცირესობამ, არამედ უხეშმა გარეშე ძალამ და დემოკრატიული რესპუბლიკა შეცვალა საბჭოთა რუსეთის წეს-წყობილების თარგზე გამოჭრილმა მმართველობამ;

2. რომ ხალხი, თავის კანონიერ მთავრობასთან შეკავშირებულ-დარაზმული, გმირულად ებრძოდა მტერს და დანებდა მას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურა წინააღმდეგობის გაწევის ყველა შესაძლებლობა.

3. რომ ბოლშევიკების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ საქართველოს კანონიერი მთავრობა, რომელიც იძულებულია დატოვოს მშობლიური მიწა, ინარჩუნებს დამფუძნებელი კრების მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებას, განაგრძობს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და იცავს თავისი ხალხის ინტერესებს ძლევამოსილ სახელმწიფოთა წინაშე, რომლებმაც ცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა".[1]

---

1 Georgian Archive. Harvard University. Reel 99. box 31. book 23-24: იხ: აგრეთვე გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი" 1989 წ. 3 ნოემბერი. ა. მენთეშაშვილის პუბლიკაცია.

1921 წლის 27 იანვარს მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ ცნო საქართველო „დე იურედ". ქართველი ხალხის ისტორიაში ეს აქტი იქცა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად. ამიერიდან საქართველო იყო არა „დროებითი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი", რომელიც არსებობდა ფაქტობრივად, არამედ ნამდვილად დამოუკიდებელი სახელმწიფო ყველა თავისი ატრიბუტით. ამ აქტის შედეგად საქართველო გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, რომელიც იურიდიულად ცნო: საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ, გერმანიამ, იაპონიამ, რუსეთმა, ბელგიამ, პოლონეთმა, რუმინეთმა, ავსტრიამ, ლუქსემბურგმა, არგენტინამ, მექსიკამ, პანამამ, ჰაიტიმ, სიამმა, ლიბერიამ, ჩეხოსლოვაკიამ.[1]

„დე იურედ" აღიარებით დამთავრდა ქართველი ხალხის მიერ სუვერენული უფლებების აღდგენისათვის ბრძოლის პერიოდი. საქართველომ მიიღო უფლება და საშუალება იმისა, რომ ევროპაში ჰყოლოდა მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა და მთავრობამ პარიზში, ლონდონში და რომში ელჩად დანიშნა ა. ჩხენკელი.

1921 წლის 15 თებერვალს ა. ჩხენკელი ჩავიდა პარიზში. 25 თებერვალს მან გადასცა საფრანგეთის პრეზიდენტს მილიერანს რწმუნების სიგელი, სწორედ იმ დღეს, როცა თბილისი დაიკავა XI არმიამ. ა. ჩხენკელი თავის მოხსენებით ბარათში მთავრობის სახელზე აღნიშნავს, რომ „ყველაზე უფრო მტკიცე მდგომარეობა საქართველოს საფრანგეთში ჰქონდა, ვინაიდან მისი საელჩო პარიზში სრული უფლებით სარგებლობდა. ამიტომ მის მეთაურს ჰქონდა საშუალება, განუწყვეტელ საქმიან დამოკიდებულებაში ყოფილიყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან".[2]

უნდა ითქვას, რომ საქართველოს შედარებით ჩქარმა დამარცხებამ ცოტა იმედი გაუცრუა საფრანგეთის მთავრობას. მეტ გამძლეობას მოელოდა მისგან და პრეზიდენტმა მილიერანმა თავის საპასუხო სიტყვაში ელჩისადმი (რწმუნების სიგელის გადაცემის დროს) რწმენა გამოთქვა, რომ ქართველი ხალხი ბოლომდის შეძლებდა მტერთან გამკლავებას.

1921 წლის 17 მარტს, რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების მეორე დღეს, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდ კერზონმა მიიღო საქართველოს ელჩი ა. ჩხენკელი, რომელმაც გადასცა მას რწმუნების სიგელის ასლი და სთხოვა დახმარება რუსეთის და თურქეთის აგრესიის მოგერიებაში. ელჩის ამ თხოვნაზე ლორდ კერზონმა უპასუხა: „ვერაფერს ვიტყვი რუსეთის წინააღმდეგ დახმარების შესახებ, მაგრამ

---

[1]. Georgian Archive. Harvard University. Reel 99, box 31, book 26.
[2] იქვე.

რაც შეეხება თურქეთს, მე ვფიქრობ, რომ ამის გაკეთება ჯერ არ არის გვიან".[1]

ინგლისის ასეთი პოზიცია რუსეთის მიმართ აიხსნება იმით, რომ 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების პრეამბულაში ინგლისმა ცნო რუსეთის ფედერაციის ინტერესები ყოფილ რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე (საქართველოს ჩათვლით), ხოლო საბჭოთა რუსეთმა, სამაგიეროდ გაითვალისწინა ინგლისის ინტერესები აზიაში (კერძოდ ინდოეთსა და ავღანეთში).[2] ამრიგად, ნათლად ჩანს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა გახდა ორი ქვეყნის, ინგლისის და საბჭოთა რუსეთის მიერ ევრაზიის გავლენის სფეროებად იმპერიული გაყოფის მსხვერპლი.

ინგლისის პრემიერის ლოიდ ჯორჯის რუსულმა პოლიტიკამ განსაკუთრებული ძლიერებით 1922 წელს იჩინა თავი. ეს იყო ხანა მოსკოვის დიპლომატიური გამოსვლისა საერთაშორისო ასპარეზზე. ა. ჩხენკელი აღნიშნავდა: „გენუა, ჰააგა და ბოლოს ლოზანა კრემლის დემაგოგთა საჯირითო მოედნად იქცა. ლოიდ ჯორჯი გაიძახოდა: სანამ რუსეთი გარიყულია ევროპიდან, უკანასკნელს არ ძალუძს მშვიდობიანი ცხოვრება. ის ეუბნებოდა ინგლისის უმუშევართ: რუსეთის ეკონომიკური აღდგენა გაუჩენს ბაზარს ინგლისის მრეწველობას და თქვენც ადგილში ჩადგებითო. ის არ ამბობდა, რა თქმა უნდა, რომ მისთვის ბაქოგროზნოსაც ჰქონდა მნიშვნელობა, საითკენაც მოხერხებულად ეპატიჟებოდა მოსკოვი ინგლისის დიდ მენაფთეთ".[3]

საქართველოს საელჩოს მუშაობა ლონდონში ამ დროს მეტად გართულებული იყო; თუმცა მას ჰქონდა განუწყვეტელი კავშირი საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და უკანასკნელიც თავაზიანად ეპყრობოდა მას, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანის მიღწევა შეუძლებელი ხდებოდა.

ელჩისა და მისი მოადგილის ცნობებს საქართველოდან ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელენი რამდენადმე უნდობლად ეპყრობოდნენ. მათ ჰქონდათ საკუთარი ინფორმაცია და ამბობდნენ: „საქართველოში სრული მშვიდობიანობაა. ხალხი ეტყობა, შეურიგდა თავის ბედს, მთავრობა, მართალია, კომუნისტურია, მაგრამ ის ქართველებისაგან შედგება და ესენი კი ნამდვილი ნაციონალისტები არიან და იცავენ, რითაც კი შეუძლიათ ქვეყნის დამოუკიდებლობას".[4] ა. ჩხენკელი თავის მოხსენებაში მთავრობის სახელზე აღნიშნავს: „საყურადღე-

---

1 Georgian Archive. Harvard University. Reel 99, box 31, box 18, book 53.

2 Документы внешней политики СССР, т. III, М., 1959, გვ. 608.

3 Georgian Archive. Harvard University. Reel 99, box 31, book 26.

4 იქვე.

ბოა, რომ თვით ის თითო-ოროლა ინგლისელიც ვინც ისხდა თვეობით თბილისის ჩეკაში, შინ დაბრუნებისას. ამასვე ეუბნებოდნენ სამინისტროს. საელჩოს ჰქონდა საშუალება ენახა ისინი კერძოთ და მათ სიტყვა-სიტყვით იგივე გაიმეორეს რაც სამინისტროში უთქვამთ. ისინი ისე შორს მიდიოდნენ, რომ დაჟინებით ურჩევდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს საქართველოს კომუნისტური მთავრობის ცნობას".[1] დიდ მუშაობას ეწეოდა ქართული საელჩო ლონდონში სავაჭრო-სამრეწველო წრეებში, მთავრობასთან დაახლოვებულ პირებთან, დეპუტატებთან, მწერლებთან, მაგრამ შედეგი უმნიშვნელო იყო.

1922 წლის აპრილში გენუაში მოწვეულ იქნა კონფერენცია, რომელიც იყო პირველი სერიოზული ცდა ევროპის აწეწილი საქმეების მოსაწესრიგებლად. მის ინიციატორს ლოიდ ჯორჯს მიზნად ჰქონდა დასახული არა მარტო რუსეთის შემოყვანა, ასე ვთქვათ ევროპის ოჯახში, არამედ საერთო მშვიდობის უზრუნველყოფაც და ამისათვის ის მზად იყო, რეპარაციის საკითხი გადაესინჯა. მაგრამ საფრანგეთის ახალი პრემიერ-მინისტრი პუანკარე სასტიკი წინააღმდეგი იყო ვერსალის ზავის გადასინჯვის. ამას უნდა დაემატოს ის მდგომარეობა, რომ ამერიკამ არ ისურვა ოფიციალური მონაწილეობა მიეღო კონფერენციის მუშაობაში. ხოლო მის გარეშე ევროპის ეკონომიკურ კრიზისთან გამკლავება შეუძლებელი იყო. ამიტომ კონფერენცია, მიუხედავად ხანგრძლივი მუშაობისა და მრავალი რეზოლუციებისა, უშედეგოდ დამთავრდა. გენუის კონფერენციამ ფაქტობრივად რუსეთის საკითხს მოანდომა მთელი დრო. ინგლისი, საფრანგეთი და ევროპის სხვა ქვეყნები მოითხოვდნენ, რომ საბჭოთა რუსეთს ეცნო და გადაეხადა მეფის რუსეთისა და დროებითი მთავრობის ვალები. ჩიჩერინი დათანხმდა ვალის ნაწილობრივ გადახდაზე იმ პირობით, თუ საბჭოთა რუსეთი მიიღებდა კრედიტს ევროპის სახელმწიფოებისაგან. ამაზე ევროპის არც ერთი მთავრობა არ წავიდა. რუსეთი დარჩა კრედიტის გარეშე, მაგრამ ერთი პოლიტიკური გამარჯვება კი მოიპოვა. 16 აპრილს რაპალოში დაიდო ხელშეკრულება გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის. გერმანიამ ცნო საბჭოთა მთავრობა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

რაპალოს ხელშეკრულების დადების დროს გერმანელებმა განაცხადეს, რომ: „ეს ხელშეკრულება არ ეხება და ვერც შეცვლის გერმანიის პოზიციას საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში. ხელშეკრულების ვალდებულებანი ეხებიან მხოლოდ გერმანიასა და რუსეთის ურთიერ-

---

[1] Georgian Archive. Harvard University. Reel 99, box 31, book 26.

თობას და არ ერცელდებიან იმ სახელმწიფოებზე, რომელნიც რუსეთს გამოეყვნენ ან მომავალში გამოეყოფიან".[1]

შეუძლებელია ამაზე უკეთესად და მკაფიოდ ყოფილიყო გამოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საკითხი.

საქართველო და სხვა კავკასიის რესპუბლიკები არ იყვნენ მიწვეული გენუაში, მაგრამ პარიზიდან საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ გაგზავნა არაოფიციალური დელეგაცია. მასში შედიოდნენ ა. ჩხენკელი, ირ. წერეთელი, ს. მდივანი, გ. ვეშაპელი და ზ. ავალიშვილი. ა. ჩხენკელის თქმით, მთავარი ამოცანა ამ დელეგაციისა იყო ის, რომ საბჭოთა რუსეთის დელეგაცია „არ დაეშვათ საქართველოს სახელით კონფერენციაზე და მით არ დაედასტურებიათ არა პირდაპირ არსებული მდგომარეობა ჩვენში. ჩიჩერინი დიდის ენთუზიაზმით ცდილობდა საქართველოს და სხვა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენელთა დაშვებას. მას ეხმარებოდა ლოიდ ჯორჯიც, მაგრამ ვერას გახდა".[2]

ლოიდ ჯორჯმა პირადად მოსთხოვა საფრანგეთის დელეგატს ბარტუს, რომ კონფერენციაზე ჩიჩერინი დაეშვათ როგორც საქართველოს წარმომადგენელიც, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო. გენუის კონფერენციის სამანდატო კომისიამ საქართველოს შესახებ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო:

„1. უმაღლესმა საბჭომ კანში არ მოიწვია აზიაში მდებარე საქართველო, ამიტომ ლაპარაკი არ შეიძლება არ მიწვეულ დელეგაციაზე.

2. საქართველო რომ მოეწვიათ, იმ შემთხვევაში წარმომადგენლობის უფლება ჰქონდა და აქვს იმ მთავრობას, რომელიც ჩვენ ვიცანით იურიდიულად და ემყარება ხალხის ნებისყოფას.

3. მოსკოვის მთავრობას, რომლის ჯარებს ძალადობით უკავიათ საქართველო და მის მიერ დაყენებულ თბილისის მთავრობას არავითარი უფლება არა აქვთ საქართველოს სახელით ილაპარაკონ და ამიტომ მათი მანდატი, როგორც უკანონო, უკუგდებულ უნდა იქნას".[3]

1922 წლის 2 ივნისს საფრანგეთის მთავრობის მაშინდელმა თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა პუანკარემ საფრანგეთის პარლამენტის სხდომაზე წაიკითხა ის დარიგება, რომელიც მას მიეცა საქართველოს საკითხის შესახებ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილ ფრანგთა დელეგაციისათვის. „საფრანგეთის მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია — ნათქვამი იყო ინსტრუქციაში, — ელაპარაკოს დღეს ასეთ სა-

---

1 ალ. მანველიშვილი, „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა", სანფრანცისკო. 1984, გვ. 356.

2 Georgian Archive. Harvard University. Reel 99, box 31, book 26.

3 ალ. მანველიშვილი, „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა", სანფრანცისკო, 1984, გვ. 353.

კითხზე წარმომადგენლებს იმ ფაქტიურ ხელისუფლებისა, რომელმაც გააძევა საქართველოდან მისი კანონიერი მთავრობა“.[1]

გენუის კონფერენციის მსვლელობისას საქართველოში, კერძოდ სვანეთსა და ხევსურეთში, შეიარაღებული ბრძოლები მიმდინარეობდა. სვანეთის მოძრაობამ გენუაში ერთგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საქართველოს არაოფიციალური დელეგაციის ხელმძღვანელი აკ. ჩხენკელი თავის მოხსენებაში მთავრობის სახელზე აღნიშნავდა, რომ „კონფერენციის მთავარმა კომისიამ, სადაც მხოლოდ პირველი დელეგატები ბჭობდნენ, ფორმალურად ჰკითხა რუსეთის დელეგაციას და მოსთხოვა მას ახსნა ჩვენში დატრიალებული ამბების შესახებ. ჩიჩერინმა თავისებური პასუხი გასცა და უარყო სრულიად მოძრაობა. ჩვენი დელეგაცია ეცადა დაერღვია ჩიჩერინის მტკიცება და წარადგინა საოკუპაციო ძალების ბრძანებათა ასლები სვანეთის მოძრაობის ჩასაქრობად. მან წარუდგინა აგრეთვე კონფერენციას საქართველოდან მოსული მიმართვა, ყველა პარტიების მიერ ხელმოწერილი და საქართველოს კათალიკოსის ამბროსის წერილი, რამაც განსაკუთრებით უკანასკნელმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგაციებზე.

კომისიას ხელმეორედ არ განუხილავს საკითხი და ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, როგორც ჩვენმა დელეგაციამ გაიგო, რომ ინგლისის და იტალიის დელეგაციებს საკუთარი ცნობები მოუვიდათ საქართველოდან, და ესენი კი უარყოფდნენ, ან არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდნენ სვანეთის მოძრაობას. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ამ მხრივ იტალიის კონსულმა თბილისში ფრანზონიმ, რომელმაც მოხსენება გამოუგზავნა თავის მთავრობას სტამბოლიდან ჩვენ წინააღმდეგ“.[2]

როცა დაისვა საკითხი ლოზანის საზავო კონფერენციის შესახებ (გაიმართა 1922-1923 წწ.), საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ პუანკარემ, თანახმად აკ. ჩხენკელის მოთხოვნისა, მიმართა ლონდონისა და რომის კაბინეტებს, რათა მიეწვიათ ხსენებულ კონფერენციაზე საქართველოს ეროვნული მთავრობა. მაგრამ მან ვერ მიიღო მოკავშირეთა თანხმობა. სამჯერ მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ამ საქმესთან დაკავშირებით პუანკარესა და ლორდ კერზონს შორის. უკანასკნელი არ იყო წინააღმდეგი საქართველოს მოწვევის, მაგრამ მოითხოვდა, ფაქტობრივ, ე. ი. მოსკოვის მიერ დაყენებული მთავრობის დაშვებას. ვინაიდან, ამრიგად შეთანხმება არ მოხდა, გადაწყვიტეს, არ მოეწვიათ ლოზანაში არც ეროვნული და არც მოსკოვის მიერ დაყენებული მთავრობა. პუანკარემ ერთხელ კიდევ სცადა, თავისი გაეყვანა, როცა კერზონმა

---

ივ. ზურაბიშვილი, საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა, პარიზი, 1936, გვ. 29.

2 Georgian Archive. Harvard University. Reel 99, box 31, book 26, გვ. 18.

მიმართა მას წინადადებით კონფერენციის მიერ ოსმალეთის სომხების მოსმენის შესახებ და მოსთხოვა, მოესმინათ, აგრეთვე, საქართველოს ეროვნული მთავრობის დელეგაციისთვისაც, მაგრამ ამაზეც უარი მიიღო.

აკ. ჩხენკელის აზრით, ლოზანის კონფერენციის დროს „მოხდა ერთგვარი გარდატეხა საფრანგეთის პოლიტიკაში რეპარაციის ნიადაგზე. პუანკარეს კაბინეტმა ვერ შეუთანხმა ინგლისის ახალ პრემიერ-მინისტრ ბონარ-ლოუს და მოკავშირეთა დამოუკიდებლად მოახდინა რურის ოკუპაცია. ამ ნაბიჯს მოჰყვა კონფერენციის მუშაობის გართულება და შეწყვეტა ლოზანაში; იგი ვერ დარჩებოდა უმნიშვნელო საფრანგეთის დამოკიდებულებისათვის რუსეთთანაც. ეს ცვლილება გამოიხატა ელასტიურ ტაქტიკაში მოსკოვისადმი. პუანკარეს კაბინეტი აშკარად ერიდებოდა მოსკოვის გაღიზიანებას, რომ ამით თავიდან აეცდინა რურის საქმეების უფრო გართულება. გაჩნდა მთელი მიმართულება საფრანგეთში ცნობილი ე. ერიოს მეთაურობით, რომელიც მოითხოვდა მოსკოვთან დაახლოებას“.[1]

ყველაფერი ეს, ცხადია, ანელებდა საფრანგეთის მთავრობის ინტერესს საქართველოსადმი.

1924 წლისათვის ინგლისისა და საფრანგეთის ეკონომიკური ინტერესები მოითხოვდა საბჭოთა მთავრობის ცნობას. ლოიდ ჯორჯი ამ მოსაზრების გამოსათქმელად ცინიკურ ფორმასაც არ მოერიდა, — „როდესაც ჩვენი ინტერესი მოითხოვს არც კაცის მჭამელ ველურ ტომებთან ვერიდებით ვაჭრობის წარმოებასო“.[2] გარკვეულ სიძნელეებს განიცდიდა ორივე ქვეყნის ეკონომიკა და ინგლისს და საფრანგეთს უნდოდა რუსეთის უზარმაზარი ბაზრის გამოყენება ამ სიძნელეების დაძლევისათვის, მით უმეტს, რომ გარკვეული სტაბილიზაციის ნიშნები აშკარად გამოიკვეთა საბჭოთა კავშირში.

გერმანიისათვის რაპალოს ხელშეკრულებას ორნაირი მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა იმისა, რომ ამ ხელშეკრულების საშუალებით რუსეთის ბაზარი იხსნებოდა მისთვის, რუსეთს გუშინდელი მტრებისათვის საფრთხობელადაც გამოიყენებდა. ამრიგად ბოლშევიკური მთავრობის ცნობას მოითხოვდა ინგლისისა და საფრანგეთის როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ინტერესებიც.

1924 წლის 1 თებერვალს დიდი ბრიტანეთის ოფიციალურმა აგენტმა საბჭოთა კავშირში რ. ხოჯსონმა მიმართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს გ. ჩიჩერინს ნოტით, რომელშიც ნათქვამი იყო:

---

1 Georgian Archive. Harvard University. Reel 99. box 31, book 26. გვ. 5.

2 ივ. ზურაბიშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ. 42.

„პატივი მაქვს ჩემი მთავრობის ინსტრუქციების თანახმად გაცნობოთ თქვენს აღმატებულებას, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობა ცნობს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მთავრობას დე-იურე ყოფილი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიებზე რომელნიც ცნობენ მის ხელისუფლებას".[1] ამ უკანასკნელმა შენიშვნამ შეასრულა დიდი როლი საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებაში, რომელიც 1924 წლის აგვისტოს ბოლოს გადაიზარდა შეიარაღებულ აჯანყებაში. მოსკოვი ცდილობდა, პოლიტიკური ხერხებით აეცდინა აჯანყების დაწყება საქართველოში. ამაზე მეტყველებს ლ. ახმეტელის (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ბერლინში) და ცნობილი ქართველი ბოლშევიკის ა. სვანიძის საუბრის შინაარსი.

ალექსანდრე სვანიძე 1924 წლის ივნისში გავლით იმყოფებოდა ბერლინში და სტალინის დავალებით ორჯერ შეხვდა ლ. ახმეტელს.

ა. სვანიძის შეხვედრა ლ. ახმეტელთან გაიმართა საქართველოში 1924 წლის შეიარაღებულ აჯანყებამდე ორი თვით ადრე. ჩანს, რომ მოსკოვში იცოდნენ აჯანყების მზადების შესახებ. ამ დროს მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკება სსრ კავშირსა და ინგლისს შორის ეკონომიკური ურთიერთობებისა და სესხის შესახებ (ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1924 წლის 8 აგვისტოს ლონდონში). მოლაპარაკება წარმოებდა, აგრეთვე, საფრანგეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ. ასეთ პირობებში შეიარაღებული აჯანყება საქართველოში უარყოფით გავლენას მოახდენდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე. ამ ვითარებაში შეიძლება სარწმუნოდ მივიჩნიოთ ა. სვანიძის ინფორმაცია სტალინისა და სხვა ხელმძღვანელების მცდელობათა შესახებ, რომ საქართველოს ოპოზიციური მოძრაობა ჩააყენონ „მშვიდობიან" კალაპოტში.

ა. სვანიძე ახმეტელთან საუბარში პირდაპირ მოუწოდებს ნ. ჟორდანიას მთავრობას: „იმუშავეთ მეორე ინტერნაციონალში, მაკდონალდთან.[2] მათ დიდ ანგარიშს უწევენ მოსკოვის მესაჭეები. მანამდის კი ერიდეთ უმიზნო მსხვერპლის გაღებას... თქვენი გზა სწორია და გამარჯვება ადრე თუ გვიან თქვენიაო". სვანიძემ გააცნო ახმეტელს სტალინის ზოგიერთი შეხედულება საქართველოს შესახებ: „რუსები საქართველოს ისე პატარა ძალათ უყურებენ, რომ მის წარმომადგენლებს ისინი პირდაპირ ლაპარაკს ვერ დაუწყებენ, ეს მათი პრესტიჟისა და ავტორიტე-

[1] Документы внешней политики СССР, т. VII, М., 1963, გვ. 53.

[2] რ. მაკდონალდი — ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, 1924 წ. იყო ინგლისის პრემიერ-მინისტრი.

ცირება იქნება... თუ ასეთი მოლაპარაკება დაიწყება მეორე ინტერნაციონალის ინიციატივით, ან მაკდონალდის თაოსნობით მოხდება, მაშინ ბოლშევიკების მხრივ მრავალი დათმობა იქნება". ა. სვანიძის დასკვნით „სტალინი და ზინოვიევი მაინცდამაინც დიდად თავს არ შეიწუხებენ ველიკორუსების პოლიტიკის განმტკიცებისათვის".[1] და ამ აზრის დასამტკიცებლად მან მოახსენა ახმეტელს, რომ „კერძო საუბრისას თურმე ხშირად იტყვის სტალინი: „რას ვემართლებით საქართველოს, რაზე ვაჭმევთ რუსეთსო".[2] ლ. ახმეტელმა 13 ივლისს გაუგზავნა ნ. ჟორდანიას წერილი, რომელშიც დაწვრილებით იყო გადმოცემული ა. სვანიძესთან მისი საუბრის შინაარსი. ნ. ჟორდანიას რეაქცია ამ საუბრის შინაარსის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ამოვიკითხოთ მისი 1924 წ. 19 ივლისის წერილიდან ა. ჩხენკელის სახელზე: „აკაკი, რაღაც მოლაპარაკება უნდა წარმოებდეს ჩვენს შესახებ — უეჭველად მიმაჩნია მას შემდეგ რაც ახმეტელმა ამ დღეებში მაცნობა. იგი მწერს — ბერლინში ჩამოვიდა სვანიძე მოსკოვიდან, ყოფილი კომისარი ჩვენში, სტალინის ცოლის ძმა. მას ორჯერ უნახავს ახმეტელი და მისთვის გადმოუცია საიდუმლოდ შემდეგი: სტალინთან ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ ბოლშევიკები საქართველოს საკითხში დათმობენ თუ მაკდონალდი მტკიცედ მოითხოვდა ამასო. მისივე სიტყვებით, სესხის საკითხი მათთვის არსებობის საკითხია და მისი შედგენილობისათვის ყველაფერზე წავლენო.

საქართველოს საკითხში ისეთ შეურიგებლობას არ იჩენენ, როგორც წინათ, ოღონდ თუ მას მაკდონალდი, მეორე ინტერნაციონალი ან სხვა დიდი ძალა წამოაყენებს... აქ საყურადღებოა, ის რომ სტალინის ცნობით, ალბათ დასტურითაც, მოხდა სვანიძის მისვლა ახმეტელთან და ასეთი ცნობის მიცემა, ეს ჰგავს არაოფიციალურად შემოთვლას: რა მიზნით? ან თავის საქმეს იკეთებენ ჩვენთან მომავლისათვის, ან გვაფრთხილებენ და გზას გვიჩვენებენ, ანდა ეს საკითხი ყელზე ადგიათ და სურთ, იქიდან წმინდად გამოვიდნენ— ერთი ცხადია, მაკდონალდზე არ დაიწყებდნენ ლაპარაკს მოსკოვში, რომ მართლაც ამ საკითხზე სადმე ლაპარაკი არ იყოს. ეს სვანიძის მოტანილი ამბავი და მაკდონალდის ნათქვამი: თქვენი საქმე არც ისე ცუდად არისო — ერთმანეთს ეთანხმება. სამწუხაროდ, ჩვენ კი არ ვართ საქმის კურსში. შეიძლება მივიღოთ რაიმე ზომა გასაგებად, რადგან ბოლდუინი მგონი ამურჩევია თვით მაკდონალდს შუაკაცად, შეიძლება მისი საშუალებით რაიმე გავიგოთ!

---

1 Georgian Archive. Harvard University. Reel 99. box 31. book 25; იხ. ა. მენთეშაშვილი, „სამი წერილი ოციანი წლების საქართველოს ისტორიიდან", გაზეთი „კომუნისტი" 1989. 17 აგვისტო.

2 იქვე.

ყოველ შემთხვევაში ბადე გადავისროლოთ იმით რომ, სვანიძის ცნობა ვამცნოთ მაკდონალდს იმავე ბოლდუინის საშუალებით მისწერე შენ სუმბათაშვილს... გადასაცემად დაახლოებით ასეთი ვერსია: მოსკოვიდან ჩამოვიდა ამ დღეებში ერთი ცნობილი ბოლშევიკი და ჩვენ წარმომადგენელს ახმეტელს საიდუმლოდ გადასცა პირადად, რომ მოსკოვი თანახმაა საქართველოს საკითხში დათმოს, თუ ამას მაკდონალდი დაჟინებით მოითხოვსო. ეს ცნობა მაკდონალდს გაამხნევებს და ეგება კიდევ რამე შემოთვალოს..."[1]

ნ. ჟორდანიას წერილიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მან დაიჯერა ბოლშევიკების ლიდერების, და კერძოდ სტალინის, დაპირება იმის შესახებ, რომ ბოლშევიკები მზად იყვნენ საქართველოს საკითხში დათმობაზე წასასვლელად, თუ ამას II ინტერნაციონალი ან ინგლისის მთავრობა მოითხოვდა. მაგრამ მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ გვიჩვენა, რომ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მიზნად ისახავდა ევროპის სახელმწიფოებისათვის, კერძოდ საფრანგეთისათვის, რომელთანაც მოლაპარაკებას აწარმოებდა სსრ კავშირის მთავრობა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ, ეჩვენებინა, რომ ქართველი ხალხი არ ცნობს საბჭოთა ხელისუფლებას და მან მტკიცე კურსი აიღო შეიარაღებულ აჯანყებაზე.

საგანგებო კომისიამ (ЧК), რომელიც წინასწარ იყო ინფორმირებული აჯანყების სამზადისის შესახებ, ყველა ზომა მიიღო; რათა ძირშივე ჩაეხშო ეს გამოსვლა. დააპატიმრეს აჯანყების ხელმძღვანელები, მათ შორის საფრანგეთიდან საგანგებოდ ჩამოსული ვ. ჯუღელი. აჯანყება სამხედრო თვალსაზრისით თავიდანვე განწირული იყო დამარცხებისათვის. მიუხედავად ამისა, აჯანყება მაინც დაიწყო 1924 წლის 29-30 აგვისტოს, რასაც მოჰყვა დიდი მსხვერპლი. უნდა აღვნიშნოთ, რომ პარიზიდან ატყობინებდნენ აჯანყების ხელმძღვანელებს ევროპაში შექმნილ ხელსაყრელ საგარეო პოლიტიკურ სიტუაციაზე და ჰპირდებოდნენ საერთაშორისო მხარდაჭერას. შეიარაღებული აჯანყება უნდა მოდებოდა მთელ საქართველოს, აზერბაიჯანს და ჩრდილოეთ კავკასიას. მაგრამ ამ გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა. ნ. ჟორდანიას მთავრობამ ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მიზანს კი მიაღწია — საქართველოს საკითხი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა საერთაშორისო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში.

6 სექტემბერს ნ. ჟორდანიამ ტელეგრამით მიმართა ერთა ლიგის საზოგადო კრების თავმჯდომარეს: „მოსკოვის გაუგონარმა შევიწროებამ, რომელიც სამი წელიწადია გრძელდება, სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა

---

[1] ა. მენთეშაშვილი, „სამი წერილი ოციანი წლების საქართველოს ისტორიიდან", გაზეთი „კომუნისტი" 1989, 17 აგვისტო.

ქართველი ერი. საქართველო აჯანყდა. ათი დღეა წარმოებს ბრძოლა ხალხსა და რუსის ჯარებს შორის და იღვრება სისხლი. სოფლები იწვის, დიდის ხნიდან დაპატიმრებულ პოლიტიკურ მოღვაწეთა გაუსამართლებლად ხვრეტენ. ერი იბრძვის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, რომელიც მოსკოვის მთავრობამ წაართვა. მას, რა ფეხქვეშ გათელა მასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება.

ვსთხოვთ ერთა ლიგას, რომლის დანიშნულებაა საერთაშორისო უკმაყოფილებათა დამშვიდება და სისხლის მღვრელი შეტაკებათა აცდენა, ჩაერიოს და წინადადება მისცეს მოსკოვის მთავრობას შესწყვიტოს სამხედრო მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ და საკითხი საერთაშორისო არბიტრაჟს გადასცეს".[1]

1924 წლის აგვისტოს აჯანყებას გამოეხმაურა მთელი ევროპა. 11 სექტემბერს ერთა ლიგამ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლის პოლ ბონკურის წინადადებით მიიღო რეზოლუცია საქართველოს შესახებ, რომელშიც აჯანყება მიჩნეული იყო როგორც „ომი საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის" ეს ნიშნავდა იმას, რომ ინსურგენტი (აჯანყებული, ა. მ.) გამოაცხადეს მეომარ მხარედ და ის ხდებოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ამ რეზოლუციით ევროპის დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ მხარი დაუჭირა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. საბჭოთა მთავრობამ ერთა ლიგის ეს ნაბიჯი ჩათვალა „სსრ კავშირის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად".[2]

მიუხედავად ერთა ლიგის ასეთი რეზოლუციისა, საფრანგეთის მთავრობამ 1924 წლის 28 ოქტომბერს მაინც დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა სსრ კავშირთან და ინგლისის მთავრობის მსგავსად ცნობის ნოტაში აღნიშნა, რომ იგი ცნობს „დე-იურე" საბჭოთა მთავრობას ყოფილი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიაზე, რომელთა მოსახლეობა აღიარებს მის ხელისუფლებას".[3] ცნობის ასეთი ფორმულა ნიშნავდა მორალურ და სამართლებრივ მხარდაჭერას საბჭოთა იმპერიაში მცხოვრები ყველა ხალხისა, მათ შორის ქართველი ხალხის, მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა.

1924 წლის აჯანყების დამარცხებამ არაადეკვატური რეაქცია გამოიწვია ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ წრეებში. თვით ნ. ჟორდანიას მთავრობის წევრებს შორის აჯანყების ერთსულოვანი მხარდაჭერა არ ყოფილა. მაგალითად, აჯანყების თავგამოდებული წინააღმდეგი იყო

---

1 ივ. ზურაბიშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ. 46-47.
2 Документы внешней политики СССР, т. VII, М., 1963, გვ. 465-467.
3 იქვე. გვ. 515.

ა. ჩხენკელი. ეს კარგად ჩანს მისი მიმოწერიდან საქართველოს ეროვნული მთავრობის წარმომადგენელთან სტამბოლში კ. გვარჯალაძესთან.

ა. ჩხენკელს ილუზიად მიაჩნდა შეიარაღებული აჯანყების გზით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.[1] იგი საყვედურობდა კ. გვარჯალაძეს, ერთა ლიგისათვის გაზვიადებული ცნობების მოწოდებისათვის საქართველოში დაწყებული შეიარაღებული აჯანყების შესახებ. „თქვენ დეპეშაში მოყვანილი ცნობები ერთობ გაბედულად მოგვეჩვენა: ნახევარი საქართველო თავისუფალია... საქართველო და აზერბაიჯანი ხუთი დღეა რაც აჯანყებულია და სხ. მე არ ვიცი, რა წყაროს ემყარებოდი შენ. დიდი შეცდომა იყო დე ბრუკერისათვის[2] დეპეშის გამოგზავნა, ჯერ ჩვენთვისაც არ უნდა გამოგეგზავნა მზგავსი, თუ წყარო სრულიად სანდო არ იყო. დე ბრუკერმა პირდაპირ განაცხადა, არ მჯერაო, ვისაც ვაჩვენე, იმათაც არ დაიჯერესო. ქართველებმა ასე იციანო".[3]

კ. გვარჯალაძე თავის საპასუხო წერილში აღნიშნავდა, რომ „აბსოლუტურათ სანდო წყარო ომის დროს არ არსებობს. რამდენადაც კი შეიძლებოდა ჩვენს პირობებში მომუშავეთათვის, ეს ცნობა სარწმუნო წყაროდგან იყო... ჟენევაში ამ დროს იყო ნაციათა ლიგის სხდომა, იქ იყვნენ ზოგი ჩემი კარგი პირადი ნაცნობები, როგორც მაკდონალდი, დე ბრუკერი და ბრანტინგი.[4] აქ გამოითქვა აზრი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ეს პირებიც მიიღებდნენ ჩვენში მომხდარ ამბებზე ცნობას პირდაპირ კონსტანტინოპოლიდან ამის შესახებ მე მათაც გაუგზავნე იგივე დეპეშა... ვთქვათ, თუ გინდა, რომ ჩვენს ხელში ნახევარი საქართველო არ ყოფილიყო. განა უსათუოდ ხელში მეტრით უნდა ზომა, ჩვენ გვიკავია მეტი ტერიტორია, თუ ბოლშევიკებს? ფაქტია ის, რომ ჩვენი ცნობები, თუმცა ყოველივე მხრივ არ იყო სწორი, სხვების გაბერილ, გაზვიადებულ ცნობებთან შედარებით სინამდვილესთან უფრო ახლოს იყო. ფაქტია ისიც, სტამბოლში მომუშავე პოლიტიკურ მოღვაწეთა, რომ თქვენი ფსიქოლოგია ქონებოდათ და ჩვენში მომხდარ ამბებისადმი თქვენებრ უნდობლობა გამოეჩინათ. მაშინ ჩვენ ევროპას ორ-სამ ცნობასაც ვერ მივაწვდიდი. ამის შედეგი იქნებოდა ის, რომ ჩვენი მთავრობა ვერ გააკეთებდა იმის მეათედსაც კი, რისი გაკეთებაც მან შეძლო".[5]

---

1 Georgian Archive. Harvard University. Reel 99, box 31, book 24. გვ. 12-18.

2 ლუი დე ბრუკერი — ბელგიის მუშათა პარტიის და II ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი.

3 Georgian Archive. Harvard University. Reel 99, box 31, book 24.

4 ბრანტინგი — 1920-1925 წწ. შვეციის პრემიერ-მინისტრი, შვეციის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლიდერი.

Georgian Archive. Harvard University. Reel 99, box 31, book 24.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების გამოხმაურება იყო ის ფაქტიც, რომ 1926 წლის აპრილში საქართველოს საკითხი ამერიკის შეერთებული შტატების სენატში გახდა განხილვის საგანი. 23 აპრილს ბატონმა კოპლანდმა სენატს წარუდგინა შემდეგი შინაარსის ბილი (კანონ-პროექტი, ა. მ.): „დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ კავკასიის რესპუბლიკაში, რომელიც შედგება საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნულ რესპუბლიკებისაგან.

საქართველოს სამეფო მრავალი წლის მანძილზე ინარჩუნებდა დამოუკიდებელ არსებობას, რასობრივ ერთიანობას, ენის, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და კანონების თვითმყოფადობას, მიუხედავად თითქმის მუდმივი აგრესიისა და მტრების შემოსევებისა. მისი ტერიტორია დასახლებულია ხალხით, რომელმაც ქრისტიანობა IV საუკუნეში მიიღო.

მეფის ხელისუფლება შეცვალა საქართველოს ეროვნულმა რესპუბლიკამ, რომელიც 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა თავისი კონსტიტუციით კანონიერ საფუძველზე და თავისუფალი ნებით. რესპუბლიკის არსებობა აღიარეს მსოფლიოს სახელმწიფოებმა ამერიკის შეერთებული შტატების გამოკლებით.

მიუხედავად იმისა, რომ 1920 წელს რუსეთის მთავრობამ აშკარად ცნო რესპუბლიკა, იგივე მთავრობა შეიჭრა რესპუბლიკაში, დაამყარა და დღემდე ახორციელებს თავის კონტროლს მის ტერიტორიაზე, რითაც აიძულა ადგილობრივი მთავრობა დაეტოვებინა ჯერ თბილისი, ხოლო შემდეგ ბათუმი და გამგზავრებულიყო საფრანგეთში, სადაც აგრძელებს თავის საქმიანობას.

ასეთივე კატასტროფული სიტუაცია შეიქმნა აზერბაიჯანის ეროვნულ რესპუბლიკასა და ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნულ რესპუბლიკაში.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი და მთავრობა თვლიან, რომ არ უნდა მოიწონონ რუსეთის მთავრობის ასეთი ქმედებები და მხარი დაუჭირონ აღნიშნული რესპუბლიკების ხალხებს. ითვალისწინებენ ზემოთქმულს და:

1. ამერიკის შეერთებული შტატების სენატი და პალატა, რომლებიც კონგრესში შეიკრიბნენ, ადგენენ: განისაზღვროს კანონით ნებადართული თანხა საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნასთან დაკავშირებით, როგორც კი პრეზიდენტი მიზანშეწონილად ჩათვლის ასეთ დანიშვნას".[1]

---

[1] Georgian Archive. Harvard University. Reel 99, box 31, book 23-24; ა. მენთეშაშვილი. „აშშ სენატი და საქართველო". გაზეთი „სახალხო განათლება". 1989 წ. 27 სექტემბერი.

ბილი მოუწოდება ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლებს, გაესწორებინათ თავიანთი წინამორბედების შეცდომები და დაედასტურებინათ ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის ხელშეუხებელი უფლება.

საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ პარიზში ჩასვლისთანავე დაამყარა მჭიდრო ურთიერთობა კავკასიის რესპუბლიკების დელეგაციებთან.

1921 წლის 10 ივნისს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს საკავშირო დეკლარაციას და დააარსეს მუდმივი ორგანო — კავკასიის საბჭო.[1]

დეკლარაციაში ოთხი საკითხი იყო აღნიშნული:

ა) სადაო ტერიტორიალური საკითხების სავალდებულო არბიტრაჟით გადაჭრა;

ბ) საბაჟო საზღვრების მოსპობა და მთელი კავკასიის ეკონომიურ ერთეულად ქცევა;

გ) სამხედრო კავშირი თავდაცვისათვის და

დ) შეთანხმებული გეზი საგარეო პოლიტიკაში.[2]

კავკასიის რესპუბლიკების კავშირის საბჭოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და მის მეთაურთან ბრიანთან. უკანასკნელმა დააარსა: „განსაკუთრებული შერეული კომისია, რომელიც, სპეციალურად ეცნობოდა კავკასიის რესპუბლიკებში არსებულ ვითარებას, მათ საჭიროებას და ამუშავებდა გეგმებს მათ დასახმარებლად მომავალში".[3] ბრიანის კაბინეტი გადადგა 1922 წლის დასაწყისში და ეს მუშაობა შეწყდა.

30-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთის დაახლოება საბჭოთა კავშირთან გამოიხატება თავდაუსხმელობის პაქტზე ხელის მოწერით 1932 წლის 29 ნოემბერს. ამაზე მოლაპარაკება სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლი ეხებოდა საქართველოს დელეგაციის მოღვაწეობას პარიზში.[4] მასში, კერძოდ, აღნიშნული იყო: თვითეული ხელშეკრულების დამდებ მხარეთაგან მოვალეობას იღებს, არ შექმნას, მფარველობა არ გაუწიოს, არ შეაიარაღოს, ფულით არ დაეხმაროს და ბინადრობის ნება არ მისცეს თავის ტერიტორიაზე არც სამხედრო ორგანიზაციებს, რომელთაც საგნად ექნებათ მეორე მხარის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა, არც ისეთ

---

1 Georgian Archive. Harvard University. Reel 99, box 31, book 26.

2 იქვე.

საქართველოს ლეგაცია ლონდონში გაუქმებულ იქნა 1924 წ. მას შემდეგ, რაც ინგლისმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

იქვე.

ორგანიზაციებს, რომელნიც მთლად მის ტერიტორიების ან მათი ნაწილების მთავრობის სახელს ან წარმომადგენლობას იჩემებენ“.[1]

1933 წლის მაისში საფრანგეთის პარლამენტმა მოახდინა ამ ხელშეკრულების რატიფიცირება, ამას მოჰყვა საქართველოს ლეგაციის გაუქმება პარიზში.

ფაშიზმის გამარჯვებამ გერმანიაში დააჩქარა სსრ კავშირის მიღება ერთა ლიგაში. 1934 წლის 18 სექტემბერს საბჭოთა კავშირი გახდა ერთა ლიგის წევრი. ეს იყო საბჭოთა დიპლომატიის დიდი გამარჯვება. მაგრამ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სსრ კავშირის ერთა ლიგაში მიღების წინააღმდეგ გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის, პორტუგალიის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ევროპის საზოგადოებრივი აზრი მუდამ თანაუგრძნობდა საქართველოს და ასეთად დარჩა ბოლომდე. არც პოლიტიკურ წრეებში ჩამქრალა მისადმი თანაგრძნობა. ამის საბუთად და ბრწყინვალე მოგონებად დარჩება შვეიცარიის წარმომადგენლის მოტტას სიტყვა, რომელიც წარმოთქვა მან საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში მიღების გამო: „როდესაც ის იქნება მიღებული, საბჭო და საერთო კრება იქნებიან დაყენებული რამდენიმე ღიად დარჩენილ საკითხთა წინაშე. საერთო კრების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გამოტანილი რეზოლუციები ვერ დაიძინებენ მკვდრის ძილით. სომხეთი, უკრაინა, სხვა ქვეყნები კიდევ იპოვიან გაბედულ პირთ, რომელნიც განაგრძობენ მათ ბედ-იღბალზე ზრუნვას. არ შეიძლება ითქვას: აწი ეგ საკითხები არ დაისმებიან, მთელი მსოფლიოს სიმპატიები თან ახლავთ იმ გმირებს, რომელნიც იცავენ თავის სიცოცხლეს და თავის ბედს. ასეთ კითხვებს ვერ გააბათილებს დროთა მსვლელობა“...[2]

საბჭოთა კავშირის ლიგაში მიღებით საქართველოს საკითხი არ მოხსნილა საერთაშორისო ასპარეზიდან. ის მხოლოდ გადადებულია. ასე განმარტა მოტტამ, ლიგის სიჩუმე საქართველოს შესახებ, და ამ განმარტების წინააღმდეგ არა თუ არავის ხმა არ ამოუღია, არამედ ნიშნად თანხმობისა და თანაგრძნობისა მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი ოვაციებით უკრავდა ტაშს ამ სიტყვებს.

ქართველ ხალხს დასჭირდა ათეული წლები, რომ მსოფლიოს ცივილიზებულ სამყაროს კვლავ ეცნო მისი უფლება თავისუფალ, დამოუკიდებელ არსებობაზე. 1992 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო გახდა გაეროს წევრი.

---

[1] ივ. ზურაბიშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ. 59; Документы внешней политики СССР, т. XV, М., 1969, გვ. 639.

[2] ივ. ზურაბიშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ. 89.

# ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი

## პირთა სახელები

### ა


აბას I — I. 124-125. 142-146, 148-153, 155-167. 170. 172. 200
აბას II — II. 192
აბასი (სომხეთის მეფის აშოტ I ბაგრატიონის ძმა) — I. 192
აბასი (აშოტ II ერკათის ძმა) — I, 196
აბასი (ირანის შაჰის თამაზის ვაჟი) — II, 246
აბაშიშვილი — II. 174
აბაშიძე იოანე — II. 283
აბაშიძე კ. — II. 353
აბაშიძე ე. — I. 320
აბალა-ყაენი — I. 420-422. 426. 439-441, 452. 545. 457
აბდალაძე ა. — I. 39. 53. 184, 186, 188-189. 191-192. 195-197. 207. 218. 228-229. 238. 243. 245. 479; II. 9. 12-14. 20
აბდ არ-რეზაყ სამარყანდი — I, 530. 539
აბო თბილელი — I. 181
აბრაამ ალბათანელი — I, 152-153, 159, 162
აბრაამ ელივარდელი — I, 145, 149
აბრამიშვილი თ. — I, 429, 432, 450, 461
აბრაჰამ I — II, 85, 88-89
აბრაჰამი (ქართლის კათალიკოსი XIII ს.) — I. 468, 470, 473
აბუბექრი (XV ს.) — I, 530, 541
აბულაბაზი — I, 186
აბულალ ჰერეთის მთავარი — I, 224
აბულასანი — I, 323-325, 328
აბულასვარ შადადიანი — I, 242, 252
აბულაძე ი. — I, 108, 286
აბულაძე ც. — II, 97
აბულეთი — I, 311
აბულ-კასიმ აბუსაჯის ძე (იუსუფ იბნ აბუ საჯი) — I. 195-196
აბუ-მანე — II. 20, 83
აბუ-საიდი — I. 489, 495, 503, 505, 507. 509; II, 15
აბუსერ ერისთავი — I, 243
აბუ უბეიდა — I, 173-174, 176, 178
აბუ-შამა — I. 352
აგათია სქოლასტიკოსი — I. 101. 110. 123-125. 137
აგიაშვილი იოანე — II. 283
ადარნასე (იოანე შავლიანის ძე) — I. 188. 190, 197
ადარნასე II (დავითის ძე, „ქართველთა" მეფე) — I, 190-198
ადარნასე III ბაგრატიონი — I. 198
ადარნასე IV ბაგრატიონი — I. 198
ადიკურკულბეგი — II. 129
ადრიანე — I. 55. 62
ავაგ მხარგრძელი — I. 349. 363-364. 377, 380. 383-385. 353
ავალიანი — II, 283
ავალიშვილი გ. — II, 299. 303
ავალიშვილი ზ. — I. 293-298. 334-335. 370. 400-401, 444. 460; II. 374-375, 378. 413
ავგუსტუსი — I, 46. 48
აზატ-მოსე — I, 462-463
აზონი (აზო) — I, 22, 25. 27
ათანასე დიდი — I, 214
ათანასე თბილელი — II. 281
ათანელაშვილი გ. — I. 103
ათრაქა შარალანის ძე — I. 275. 278-280, 296
აიაზ ფაშა — II, 114. 116
აიეტი — I, 15
აიეტი (ლაზი წარჩინებული) — I, 65. 124
აკოფაშვილი გ. — II, 168
აკუში — I, 356
ალა ად-დოულე — II. 99
ალ-ადილი ალ მალიქი — I, 399
ალ-ავილი — I, 399
ალ-ავჰადი — I, 339-340
ალათემური — I, 415. 441
ალ-აინი (ისტორიკოსი) — I, 475-476, 483
ალასანია გ. — II, 59
ალ-აშრაფი ალ მალიქ — I, 339, 352, 356-358, 368-369
ალ-აშრაფ საიდ ად-დინ კაიტ-ბეი — II, 72, 76

ალ-ბალდადი ამდ ალ-ლატიფი — I. 358, 361-362
ალ-ბონდარი — I, 251
ალდე — I. 236. 239
ალენი უ. — II. 243
ალექსანდრე ბატონიშვილი — II. 255
ალექსანდრე I დიდი — II, 5. 8-19. 21, 23-27. 29. 32-33. 35-39. 51, 293. 301, 333-339
ალექსანდრე I (კახეთის მეფე) — II. 62-63. 71, 95
ალექსანდრე II (კახეთის მეფე) — II, 123. 125. 131-133. 137-139. 141-146. 200
ალექსანდრე III (იმერეთის მეფე) — II, 45. 163. 180-182. 187-192, 195, 208, 212-213. 218
ალექსანდრე IV (იმერეთის მეფე) — II. 203-204. 216-217. 219-222
ალექსანდრე VI (იმერეთის მეფე) — II, 92
ალექსანდრე, ვახტანგ V-ის ძე — II. 201
ალექსანდრე II (რუსეთის იმპერატორი) — II. 321
ალექსანდრე IV (რომის პაპი) — I. 410
ალექსანდრე იანგელონჩიკი — II, 77-78
ალექსანდრე ინგლისელი — I. 505
ალექსანდრე მაკედონელი — I, 21, 22. 25, 517-518. 544
ალექსი (რუსეთის მეფე) — II. 189. 191. 199. 213. 215
ალექსი II (ტრაპიზონის იმპერატორი) — I. 475. 509
ალექსი IV (ტრაპიზონის იმპერატორი) — II. 25
ალექსი კომნენი (ბიზანტიის იმპერატორი) — I. 259-260. 279
ალექსი II კომნენოსი (ტრაპიზონის იმპერატორი) — I. 458-461. 464-465
ალექსი კომნინოსი (ბიზანტიის იმპერატორი, ანდრონიკე I კომნინოსის ვაჟი) — I. 324
ალექსი კომნინოსი (ტრაპიზონის იმპერატორი) — I, 332-337
ალექსიძე ა. — II, 408
ალექსიძე ზ. — I, 79, 143-145, 147. 152. 165
ალექსიძე ლ. — II. 55, 81, 83, 100. 130-131, 135. 139-141, 269, 408
ალვენდი — II, 95
ალი ბეი (ვარნის გუბერნატორი) — II. 324
ალი-ზადე — I. 290
ალ-ისთახრი — I. 264
ალიფაშა — II. 318
ალი ფუად ჯებესოი — II: 397-398
ალიყანი — I, 442
ალ-კალკაშანდი — I, 488. 491. 497
ალ-მაკრიზი — I, 437. 475-476, 483, 520
ალ მალიქ ალ აუადი — I, 399
ალ მალიქ ან ნასერი (ეგვიპტის სულთანი) — I. 493. 505
ალ-მუსთანჯიდი — I, 306
ალ-უმარი — I. 488. 491. 497
ალ-ფაკიჰი (არაბი ავტორი) — I. 250, 264
ალფ-არსლანი — I, 250-256
ალფონსი (არაგონის მეფე) — II, 48
ალ-ქამილი — I. 357-359. 401
ალყას-მირზა — II, 116
ალ-ჰაქიმი — ეგვიპტის ხალიფა — I. 232-233
ამაზასპი — I, 67, 69-73, 75, 78
ამანელის ძე — I. 322
ამბროზიო კონტარინი — II. 65, 67
ამედე დე ტრამლე — I, 399
ამიანე მარცელინე — I, 81-82
ამირა თამრი — II, 22
ამირანაშვილი შ. — I, 68
ამირ-ზადე ომარი — I. 540
ამირსარგის თბილისელი — I, 501
ანა ივანეს ასული — რუსეთის იმპერატორი — II, 245-246
ანა კომნენი — I. 260, 292
ანასტასი (წმ. ანასტასი) — I, 161
ანა (ანახუტლუ) — I. 509-510. 513
ანგელუს ვიდაკუსი — II, 48
ანგურაგ — I. 384
ანდრაშ II (უნგრეთის მეფე) — I, 403. 406
ანდრეა კორერი (ან კორნარო) — II, 60, 64
ანდრეა და პერუჯა — I, 410
ანდრია ბოგოლიუბსკი — I. 323-324, 326
ანდრონიკაშვილი ივანე (გენერალი) — II. 318-319
ანდრონიკაშვილი მ. — I, 66
ანდრონიკე იაგარისი (იაგრინი) — II, 26. 28
ანდრონიკე I კომნინოსი (ბიზანტიის იმპერატორი) — I. 324, 330, 334-336
ანდრონიკე II (ბიზანტიის იმპერატორი 1282-1328) — I, 476, 480, 483-484

ანდრონიკე III პალეოლოგი (ბიზანტიის იმპერატორი) — I, 509
ანდრონიკე II (ტრაპიზონის იმპერატორი) — I, 447-448, 459-460
ანდრონიკე (ტრაპიზონის იმპერატორ ალექსი III-ის ძე) — I, 513
ანთელავა ი. — II, 164
ანიკეტი — I, 60
ანრი I — II, 109
ანრი ვალანსიენელი — I, 334
ანსელუსი — I, 295-298
ანტიოქოს ასურასტანი — I, 25-27, 29-30, 33
ანტონ II კათალიკოსი — II, 251-252, 286
ანტონი გნოლისთავისძე — I, 315, 321
ანტონინე პიუსი — I, 59
ანტონიუსი — I, 39-41, 45, 47
ანტონი ჯენკინსონი — II, 121
ანტონ სალირის ძე — I, 317
ანჩაბაძე ზ. — I, 270-271, 278; II, 127
ანჯელო პატრი — II, 206
აპიანე — I, 34-35, 42
აპრაქსინი (გრაფი) — II, 261
არაკჩეევი (რუსი მოხელე) — II, 334
არახამია გ. — I, 494
არგიშთ I — I, 10
არდაშირი პაპაკის ძე — I, 66-69, 73
არეშიძე დ. (თეიმურაზ I-ის ელჩი) — II, 189
არზამესი (ქართლის პიტიახში) — I, 68-69
არიომარდოსი — I, 16
არისტაკეს ლასტივერტეცი — I, 221, 231, 233, 235, 237, 242, 243
არისტარქე — I, 42, 44
არისტოტელე — II, 32
არსენ გულმაისიმისძე — II, 88
არსენ იყალთოელი — I, 287
არსენიძე რ. — II, 374
არსენ საფარელი — I, 152, 163
არსენ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი — I, 382, 386-389
არსოკ — I, 32
არტაბან II (პართიის მეფე) — I, 49-50
არტაბან V (პართიის მეფე) — I, 66
არტაგ I (არტოკე) — I, 32, 36-37, 42
არტავაზდი (არმენიის მეფე, ტიგრან II-ის ძე) — I, 38-40
არტავაზი (კლარჯეთის ერისთავი) — I, 111
არტაიქტესი — I, 16
არტაქსია — I, 30
არტაშამა — I, 31
არტაშეს I — I, 30-32
არტაშესი (სომხეთის მეფე) — I, 83
არღუნ-ყაენი — I, 417-418, 426-427
არუხა (არიყ-ბუქა) — I, 456-457
არშაკ (სომხეთის მეფე) — I, 29
არშაკ II (სომხეთის მეფე 345-367) — I, 81-82
არშუშა პიტიახში — I, 69, 87, 109
არჩილ მეფე — II, 43, 150, 195-203, 207, 211-212, 215-216, 218-219, 221-222
ასათ გრიგოლის ძე — I, 322
ასათიანი ალ. — II, 374
ასათიანი ნ. — I, 265, 288-289, 349, 380, 383, 387, 389-390; II, 35, 135, 187, 197, 209, 2709
ასია — I, 9
ას-საიარაფი — I, 520
ასტელინი — I, 392
აფრიდონი — I, 315, 318
აფრიდუნი (შირვანშაჰი XII ს.) — I, 289
აღა-მაჰმად-ხანი — II, 271-276, 278-279, 292, 335, 337
აღბუღა მხარგრძელი — I, 384-335
აღსართან გაგიკის ძე (კახეთის მეფე) — I, 252-253, 257
აღსითანი (აღსართანი) შირვანშაჰი — I, 289, 305, 330
აშოტ I ბაგრატიონი, კურაპალატი — I, 183-186, 200
აშოტ IV კურაპალატი — I, 198
აშოტ ბაგრატის ძე — I, 189
აშოტ კისკასი პატრიკიოსი — I, 200
აშოტ ბაგრატუნი (სომხეთის მეფე) — I, 188-189, 192
აშოტ II სმბატის ძე („ერკათი") — I, 196-197
აშოტი (ანისის მეფის იოვანე-სუმბატის ძე) — I, 231, 233
აშურბეილი — I, 305
აშური (ღვთაება) — I, 9
ახმეტელი ლ. — II, 415, 417
აჯი-ალიხანი — II, 202, 204
აჰმედ I (თურქეთის სულთანი) — II, 152
აჰმედ-ფაშა (ოსმალეთის ვეზირი XVI ს.) — II, 110
აჰმად (აჰმედ) ჯელაირი — I, 507, 518, 520, 530-533; II, 7

# ბ


ბაბგენი (სომხეთის პატრიარქი) — I. 144
ბაგრატ I („აფხაზთა" მეფე) — I, 188, 190
ბაგრატ I აშოტის ძე, კურაპალატი — I, 186-188, 190-191
ბაგრატ II „რეგვენი" — I, 210, 217, 220
ბაგრატ III — I, 64, 206, 209-213, 216-219, 222-229, 235-236
ბაგრატ IV — I, 238-256, 264-265, 269
ბაგრატ V — I, 512-513, 517, 519-521, 523-526, 529-530
ბაგრატ VI — I, 52, 54, 59, 67-69, 72
ბაგრატ III (იმერეთის მეფე — 1510-1565) — II, 99-100, 102, 104, 106-108, 111-114
ბაგრატ IV (იმერეთის მეფე) — II, 191, 195, 203, 208-209, 211-222
ბაგრატ ბატონიშვილი — II, 302-303
ბაგრატიონი თ. — II, 327
ბაგრატიონი ივანე (ელჩი) — II, 260-261, 265-267, 269
ბაგრატ უფლისწული („აფხაზთა" მეფის ძე) — I, 197, 201
ბადრიძე შ. — I, 192, 201, 216, 220, 293, 295-296, 402, 404, 405; II, 84, 344
ბათო-ყაენი — I, 382, 384-388, 392, 413-415, 418-419, 468, 470
ბაიაზეთ I — I, 515, 517, 537-538
ბაიაზეთი (უფლისწული, სულეიმან I კანუნის შვილი) — II, 119-121
ბაიბარსი — I, 436-438
ბაიდუ (ბადურ), დავით VIII-ის ძმა — I, 458, 469
ბაიჩუ-ნოინი — I, 382, 384, 388, 392-393
ბაკურ-ყმა (ძაგანის ძე) — I, 322
ბალაძორი — I, 173-174, 176-178
ბალდუინი — I, 294-295
ბალდუინ II — II, 73
ბალდუინ III — II, 73
ბალფური — II, 371
ბარათაშვილი ზაალ — II, 302
ბარათაშვილი ნ. — II, 289
ბარამ ვარდანის ძე — I, 322
ბარამიძე ალ. — II, 150, 224
ბარახა — I, 421
ბარდა სკლიაროსი — I, 213-214, 216, 218
ბარდა ფოკა — I, 218
ბარზაბოდი — I, 79, 85-86
ბართლომე დე სალინიაკო — I, 511
ბარიატინსკი მ. — II, 154-155
ბარსელი (სომეხთა კათალიკოსი) — I, 261
ბარტა (ირანის შაჰის ვალარშის ძე) — I, 97
ბარტოლდი ვ. — I, 268, 289, 306
ბარტუ ლ. — II, 413
ბარძიმ არაგვის ერისთავი — II, 244
ბასილი II — I, 214, 216, 219, 221-223, 230, 232, 233-237
ბასილი (წმ. ბასილი) — II, 32
ბასილი ეზოსმოძღვარი — I, 313, 333, 349
ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელი — I, 421-422; II, 87
ბატონიშვილი ალექსანდრე — II, 309, 326, 329, 334, 337-339
ბაქარი (ვახტანგ VI-ის შვილი) — II, 244-246
ბაქრაძე დ. — I, 265, 289
ბაყათარი (მთავარი ოვსი) — I, 190, 203, 473
ბებუთოვი დარჩო — II, 302, 320
ბეგა სურამელი — I, 426
ბეგ-თიმური — I, 359
ბედიანი (ოდიშის ერისთავი, XII ს.) — 322
ბეზბოროდკო ა. — II, 248, 250, 254-255, 259, 272
ბეიბარსი — II, 83
ბელა IV, უნგრეთის მეფე — I, 391-393
ბელოკუროვი — II, 135, 137
ბენდიანაშვილი ა. — II, 303, 331
ბენვენუტო — I, 410
ბერნარდე — I, 410
ბეყან-ხანი — II, 201
ბერაძე თ. — I, 432-434, 443, 475; II, 70
ბერდებეკ არმენიელი — II, 54
ბერი ეგნატაშვილი — I, 503-504, 524, 535; II, 69, 106-107, 112, 147, 158, 160, 166
ბერი ზებედე (ელჩი) — II, 245
ბერი ქრისტეფორე — II, 245
ბერიძე ვ. — II, 89
ბერიძე ი. — I, 126
ბერტელო — II, 387
ბერქა-ყაენი — I, 415, 419-420, 435, 438, 452-453
ბერძენიშვილი ნ. — I, 89, 96, 108, 217-218, 221, 237-238, 245, 251, 264, 281-282, 289, 290-291, 308, 320, 342, 351, 396, 435, 451, 453-454, 463, 482; II, 95, 98, 106, 119, 121, 125, 131, 132, 135, 137-138, 141, 145, 147-148, 150-151

160. 163. 178-179. 187. 194. 211. 244, 251. 252. 269. 277, 289. 295. 306. 335
ბერძნიშვილი მ. — I, 346-347, 349
ბესა — I. 122
ბესარიონი (კათალიკოსი) — II. 243
ბექა ჯაყელი — I. 427. 454-459, 473. 487. 510
ბეშქენ ორბელიანი — II. 17
ბივრიტიანი (ოძრხის ერისთავი) — I, 111
ბიონ დე კანსევილი (მრჩეველი) — II, 231
ბიკონსფილდი (ლორდი) — II. 324
ბინქარან — I, 79, 86. 92
ბისმარკი ო. — II. 322. 343. 359
ბიუფონი ბ. — II. 329
ბიძინა დავითის ძე (თეიმურაზ I-ის ელჩი) — II. 189
ბლისსი — II. 368
ბოგდან ბარნოვსკი — II. 77
ბოგვერაძე ა. — I. 88. 90, 108, 174
ბოლდა — I. 415
ბორენა დედოფალი — I. 239
ბორის ბლაგოვი — II. 136
ბორის გოდუნოვი — II. 143-144
ბოცვაძე თ. — II. 122. 127-128
ბოცო ჯაყელი — I, 322
ბრანტინგი — II. 420
ბრიანი ა. — II. 422
ბროსე მ. — I, 264. 269. 275. 289, 327. 334. 448; II. 224
ბრუკერი ლ. — II. 420
ბუილონ გოდეფრედი — II. 73
ბულატ-ბეკი — II. 155
ბულგაკოვი გრ. — II, 178
ბულიონი — II. 406
ბუნიატოვი ზ. — I, 288. 290, 305
ბურდუხანი — I, 312-314
ბურნაშოვი ს. — II, 260. 268-269
ბურჯანაძე შ. — I. 488; II. 6. 281. 312
ბუსბეკი — II, 117
ბუტკოვი პ. — I. 264; II. 256. 272. 276. 278-279
ბუტრუს აბუ-მანნექი — II. 510
ბუტურლინი (რუსი სარდალი) — II, 145
ბულა-თურქი — II. 186-187

## გ

გაბაშვილი ბესარიონ — II, 253. 272. 291
გაბაშვილი ვ. — I, 5, 66, 172. 233. 239, 245. 351. 504; II. 58, 94, 96. 100, 103. 115, 118. 120, 123-125. 144. 154. 161. 166, 224
გაბაშვილი ნ. — I, 472
გაბაშვილი ტ. — II, 90
გაბრიელ (ქართლის კათალიკოსი) — I. 144
გაბულოცი (თბილისის ამირა) — I. 187
გაგიკ სომეხთა მეფე — I. 227-228. 230
გაგიკ II (ანისის მეფე) — I. 242-243
გაიოზ არქიმანდრიტი (ელჩი) — II. 260-262, 268
გაიუს კალიგულა — I, 50-51
გაიუს ოქტივიანე — I, 46
გალიენი — I. 72
გალონი — I. 297
გამეზარდაშვილი ზ. — II, 170-171
გამელ-ულ-დინი — II, 71
გამრეკელი თორელი — I, 321-322. 378, 395-396
გამრეკელი ვ. — I. 478
გამყრელიძე ალ. — 90. 98. 129. 335. 514
გარსევან ჭავჭავაძე — II. 260-262. 265-267. 269. 274. 279. 296, 303
გარსოიანი ნ. — II. 82
გაფრინდაშვილი გ. — I, 479
გაფრინდაშვილი მ. — II, 329
გაწერელია ა. — II, 289, 297. 327-328
გეგენავა გაბრიელი — II. 177
გეგეჭკორი ე. — II. 363, 365-366. 374. 382-384. 387. 393
გელასი კესარიელი — I. 76
გელაშვილი ნ. — II. 95, 100
გელიუსი — I. 40
გერასიმე მაწყვერელი — II, 8
გესე — II. 314
გვაზავა გ. — II, 374-375
გვანცა დედოფალი — II. 417
გვარჯალაძე კ. — II. 420
გვილელმო ხერიოელი — II. 85
გვიძარდო — I, 410
გვინჩიძე გ. — 324
გვრიტიშვილი დ. — II. 214
გიგინეიშვილი ო. — II. 408
გილი — II, 261
გიორგი I კომნენოსი (ტრაპიზონის იმპე-რატორი) — I. 446. 448-449
გიორგი პახიმერე — I. 459-460. 464-465
გიორგი (დავით VII ულუს ძე) — I. 417
გიორგაძე ბ. — II. 163, 167-169
გიორგაძე გრ. — I, 10
გიორგაძე ი. — II, 375

გიორგი I — I, 229-239, 241. 269
გიორგი II — I. 248. 256-258, 260-262
გიორგი I („აფხაზთა" მეფე) — I, 188, 197
გიორგი II („აფხაზთა" მეფე) — I, 201-204. 248. 256-258. 260-262. 271
გიორგი III — I. 268. 289, 303. 318, 321. 330. 335-336. 342. 344. 354-355
გიორგი III (იმერეთის მეფე) — II, 153-154. 157. 161. 163. 174. 177. 209
გიორგი IV ლაშა — I, 267. 338. 351-356. 358. 360-361. 369. 384-385, 391, 398-399. 401-404. 406
გიორგი V ბრწყინვალე — I. 466-467. 473. 480. 482. 485, 487-495, 497-512; II, 20. 89-90
გიორგი VI მცირე — I, 466. 480, 485. 487-489, 494-495
გიორგი VII — II. 507, 516-519, 522. 524, 526-545; II. 5-7, 13
გიორგი VIII — II. 39-40. 49. 51. 53-55. 59. 62-63. 92
გიორგი IX — II, 102
გიორგი X — II, 126. 143-144, 146-147
გიორგი XI — II, 201-208. 219-221, 226
გიორგი XII (ერეკლეს ძე) ბატონიშვილი — II. 251. 277-278, 285-286. 295-300, 303. 327-328. 331. 358-359
გიორგი ალასტანელი — II. 12
გიორგი (იგივე გრიგორი ბარებ-რეუსი) — II. 71
გიორგი ბატონიშვილი (კახეთის მეფე ლევანის ვაჟი) — II, 129
გიორგი (ალექსანდრე II კახთა მეფის ვაჟი) — II. 143-145
გიორგი ამირუცისი (ტრაპიზონის ელჩი) — II. 25. 34. 56
გიორგი გურიელი — II. 203. 216. 218-220
გიორგი კედრენე — I, 236
გიორგი ლიპარტიანი — II, 218, 220-221
გიორგი მერჩულე — I. 184. 186
გიორგი მთაწმინდელი — I. 214-215. 265
გიორგი პახიმერე — I. 475
გიორგი შარვაშიძე — II, 310
გიორგი ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი — I. 270-271, 281
გირშელი (ვირშელი) — ქსნის ერისთავი — I. 492, 494. 496
გლადსტონი უ. — II. 344
გობეჩია გ. — II. 374
გოგებაშვილი იაკობი — II, 287-288. 341, 352, 357-360
გოზალიშვილი გ. — I, 5, 17, 60, 103, 124, 335
გოილაძე ვ. — I, 84, 113
გოლუბოვიჩი ჯ. — I, 484, 505
გონსალესი ლუი — II. 79
გორგიჯანიძე ფ. — I. 355, 391, 448-449. 528, 532-534, 537. 539-540. 542-545; II. 10. 117-119. 164-166. 172. 175, 178-179. 192, 195. 198. 201, 203, 209-210. 220
გორგონა (ყვარყვარე II) — II. 50
გორდლევსკი ვ. — I, 373
გოტიე (ანტიოქიის სამთავროს კანცლერი) — I. 300-301
გოშაძე — II, 212
გოჩოლეიშვილი დ. — I. 476-478. 485. 497, 512, 521
გრაფ დე პონშარტენი — II, 225-232. 234-236
გრიგოლ აკანელი — I, 377. 384. 421
გრიგოლ ბაკურიანის ძე — I. 257-259
გრიგოლი (დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი) — II, 228
გრიგოლ დიდი (რომის პაპი) — I. 145. 149
გრიგოლ თეოლოგი — II, 32
გრიგოლი (კახეთის მთავარი. ქორეპისკოპოსი) — I, 184-185
გრიგოლი (ავაგ მხარგრძელის მსახურთუხუცესი) — I. 377-378
გრიგოლი (მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსი) — II. 28. 32-33. 90
გრიგოლ პლიუშჩევი — II, 130
გრიგოლ IX (რომის პაპი) — I, 374. 407-412
გრიგოლ სურამელი — I, 395
გუარამი (გორგენი) (კლარჯეთ-ჯავახეთის მთავარი) — I, 113
გუარამ მამფალი — I. 186-191
გუბაზ I — I, 64. 98-102. 104-105. 118. 120-124
გუბაზ II — I. 117. 134. 141
გუდოვიჩი — I, 388
გულქანი — I, 512-513
გულშარი — II, 74-75
გუმილოვი ლ. — I, 389. 394
გურანდუხტ დედოფალი — I, 217
გურანდუხტი (დედოფალი. დავით IV აღმაშენებლის მეუღლე) — I, 274-275. 280, 296
გურგენ I (ერისთავთ-ერისთავი კურაპალატი) — I. 190. 192

გურგენ მეფეთ-მეფე (ბაგრატ II-ის ძე) — I, 217-218, 220-224
გურგენ დიდი (ერისთავთ-ერისთავი) — I, 196-197
გურგენი (ქართლის მეფე) — I, 107, 110, 116
გურგენ მაგისტროსი — I, 200
გურამ გოდერძის ძე — I, 243
გურამიშვილი დავით — II, 240
გურიელი (თავადი) — II, 324
გუჩუა ვ. — II, 111, 269

## დ

დაგისთე — I, 121
დადიანი გრ. — II, 288, 290
დადიანი ნიკო — I, 488; II, 6, 312
დადიანი ნინო — II, 310
დავით ახალციხელი — I, 386
დავით ანისის ეპისკოპოსი — I, 406
დავით I კახეთის მეფე — II, 143
დავით II კახეთის მეფე — II, 208
დავით II კურაპალატი ქართველთა მეფე — I, 198
დავით კურაპალატი — I, 209-214, 216-221, 223-224, 228, 230, 234, 258
დავით IV აღმაშენებელი — I, 63, 260, 263-303, 308, 321, 335-336, 342, 344, 348, 404-405; II, 343-344
დავით V — I, 303, 310-312
დავით VI ნარინი — I, 327, 380-381, 385, 395, 408-409, 414-415, 421, 427, 429-447, 449-450, 456, 466, 502
დავით VII ულუ — I, 384-385, 395, 414-423, 429, 437, 441, 452; II, 88
დავით VIII — I, 466-480, 482-488, 493, 497; II, 88-89
დავით IX — I, 512-513
დავით X — II, 99-100, 102
დავითი (დაუთ-ხანი) — II, 120, 123
დავით არჩილის ძე — II, 277, 282-286, 288
დავით ახალციხელი — I, 386
დავით ანისის ეპისკოპოსი — I, 406
დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი — I, 257-258, 273-274, 277, 280-284, 286-288, 292-293, 295, 300-302, 342
დავითაშვილი ი. — II, 67
დავით ბაგრატის ძე — I, 189
დავით ბექანის ძე (ელჩი) — II, 245
დავით-ბერი (დავით მეგრელი) — II, 228-230, 234
დავით გიორგის ძე (დავით ბატონიშვილი, დავით ბაგრატიონი, გიორგი XII-ის ძე) — II, 296-297, 299-302, 328-329, 334-336
დავით გიორგის ძე (დავით II იმერეთის მეფე 1784-1789) — II, 282, 296-297, 299-302, 326-334, 336
დავით იეზეკიას ძე — II, 213, 217
დავით კომნენოსი (ტრაპიზონის იმპერატორი) — II, 49-50, 52, 56
დავით მაგისტროსი — I, 200
დავით მალაქიას ძე — II, 217
დავით მხეიძე — I, 181
დავით ორბელიანი — II, 285
დავით სოსლანი — I, 327, 331, 338
დავით — „უმიწაწყლო" — I, 242-243, 245
დავით წინასწარმეტყველი — I, 294
დაველიანიძე-ტატიშვილი ლ. — I, 168, 261
დათუნა ბატონიშვილი (თეიმურაზ I-ის ძე) — II, 178
დაკულ სალტანი, ირანის შაჰის ელჩი — II, 189
დ'ალესანდრი — II, 122
დამნაზე — I, 115-116
დანილოვი ი. — II, 183
დანტე ალიგიერი — II, 52
დ'არამონი — II, 109-110
დარეჯანი (თეიმურაზ I-ის ასული) — II, 159, 195, 208-211, 214
დარეჯანი (არჩილის ასული) — II, 216
დარეჯან დედოფალი (ერეკლეს II-ის მეუღლე) — II, 251, 276-277, 285, 327, 358
დარვინი ჩ. — II, 341
დაჩი — I, 110
დეზალორი (გრაფი) — II, 226, 229-230, 232, 235-236
დე-ბუა — I, 399-401
დემარე — II, 231
დემეტრე I — I, 303-304, 306, 308, 310-313, 335-336, 404
დემეტრე II თავდადებული — I, 417, 422-423, 426-428, 432, 442, 447-449, 454-455, 457-458, 467, 480, 487; II, 88
დემეტრე („აფხაზთა" მეფე გიორგი II-ის ვაჟი) — I, 204, 211
დემეტრე (გიორგი I-ის ძე) — I, 239-241, 245

დემეტრე (დემნა) უფლისწული (დავით V-ის ძე) — I. 310. 312, 344
დემეტრე (დიმიტრი დმანისის მხარის „პროვინციის მეფე" XIV ს.) — I, 485-486
დემური. დემურ-ხანი — I. 485-486
დენიკინი — II. 381-382
დესპინა-ხათუნი — II. 64
დივ-სულთან რუმლუ — II. 99-100
დიმიტრი (ალექსანდრე I დიდის ძე) — II, 16-17
დიმიტრი (კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის ძე) — II. 95
დიმიტრი თბილელი — II, 87
დიმიტრი იეზიკიას ძე — II, 213. 215, 218
დინარ დედოფალი — I. 197. 225
დიოკლიტიანე — I. 72. 74-75
დიონიჯო ჯარლი — II. 202-206
დიონ კასიუს კოკეიანუსი — I, 36. 40, 42, 50
დოლიძე ი. — I. 64; II. 9. 12, 14, 289
დონდუა ვ. — I. 108. 308
დორდოლელი — I. 239. 255
დოსითეოსი — II. 34. 283
დუბროვინი ნ. — II. 299
დუმბაძე მ. — I, 108, 308; II, 240, 243, 277. 287
დუნდუა გ. — I. 108
დუნდუა თ. — I. 45. 60
დურბეზი („არაბეთის მეფე") — I, 300

# ე

ეგარსლან ბაკურციხელი — I. 395. 397
ედიგეი — I. 522
ედუარდ I ინგლისის მეფე — I, 426
ევაგრი სქოლასტიკოსი — I, 133-134
ევგენი IV (რომის პაპი) — II. 27. 29
ევგენიოსი (ბერძენი რიტორი და ფილოსოფოსი) — I. 65
ევდემონ არქიმანდრიტი — II, 187-188
ევდემონ მიტროპოლიტი — II, 215. 217-218
ევდოკია (ტრაპიზონის დედოფალი) — I, 460
ევრიპიდე — I. 44
ევსევი კესარიელი — I, 129
ევსტათი მცხეთელი — I, 108-109
ევტროპიუსი — I, 42
ევფემიორი — I. 99
ევფრატა — I, 132-133
ეზინკელი — I. 331-332
ეკატერინე I — II, 245, 255
ეკატერინე II — II, 245, 249, 252, 255. 259, 267, 268, 27, 336
ელენე დედოფალი (ბაგრატ IV-ის მეუღლე) — I. 239
ელენე დედოფალი (ვახტანგ გორგასლის მეუღლე) — I, 111
ელენე (ტრაპიზონის დედოფალი XV ს.) — II, 57
ელენე (თეიმურაზ I-ის და) — II, 144
ელენე (სიმონ I-ის ასული, მანუჩარ ათაბაგის მეუღლე) — II. 123
ელენე (ერეკლე I-ის დედა) — II. 196
ელენე (დარეჯან დედოფლის შვილი) — II. 277. 285
ელია ჰეროდიანი — I. 130
ელიზბარ მაჩაბელი — II, 204
ელისაბედ დედოფალი — II, 281
ელიუს სპარტიანე — I. 55-56
ელჩინი თ. — II, 177
ენგელსი ფ. — II, 319
ენეა სილვიო დე პიკოლომინი (რომის პაპი პიუს II) — II. 48
ენვერ-ფაშა — II. 372
ენრიკე III — I. 517; II. 5
ენუქიძე ა. — II, 388. 396
ენუქიძე თ. — I, 386
ენუქ არქენი — I, 417-418
ერეკლე I — I. 523-524; II. 181-183. 188. 191-192, 196-197. 199-200. 207. 209. 215-216. 218. 221
ერეკლე II — II. 43. 247-248. 250-252. 254-286, 288, 290, 292, 295-296, 326-327, 333. 336-337, 357-358
ერეკლე (კახთა მეფის ალექსანდრე II-ის ძე) — II, 133, 300
ერეკლე მუხრანბატონიშვილი — II, 204
ერემიანი ს. — II, 324
ერინჯი — I, 455
ერიოე — II, 415
ერისთავი — II, 388
ერმოლოვი — II, 329
ესაია — I, 541-542
ეფენდიევი ო. — II, 10. 100
ექვთიმე გენათელი — II. 283
ექვთიმე არქიმანდრიტი — II. 303
ელიშე (V ს-ის სომეხი ისტორიკოსი) — I. 87
ეშბა ე. — II, 372

## ვ


ვათეიშვილი ჯ. — II. 168-169
ვალარშ I (პართიის მეფე) — I, 50
ვალერიანე (რომის იმპერატორი) — I, 71-72
ვალი-ალა-უშიკალასიმი — II. 75
ვალკონსკი თ. — II. 176
ვამიყ დადიანი — II. 195-196, 211-212
ვარაზ-ბაქარი (ვარაზ ბაკური) — I. 73-75, 82
ვარამ გაგელი — I. 327, 341, 349. 377-378, 380. 383-384. 395
ვარდან დადიანი — I. 315. 322
ვარდან დიდი — I. 241, 285, 311-312, 315. 359. 375
ვარდან მამიკონიანი — I, 66. 87. 94
ვარსქენ პიტიახში — I, 66, 69. 80. 93
ვასაკ სიუნი — I. 87
ვასილევსკი ვ. — I. 264-265
ვასილჩიკოვი (ზემდეგი) — II. 324
ვასკო და გამა — II. 42
ვალარში — I. 95
ვაჩნაძე დ. — II. 374
ვახტანგ გორგასალი — I. 79, 84-95. 110-111. 137-139. 142
ვახტანგ II — I. 427-428. 532-433
ვახტანგ III — I, 466-474, 476-477. 479-481. 485-486
ვახტანგ V (შაჰნავაზი) — II, 43. 190. 192, 194-201. 211-212, 216-217
ვახტანგ VI — II, 208, 225-229, 231-240. 242-247. 269-270, 279, 284
ვახტანგ ბატონიშვილი — II, 251. 269
ვახტანგი (დავით IV აღმაშენებლის ძე) — I. 303
ვახუშტი ბატონიშვილი — I, 138-141. 196, 230. 265. 274. 283-284. 327. 343, 450. 472. 482. 499. 503-504. 506-508, 510. 521. 524; II. 5, 10, 14-17, 36, 41, 59. 69. 74-75. 95. 100, 106-107. 111-112, 127. 130, 143-144. 158. 163, 166-167. 171. 174, 181. 194, 196-197, 199-204. 207. 210. 212. 214, 216-219, 221, 280
ვაჰან მამიკონიანი — I. 94-95
ვაჰრამი — I, 153. 242
ველისარი — I, 120
ვერიოვკინი გ. — II, 152
ვეტორე სორანცო — II, 61
ვეშაპელი გ. — II. 413
ვეჰიბ-ფაშა — II, 364-365, 372
ვივიანი — II, 385
ვინდჰორსტი — II, 343
ვიშინსკი — II. 364
ვლადიმერ მონომახი — I. 266. 279
ვოლინსკი ვ. — II. 239. 245
ვორონცოვი — II. 317. 319
ვრანგელი — II. 391-392. 398. 400-402
ვრთანეს ქერდოლი — I. 147-149
ვსევოლოდი — I, 232, 326


## ზ


ზაალ არაგვის ერისთავი — II. 198
ზანქან ზორაბაბელი — I. 329
ზარიადრე — I. 30
ზაქარია ეპისკოპოსი — I. 234
ზაქარია I მხარგრძელი — I. 322. 327. 331. 340-341. 349
ზაქარია II მხარგრძელი — I. 384-385, 441
ზახარინი პ. — II. 177
ზახოდერი ბ. — I. 268
ზედგენიძე გ. — II, 195
ზევახი — I, 69
ზენონ-არტაშესი — I, 49
ზენონი (ბიზანტიის იმპერატორი) — I, 93, 144
ზეიად ერისთავი — I, 235
ზინოვიევი — II. 417
ზირაქი — I. 186
ზობერი — I, 40
ზურაბ არაგვის ერისთავი — II. 158-160, 171-172
ზურაბაშვილი ი. — II, 414-415, 419, 423


## თ


თაბუკაშვილი რ. — II. 408
თალათ-ბეი — II. 372
თამაზ I — II, 101. 103. 106-109. 112-117. 120,. 122. 127, 129-130. 132-133, 238, 241, 245-246
თამაზ სარდალი — II. 207
თამარაშვილი მ. — I, 145. 359-402. 404. 406-410. 499-501; II, .51-52. 55, 58. 80-82, 86. 89. 92-93. 108. 125. 163. 172, 198-199, 206. 217, 224-225
თამარ მეფე — I. 63. 131. 268, 271, 312-350, 353, 355. 399-400

თამარი (დავით IV აღმაშენებლის ასული) — I, 288-289
თამარი (ვახტანგ V-ის ძმისწული) — II, 212. 216. 218-219
თამარი (რუსუდან მეფის ასული) — I, 373. 379. 442. 455
თამარის ისტორიკოსი — I, 268-269. 289. 311-312. 316-317, 324-325, 328-330. 337-338. 343
თამთა (ივანე მხარგრძელის ასული) — I, 339. 382. 388-389
თარგამოსი — I, 343
თაყაიდინ თმოგველი — I, 341
თაყაიშვილი ე. — I. 465; II, 292
თაყა ფანასკერტელი — I, 462
თაჰერი — I, 518-519. 530-534
თეგუდარი — I, 420-421, 435, 438-441
თევდორე ალექსის ძე (რუსეთის მეფე) — II. 200. 217-218
თეიმურაზ I — II. 131, 141-144. 146, 149-150. 152-157. 159-160. 162-182. 279
თეიმურაზ II — II, 251, 281
თეიმურაზ მუხრანბატონი — II. 207
თემისტიოსი — I, 65
თემურ-ლენგი — I, 419. 512-545; II, 5. 7-11, 13. 15-16, 39, 127
თემურყვა — II- 130
თეოდორა (ტრაპიზონის იმპერატორი იოანე II-ის დედა) — I, 447-449
თეოდორიტი კვირელი — I, 130
თეოდოსი („აფხაზთა" მეფე) — I, 186, 210-211
თეოდოსი განგრელი — I, 140
თეოდოსი (თეიმურაზ I-ის ელჩი) — II, 156
თეოფანა (ბიზანტიის დედოფალი) — I, 214
თეოფანეს გამგრძელებელი — I, 185
თეოფანე ჟამთააღმწერელი — I, 109-110, 113-114, 116-117, 137, 166
თეოფილე (ქართლის ერისმთავრის ელჩი) — I, 176
თოგოშვილი გ. — I, 239-240. 270, 327; II. 127
თოდუა თ. — I, 62
თოდუა მ. — I. 267-268. 339. 353
თოვმა მეწოფეცი — I, 523, 526; II. 17, 37
თოიძე ლ. — II, 334
თოფურია ვ. — I. 174, 177-178. 208, 226-227. 254. 256. 272, 305
თოღაი — I. 493
თოღთამიში (თოხთამიში) — I, 419, 514, 517, 521-522. 525-526, 528-531
თოხთა ყაენი — I. 469-470
თუთარ — I. 415
თუმანიშვილი ე. — II, 302
თუმანოვი კ. — I, 90
თურქესტანიშვილი დ. — II, 221

# ი

იაზდან-ფრი-შაპური — I. 65
იაკობი — II, 131
იაკობ ვან ვესი — II, 56
იაკობ როქსანელი — I, 408, 410; II. 85
იაკუთი — I. 350
იანოშ ლაზოი — II, 73
იანოშ ტუროცი — II, 64
იასავური — I, 491
იასონი — II, 235
იასონ. არაგვის ერისთავი — II, 204
იაყუბ ხანი — II. 74-75
იაყუთი — I. 176. 178
იაჰია ანტიოქიელი — I, 219, 230, 232, 234-235, 238
იბნ ალ-დავადარი — I. 369, 482-485
იბნ ალ-ასირი — I, 306. 356. 359-360. 365
იბნ ალ-ბისტი — II, 83
იბნ ალ-ვასიტი — II. 83
იბნ ბიბი — I, 370-371, 373
იბნ-ზანჯუვაითი (ზანჯუვაიჰითი) — I, 173, 176-178
იბნ თაღრი-ბირდი — I, 520
იბნ იასი — I. 520
იბნ ჰაუკალი — 264
იბნ ჰუბაირა — 306
იბრაჰიმი (შირვანშაჰი. XVI ს.) — II. 6-8
იბრაჰიმ დერბენდი — I, 526-529, 532, 540. 544
იბრაჰიმ ფეჩევი — II, 105, 110, 159
იბრაჰიმ შეიხშაჰი — II. 37
იბრაჰიმი (ყარამანიის მთავარი) — II, 49
იგნაციო აურელიო ფესლერი — II, 52
ივლევი ა. — II. 45. 180 182. 187
იეზდიგერდ II — ირანის შაჰი (438-457) — I, 79. 83-84
იესე ბატონიშვილი (ლევან მეფის ძე) — II, 121, 127. 129. 133
იესე (ვახტანგ VI-ის ძმა, ქართლის მეფე) — II. 226
იესე ქსნის ერისთავი — II, 200

ივანე აბულეთის ძე — 311-312
ივანე ათაბაგი — I, 538-540, 542; II, 7, 9-11, 18-19, 35
ივანე ახალციხელი — I, 386
ივანე ბერსელი — I, 468-473; II, 89
ივანე დადიანი — I, 243
ივანე ვარდანის ძე — 309
ივანე III (რუსეთის მეფე) — II, 45, 270
ივანე IV მრისხანე — II, 122, 128, 130-131, 136
ივანე ლიპარიტის ძე — I, 249, 257
ივანე მხარგრძელი, ათაბაგი — I, 354; 359, 363, 368, 406
ივანე მხარგრძელი — I, 322, 327, 339, 340-341, 346, 349
ივანე ორბელი (ამირსპასალარი, XIII ს.) — I, 309-31, 312, 344
ივანე-ყვარყვარე ჯაყელ ციხისჯვარელი — I, 378, 395-396
ივანოვი, რუსი ელჩი — II, 143-144
იზაბელა (ესპანეთის დედოფალი) — II, 76-79, 81, 92
იმად ად-დინ ალ-ისფაჰანი — 303
ინალი (ეგვიპტის სულთანი XV ს.) — II, 49
ინაძე მ. — I, 5, 53-54
ინგოროყვა პ. — I, 184,. 186, 188, 216, 322, 396, 446
ინოკენტი III (რომის პაპი) — I, 398
ინოკენტი IV (რომის პაპი) — I, 410
ინოკენტი XIII — II, 214
იოფიმე მღვდელი — II, 137
იოანე (ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენოსის ძე) — 292
იოანე (ქართლის კათალიკოსი) — 287
იოანე (მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსი) — II, 28, 32-33, 90
იოანე (პროტინოტარიუსი XV ს.) — II, 32
იოანე-ალექსი III (ტრაპიზონის იმპერატორი) — I, 512
იოანე ბანდაისძე — I, 492, 494, 496, 498; II, 85, 89
იოანე ბატონიშვილი — 283, 294-295; II, 303
იოანე დე ბრეინი — I, 398
იოანე დრასხანაკერტელი — I, 191-194, 196
იოანე ზონარა — I, 133-134, 137-138, 141, 240
იოანე II, ტრაპიზონის იმპერატორი — I, 447-449, 459
იოანე IV, ტრაპიზონის იმპერატორი — II, 25-26, 29, 34, 49
იოანე VIII პალეოლოგი — I, 538; II, 34, 40
იოანე XXII (რომის პაპი) — I, 499-502
იოანე მალალა — I, 109-110, 114-117, 141
იოანე მარუშის ძე — I, 210-212, 216
იოანე მუხრან-ბატონი (ერეკლე II-ის სიძე) — II, 284-285
იოანე პრესვიტერი — I, 401
იოანე საბანისძე — I, 181
იოანე ორბელიანი — II, 328
იოანე ფლორენციელი — I, 500-501
იოანე შაელიანი — I, 188
იოანე ციმისხი — I, 206
იოანე ციბე — I, 117
იოანე ჰალიფონტელი — I, 515-516
იოანესიანი ა. — II, 250
იოდმანგანი — I, 68
იოვანე — I, 214
იოვანიძე ა. — II, 353
იოანე-სუმბატი — I, 231, 233, 242
იორდანესი — I, 402
იოსაფა ბარბარო — II, 67
იოსები, პატრი — II, 207
იოსებ ფლავიუსი — I, 53
იოსელიანი — II, 283
იოსელიანი პლატონ — II, 277-278, 283, 286-287, 291, 294-295, 297, 327-328, 359
იპატის მატიანის ავტორი — 279
იპოლიტე რომაელი — I, 129
ირაკლი (ბიზანტიის იმპერატორი, ჰერაკლე) — I, 127, 140, 165-171, 265
ირემაძე ა. — II, 397
ირინე (ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე III პალეოლოგის ასული) — I, 509-510
იროდი — II, 339
ირონიმე — I, 505
ისაკი (ალექსი კომნენოსის ძე) — 292
ისაკ II ანგელოსი — 332-333, 335
ისა მირდინი — I, 540
ისა-ხან ყორჩიბაში — II, 160
ისკანდერ მუნში — I, 414; II, 117, 120, 142, 150, 162
ისლამ-გირეი — II, 136
ისმაილი (საქართველოს მეფის გიორგი VII-ის ელჩი) — I, 533-534

ისმაილი (სინოპის მთავარი) — II, 49
ისმაილ I (ირანის შაჰი) — II, 95-96, 98-101
ისქანდერი (ყარა-იუსუფის ძე) — II, 11, 13-18, 36
იულიუს კეისარი — I, 39, 43
იულონ ბატონიშვილი — II, 251, 277, 279, 296, 303, 327, 358
იური (გიორგი) ბოგოლიუბსკი (თამარ მეფის ქმარი) — 323, 330, 344
იუსტინე (ბიზანტიის კეისარი 518-527) — I, 99, 107
იუსტინე II (ბიზანტიის იმპერატორი 565-578) — I, 126
იუსტინიანე I (ბიზანტიის იმპერატორი 527-565) — I, 99, 109-110, 115, 117-118, 120-125, 132-134, 136-137, 141
იუსტინიანე — II, 333
იშხანიკი (ჰერეთის მეფე) — I, 197

## კ

კავადი (ირანის შაჰი 488-531) — I, 107, 116
კავად II — I, 169
კავკასოსი — 343
კაზიმეჟ IV (პოლონეთის მეფე XV ს.) — II, 61
კაიტ-ბესთანი — II, 76
კაკაბაძე ს. — I, 85, 90, 93, 95, 502; II, 102, 164, 167, 296
კალიგულა — I, 59
კალიქსტ III (რომის პაპი) — II, 47, 50
კამბიზი — I, 16
კამენევი ლ. — II, 378
კანდელაკი ნ. — I, 124; II, 76, 90, 205
კანიკლ მაგისტროსი — I, 223
კაპანაძე დ. — II, 202, 202
კარახანი ლ — II, 366, 394, 398
კარდინალი ალბანი — II, 234
კარდინალი დე ლა ტრემუა — II, 234
კარდინალი ისიდორე — II, 47
კარდინალი საკრიპანტი — II, 234
კარიჭაშვილი დ. — 275
კარლოს V (ავსტრიის იმპერატორი) — II, 102, 109
კარლოს VI (ავსტრიის იმპერატორი) — II, 241
კარო გ. — I, 464
კარტირი (ირანის მთავარი ქურუმი) — I, 71, 78
კარუსი (რომის იმპერატორი 282-283) — I, 72
კასტელი კ. — II, 163, 167
კატაი (დავით IV აღმაშენებლის ასული) — I, 288, 292, 335-336
კატერინო ძენო — II, 63-66
კატონ უფროსი — II, 359
კაფულიჩი კანუკოვი — II, 128
კაცია ჩიქოვანი — II, 218
კაციტაძე დ. — I, 514-516, 526-530, 532, 536, 539-540, 543-544; II, 100, 114, 117
კაჭარავა დ. — II, 184-185
კაჭარავა ი. — II, 408
კახაბერი (რაჭისა და თაკვერის ერისთავი XII ს.) — I, 317, 322
კახაბერ გურიელი
კახაბერ ვარდანის ძე — I, 322
კახაბერ კახაბერისძე — I, 442
კახაძე მ. — I, 216, 240
კეკელიძე კ. — I, 76, 259, 289, 294, 322
კერენსკი ალ. — II, 361
კერენიუს პეტა — I, 52
კერზონი (ლორდი) — II, 380, 387, 392, 410, 414
კეჭალმაძე ნ. — I, 129
კვინიტაძე გრ. — II, 391
კვირიკე (კახეთის ქორეპისკოპოსი) — I, 195, 197
კვირიკე II (კახეთის ქორეპისკოპოსი) — I, 204, 211
კვირიკე III (კახეთის ქორეპისკოპოსი) — I, 225, 230, 240
კვირიკე (ტაშირ-ძორაკეტის მეფე) — I, 261
კიაზიმ-ბეი — II, 385
კიაქსარი — I, 13-14
კიკვაძე ნ. — II, 408
კიკვიძე ა. — I, 275, 282-283, 320, 453
კიკნაძე ვ. — I, 430-431, 466, 468, 477-478, 488, 491, 494, 497-498, 501, 503-510, 513, 517
კიკნაძე რ. — I, 250, 252, 354, 356, 364, 391, 396, 415, 441-442, 448, 457, 468; II, 6, 65, 75, 121
კირაკოს განძაკეცი — I, 352, 359, 378, 382, 386, 394
კირილე არქიმანდრიტი — II, 143
კირილე ბერი — II, 137

კირონ ქართლის კათალიკოსი — I, 142, 145-156, 158-161, 163
კირიონი — I, 165
კირნილო (ელჩი) — II, 76
კიროვი ს. — II, 396, 398-399
კიტაგავა ს. — I, 472
კიულმანი — II, 370-371, 377
კილურაძე გ. — II, 309
კლეოპატრა — I, 43
კლიმენტ V (რომის პაპი) — I, 484
კლემენტი VIII — II, 124-125
კლიუჩარევი ი. — II, 178
კნორინგი — II, 289, 297, 299-304, 331
კოადი (სპარსეთის მეფე) — I, 115
კობახიძე (მირსკი) აკ. — II, 393
კოდინიკაკი პ. — II, 293
კოვალენსკი ა. — I, 268, 296
კოზოდავლიევი ო. — II, 333
კოკიევი გ. — I, 269
კომაროვი — II, 323
კომარსი — II, 261
კონსტანტი პატრიკიოსი (ბიზანტიელი დიპლომატი) — I, 200-201
კონსტანტინე „აფხაზთა" მეფე — I, 193-194, 197, 201
კონსტანტინე I (დავით ნარინის ძე) — I, 466, 477
კონსტანტინე I (საქართველოს მეფე) — I, 524, 529, 535, 538-543; II, 7-8
კონსტანტინე (ალექსანდრე I-ის ძე) — II, 134
კონსტანტინე (რომის იმპერატორი, 306-337) — I, 76-77, 81
კონსტანტინე VII პორფიროგენეტი (ბიზანტიის იმპერატორი 912-959) — I, 131, 199-200, 202
კონსტანტინე-კახა — I, 181
კონსტანტინე-მირზა — II, 144-145
კონსტანტინე მხეიძე — I, 181
კონსტანტინე VIII (ბიზანტიის იმპერატორი) — I, 214, 238
კონსტანტინე X დუკა — I, 255
კონსტანტინე დუკა (მართა-მარიამის ძე) — I, 260
კონსტანტინე II (ქართლის მეფე 1478-1505) — II, 61-63, 68-69, 74-81, 91-92
კონსტანტინე (კახეთის მეფე) — II, 242, 244-245
კონსტანტინე უფლისწული (ქართლის მმართველი) — I, 203
კოპალიანი ვ. — I, 5, 214, 216, 219, 222-223, 230-231, 233-234, 241, 247, 255, 292, 295
კორობინი ი. — II, 155-156
კრავაი ჯაყელი — I, 321
კრასუსი — I, 47-48
კრესი — II, 371
კუვშინოვი ო. — II, 155-156
კუნიკი ა. — I, 334, 445
კურაკინი — I, 523, 526
კუცია კ. — II, 17, 59-61

## ლ

ლავრენტი, გიორგი XI-ის ელჩი — II, 207
ლაზარე ფარპეცი — I, 79, 83, 85, 94-95
ლაზარევი — II, 298-299, 302, 327
ლაზარო კვერინი — II, 60
ლაზიანი — II, 404
ლამბერტი — I, 410
ლანგლუა ვ. — I, 327; II, 329
ლანსინგი — II, 363, 367
ლაონიკე ხალკოკონდილე — II, 25
ლარგველი (ქსნის ერისთავი) — I, 496
ლასხიშვილი გ. — I, 374-375
ლაფლინი — II, 368
ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე — I, 312, 335, 346
ლევან ბატონიშვილი — II, 251-252
ლევან ბატონიშვილი (გიორგი XI-ის ძმა) — II, 207
ლევანი (თეიმურაზ I-ის ძე) — II, 156
ლევანი (კახეთის მეფე) — II, 100, 103, 106, 112, 121, 126-131, 137
ლევან I დადიანი — II, 107, 111-112
ლევან I (კახეთის მეფე) — II, 175
ლევან II დადიანი — II, 173-174, 177, 181-182, 187, 189, 208-209
ლევან III დადიანი — II, 212, 218
ლევჩენკო მ. — I, 168
ლეთოდიანი დ. — I, 103, 129, 134
ლელა ბატონიშვილი (ლუარსაბ II-ის ასული) — II, 158
ლენგი დ. — I, 491, 504, 510; II, 224, 243
ლენინი ვ. — II, 377, 379, 387-390, 392-397, 399-405
ლეონ (ვახტანგ გორგასლის ვაჟი) — I, 111
ლეონ I (ბიზანტიის იმპერატორი) — I, 88, 103-105, 138-139

ლეონ I (აფხაზეთის ერისთავი) — I. 142
ლეონ II („აფხაზთა“ მეფე) — I. 184
ლეონ III („აფხაზთა“ მეფე) — I. 204
ლეონიძე გ. — II, 224
ლეონტიევი — II. 143
ლეონტი მროველი — I, 13, 23, 25-29, 33, 53, 102, 138, 181, 343
ლეპიდუსი — I, 39
ლეოვი ი. — II. 251
ლიბკნეხტი — II. 343
ლიზიმახე — I. 22
ლიონიძე ს. — II, 359
ლიპარიტ ბაღვაში — I. 189-190
ლიპარიტ ბაღვაში (ლიპარიტ ივანეს ძე, კლდეკარის ერისთავი, დავით IV აღმაშენებლის თანამედროვე) — I, 264
ლიპარიტ დიდი ბაღვაში (ბაგრატ IV-ის თანამედროვე) — I. 241, 244-2249
ლიპარიტ დადიანი (1414-1470) — II. 52-54
ლისცოვი ვ. — II. 238-239, 242
ლიტვინოვი — II, 305
ლოკი — II. 329
ლომინაძე ბესო — I, 387, 396, 420-421, 432, 444, 451; II, 11, 407
ლომოური ნ. — I, 61, 78, 100-102, 104, 128, 166, 169
ლომოური თ — I, 479; II, 328
ლომსაძე შ. — I, 408, 410; II, 48, 87
ლორთქიფანიძე ბევან — II, 214, 220-221
ლორთქიფანიძე გ. — I, 245
ლორთქიფანიძე მ. — I, 5, 85-86, 89-91, 94, 97, 142, 173, 175-176, 179, 183-184, 186, 191, 203, 208, 216-217, 219-220, 223, 230, 233, 238, 251, 257, 287, 305
ლორთქიფანიძე ო. — I, 44, 292, 335
ლორთქიფანიძე ი. — II, 375
ლოსოვი — II. 373, 376
ლუარსაბ I — II, 102, 104-108, 112-114, 116-119, 125, 127
ლუარსაბ II — II, 146-150, 166, 175
ლუდენდორფი ე. — II, 374, 376
ლუდოვიკო ბოლონიელი — II, 50-51, 54, 56, 63, 85, 91
ლუი X — I, 392
ლუი XI — II. 53, 55-56
ლუი XIV — II. 225-227, 229, 233-236, 238
ლუის ხილ ფერნანდესი — II, 79
ლუთფალი-ხანი — II. 272
ლუკონინი ვ. — I, 68
ლუკულუსი — I, 36

## მ

მარიამ დედოფალი (მართა, ბიზანტიის დედოფალი) — I, 255, 259-260
მარიამ დედოფალი (გიორგი I-ის მეუღლე) — I. 237-239, 243
მარიამ დედოფალი (ლევან დადიანის და) — II. 174-175, 183, 204
მარინო სანუტო — I. 430
მარისტიოსი — I. 17
მარკიანე კეისარი — I, 98
მარკიზ დე ტორსი — II. 231-232, 235
მარკო პოლო — I, 394, 430
მარკოროსი — II, 67, 69
მარკუს ანტონიუსი — I, 39-40
მარკუს კრასუსი — I, 38-39
მარტიროსი — II. 19
მარტია შკორვინიცი — II. 67
მარუშიანი ძე ჩუბჩარებისა — I. 322
მასუდი (არაბი ავტორი) — I. 197
მასუდი (ერაყის სულთანი) — I, 313
მატარაძე ლ. — II, 408
მატიაშ კორვინი — II, 52, 61, 64, 73
მატილდა — I. 309
მაფიანი არქიეპისკოპოსი — II. 71
მაჩაბელი ე. — II. 304
მაჩაბელი ი. — II. 204
მაჭავარიანი ი. — II, 374
მაჭარაძე ვ. — I, 5; II, 165, 190, 248-251, 253, 258, 272, 291
მახარაძე ფ. — II, 406-407
მაჰმად-ხან ბეგი — II, 184-187
მაჰმედ-ბეგი — II, 144
მაჰმუდ თურქმანი — II. 52
მაჰმუდ მუჰამედის ძე — I. 300
მაჰმუდ ფარვანე — I, 488-489, 495
მგელა აბულახტარი — I, 386
მაეყანი — I, 73-74
მაფ-გრამონი — II, 101
მავრიკი (ბიზანტიის იმპერატორი) — I, 165
მათე თიათინელი — II. 85
მათეოს ურჰაეცი — I, 221, 242, 300-301
მაიაშვილი გ. — II, 354
მაკარი ანტიოქიელი — II. 196-197, 210
მაკალათია ს. — I, 275, 320
მაკარიოსი — I. 265-266
მაკდონალდი რ. — II. 216-218, 420
მალაქია გურიელი — II, 220.
მალუქ თამდარი — I, 364

მალიქ-შაჰი — I. 256-257. 260. 262
მამეტა ნასიბი — II. 60
მამია გურიელი — I. 52. 100. 220
მამასთვალიშვილი ე. — 5-7. 60-63. 65-66. 78. 96. 99. 104. 115-116. 120. 515. 522
მამულია გ. — II. 114
მანანდიანი ჰ. — I. 286
მანგუ თემური — I. 457
მანველიშვილი ა. — II. 365. 413
მანუილ I (ტრაპიზონის კეისარი) — I. 431. 448-449
მანუილ II პალეოლოგი — II. 40
მანუილი (დემეტრე II თავდადებულის ძე) — I. 449
მანუილი (ბიზანტიის იმპერატორი) — I, 330. 335-336
მანუილი (ბიზანტიის იმპერატორი,XIV ს.) — I. 516. 538
მანუილი (ტრაპიზონის იმპერატორის ძე) — I. 512-513
მანუჩარ დადიანი — II. 216-218
მანუჩარი — II. 99. 123-125. 134
მანუჩეჰრ II — I. 289
მარი ნ. — I. 245. 264
მდივანი ბ. — II. 406
მდივანი ს. — II. 386. 413
მელაშვილი ნ. — I. 130
მელეტი იეროდიაკონი — II. 196-197
მელიქ აშრაფი — I. 508
მელიქ ელ-ნასერ ბერ-პალონი — I. 483
მელიქიშვილი გ. — I. 5. 16, 25. 33, 64, 68. 90. 108. 127. 209-213. 219-220, 346
მელიქსეთ-ბეგი ლ. — I, 268. 286
მელქისედეკი („პროვინციის მეფე" 1311-1318) — I. 466. 485
მენაბდე ლ. — II. 224
მენანდრე პროტიქტორი — I. 103-104. 110. 123. 125-128
მენთეშაშვილი ა. — II, 286. 395, 399, 408-409. 417-418, 421
მენუა — I. 9-10
მერვან იბნ მუჰამედი (მურვან ყრუ) — I, 179
მერმეროე — I. 121-122
მერჩერი (მერსიე) რიკარდო — I. 505
მესხი კ. — II. 374
მესხია შ. — I. 5, 108. 229. 250. 252. 264. 266-267. 269-270. 276. 282. 292. 294-295. 297. 320, 324. 474, 489, 492. 530
მესხიშვილი შ. — II. 374-375
მეტრეველი ე. — I. 299. 497; II. 72. 84
მეტრეველი რ. — I. 6, 245. 262. 271. 320-321
მეჰმედ II — II. 41. 49. 56-57. 65-67
მეჰმედ გირეი — II. 132-133
მეჰმედ-ფაშა — II. 152
მზეჭაბუკ ათაბაგი — II. 97-99
მითრიდატე VI ევპატორი — I, 34-35. 42-43, 50
მითრიდატე იბერიელი (სომხეთის მეფე) — I, 50
მითრიდატე პერგამონელი — I, 43-45
მითრიდატე (პონტოს მეფე) — I, 27
მითრიდატე უმცროსი — I. 35
მილერი მ. — I. 510
მილიერანი — II. 410
მინო — II, 165
მინორსკი ვ. — I. 268, 290, 305
მირან შაჰი — II. 7, 529. 530
მირდატი — I. 78, 83-85, 112-114
მირვანი — I. 29
მირიან ბატონიშვილი — II, 279
მირიან მეფე — I. 67. 73-74, 77. 81
მირხონდი — I, 540-541; II. 6
მიქაელი — I. 315, 328
მიქელ გობრონი — I. 181
მიქელ დე ალიგიერი — II. 52, 54
მიქელ პანარეტოსი — I, 332. 334. 336. 447, 462-464. 508-510. 512-513
მიქლაძე თ. — I, 17-18
მიქელ დავით ნარინის ძე — I. 466. 502
მიშეცკი ე. — II, 131. 178
მიხეილ IV (ბიზანტიის იმპერატორი) — I. 241
მიხეილ VII დუკა — I. 249, 259
მიხეილ თევდორეს ძე — II, 131. 135. 155
მიხეილ VIII პალეოლოგი — I. 436. 438. 443-444, 447
მიხეილ შარვაშიძე — II. 320
მიჰრდატი (სომხეთის მეფე) — I, 33
მიჰრდატი (ქართლის მეფე) — I. 54
მიჰრდატი (ნაჰარარი) — I. 31
მიჰრდატი (ქართველთა დიდი პიტიახში) — I, 31
მოვსეს ხორენაცი — I. 30-32. 39-40. 53. 81
მოვსეს კალანკატუაცი — I, 168-169
მონმერკე — II, 224
მორატი — II, 52
მორჩილაძე დ. — I, 540, 543
მოსე (ცურტავის ეპისკოპოსი) — I, 147. 149. 151-153, 155-158

მოსე ელივარდელი — I. 145-147, 150
მოსე (უტიის მთავარი) — I. 196
მოტტა — II. 423
მოურავიოვი — II. 248
მოჰამედ თაჰერი — II. 192, 209
მოჰამედ ხალილის ძე — I, 187
მუავია — I, 178
მუზაფარ ჰაჯი — I. 51,
მუთავაქილი — I. 186
მუინ ად-დინ ფერვანე — I. 442, 455-456
მუნეჯიმ-ბაში — I, 527
მურად IV — II. 160-161, 177
მურადი — II. 35, 122, 537
მურღულია ნ. — I. 278
მუსინ-პუშკინი — I. 296
მუსირ მუსტაფა ფაშა — II. 319-320, 323
მუსტაფა (თურქეთის სულთანი) — II. 152
მუსტაფა (მეჰმედ II-ის ვაჟი) — II, 65
მუსტაფა ლალა ფაშა — II, 123, 132-133
მუსხელიშვილი დ. — I, 89-90, 96, 112, 128, 197, 210, 224, 227, 350
მუტაფრადინი — I, 330
მუფადდალ აბუ ლ ფადაილი — I. 476
მუღის ად-დინ თოღრულ შაჰი — I, 327
მუღის ად-დინ ტუღრილ შაჰი — I. 358-359
მუჯირ ად-დინ — I. 475, 483
მუჰამედ IV — II. 205
მუჰამედ ხუდაბენდე — II, 123
მუჰამედი (ხორეზმშაჰი) — I. 361
მხითარ გოში — I, 303

## ნ

ნაბედე — I. 136
ნაბოპალასარი — I. 14
ნაბუქოდონოსორი — I. 14
ნადირ-შაჰი — II, 246-247, 288, 335, 358
ნადობნი ვ. — II. 152
ნათია (ალექსანდრე I-ის დედა) — I. 517
ნაკაშიძე ნ. — I. 5; II. 155, 177, 189, 191
ნანსენი ფრ. — II. 385
ნაპოლეონ ბონაპარტი — I. 295, 307-309, 311, 313, 328
ნაპოლეონ III — I, 317
ნარსე — I, 73-75
ნასავი — I, 366
ნასარი — I. 111
ნასირი ხოსროუ — I, 245
ნასირ მუჰამედი — I, 473, 510-511
ნასრა — I. 188-190
ნატროშვილი თ. — I, 339-340, 351, 358, 398-399, 401, 403, 426, 351, 358; II, 160
ნაფიშვილი გ. — I. 396
ნაშჩოკინი — II. 143
ნახორაგანი — I, 125
ნაჯმ ად-დინ ახზაკირი — II, 21
ნეად-ფაშა — II, 324
ნეზამ ად-დინ შამი — I, 533-535
ნეპლუევი — II. 241
ნერვა — I, 40
ნერონი — I. 51, 53
ნერსე — I. 181
ნესვეტაევი — II, 337-338
ნეჯმ ად-დინ ილღაზი — I. 295, 300
ნიზამი — I, 268
ნიკიტა საჭურისი — I. 237
ნიკიფორე ბოტანიატი — I. 259
ნიკიფორე გრიგორასი — I. 510
ნიკიფორე დიოგენი — I, 260
ნიკიფორე ვრიენიოსი — I. 272
ნიკიფორე კომნენი — I, 236
ნიკიფორე მიტროპოლიტი — II. 176, 178
ნიკიფორე ფოკა — I, 206, 233
ნიკოლა — I, 176
ნიკოლაძე ნ. — II, 341, 347-352, 374
ნიკოლო — II. 62
ნიკოლოზ I — II. 315, 319
ნიკოლოზ II, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი — I. 410
ნიკოლოზ V (რომის პაპი) — II, 47
ნიკოლოზ თბილელი — II. 51-53, 62, 85, 91
ნიკოლოზ მისტიკოსი — I. 201-202, 271
ნიკონი — II. 196
ნილო — II. 76-80, 85, 92
ნინიძე დ. — I. 428, 474, 477-479, 482, 484-486, 489, 495-496, 541; II. 8, 16, 59-60, 63, 68, 72, 89
ნინო — I, 78
ნოვოსელცევი ა. — I. 268
ნურ ად-დინ მაჰმუდ ბ. ზენგი — I. 306
ნური-ფაშა — II, 372

## ო

ოდენატი (პალმირის მეფე) — I. 72
ოდიშელიძე — II, 365
ოთარი (არაგვის ერისთავი) — II, 198

ოთალო შარვაშიძე — I, 322
ოლჯაითუ (ხარბანდა) — I, 470-472, 480-482, 485, 487-489,494
ომან ჩოლოყაშვილი — II, 138
ომარ თობანი — II, 6
ომარ მირზა — I, 522; II, 6
ომერ ფაშა — II, 318-320
ორბელიანი (გენერალი) — II, 300, 308
ორბელიანი სტ. — I, 64
ორბელიანი ქაბუა — II, 283-285
ორხანი — I, 509
ორჯონიკიძე ს. — I, 386, 388-390, 392, 39-396, 399, 402, 405, 407
ოსმან ფაშა — II, 136
ოსმანი — I, 509
ოსმანი (არაბთა ხალიფა) — I, 172
ოსტერმანი — II, 274
ოფსიტე — I, 135-136
ოქტავიანე — I, 39, 47

## პ

პავლე წმინდანი — II, 32
პავლე I, რუსეთის იმპერატორი — II, 266, 296, 298-300, 303, 306, 331
პავლე III (რომის პაპი 1534-1549) — II, 107
პავლე ალეპოელი — II, 197, 265-266
პაიჭაძე გ. — I, 5; II, 190-191, 211, 238-239, 245-247, 269-270, 276
პაიჭაძე დ. — II, 46, 49-56, 62, 64, 67
პალმერსტონი — II, 317, 320
პანინი — II, 282
პაოლო ონიბენე — II, 66
პაპასქირი ზ. — I, 193, 203, 206, 213, 217-219, 221-224, 226, 228, 236-238, 244, 246, 248-253, 255, 258-261, 265
პაპუაშვილი თ. — I, 89, 183, 186-187, 195, 197, 224, 245
პაპუნა რაჭის ერისთავი — II, 220-221
პაპუნა, თეიმურაზ I-ის ელჩი — II, 185
პარი პ. — I, 401
პასდერმაჯანი — II, 369
პასკევიჩი — II, 314
პაულუჩი — II, 333
პახომოვი ე. — I, 289-290
პეიჯი — II, 377
პელაგიუსი — I, 401-402, 405
პეროზ II — I, 84, 88, 93-95
პეტრე წმინდანი — I, 410; II, 32
პეტრე, ბიზანტიელი ელჩი — I, 103-104
პეტრე I — II, 238-245, 269-270
პეტრე II — II, 245
პეტრე ბაგრატიონი — II, 336
პეტრე იბერი — I, 83
პეტრე პატრიკიოსი — I, 74
პეტრე პივოვი — II, 138
პეტრე სტრატეგოსი — I, 107
პეტრო დე ნეგრო — II, 103
პეტროს კათალიკოსი — I, 242-244
პეტროს ფრეგოსკუსი — II, 48
პეტრუშევსკი ი. — I, 320
პიერ დ'არნიე — II, 230-234, 299
პიერ დ'ისუდენი — II, 226
პიერ დე ტური — I, 500
პიეტრო ავიტაბილე — II, 169, 171, 175
პიპაჲ ქვენიფნეველი — I, 492-493, 495-496
პიუს II (რომის პაპი) — II, 48, 51-54, 60
პლანო კარპინი — I, 386-387, 389, 392, 430
პლინიუსი — I, 128
პლუტარქე — I, 30, 37
პოლემონი — I, 45, 60
პოლიევქტოვი მ. — II, 131, 377
პომპეუსი — I, 36-38, 40, 42, 48
პოსინი — I, 464
პოტიომკინი გრ. — II, 249, 254-256, 259-262, 268, 291
პოტიომკინი პ. — II, 261-262, 265-267, 307
პოტიე — II, 231
პოტო ე. — II, 321
პოტტო ვ. — I, 294
პრელატი — II, 232
პრისკე პანიონელი — I, 88, 90, 98-102
პრობე პატრიკიოსი — I, 107
პროკოპი კესარიელი — I, 64, 101, 104-105, 107-108, 110, 112, 114-115, 117-122, 127-129, 131-138, 141
პრჟევალსკი — II, 364
პტოლემაიოს დიონისე — I, 43
პუანკარე — II, 412-415
პუბლიუს კანიდიუს კრასუსი — I, 40

## ჟ

ჟაკ და კამერინო — I,500
ჟაკ დე ვიტრი — I, 403
ჟამთააღმწერელი — I, 348, 354, 367-368, 375, 378, 383-385, 390, 395-396,

415.416, 418-423, 426, 428-430, 440, 442, 447, 452, 454-458, 460, 462-464, 467-474, 478, 481, 485-486, 492-493
ჟანენი რენე — I, 476, 481; II, 72-73, 75
ჟან ჟერმენი — II, 47
ჟან შენო — II, 110
ჟვანია გ. — II, 401, 403
ჟვანია ზ. — II, 408
ჟლობა — II, 406
ჟოზეფ აბეი — II, 230
ჟორდანია გ. — II, 85, 170-171, 281, 308
ჟორდანია თ. — I, 291, 517-518, 540, 543; II, 13, 209, 214
ჟორდანია ნოე — II, 362, 367, 374-376, 383, 385, 388, 391, 393-395, 409, 416-419
ჟუჟუნაძე ო. — II, 27-33, 35, 90
ჟურული გ. — II, 374-375
ჟღენტი დ. — I, 497-498; II, 175

# რ

რაინეგსი თ. — II, 254
რამაზი (დავით X-ის ძე) — II, 100
რამიშვილი ნ. — II, 374-375, 377
რამუზიო — I, 431
რანსიმენი ს. — II, 40, 46, 57
რატიანი პ. — I, 108
რატი ბაღვაში — I, 217-218
რატი სურამელი — I, 321-322, 426
რაშიდ ად-დინი — I, 364, 434, 507
რევ მართალი — I, 73
რევერანი ჟან — II, 233
რეხვიაშვილი მ. — I, 458
რიკერტი — II, 374
რიუსტოვი — II, 320
რიშარი ჟ. — I, 501; II, 225-231, 234-236
როდოლფ კოგეშალი — I, 404
რომან დიოგენე — I, 255
რომანოზ I — I, 199
რომანოზ III — I, 238
რორიხტი რ. — I, 401
როჟერი — I, 295
როსტომ I (ხოსრო-მირზა) — II, 142, 164, 166-167, 172, 180, 183, 187, 190-191, 194, 211
როსტომ გურიელი — II, 107, 111-112
როსტროპოვიჩი — II, 306
როტშილდი — II, 323
როჰი (თემურ-ლენგის ძე) — II, 10-13, 15-18, 23-24, 36-38
რტიშჩევი — II, 312, 338-340
რუბინო — I, 410
რუბრუკვისი გუილიომ — I, 392, 394, 405
რუდოლფ II — II, 124
რუი გონსალეს დე კლავიხო — I, 515, 517, 522, 538; II, 5-7
რუსთაველი შოთა — I, 270-271, 275, 278, 282, 310, 322, 347, 502; II, 83
რუსინ დანილოვი — II, 135-137
რუსუდანი (დემეტრე I-ის ასული) — I, 306, 313, 316-317, 328
რუსუდანი (გიორგი III-ის ასული) — I, 313, 315
რუსუდანი (საქართველოს მეფე) — I, 327, 338, 358-360, 363-364, 368, 370-375, 379-382, 384-386, 389-390, 402-403, 406-409, 411-412, 428-429, 432, 455-456; II, 86, 88
რუფინუსი — I, 76
რუქნ ად-დინი — I, 331
რცხილაძე გრ. — II, 374

# ს

სააკაძე ავთანდილ — II, 161
სააკაძე გიორგი — II, 142, 146-151, 157-167, 170
სააკაძე იორამ — II, 167
სააკაძე პაატა — II, 158
საბა მდივანი — II, 143
საგდუხტი (ვახტანგ გორგასლის დედა) — I, 79, 85
სადუნ მანკაბერდელი — I, 375, 397, 418, 422, 427, 453
სალაჰ ად-დინ აიუბი — I, 338-339, 352
სალმანასარ III — I, 9
სამარა (მცხეთის მამასახლისი) — I, 22
სანაძე მ. — I, 478-479
სარგის თმოგველი — I, 378, 384-385
სარგის მხარგრძელი — I, 321-322
სარგის ჰაიკაზნი — I, 242, 244
სარგის I ჯაყელი — I, 418-419, 452-456, 465
სარგის II ჯაყელი — I, 489, 499, 504
სარდურ II — I, 11-12
სარიმ ად-დინ იბრაჰიმ იბნ დუკმაკი — I, 493

საურმაგი — I. 28-29. 82
საფარ-ბეგი — II. 310
საფარ-ფაშა — II. 163
სალირაშვილი ალ. — II. 393
სალირ კოლონკელიძე — I. 322
საყვარელიძე პ. — II. 374
საჰაკ იბნ ისმაილი (თბილისის ამირა) — I, 186
სებასტიან კნაბი — II. 195
სევასტოფორი — I. 214
სევინდუქ ბეგი — II. 114. 116
სევინჯი — I. 323
სელიმ I — II. 96. 98-99. 115
სელიმ II — II. 122
სელიმ-ხანი — II. 175-176
სენექერიმ არწრუნი — I, 231-233. 243
სერაპიონ ზარზმელი — I. 108
სერაფინო მელიყოკა — II. 197
სერგი ბარნუკის ძე — I, 178
სესილი რ. — II, 385
სეფი I (ირანის შაჰი 1629-1642) — II, 166, 174. 200
სვანიძე ალ. — II. 416-418
სვანიძე მ. — II, 40-41, 48, 98. 101, 110, 112. 117. 119. 123. 133, 151, 153. 162, 164-165, 169-170
სვიმონ გურიელი — II. 288. 290
სვიმონ მაყაშვილი — II, 281
სვიმონი (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ბედიელ-ალავერდელი) — I, 289
სიბუჩი — I, 472
სიდამონიძე უ. — II, 408
სიენი — I, 8
სივნიელი („ბურთელ-ბირთველი“) — I, 497
სიიდი ალი შაქისელი — I, 530-531
სიიდი აჰმედი (შაქის მმართველი) — II, 7, 10
სილაგაძე ბ. — I. 172, 174-175, 179, 186, 195, 219, 230, 233-235, 238, 356, 359-361, 372, 374-375. 379, 382, 384, 387-388. 401, 411-412, 429, 432. 437, 477, 481. 483, 493, 496
სილოგავა ვ. — I, 386
სიმონ დე ლილი — II, 103
სიმონ მესვეტე — I, 105
სიმონოვიჩი — II, 309
სიმონ I — II, 119-120, 123-126, 132, 147
სიმონ-ხანი — II. 157, 171-172
სირეტუს დე რომეო — I, 514
სიროპულოსი — II, 30-33
სირჩანი — I. 278
სიხარულიძე ე. — I, 173. 175. 177
სიხარულიძე ი. — I. 387. 412, 433. 440-441. 443. 448. 452. 454
სკეპარნა — I. 135-136
სმბატ ბაგრატუნი — I, 142, 152-153, 155-159
სმბატ სპარაპეტი — I. 221
სმბატ ტიეზერკალი — I, 191-195
სმიტი — II. 363, 367. 370
სობესკი ი. — II. 205
სოკოლოვი — II. 305
სოლალაი — I, 501
სოლომონ I — II, 255-256. 260. 265. 280-283
სოლომონ II — II, 288, 293, 298. 302, 305, 308-309
სოლდარი — I. 427
სორეხ შარვაშიძე — II. 212
სოსელია გ. — I, 320
სოსელია ო. — II, 111
სოფიო პალეოლოგი — II, 45
სტალინი ი. — II, 378. 386. 388-390, 39-396, 402. 405, 407. 416-417
სტეფანე ბურსელი — I. 309
სტეფანე მტბევარი — I. 181
სტეფანე პოლუხანოვი — II. 138
სტეფანოზ (ქართლის ერისმთავარი) — I. 164
სტეფანოზ ბაგრატიონი — I, 140
სტეფანოზ ორბელიანი — I, 375
სტეფანოს ტარონაცი — I, 212, 214, 217, 222, 264
სტეფნაძე ჯ. — I. 270, 289. 305, 347. 353
სტრაბონი — I, 30, 33-34. 40, 45. 64
სტურუა დ. — II, 408
სუბუდაი — I, 355-356. 360, 367. 407
სულეიმან I — II, 101, 104-105, 109-117, 119, 121
სულეიმან შაჰი — II, 194, 198, 202, 207, 211, 313
სულთან ხალილი — II. 74
სულხან-საბა ორბელიანი — II. 200. 224-238
სუმბათაშვილი — II, 418
სუმბატ I ბაგრატიონი — I, 198
სუმბატ ბაგრატუნი — I, 212, 228
სუმბატ დავითის ძე — I, 107-108. 184, 222. 225. 227-228. 234. 236. 264
სუმბატ ორბელი — I. 309
სურგულაძე ა. — II. 395. 398. 408

სურგულაძე ი. — II. 269, 310
სურგულაძე პ. — II. 374
სუხანოვი ა. — II, 183, 186
სუხოტინი — II, 251, 276
სფორცა — II. 55-56, 384
სფრანძესი — II. 40

## ტ

ტაბარი — I. 173, 176-178
ტაბატაძე კ. — I. 434, 523, 525, 527, 529-532, 534-535, 539, 541, 544-545; II, 8, 129
ტაბაღუა ი. — I. 402-403, 407-410, 426, 484, 499-500, 502; II. 29, 80, 108, 124-125, 168-170, 225, 230, 234, 246, 408
ტაბუცაძე ო. — II. 62, 77-78
ტანღან მელიქ სულთანი — I. 294
ტარდი ლ. — I. 403-404; II. 26-27, 34, 48-49, 53, 61-62, 64, 66, 73, 104-105
ტარსაიჭ ორბელი — I. 427
ტატიშჩევი ვ. (ისტორიკოსი) — I. 264; II. 143-144
ტაციტუსი — I. 49-50
ტერდატე — I. 122
ტიბერიუსი — I. 49
ტიგლათფილასარ — I. 8
ტიგრან II — I, 36, 38
ტივაძე თ. — I. 524; II, 131, 135, 168, 176, 189, 192-193
ტიმესითეოსი — I. 19
ტირიდატე — I, 49
ტოლოჩანოვი ნ. — II, 45, 180-184, 186-187
ტუღლუზ-აღა — I. 381
ტონღუზ ხათუნი — I. 417-418
ტურეგინა-ხათუნი — I. 388
ტორმასოვი — II. 309, 331
ტოტილა — I. 120
ტოტლებენი — II. 276
ტრაიანე — I. 54
ტროცკი ლ. — II. 392, 399, 402-403, 407
ტრუბეცკოი — II, 324
ტუჩკოვი — II, 329
ტუხაშვილი ლ. — I. 351, 353, 372, 375, 420, 426-427, 443, 461, 490, 491; II. 82-83, 149

## უ

უგედეი ყაენი — I. 368, 380, 388
უგუჩინო — I, 410
უზბეგი, ათაბაგი ილდეგიზიანი — I. 355-356, 360-361, 366, 491, 493, 498, 505
უზუნ-ჰასანი — II. 39, 49, 52, 54, 56, 58-65, 67-69, 74
უთუფურში — I. 10
უმკეი — I. 397
უნდილაძე დაუდ-ხანი — II, 172
უორდროპი მ. — II, 382
ურატაძე გრ. — II, 383, 392-394
ურბან VIII (რომის პაპი) — II, 167, 171
ურბნელი ნ. (ბიზანიშვილი) — I, 275, 294
ურდური (ოვსეთის მეფე) — I, 239-240
ურუშაძე ა. — I, 130
უსპენსკი თ. — I, 44-445; II, 40
უხტანესი — I, 147, 151

## ფ

ფაბია — II. 52
ფადლ ბენ მუჰამედი (განძის ამირა 985-1031) — I. 226-228, 25-254, 256-257
ფავსტოს ბუზანდი — I. 82
ფალავანდიშვილი ე. — I. 296, 299, 303
ფალმერაიერი — I,334, 464
ფანჯიკიძე გ. — II. 408
ფარიბურზ I — I. 285
ფარად-ფაშა — II. 157
ფარანდატე — I. 16
ფარნავაზი — I. 14, 23, 25-26, 28-29, 67
ფარნაკი (ბოსფორის მეფე) — I, 43-44
ფარნაჯომი — I, 31-33
ფარსმანი — I. 125
ფარსმან I — I. 50-51
ფარსმან II. ქველი — I. 56, 58-59, 62-63, 67-68, 70
ფარსმან III — I, 70
ფარტაძე (ლაზი წარჩინებული) — I. 65, 124
ფარცვანია თ. — I, 362
ფარხადავლა — I, 383
ფეჰარ-ხანი — II. 158
ფელიქს კოლდაკი — I, 327, 329

ფერდინანდ I — II, 103-104, 109
ფესტუსი — I, 42
ფიგეროა — II, 168
ფილიპე II (ესპანეთის მეფე) — II, 124
ფილიპე III (ბურგუნდიის ჰერცოგი XVს.) — II, 47
ფილიპე IV (ესპანეთის მეფე) — II, 167-168
ფილიპე VI ვალუა — I, 504-505
ფილიპე ორლეანელი (რეგენტი) — II, 236
ფილიპე შვაბიელი — I, 333
ფინალეი — I, 334
ფირ-ახმედი — II, 60, 65
ფიშერი — II, 385
ფლავიუს არიანე — I, 56-57, 61, 129-131
ფლერიო — II, 232
ფოკა (რომის იმპერატორი 602-610) — I, 165, 169
ფრაატ IV — I, 49
ფრანსუა I — II, 102
ფრანძონი — II, 414
ფრიდრიხ II ბარბაროსა — I, 404-405; II, 84
ფრიდრიხ II (პრუსიის მეფე) — II, 351
ფრიდრიხ III (რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი) — II, 53
ფუთურიძე ვ. — II, 117, 121, 142, 150
ფულკი — I, 297
ფუნდუყდარი — I, 438, 455
ფურცელაძე ა. — II, 164
ფუტკარაძე ი. — II, 407

## ქ

ქავთარაშვილ-ბარათაშვილი გ. — II, 160
ქავთარაძე პ. — II, 374
ქავთარია გ. — I, 18
ქავთარ ივანეს ძე — I, 309
ქავთარ ტბელი — I, 217
ქაი-ყუბალი — I, 368-370, 373
ქაიხოსრო I — II, 112
ქაიხოსრო II (ქართლის მეფე) — II, 226
ქაიხოსრო II (სამცხის ათაბაგი 1545-1573) — II, 104, 107-108, 110,112
ქაიხოსრო გურიელი — II, 220
ქაიხოსრო მუხრანბატონი — II, 162
ქამარ-ბეგი — II, 204
ქარადანი (ფარსადან ქარციხელი) — II, 52-53
ქართლოსი — I, 343
ქეთევან (კახეთის დედოფალი, დავით I-ის ცოლი) — II, 146, 156
ქეთევან (იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ის ცოლი) — II, 210, 216
ქეილათუ-ყაენი — I, 458, 468
ქემალ ად-დინ ქამიარი — I, 371, 373
ქერიმ ხანი — II, 256, 272
ქიაზიმ ყარაბექირი — II, 399
ქიქოძე გ. — I, 387, 405; II 257, 274, 277, 286
ქიშმიშოვი — II, 288, 258
ქრამ-ხუარ-ბორზადი — I, 69, 82
ქრიზოსტომოსი — II, 32
ქრისტე — I, 77, 93, 155-156
ქრისტეფორო ბაურო — II, 64
ქსენოფონტე — I, 17-18, 20
ქსერქსე — I, 16
ქსიფე — I, 233-234
ქუცნა ამირეჯიბი — I, 517-520
ქუჯი — I, 14, 23, 27

## ღ

ღალღური — I, 421, 440-442
ღაიბი — II, 20
ღვაბერიძე ც. — I, 390, 397, 413, 431, 434, 507, 431
ღიას ად-დინ ქაიხუსრევ II — I, 358, 372-373, 379, 383, 387, 42, 455-456
ღოღობერიძე ბექან — II, 195, 211
ღუნაშვილი ვ. — I, 474, 478,-479, 481, 489-490, 494-496
ღუქოვიმი — II, 337

## ყ

ყაზან-ყაენი — I, 434, 455, 458, 460, 467-470, 473-474, 476, 479-481; II, 89
ყარა-იუსუფი — II, 7-14, 37
ყარა ოსმან თურმენი — I, 529
ყარჩიხა-ხანი — II, 157-158
ყაუხჩიშვილი თ. — I, 42, 55, 64, 69
ყაუხჩიშვილი ს. — I, 5, 13, 63, 86, 90, 93, 98, 100-101, 104, 107, 109, 126-127, 129, 131-134, 137-140, 168, 170, 184-185, 196, 203, 231, 274, 322, 368; II, 25, 41, 95, 105-106, 143
ყვარყვარე — I, 489, 504
ყვარყვარე II — II, 47-48, 52-55, 59, 65-66, 68-69, 74

ყვარყვარე III — II, 99-101, 104
ყიზილ აჰმედ მირზა ოღლი — II, 99
ყიფშიძე შ. — I, 491
ყოობ ედ-დინ ისმაილი — I, 262
ყუბასარი — I, 315, 318
ყუთლუ-არსლანი — I, 315, 320-321
ყუთლუ-ბუღა — I, 427-428, 432, 456-457
ყული — I, 415
ყურმიში — I, 491

## შ

შაბურ I — I, 70-72, 75, 78
შაბურ II — I, 80-81
შაბურ III — I, 65, 82
შადინი — I, 416
შაიშმელაშვილი ი. — I, 96
შალვა ახალციხელი — I, 363, 383
შალვა ქვენიფნეველი — I, 469, 473, 492, 496
შალიკაშვილი ო. — II, 105, 108
შამილი — II, 318
შამს ად-დინ ელდიგუზი — I, 306, 313
შანშე მხარგრძელი — I, 349, 377-378, 380, 383, 385, 395, 47-473
შარაგასი — I, 54
შარდენი ჟ. — I, 198, 216
შარაშიძე ქ. — II, 9-10, 38-39, 98
შარაძე გ. — II, 393, 408
შარვაშიძე ა. — II, 310, 312
შარვაშიძე დ. — I, 383
შარვანიძე ქ. — II, 307, 310
შარლ VII — II, 47, 55-56
შარპაკალი — I, 169
შარფი — II, 367
შაუმიანი — II, 378
შახმატოვი ა. — I, 268
შაჰ ყული ბინ ჰამზა უსთაჯლუ — II, 114, 116
შეინმანი ა. — II, 400
შეიხ ჰასანი — I, 508
შენგელია ნ. — I, 5, 246, 249, 351-252, 256-257, 261-262, 284, 370, 373, 383, 442, 455-456, 464; II, 105,110
შერეფ ად-დინ ალი-იეზიდი — I, 540-541
შერეფ-ხან ბითლისი — II, 129
შეშუმი — II, 183
შველიძე დ. — I, 447-448
შიხ ყული-ხანი — II, 202
შიჰაბ ალ-დინ ღაზი — I, 358
შოთა ძე ართავაზის ძისა — I, 309
შოთა კუპრი — I, 380, 385, 396
შოშიაშვილი ნ. — I, 65, 83, 377, 386, 397, 428
შოშიტა, რაჭის ერისთავი — II, 220
შურტა, კვირიკე ქორეპისკოპოსის ძმა — I, 203
შუშანიკი — I, 94

## ჩ

ჩერჩილი უ. — II, 379
ჩინგიზ-ყაენი — I, 355, 362, 364, 386, 388, 391, 402, 415, 503, 514-515
ჩიჩერინი გ. — II, 388, 392, 394, 396, 401, 403, 412-415
ჩიჯავაძე ქ. — II, 283
ჩობან-ნოინი — I, 482, 487-489, 491, 495, 497-498, 503, 507
ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი) — II, 261-262
ჩოლოყაშვილი გ. — II, 178
ჩოლოყაშვილი ნ. — II, 167-168, 180-171
ჩორმაღან-ნოინი — I, 364, 369-370, 375, 377, 379, 394
ჩოჩიევი ე. — I, 98, 105, 108-110, 113, 115-116, 118-120, 123, 126, 151, 174
ჩხარტიშვილი მ. — I, 106
ჩხატარაიშვილი ქ. — II, 275-276
ჩხეიძე კ. — II, 366, 374, 379
ჩხეიძე ს. — II, 212
ჩხენკელი ა. — II, 365-366, 372, 374-375, 377, 387, 410-411, 413-415, 417, 420

## ც

ცაგარეიშვილი ე. — II, 64, 186, 191, 214, 216, 221, 231, 233, 241
ცაგარელი ა. — II, 254
ცაფერისი ვ. — I, 483-484
ცინცაძე ი. — I, 5, 245, 264-265, 325, 328, 356, 376; II, 45, 61, 76, 92, 130, 179-180, 182, 184, 186, 254, 281, 286
ცინცაძე მ. — I, 270-271, 278; II, 127
ციციანოვი პ. — II, 331, 336
ციციშვილი ფ. — II, 157
ცოტნე დადიანი — I, 395
ცქიტიშვილი გ. — I, 322
ცქიტიშვილი ზ. — II, 274, 276, 291, 293
ცქიტიშვილი ო. — I, 5, 173-174, 176, 232-233

# ძ


ძამანარძე (ზამანარზი) — I, 109-110, 114-115
ძურძუკი — I, 343


# წ


წათე I — I, 115-116, 124, 141
წერეთელი ა. — II, 341, 352-357
წერეთელი გ. — II, 68
წერეთელი ზ. — II, 283
წერეთელი ი. — II, 374-375, 413
წერეთელი ქ. — II, 283-264, 309
წულაია გ. — I, 365
წულუკიძე ს. — II, 283


# ჭ


ჭავჭავაძე ი. — II, 341-347
ჭიაბერი — I, 315, 322
ჭილა აბაზას ძე (ამირეჯიბი) — I, 473
ჭილაშვილი ლ. — I, 96, 176, 220
ჭიჭინაძე გ. — II, 285-286, 295
ჭუჭუნაშვილი ვ. — II, 210-211, 214
ჭყონია ალ. — II, 67


# ხ


ხალდი (ღვთაება) — I,. 10-11
ხალილ-ბეგი — II, 74
ხალილულაჰ I — II, 10, 16
ხანთაძე შ. — II, 281, 308
ხანიკოვი წ. — I, 268
ხარიტონი — II, 153-155
ხაყანი შარვანი — I, 267-268
ხახანი — I, 11
ხელაია ა. — II, 414
ხვატოვი ა. — II, 176
ხვაშაქ ცოქალი — I, 321
ხიმშიაშვილი ს. — II, 313
ხიმშიაშვილი შ. — II, 323
ხინთიბიძე ე. — II, 79, 92
ხოლეფა-ბეგი — II, 95
ხომერიკი ნ. — II, 375
ხორეშანი (ლუარსაბ II-ის და) — II, 143, 179
ხოსრო I ანუშირვანი — I, 64, 66, 85, 104, 109, 118-121, 125, 131, 134, 136, 141
ხოსრო II ფარვიზი — I, 79, 164,-165, 169-170
ხოშტარია ე. — I, 5, 276
ხოჯა-ზიზი — I, 417,418
ხოჯსონი რ. — II, 415
ხსეფარნუგი — I, 68
ხუბუა — II, 207-208
ხუსრევ-ფაშა — II, 164-165, 167
ხუდარი — I, 312
ხუნდაძე გ. — II, 378
ხურიანე — I, 121
ხურშიტა ჩერქეზი — II, 137
ხუტლუშა (ყუთლუშა) — I, 468-473, 488
ხუციშვილი — II, 64


# ჯ


ჯავახიშვილი ივ. — I, 5-6, 76, 8 6, 88, 90, 97, 100, 108, 140, 152, 165, 168, 173, 175, 177, 179, 189, 192, 198. 202, 215, 219, 221-222, 235, 241, 250, 275, 232, 300, 3,5, 310-312, 315-316, 320, 324, 327, 347-348, 367, 375, 382, 386-387, 390-391, 395, 430-433, 435, 437, 439-441, 445, 449, 452-455, 459, 465, 476, 510, 522, 525, 536; II, 10, 35, 37-38, 46, 49, 75, 78, 84, 94, 123, 172-173
ჯავახიშვილი ქ. — II, 157
ჯაველიძე ე. — I, 372-373
ჯაკმაკი — II, 20-24, 36-38
ჯალალ ედ-დინი — I, 361-369
ჯალაღანია ი. — I, 424
ჯამბურია გ. — II, 146-148
ჯანასი — I, 421
ჯანაშვილი — I, 265
ჯანაშია ლ.-ნ. — I, 79, 83, 85-86, 91, 94-95
ჯანაშია ს. — I, 5, 36, 48, 54, 69, 77, 80, 85, 97, 104, 127, 141, 171-175, 179. 215, 296; II, 277, 286
ჯარაჰი — I, 179
ჯაფარიძე (სოლომონ II-ის დესპანი) — II, 302
ჯაფარიძე გ. — I, 177, 299, 304-306, 312, 339-340, 351, 353, 356-361, 363, 368-370, 375-376, 381-383, 387-388, 398-

401, 477, 482-483, 511; II, 20-24, 37-38, 49, 84
ჯაფარიძე ი. — II, 374
ჯაფარიძე ლ. — II, 187-188
ჯაფარ-ფაშა — II, 126
ჯაჰან შაჰი — II, 14-15, 17-18, 23, 36-39
ჯებე — I, 355-356, 360, 367, 407
ჯიულეტი — II, 384
ჯიქია ს. — II, 105, 159-162
ჯიქური — I, 396
ჯოვანი ვიტეზი — II, 48
ჯოვანი მარია ანჯოლელო — II, 68
ჯორჯი ლ. — II, 65-67, 69
ჯუანშერი — I, 78, 86, 88-90, 92-94, 96-97, 107-108, 110-114, 137-139, 141, 170, 179
ჯულიჩე ჯუზეპე — II, 168
ჯულიჩი — II, 324
ჯუვეინი — I, 364-365
ჯუსტინო — II, 206
ჯულელი ვ. — II, 418
ჯუჩი — I, 415

## ჰ

ჰაბიბ იბნ მასლამა — I, 172-176, 179
ჰაზარავუხტი — I, 94
ჰამადა სურამელი — I, 473
ჰამადოლა — I, 382, 386, 388-389
ჰანან ქუჩუკი — I, 507-508
ჰანვეი — II, 208
ჰასანი — I, 195
ჰასან რუმლუ — II, 74, 99, 121
ჰასი შტეინსკი — I, 411
ჰაფეზე აბრუ — I, 508, 540
ჰაფიზ ფაშა — II, 159
ჰაჯი მაჰმადი — II, 62
ჰეთუმ — I, 384, 430
ჰეკერი ა. ი. — II, 399
ჰენიგი რ. — I, 401
ჰენრიხ I (ინგლისის მეფე 1100-1135) — I, 309
ჰენრიხ IV (ინგლისის მეფე) — I, 516
ჰეროდოტე — I, 15, 20
ჰონორიუს III (რომის პაპი) — I, 402, 407-408
ჰორმიზდ II (ირანის შაჰი) — I, 80
ჰორმიზდ IV (ირანის შაჰი) — I, 108, 164-165
ჰოჰანესი — II, 36
ჰულაგუ-ყაენი — I, 397, 412, 415, 418-420, 432, 441
ჰუსეინ I (ირანის შაჰი) — II, 208, 226-227, 238
ჰუსეინოვი რ. — I, 290

## А

Абага-хан – I, 424
Аваг – I, 378
Авалов З. – I, 375, 377
Агаджанов С. Г. – I, 249
Ага-Магомед-Хан – I, 272-273, 278
Агаян А. – II, 159
Алексидзе Л. – I, 38
Али-заде А. А. – I, 413
Амиранашвили А. И. – I, 48
Андрей Боголюбский – I, 326
Аннинский С. А. – I, 392
Анчабадзе З. В. – I, 140, 184-187, 189, 193-194; II, 219
Арутюнова-Фиданян В. А. – I, 259; II, 159
Ахситян – I, 306
Ашурбейли – I, 305

## Б

Бартенев – II, 306-307
Бартикян Р. М. – I, 242
Бартольд В. В. – I, 108, 189, 306, 394
Бату-хан – I, 385-386, 388
Белинницкий – II, 116
Белокуров С. А. – II, 137, 143
Беляев Е. А. – I, 207
Берадзе Т. – I, 432-434, 436-438, 443-444, 451, 514, 531; II, 66, 70
Бестужев И. – II, 321
Богверадзе А. – I, 179
Бокщанин А. Г. – I, 39, 47, 55
Босворт К. Э. – I, 207; 284
Броссе М. – II, 178, 182, 188, 199, 215, 241, 243-245
Буннатов З. М. – I, 291, 303-306; 365
Бутков П. Г. – II, 239, 256, 272-276, 278-279, 297, 302; 328
Бурнашев С. Д. – II, 326

## В

Вабаханян Аракел – II, 288
Вардан Великий – I, 286
Вахтанг VI – II, 239, 242
Владимир Мономах – I, 279

## Г

Гамезардашвили З. – II, 170
Гарсоян Н. Г. – II, 81
Георгий III – I, 305-306
Георгий XIII (XII) – II, 298-299, 301
Геродиан Элий – I, 130
Голубцова Е. С. – I, 44
Гольман М. И. – I, 392-393
Гордлевский В. А. – I, 373
Греков И. Б. – I, 513, II, 45, 109
Григорьева В В. – I, 394
Гудович – II, 273
Гумилев Л. Н. – I, 362, 392-394, 404
Гусейнов Р. – I, 290, 304
Гусейн-Хан – II, 273
Гюзалян Л. Е. – I, 350

## Д

Давид Строитель – I, 266, 289
Давид Царевич – II, 328
Дария II, 276, 278
Дашкова Катарина – II, 248
Джавахишвили И. А. – I, 223
Джалагания И. – I, 416, 424
Джанашия С. Н. – I, 183-184, 216, 219
Джелал-ад-дин – II, 365
Дондуа В. Д. – I, 223
Дубровин Н. – II, 301-302, 308, 313
Дружинина Е. Н. – II, 256
Дундуа Г. Ф. – I, 42
Дьяконов И. М. – I, 9
Дьяконов М. М. – I, 72, 120

## Е

Егоров В. Л. – I, 382
Екатерина II – II, 273
Ениколопов И. – II, 330
Еремян С. – I, 108, 286

## Ж

Жордания Г. – II, 170

## З

Заборов М. А. – I, 292, 402
Завакин Е. С. – II, 163
Зикова – II, 321

## И

Ибн-ал-Асир – II, 366
Ибраим-Хан – II, 273
Иоаннисян А. Р. – II, 295, 300, 330
Иосия Емин – II, 288
Ираклий – II, 272-273, 275, 279

## К

Казакова Н. А. – II, 27
Карпов С. П. – I, 459, 464-465, 475; II, 25, 34, 47
Кафаров П. – I, 394
Квинитадзе Г И. – II, 391
Кекелидзе К. С. – I, 105
Кемал Мустафа – II, 386
Киракос Гандзакеци – I, 352, 377, 381, 384-386, 394-395
Колесницкий Н. Ф. – I, 308
Колюбкин Б. – II, 322
Кокиев Г. А. – I, 269
Котляр Н. Ф. – I, 279
Крупнов Е. И. – I, 272, 345
Кудрявцева О. В. – I, 52
Куник А. – I, 445
Кущева Е. Н. – II, 130

## Л

Латышев В. – I, 130
Левченко М. В. – I, 168
Ленин В. И. – II, 388

Лисцов В. – II, 238, 239, 241
Литаврин Г. Г. – I, 206, 247
Ломидзе Е. М. – II, 33
Ломоури Н. Ю. – I, 36, 38, 44-45, 49, 51, 60, 62, 166, 214, 216
Лордкипанидзе Г. А. – I, 43
Лордкипанидзе М. Д. – I, 96, 179, 184-185, 187, 189, 195-198, 203, 208, 213, 217-218, 221, 224, 258
Лукпанович – II, 317
Луконин В. Г. – I, 68, 71
Люденлорф Э. – II, 374, 376

# М

Магидович И. П. – I, 394
Магомедов Р. М. – I, 208
Максимова М. И. – I, 17, 20, 45
Манандян Я. А. – I, 38, 166, 219-220, 419, 450
Манфред А. З. – II, 307
Марко Поло – I, 431
Маркова О. – II, 296
Маркс К. – II, 319
Марр Н. – I, 446
Мартенс Ф. – II, 82, 323-324
Мачарадзе В. – II, 262, 271
Машкин Н. А. – I, 46-47, 72
Меликишвили Г. А. – I, 8-10, 12, 49, 69, 72, 103, 105
Менучехр II – I, 306
Месхия Ш. А. – I, 325-326; II, 183, 189, 193
Микиртумян Г. Г. – I, 189
Миллер А. Ф. – II, 104
Минаев И. П. – I, 394
Минорский В. Ф. – I, 197, 253, 290
Моммзен Г. – I, 46-47
Муджир ад-дин Умар ибн Сада ал-Хорезми – I, 366
Мурадян П. М. – I, 324

# Н

Надирадзе Л. Н. – I, 172
Накашидзе Н. Т. – II, 153, 168, 177, 191
Наполеон Бонапарт – II, 307, 328
Новичев А. Д. – II, 109, 205
Новосельцев А. П. – I, 208, 269
Нодия И. М. – I, 255, 259-260

# О

Орбели Р. – II, 329

# П

Пайчадзе Г. – II, 243, 245
Папаскири З. В. – I, 236, 246, 270
Пашуто В. Г. – I, 278, 382
Пахомов Е. – I, 290
Петр I – II, 239, 242
Петрушевский И. П. – I, 320; II, 10-12, 15, 95, 116
Пигулевская Н. В. – I, 66, 113, 165; II, 116, 122, 272
Пипия Г. – II, 374
Плетнева С. А. – I, 278
Полиевктов М. – II, 143
Поляк А. Н. – I, 439
Потто А. – II, 315-316

# Р

Рамазанов Х. Х. – I, 272, 345
Ранович А. Б. – I, 42
Рансимен С. – II, 40, 47, 50, 57
Рашид ад-дин – I, 364
Ростопчин – II, 306-307

# С

Садр ад-дин Али ал-Хусайни – I, 306
Сипенкова Т. М. – I, 174
Скабаланович Н. В. – I, 219
Смирнов Н. А. – II, 103, 129
Соколов А. – II, 305
Степаненко В. П. – I, 231-232, 241-242, 244
Степанов А. С. – II, 41
Стенналзе Дж. – I, 305
Строева Л. В. – II, 116
Стучевский И. А. – I, 7

## Т

Табагуа И. II, 225
Таканшвили Е. – I, 465
Тамара – I, 345
Тарле Е. В. – II, 319-320
Тер-Мкртчян Л. Х. – I, 517
Тивадзе Т. Г. – II, 156
Тизенгаузен В. Г. – I, 491
Тихомиров М. Н. – I, 325
Токарский Н. – I, 183
Троцкий Л. – II, 407

## У

Удальцова З. В. – I, 120, 133, 201, 259; II, 27
Успенский Ф. Н. – I, 167, 335, 362, 383, 459; II, 40

## Ф

Фадеев А. – II, 242, 295, 300, 320

## Х

Ханларян Л. А. – I, 353
Хачатурян А. А. – I, 350
Хундадзе Г. – II, 378

## Ц

Цагарели А. – II, 84, 255, 273-274, 279, 282, 289-290, 293, 298, 302-303
Церетели Г. В. – I, 68
Цинцадзе Я. З. – I, 325-326; II, 183, 189, 193
Цицианов Захар – II, 272
Цицианов П. Д. – II, 306-307
Цулая Г. В. – I, 365

## Ч

Чармагун Нойн – I, 378
Чентиева М. – I, 272, 345
Черчилль У. – II, 379
Чингиз-хан – I, 393
Чочиев В. Г. – II, 126
Чубинашвили Г. Н. – I, 164

## Ш

Шавхелишвили – I, 272, 345
Шенгелия Н. – I, 383, 475
Шихаб ад-дин Мухаммад ан-насави – I, 361, 365-366
Шихсаидов А. Р. – I, 272, 345

## Э

Эмин Н. – I, 286
Энгельс Ф. – II, 319
Эфендиев О. А. – II, 11, 95-96, 99

## Ю

Юзбашян К. Н. – I, 207, 224, 232, 241-243, 245, 249
Юзефович Т. – II, 311-312

## Я

Якубовский А. – I, 66, 514; II, 116

## A

Allen W. – II, 243
Appiani – I, 42
Atixa A. S. – I, 292
Avalishvili Z. – I, 214

## B

Baldwin M. W. – I, 284
Batista G. – II, 431
Bonnet Jean – II, 235
Bosworth C. E. – I, 284, 304, 352
Boyle A. – I, 284
Brehier L. – I, 126
Brosset M. – I, 303; II, 224, 231, 234

## C

Cahen C. - I, 284
Cassius Dio - I, 36, 42-43
Cumont F. – I, 60

## D

Darico E. – I, 167
Debevois N. C. – I, 38

## E

Evans J. A. S. – I, 99

## F

Fekete L. - II, 116

## G

Gelzer H. – I, 167
Gerland E. – I, 166
Gill T. – II, 27
Grusset R. – I, 188

## H

Hambis L. – I, 394
Hanwai – II, 201
Hazard H. W. – I, 285
Holldack Felix – I, 329
Honigmann E. - I, 70

## J

Jacques de Vitri – I, 351
Jenkins J. K. – I, 43
Justinians – I, 120

## K

Karagannopulos G. – I, 167

## L

Lambton A. K. - I, 285
Lang D. M. – II, 225, 243
Levis B. – I, 352

## N

Nöldeke Th. – I, 120

## M

Manvelichvili A. – II, 47
Marquart I. – I, 109
Mayer H. F. – I, 292
Minorsky V. – I, 305

## O

Obolensky D. – I, 199
Ostrogorsky G. – I, 199, 125, 165, 168

## P

Partus A. – I, 167
Pernice A. – I, 165, 168
Petros Patricius – I, 74

## R

Rachewiltz I. – I, 392
Ramusio G. B. – I, 431
Richard T. – I, 358, 394, 405, 501, 505
Rubin B. – I, 120

## S

Sanaullah F. – I, 285
Sapurs III – I, 65
Schneider C. – I, 120
Speck P. – I, 166-167
Sprenglibg M. – I, 170
Stein E. – I, 168
Stewart Albrey – I, 351

## T

Tacitus – I, 53, 60
Tamara – I, 327
Tamarati M. – II, 225, 235
Tansses E. – II, 24
Tardy L. – I, 406
Toumanoff C. – I, 90, 93, 229

## V

Vakhtang VI – II, 225

## W

Welser G. – II, 49
Wolf R. L. – I, 285

## Y

Yazdan-Friy-Sapur – I, 65

# გეოგრაფიული სახელები

## ა


აბაზგთა სამეფო — I, 61
აბაზგია — I, 122, 127-129, 131-135, 137-138. 140, 164, 166, 202, 234, 247
აბასთუმანი — II, 314. 377
აბასკოსი — I. 129, 131-132
აბედრაბადა — II, 272
აგარანი — I. 254, 283
ადარბადაგანი — I, 166, 228, 349
ადრეა დი ანტა კროჩე — II, 30
ადრიანოპოლი — II. 314-316, 322
ადილე — I. 271
ადიში — I, 192
ავინიონი — I. 500
ავსტრია — II, 103. 109, 205. 223. 253-254. 316. 322, 324. 334. 410
ავსტრია-უნგრეთი — II, 343, 395
ავღანეთი — I, 87; II. 387, 410
აზერბაიჯანი — I, 289, 340-341, 349, 355-356. 360-361, 369-370, 375. 413. 507, 519, 522. 529; II. 6-7. 11. 17. 112. 115, 132. 152. 272-274. 367, 370, 372, 378, 381, 388-391, 394-397, 406, 418, 421-422.
აზია — I, 6, 66. 78, 87-88, 165-166, 522, 527, 533, 543; II, 23, 41-42, 44, 115, 136. 235, 238, 315-316, 327, 339
აზოვის ზღვა — II. 252
ათონი — II. 357
აირარატი (პროვინცია) — I, 349
აკრა — I, 351
ალავერდი — II, 152
ალაზანი — I. 304
ალაზნის ხეობა — I, 96
ალათაღის ველი — II, 6
ალამუთი — II, 120. 123, 129, 133
ალასტანი — I. 474. 477-479
ალბანეთი — I, 63. 78-79. 83-84. 87. 106. 126, 144, 149, 164-166; II. 40
ალბისტანი — II, 99
ალეპო — I. 300, 473; II, 43, 226
ალექსანდრია — I, 43; II, 63
ალი — II. 10. 102
ალინჯი — I. 528. 530-532. 534
ალ-ჯაზირა — I, 356
ალ-ჰამრა — I. 483-484
ამასია — II, 114, 117, 126, 149
ამასტრია — I, 333
ამბერდი — I, 143, 243; II, 15
ამიერკავკასია — I, 36, 61, 63, 67-69, 79, 81, 83-85, 87-88. 91, 94-95, 106, 120, 143-144, 150. 164. 166-168. 171-172, 176. 179. 181. 184. 186-187. 194, 207-208, 226-227, 241, 249. 252-253, 262-263, 268, 272, 278, 281-282, 285, 291-292, 299, 303, 305-306, 341-342, 470, 514-515, 526, 533; II, 7-8, 41, 95-97, 99. 104-105; II, 114-115, 119, 122, 132-134, 136. 238, 246, 250-251, 256. 293, 295, 297, 300. 304. 306-307, 311-313, 315, 321, 332, 334, 361-376, 378-381, 389, 392.
ამუ-დარია — I, 369. II. 96
ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ) — II, 322, 342, 351-352, 363. 367-369, 371, 377, 380, 412, 421-422
ანაკოფია — I. 139-140, 257; II, 52
ანაპა — II, 315-316
ანატოლია — II, 97. 115
ანგორა — I. 539
ანიყა — I, 426
ანკარა — I, 48, 517. 537-538; II, 39, 385-386, 398
ანკირა — I, 48
ანისი — I, 285-286, 299. 302-306. 309. 313, 338, 340-341, 349, 377, 396. 419; II, 12, 75, 89
ანისის სამეფო — I. 212, 218, 231, 233, 242-244
ანისის ციხე — I, 195, 207
ანტალია — II, 318
ანტიოქია — I, 292-293, 295, 333; II, 9, 28, 30
არაბეთი — I. 120, 507, 519; I, 98
არაბეთის ერაყი — II. 104, 115, 117
არაბეთის ნახევარკუნძული — I, 171
არაბთა სახალიფო (ხალიფატი) — I, 171, 181, 184, 206-207
არაგვი — II, 152, 198
არაგვის საერისთავო — II, 130, 138, 284
არაგვის ხეობა — I, 478, 534
არაგონი — II, 48

არადეთი — I. 253
არანი (არრანი) — I. 208, 257, 284, 340, 356, 360, 369, 381
არარატი — I. 385
არაქსი (არეზი) — I, 226, 338-340, 355; II, 275
არგენტინა — II. 410
არგვეთი — I. 62, 89, 90
არდაგანი — II. 366, 369, 385-386
არდარაქიხი — I. 10
არდებილი (არდავილი) — I, 340; II, 37, 95, 124, 152
არეგაწი — I, 268, 342
არზინჯანი — I, 331
არზრუმი (ერზერუმი) — I, 341, 350; II, 5-6. 104-105. 113-114, 218, 240, 314, 349, 350, 368, 369
არზრუმის საამირო — I, 355, 358-359, 368, 371, 381
ართვინი — II. 386
არმაზი (კარმაზი) — I, 92, 96, 173-174
არმაზის ხევი — I, 54, 68-69
არმაზის ციხე — I. 37
არიში — I. 197
არმენია — I. 47, 49-50, 72, 78, 98, 125-126. 164-165. 167-169, 174
არსიანთა — I, 82
არტაანი — I, 54, 63, 257; II, 111, 309
არტანუჯი — I. 91, 200, 243, 457; II, 314
არქეოპოლისი — I. 125
არყის ციხე — I, 246
არჭეში — I, 219, 333
ასპინძა — II, 256, 314
ასპურანგი — II, 107
ასტრაბადი — II, 192, 245
ასტრახანი — II, 121-122; 128, 130, 135-137, 184, 186, 245-247
ასურასტანი — I, 28
ასურეთი — I, 8-9, 12
ასურეთის სამეფო — I, 14
ატემარი — II, 184
ატენი — I, 64, 440
ატიკა — I, 515
ატროპატენა — I, 166, 169
აფრიკა — II. 42, 79
აფსაროსი — I, 60-61
აფსარუნტი — I. 105
აფსილთა სამეფო — I, 61
აფშილეთი (აფსილეთი) — I, 122, 127-129, 198
აფხაზეთი — I, 63, 89, 110. 127-130. 133-134, 137-140, 142. 164, 185, 199. 202, 204, 209-213, 216-218. 222, 252. 254, 271, 337. 430, 539-540; II. 50, 52, 196-212, 219. 222, 228, 307, 309-310, 321, 319-320, 353, 372
აფხაზეთ-სამურზაყანო — II, 312
აქუნტი — I. 129, 131-132, 135-136, 140-141
აღმოსავლეთ ამიერკავკასია — I, 227, 255-256; II, 97, 118, 124, 134
აღმოსავლეთ ევროპა — I, 263, 278
აღმოსავლეთ საქართველო — I, 171, 175-176, 179-180. 196, 202, 204, 210, 248, 254. 379, 381, 414, 416, 419, 433, 455; II, 43. 115-116, 118, 243, 256-257, 271, 281, 284
აღმოსავლეთ სომხეთი — II, 115
ალსტევი (მდ.) — I, 349
ალჯაყალა (გაგი) — I, 350; II, 75, 207
აყ-ყოინლუ — I, 517
აშური (ქალაქი) — I, 8
აწყური — I, 455-456; II, 74, 160, 256, 314-315, 377
აწყურის ციხე — I, 143
აჭარა — I, 56. 456-457; II, 353, 366
ახალდაბა — II, 102
ახალი ათონი — I, 139-140
ახალქალაქი — I, 251; II, 311-312, 314-316
ახალციხე (ქალაქი) — I, 513; II, 9. 74, 147, 160, 163. 201, 203, 209-210, 214, 216, 218-221, 366-367, 371-372
ახალციხე-ახალქალაქი — II, 307. 313-314
ახალციხე (საფაშო) — II, 250-251. 257, 282, 307-308, 311-315, 318-319, 331
ახლო აღმოსავლეთი — I, 256
აჯამეთი — I, 337

## ბ

ბაგრევანდი — II, 12
ბაზალეთი — I, 204; II, 162-163, 165, 171
ბაზელი — II, 27
ბათუმი — I, 433; II, 42, 366-369, 371-375, 377, 379, 381, 397, 421
ბაიაზეთი (ქალაქი) — II, 324
ბაიბურთი — I, 350; II, 99, 101, 115
ბალთულხი — I, 10
ბალკანეთი — I, 165, 167; II, 34. 44, 205, 223, 321-323

ბალტიის ზღვა — II, 193, 238
ბანა — I, 212
ბარდა (ბარდავი) — I, 85, 106, 184, 252, 360, 375, 377, 419; II, 172
ბასიანი — I, 199, 200, 331, 462-463
ბაღდადი — I, 180, 184-186, 195, 362, 367, 369, 519, 534; II, 98, 104, 159, 161, 164, 244
ბაღდათი — II, 174
ბაში — I, 265
ბაშკადიკლარი — II, 319
ბაქო — II, 246, 367-368, 378-379, 381-382, 389, 392
ბელორუსია — II, 193, 366
ბელაქნის წყალი — II, 145
ბელგია — II, 395, 410, 420
ბელგრადი — II, 205, 223, 253
ბერლინი — II, 322-324, 370, 377, 417
ბერქრი — I, 219
ბესარაბია — II, 311, 379
ბზიფი — I, 140; II, 312
ბიზანტია — I, 63, 65, 76-77, 80, 83, 85-96, 98-102, 104-107, 110-111, 114-116, 119-127, 132-144, 149-151, 154, 163-165, 167-169, 171, 181, 183-185, 187, 190, 198-199, 201-202, 206-207, 209, 212-225, 229-236, 238-244, 246-249, 253, 255-262, 264, 278, 285, 291-292, 299, 332-334, 337, 374, 379, 398, 405, 411, 424, 436, 438, 443-447, 459, 465-466, 476, 478, 480, 483-484, 493, 513, 515, 520, 523, 538; II, 26-28, 30, 33-34, 39-41, 44-46, 70, 333
ბითვინიის ოლქი — I, 43
ბირთვისი — I, 539, 543
ბიჭვინთა — I, 62-63, 127, 129, 135, 140; II, 42
ბიჯნისი — I, 349, 377
ბოლინი — I, 117
ბოლნისი — I, 368
ბოლღარეთი — I, 414
ბოროყი — I, 440
ბორჩალო — II, 404
ბოსნია — II, 324
ბოსფორი — I, 36, 42, 107, 165; II, 42, 315-317
ბოჭორმა — I, 196
ბრესტ-ლიტოვსკი — II, 364-366, 369, 371-372
ბუგი (მდ.) — II, 252
ბუკოვინა — II, 254
ბულგარეთი — I, 230, 278; II, 223
ბურგუნდია — II, 47, 49, 54-56
ბურსა — I, 539
ბუქარესტი — II, 311
ბუხარა — II, 121
ბუჯისწყალი — II, 195, 211

## გ

გაგი (გაგის ციხე, ალჯაყალა) — I, 256, 286, 349-350
გაგრა — I, 129
გავაზი — I, 197; II, 258
განძა (განძაკი) — I, 169, 208, 226-228, 253-257, 285, 299-300, 303-305, 349-350, 354-355, 360, 375, 392, 419
განჯა — I, 508; II, 6, 36, 146, 240-241, 246, 250, 288, 306, 358
გარისი — II, 127
გარნისი — I, 363
გეგუთი — I, 63, 337, 340
გელათი — I, 266, 303, 315, 346, 444; II, 111, 228
გელაქუნი — I, 340, 349, 385
გელაქუნის (სევანის) ტბა — II, 75
გენტი — II, 55-56
გენუა — I, 450-451, 464, 475, 516, 531; II, 25, 48-49, 66, 411-417
გეორგიევსკი (ქალაქი) — II, 240, 250, 258-262, 266-272
გერმანია — I, 308, 392; II, 82, 124-125, 160, 343, 359, 364-367, 369-372, 374, 376-379, 395, 410, 412, 415, 423
გილანი — I, 481; II, 128, 285
გიმნია (ქალაქი) — I, 20
გიში — I, 299
გოგი — I, 296
გოლგოთა — I, 484; II, 18-20, 72-73
გონიო — I, 60, 512; II, 42, 174
გორი — II, 99, 202-203, 227-229
გრემი — I, 343
გრენადა — II, 76
გრიგოლწმინდა — I, 254
გუგარეთი — I, 48
გუელეთი — I, 474, 477-478
გუმიკი — I, 208
გუნბადი — II, 72
გურია — I, 395, 456; II, 52, 111, 117, 152-153, 161, 190-191, 196, 208, 212, 216, 218-222, 281, 283, 288-289, 291-

292, 305, 308, 312, 314, 317-319, 353, 359
გურჯისტანი (გურჯისტანის ვილაიეთი) — I, 466; II, 59, 151, 173

## დ

დაიაენი — I, 7
დამასკო — I, 300, 357, 369, 402-403, 473; II, 22, 196
დამიეტა — I, 357, 401-403
დარდანელი — II, .42, 314, 316-317
დარეპი — I, 31
დარიალი (დარიალის ხეობა, დარიალის ციხე) — I, 53, 87-88, 99, 270, 282, 368, 418, 420-421, 457; II, 130
დარუბანდი („ზღვის კარი“, დერბენდი) — I, 208, 256, 268, 272, 395, 342, 413-414, 426, 482, 509, 525, 529; II, 132, 136, 241, 246
დასავლეთ ევროპა — I, 466, 470, 475, 499; II, 107-108, 121, 124-125
დასავლეთ საქართველო — I, 67, 170, 178-179, 183, 188-190, 194, 202, 206, 213, 267, 322, 349, 380, 384, 390, 395, 414, 428, 432-433, 438-439, 444, 450; II, 35, 39, 43, 97-98, 111, 118, 124, 126, 228-229, 235, 256-257, 281-282, 284, 286, 288, 290-291, 293, 305-306, 308, 311-313, 316, 318, 326
დასავლეთ სომხეთი — II, 98
დაღესტანი — I, 271-272, 344-345; II, 14, 121, 123, 127, 129, 134, 258, 313, 331, 357
დელა პორტე — II, 72
დელა — I, 531
დემოთის ციხე — I, 54
დვალეთი — I, 489
დვინი — I, 63, 144, 172, 242, 285, 304, 338, 349, 396; II, 12
დიარბექირი — II, 159
დიაუხი — I, 7-10, 12
დიდგორი — I, 299-302
დიდი არმენია — I, 38
დიდოეთი — I, 342-343
დმანისი — I, 179, 254, 311, 466, 474, 485; II, 74, 146
დნეპრი — I, 278; II, 252-253
დონი — I, 277-278; II, 52, 136
დრანდა — II, 177
დუნაი — I, 382; II, 52, 253
დური — I, 338
დურძუკეთი — I, 27

## ე

ეგეოსის ზღვა — I, 165
ეგვიპტე — I, 41, 132, 165, 167, 172, 245, 306, 338, 342, 351-353, 356-358, 367-369, 373, 376, 398, 401, 413, 415, 423, 436-439, 455-456, 466-467, 473-487, 489, 491-493, 495-498, 504-505, 510-511, 520-521, 523; II, 7, 17-24, 38, 42-49, 63, 71-73, 75-77, 83, 89-92, 99, 295
ეგრისი — I, 14, 22, 63-64, 67, 70, 75, 89-90, 94-95, 98-107, 115-116, 118-124, 127-129, 141-142, 150, 164, 167, 178-179, 183, 395
ეგრისწყალი — I, 110, 111, 137-138, 140
ევროპა — I, 6, 65, 83, 292, 299, 475, 504, 506, 515-517, 537; II, 24-27, 34, 39-42, 44-50, 52, 55, 57-58, 61, 64, 66-67, 70-71, 76, 78, 80-82, 84-86, 89-92, 101, 105, 108, 110-111, 115, 128, 132, 224-225, 228-229, 236-238, 252-253, 309, 325, 327-328, 330, 332, 334, 339
ევფრატი — I, 9, 72; II, 96
ევქსინის პონტო — I, 105, 130
ეთიოპია — I, 426
ელადა — I, 18
ენგური — I, 62; II, 219
ენიკალე — II, 252-253
ერაკლია — I, 333
ერანი — II, 119
ერაყი — I, 304, 313, 355, 361, 387, 413, 507, 515, 519, 529; II, 24, 96, 98, 104
ერევანი — II, 115-116, 132, 143-144, 227-228, 250, 273, 288, 306, 309, 358, 371
ერზინჯანი — I, 371; II, 115, 364
ერინჯაკი (ალინჯის ციხე) — II, 17
ერუშეთი — II, 314
ესპანეთი — I, 424, 515, 517; II, 71, 76-81, 91, 124-125, 167-171, 259, 334
ეფესია (საეპისკოპოსო) — II, 28
ექადია (ექადიის სიმაღლეები) — II, 317

## ვ

ვაზიანი — II, 406
ვალახია — II, 29, 253
ვანანდი — I, 207, 231, 257-258
ვანი — I. 8; II. 104. 126
ვანის ოლქი — II, 369
ვანის ტბა — I. 304, 338
ვარნა — II, 40, 324
ვარშავა — II. 388
ვარძია — II. 9-10, 89
ვასპურაკანი — I, 199, 202, 207, 231-233, 241
ვატიკანი — I, 145; II, 28. 47, 89-90, 205, 224, 229
ვაშინგტონი — II. 369
ველის ციხე — II. 53. 103, 205, 223
ვენა — II, 53, 103, 205, 223
ვენეცია — I, 450, 475; II, 27, 31, 47-49, 53-54. 60-69. 122. 163-164. 205, 223
ვერსალი — II. 393. 412
ვოლგა — II. 122. 133
ვოლგა-კასპია — II. 121-122
ვოლგისპირეთი — I. 386-387
ვორონცოვკა — II, 404

## ზ

ზაქათალა — II. 406
ზევგმა — I. 38
ზელა — I, 43
„ზემო ზღვა" — I, 8
ზენჯანი (ზენჯარი) — I, 341, 401
ზუგდიდი — II. 181

## თ

თავრიზი — I, 341. 353, 375, 401. 419. 500. 504-505, 522. 528, 534; II. 6, 36-37, 43. 66-67. 116, 126, 134, 143, 152
თალიში — II, 124
თარღუ — II. 139
თბილისი (ტფილისი) — I, 64-65, 68. 88. 92. 95-96. 113, 166, 168-175. 179-182. 195. 207. 225, 246, 250. 253-254, 300. 310, 323-324, 332, 361-362. 364, 367, 384-385, 389-390. 408, 418-419, 428-429, 438. 445, 468-469, 474, 478, 487, 489, 500-502, 505. 513, 531; II, 37, 51-52, 60. 62, 68-69, 75-76, 105. 120, 123, 146-147. 151. 171. 174, 183, 185-186, 197-200, 203, 227-228, 241-242. 256, 259-260, 263, 267, 269, 283. 288, 292-293, 300, 302. 318, 333. 362-367. 370, 376, 379, 384-385. 388-390, 394. 399. 401. 405-406. 413. 421
თბილისის გუბერნია — II. 371
თეთრი ზღვა — II, 121
თეირანი — II, 273
თელავი — I, 64
თეოდოსიუპოლი — I, 199
თერგი — II, 130, 136, 138-141, 143, 152, 178, 184-187
თერჯანა — II, 66
თილვე — I: 335
თმოგვი — I, 479
თორთომი (თორთუმი) — I, 462, 536
თორღის ციხე — II. 196
თოხარისტანი — I, 93
თრაკია — I, 165, 167
თრიალეთი — I, 189
თურქეთი — II, 44. 47, 62-63. 77. 103. 107, 117-119, 122. 136, 152. 154, 170. 193. 196, 199-202. 205-206, 212, 223, 237-243, 246, 250-253, 255-257, 259. 264-265. 271. 274, 276-277, 282, 294-295, 316. 318-319, 321-324, 331, 335. 364-369, 371-374, 377, 381, 382, 385-387, 398. 404. 410-411
თუშეთი — II, 192. 196, 199
თუშ-ფშავ-ხევსურეთი — II. 189. 191
თუხარისი — I, 82

## ი

იაზილიტა — I, 9
იაპონია — I, 409; II. 395, 410
იასი-ჩემენი — I. 368
იბერია — I, 35-36. 39, 45, 48-49. 57. 64. 68-71, 78, 81, 106, 109-110, 112, 114-117, 120, 126. 164, 166. 169, 171, 183, 200, 202, 259; II, 235
იედიკული — II, 126
იეზდი — I. 507
იერუსალიმი — I, 14, 145, 154, 160-161, 165, 170, 292-299, 306, 342, 351, 398. 400, 403, 473, 475-477, 480-484, 492-498, 502, 510-512, 517, 524; II, 19-22, 28, 50, 72, 76, 83-84, 89-91, 169, 185

ივერია — II, 154, 289, 292
იზმირი — I, 539
იონია (იონიის სასულთნო) — I, 306, 342, 353, 446, 475
ილდამუშა — I, 12
ილხანთა ირანი — I, 397, 413-416, 418-420, 423, 426, 430, 432-435, 437-439, 441, 450, 453, 455
იმერეთი — I, 502, 528; II, 39-43, 94, 98, 102, 104, 106, 108-109, 111-114, 116-117, 123-124, 126, 150-153, 157, 160-161, 163, 172-174, 177, 179, 181, 183, 187-191, 195-196, 198, 202-203, 208-222, 228, 254, 257-258, 271, 276-277, 282-284, 286, 288-293, 298, 303, 305-306, 308, 315, 331-332, 353, 359
იმიერკავკასია — II, 127, 130, 133, 136, 140
იმიერტაო — I, 216, 218, 221-223, 225, 235
ინგლისი — I, 309, 382, 426, 501, 516; II, 40, 121, 165, 168, 295, 316-324, 335
ინდოეთი — I, 527, 531; II, 42, 87, 238, 387, 410
იორი — I, 96-97
ირანი (სპარსეთი) — I, 63-96, 106, 108-116, 118-122, 125-127, 134, 140-141, 143-144, 149-150, 152-155, 157-158, 163-167, 169-172, 267, 285, 351, 354, 360-362, 375, 401, 413, 415, 420, 466-468, 470, 472, 474, 476, 478, 480, 482, 486-488, 490-492, 494, 498, 504-508, 512, 519, 521-522, 526, 529; II, 24, 39, 42-44, 58-60, 63, 70, 77, 94-101, 103-106, 108-109, 112-124, 126-128, 131-132, 134, 137, 141-146, 148-149, 151-159, 161, 170, 172-173, 175-181, 184, 186-187, 189-196, 198-204, 206-208, 211-212, 215-220, 237-241, 243, 245-247, 250-253, 257, 259, 263, 272, 279, 294-296, 307-308, 311, 313, 350, 359, 369-370, 381
ირლანდია — II, 343-344
ისპაჰანი (ისფაჰანი) — I, 261, 507; II, 43, 116, 166, 184, 201, 226, 232, 238, 241
ისპიანი — I, 340
ისპირი — I, 350
ისრაელი — I, 120-121, 409, 475; II, 26, 30, 33, 40, 51, 60, 71, 79-90, 168-169, 225, 228, 235, 359, 380, 384, 395, 410, 424
იუდეა — I, 14

## კ

კაბალა — I, 360
კავკასია — I, 65, 73, 75, 81, 85, 87-88, 93, 106, 108, 112, 119, 141-143, 145, 147, 150, 155, 163, 178-179, 184, 206, 226-228, 255, 269-272, 274-278, 281-282, 289, 299, 305-306, 341-344, 474; II, 44, 128, 132, 134-137, 238, 253, 255, 264, 266, 270-271, 274, 292, 303, 319, 322-324, 346, 350, 358, 364, 367-371, 373, 379, 381, 386, 392, 398, 401-403, 406, 413, 418, 421-422
კავკასიონი (ქედი) — I, 5, 125, 130, 178, 228, 277, 350, 521-522, 525; II, 129, 136
კაინი (კაენი) — I, 286, 349, 377
კაირო ( I, 6, 132, 357, 402, 438, 442, 476, 483; II, 76, 92
კაიწონი — I, 286, 349
კაკუნისელი — II, 121, 144
კალკა — I, 407
კამბეჩოვანი — I, 96, 395
კაპადოკია — I, 26, 56, 456
კაპოეტი (მდ.) — I, 139-140
კარა (ქალაქი) — I, 38
კართაგენი — I, 165
კარი — II, 12
კარის ციხე — I, 257-258
კარნიფორი — I, 257
კარნუქალაქი (თეოდოსიოპოლი) — I, 257, 355, 395, 401, 452-453, 457
კასპიის ზღვა — I, 277, 481; II, 122
კასპიის კარი — I, 296-297
კასპიისპირეთი — I, 517; II, 5
კასტილია-ლეონი — II, 5
კაფა — I, 433, 514, 531; II, 42, 66, 70
კახეთი — I, 70, 78, 89, 91, 95-96, 107, 112, 114, 165, 169, 182-183, 186, 195, 203-204, 211, 224, 226, 230, 240, 252-254, 262, 291, 315, 395, 424, 517; II, 12, 29, 43, 51, 62-63, 75, 94-95, 97, 100, 106, 108, 117, 120-123, 129-130, 132-146, 149, 151-152, 156-158, 160, 175-176, 178-182, 186-187, 190-192, 194, 196-198, 207-208, 215, 244-245, 249, 251, 264, 282, 288-291, 338, 353, 406
კახეთ-ჰერეთი — I, 288, 499, 532

კენტერბერი — I. 501
კერასუნტი — I, 333. 461
კეჩროლი — I. 355
კეჯეს ციხე — I. 199
კვიპროსი — II, 63-64. 66, 324
კვირიკე — II. 324
კიევი — I. 266
კიევის რუსეთი — I, 263, 279
კილიკია — I. 72, 379, 384, 438; II, 52
კინბურგი — II, 252-253
კინტრიში — II. 314
კლარჯეთი — I, 25, 48, 70, 82-83, 89-91, 111-115, 183, 225, 257, 460, 509; II, 105. 111, 311
კლდეკარი (კლდეკარის საერისთავო) — I, 217-218, 246, 249, 256
კლისურა (მდ.) — I, 110-111, 137-141
კოდორი (მდ.) — II, 219
კოდორი (ხეობა) — I, 124, 179
კოლა — I, 63. 338, 539
კოლხეთი (კოლხეთის სამეფო) — I, 8, 13-14. 62; II, 48. 52
კოლხიდა — I. 98-99, 101, 127, 130, 141
კონსტანტინოპოლი — I, 65, 84-85, 91, 98-99. 102, 105, 109. 135. 150, 165, 184. 188. 190, 198, 200-202, 212-215, 218. 220-221, 229. 232, 235-240, 242, 246-249. 258-260, 265, 271, 332-335, 393, 443-445. 476, 483, 510. 515, 517-520, 538; II. 31, 33-34, 39-33, 48-49, 53-54. 56, 69-70, 77, 87, 226. 229-230, 235-237. 253, 258. 321-322, 335
კორიდეთი — I, 446
კორტე-ლეი — II, 56
კოსოვოს ველი — II, 40
კოტიორა — I, 333
კოდუცი — II, 13
კოხტასთავი — I, 489; II, 10
კოჯორი — II, 406
კრეტა — II. 356
კრწანისი — II, 278-280
კუერცხობი — I. 186
კულხა — I. 7. 9, 11-12
კულხახახალი — I, 11

# ლ

ლაზეთი (ლაზია) — I, 333, 509-510. 512
ლაზთა სამეფო — I, 61
ლაზიკა — I. 64, 67, 90, 98-100, 102, 106-107. 115-119, 121-129, 133, 141, 164, 166-167, 171, 183. 513
ლაზისტანი — II, 322
ლათინთა იმპერია — I, 443
ლაკედემონია — II, 28
ლევანტი — II, 230, 233
ლეკვოთეა (სამლოცველო) — I, 44
ლეჩხუმი — I, 104. 123. 128; II. 214, 221
ლიბერია — II, 410
ლიმანი (მდ.) — II, 314
ლიმონი — I, 333
ლიტვა — II, 77, 92; 366
ლიხის მთა — I, 120, 123, 138, 142; II, 211
ლოზანა — II, 411, 414-415
ლონდონი — I, 309. 316. 321, 323; II. 351, 380, 387. 393, 410-411, 414, 416, 422
ლონჟიუმო — II, 392
ლორე — I, 283, 285, 321; II, 12-15, 17, 59, 75, 387-388, 403, 405-406
ლორე-დებედა — II. 144, 146
ლურისტანი — II, 124
ლუქსემბურგი — II. 395. 410

# მ

მაგოგი — I. 296
მაზანდარანი — II, 128, 245, 272
მაიაფარიკინი — I, 339. 369
მაკრიალი — I. 512
მალთაყვა (მდ.) — II. 308
მალტა — II. 205. 223
მანაზკერტი (მანასკერტი) — I, 219. 254. 256, 291. 338, 368
მანგლისი (მანჯალისი) — I, 163. 173-174. 541
მანტუა — II. 51
მარაბდა — II. 149. 160, 162. 166. 170
მარანდი — I. 341, 401; II, 6
მარაში — II, 99
მარგვეთი — II, 322
მარმარილოს ზღვა — I. 256
მარსელი — II, 227, 229-231, 233-234
მარტიანა — I, 541
მარტყოფი — II, 149, 158-160, 162
მახარე — II. 205
მახელონია — I, 72

მახლობელი აღმოსავლეთი — I, 184, 206, 209, 226, 249, 267, 284, 293, 306, 339-340
მაჰკანაბერდი — I, 286
მენეზია — II, 28
მესოპოტამია — I, 17, 37, 72, 81, 120, 126, 164, 169, 419; II, 52
მესხეთი — I, 110, 112, 395-396, 427, 454; II, 12, 97-99, 107-108, 110, 115-116, 118, 123, 315, 337
მეტეხი — I, 312
მექსიკა — II, 395, 410
მთიულეთი — I, 467-468, 472-474, 476-478
მიანა — I, 341
მიდია — I, 13, 56-57, 66
მილანი — II, 55
მისიმიანეთი — I, 127
მისრი (მისრეთი) — I, 492-493, 528; II, 17-18
მოდენა — II, 31
მოლდავეთი — II, 253
მონკასტრო — II, 61
მონღოლეთი — I, 385, 387, 389-390, 397, 412, 471
მოსკოვი — II, 45, 125, 128, 130-131, 135, 137-140, 145, 152-156, 165, 176-178, 180-181, 183-193, 195, 197, 199, 202, 207, 213, 215-217, 221, 244-245, 258, 365, 383, 388-390, 392-394, 405, 411, 413-419
მოხირისი (მუხურისი) — I, 123, 133
მტკვარი — I, 226, 304, 349
მუსკური — I, 305
მულანი — I, 356, 375
მცირე აზია — I, 167-168, 334, 337; II, 5, 16
მცხეთა — I, 25, 73, 78-79, 86, 92, 96, 114, 151, 155-156, 162, 170, 315, 384; II, 9-10, 87, 98, 250

## ნ

ნაჭარმაგევი — I, 314
ნახიდური — II, 216
ნახიჩევანი — I, 355, 401; II, 143, 195
ნახიჭევანი — II, 116
ნახჭევანი — I, 341, 349, 530; II, 6, 12
ნეაპოლი — II, 63, 66
ნეკრესის ციხე — I, 91
ნიდერლანდები — II, 168
ნიზიბისი — I, 55
ნისიბინია — I, 75, 77-78, 80
ნიკეა (იმპერია) — I, 393; II, 28
ნიკომედია (მდ.) — I, 166
ნიკოფსია — I, 131, 268, 272, 305, 342, 350
ნიკოპოლი — I, 515, 537
ნილოსი — I, 245
ნიქოზი — I, 324
ნოვგოროდი — I, 325; II, 270
ნორვეგია — II, 385
ნუბია — I, 493

## ო

ოდიში — II, 66, 111, 196, 212, 218-220, 222, 281, 283, 288-292
ოზურგეთი — II, 317, 366
ოთრარა — II, 5
ოლთისი — I, 223, 257, 304; II, 116, 385
ონოგურისი — I, 123
ორმიზდაგანის ველი — I, 66
ოროტნი — I, 355
ორჭობი — I, 197
ოსეთი (ოვსეთი, ალანია) — I, 70, 203, 236, 239-240, 255, 268-271, 281, 331, 414; II, 271
ოსტია — I, 58
ოსიაური — II, 406
ოსმალეთი — I, 513-515, 534, 536-538, 542; II, 40-46, 48, 57-59, 61-62, 65, 67, 72, 90, 92, 94, 96-119, 122-126, 132-135, 137, 142-146, 149, 151-157, 159, 161-165, 167-172, 176-177, 180, 212, 241, 243, 246, 251, 270, 277, 286-287, 291, 296, 305, 307-316, 334-335, 350, 356, 357, 359, 366, 380, 415
ოქროს ურდო — I, 382, 387-388, 397, 413, 415, 418-419, 423-424, 426-427, 432, 436-437, 439-441, 466-470, 472, 482, 498, 505-506, 514, 521-523, 525, 518-529
ოჩაკოვი (ციხე) — II, 253
ოძრხე — I, 70

## პ

პავლოვსკი (ციხე-სიმაგრე) — II, 261
პალაკლიო — II, 314

პალესტინა — I. 120, 167, 172, 298, 339-340, 466, 476, 481; II. 73, 169
პალმირი — I. 72
პანამა — II. 410
პართია — I. 38-40, 49, 56-57, 61, 65-66, 68, 70, 75, 98
პარიზი — I. 295, 297-298; II. 8, 59, 74, 210, 220-221, 225-227, 229-237, 309, 313, 365, 369-370, 379, 387, 392, 409-410, 422-423
პარხალი — I. 462
პელოპონესი — I. 515; II. 33
პერსარმენია — I. 112, 126, 142, 164, 166
პერსეპოლისი — I. 70
პეტერბურგი — II. 299-301, 303, 316, 329, 333
პეტრა — I. 105, 117, 120-122, 131, 133
პეტრიწონი — I. 485; II. 84
პეტროგრადი — II. 361-362
პინკრიპო (კუნძული) — I. 260
პიტიუნტი — I. 129, 131, 135
პოკროვსკოე — II. 404
პოლონეთი — I. 278, 515; II. 47, 61-62, 64, 66, 71, 77-78, 92, 157, 169, 184, 188-189, 191, 193, 205, 223, 332, 350, 366, 391-392, 395, 398, 410
პონტო (პონტოს სამეფო) — I. 23, 34, 45, 60, 456, 462
პონტოს ზღვა — I. 31
პორტუგალია — I. 515; II. 169, 334, 423
პრუსია — II, 316, 321, 334, 343, 352-353
პუატიე — II. 234


## ჟ


ჟენევა — II. 384, 420
ჟინვალი — I, 469, 471


## რ


რაზდანი (მდ.) — I. 349
რაინი — II, 205, 223
რანი — I, 89, 509, 536
რაპალო — II. 412, 415
რაჭა — I. 395, 441-442, 444; II, 69, 204, 214, 221, 288, 359
რახსი (არეზი) — I. 341, 349-350
რაჰმა — I, 485
რეშტი — II. 245
რიეტი — I, 410
რიზე — I. 446; II. 28
რიონი — I. 122, 265; II. 312
როკითი — II. 220
რომი — I. 43-46, 48-49, 54-57, 62-63, 65-68, 71-83, 499-500, 502, 512; II. 27-28, 31-32, 44-45, 50, 53, 55-56, 63-64, 66, 72, 77, 80, 86, 92, 107-108, 124-125, 167-169, 171, 195, 197, 199, 205-206, 225-226, 229-230, 233-236, 383, 410, 414
რომის რესპუბლიკა — I. 30
როსტოვი — II. 394
როსტოვ-სუზდალი — I. 325-326
რუისი — I. 248, II, 35
რუმი — I. 267, 336, 488-489, 507-508, 512, 527
რუმინეთი — II. 395, 410
რუმის სასულთნო — I. 351, 361, 364-365, 368, 370-374, 376, 380, 383-384, 387, 411, 442
რური — II. 415
რუსეთი (რუსეთის იმპერია) — I. 263-280, 299, 414; II. 27, 29, 44-45, 67, 121-122, 124-125, 128-133, 135-146, 152-157, 176-178, 180-189, 191-193, 195-197, 202, 205, 207, 209-210, 213, 215-218, 221-224, 237-239, 241-245, 247-253, 255-256, 258-266, 268-276, 279, 281-282, 290-300, 302-306, 309-317, 319, 321-330, 332-340, 343-347, 349-352, 354-357, 359, 361-363, 365-366, 368-369, 377-383, 386-403, 405-416, 419-421
რუსთავი — I, 96, 179, 254, 299


## ს


საბერძნეთი — I, 95, 105, 110, 138-139, 146, 189, 215, 236, 243, 288, 335, 509, 512; II. 57, 131, 253, 268, 286
საბჭოთა კავშირი — I, 6; II. 415-416, 418-419, 422-423
სადგერი — II. 201, 258
სალმასტი — II. 15
სალონიკი — I, 513
სამარყანდი — II. 5
სამება — II. 324
სამეგრელო — II, 16, 50, 52, 66, 117, 152-153, 161, 172, 174, 177, 181, 183, 187, 190, 208, 215-220, 222, 228, 233, 235.

288, 293, 305-306, 308, 310, 312, 317-320, 353, 359
სამისონი — I, 333
სამურზაყანო — II, 320
სამური (მდ.) — II, 129
სამშვილდე — I, 70, 197, 257, 299, 390, 474, 485; II, 37
სამცხე — I, 190, 195, 502, 504, 534, 540, 542-543; II, 7-11, 18, 20, 35, 39, 43, 50, 52-53, 59, 65-66, 68, 74-75, 98, 101, 104, 123-124, 134, 314
სამცხე-საათაბაგო — I, 422, 453-461, 464, 499, 504; II, 146, 149, 160-161, 182, 311, 314
სამცხე-ჯავახეთი — I, 182, 349
სამხრეთ აზერბაიჯანი — II, 117, 124
სამხრეთ ამიერკავკასია — I, 250
სამხრეთ აფრიკა — II, 385
სამხრეთ-დასავლეთ საქართველო — II, 251, 307
სამხრეთ დაღესტანი — II, 129
სამხრეთ საქართველო — I, 67, 246, 257; II, 115, 282, 324
სანაინი — II, 13
სანიგეთი — I, 129, 133-135, 138, 140-141
სანიგთა სამეფო — I, 61
სან-სტეფანო — II, 322
სარაი-ბათუ — I, 387
სარაი-ბერქე — I, 529
სართი-ჭალა — II, 133
სასირეთის ჭალა — I, 245-246
საფრანგეთი — I, 297, 392, 426, 504-506, 515-516; II, 27, 40, 47, 51, 54-56, 82, 102-105, 109-110, 114, 117, 163, 169, 205, 223-237, 295, 309, 316-322, 328, 334, 359, 363, 379-380, 385, 387-388, 395, 410, 412-415, 418-419, 421-423
საქართველო — I, 5, 63-65, 67-70, 72, 75-83, 85, 89-90, 94-98, 100-102, 106, 108-109, 112-113, 115, 122, 126-129, 131, 133, 135, 137-143, 147, 164, 166, 169, 171-173, 175, 178-179, 183, 187, 190-191, 194-195, 200, 205, 207-208, 213, 218-219, 224-258, 464, 466-493, 498, 500-501, 503-508, 510-516, 518-540, 542-545; II, 5-77, 79-81, 83-111, 113, 115, 117-119, 121, 123, 125-127, 129-130, 134-135, 138-139, 141-143, 148-149, 151-156, 158, 160-164, 167, 170-171, 173, 178, 185-189, 191, 193-197, 199-201, 203-209, 211-212, 214-217, 220-237, 239-242, 244-247, 250-251, 253-260, 263, 265-271, 273-276, 279-284, 286-294, 296-297, 299-300, 302-306, 309, 311-313, 316-317, 319, 333-335, 337, 339-340, 344-347, 349-350, 354-423
საშამხლო — II, 122-123, 136, 138, 143, 145
სებასტოპოლი (სებასტოპოლისი, ცხუმი) — I, 61; II, 48, 66
სევანის ტბა — I, 188
სევასტოპოლი — II, 317
სელევკიდების სამეფო — I, 25
სელჩუკთა სახელმწიფო — I, 466
სენ-სირი — II, 234
სერაფი — II, 153
სერბეთი (სერბია) — I, 414; II, 29, 40, 67, 321
სერირი — I, 208
სვანეთი — I, 90, 101-104, 123, 125-128; II, 16, 196, 211, 353, 414
სიამი — II, 410
სიენა — II, 48
სივნიეთი — I, 64, 107, 285
სინოპი — I, 333; II, 49
სიონი — I, 170
სირია — I, 39, 47, 72, 120, 125, 165, 167, 172, 306, 338, 466, 473, 376, 485, 515, 529; II, 42-43, 369
სირია-პალესტინა — I, 353, 364, 398-399, 404, 409, 411
სიუნიქი — I, 207; II, 15, 17
სიცილია — II, 61
სკანდა — I, 117, 133; II, 192, 196
სკვიმნია (ლეჩხუმი) — I, 104, 128
სმირნა — I, 500
სოერი — I, 268, 342
სომხეთი — I, 38, 41, 63, 65, 71-85, 77-84, 87-88, 94, 106, 143-152, 155-160, 162-163, 169-170, 172, 194-196, 205, 207, 231, 238, 241-242, 244, 268, 284-288, 299-300, 303-304, 338, 342, 348, 365, 395, 397, 529; II, 6, 27, 51, 60, 75, 97, 104, 115, 117, 243, 250, 344-345, 359, 367-369, 371, 376, 378-380, 385, 387, 397-398, 401, 403, 406-407
სომხითი — I, 107, 110, 321, 338, 474, 499, 542, 545; II, 5, 13, 16
სოფია — II, 307
სოლანლუღი — II, 406
სოლდი — I, 93
სოჭი — II, 406

სოხოისტა — II, 107
სოხუმი — I, 129, 500; II, 42, 310-312, 320, 372
სპარსეთი — I, 13, 16, 66, 73-74, 85-86, 98, 118, 125, 134, 143, 341-342, 504, 507, 517-520; II, 7, 16, 36, 50-51, 62, 66-67, 74, 225-227, 229, 231-232, 234-237, 256, 264-265, 270, 276, 292, 302, 331, 334-335, 339
სპერი — I, 342, 350
სტამბოლი (სტამბული) — I, 516; II, 98, 110, 114, 124, 149, 156, 163, 221, 239, 241, 243-244, 309, 405, 414, 420
სტოკჰოლმი — II, 393
სულთანიე — I, 515
სურამი — I, 418; II, 99, 102, 113-114, 117
სურამის (რიკოთის) უღელტეხილი — I, 42
სურბ-საჰაკი — I, 10
სურიუმი — I, 45
სურმარი — I, 352, 371

## ტ

ტაბარსარანი — I, 208
ტაბახმელა — II, 406
ტავერიდა — II, 307
ტავუში — I, 286
ტამანი — II, 253
ტანაისი — I, 48
ტაო — I, 210, 219, 223, 238, 257, 368, 462-463, 534; II, 105, 111
ტაო-კლარჯეთი — I, 185, 190, 192-194, 198-201, 209, 220, 223
ტაშირი — I, 285; II, 12
ტაშირ-ძორაკეტი (ძორაკეთი) — I, 207, 245, 251-252, 261
ტაშისკარი (ტასის-კარი) — I, 110, 460, 463; II, 147-148
ტერუნაკანი — I, 286
ტიგროსი — I, 9
ტილზიტი — II, 307
ტირნოვი — II, 31
ტრაპეზუნტი — I, 61, 105, 166; II, 314
ტრაპიზონი — I, 134, 332-337, 350; II, 24-29, 34, 46, 48-49, 54, 56-57, 59, 61, 70, 81, 94, 161, 366, 368-369
ტრაპიზონის სამეფო — I, 353, 379, 433-434, 443-447, 449-450, 458, 460-461, 465-466, 475, 502, 508-510, 512-513, 516, 531, 538
ტრაქია — I, 137

## უ

უბისა — II, 320
უკრაინა — II, 188, 193, 379
ულუმბო — I, 517-518
უნგრეთი — I, 278, 391, 403, 406, 515; II, 26, 40, 47, 52, 61, 64, 66-67, 169, 223, 322
ურარტუ (ურარტუს სახელმწიფო) — I, 9, 11-12
ურმიის ტბა — I, 8; II, 146
ურუმი — II, 119
უტის ალვანური ოლქი — I, 196
უფლისციხე — I, 193-194
უქიმერიონი — I, 123
უჯარმა (უჯარმის ციხე) — I, 64, 89, 91, 96-97, 170, 203

## ფ

ფაზისი (მდ.) — I, 15
ფაზისი (ქალაქი) — I, 42, 60-61, 65, 125
ფაიტაკარანი — I, 523
ფარავნის ტბა — II, 160
ფარანიგონი — I, 117
ფარისოსი — I, 207
ფარსი — I, 507
ფარცხისი — I, 254, 257; II, 120
ფერარა (ქალაქი) — II, 26-27, 33-34, 40
ფილიპოპოლი — II, 84
ფინეთი — II, 332
ფლორენცია — II, 26-28, 33-34, 40, 54
ფოთი — I, 433; II, 306-308, 311-312, 314-316
ფსოუ — I, 129, 140
ფუსტატი — I, 483
ფშავი — I, 343-344

## ქ

ქაბილუხი — I, 10
ქავაზინი — I, 254
ქალთულხი — I, 10
ქამხი — II, 115

ქართლი — I, 13-14, 22, 38, 40, 63-93, 95-96, 106-112, 114, 125, 138, 142-151, 153-160, 162-165, 170-173, 175-176, 178, 180, 182-183, 186-187, 189, 194-196, 203, 206, 211-213, 292, 295, 313, 323, 338, 440, 473-474, 478, 482, 525, 542, 545; II, 5, 8, 12, 16, 39, 43, 62-63, 75, 94-95, 97, 99-100, 105-108, 112-114, 116-119, 123-124, 126, 132, 134, 142, 146-147, 149-152, 156-158, 160, 162, 166-167, 172-174, 176, 179-180, 185, 190, 192, 194, 197, 201-202, 206-208, 211-212, 2177, 219-220, 225-226, 229, 236, 241-244, 246, 251, 256-257, 264, 281, 284-285, 288-291, 353
ქართლ-კახეთი — II, 161-163, 170-172, 177, 179, 181, 198, 201, 247-252, 255, 258-261, 263-266, 269-272, 276, 278, 280-283, 285-288, 290-292, 295-303, 305, 308, 313, 326-327, 331-332, 358
ქაქუთი — II, 317
ქაშაგეთი — I, 342
ქერმანი — I, 367, 507
ქერჩი — II, 252-253
ქვაბლიანი — II, 314
ქვემო ქართლი — I, 180, 197, 254, 395; II, 120, 171
ქიზიყი — I, 96
ქისტეთი — I, 343
ქობულეთი — II, 317
ქოსე-დაღი — I, 381, 383, 387
ქსანი — II, 284
ქსნის საერისთავო — I, 469, 496
ქტეზიფონი — I, 66, 72
ქუთაისი (ქუთათისი) — I, 64, 123, 188, 190, 201, 209, 211, 213, 245, 247, 265, 376, 428-429, 439, 441-442, 445, 502, 532; II, 67, 181, 196, 212-215, 217, 221, 228, 251
ქურდვაჭარი — I, 349
ქურთისტანი — I, 507, 519, 529; II, 96, 99, 115, 124
ქუჩუკ-კაინარჯი — II, 252-253, 256-259

## ღ

ღანუყი — I, 314
ღლიღვეთი — I, 344
ღუნძეთი — I, 342

## ყ

ყაბალა — I, 348
ყაბარდო — II, 122, 127-128, 130, 253, 256, 258
ყაზანი — II, 122, 128, 130, 153
ყაზვინი — I, 341, 401; II, 120-121, 200
ყარაბახი (ყარაბაღი) — I, 507, 519, 522-523, 531, 536; II, 10, 12, 15, 36, 106, 116, 132, 146, 172-173, 273, 288
ყარამანია — I, 488; II, 60, 63, 66
ყარა-ყოინლუ — I, 517
ყარა-ყორუმი — I, 380-385, 387-389, 391, 430
ყარსი — II, 5-6, 117, 307, 313-314, 318-319, 366, 369
ყივჩაყეთი (ყივჩაღეთი) — I, 266, 268-269, 326, 342, 414
ყირიმი — I, 120; II, 42, 44, 70, 123, 128, 132, 136, 153, 193, 221, 249, 252-253, 256, 258-259, 317-318, 321, 379, 391-392, 388
ყუბანი — I, 433; II, 261, 315-316
ყულევი (რედუტ-კალე) — II, 306, 312, 320, 335

## შ

შაბურანი — I, 305
შავი ზღვა (ევქსინის პონტო) — I, 5, 8, 72, 75, 125, 128-129, 135, 166, 264-265, 332, 335, 337, 349, 516; II, 42, 48, 70, 95, 222, 228-229, 252-254, 282, 289, 307, 312, 315-317, 321-322, 335, 350, 357, 393
შავშეთი — I, 183, 257; II, 311
შამახია (შემახი, შემახია) — I, 395; II, 146, 184, 186, 239
შამახიას მთა — I, 348, 350
შამი — I, 306, 342
შამქორი — I, 306, 342
შარაბამი — I, 305
შაქი — I, 267, 354; II, 7-10, 100, 112, 115, 126, 128-129, 133
შაშილუ — I, 10
შაშქი — I, 10
შეკვეთილი — II, 312
შვეიცარია — II, 342, 423
შვეცია — II, 157, 420

შიდა ქართლი — I, 180, 184, 203, 210, 395, 499; II, 171
შირაკავანი — I, 507; II, 272
შირაქი — I, 286, 309
შირვანი — I, 208, 228, 256, 272, 284-285, 288-291, 299, 302-306, 342, 344, 348-349, 360, 396, 420, 507, 509, 519, 526-528, 532, 540, 544; II, 6, 8, 16, 36, 105, 115, 123, 126, 128-129, 132, 144-146
შორაპანი (სარაპანისი) — I, 117, 133
შუა აზია — I, 278, 514; II, 42, 120
შუშა — II, 275


## ჩ

ჩალაღანი — II, 8
ჩალდირანის ველი — II, 98
ჩაქვი — II, 324
ჩალანუსუნი (თეთრი წყლები) — I, 348
ჩაჩნეთ-ინგუშეთი — I, 271
ჩეჩნეთი — II, 258
ჩეხოსლოვაკია — II, 410, 423
ჩილდირის ტბა — II, 123
ჩიმი — II, 274
ჩინეთი — I, 362, 368, 391; II, 42
ჩიხორი — II, 59
ჩობანიანების სახელმწიფო — I, 507-508
ჩოლოქი — II, 312, 315-316
ჩრდილო აზერბაიჯანი — I, 105, 117
ჩრდილოეთ კავკასია — I, 63, 202, 208, 228, 255, 263, 269-273, 278, 299, 326, 342-346, 499, 504, 506, 529; II, 94, 123, 127, 130, 136, 253, 271, 312
ჩრდილოეთ მესოპოტამია — I, 338; II, 98, 115
ჩურუქსუ — II, 324
ჩხარი — II, 214


## ც

ცაიში — II, 16
ცარგრადი — II,307
ცივის მთა — I, 499, 502, 504
ციკარე — I, 474
ციმბირი — II, 334
ციხე-გოჯი — I, 89, 179
ციხედიდი — II, 129
ციხისძირი — I, 105, 117, 131, 133; II, 324
ციხისჯუარი — I, 143
ცურტავი — I, 143, 147
ცხენისწყალი — I, 121, 123
ცხრაზმის საერისთავო (ცხრაზმისხევი) — I, 474, 492, 494-496
ცხუმი — I, 60-61, 127, 129, 131, 136, 138, 140, 501, 514


## ძ

ძეგამი — II, 145
ძურძუკეთი — I, 342


## წ

წანარეთი (სანარია) — I, 186
წახური — II, 120, 129, 133
წებელდა — II, 320
წიბილე — I, 122, 128
წუქეთი — II, 120
წილკანი — II, 158
წინა აზია — I, 7, 38, 226, 271, 292, 306
წუნდა — I, 54, 70, 110-111


## ჭ

ჭანეთი — I, 112, 133, 166-167, 350; II, 316
ჭარი — II, 249, 251, 313
ჭაჭარაქი — II, 314
ჭერემი — I, 91, 96
ჭიაური — II, 121
ჭოროხი — I, 350, 446, 462


## ხ

ხაზარეთი — I, 138, 184, 268, 342, 414
ხალდია — I, 94
ხალდირიულსი — I, 10
ხატაეთი — I, 414
ხევსურეთი — I, 344; II, 415
ხერთვისი — II, 160, 314
ხიმშიას ხეობა — I, 532
ხლათი — I, 219, 338-339, 341
ხლათის სასულთნო — I, 351-352, 356-359, 367-371, 400-401
ხმელთაშუა ზღვა — I, 125, 256
ხობი — I, 123; II, 306
ხონი — II, 111

ხორასანი — I, 355, 391, 413, 421, 491, 507, 531
ხორეზმი — I, 368, 384, 391
ხორნაბუჯი — I, 91, 253
ხოფა — I, 105
ხოშკარი — II, 201
ხრეითი — II, 211
ხუალხი — I, 11
ხუზისთანი — I, 361
ხუნანი — I, 70, 179
ხუშალხი — I, 11

## ჯ

ჯავახეთი — I, 54, 92, 111-113, 195, 257, 395-396, 474, 477-479, 489; II, 108, 116, 256, 314
ჯელაირიანთა (ჯალაირიანთა) სახელმწიფო — I, 470, 506-507, 519-520, 523, 530-531, 533
ჯვრის მონასტერი (იერუსალიმში) — I, 475-478, 480, 482-484, 494, 496-498
ჯიქეთი — I, 227-228; II, 320
ჯულფა — II, 143
ჯურზანი — I, 176
ჯულა — I, 341

## ჴ

ჴადა — I, 473-474
ჴევო — I, 474

## ჰ

ჰააგა — II, 411
ჰამადანი — I, 507
ჰემსი — I, 423
ჰერაკლია — II, 28
ჰერეთი — I, 78, 89, 91, 107, 183, 198, 224-226, 230, 252, 262, 395-396, 424
ჰერცოგოვინა — II, 324
ჰოვანავანქი — I, 147, 152, 478

## A

Азербайджан – I, 290, 366; II, 272
Арран – I, 290

## Б

Баку – I, 306, II, 242

## В

Византия – I, 424

## Г

Грузия – I, 266, 290, 326, 443, 451; II 6 34-35, 239, 273, 275-276, 278

## Д

Дагестан – II, 290
Дербенд (Дербент) – II, 242, 306

## З

Западная Европа – II, 70

## К

Каспийское море – II, 239, 242
Константинополь – I, 443
Кура – II, 239

## Н

Новгород – I, 325-326

## П

Персия – II, 272

## Р

Россия – I, 266; II, 239, 242
Руми – I, 366

## Т

Терек – II, 239
Тифлис – I, 388; II, 278
Турция – II, 242

## Ш

Шемаха – II, 239
Ширван – I, 289-290, 306

# შინაარსი


XIV თავი. ქართული დიპლომატია XV საუკუნეში - - - - - - - - - - - - - - - 5

1. საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობები XV ს-ის I ნახევარში. ალექსანდრე I დიდის (1412-1442) დიპლომატია — დ. ნინიძე - - - - 5
2. ბიზანტიის დაცემა და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის — დ. კაჭარავა - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 38
3. ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ცდები და საქართველო — დ. ნინიძე - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 46
4. XV ს-ის II ნახევრის ქართული დიპლომატია — დ. ნინიძე - - - - - - - - - - - - 58
5. სამღვდელოების როლი XIII-XV საუკუნეთა ქართულ დიპლომატიაში — დ. ნინიძე - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 81

XV თავი. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XVI საუკუნეში - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 94

1. ქართველი ხალხის ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის XVI ს-ის I ნახევარში და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა — გ. საითიძე - - - - - - 94
2. ირან-ოსმალეთის ომები და საქართველო XVI ს-ის II ნახევარში — დ. კაციტაძე - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 115
3. ქართულ-რუსული დიპლომატიური კონტაქტები XVI ს-ის II ნახევარში — ნ. ასათიანი - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 126

XVI თავი. ქართული დიპლომატია XVII საუკუნეში — დ. კაჭარავა - - - - - - - - - 142

1. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XVII ს-ის I ნახევარში. თეიმურაზ I-ის, გიორგი სააკაძის, როსტომ I-ის დიპლომატია - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 142
2. ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა XVII ს-ის II ნახევარში - -194
3. ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში და მისი პოლიტიკური შედეგები - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 208

XVII თავი. ქართული დიპლომატია XVIII საუკუნეში - - - - - - - - - - - - - - - - 224

1. სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია ევროპაში (1713-1716 წწ.) - - - 224
2. ვახტანგ VI-ის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან — დ. კაჭარავა - - - 237
3. გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ. 24. VII) — ვ. მაჭარაძე - - - - - - - - - - - 247
4. ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობის გამწვავება ირანთან გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ — დ. კაჭარავა - - - - - - - - - - - - - - - - - 272
5. ქართულ სამეფო-სამთავროთა დიპლომატიური აქტიურობა საერთო-ქართული სახელმწიფოებრივი ერთობის მისაღწევად XVIII ს-ის მიწურულს. სოლომონ ლიონიძე — გ. იობაშვილი - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 280
6. ქართულ-რუსული პოლიტიკურ-დიპლომატიური კონტაქტები XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე და ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია რუსეთის მიერ. 1801 წ. აქტი — გ. იობაშვილი - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 295

XVIII თავი. საქართველოს საკითხი XIX ს-ის საერთაშორისო ურთიერთობებში — გ. იობაშვილი - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 305

1. საქართველო რუსეთ-თურქეთის პოლიტიკურ და დიპლომატიურ გეგმებში XIX ს-ის I მესამედში - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 305
2. საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა ასპექტში XIX ს-ის 50-70-იან წლებში - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 316

XIX თავი. ქართული პოლიტიკურ-დიპლომატიური აზრი XIX საუკუნეში — გ. იობაშვილი - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 326
1. ეროვნული ავტონომიის აღდგენის საკითხი და ქართული პოლიტიკურ-დიპლომატიური აზრი XIX ს-ის I მესამედში (დავით გიორგის ძე და ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონები) - - - - - - - - - - - - - - - - - - 326
2. ხალხთა ისტორიული ურთიერთობისა და საგარეო პოლიტიკის საკითხები XIX ს-ის II ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა ნააზრევში - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 341

XX თავი. საქართველო საერთაშორისო არენაზე 1918-1933 წლებში - - - - - - - - - - 361
1. 1917 წლის რევოლუციები რუსეთში და საქართველო-ამიერკავკასიის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა. ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის დიპლომატიური საქმიანობა — ა. მენთეშაშვილი - - - - - - - - - - 361
2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია 1918-1921 წლებში — ა. მენთეშაშვილი - - - - - - - - - - - - 376
3. რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, მისი დარღვევა რუსეთის მიერ და საქართველოს ფაქტობრივი ანექსია — ლ. თოიძე - - - - - - 388
4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური ღონისძიებანი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად — ა. მენთეშაშვილი - - - 409

საძიებლები (შემდგენლები: ბ. კუდავა, ბ. კუპატაძე, მ. მეგრელიძე, გ. საითიძე, ჯ. სამუშია, ვ. შალამბერიძე, ლ. ჯავახიშვილი, ნ. ჯავახიშვილი) - - - 424

# CONTENTS


CHAPTER XIV. Georgian diplomacy in the 15th cent. — 5

1. The Georgian state in international relations in the first half of the 15th cent. The diplomacy of Aleksandre I the Great (1412-1442) – D. Ninidze — 5
2. The fall of Byzantium and its implication for Georgia – D. Kacharava — 39
3. Attempts at creating an anti-Ottoman coalition in Europe and Georgia – D. Ninidze — 46
4. Georgian diplomacy of the second half of the 15th cent. – D. Ninidze — 58
5. The role of the clergy in 13th-15th cent. Georgian diplomacy – D. Ninidze — 81

CHAPTER XV. The foreign policy and diplomacy of the Georgian Kingdom and principalities in the 16th cent. — 94

1. The struggle of the Georgian people for the restoration of the country's integrity in the first half of the 16th cent. and its diplomatic provision – G. Saitidze — 94
2. Iranian-Turkish wars and Georgia in the second half of the 16th cent. – D. Katsitadze — 115
3. Georgian-Russian diplomatic contacts in the second half of the 16th cent. – N. Asatiani — 126

CHAPTER XVI. Georgian diplomacy in the 17th cent. – D. Kacharava — 142

1. Foreign-political relations of the Georgian kingdoms and principalities in the first half of the 17 th. cent. The diplomacy of Teimuraz I, Giorgi Saakadze and Rostom I — 142
2. The foreign-political situation of Kartli and Kakheti in the second half of the 17th cent. — 194
3. Feudal anarchy in Western Georgia and its political consequences — 208

CHAPTER XVII. Georgian diplomacy in the 18th cent. — 224

1. The diplomatic mission of Sulkhan-Saba Orbeliani in Europe — 224
2. Vakhtang VI's military and political alliance with Russia – D. Kacharava — 237
3. The Treaty of Georgievsk (24 July 1783) – V. Macharadze — 247
4. Aggravation of the relations of the Kartl-Kakheti Kingdom with Iran following the conclusion of the Treaty of Georgievsk – D. Kacharava — 272
5. The diplomatic activity of the Georgian kingdoms and principalities towards achienving all-Georgian state unity at the end of the 18 th cent. Solomon Lionidze – G. Iobashvili — 280
6. Georgian-Russian political and diplomatic contacts at the turn of the 18th-19th cent. and the annexation of the Kingdom of Kartli and Kakheti by Russia. The Act of 1801 – G. Iobashivili — 295

CHAPTER XVIII. The Georgian question in the 19th cent. international relations – G. Iobashvili — 305

1. Georgia in Russo-Turkish political and diplomatic plans in the first third of the 19th cent. — 305
2. Georgia in the aspect of international relations in the 1850s-1870s. — 316

CHAPTER XIX. Georgian political-diplomatic thought in the first third of the 19th cent. – G. Iobashvili — 326

1. The issue of the restoration of national autonomy and the Georgian political-diplomatic thought in the first third of the 19th cent. (David, Georgi's son and Aleksandre, Erekle's son, Bagrationis) — 326
2. Questions of the historical relations and foreign policy of peoples in the thoughts of the figures of the national-liberation movement of the second half of the 19th cent. — 341

CHAPTER XX. Georgia in the international arena in 1918-1933 — 361
1. The 1917 revolutions in Russia and the foreign-political situation of Georgia-Transcaucasia. The activity of the Transcaucasian Commissariat and the Seim – **A. Menteshashvili** — 361
2. The foreign policy and diplomacy of the Georgian Democratic Republic in 1918-1921 **A. Menteshashvili** — 376
3. The Russian-Georgian Treaty of 7 May 1920. Its violation by Georgia and the actual annexation of Georgia – **L. Toidze** — 388
4. The diplomatic efforts of the government of the Georgian Democratic Republic towards restoring the country's independence – **A. Menteshashvili** — 409

INDEXES (compiled by: **B. Kudava, B. Kupatadze, M. Megrelidze, G. Saitidze, J. Samushia, V. Shalamberidze, L. Javakhishvili, N. Javakhishvili**) — 424

გამომცემლობის რედაქტორი თ. გაბელაია
ტექნიკური რედაქტორი ბ. ასათიანი
კორექტორი ე. წერეთელი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.03.98
საბეჭდი ქაღალდი $60x84\,{}^{1}/_{16}$
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 29,5
სააღრ.-საგამომც. თაბახი 29,1
ტირაჟი 500 შეკვეთის № 66

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პრ. 14

გამომცემლობა „მერიდიანი", „კაბადონი",
თბილისი, გურამიშვილის გამზ. 74